ผู้ครองนครเวียงจันทน์

კ. ბოროზდინი

სამეგრელო და სვანეთი

1854–1861

მოგონებანი

1653

თარგმნილი თ. სახოკიას მიერ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

სახელმწიფო გამომცემლობა
1934

К. БОРОЗДИН. Кавказские воспоминания

Мингрелия и Сванетия с 1854—1861 г.

რედაქტორი ნ. მიწიშვილი

კორექტორი { გ. ბოლქვაძე, ი. კალანდაძე

ტექრედაქტორი გ. ბოლქვაძე

გადაეცა წარმოებას 10/X-1933

დაიბეჭდა 10/I-1934

ტირაჟი 5000

მთავლიტი 1168.

ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3, დაკვეთა № 1107.

ქართულ გამოცემისათვის

ამ წიგნის ავტორი, კ. ბოროზდინი, მეფის რუსეთის „განსწავლული“ მოხელე იყო. დაამთავრა თუ არა სწავლა-განათლების მიღება, ის მაშინვე შეუდგა მეფის ტახტისადმი ერთგულ სამსახურს. მისი კარიერა ამ დარგში დაიწყო კავკასიაში სამსახურით, მთავარმართებლის სამართველოში, შემდეგ მივლინებულ იქნა სამეგრელოს დედოფალთან (1854 წ.) მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. მან ადრე დაიმსახურა რუსეთის სამეფო ტახტისადმი ერთგულება და სიყვარული, რის გამოც 1858 წ. დანიშნულ იქნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც მან 1867 წლამდის დაჰყო.

ამრიგად მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა სამეგრელოს და სვანეთის იმდროინდელი ვითარების შესწავლისა, რასაც ის გადმოგვცემს — თავისი გაგებით— აღნიშნულ წიგნში მოგონებათა სახით.

კ. ბოროზდინის მოგონებანი დაზღვეული არ არის — და არც შეიძლება დაზღვეული იყოს—ყველა ასეთი სახის იმდროინდელ ნაწარმოებთა მნიშვნელოვან უარყოფით მხარეთაგან. ავტორი, კლასობრივად დაინტერესებული არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობის განმტკიცებით, აქედან გამომდინარე თვალსაზრისით უდგება ნაჩვენებ ფაქტების შეფასებას. მოკლედ თუ ვიტყვით, მისი მსოფლმხედველობა და მეთოდი ჩვენთვის უცხო და მიუღებელია.

მიუხედავად ამისა, კ. ბოროზდინის მოგონებანი სამეგრელოს და სვანეთის შესახებ მაინც არ ჰკარგავენ თავის ისტორიულ მნიშვნელობას. ამ წიგნის პრაქტიკული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ის უსათუოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვისაც სურს შეისწავლოს დღევანდელი სამეგრელოს და სვანეთის ისტორიული წარსული. ამასთან ერთად ის მშვენიერი საილუსტრაციო მასალაა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა საბჭოთა სამეგრელოს და სვანეთის მშრომელი გლეხობა იმ დროს, როდესაც მათ კისერზე ადგათ ბატონ-ყმობის და რუსეთის ცარიზმის მძიმე უღელი. მეტადრე ეს მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისათვის, რომელსაც ეს მძიმე ხანა არ განუცდია.

კ. ბოროზდინის მოგონებანი სამეგრელოსა და სვანეთზე ბატონყმობის არსებობის მნიშვნელოვან ხანას ეხება. ეს ის დროა, როდესაც თავად-აზნაურობისაგან გაყვლეფილი და შევიწროებული სამეგრელოს გლეხობა აჯანყებით უმასპინძლდება თავის მჩაგვრელებს. ავტორი თავის მოგონებებში აღნიშნავს სამეგრელოს გლეხობის ცნობილ აჯანყებას უტუ მიქავას მეთაურობით. აჯანყებაში მონაწილე გლეხების სიტყვებით ის საკმაოდ ვრცლად აღწერს როგორც თვით აჯანყების ხასიათს, ისე მის გამომწვევ მიზეზებს; ვრცლად მოჰყავს უტუ მიქავას სიტყვა, თქმული სამეგრელოს დედოფლის თხოვნით აჯანყებულთა „დასამშვიდებლად“ მისულ ქუთაისის გუბერნატორ კოლუბიაკინისადმი.

უ. მიქავა მგრძნობიარე სიტყვით გადასცემს გუბერნატორს გლეხობის ტანჯვა-წამების და გაყვლეფის აუტანელ, მძიმე სურათს. მიქავას და მასთან ერთად მთელი იმდროინდელი გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფერხდება იმის უცოდი-

ნარობით, რომ კოლუბიაკინების სახით მათ ემატებოდათ კიდევ ზედმეტი მყვლეფელი მათი „მშობლიური“ კლასობრივი მტრების —სამეგრელოს თავად-აზნაურობის გვერდით.

კ. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის აგრეთვე გადმოცემული ოსმალეთის ჯარების შემოსევა ომერ-ფაშის მეთაურობით და მათ მიერ სამეგრელოს აწიოკება. ამასთან ერთად წიგნში აქა-იქ ვხვდებით სამეურნეო ხასიათის ფაქტებსაც, ცნობებს იმდროინდელ ვაჭრობა-წარმოების შესახებ და სხვ.

წიგნი მნიშვნელოვან ფაქტებს იძლევა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ხდებოდა რუსეთის ცარიზმის დამკვიდრება ა/კ-ში, კერძოთ კი სამეგრელოსა და სვანეთში, როგორ ხდებოდა მისი გაბატონება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, როგორ უყურებდენ და ეპყრობოდენ ადგილობრივ მშრომელ მცხოვრებლებს ბიუროკრატული კამარილიის წარმომადგენელები, მრავალი სახის და მრავალრიცხოვანი მოხელეები. აღნიშნული ხანის ფაქტების საფუძველზე ძნელი არ არის იმის გამორკვევა, რომ რუსეთის ცარიზმის შემოსვლით მშრომელი გლეხობა მოექცა ორმაგ ექსპლოატაციის მძიმე უღელ ქვეშ: თავად-აზნაურობის გვერდით მას ახლა გამოუჩნდა თვითმპყრობელობის ბიუროკრატული აპარატის სახით ახალი მყვლეფელი და შემავიწროებელი.

ამ წიგნის არასაკმაოთ მომზადებულ მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ თითქოს სამეგრელოს და სვანეთის, ისე როგორც მთელი საქართველოს, თავადაზნაურობა იბრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ „დამოუკიდებლობის“ შენარჩუნების მიზნით, ეროვნული კულტურის დაცვისათვის და სხ. არავითარ შემთხვევაში! თავიდანვე თავად-აზნაურობა მტკიცე ბურჯი შეიქნა რუსეთის ცარიზმის. წინააღმდეგ არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ვის დაეყრდნობოდა ის, თუ არ თავად-აზნაურობას, რომლის კლასიურ ინტერესებს გამოხატავდა, ერთგულათ იცავდა მას ყოველ მხრივ და განსაკუთრებით კი გაყვლეფილ მშრომელ გლეხობის წინააღმდეგობისაგან. ის „წინააღმდეგობა“, რომელსაც სამეგრელოს და სვანეთის თავად-აზნაურობა უწევდა ცარიზმის შემოსვლას, მისი დამკვიდრების პირველ ხანებში, გამოწვეული იყო მხოლოდ იმითი, რომ ეშინოდათ არ გამოცლოდათ ხელიდან ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა გლეხობაზე. როგორც კი თავად-აზნაურობა დარწმუნდა მასში, რომ რუსეთის ცარიზმი სამართლიანად ეპყრობა მას, ანგარიშს უწევს მის „ისტორიულ უფლებებს“, ისიც მისი ერთგული დარაჯი შეიქნა. მშრომელი გლეხობა დაუპირდაპირდა თავად-აზნაურობის და რუსეთის ცარიზმის გაერთიანებულ ფრონტს. მან სამუდამოდ გაიმარჯვა თავის კლასიურ მტრებზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ხელმძღვანელობის საქმე ხელში აიღო მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის მეთაურობით

თავი პირველი

სამეგრელოს ყირიმის ომის დროისა

გეოგრაფიული მდებარეობა სამეგრელოისი. — ისტორიული ცნობანი ამ მხარის შესახებ. — რუსეთის ქვეშევრდომობა: გრიგოლ დადიანი. — სათხოვნელი მუხლები. — ლევან დადიანი. — იმპერატორის ნიკოლოზის მისვლა 1837 წ. — დავით დადიანი. — მისი რეფორმები. — თ. ალ. ჭავჭავაძის ასულის შერთვა. — ცნობანი ჭავჭავაძის გვარის შესახებ. — ცხოვრება დავით დადიანისა და მისის მეუღლისა ზუგდიდში. — გარდაცვალება დავითისა 1853 წ. — დედოფლის დანიშვნა სამეგრელოს მმართველად მისის შვილის ნიკოლოზის სრულწლოვანებამდე. — ამ მოგონებათა ავტორის მისვლა სამეგრელოში მცირეწლოვანი დადიანის აღმზრდელად. — მოღვაწეობა დედოფლისა ომის დროს. — საზაფხულო საცხოვრებელ ადგილას, გორდში, გადასვლა. — სამეგრელოში დაბანაკებულ ჯარების უფროსად თავად ივ. მუხრან-ბატონის დანიშვნა. — მისი ვინაობა და გეგმა გალაშქრებისა. — მისი ჯარი. — ბანაკი სორტაში. — ნინო ალექსანდრეს ასული გრიბოედოვისა. — ნიკოლოზ ხელმწიფის გარდაცვალება — ნ. ნ. მურავიოვის მოსვლა სამეგრელოში. — გარემოცვა ყარსისა. — ქობულეთისაკენ წასვლა. — ფარად-ფაშის და მისის ჯარების გამოსვლა სოხუმში. — შტურმი ყარსისა 17 ენკენისთვეს. — ოსმალთა ახალის ჯარების მისვლა ბათომში, იმათი წამოყვანა სოხუმში, ომერ-ფაშის მისვლა სოხუმში და იქიდან მისი გამომგზავრება სამეგრელოსაკენ.

შავი ზღვით, გაგრიდან მოყოლებული, რაც უფრო უახლოვედ ებით კავკასიის ნაპირებს, მთებს უფრო და უფრო ეცვლება სახე. გაგრამდე სალი, პირქუში და მოსხლეტილი კლდეები ზედ დაჰყურებს ზღვას; გაგრას იქით კი მთები თანდათან დაქანებული ხდება, ადგილ-ადგილ ამფითეატრს ემსგავსება, ზედ დაჰყურებენ კავკასიონის ქედის მწვერვალნი, სულმუდამ თოვლით დაფარულნი. რაც უფრო იცვლება სახე ამ მთებისა, ისე ზღვას თანდათან შორდება, და ზღვის პირად მდებარე ვაკე თანდათან ფართოვდება. სოხუმის ნავთსადგურიდან მოყოლებული აჭარის ქედამდე მთები ხახევარრკალის მსგავსად უკან იწევს, ხოლო მთის წინ იშლება ვაკე, რომელსაც სიგრძე ას ორმოც-და-ათამდე ვერსი ექნება, ხოლო განი ალაგ-ალაგ ას ვერსზე მეტი. ამ ვაკესა რწყავს ოთხი დიდი მდინარე, რომელნიც შავ ზღვას ერთვიან: კოდორი, ინგური, ხობისწყალი და რიონი. ამ ოთხ დიდ მდინარეს ბევრი სხვა პატარა მდინარე ერთვის, ამათს შორის ყველაზე დიდია ტეხური და ცხენის-წყალი. ეს ვაკე

მეტად ნაყოფიერია, და ბევრგვარი მცენარეცა ხარობს აქ, ბევრს მის ქედებს მწვანედ ხასხასი გააქვს ზამთარ-ზაფხულ მწვანე წყავის ტყისაგან; აქ ხარობს თუთა, კაკალი, ხურმა, რომელზედაც უშველებელი ვაზია გასული, უზარმაზარი მუხა, წაბლი, კოპიტი, ძელქვა, და მათ შორის მედიდურად აზიდულია ჭადარი. ზღვის პირას მდებარე ადგილებში საშინელი ციებ-ცხელება იცის. აქაურ ციებ-ცხელების შესახებ ჯერ კიდევ ჰიპპოკრატი სწერდა. ამ ვაკეზე, ჩრდილოეთიდან მოყოლებული, მდებარეობს აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, იმერეთი და გურია.

ჯერ ისევ წარსულის საუკუნის ნახევარში ეს მხარენი ოსმალეთს ეკუთვნოდენ; მაგრამ 1638 და 1658 წლებში სამეგრელოს და იმერეთის მთავრებმა მოინდომეს ოსმალეთის ბატონობისათვის თავი დაეღწიათ და რუსეთს მიმართეს, — გაგვათავისუფლეთ და შენნი ქვეშევრდომნი გავხდებითო. მთელი საუკუნოების განმავლობაში მარტოოდენ მოლაპარაკება იყო გამართული, უგზავნიდენ ერთმანეთს ძღვენს, მოკითხვას უთვლიდენ, და პირველად მხოლოდ 1770 წელს გამოგზავნა რუსეთმა ჯარი, გრაფ ტოტლებენის მეთაურობით, იმერეთსა და გურიაში ოსმალთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში მისაშველებლად. აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი და გურია ოსმალეთს ხარკად აძლევდენ გოგო-ბიჭებსა და ამით გამოიხატებოდა პოლიტიკური დამოკიდებულება ამ მხარეთა და ოსმალეთს შორის. ხოლო 1774 წელს, მკათათვის 10, შემდგარ ქუჩუკ-კაინარჯიის ტრაქტატის 23 მუხლის ძალით ჩამოთვლილი მხარეები დასახელებულ ხარკის ძლევისაგან განთავისუფლებულ იქმნენ. ან წამიდან მოყოლებული თითოეულ ამ მხარეთაგანს სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა როგორც ოსმალეთისა, ისე რუსეთის მხრივ.

იმერეთს თავისი მეფე ჰყვანდა; გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს — თავისი საკუთარი მთავრები.

ეს მხარენი, მართალია, ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლდენ, მაგრამ იმის წყალობით, რომ შინაურობაში ერთავად შფოთი და არეულობა იყო, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებით დიდხანს ვერ იცხოვრებდენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მეზობლად, ტფილისში, აღმართულ იქმნა რუსეთის დროშა და რუსეთმა ერთი-მეორეზე დაიპყრო მუსლემინთა პროვინციები. მთავართაგან პირველი გრიგოლ დადიანი *) გახდა რუსეთის ქვეშევ-

*) დადიანი — არც სახელია და არც გვარია, არამედ ტიტული სამეგრელოს მთავრისა. სამეგრელოში რამდენიმე დინასტია იყო მთავრებისა. მე-XVII საუკუნეში მთავრობდა ბედიას დინასტია, იმის შემდეგ გოშუა გახდა მთავრად, გოშუას მერე

რდომი. ამის მიზეზი შეიქმნა ლეჩხუმი. ამ კუთხის დაპყრობისათვის გრიგოლ დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. გრიგოლ დადიანმა სთქვა, იმერეთის მეფეს მარტო მე ვერას დავაკლებო და თავადს ციციშვილს შეუთვალა: რუსის ხელმწიფესთან მიშუამდგომლე, თავის მფარველობის ქვეშ მიმიღოსო. 1803 წ., დეკემბრის 1, პოლკოვნიკმა მაინოვმა გრიგოლ დადიანს ფიცი მიაღებინა თავისის სამთავროთი რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ამას შემდეგ სამეგრელოს მთავარს ჩააბარეს უმაღლესი ოქროს ღრამატა, რომელშიაც აღნიშნული იყო მისი ინვესტიტურა, სარდალის წოდება, ესე იგი, უფროსობა სამეგრელოს ჯარებისა, უბოძეს აგრეთვე ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, სახელმწიფო დროშა და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ხმალი; მისმა მეუღლემ, დედოფალმა ნინომ, ძღვნად მიიღო სიასამურის ტყავი და ათი ალაბი წითელი ხავერდისა. დადიანის ქვეშევრდომობა გამოიხატებოდა სათხოვნელ მუხლებით, რომელთა თავი და თავი შინაარსი შემდეგი იყო: 1) თვისთა ქვეშევრდომთა თავისუფლების და სიკვდილ-სიცოცხლის უფლება დადიანმა ხელაღებით დაუთმო რუსეთის ხელმწიფესა, და ამიტომ სამეგრელოში შემოღებულ იქნა რუსეთის იმპერიის სისხლის სასამართლო კანონები; 2) სამეგრელოს საშინაო მართვა-გამგეობის საქმე და გასამართლება თვისთა ქვეშევრდომთა სამოქალაქო წესითა მთავრის სრულს უფლებას შეადგენდა; 3) დადიანი სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რუსის ჯარმა დაიფაროს ჩემის სამთავროს საზღვრები და ამისთვის საჭირო ჯარი სულ მუდამ სამეგრელოში იმყოფებოდესო.

რუსეთის ხელში პირველი დადიანი, როგორცა ვთქვით, გრიგოლი იყო; მისი რეზიდენცია, ზუგდიდი, გააქალაქეს და სახელად უწოდეს გრიგორიოპოლი (გრიგოლის ქალაქი). ამასთანავე, იმპერატორმა ალექსანდრე I გრიგორიოპოლის ტაძარს შესწირა ის სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ღვთისმშობლის სარტყელი ერტყა და რომელიც იმპერატორს სამეგრელოს ხალხის მოციქულებმა მიართვეს ძღვნად; ეს ხატი, ძვირფას თვალმარგალიტით მოოჭვილი და ოქროთი შეჭედილი, უნდა ყოფილიყო წინდი იმპერატორის მზრუნველობისა იმ ხალხისათვის, რომელმაც მისი ქვეშევრდომობა მიიღო.

ლიპარტიანი გამთავრდა, მერე ჭილაძე და, ბოლოს, ჩიქოვანი. წარსულს საუკუნეში ჩიქოვანთა გვარის პირველი მთავარი კაცია ჩიქოვანი იყო დადიანად. ყველა ამ გვარებს, როცა მთავრებად იყვნენ, დადიანის ტიტული ჰქონდით. ავტ.

გრიგოლი დიდხანს არ დარჩენილა სამეგრელოს მთავრად: ამბობენ, იმერეთის მეფე სოლომონი ძალიან გულმოსული იყო, ლეჩხუმი როგორ წამართვაო, და ამიტომ მოაწამვლინაო. მისის გარდაცვალების შემდეგ მთავრად აღიარებულ იქმნა მისი უფროსი შვილი, ლევანი. მაგრამ რადგან ლევანი მცირეწლოვანი იყო, სამეგრელოს მართავდა დედა მისი, დედოფალი ნინო; ხოლო როცა ლევანი სრულიწლოვანი შეიქმნა, დედოფალი პეტერბურგში გაიხმეს და სიკვდილამდე ამ ქალაქში სცხოვრობდა.

ლევან დადიანი გარდაიცვალა 1846 წ. და სიკვდილამდე ოთხის წლით ადრე, ესე იგი 1842 წ., სამეგრელოს მართვაგამგეობა გადასცა უფროს შვილს დავითს.

როცა ჩვენ 1854 წელს მოვედით სამეგრელოში, ლევან დადიანი ჯერ ისევ გუშინდელ დღესებ ახსოვდათ. კარგის მეტი ცუდი არაფერი გამიგონია მის შესახებ. დიდი ჭანათლება არა ქონია, რუსულად თავისუფლად სწერდა და ლაპარაკობდა, თავისის ალერსიანის ქცევით, გულკეთილობით და კეთილშობილებით ყველას იზიდავდაო. მთელი სიცოცხლე მხიარულად გაატარა; პირველ ვეზირადა ჰყვანდა ნიკოლოზ ბატონიშვილი, ანუ, როგორც ხალხი ეძახდა, დიდი ნიკო, შეგნებული, საქმიანი და სამართლიანი კაცი.

თავისი უფროსი შვილი, დავითი, ლევანმა აღსაზრდელად ჯერ თავადს ვასილ ოსიფის ძე ბებუთოვს მიაბარა, მერე ბარონ გრიგოლი ვლადიმირის ძე როზენს, თვითონ კი თავისის ამალითურთ ერთავად ნადირობაში ატარებდა დროს. იმ დროს ჯიხვი, ირემი, ველური ღორი, მელა, კურდღელი ბევრი იყო სამეგრელოში; ნადირობის დროს იმართებოდა ლხინი, სიმღერა, თამაში; დროს მეტად მხიარულად ატარებდენ; ამას ზედ დაურთეთ მთელის დუნიის თვალი მეგრელი ლამაზი ქალები, რომელთაც ლევანი მეტის მეტადა სცემდა თაყვანსა. ლევანი სულით და ხორცით ერთგული იყო რუსეთისა და რუსის იმპერატორისა და ყველა რუსი, ვინც მას სტუმრად ეწვევოდა, მოხიბლული ბრუნდებოდა ხოლმე მისის სტუმარმოყვარეობითა. ბევრს ახსოვს განსვენებულის იმპერატორის ნიკოლოოზის მოსვლა კავკასიაში 1837 წ. ლევან დადიანი თავის სამთავროს საზღვარზე დაუხვდა ხელმწიფეს; ისა და მისი მეუღლე დედოფალი მართა დაჩოქილები მიეგებნენ უმაღლესს სტუმარს. ლევანს პურ-მარილი ეჭირა ხოლო მართა დედოფალს, აღმოსავლეთის ხალხის ჩვეულების თანახმად, ოქროს ლიტრა წყლითა და ტასტი ეჭირა ხელში, ხოლო მხარზე გადაგდებული ჰქონდა პირსახოცი. ხელმწიფე ორსავე ეამბორა. და ლევანთან სამი დღე დარჩა ზუგდიდში. ვინც ეს ამბავი თავის

თვალითა ნახა, გვიამბო, ლევანს თვის-მიერ შეთხზული ტანისამოსი ეცვაო: მასრებიან ჩოხის მხრებზე გენერალ-ლეიტენანტის ეპოლეტები ჰქონდა დაკერებული და კალმიანი სამ-კუთხა ქუდი ეხურა თავზე-დაო. მაგრამ ხელმწიფე ისე მოჰხიბლა მისმა პურ-მარილიანობამ და თავაზიანმა ქცევამა და თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც კი შეუმჩნევია ასეთი უცნაური ტანისამოსიო.

ლევანს რაც რამ ებადა, — მდიდრებში კი არ ჩაითვლებოდა, — სულ მისს დაახლოვებულ პირთ და ღარიბებს ურიგდებოდათ. სიკვდილს შემდეგ მთავარს 15,000 მანეთი ვალი დარჩა, და ეს ვალი მისმა შვილმა დავითმა გადაიხადა მერე.

დავით დადიანმა დიდად გაუსწრო წინ თავისს მამას სწავლა-განათლებითა და, როცა 1842 წელს სამეგრელოს მართვაგამგეობა ჩაიბარა, ხელი მიჰყო სამოსამართლო და საადმინისტრაციო საქმეთა გაწესრიგებას. მოსამართლესა და მმართველს ყოველ საქმისათვის გადაწყვეტილი სასყიდელი გაუჩინა, და თვითონ თანამდებობამ მოსამართლისა და მმართველისამ დავითის დროს სულ სხვა ხასიათი მიიღო, სახელდობრ: შესაძლებელი გახდა თანამდებობის პირი, თუ საჭიროება მოითხოვდა, გამოცვლილიყო და, გარდა ამისა, თვით თანამდებობა მემკვიდრეობით არ გადასულიყო, ძველებურად, გვაროვნობის წევრებზე. მთელი სამეგრელო მთავარმა რამდენსამე ოლქად დაჰყო, ყოველს ოლქში დააყენა მდივანბეგი, ესე იგი, ოლქის უფროსი, რომელსაც სამოსამართლო და საპოლიციო უფლება ჰქონდა მინიჭებული, თან, დაურიგდათ ინსტრუქცია, რომელიც 1842 წელს კავკასიის მხარის მართვა-გამგეობისათვის შემუშავებულ დებულებას ეთანხმებოდა.

დავითს ისეთი მეუღლე ესაჭიროებოდა, რომ მისი შესაფერი ყოფილიყო განათლებით და აზრ-შეხედულებითა. და აჰა, იმანაც აირჩია ეკატერინე ჭავჭავაძისა, შვილის-შვილი თავად გარსევან ჭავჭავაძისა, საქართველოს მეფის ელჩისა იმპერატორ ეკატერინესა, პავლესა და ალექსანდრეს წინაშე. გარსევანის შვილი ალექსანდრე პეტერბურგში დაიბადა. მის ნათლიად ბრძანდებოდა თვით ხელმწიფე ეკატერინე. განათლება ევროპული მიიღო, 1812 წელს ომში იღებდა მონაწილეობას, უფროსად იყო სახელოვან ნიჟეგოროდის პოლკისა, უმაღლესი საადმინისტრაციო თანამდებობა ეჭირა და იმავე დროს ქართველი პოეტიც იყო. ქართველნი ასულნი დღემდე მღერიან პუშკინის რომანსებს, რომლებიც იმან ქართულადა სთარგმნა. ალექსანდრე ჭავჭავაძე სახელოვანის გრიბოედოვის მეგობარი იყო და იმას მიათხოვა თავისი ქალი ნინო, რომელიც ესე უდრო-

დავით დადიანი

სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი

ვოდ დაქვრივდა. თ. ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ოჯახი ბარონ როზენის, გოლოვინის, ნეიდჰარტისა და ცოტათი ვორონცოვის დროსაც კი ტფილისში პირველ ოჯახად ითვლებოდა. ეკატერინე ალექსანდრეს მეორე ქალი იყო.

დავით დადიანი და ეკატერინე დედოფალი თოთხმეტი წელიწადი სცხოვრობდენ სამეგრელოში, მშვენიერი სასახლე ააგეს ზუგდიდში და სასახლესთან საუცხოვო ბაღი გააშენეს. ევროპულადა სცხოვრობდენ და რუსთაგანი თუ ვინმე შეივლიდა მათთან, მეტად სტუმართმოყვრულად უხვდებოდენ ხოლმე.

1853 წლის აგვისტოში, ხანგრძლივ ავადმყოფობას შემდეგ, გარდაიცვალა დავით, 42 წლისა. როგორც ექიმები ამბობდენ, კუჭის ქრონიკული კატარი გასჩენოდა, რამაც სამარის კარამდე მიიყვანა, მაგრამ იმასაც ამბობდენ, რომ მთავრის წინააღმდეგ დასი შესდგა და იმათ მოაწამვლინესო.

მთავარს დავითს ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. უფროსი, შვიდის წლისა, ნიკოლოზი იყო, სალომე ექვსის წლისა დარჩა, ანდრია — ოთხისა და თამარი — რამდენისამე თვისა.

ხელმწიფემ კეთილინება და ეკატერინე სამეგრელოს მმართველად დანიშნა, სანამ ნიკოლოზი სრული წლოვანი გახდებოდა, და უმაღლეს რესკრიპტთან ერთად ებოძა პირველ ხარისხის ორდენი წმ. მთავარმოწამის ეკატერინესი. ის იყო, მიწას მიაბარა გვამი თავის მეუღლისა, ისე გურიაში შეკვეთილის ციხის გამაგრებას და საომრად მზადებას შეუდგნენ.

29 აპრილს 1854 წელს მე ზუგდიდში მოვედი დედოფლის სასახლეში. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში ვმსახურებდი და ამ კანცელარიის დირექტორმა გამომგზავნა დედოფლის მიწერმოწერის საწარმოებლად. ამასთან, აღმზრდელობა უნდა მეკისრნა მისის შვილებისა ნიკოლოზისა და ანდრიასი.

როცა ოთახში შემიყვანეს, სადაც ტახტზე ორნი ლამაზნი, შუახნის მანდილოსანნი ისხდნენ, ყოყმანი დავიწყე, — არ ვიცოდი, დედოფალი რომელი იყო მათგანი? ალალბედზე მივუბრუნდი იმას, რომლის სახე სათნოდ და გულკეთილობის გამომეტყველად მეჩვენა, და შევსცდი, — ეს იყო ნინო გრიბოედოვისა; მაგრამ საჩქაროდ ხელით მანიშნა თავისი და, დედოფალი ეკატერინე. ასე გავიცანით ერთმანეთი. მერე გამაცნეს განსვენებულის დავითის ძმები გრიგოლი და კონსტანტინე, შემდეგ მომგვარეს ბავშვები, რომელთაგან ნიკოლოზი მეტის-მეტი ლამაზი ბავშვი იყო. ამ დღიდან ამ ოჯახის წევრი შევიქენ და იმათთან ერთად ორი წელიწადი გავატარე.

სამეგრელოს დედოფალი

ეკატერინე

(ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული)

რამდენისამე დღის უკან, 7 მაისს, ინგლისელებმა ყულევს ზარბაზნები დაუშინეს. ეს დაბა ოცდახუთის ვერსის მანძილზეა ზუგდიდიდან, ზღვის პირას. სასახლის აივნიდან გვესმოდა ყოველი დაცლა ზარბაზნისა და ვხედავდით ზარბაზნის კვამლს. ამის შემდეგ ყულევი ოსმალოს ჯარმა აიღო, ომი გახურდა და მოკლე-ხანში სამეგრელო ბრძოლის ველად გადაიქცა.

სამეგრელოს მმართველად დანიშნულს დედოფალს ძალიან გაუჭირდა საქმე. იმის მაგივრად, რომ შვილები აღეზარდნა, უნდა ეზრუნა სამთავროს მართვისა და მამულის მოვლისათვის, რაიცა მისთვის სრულიად ახალი და უცნობი საქმე იყო. ქმრის სიცოცხლეში დედოფალი ოჯახის საქმეთა გარეშე არაფერში ერეოდა და თვით დავითიც არაფერში ურევდა, ამიტომაც იძულებული შეიქმნა ყველაფერი თავიდან ესწავლნა და ისიც თავისით, რადგან მაზლები ისეთ კაცებად ვერა სცნო, რომ მინდობოდა ყველაფერში და მათის რჩევა-დარიგებისათვის დაეჯერებინა.

დედოფალი ექვს საათზე დგებოდა; რვა საათიდან მთხოვნელებს იღებდა; აღმოსავლეთის ჩვეულების თანახმად, მასთან ყველას შეეძლო შესულიყო; ყველასათვის უნდა მოესმინა თხოვნა, ყველა უნდა დაკმაყოფილებული გამოესტუმრებინა, ყველა უნდა შეერიგებინა. საღილობამდე ამ საქმეს უნდებოდა. საღამოს ისევ დაიწყებდენ მთხოვნელები დენას. სამუშაო ბევრი ჰქონდა, ამასთან, ის სამუშაო ძალიან რთული იყო, თუ არ დავივიწყებთ იმას, რომ დედოფლის წინამოადგილედ მისი მეუღლე იყო, რომელმაც აუარებელი კითხვები აღძრა. დავითმა იცოდა, რა როგორ უნდა გაეკეთებინა, ყველაფერში ცოდნა ეტყობოდა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხშირად პირადის სარგებლობისათვის მოქმედებდა. დედოფალი იძულებული იყო, რა თქმა უნდა, იმავე გზით ევლო, თუნდაც იმისათვის, რომ დავითს დაწყებული საქმე განეგრძო და შვილების ქონებისათვის უპატრონებინა; მაგრამ აქაც საჭირო იყო ცოდნა და მიხვედრილობა, რაიცა ყველას ერთნაირად არა აქვს მინიჭებული. მით უფრო ვერ მოსთხოვდა ამ ცოდნას კაცი იმ ქალს, რომელიც საქმისათვის მომზადებული არ იყო, ხოლო ეს საქმე, როგორც ვიცით, მას სრულიად მოულოდნელად და ძალიან გაჭირებულს დროს დაეკისრა.

უმეტესად მაშინ გაჭირდა საქმე, როცა აფხაზეთიდან ზღვის ნაპირით ჯარებმა დაიწყო დენა სამეგრელოზე გასავლელად. დედოფალი იძულებული იყო ჯარებისათვის ხელი მოემართნა, დახმარება აღმოეჩინა. ამავე დროს, არც გზები ვარგოდა და არც ხიდები გააჩ-

ნდათ სადმე. გარდა ამისა, უნდა შეედგინა ადგილობრივი მილიცია, რადგან ომი სამეგრელოში უნდა ატეხილიყო.

ოსმალებმა ყულევი რომ აიღეს, დედოფალმა ზუგდიდს თავი დაანება და მთავრის ხაზაფხულო სამყოფელ ადგილას, გორდში, გადაებარგა. აქ დედოფალს გაფაციცებით ყური უნდა ეგდო, როგორ მიდიოდა ბრძოლის საქმე დუნაის სამთავროებსა და მცირე აზიაში. ამავე დროს ამბავი მოუვიდა, აფხაზეთში ოსმალეთის ფაშა სეფერ-ბეი გამოვიდა, თან მოჰყავს ორი ათასი ჯარი და მოაქვს ოცდათექვსმეტი ზარბაზანიო. მის ჯარს შემოუერთდენ მეზობელი მთიელნი ჯიქები, უბიხები, შაფსუღები და ნათუხაველებიო. თვითონ სეფერ-ბეი ნათუხაველი იყო, მთის ხალხთა შორის დიდი გავლენა და ხმა ჰქონდა, რამდენიმე ენა იცოდა, მათს შორის რუსულიცა, და რუს-ოსმალოს ბრძოლის დროს იმასა ცდილობდა — რუსის ჯარის ძალა მთიულებთან ბრძოლის დროს შეესუსტებინა. ამიტომ, მოიხმო მთიელნი და ურჩია გალაშქრებულიყვენ სამეგრელოსა, იმერეთსა და გურიაზე.

1854 წელს ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში დაბანაკებულ ჯარების სარდლად დანიშნულ იქმნა გენერალ-მაიორი თავადი ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი. ჩამომავლობით ქართველი იყო ახალი უფროსი ჯარებისა, ზედმიწევნით იცნობდა ამ მხარეს, ხალხს და მათს ზნე-ჩვეულებას. მისი დანიშვნა გურულ რაზმის (ასე ეძახდენ რიონის ვაკეზე დაბანაკებულ ჯარებს) უფროსად დედოფალს ძალიან გაეხარდა. ჯერ ერთი, უხაროდა ისა, რომ მისის ქვეყნის დაცვა მთავრობამ ომში გამოცდილ კაცს მიანდო, მეორეც, ეს კაცი მისი მახლობელი ნათესავი*) და ძველი მეგობარი იყო.

თავადი მუხრან-ბატონი ჰფიქრობდა, ინგლის-ფრანგების ჯარი თუ შემოვა სამეგრელოში ისევ შავის ზღვიდან შემოვაო და ამიტომ დედოფალს გააცნო თავისი გეგმა მომავალის მოგერიებითის ომისა. თ. მუხრან-ბატონის გეგმა ხელმწიფე იმპერატორმაც მოიწონა და საკუთარის ხელით დააწერა: „მშვენიერი და ჭკვიანურია“.

მუხრან-ბატონის აზრით, ბრძოლის ასპარეზად უნდა გამხდარიყო სამი ადგილი: ჩრდილოეთიდან — მდ. ინგური; სამხრეთიდან — მდინარე სუფსა; დასავლეთიდან — ზღვის ნაპირი. მტერი თუ შემოგვესია, ამ სამში ერთის ადგილიდან უნდა შემოგვესიოსო, ან ორიდან, ან სამსავე ადგილიდან ერთადაო. თან იმის შიშიც უნდა გვქონდეს, რომ იმათი ჯარი, უეჭველია, ჩვენზე ძლიერი იქნებაო. ამ მო-

*) თ. ივან მუხრან-ბატონს მეუღლედ ყავდა დავით დადიანის დაჲ ნინო.

საზრებით გურული რაზმი მუხრან-ბატონმა ისე გაანაწილა, რომ სამეგრელოის შუა-გულში, სოფ. სორტაში, უნდა მდგარიყო მთავარი რეზერვი, რომელიც, საჭიროების დროს, ან ერთს მიეშველებოდა ან მეორეს, ან ორსავე ერთად, ან, თუ მტერი სორტას დაესხმოდა თავს, მაშინ ორგანვე დაყენებულს ჯარს გარს შემოიკრებდა და ისე მიეგებებოდა მტერს.

მუხრან-ბატონის რჩევით, დედოფალი ჯარის მთავარ ბანაკის მახლობლად დაბინავდა, სოფელ ქვაშხორში, ერთის თავის ნათესავის, კნეინა მარიამ ნიკოლოოზ დადიანის ასულის შარვაშიძის, სახლში.

თავ. ივ. კონ. მუხრანბატონი
ქუთაისის გუბერნიის და სამეგრელოს ჯარების
(გურულ რაზმის) უფროსი

ჯარი მდ. ტეხურის პირას იყო დაბანაკებული, სოფ. სორტაზე მიკრულ მინდორზე, დედოფლის ბინიდან სამს ვერსზე. თვით ბანაკს „სორტიანი“ დაარქვეს, სიტყვების „სორტა“ და მუხრან-ბატონის სახელ „იოანეს“ ერთად შეხამებისაგან.

დედოფალი ხშირად მოდიოდა ჯარის ბანაკში, იმასთანაც მოდიოდენ ბანაკიდან სტუმრად. დედოფალს, რა თქმა უნდა, არა სჭიროდა სხვისი სწავლება და მისს სტუმართ-მოყვარეობას და ყველასთან ალერსიანს ქცევას საზღვარი არა ჰქონდა.

ამ შემთხვევაში დედოფალს განსაკუთრებით ეხმარებოდა მისი დაჲ, გრიბოედოვის ქვრივი ნინო. ჩვენ არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვთქვათ რუსეთის გამოჩენილ მწერლის მეუღლის შესახებ, მით უფრო, რომ არსად-რა წაგვიკითხავს ამ შესანიშნავ და მეტის-მეტად ძვირფას ადამიანის შესახებ.

ნინო გრიბოედოვისა მეტის-მეტი ტანადი იყო, შავგრემანი და მშვენიერ თვალებიანი. ქმარს თხუთმეტის წლისა მისთხოვდა, როცა მისი მშვენიერება სავსებით იყო გადაშლილი. გრიბოედოვს უზომოდ უყვარდა თავისი ახალგაზდა ცოლი, რომელსაც „მურილიოს მადონას“ ეძახდა. ამ საყვარელს არსებას ქმარი ისე უყურებდა, როგორც ბავშვს, და ამბობდა: ჩემი ვალია, რაც აღზრდა დააკლდა, მე შევუსრულოვო. როგორც მისი დაახლოვებული ნაცნობები, და მათს შორის პ. ა. კარატიგინი, ამბობენ, გრიბოედოვი მეტად ნიჭიერი და განსწავლული კაცი იყოვო; პოეტიც იყო, და მშვენიერი მემუსიკეცა, ზედ-მიწევნით იცოდა რამდენიმე ევროპული ენა, სწავლა მიეღო აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, და, ყველა ამას გარდა, მეტის-მეტი სიმპატიური კაცი იყო. თუმცა ერთის წლის მეტი არ დასცალებია თავის საყვარელ არსებასთან სიცოცხლით დამტკბარიყო, მაგრამ ამ მოკლე ხნის ცხოვრებითაც დაუვიწყარი შეიქმნა ნინოსათვის, ისე ღრმად ჩაებეჭდენ მისს კეთილს გულს ამ დიადის მასწავლებლის ღირსებანი. როცა გრიბოედოვი თეირანში წავიდა, სადაც უდროოდ მოჰკვდა კიდეცა მტრის ხელისაგან, ხუთის თვის ორსული მეუღლე თავრიზში დასტოვა. აქ ნინოს დაახლოვებული ნაცნობები იყვნენ ინგლისის ელჩის ოჯახის წევრნი, მისი ცოლი და ქალები; გარდა ამათი, მასთან სტუმრად იყო ერთი მისი ნათესავთაგანი, თავადი რომან ჭავჭავაძე, რომელიც მამამ გამოუგზავნა თვალის-ჩინივით. როცა ამბავი მოუვიდა, გრიბოედოვი თეირანში მოჰკლესო, ცოლს ეს ამბავი არ გაუმჟღავნეს; მხოლოდ უთხრეს, ქმარს წერილის მოწერის დრო არა ჰქონდა, ძალიან ბევრი საქმეები აქვსო, შემოგითვალათ, აქ დიდხანს დავრჩები, და ამიტომ ტფილისში დედასთან დაბრუნდი და იქ უცადე ჩემს დაბრუნებასაო. დიდი მოხერხება იყო საჭირო, რომ მისგან ნამდვილი ამბავი დაემალნათ; გულმა უგრძნო, რალაც არასასიკეთოს მიმალავენო, მაგრამ ამ დროს მამისაგან, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისაგანაც,

რომელიც მაშინ სომხეთის ოლქის მმართველად იყო, მოუვიდა წერილი. ისიც იმასვე სწერდა და ატყობინებდა, შენს მისაგებებლად ჯულფაში წამოვედი და გელიო. ნინოც დასთანხმდა და მშვიდობით ჩამოვიდა ტფილისში, მაგრამ ტფილისში უფრო გაუჭირდათ მისთვის ქმრის სიკვდილი დაემალნათ: ამდენი დრო გადის და ქმარი მაინც

ნინო ალ. გრიბოედოვისა

(პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული)

წერილს არა მწერსო, მერე ისეთი ქმარი, რომელსაც გაგიჟებით ვუყვარვარო. თან და თან ემატებოდა ეჭვი და, ბოლოს, სრულებით შემთხვევით გაიგო ყველაფერი. ერთხელ მასთან გრაფ პასკევიჩის მეუღლე, გრიბოედოვის ბიძაშვილი, მოვიდა სტუმრად სწორედ იმ

დროს, როცა ნინოს დედა სადღაც იყო გასული. ლაპარაკის დროს წამოსცდა გრიბოედოვის თავგადასავალი და, რაკი ერთი წამოსცდა, იძულებული გახდა ყველაფერი ეამბნა. ნინოს საშინელი ისტერიკა დაემართა და მეორე დღეს ხუთის თვის ბავშვი დაებადა. ამგვარად დაჰკარგა ქმარიცა და შვილიცა. თექვსმეტის წლის ქვრივისათვის ყოველი ნუგეში დაიკარგა და გადასწყვიტა თავის საყვარელ ქმრისათვის არ ეღალატნა და სიკვდილამდე მისი ერთგული ყოფილიყო. მართლაც, ქმრის სიკვდილს შემდეგ 30 წელიწადი იცოცხლა და მეორედ გათხოვება არც კი უფიქრნია. ბევრს ნაქებს და გაგიჟებით შეყვარებულს საქმროს უნდოდა მისი შერთვა, მაგრამ იმან მაინც არ უღალატა თავის აღთქმას და ქვრივად დარჩა. გრიბოედოვის გვამი ნინომ ტფილისში მოასვენა და მთაწინდის ეკკლესიაში დაასაფლავა. ამაზე დიდებულ ადგილის მოძებნა არ შეიძლებოდა რუსების უკვდავ მწერლის საფლავად.

ამ დროდან მოყოლებული ნინო გრიბოედოვისამ თავისი სიცოცხლე თავის ნათესავ-მოყვარეებს შესწირა, სულ იმასა ჰფიქრობდა, ვის რა სიკეთე ვუყოვო. სანამ მისი დაჲ, ეკატერინე, გათხოვდებოდა, მასთან ერთად საზოგადოებაში გამოდიოდა; მის გათხოვების შემდეგ თავის უმცროს დას, სოფიოს (შემდეგში ბარონ ნიკოლაის მეუღლე) ზრდიდა, ხოლო როცა მისი ძმის, დავითის, შვილები მოჩიტდენ, მათი გადია შეიქმნა. მამის ოჯახში ის ყველასათვის საჭირო იყო, უიმისოდ არაფერი შეეძლოთ, სახლიდან კახეთში მიჰყვანდათ ძმასთან, კახეთიდან სამეგრელოში — დასთან. ნინო მფარველი ანგელოზი იყო მთელის ოჯახისა, ის იყო ისეთი არსება, რომელსაც თაყვანსა სცემდენ და აღმერთებდენ ყველანი კავკასიაში, მთავარმართებლებიდან მოყოლებული უბრალო ხალხამდე. იმის შესახებ საზოგადოდ ამას ამბობდენ: „ნინო კეთილი ადამიანიაო“. მართლაც, მისი გულკეთილობა განთქმული იყო. ყველა გაჭირვებულს შეეძლო თავისუფლად მისულიყო მასთან, შეეჩივლნა თავისი მდგომარეობა, ეთხოვნა ღახმარება და დარწმუნებულიც უნდა ყოფილიყო, რომ „კეთილს ნინოს“ სხვისი ჭირი საკუთარ ჭირად მიაჩნდა, სხვისის სიხარულით თვითონაცა ხარობდა. ვინც უნდა დიდკაცი ყოფილიყო, არავის დაერიდებოდა, ყველასა სთხოვდა, ამა და ამ გაჭირებულს დაეხმარეო და ხელი ვაუმართეო; თავის დღეშიაც არავის გაუცუდებია. ამიტომ, მთხოვნელები გამოულეველი ჰყვანდა სულმუდამ. ვთქვათ, რომელიმე ახალგაზდა მოხელე რასმე დააშავებდა და უფროსი სამსახურიდან დათხოვნას დაემუქრებოდა, — მაშინათვე ნინოსთან მირბოდა — გაჭირებისაგან მიხსენიო. ნინო ცოტათი დატუქსავ-

და, თვითონ მაინც წავიდოდა, სადაც საჭირო იყო, თუნდ მთავარ-მართებელთან ყოფილიყო მისასვლელი, და საქმეს გაარიგებდა; ან კიდევ რომელსამე პატივისმოყვარე კაცს დაწინაურება მოუნდებოდა, — წავიდოდა ნინოსთან, და ისიც ცდილობდა მისი სურვილი დაეკმაყოფილებინა; ერთის სიტყვით, ყველანი იმასა სთხოვდენ, ათას რასმე დაავალებდენ ხოლმე და ნინოც უარს არავის ეუბნებოდა, და კიდეც ამიტომ იყო, რომ იმ დროს კავკასიაში მასებ არავინ უყვარდათ. პენსია ძალიან ცოტა ეძლეოდა, რაღაც 2,000 მანეთი, და იმის ნახევარიც ალბად სხვებს ურიგდებოდა, ასე რომ, მდიდრული ცხოვრება რომ ნდომებოდა, მაინც არ შეეძლო. სულმუდამ ალერსიანი იყო, სულმუდამ ღიმი უთამაშებდა ტუჩებზე; ყველას საამოდ რჩებოდა მისი ნახვა, მასთან ბაასი. ხშირად იგონებდა თავისს ქმარს, ზეპირად იცოდა რამდენიმე სამუსიკო პიესა, გრიბოედოვის დაწერილი. ეს პიესები მშვენივრად შემუშავებული და მეტად თავისებურის მელოდიისა იყო, და სამწუხაროა, რომ ისე დაიკარგა, ჩაუწერავი; ნინო გადაიცვალა და თან ჩაიტანა საფლავში. მასთან ბაასი ყველას ესიამოვნებოდა, თვითონ მხიარულის ხასიათისა იყო და სულმუდამ დიდის სიამოვნებით იზიარებდა სხვათა მხიარულებას. როცა ეკატერინეს ქმარი მოუკვდა, ნინო მაშინათვე სამეგრელოში წამოვიდა და მას აქეთ სულ დასთან იყო.

სხვა არა ყოფილიყო-რა, მარტო ნინო გრიბოედოვის იქ ყოფნა ჰკმაროდა სორტაში დაბანაკებულ ჯარისათვის. დედოფლის სადგომი ერთავად სტუმრებით იყო სავსე; აქ იყო მუსიკაცა, თამაშობაცა, სიმღერაცა და ოჯალეშის ღვინოცა, — ყველა დიდად ნასიამოვნები ბრუნდებოდა უკან. ასე გავიდა ზამთრის თვეები, და ვისაც კი გამოუცდია, თუ რა ძნელი, მოსაწყენი და უხერხულია ჯარისათვის ერთ ადგილას ხანგრძლივად ყოფნა, მიხვდება, რა სასიამოვნო იყო სამხედროთათვის დედოფლის სახლში სიარული და დროს გატარება, მით უფრო, რომ ჯარს ამ დროს სახადი და ჭაობის ციება დაერია და იმდენი ხალხი გაჟუჟა, რამდენიც ერც ერთს ომში დაიხოცებოდა.

თებერვლის გასულს ამბავი მოვიდა, იმპერატორი ნიკოლოზი პავლესძე გარდაიცვალაო. ეს ამბავი პირველად ახალის მთავარმართებლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვისაგან გავიგეთ, რომელმაც, თავის მხრივ, პეტერბურგიდან განგებ გამოგზავნილ ფელდეგერისაგან გაიგო ტფილისიდან პირველ სადგურზე—ღართისკარში.

ახალმა მთავარმართებელმან. მურავიოვმა სამეგრელო აპრილში ინახულა. დედოფალს პატარაობითვე იცნობდა, რადგან მის

მამის, როგორც კარგის მეგობრის, სახლში ხშირად დადიოდა, ამიტომ ქვაშხორში რამდენსამე დღეს დარჩა დედოფალთან, როგორც დაახლოებულ მეგობართან. ნინო გრიბოედოვისაც დიდის ხნიდან იცნობდა მურავიოვს. სამეგრელოს საშინაო საქმეები, ცოტა არ იყოს, ალუფხულ-დალუფხული იყო. ამ დროს ხალხი მთავრობას არ ემადლიერებოდა და ამის ნიშნებმა მთავარმართებლის მოსვლის ცოტა-ხნით წინ უკვე იჩინა თავი სუჯუნაში. ამ უკმაყოფილების სათავე აფხაზეთის მთავრის სიმამრის სახლში, სოფ. ჭკადუაშში, იყო, და დედოფალმა მურავიოვსა სთხოვა, — შინაური მშვიდობიანობა დაამყარეთ ჩემს სამთავროშიო. მთავარმართებელმა სამეგრელოს თავადებს ერთად თავი მოუყარა და სიტყვით მიმართა ყველას, განსაკუთრებით თავადს გიორგი დადიანს, მაგრამ მისმა ნათქვამმა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა.

ქვაშხორიდან მთავარმართებელი ზუგდიდში გაემგზავრა, სადაც აფხაზეთის მთავარი, მიხ. შარვაშიძე, დაუხვდა. არავინ იცის, ამ ნახვის დროს რა ილაპარაკეს ამ ორმა; მხოლოდ ის ვიცით, რომ, როცა თავადი შარვაშიძე მთავარმართებელს მოშორდა, ძალიან აღელვებული და გულმოსული იყო. მას შემდეგ სამის კვირის უკან მ. შარვაშიძე მოულოდნელად წავიდა სამეგრელოდან აფხაზეთში და თავის სიმამრის სახლში მას უკან არ დაბრუნებულა.

მუხრან-ბატონის გეგმა და განკარგულება ომის შესახებ მურავიოვმა სრულიად მოიწონა. თითონაც კარგად ესმოდა, გურულირაზმი უნდა გავაძლიეროთო, და მუხრან-ბატონს დაჰპირდა, ჯარს მოგიმატებო, მანამდე კი, თუ დაგჭირდათ, სურამში სათადარიგოდ დაბანაკებული ექვსი ბატალიონი ჯარი აქ დაიბარეთო. სამეგრელოდან რომ მოდიოდა, მთავარმართებელმა დედოფალს უთხრა, ყარსის გარემოცვას ვაპირობო.

მაისში მუხრან-ბატონმა, მთავარმართებლის განკარგულებით, სორტაში დაბანაკებულ ჯარის ერთი ნაწილი წამოიყვანა, იმას შეუერთა გურიაში მყოფი ერთი რაზმი და ქობულეთის სანჯაყის დასათვალიერებლად წავიდა. მუსტაფა-ფაშის კორპუსი მიუვალ ადგილას იდგა ბანაკად და საცა იდგა, იქიდან არ დაძრულა. ოსმალებს კარგად ესმოდათ, რომ რუსის ჯარის მოსვლას არავითარი აზრი ჰქონდა გარდა ადგილის დათვალიერებისა, ამიტომ რომ ქობულეთის სანჯაყის აღება რუსის ჯარს ხელს არ მისცემდა, პირიქით, მეტ ბარგადაც გაუხდებოდა. ქობულეთის დათვალიერებას რომ მორჩნენ, ჯარები თავ-თავის ადგილებზე დააყენეს, ხოლო ბანაკი სორტიდან სიმრთელისათვის მახლობლად მაღლობ ადგილზე გადაიტანეს.

დედოფალი ისევ დაბრუნდა გორდში. ნინო გრიბოედოვისა მოშორდა და ტფილისში წავიდა. დედოფალი ძალიან შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ ზუგდიდში არ შეეძლო ეცხოვრნა. აქ დიდი სასახლე ჰქონდა, პარიზიდან ჩამოტანილი მშვენიერ ავეჯით მორთული, იქვე ჰქონდა მართლა-და საუცხოვო ბაღი.

ნიკ. ნიკ. მურავიოვი

კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალი
კავკასიის ჯარებისა.

შუა ზაფხულში ამბავი მოვიდა, მურავიოვმა ყარსს ჯარი შემოარტყაო. ცოტა ხანს უკან ამას სხვა ამბავიც დაერთო. ომერფაშის შტაბის უფროსი ფერხად-ფაშა დიდის ჯარით აფხაზეთის ნაპირას გავიდაო, უკან კიდევ ახალი ჯარი მისდევსო. ყველამ მოუთმენლად დაუწყო ლოდინი, რა იქნებაო.

მუხრან-ბატონმა მურავიოვისაგან დაპირებული სათადარიგო ჯარი მოითხოვა, მაგრამ ამბავი მოუვიდა, ჯარი ვერ მოვა, რადგან

ბურავიოვმა საჭიროდ სცნო ეს ჯარი ალექსანდროპოლში გაეგზავნაო. მეტი გზა არ იყო, იმას უნდა დასჯერებულიყო, რაცა ჰყავდა, მაგრამ, როგორცა ვთქვით, ამ ჯარს ზამთარში დიდი ზიანი მისცა ციებამ, ასე რომ სულ 8,000 ჯარისკაცი თუ იქნებოდა. მაგრამ ჯარი, ამდენი ხნის განმავლობაში უსაქმოდ გაჩერებული, მხნედ იყო, მოუთმენლად მოელოდდა ომს, შეტაკებას.

ენკენისთვის გასულს ამბავი მოვიდა, რუსის ჯარმა ყარსთან 17 ენკენისთვეს ბრძოლა წააგოვო, ამავე დროს ყირიმიდანაც რუსის ჯარის დამარცხების ამბავი მოვიდა. ამ ამბებმა უფრო ააგულიანა მუხრანბატონის ჯარი საომრად, იქნება გავიმარჯვოთ და, ცოტათიც არის, დაგვავიწყდეს წინანდელი მარცხიო. იმავე თვეს ბათუმში ახალი, სებასტოპოლიდან დაბრუნებული ჯარი ამოვიდა ოსმალებისა, მაგრამ აქ დიდხანს არ გაუჩერებიათ, მალე სოხუმში წაიყვანეს, სადაც ღვინობისთვე'ში ომერ-ფაშაც ამოვიდა და შემდეგ მთელი თავისი კორპუსით სამეგრელოსაკენ გამოემართა.

თავი მეოთხე

შემოსევა ომერ-ფაშის ჯარისა და დაპყრობა სამეგრელოსი

მდ. ინგურის ახლო მდებარე ადგილი.—ომერ-ფაშის ჯარის გამოჩენა 25 ოქტომბერს. — თავ. ივ. მუხრან-ბატონი მტრის ჯარს წინ გადაეღობება და ინგურში არ უშვებს.—ბრძოლა კახათსა და კოკთან.— პოლკოვნიკები ზვანბაია, იოსელიანი, მაიორი ივინი და კაპიტანი კობელევი— ერთი-მეორეს შემდეგ უფროსებად იყვნენ მე-11 სახაზო ბატალიონისა და ყველანი ბრძოლის ველზე დაჭრილ იქმნენ და დაიხოცნენ, გარდა ივინისა, რომელიც რამდენსამე კვირას უკან გადაჰყვა ჭრილობას. — ომერ-ფაშა ინგურში გავიდა; რუსის ჯარი ხეთაში მიდის. — რუსის ჯარი ცხენის-წყალში გავიდა და იმერეთისაკენ დაიხია. — სამეგრელო ომერ-ფაშის ხელშია. — გორდში დედოფლის სასახლეში მომხდარი ამბავი. — თავ. ივ. მუხრან-ბატონის მეუღლე. — დედოფლის მზადება ტფილისში წასასვლელად.— გორდში კონსტანტინე დადიანისა და სხვა თავადების მისვლა. — ესენი დედოფალს და მისს შვილებს ტფილისში არ უშვებენ და ურჩევენ ლეჩხუმში წასვლას. — ომერ-ფაშის პირველი წერილი, დედოფალთან მიწერილი.—ამ წერილის პასუხის შედგენა ნ. კოლიუბაკინის მიერ.— ლეჩხუმი და იქ გადასვლა დედოფლის შვილებისა. — თვითონ დედოფლის მისვლა. — ომერ-ფაშის მეორე წერილი დედოფალთან. — ცნობანი ოსმალთა გენერალისიმუსის მოქმედებათა შესახებ სამეგრელოში.— თავ. ჩიჩუა; როზმეურდუკი. — მითქმა-მოთქმა მეგრელთა შორის და მითქმა-მოთქმა დედოფლის შესახებ ქუთაისში. — თავადი ბებუთოვი დედოფალსა სთხოვს სამეგრელოდან წამოსვლას. — ყარსის აღება 22 ნოემბერს. — მარტოდ წასვლა დედოფლისა ლეჩხუმიდან გორდში. — ისკანდერ-ფაშის წერილი.

სამურზაყანოსა და სამეგრელოს შორის მიმდინარეობს ინგური. წყალდიდობას და გაზაფხულ-ზამთრის დიდ წვიმების დროს, როგორც ყველა მთის მდინარენი, ინგურიც მალე ადიდდება და მისის წყალობით ყოველივე მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია ხოლმე; მაგრამ ზაფხულობით და გვალვის დროს ეს მდინარე ისე გამეჩხარდება, რომ მცხოვრებნი ფონს ადვილად გადიან. 1855 წლის შემოდგომა მეტად გვალვიანი იყო, გამუდმებული ტაროსი იდგა და ამიტომ ინ-

გური დაპატარავდა და ორს ალაგას შეეძლო კაცს ფონს გასვლა: რუხის ძველის ციხის ახლო და კოკისა და კახათის მახლობლად. ამ ორ ფონს შუა თოთხმეტის ვერსის მანძილია.

25 ოქტომბერს ომერ-ფაშა თავისის ჯარით ინგურს მოადგა. მუხრან-ბატონმა მტერი პირის-პირ დაინახა, მაგრამ არც კი უფიქრნია წინააღმდეგობა გაეწია და ინგურში არ გამოეშვა; მხოლოდ თავისი ჯარი ორად გაჰყო და ერთი-მეორეს კარგა მანძილზე დააშორა. მუხრან-ბატონს ეჩვენა, ომერ-ფაშას ჯარის უმეტესი ნაწილი რუხისაკენ მოდისო და ამიტომ თვითონ რუხთან დარჩა და უფრო დიდი ნაწილი ჯარისა თავისთან დასტოვა, ხოლო უმცირესობა კოკ-კახათისაკენ გაგზავნა. მაგრამ ომერ-ფაშამ მტერი მოატყუა და ჯარის უმრავლესობა კოკ-კახათის*) ფონისაკენ წაიყვანა, ასე რომ ოსმალოს ჯარს ორი ბატალიონი-ღა გაუმკლავდა. რუსის ჯარში 2,000 კაციც არ ითვლებოდა, ხოლო მტერი ათჯერ მეტი იყო. რუსის ჯარის-კაცებს ჯერ ისევ კაჟიანი თოფები ჰქონდათ, ხოლო ომერ-ფაშის ჯარი მინიეს სისტემის თოფებით იყო შეიარაღებული.

კოკთან ბრძოლა ასტყდა ნაშუადღევის სამს საათზე და მზის ჩასვლამდე გასტანა, ესე იგი მთელი ოთხი საათი მეტი. რუსის ჯარი თავგამოდებით იბრძოდა. ბრძოლა პირველად მდინარის კალაპოტში ასტყდა და მტერმა სამჯერ აჩვენა რუსის ჯარს ზურგი. 11 სახაზო ბატალიონის კომანდირს, პოლკოვნიკს ზვანბაიას შტუცერის ტყვია მარჯვენა ყურში მოხვდა და მარცხენაში გაუარა. იმის სიკვდილს შემდეგ უფროსად პოლკოვნიკი იოსელიანი ჩადგა. შტუცერის ტყვია იოსელიანს მკერდში მოხვდა და მეორე მხარეს გავიდა, მაგრამ დგომელა საჩქაროზე თვითონვე შეიხვია ჭრილობა და ჯარის ხელმძღვანელობა განაგრძო, სანამ ღონემ სრულებით არ უმტყუნა და სოლდათების ხელზე არ დაესვენა. ჭრილობის შესაცვლელად რომ მიჰყავდათ, მეორე ტყვია თავში მოხვდა და ბოლო მოუღო. იმის მაგიერ კურინის პოლკის ბატალიონის კომანდირი, მაიორი ივინი ჩადგა, მაგრამ დიდხანს არც იმას დასცალებია: შტუცერის ტყვიამ მუხლისთავი დაუმსხვრია და რაზმიდან გაიტანეს. ამ გმირულ რაზმის უკანასკნელ კომანდირად იყო კაპიტანი კობელევი. კომანდირობა კობელევმა ისეთს წუთს იკისრა, როცა მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. ზარბაზნებს თავები დაუცო და ერთი მუჭა ჯარი ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ამ დროს რუხი-

*) სოფ. კახათში ნარმანიას გვარის გლეხები სცხოვრობენ და ამიტომ ამ ადგილს სანარმანიოც ჰქვიან.

დან მუხრან-ბატონი მოიჭრა თავისის ჯარით და უბრძანა, ისევ ბრძოლა ასტეხეთო. ჯარის-კაცები ისევ გამწკრივდენ და ლომებივით ეკვეთნენ მტერსა, მაგრამ გვიანლა იყო. ოსმალთ ჯარის უმეტესობა ინგურში გამოვიდა. რუსის ჯარს ცოტაც რომ დაყოვნებოდა, მტერი გარშემო შემოერკალებოდა და ტყვედ წაასხამდა ყველას. ამიტომ მუხრან-ბატონის ბრძანებით რუსის ჯარმა უკან დაიხია. კაპიტანი კობელევი მოკლულ იქმნა.

ღამის ათს საათზე ჯარი მწყობრად ინგურს მოშორდა. ბნელი ღამე იყო, დაჭრილები და ავადმყოფები ბევრი ჰყავდა რუსის ჯარსა, თან, ერთბაშად მოუხდა უკან დახევა, ასე რომ ძალიან უჭირდა საქმე, მაგრამ 26 ოქტომბერს დილით ყველანი, ვინც კი ინგურის ბრძოლას გადარჩნენ, ხეთაში იყვნენ დაბანაკებულნი.

დიდძალი სისხლი დაიღვარა კოკსა და კახათთან ბრძოლის დროს; რუსის ჯარს ბევრი ხალხი დაეხოცა, მაგრამ ოსმალოს ჯარს სამი იმდენი დაეკარგა; აქაურ მცხოვრებთ დღემდე ახსოვსთ მინდორი, სადაც ათასზე მეტი მკვდარი ეყარა და ამდენივე წყალმა წაიღო... ჩვენ უკვე დავასახელეთ ამ ბრძოლის გმირნი: ზვანბაია, იოსელიანი, ივინი და კობელევი. ამათგან მხოლოდ ივინი გაიყვანეს ბრძოლის ველიდან ცოცხლად. ამას შემდეგ მთელი ექვსი კვირა იტანჯა ქუთაისში ნ. კოლუბაკინის სახლში, და ჭრილობისაგან სული განუტევა, ხოლო სხვებმა ბრძოლის ველზე დასდვეს თავი. მაგრამ უსამართლობა იქმნებოდა, არ გვეხსენებინა ცხენოსან რაზმის უფროსი პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი შარვაშიძე *), რომელმაც უკვე დასახელებულ გმირებივით ისახელა თავი; ბრძოლიდან უვნებელი გამოვიდა, თუმცა გაცხარებულ ბრძოლის დროს თავის რაზმს თავში უდგა. ზვანბაია და შარვაშიძე აფხაზები იყვნენ, ხოლო იოსელიანი—მეგრელი; სამსავე დიდი პატივისცემა და ნდობა ჰქონდათ როგორც თვის თანამემამულეთა, ისე თანამოსამსახურეთა, და რუსებისათვის თავდადებულნი იყვნენ. ზვანბაია, გარდა ამისა, დიდად ნაკითხი და განვითარებული კაცი იყო, კარგად ჰქონდა შესწავლილი თავისი სამშობლო და თვისთა თანამემამულეთა ზნე-ჩვეულებანი; მთელი რიგი საინტერესო წერილები დაბეჭდა „საგეოგრაფიო კრებულში“ და გაზეთ „კავკაზში“ და კავკასიის შესახებ მწერლობაშიაც დასტოვა თავისი კვალი.

ჩვენ ზევითა ვთქვით, რომ თავადს ივ. მუხრან-ბატონს ფიქრადაც არ მოსვლია ომერ-ფაშისათვის ინგურში გასვლის დროს წინააღ-

---

*) მამა ტფილისის გუბერნატორად ნამყოფის თავ. გიორგი შარვაშიძისა. თ. ს.

მდეგობა გაეწიაო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ძალა არ შესწევდა. თუნდაც მთელი თავისი ჯარი სანარმანიოში დაეყენებინა, მაინც ვერ გააჩერებდა მტერს ინგურს გალმა, რადგან ომერ-ფაშას 30,000 კაცი ჰყავდა და მუხრან-ბატონის ჯარი კი 5,000 კაცს არ აღემატებოდა. ინგურზე ადგილმდებარეობა მტერთან საბრძოლველად მეტად უხერხული იყო, მით უფრო რომ ეს მტერი ექვსჯერ ძლიერი იყო, ვიდრე რუსის ჯარი. მაგრამ ეს ალაგი სამეგრელოს კარის ზღურბლად ითვლებოდა და ბრძოლა მაინც უნდა ატეხილიყო. ყოვლად შეუძლებელი იყო რუსის ჯარს გაემარჯვნა ხეთაში, ან მდ. ცივზე (ახალ-სენაკთან), ამიტომ რომ მტერი ყველგან სძლევდა: რუსის ჯარი იძულებული გახდებოდა ორივე ადგილიდან აყრილიყო და უბრძოლველად მტრისათვის ჩაეტოვებინა ხელში; თუ სადმე შეიძლებოდა ბრძოლა, ისევ ინგურზე. აქაც რომ არ გამკლავებოდა მტერს მუხრან-ბატონი, მტერი უომრად შემოვიდოდა სამეგრელოში. რაკი თოფის დაუცლელად შემოვიდოდა მტერი ამ ქვეყანაში, მაშინ თუნდაც კარგად წასულიყო რუსის ჯარის საქმე, მეგრელების იმედი არ უნდა ჰქონოდა მუხრან-ბატონს, ოსმალების წინააღმდეგ ვერაფრის გულისათვის ააღებინებდა იარაღს.

ასე იყო, თუ ისე, ინგურზე რუსის ჯარის დამარცხებამ, მუხრან-ბატონის წასვლამ ხეთისაკენ და ოსმალთაგან ზუგდიდის დაპყრობამ შიშის ზარი დასცა სამეგრელოს მკვიდრთ. მცხოვრებთ თავტანი დაჰკარგეს და ყოველი გულადობა გაუქრათ, როცა რიცხვმრავალი ჯარი დაინახეს ომერ-ფაშისა. თავადი მუხრან-ბატონი ხეთაში გამაგრდა და აქ სამს დღეს ელოდებოდა მტერს. მაგრამ ამ დროს სამწუხარო ამბავი მოვიდა. მეგრელებისაგან შემდგარმა მილიციამ, რომელიც თ. გრიგოლ დადიანის მეთაურობით სოფელ აბასთუმნის მახლობლად იდგა ზემო-სამეგრელოს გზის დასაცველად, თავის უფროსის სურვილის წინააღმდეგ, ამ ადგილს თავი დაანება და თავ-თავის სახლებს მიაშურაო. მუხრან-ბატონს შეეშინდა, აქ რომ გავჩერდე, შეიძლება, მტერი ყველა-მხრით შემომერტყასო, და ხეთიდან დაიძრა. ქართლ-კახეთიდან ჯარს ელოდდა, მაგრამ ამ ჯარისა დღემდე ჩამი-ჩუმი არ ესმოდა. ხელთა ჰყავდა რიცხვმცირე ჯარი; არც ადგილობრივნი მკვიდრნი იჩენდენ დახმარების სურვილს, ასე რომ სამეგრელოში დარჩენა მუხრან-ბატონისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ ცხენის-წყალს გავიდა და იმერეთში გადაიყვანა თავისი ჯარი.

მთელი სამეგრელო ომერ-ფაშის ხელში დარჩა.

ახლა ვიკითხოთ, ამ დროს რა ამბავი იყო გორდში, სადაც დედოფალი სცხოვრობდა? ბრძოლის წინადღეს დედოფალი ეკატერინე გორდიდან ქვაშხორში წამოვიდა და აქ დაუწყო ამბავს ლოდინი. რუსის ჯარის დამარცხებისა და ომერ-ფაშის შემოსვლის ამბავი ყველაფერი დაწვრილებით მოუვიდა და ისიც გაეშურა გორდში შვილებთან. ამ დროს დედობრივის გრძნობის გარდა სხვა ყველა გრძნობანი დაავიწყდა. მტერმა ჩემს ქვეყანაში ფეხი შემოსდგა და მეც ჩემს ოჯახს უნდა ვუპატრონოვო.

დედოფალთან ამ დროს სტუმრად იყო ივ. მუხრან-ბატონის მეუღლე ნინო. ინგურთან დამარცხებას მთლად მუხრან-ბატონს აბრალებდენ, ამიტომ კნეინა ნინო ჰფიქრობდა, ყველანი მე მაყვედრიან ჩემის ქმრის დამარცხებასაო. დედოფალი მეტად შეწუხებული და აღელვებული იყო; ნინოც არა ნაკლებ სწუხდა. სწუხდა თავის ძმისწულებისათვის, ბოლოს, სწუხდა თავის რძლისათვისაც. ოქტომბრის 28, ღამით, როცა ყველამ დაიძინა, კნეინა ნინოს ქმრისაგან წერილი მოუვიდა. წაიკითხა თუ არა, დედოფლის საწოლ ოთახში შეიჭრა, საჩქაროზე გააღვიძა და უთხრა: „ჩქარა წადი აქედან; მეგრელები გაფანტულან; გამომართვი ეს წერილი და წაიკითხე." ივანე მუხრან-ბატონი, მართლაც, ცოლსა სწერდა, დედოფალს უთხარი, დაუყონებლივ წამოიყვანოს შვილები გორდიდან- გავიდეს იმერეთში და ხონში ჩემს მოსვლას ელოდოსო. ამ ჟამად დედოფლისა და მისის შვილების ყოფნა სამეგრელოში საშიშოაო, რადგან მეგრელების იმედი არა მაქვსო. ბოლოს, მეგრელთა მილიციის გაფანტვას ატყობინებდა.

რა თქმა უნდა, დედოფალმა ეს მოიყმინა თუ არა, მუხრან-ბატონის ნათქვამის ასრულებას შეუდგა და დილის ცხრა საათისათვის წასასვლელად მთელი სახლობა მზად იყო; ერთი ათიოდე წუთიც რომ დაჰყოვნებოდა, დედოფალი გზას დაადგებოდა. მაგრამ ამ დროს გორდის მთაზე თავადი კონსტანტინე დადიანი, განსვენებულის მთავრის ძმა, ამოვიდა. თან ახლდა აუარებელი თავად-აზნაურობა. რომ გაიგეს, დედოფალი იმერეთში მიბრძანდებაო, ყველა ერთხმად წინ აღუდგა დედოფლის გადაწყვეტილებას.

მეტად ცხოველსა და საინტერესო სანახავს წამოადგენდენ ესენი ამ წუთას. მშვენიერი და დიდებულის სახის მოხუცნი მოწიწებით გამოვიდენ წინ და დიდის კრძალვით, გარნა ენერგიულად მოახსენეს თავიანთს დედოფალს:

„მართალია, თავადი მუხრან-ბატონი დამარცხდა. რა ვუყოთ მერე! ვინ არ დამარცხებულა? მაგრამ საქმე ის გახლავსთ, რომ იმას

არ უნდა ხელმეორედ შეებას მტერს სამეგრელოში და ეჩქარება სამეგრელოდან იმერეთში გადავიდეს. ამით პირად ჩვენ გვაყენებს შეურაცყოფას. იმისთვის ვიღასაც უთქვამს, რომ მილიცია დაიქსაქსაო, — მაგრამ ეს ცილისწამებაა; შეიძლება, რამდენიმე კაცი გაქცეულიყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ყველანი ჩვენ-ჩვენს სახლებში დამალულვიყვეთ! ჩვენ გვიომნია, ვომობთ და კიდეც ვიომებთ რუსის მეფისათვის; რუსები და ჩვენ ერთმორწმუნენი ვართ, თურქთა სარწმუნოება ჭირივითა გვძულს და არც გვინდა ბატონად ოსმალეთი გვყავდეს; კარგად გვახსოვს მათი სიტკბო-სიმწარე. სანამ სული გვიდგას, შევიძლებთ მხარი მივსცეთ და ოსმალთაგან დავიფაროთ ჩვენი მთავარი და საქმით დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ტყუილადა. გვწამებდენ მუხანათობას; შენა და მთავარი იმერეთში არ უნდა წახვიდეთ. ჩვენ ყველანი გთხოვთ, ეს არა ჰქნა და რაც მოგივა, ჩვენი ბრალი იყოს.“

აი მოკლე შინაარსი იმ სიტყვებისა, რომლებიც დედოფალს თვისთა ქვეშევრდომთა მოახსენეს.

მაგრამ ყველაზე უფრო რიხიანი სიტყვა უთხრა თავადმა, ფარნაოზ გელოვანმა, ლეჩხუმის მცხოვრებმა, წამოსადეგმა და დარბაისელმა მოხუცმა:

„დედოფალო, ნუ თუ დაგავიწყდა ჩვენი მთები?— უთხრა გელოვანმა დედოფალს. — ისე დავმალავ ამ მთებში შენს შვილს, რომ ვერც ერთმა თურქმა მოაგნოს. რასა ჩქარობ? ისე შეშინებულხარ, რომ ყველანი დაგვიწყებივართ! მუხრან-ბატონმა თავი გაგვანება; შენ კიდევ მთავარს გვაშორებ; მაშინ რაღა ვქნათ ჩვენ? მუხრან-ბატონის დაჭერა არ შეგვეძლო, მაგრამ მთავარს კი არსად გავუშვებთ“.

ლაპარაკი რომ გაათავა, გელოვანმა მოატანინა ჯვარი და სახარება და მცირეწლოვან მთავარს და მის დედას შეჰფიცა, ოღონდ თქვენ დაგიფაროთ და ჩემს სიცოცხლესაც არ დავიშურებო. გელოვანს სხვებიც მიჰყვნენ და ყველამ სათითაოთ შეჰფიცეს ერთგულება.

დედოფალს არ შეეძლო გულგრილად მოესმინა მათი ნათქვამი; მის საცოდავს ხალხს, საშინელს გაჭირვებაში ჩავარდნილს, მოლალატეს ეძახდენ, — არც ეს შეეძლო მოეთმინა. მართალია, მუხრან-ბატონმა მომწერა, მეგრელები ილტვნენო, მუხანათურად მოიქცნენო, მაგრამ იმავე მეგრელების საუკეთესო წარმომადგენელებმა ახლა არ შემომფიცეს, თქვენის შვილისათვის თავს დავდებთო? არა, აქ ადგილი არა აქვს შიშს, მეცა და ჩემი შვილიც უზრუნველყოფილნი ვართო, — გადასწყვიტა დედოფალმა. მუხრან-ბატონი ერთსა სთხოვდა,

ხალხის წარმომადგენელნი — სულ სხვას ეუბნებოდენ, მაგრამ დედოფალი ერთ წამსაც არ დაყოყმებულა, გადასწყვიტა აქ დარჩენა და აქედან ლეჩხუმში წასვლა. სანამ გამოაწყობდენ ბარგ-ბარხანასა, სამი დღე გავიდა. მუხრან-ბატონი ამ დროს ხონში იყო და დედოფალს ხელახლა შემოუთვალა, სამეგრელოდან გამოდიო. ეს წერილი, ცოტა არ იყოს, მკაცრის კილოთი იყო მოწერილი. მაგრამ დედოფალი პირველ გადაწყეტილებას დაადგა და შეუთვალა, ამ დღეებში ლეჩხუმს მიმყავს ბავშვებიო. ამავე დროს, წერილი მისწერა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს თავადს ვასილ ბეჩუთოვს და რჩევა-დარიგება სთხოვა, როგორ მოვიქცეო.

ამ გვარად, დედოფალსა და მუხრან-ბატონს შუა თანხმობითი განწყობილება დაირღვა. მუხრან-ბატონს მეგრელები აბრალებდენ, მუხანათები დაგვიძახაო. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იმას ასეთი დანაშაული ამ მხრის ხალხისათვის არ დაუწამებია. აი შინაარსი იმ წერილისა, რომელიც თავადმა მთავარმართებელს მიართვა: „თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მეგრელები გულიგულში რუსების მომხრენი არიან და თურქები ეჯავრებათ, მაგრამ ამ მხრის ხალხი ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მშვიდობიანადა სცხოვრობს, და წინანდელი მეომრული თვისება თითქმის დაეკარგა. ახლა რაკი ამდენი ჯარი შემოესია მტრისა, შიშისაგან თავტანი დაეკარგა, და, ზოგიერთებს გარდა, არა გვშველიან და მხარში არ გვიდგანან“.

ეს ამბავი სრული ჭეშმარიტებაა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ გურულთა რაზმს საჭირო რეზერვი სწორედ იმ დროს წაართვა გენერალმა მურავიოვმა, როცა ყველაზე მეტად ეჭირვებოდა მუხრან-ბატონს ძალა. მთელი ჯარი მურავიოვმა ყარსში წაასხა, ასე რომ მუხრან-ბატონისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო მცირე ჯარის იმედით სამეგრელოში გამაგრება. მეგრელებმა არ იცოდენ, რად მოიქცა ასე მუხრან-ბატონი. ალბად, შეეშინდა და იმიტომ გაიქცა აქედან, ჩვენ კი ღვთის ანაბარა დაგვყარაო. ამიტომ, ძალიან გულმოსულები იყვნენ მუხრან-ბატონზე. ამ საერთო აურზაურის დროს ვერც მუხრან-ბატონს, ვერც დედოფალს და ვერც მეგრელებს მოსთხოვდა კაცი სრულს გულის სიმშვიდეს, მიუკერძველად და შეუმცთარად სჯა-ბაასს და საქმის ვითარებაში ჩაკვირვებას.

გორდიდან არც კი გასულიყო დედოფალი, ზუგდიდის სასახლის მოურავმა თავადმა ნიკო დგებუაძემ შემდეგი წერილი მოართვა ომერ-ფაშისა:

Zougdidi, le 31 octobre (11 novembre) 1855 *)

Altesse!

„En entrant dans le pays, dont Votre Altesse est la princesse régnante au nom de son fils, je crois de mon devoir de lui communiquer les desseins du sultan, mon auguste souverain, et des hautes puissances, ses alliées.

„La guerre actuelle, comme Votre Altesse le sait, est entreprise avec la juste intention de résister et mettre fin à l'agression de l'Empereur de la Russie.

„C'est dans ce but que je suis ici avec des forces qui, par l'aide de Dieu et en pleine confiance à la justice de la cause pour laquelle nous combattons, suffiront pour chasser l'ennemi du pays, dans lequel Votre Altesse règne; mais en envahissant la Mingrélie, je suis autorisé d'assurer Votre Altesse que mon auguste souverain et les hautes puissances, ses alliées, ne veulent point déranger son gouvernement, ni acquérir des droits sur la Mingrélie.

„Ce qu'ils desirent, c'est que la Mingrélie et les pays voisins d'elle soient indépendants de la Russie et de toute autre puissance et libres sous leurs propres gouvernements.

„Mon armée est entrée dans la Mingrélie et a trouvé une partie de la population les armes à la main, le reste s'est enfui,

---

*) თარგმანი:

ზუგდიდი, 31 ოქტომბერს (11 ნოემბერს) 1855 წ.

„თქვენო უგანათლებულესობავ!

„შემოველ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენის შვილის სახელით თქვენი უგანათლებულესობა ჰმართავს, ჩემს მოვალეობადა ვრაცხ გავუწყოთ განზრახვანი ჩემის უავგუსტოესის მბრძანებელის სულთანისა და დიდთა სახელმწიფოთა, მისთა მოკავშირეთა.

„აწინდელი ომი, როგორც თქვენს უგანათლებულესობას მოეხსენება, დაწყებულია იმ სამართლიანის განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ და ბოლო მოვუღოთ რუსეთის იმპერატორის სურვილს სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობისას.

„აი სწორედ ამ აზრით გახლავართ აქ; თანა მყავს იმდენი ჯარი, რომელიც, შეწევნითა ღვთისათა და იმის წყალობით, რომ საქმე, რომლისათვისაც ვიბრძვით, წმინდაა, სრულად საკმაო იქნება განვდევნოთ მტერი ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი უგანათლებულესობა მეფობს; მაგრამ, შემოველ სამეგრელოში თუ არა, მონდობილი მაქვს დავარწმუნო თქვენი უგანათლებულესობა, რომ ჩემს უავგუსტოესს ხელმწიფეს და მის მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს სრულებით არა სურთ შეეხნენ სამეგრელოს მართვა-გამგეობას ან რამე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაში.

„ამათ მხოლოდ ისა სურთ, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი იყვნენ და რომ თავიანთი საკუთარნი მთავრობანი თავისუფლად ჰმართავდენ.

„ჩემმა ჯარმა, სამეგრელოში შემოსვლისას, დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთს ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი გაუნებებიათ თავის სახლკარისა და ქონებისათვის, რომელიც, თანახმად საერთაშორისო კანონებისა, ნადავლად უნდა ჩაითვალოს.

laissant leurs maisons et leurs biens, qui, selon les droits des nations, pourraient être considérés comme prises de guerre.

„C'est avec regret que j'ai vu, que quelques étrangers des provinces voisines ont suivi l'armée et commencé à piller et à faire sentir aux paysans les horreurs de la guerre.

„Pour diminuer autant que possible les souffrances de ces pauvres gens, j'ai fait de mon mieux pour renvoyer ces étrangers dans leurs provinces et par des punitions sévères j'ai empêché mes soldats de piller. Déjà une partie de la population, reprenant la confiance, est retournée à ses foyers. Mais pour achever ce travail humain, j'invite Vorte Altesse de retourner à son palais et de continuer le gouvernement du pays et ainsi de le tranquiliser et de rassurer la population sur les intentions de mon souverain et sur l'objet de son armée, qui est de combattre les Russes et de rétablir l'indépendance complète de la Mingrélie sur son ancien système de gouvernement.

„En attendant l'arrivée de Vorte Altesse, j'accepte comme gérant à sa place le prince Nico, qu'elle a envoyé à Zougdidi; mais je l'invite dans l'intérêt de son fils et de ses sujets de se porter elle-même aussitôt qu'elle pourra à son palais à Zougdidi, pour reprendre elle-même le timon de l'État.

Agréez, Altesse, l'assurance de ma très haute considération

Le généralissime de l'armée Ottomane Omer".

„ძალიან მეწყინა, როცა დავინახე, რომ ჯარს სხვა, სამეზობლო ქვეყნების, მკვიდრნი გაჰყვნენ, და მკვიდრთ რბევა დაუწყეს და აგრძნობინეს, თუ რა საშინელებაა ომიანობა.

„მე მწადია, რამდენადაც კი შეიძლება, ტანჯვა შევუმცირო ამ საწყალ ხალხს, ამიტომ ვიღონისძიე, ეს უცხოელნი თავთავიანთს ქვეყნებში გამეგზავნა, ხოლო ჩემი ჯარის-კაცები სასტიკად დავსაჯე და ამით დავუშალე მკვიდრთა რბევა-აწიოკება. ერთი ნაწილი მკვიდრთა, რაკი გული დააჯერეს, არაფერი დაგვემართებაო, უკვე დაუბრუნდა თავისს სახლის კერას. მაგრამ ამ კაცთმოყვარულის საქმის დასასრულებლად, ვთხოვ თქვენს უგანათლებულესობას დაბრუნდეს თავის სასახლეში, განაგრძოს თავის ქვეყნის მართვა-გამგეობა, და, ამ გვარად, დაამშვიდოს თვისნი ქვეშევრდომნი და ჩააგონოს, თუ რა სწადია ჩემს ხელმწიფეს; აუხსნას ისიცა, თუ რა აზრით არის აქ მოსული ჯარი: სახელდობრ, უთხრას ისა, რომ ჯარი აქ რუსებს უნდა ებრძოლთს, და აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსი და დაუბრუნოს ძველებური მართვა-გამგეობა.

„სანამ თქვენი უგანათლებულესობა მობრძანდებოდეს, თქვენს მაგივრად სამეგრელოს მმართველად გამომიცხადებია ბატონიშვილი ნიკო, რომელიც ზუგდიდში გამოგზავნეთ; მაგრამ გთხოვთ, თუ თქვენის შვილისა და თქვენთა ქვეშევრდომთა სიკეთე გსურთ, როგორც კი მოიცალოთ, მობრძანდეთ თქვენს სასახლეში ზუგდიდს, რომ თქვენ თვითონ ჩაიბაროთ სამეგრელოს მართვა-გამგეობა.

დავშთები თქვენის უგანათლებულესობის უაღრესი პატივისმცემელი, ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი ომერი.

ამ გვარად, როცა, ერთის მხრით, მუხრან-ბატონი სწერდა დედოფალს, სამეგრელო დასტოვეთო, მეორეს მხრით, ხალხის წარმომადგენელნი სულ სხვას ეუბნებოდენ დედოფალს, და როცა დედოფალი უკანასკნელთა რჩევას დაჰყვა, გამოჩნდა მესამე პირი, და ეს პირი სამეგრელოში იმ წუთას ყველაზე ძლიერი იყო. ომერ-ფაშას ეგონა, რასაც ვთხოვ დედოფალს, ყველაფერში მართალი ვარ, ჩემი თხოვნა კანონიერიაო. მაგრამ იმის თხოვნის ასრულება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ყოველსავე შემთხვევაში, დედოფალს კარგად უნდა ეფიქრნა — ამ წერილზე პასუხი უნდა გაეცა, თუ არა. რაკი თვითონ ვერაფერი გადაეწყვიტნა, ეკატერინემ ომერ-ფაშის წერილი ტფილისში თავადს ბებუთოვს გაუგზავნა, ხოლო ამ წერილის პირი ქუთაისში გაუგზავნა თავის ძველს მეგობარს, პოლკოვნიკს ნ. პ. კოლიუბაკინს, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს. ბებუთოვს დარიგებასა სთხოვდა ეკატერინე, ხოლო კოლიუბიაკინს—რჩევას. მეორე დღეს კოლიუბიაკინისაგან დედოფალს წერილი მოუვიდა. წერილთან ერთად პოლკოვნიკი უგზავნიდა პასუხის პროექტს და ურჩევდა—ომერ-ფაშას გაუგზავნეო. აი, ის პროექტიცა:

Excellence! *)

„La politesse me fait un devoir de répondre à la lettre que vous avez crue nécessaire de m'adresser.

„Je serai aussi brève et explicite que les circonstances l'exigent.

„Vous arrivez, mon général, en Mingrélie pour la rendre indépendante de la Russie et c'est juste le contraire de ce que je désire et de ce que je regarde comme utile à mon pays.

---

*) თარგმანი:

„თქვენო აღმატებულესობავ!

„ზრდილობა მავალებს გიპასუხოთ იმ წერილზე, რომლის გამოგზავნა ჩემთან საჭიროდ დაგინახავსთ.

„ვეცდები იმდენად სხარტად და ნათლად გამოვხატო ჩემი აზრი, რამდენადაც ამას გარემოება მოითხოვს.

„თქვენ, გენერალო, სამეგრელოში იმ განზრახვით მობრძანებულხართ, რომ ეს ბხარე რუსეთისაგან განათავისუფლოთ; მე კი. სწორე მოგახსენოთ, სულ სხვა მსურს, და, ჩემის აზრით, ჩემს ქვეყანასაც სულ სხვა სჭირია.

„გარდა ამისა, სამეგრელოს თუ ვინმე მფარველი არა ჰყავს, ისე თავისთავად არსებობა არ შეუძლია. ამის მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და, უეჭველია, ეს მიზეზები არც თქვენ გამოგეპარებოდათ; რაკი დამოუკიდებელი ვიქნებოდი, აუცილებლად საჭირო გახდებოდა ჩემთვის მფარველობა მეთხოვნა სამ სახელმწიფოთაგანში ერთ-ერთისათვის. ახლა მოგახსენებთ, რისთვის არა მსურს არცერთის მფარველობა.

„D'ailleurs, la Mingrélie ne pouvant pas vivre sans protection pour des causes qu'il serait trop long d'énumérer et qui n'ont pas pu échapper à votre discernement, je me trouverais dans la nécessité d'accepter celle d'une des trois puissances alliées, et je vais vous dire pourquoi aucune de ces protections ne me parait désirable.

„La Turquie ne peut songer à protéger les autres, se faisant protéger elle même et, faut il l'avouer, à ne pas inspirer envie.

„On ne saurait se placer sérieusement sous la protection du gouvernement français, d'un gouvernement de circonstance et qui peut du jour au lendemain cesser d'être.

„Vous même, général, ne me conseillerez pas de me mettre sous celle de l'Angleterre, car vous savez parfaitement que tous les peuples, qui ont passé sous sa tutelle: Indiens, Chinois, Ioniens, sont devenus ou esclaves, ou stupides, ou malheureux.

„Enfin je ne dirai pas vouloir accepter la protection collective des trois puissances, afin de ne pas vous faire trop rire à mes dépens.

„Là-dessus, mon général, veuillez accepter le témoignage des sentiments qui vous sont dus".

მართალია, წერილი მახვილგონიერად, მოკლედ და რიხიანად იყო დაწერილი, მაგრამ დედოფალი მაინც ვერა ჰბედავდა მისს გაგზავნას. ეშინოდა, ვაი თუ გავაბრაზო ომერ-ფაშა, უფროსი მტრის ჯარისაო. ჩემის ქვეყნის ბატონი ამ დროებით მაინც ის არისო; ამ

„ოსმალეთი ფიქრადაც კი ვერ გაიტარებს სხვა დაიფაროს, ამიტომ რომ თვითონ მას სხვა პატრონობს, და, უნდა გამოგიტყდეთ, არც სახარბიელო პატრონი ჰყავს.

„აბა რა ანგარიშია, საფრანგეთსა სთხოვოს კაცმა მიპატრონეო, როცა თვითონ საფრანგეთი შემთხვევითი სახელმწიფოა და, დღეს არა, ხვალ ბოლო მოეღება.

„თქვენ თვითონ არ მირჩევდით, გენერალო, ინგლისისათვის მეთხოვნა მფარველობა, რადგან თავად კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველა ხალხნი, ვისაც კი ინგლისი გამოუჩნდა მზრუნველად: ინდოელნი, ჩინელნი, იონიელნი—ან მონებად იქცნენ, ან დამახინჯდენ გონებით, ან გაჩენის დღის მაწყევარნი არიან.

„ბოლოს, არც იმას მოგახსენებთ, რომ სამისავე სახელმწიფოს მფარველობა ერთად მინდოდეს, რათა საბუთი არ მოგცეთ დაცინვისა.

„დასასრულ, გენერალო, გთხოვთ მიიღოთ რწმუნება იმ გრძნობათა, რომელნიც თქვენა შეგშვენიან".

წერილის გაგზავნას სიჩუმე არჩია და მეორე დღეს ბავშვები ლეჩ-ხუმში გაგზავნა. თვითონ კი რამდენისამე დღით გორდში დარჩა, რათა საჭირო განკარგულებანი მოეხდინა ხაზინისა და ძვირფას ნივ-თეულობის გაგზავნის შესახებ გორდშივე.

გელოვანი მართალი იყო: ლეჩხუმში ისე შეიძლებოდა თავის დამალვა, რომ არავის შესძლებოდა ნახვა დამალულისა. ეს მთა-ადგილი მეტად ველურისა და მიუდგომელის ხასიათისაა, გზების წილ ვიწრო საცალფეხო ბილიკებია ხრამებისა და ღრანტეების თავ-ზე, ყოველს ნაბიჯზე მთის ნაკადულებია. ეს ნაკადულები გზა-გზა ჩახრიალებად იქცევა; ხიდების მაგივრად ჰაერში დაკიდული ვაზის ბონდებია; ბონდებს ქვეშ აქაფებული და გაალმასებული მდინარე-ნი მიაგორებენ თვის ტალღებსა, და გამვლელი, ასეთს ალაგას და-კიდულ ბონდზე შემდგარი, სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძვის. გორდი-დან ორის საათის სიარულს შემდეგ კუთხის მთიდან ცხენის-წყლის ხეობის დაღმართი იწყება: აქ მხოლოდ კლდეში გამოჭრილი ვიწრო ბილიკია, სადაც მხოლოდ თითო კაცს შეუძლიან გავლა და ისიც დიდის გაჭირვებით. ამ ნაირი ბეწვის-ხიდი, სულ უკანასკნელი, სა-მასის მხარის მანძილზე იქმნება. მაგრამ მთიელთა ცხენები და, გან-საკუთრებით, ჯორები ამ საშინელ დაღმართშიაც სძლებენ—თავი-ანთი მხედარი უვნებლად გაიყვანონ; მხოლოდ ეს არის, ცხენი იქ-ნება, თუ ჯორი, თავის ნებაზე უნდა მიუშვათ, ხოლო თვითონ ლეჩხუმელები, მათთან მისულ მგზავრის გზის მაჩვენებელნი, ყოველს ნაბიჯზე თავიანთის საქონლის მომხმარენი არიან ხოლმე.

მეორე დღეს საღამო ხანზე, მეტად გაჭირვებულის მგზავრობის შემდეგ, დედოფლის შვილები მურში მივიდენ. აქედან გორდამდე ორმოცი ვერსი კიდევ რჩებოდა და, მაშასადამე, ადვილად მიხვდება კაცი, თუ რა ნელა მიდიოდა ქარავანი. მური სწორედ იმ ვიწრო ხეობაშია, რომელშიაც ცხენის-წყალი სვანეთიდან გამოდის. მთის კალთაზე ხის სახლია გაშენებული, სადაც მთავარი თავისის ოჯახო-ბით მხოლოდ ზაფხულის თვეებში სცხოვრობს. სახლს წინ კარგა მოზრდილი მინდორი უძევს. ამ მინდვრის თავზე, მაღალ კლდეზე, ძველებური კოშკი დგას, რომელშიაც ოთხი-ხუთი ზარბაზანი და საკმაო რიცხვი ზამბულაკებისა აწყვია. საკვირველი ის არის, რომ სხვა ზარბაზნებ შორის აქ ერთი ყველაზე დიდი ზარბაზანია შვედუ-რი; საქმე ის არის, აქ საიდან გაჩნდა ეს ზარბაზანი? ცხენის-წყალზე ქვიტკირის მკვიდრი ხიდია, რადგან ამ ადგილას ეს მდინარე განიე-რი არ არის. მდინარის მეორე მხარეს, მეოთხედი ვერსის მანძილზე, მონასტერია ცაგერისა. ეს მონასტერი ღარიბულია, ერთი ქვიტკი-

რის ეკლესია სდგას და ეკლესიასთან ორი-სამი სახლია აგებული ხისა, სადაც წინამძღვარი და სამი ბერი სცხოვრობენ.

აი, ლეჩხუმის ამ კუთხეში გაიხიზნენ დედოფალი და მისი შვილები. ბავშვები ცაგერის მონასტერში წაიყვანეს და წინამძღვრის სადგომის ორს ოთახში დააბინავეს, რადგან ეს ოთახები უფრო მოწყობილი იყო საზამთრო საცხოვრებლად, თუმცა სარკმელებში შუშის მაგივრად ქაღალდი იყო გაკრული; ხოლო დედოფლისათვის მურის ფიცრულს სახლს ამზადებდენ. მართალია, მური მეტად მიყრუებულ ადგილას იყო, აქ მცხოვრებს ბევრი რამ ნაკლებულება უნდა გამოეცადნა, მაგრამ დარი საუცხოვო იდგა და ეს გარემოება ადამიანს ყველაფერს ავიწყებინებდა. გარდა ამისა, სანუგეშო ისიც იყო, რომ მურიდინ რაჭაზე, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაინც შეიძლებოდა ქუთაისში ჩასვლა, ხოლო რამდენისამე საათის სავალზე ებრაელების დაბა ლაილაში იყო, საიდანაც ზოგი რამ საჭირო საქონლისა და სურსათის მოტანა შეიძლებოდა.

ერთს კვირას უკან მურში თვით დედოფალიც მობრძანდა. წინა დღეების ფაცა-ფუცისაგან დაღლილს იმედი ჰქონდა, რომ ამ შორეულ კუთხეში მაინც არავინ შემაწუხებსო, მაგრამ სცდებოდა,— დედოფალი არ ავიწყდებოდა ოსმალების მთავარ-სარდალს, და სამმა დღემ რომ გაიარა აქ დაბინავების შემდეგ, ომერ-ფაშისაგან შემდეგი წერილი მიიღო:

Au quartier général, le 9 (21) novembre 1855 *)

Altesse!

„J'ai eu l'honneur d'adresser à Votre Altesse une lettre en date le 31 octobre (11 novembre) pour l'informer des intentions de mon auguste maître, le sultan, et des hautes puissances, ses alliées, en envoyant l'armée qui se trouve sous mon commandement, dans la province de la Mingrélie.

---

*) თარგმანი:

„მთავარი ბანაკი, 9 (21) ნოემბერს 1855 წ.

თქვენო უგანათლებულესობავ!

„მე პატივი მქონდა მეახლებინა თქვენის უგანათლებულებისათვის წერილი, 30 ოქტომბრის (11 ნოემბრის) თარიღით დაწერილი, რათა მეუწყებინა თქვენთვის განზრახვანი ჩემის უავგუსტოესის ხელმწიფის სულთანისა და მის მოკავშირე დიდთა სახელმწიფოთა, რომელთაც ჩემის წინამძღვრობით ჯარი გამოგზავნეს სამეგრელოს პროვინციაში.

„იმ წერილში მე ვარწმუნებდი თქვენს უგანათლებულესობას, რომ ჩემს ხელმწიფეს და მისთა დიდთა მოკავშირეთა არავითარი პატივმოყვარული აზრი არა აქვთ, მხოლოდ სურთ სამეგრელო და მისი სამეზობლო პროვინციები რუსე-

„J'ai assuré à Votre Altesse que mon souverain et les hautes puissances, ses alliées, n'avaient aucun objet d'ambition, mais qu'ils désiraient voir la Mingrélie et les provinces voisines d'elle, entièrement indépendantes de la Russie et de toute autre puissance et libres sous leurs propres gouvernements.

„Je prends cette occasion de répéter ces déclarations et en même temps de renouveler l'invitation, que j'ai faite à Votre Altesse de se porter à Zougdidi avec son fils, le prince héréditaire, pour y continuer le gouvernement du pays sous sa régence.

„N'ayant reçu aucune réponse à l'invitation que j'ai faite à Votre Altesse en date le 31 octobre, je crois de mon devoir de faire savoir à Votre Altesse ce qui peut résulter d'une prolongation de son absence du siège de son gouvernement.

„Le peuple de la Mingrélie reprend la confiance, mais il leur manque un chef, qui, dans les circonstances actuelles de l'occupation entière de leur pays par mes troupes, peut le gouverner et par ses conseils le guider dans les événements qui se passent alentour de lui.

„Si Votre Altesse ne revient pas pour prendre cette place qu'elle a remplie comme régente au nom de son fils, par son absence elle augmentera les souffrances et les difficultés de ses peuples, elle négligera les intérêts de son fils et par l'acte même elle renoncera pour toujours et pour son fils à tout droit sur la principauté de la Mingrélie, et mon auguste maître, le sultan, et ses alliées se trouveront dans la nécessité, qu'ils veulent plutôt éviter, d'établir un gouvernement permanent, mais en même temps indépendant dans la Mingrélie, qui aura plus de considération pour les intérêts du pays et du peuple.

„Agréez, Altesse, l'assurance de ma très haute considération.

Le généralissime de l'armée impériale Ottomane, signé:

Omer".

თისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ და თავიანთი საკუთარი მართვა-გაჰგეობა ჰქონდესთ-მეთქი.

„ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ ისევ გაგიმეოროთ ჩემი ნათქვამი და იმავე დროს ხელახლა მოგიწვიოთ თქვენი უგანათლებულესობა თქვენის შემკვიდრე შვილითურთ ზუგდიდში, რათა აქ განაგრძოთ მართვა-გამგეობა თქვენის ქვეყნისა თქვენის შვილის სახელით.

„რაკი ჩემს, 30 ოქტომბერს მოწერილ წერილზე პასუხი არავითარი მაქვს თქვენის უგანათლებულებისაგან, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო თქვენს უგანათლებულესობას, თუ რა შედეგი მოჰყვება თქვენს დაგვიანებას და დაუბრუნებლობას თქვენის სამთავროს დედა-ქალაქში.

„სამეგრელოს მკვიდრნი თანდათან მშვიდდებიან, მაგრამ აკლიათ მოთავე, რომელმაც ამ დროს, როცა მთელი მხარე ჩემს ჯარს აქვს დაპყრობილი, ჰმართოს იგი და თავის რჩევა-დარიგებით უწინამძღვროს იმ ამბების დროს, მის გარშემო რომ ხდება.

მეორე წერილის მუქარის კილომ მეტად შეაშინა დედოფალი, მით უფრო, რომ თავად ბებუთოვისაგან ჯერ კიდევ არა ჰქონდა მიღებული წერილი და დარიგება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ეს წერილიც მაშინათვე თავადს ბებუთოვს გაუგზავნა დედოფალმა. ამასობაში, ქვემო-სამეგრელოდან მეტად სამწუხარო ამბები მოდიოდა.

სამეგრელოს მოსაზღვრე სამურზაყანო ოსმალების საფაშალიყოდ გადაიქცა და ფაშად დანიშნულ იქმნა რუსეთის მხედრობის გენერალ-ლეიტენანტი კაცი მარღანია, რომელიც ოსმალების მხარეს გადავიდა. კაცი მარღანიას დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა აფხაზეთსა, წებელში და საერთოდ მთიელებს შორის; ამან სამურზაყანოელებს თავი მოუყარა ინგურის ნაპირას, სოფ. ჭუბურხინჯში, და გამოუცხადა, ამიერიდან ოსმალეთის ქვეშევრდომებად ირიცხებით და ვალდებულნი ხართ თითოეულმა სოფელმა თითო ძროხა იხადოთ და ოსმალების ბანაკში მოიყვანოთ ჯარისათვისო. როგორც სხვა თავადები სამურზაყანოსი, კაცი მარღანია აფხაზეთის მთავრის გავლენას ქვეშ იყო. ხოლო მთავარმა მეგობრული განწყობილება დაიჭირა ომერ-ფაშასთან, ეს უკანასკნელი სოხუმში მოვიდა თუ არა. აფხაზეთის მთავრის მიხეილ (ჰამუთბეი) შარვაშიძის მომხრენი გულმოდგინედ ცდილობდენ სამეგრელოს მკვიდრნი ოსმალეთის მხარეზე გადაეყვანათ. ამასობაში, ომერ-ფაშის ჯარი ზუგდიდიდან ონტოფოში მივიდა და ხალხი მეტად შეაწუხა ამ მისმა გავლამ. ჯარს უკან კუდად მისდევდნენ აფხაზები, წებელდელნი, უბიხები და ყველა ვინგინდა-რა, რომელნიც სოფლებს მოედვნენ, დაუწყეს რბევა-წიოკება მკვიდრთ, ქალები და ყმაწვილები ტყვედ მიჰყავდათ; ამისთანა უბედურება სამეგრელოს ას-ორმოც-და-ათის წლის წინად-ღა დაატყდა თავზე. მაროალია, ომერ-ფაშა, რაც შეეძლო, ცდილობდა

„თუ თქვენი უგანათლებულესობა არ დაბრუნდება და ისევ არ ჩაიბარებს იმ ადგილს, რომელიც თქვენ გეჭირათ, როგორც სამეგრელოს მმართველს, თქვენის შვილის სახელით, თქვენის აქ არყოფნით უფრო გაუმწვავებთ ყოფნას თქვენთა ქვეშევრდომთა; ამით თქვენ დაივიწყებთ თქვენის შვილის ინტერესებს და საუკუნოდ დაჰკარგავთ თქვენა და თქვენი შვილი რაიმე უფლება გქონდეთ სამეგრელოს შესახებ, მაშინ ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფე სულთანი და მისნი მოკავშირენი იძულებულნი გახდებიან, რაიცა მათ სრულიად არა სურთ, სამეგრელოში დააწესონ მკვიდრი და თან არავისაგან დამოუკიდებელი მთავრობა, რომელსაც ამ მხარის და ხალხის ინტერესები უფრო აწუხებდეს იქნება.

მიიღეთ რწმუნება ჩემის უუდიდესის პატივისცემისა.

მთავარ-სარდალი ოსმალეთის სახელმწიფო მხედრობისა

ომერი“.

ხალხისათვის ეს უბედურება თავიდან აეცილებინა; ვისაც რბევაზე მიუსწრებდენ, უცბად ასამართლებდენ და ტყვიითა ხვრეტდენ, ან ტომარაში ჩააგდებდენ და წყალში ახრჩობდენ; მაგრამ ალაგობრივ უფროსი და ხალხის პატრონი არავინ იყო და ომერ-ფაშასაც არ შეეძლო ყველასათვის თვალყური ედევნებინა და ამიტომ მთელმა სოფლებმა სახლ-კარს თავი დაანებეს, ტყესა და მთებში გაიხიზნენ და რაც მოხვდებოდათ, იმით იკვებებოდენ.

რბევა-წიოკობის დროს, სხვათა შორის, მოასწრეს ორს ძმა-აფხაზს თავად გიტა და მაჟარა შარვაშიძეს და ომერ-ფაშას მიჰ-გვარეს. მათმა დედამ, კნეინა კესარიამ, ეს ამბავი გაიგო თუ არა, მიუხედავად მოხუცებულობისა, ლეჩხუმის ჯოჯოხეთურ გზებით დე-დოფალთან მივიდა მურში, მუხლებზე მოეხვია და სთხოვა, ომერ-ფაშას შეაბრალე ჩემი შვილებიო. დედოფალმა რის ტანჯვით და-აჯერა კესარია, მე ამ შემთხვევაში არაფერი შემიძლიაო. და რომ როგორმე ენუგეშებინათ, ომერ-ფაშასთან ფრანგულად თხოვნა დაუ-წერეს და ურჩიეს თქვენ თვითონ წაბრძანდით და პირადად სთხო-ვეთ ომერ-ფაშას შვილების შებრალებაო. ომერ-ფაშამ კნეინა კესა-რია დიდის პატივით მიიღო, ძვირფასი შალი აჩუქა, შვილებიც ჩა-აბარა და პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, სანამ ომი არ გათავდება, თქვენ არ უნდა მოიშოროთ თქვენი შვილებიო.

ომერ-ფაშა ასეთის ქცევით და, საზოგადოდ, თავად-აზნაუ-რობის მოფერებით ცდილობდა მცხოვრებთა გული მოეგო, ბევრს მათგანს რჩევა-დარიგებასა სთხოვდა, მაგრამ მასთან, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მთავრის მომხრეთა გარდა, ვინც მოდიოდა, ყველანი თავისს პირადს ინტერესს ეძიებდენ და ცდილობდენ ომერ-ფაშა თავის გემოზე ეტარებინათ. ერთი ამ გვართაგანი იყო თავადი გიორგი ჩიჩუა, რომელსაც თავისის წარსულის ცხოვრებით სახელი გატეხილი ჰქონდა. თავადი ჩიჩუა ტფილისში ვექილად იყო სამეგრე-ლოის მთავრისა, აქ მეგრელების გუნდი შეადგინა და მთელი ქა-ლაქი ქურდობით აიკლო; მაგრამ პოლიციამ გაუგო, ქურდები დაი-ჭირა, და ჩიჩუა კი იძულებული შეიქნა აქედან გაქცეულიყო; როცა ომერ-ფაშა სოხუმში ამოვიდა, ჩიჩუა მივიდა პირდაპირ, რა-ღაც მიკიბ-მოკიბა და თავისი თავი წამებულ კაცად დასახა. ომერ-ფაშას მისი ნათქვამი მართალი ეჩვენა და გ. ჩიჩუა, რომელიც წარ-მოსადეგი ვაჟკაცი იყო, ძალიან მოწყალედ მიიღო, მეჯიდიეს ორ-დენი და ბეის ტიტული უბოძა.

ზუგდიდიდან აყრის დროს გ. ჩიჩუამ პირადის მტრობით ომერ-ფაშას ორი რუსის მზვერავი იუნკერი მესხიშვილი და მილი-

ციის პორუჩიკი ზარანოვი დააჭერინა და დაახვრეტინა. მაგრამ თავადს ჩიჩუას დიდხანს არ უღიმოდა ბედი. ომერ-ფაშასთან გრაფ ჟანტი დე-როზმურდუკის მისვლა და გ. ჩიჩუას გაგდება ერთი იყო. ეს ფრანგი სამეგრელოში სცხოვრობდა და აბრეშუმის სახვევი ქარხანა ჰქონდა ზუგდიდში. ომმა ხელი შეუშალა, თავისი ქარხანა დაჰკეტა და ხუთას თუმნამდე ზარალი მოუვიდა. ომის დაწყებამდე, როგორც სხვა უცხო-ქვეყნელებს, გრაფ როზმურდუსკაც წინადადება მისცეს: ან ომის გათავებამდე სამშობლოში დაბრუნდით, ან, თუ გნებავთ, სამეგრელოში დარჩით რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე, მაგრამ ომში მონაწილეობა არ მიიღოთო. როზმურდუკი სამეგრელოში დარჩა, ხელწერილი ჩამოართვეს, მაგრამ ომერ-ფაშა შემოვიდა თუ არა, მის ბანაკისაკენ გასწია. რა თქმა უნდა, ასეთის კაცის ნახვა ომერ-ფაშას ძალიან გაეხარდა, ამიტომ რომ როზმურდუკი მშვენივრად იცნობდა ამ მხარეს და მისთა მკვიდრთა, მთავრის ოჯახობიდან მოყოლებული, და მეგრულადაც ლაპარაკობდა. და აი სწორედ როზმურდუკმა აუხილა თვალები ომერ-ფაშას თავად გიორგი ჩიჩუას შესახებ. ჩიჩუაც, რასაკვირველია, მაშინათვე დათხოვნილ იქმნა. ტიტულებითა და ორდენებით რამდენიმე თავადიშვილი იყო დაჯილდოვებული, ამათს შორის ყველაზე უფრო ომერ-ფაშა გიორგი ჯაიანს ეფერებოდა, რადგან მისის ქალის შერთვა უნდოდა ცოლად, მაგრამ ამავე დროს ხასა გაიჩინა, რომელიც 3,000 მანეთად იყიდა; ეს ქალი მთელის ლაშქრობის დროს თან დაჰყავდა და შემდეგ ქობულეთის მუდირს მიათხოვა და კარგი მზითებიც მისცა.

ომერ-ფაშისა და თურქების მოქმედების ამბავი დაწვრილებით მოსდიოდა დედოფალს, ამასთან ერთად ყოველ-დღე ახალ-ახალ ჭორები ესმოდა. მეტად უხერხული ფერი ედებოდა მისს მდგომარეობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტად არასასიამოვნო ხმა მოვიდა. აი მითქმა-მოთქმის შინაარსი: ,,ნეტავ ვიცოდეთ, ომერ-ფაშის თხოვნას რატომ არ ასრულებს დედოფალი და რატომ არ მიდის მასთან; ლეჩხუმში რა დარჩენია? რუსის ჯარი სამეგრელოდან გავიდა და ჩვენის დაცვისათვის არც კი ჰფიქრობს; მაშასადმე, ჩვენსა და რუსებს შორის დადებული პირობა თვითონ რუსებმავე დაარღვიეს. ომერ-ფაშას იმდენი ჰყავს ჯარი, რომ რუსეთი ვერაფერს გაუბედავს და სამეგრელოს თავის დღეში ვერ დაიბრუნებს; სარდალი გვეუბნება, ახლა უკეთესად იქნებით, ვიდრე რუსების ხელში იყავითო; ბატონი არავინ გეყოლებათ და ფრანგები და ინგლისელები დაგიფარავენ მტრისაგანაო. აქ ევროპის ვაჭრები დაიწ-

ყებენ სიარულს. აქაურს საქონელს გაგვისაღებენ და ბევრს ფულს შემოიტანენ ჩვენს მხარეშიო. დედოფალს კი რაღაც იმედი აქვს რუსებისა; აბა ახლა რაღა შეუძლიათ რუსებსა: ყარსიც კი ვერ აუღიათ, რამდენიმე ათასი კაცი შეაკლეს ამ ციხესა. დროა, გონს ჩავარდეს და ზუგდიდში წავიდეს. ჩვენთვისაც უკეთესი იქნებოდადა იმისათვისაცო".

სულ სხვას ამბობდენ ქუთაისსა და რუსის ბანაკში, და ეს ხმებიც მოდიოდა მურში, საცა დედოფალი იმყოფებოდა. აქ ყველანი დაბეჯითებით ამბობდენ, დედოფალმა პირდაპირ გამართა მიწერ-მოწერა ომერ-ფაშასთან და მოლაპარაკება აქვთ—სამეგრელო რუსეთს ჩამოაცალონო. ამბობდენ, დედოფლის მდივანბეგი და დაახლოვებულნი მისის სახელით ხალხს ურჩევენ ოსმალების მორჩილებასაო; დედოფალი სრულებით დამოუკიდებლად იქცევა, თითქო სამეგრელოში არც კი იყოს მტრის ჯარი, რომელიც ყველაფერში ხელს უმართავსო.

და ყოველსავე ამას სწორედ მაშინ ლაპარაკობდენ, როცა ომერ-ფაშა ამაოდ ცდილობდა თავისის მუქარით დაეშინებინა დედოფალი და სთხოვდა: სამეგრელოში საშინაო წესი და მმართველობა აღმადგენინეო. ვინც უნდა კერძო კაცი მისულიყო სარდალთან, მაშინათვე იტყოდენ, დედოფლის მიგზავნილია და ჩუმ-ჩუმად რაღასაც ახერხებსო. ამ დროს სამეგრელოში სცხოვრობდა მეორე ცოლი აფხაზეთის მთავრის, თავადის მიხეილ შარვაშიძისა, კნეინა მენიკი დადიანის ასული. როგორც კი გაიგო, ომერ-ფაშამ სამეგრელო დაიჭირაო, თავისი ხელით აბრეშუმის ძაფით მოქარგული ბალიში გაუგზავნა საჩუქრად. განზრახვა მარტო ის იყო, რომ ოსმალების სარდალს გაეგო, აი რა დიდი ვინმე გვამი სცხოვრობს სამეგრელოშიო. ამ საქციელსაც კუდი გამოაბეს და ამბობდენ, დედოფალმა, როგორც ნათესავმა, ურჩია მენიკს საჩუქრის გაგზავნაო; მაგრამ, ამავე დროს, ავიწყდებოდათ, რომ მურიდან სკურდუმდე, სადაც კნეინა შარვაშიძე სცხოვრობდა, თითქმის ასის ვერსის მანძილი იყო და ფიზიკურად შეუძლებელი იყო ერთმანეთი ენახნათ ამ დროს დედოფალსა და მენიკს. ყველა ისე აყაყანდა, დედოფალმა რუსეთს უღალატაო, რომ ამ ამბის ავტორმა, რუსის მოხელემ, დედოფალთან მყოფმა, ქუთაისიდან შემდეგი ბარათი მიიღო, ფანქრით გერმანულად დაწერილი: „Ich schreibe Ihnen im Deutschen, weil keiner wird verstehen, was ich sage: lassen Sie Alles und kommen Sie hier. Sie müssen dort nicht länger bleiben. Ich sage Nichts mehr *)".

---

*) „გერმანულადა გწერთ, ამიტომ რომ ვერავინ გაიგებს, რასაც გეტყვით: ყველაფერს თავი დაანებეთ და აქეთ წამოდით. თქვენ არ უნდა დარჩეთ იქ. ამის მეტს არაფერს გეტყვით".

დედოფალი სულით და გულით რუსის მომხრე იყო და ამ უგვან ცილისწამებას ზიზღით უყურებდა. ძალიან იმაგრებდა გულს და ხანდისხან მაინც წამოადგებოდა თვალებზე სიბრაზის ცრემლები. მაინც თავს ძალას ატანდა, ისმენდა, ითმენდა და თავს ისე აჩვენებდა ყველას, თითქო არაფერი ესმის და ვერაფერს ამჩნევსო. მის ერთად-ერთს ნუგეშს—შვილები შეადგენდენ, რომლებიც, საბედნიეროდ, სიმრთელით კარგად იყვნენ და დარდი მათს ჩჩვილს გულს არ ეკარებოდა.

გიორგობისთვის ოცს, იმდენის ხნის მოუთმენლად ლოდინს შემდეგ, როგორც იყო, მოვიდა თავადის ვასილ ბებუთოვის პასუხი. ამ პასუხს იმიტომ დაუგვიანდა, რომ ბებუთოვს არ უნდოდა თვითონ გარეულიყო დედოფლის საქმეთა გადაწყვეტაში და დედოფლის წერილები ყარსში გაუგზავნა ნიკ. მურავიოვს. ამბობენ, რომ როცა მურავიოვმა ომერ-ფაშის პირველი წერილი წაიკითხა და იქიდან გაიგო, რომ მთავრის შვილი ნიკო ზუგდიდშია და ომერ-ფაშა „gérant à la place de la princesse"-ს (დედოფლის მაგივრად თავის ქვეყნის მმართველი) ეძახისო, თავზე ხელი იტაცა და წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, რა უქნია ამ ადამიანს? თავისი შვილი ომერ-ფაშასთან გაუგზავნია"! მურავიოვს ეგონა, რომ ნიკო, რომელსაც ომერ-ფაშა იხსენიებს თავის წერილში, მცირეწლოვანი მთავარია სამეგრელოსიო. ამ ამბავმა ძალიან აღაშფოთა, და სანამდე ბებუთოვისაგან ხელახლა არ მიიღო წერილი და ყველაფერი ნამდვილად არ გაიგო, არ დამშვიდებულა.

ასე იყო, თუ ისე, ბებუთოვმაც იგივე მოსწერა, რაც მუხრანბატონმა, — შვილები წამოიყვანეთ სამეგრელოდან და ტფილისში წამობრძანდითო.

ამის ასრულება ახლა უფრო უმძიმდა დედოფალს. ახლა მარტო იმერეთით შეეძლო დედოფალს გადასვლა, რადგან თურქები აქეთკენ ჯერ არ იყვნენ. მაგრამ ჯერ ერთი, გზა მთებზე გადადიოდა, მეორეც ისა, რომ მთები თოვლით დაიფარა და უბავშვებოდაც სჭირდა გადასვლა. თავადები უარზე იდგნენ, მცირეწლოვან მთავარს აქედან არ გავუშვებთო: „ჩვენ სრულებით არ გვინდა ომერ-ფაშის დაყენებული მთავარიო". ხოლო ომერ-ფაშა გაიგებდა თუ არა, დედოფალი თავის შვილებითურთ აქედან წავიდაო, მაშინათვე სხვას აღიარებდა სამეგრელოს მთავრად. ბებუთოვისათვის ადვილი იყო რჩევა მიეცა დედოფალისათვის, მაგრამ, ვიმეორებთ, ამ რჩევის ასრულება იყო ძნელი.

თუ არა და, მთავარმართებლის სურვილის აუსრულებლობაც არ შეიძლებოდა. ეს ურჩობა იქნებოდა დედოფლის მხრივ და იძულებული გახდებოდა პასუხი ეგო. ამ ორჭოფ მდგომარეობაში დიდხანს დარჩენაც არ შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ის იყო—რომელ გზას დასდგომოდა, რომელი აერჩია? სხვა სხვის ომში ბრძენიაო, უთქვამს ხალხს. მეტად აღელვებული იყო დედოფალი, ღონეს, ის-ის იყო, უნდა ემტყუვნა... მაგრამ ერთბაშად ისეთი ამბავი მოვიდა, რომ დედოფალი სამშვიდობოს გზას დაადგა...

თავ. ვას. ოსიპ. ბეგუთოვი
მეფისნაცვლის თანამდებობის აღმსრულებელი

როგორც ახლა მახსოვს, გიორგობისთვის 22 მე და ბავშვები ცაგერის მონასტრის წინ ვისხედით და რაღასაც ვუამბობდი. ერთბაშად მურიდან სირბილით მომავალი კაცი დავინახეთ. პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და მითხრა: „დედოფალთან წამობრძანდით, რაც შეიძლება, მალე მობრძანდითო“.

მე საჩქაროდ წავედი და სახლის ზღურბლზე სახე გაბწყინებული დედოფალი მომეგება. ხელში გახსნილი წერილი ეჭირა, მაშინათვე გადმომცა და მითხრა; „წაიკითხეთ და გაიხარეთ! ყარსი მთელის თვისის გარნიზონით დაგვნებდა!“ ამ ამბავს ჩვეულებრივის რიხითა და ლაკონიურად იწერებოდა პოლკოვნიკი ნ. პ. კოლიუბიაკინი.

ორისავ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყარსი რაკი აიღო რუსის ჯარმა, ომერ-ფაშას და მის გალაშქრებას, ჩვენის აზრით, ფრთები უნდა შეჰკვეცოდა. ახლა მურავიოვს ხელები განთავისუფლებული ჰქონდა, შეეძლო ომერ-ფაშას ჯარი შეემუსრნა და, თუ საჭირო შეიქმნებოდა, თავისს ჯარს გაათკეცებდა.

დედოფალს ვთხოვე, ეს სასიხარულო დღე ვიდღესასწაულოთ და მურის ციხიდან ზარბაზნები დავცალოთ-მეთქი. მაშინათვე ბრძანება გასცა დედოფალმა—ზარბაზნები დასცალეთო. შვედურმა ზარბაზანმა იჭექა და ამ ჭექის ხმამ ყველას შეატყობინა—რაღაც სასიხარულო ამბავი მომხდარაო.

კოლიუბიაკინის წერილის მომტანს მახარობელს უნაგირიანი ცხენი და ასი ოქრო ვაჩუქეთ და საუცხოოდაც გავუმასპინძლდით.

ბოლოს, დედოფალი მომიბრუნდა და მითხრა: „ჩემი შვილები თქვენთვის ჩამიბარებია, მე კი ხვალვე ჩვენს ჯართან წავალ და იმათთან დავრჩებიო“.

მეორე დღეს, მართლაც, დედოფალი მურიდან წავიდა. მე და ბავშვები აქ ერთ თვენახევარზე მეტი დავრჩით. საშინელი თოვლი მოვიდა; სამი დღე-ღამე მოდიოდა და გზები ყველგან შეჰკრა. თოვლი იმდენი დასდო, რომ როცა გადაიღო, მსახურნი სანადიროდ წავიდენ. თოვლს მოულოდნელად მოესწრო ნადირისათვის, ასე რომ მათი დაჭერა ადვილი იყო. ცოცხლად მოგვიყვანეს რვა შველი და ერთიც მელა. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით არამც თუ ომერ-ფაშას, არამედ მთელს ქვეყანას.

გორდზე გავლის დროს დედოფალმა გაიგო, რომ სასახლე ზუგდიდში ოსმალების ყაზარმად უქცევიათ და შიგ ბატონობდა ისკანდერ-ფაშა, პოლონელთა მოღალატე, გრაფი ილინსკი, რომელსაც თავის მოვალეობად დაუსახავს დედოფლისათვის შემდეგი წერილი მიეწერნა:

Camp de Zougdidi, le 22 novembre (3 décembre) 1855 *).

Altesse!

„Arrivé à Zougdidi avec des forces suffisantes pour pouvoir défendre la vie et les propriétés des habitants et des étrangers, qui viendraient s'y établir, j'ai l'honneur de faire part à Votre Altesse que j'ai été obligé de mettre des troupes dans son palais. Quant aux effets que Votre Altesse y avez laissés, j'ai fait de mon mieux pour les mettre en lieu sûr.

„Le prince Nico Dguébouadzé, représentant de Votre Altesse, et Pietro Mkhezia m'en sont témoins, que mon seul bût est d'être juste envers les habitants du pays. Tant que le peuple Mingrèle ne nous tire point des coups de fusil, les propriétés et la vie des habitants nous seront sacrées. Mais si, ce que Dieu ne veuille pas, des actes de brigandage et d'assassinat d'un soldat isolé ou égaré se renouvellent, je serai mis dans la nécessité d'une vengeance éclatante.

„En priant Votre Altesse de vouloir bien faire publier dans toute la Mingrélie une proclamation, que le peuple reste dans les villages vaquer à ses affaires, je saisis cette occaison pour mettre aux pieds de Votre Altesse l'assurance du très profond respect avec lequel j'ai l'honneur d'être

de Votre Altesse, Mehmed-Iskender-Iblahil,
général-commandant des guérillas ottomans".

---

*) თარგმანი:

„ბანაკი ზუგდიდთან, 22 ნოემბერს (3 დეკემბერს) 1855 წ.

თქვენო უგანათლებულესობავ!

„ზუგდიდში იმდენი ჯარი მოვიყვანე, რომ სამყოფია დავიცვა სიცოცხლე და ქონება ბაქაურთა მკვიდრთა და აგრეთვე უცხოელთა, რომელნიც აქ დასახლებას მოისურვებენ. პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს უგანათლებულესობას, რომ მე იძულებული გავხდი ჯარი თქვენს სასახლეში დამებინავებინა. რაიცა შეეხება იმ ნივთებს, რომელნიც აქ თქვენს უგანათლებულესობას დაუტოვებია, ყოველივე ზომა ვიხმარე, არაფერი დაიკარგოს.

„თავადი ნიკო დგებუაძე, თქვენის უგანათლებულესობის წარმომადგენელი, და პეტრე მხეიძე იმის მოწმენი არიან: ჩემი აზრი ის გახლავთ, რომ სამართლიანად მოვეპყრა ამ ქვეყნის მკვიდრთა. სანამ მეგრელები თოფს არ გვესვრიან, მათს სიცოცხლეზა და ავლა-დიდებას ხელს არავინ ახლებს. მაგრამ, ღმერთმა კი ნუ ჰქნას, და თუ რომელსამე მარტოდ დარჩენილ ან გზადაკარგულ ჯარის-კაცს გაძარცვა ან მოკვლა განმეორდა, იძულებული ვიქნები ყოვლადის ულმობელობით შური ვიძიო.

„თქვენს უგანათლებულესობასა ვსთხოვ გამოუცხადოს სამეგრელოს მკვიდრთ. დარჩნენ სოფლებში და თავიანთ საქმეებს მოჰკიდონ ხელი, თან ვსარგებლობ ამ შემთხვევით და თქვენს უგანათლებულესობას ვუცხადებ ჩემს ღრმა პატივისცემას.

დავშთები თქვენის უგანათლებულესობის უმორჩილესი მონა

მეჰმედ-ისკანდერ-იბლაჰილ, ოსმალთ მხედართ-მთავარი".

წერილის კილოზე ეტყობოდა, რომ პან ილინსკი მკაცრის ხასიათის კაცი იყო და ბევრის ბოდიშის თავი არა ჰქონდა; მართლაც, სამეგრელოში ყველას ასეთ კაცად ახსოვთ. ყოველ ღამე გალეშილი იყო, რადგან მთავრის მარანი ხელთა ჰქონდა, და ამ დროს უწყალოდ სჯიდა როგორც თავის ხელქვეითებს, ისე ადგილობრივ მკვიდრთა.

თავად მხეიძეს, ზუგდიდის მდივანბეგს, ილინსკიმ დასწამა, რუსების ჯაშუში ხარო, ამიტომ იხმობდა ხოლმე თავისთან, სტანჯავდა, იქნება, ვათქმევინო რამეო, ხანდისხან აპატიმრებდა კიდეც-მერე გამოუშვებდა და იმასთან ერთად ლოთობდა. ზუგდიდში, გრიგოლ დადიანის სახლში, ისკანდერ-ფაშამ ოსმალების გოსპიტალიც გამართა.

თავი მესამე

ომერ-ფაშის დაბრუნება ყულევში

წერილი ინგლისის საპოლიტიკო აგენტის ლონგვორტისა, დედოფალთან მიწერილი, და ომერ-ფაშასთან მყოფის, ფრანგის კოლონელის გრაფ მეფრესი.—გურულ რაზმის გაძლიერება რეზერვებითა.—შიშიანობა ქუთაისში.—ძვირობა.—ომერ-ფაშა იმერეთის საზღვრებს შორდება.—სოფ. ონტოფო.—რუსის ჯარის მოქმედება.—მეგრელთა მილიციონერებმა ზუგდიდში ოსმალოს ლაზარეთი და ლაზარეთთან მყოფი ჯარი შეიპყრეს.—ისკანდერ-ფაშამ ამისთვის შური იძია: დასწვა მთავრის სასახლე და გააჩანაგა ბაღი.—ცეცხლმა როზმურდუკის საფეიქროც იმსხვერპლა.—ოსმალოს ჯარის დაბანაკება ქვალონსა და ნაბადას შუა.—მუხრან-ბატონი გაიხმეს უკან; იმის ალაგას ჩადგა გენერალი ბრუნერი.—მეგრელთა მილიციისა და ოსმალების შეტაკება.—ყირიმში ერთის თვის ვადით ზავის ჩამოგდების ამბავი და პარიზში გამართული თათბირი მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ.—მიზეზი ომერ-ფაშის გალაშქრებისა.—დედოფლის როლი ამ გალაშქრების დროს.

ნოებრის 26 დედოფალი უკვე იმერეთს იყო, დაბა ხონში*) მეგრელთა მილიციას წარუძღვა დედოფალი და ცხენის-წყალში გავიდა; რამდენჯერმე მონაწილეობას იღებდა მტერთან ბრძოლაში. მტრის ბანაკიდან არ უსვენებდენ, არწმუნებდენ—გვებრალებით და თქვენს სიკეთეს-ღა ვფიქრობთო. ერთბაშად ორი წერილი მოუვიდა, ფრანგულად დაწერილი:

---

*) ხონში მთავარი ბანაკი იყო გურულების რაზმისა 1855 წლის ნოემბრიდან ომის გათავებამდე.

Quartier-général Turc, Mingrélie, le 6 décembre (25 novembre) 1855 *).

Princesse!

„Envoyé du gouvernement de sa majesté Britannique en qualité d'agent dans les provinces Caucasiennes, j'ai l'honneur de mettre à la disposition de Votre Altesse mes bons offices pour amener une meilleure entente entre elle et le maréchal Omer-Pacha, commandant les troupes ottomanes. Nous avons bien pensé que l'absence prolongée de Vorte Altesse du siège de son gouvernement pourra être suivie des résultats les plus facheux, non seulement pour ce qui touche ses droits de souveraineté, mais ce qui intéresse de plus près le patriotisme, le bonheur et l'avenir de ses sujets; leur position semble devenir chaque jour de plus en plus pénible. Quant aux excès de la part des troupes ottomanes, grâce à la loyauté et la haute sagesse de leur chef, les indigènes ne peuvent se plaindre et je n'hésiterai point à répondre de leur bonne conduite pour l'avenir. Mais pour ce qui regarde les désordres intérieurs, et les empiétements des voisins malintentionnés, le maréchal n'a la mission, ni le droit d'y intervenir. Au contraire, ses instructions, aussi bien que les miennes, nous obligent de nous abstenir de toute interposition dans les af-

*) თარგმანი:

მთავარი ბანაკი ოსმალებისა, სამეგრელო,

6 დეკემბერს (25 ნომბერს), 1855 წელს.

ბატონიშვილო!

„მისის უდიდებულესობის, ინგლისის დედოფლის მთავრობამ კავკასიის ქვეყნებში აგენტად გამომგზავნა. პატივი მაქვს გამოვუცხადო თქვენს უგანათლებულესობას, რომ მზად გახლავართ შეგარიგოთ თქვენა და მარშალი ომერ-ფაშა, სარდალი ოსმალოს ჯარებისა. თუ კიდევ არ დაუბრუნდით თქვენის სამთავროის რეზინდენციას, ჩვენის აზრით, ამას არასასურველი შედეგი მოჰყვება, როგორც თქვენთა უფლებათა, ისე თქვენთა ქვეშევრდომთა ბედ-იღბლის შესახებ. მათი მდგომარეობა დღითი-დღე გაუსაძლისი ხდება. რაიცა შეეხება ოსმალთა ჯარის ქცევას, უნდა მოგახსენოთ, რომ მისის უფროსის სიბრძნისა და კეთილ-შობილობის წყალობით, მეგრელები იმათს ძვირს ვერ იტყვიან; გარდა ამისა, თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ შემდეგშიაც ასე კარგად მოექცევიან სამეგრელოს მკვიდრთ. მაგრამ უწესოება შინაურობაში დიდია, მეზობლები ხშირად ესხმიან თავსა და აწიოკებენ; ომერ-ფაშა ამ შემთხვევაში განზე დგას, არაფერში ერევა,—ჩემი საქმე არ არისო.

faires intérieures des pays occupés par l'armée ottomanne. Donc, pour tous les malheurs et les résultats facheux qui pourraient survenir pendant la crise actuelle, on peut seulement tenir pour rasponsables les autorités, qui eussent abdiqué sans nécessité leurs fonctions légitimes. Le seul cas, dans lequel le maréchal pourrait raisonablement agir, est celui où les désordres, étant arrivés au comble (cas, envers lequel le pays marche malheureusement trop rapidement), il serait nécessaire pour la sûreté de son armée d'autoriser l'établissement d'un gouvernement sur de nouvelles bases. Dans le propre intérêt de Votre Altesse et celui de sa famille, je la prie de hâter sa décision sur une question aussi urgente.

„Pendant l'absence, qui n'est que momentannée, de mon collègue, monsieur Champoison, agent du gouvernement français, je crois pouvoir l'assurer de la parfaite entente de ses sentiments et de ses instructions, qui sont identiques avec les miennes. S'il peut être dans l'intérêt de Votre Altesse, que je me rende près d'elle, je suis disposé à le faire, pourvu qu'elle me donne un sauf-conduit.

J'ai l'honneur d'être avec le plus profond respect de
Votre Altesse le très humble et obéissant serviteur

F. Longooworts".

პირიქით, მისნი განზრახვანი, აგრეთვე ჩემნიცა, გვაიძულებენ არ ჩავერიოთ იმ ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში, რომელნიც ოსმალოს დაუპყრია. ამიტომ, თუ რამ უბედურება დაატყდათ თავს სამთავროის მკვიდრთ, ბრალი იმ უფროსების იქნება, ვინც, საჭირო არ იყო ისე, თავის ქვეშევრდომთ თავი დაანებეს. სასტიკად მხოლოდ მაშინ მოიქცევა მარშალი, თუ შინაურმა უწესოებამ საზღვარს გადააცილა. ამ შემთხვევაში ომერ-ფაშა იძულებული იქნება ახალი მთავრობა დააწესოს სამეგრელოში, რომ თავისი ჯარი უფრო უზრუნველ ჰყოს ყოველ მოსალოდნელ ხიფათისაგან. თქვენის უგანათლებულესობისა და თქვენის შვილების საკუთარი ინტერესი მოითხოვს ეს მძიმე საქმე როგორმე ჩქარა გაათავოთ.

„ჩემი ამხანაგი, ბატონი შამპუაზონი, აგენტი საფრანგეთის სახელმწიფოსი, დროებით სხვაგან გეახლათ, მაგრამ მე ვკისრულობ იმას, რომ ამ საგნის შესახებ ჩვენ ორნივე ერთის აზრისანი ვართ და მისის მთავრობისაგან იგივე დარიგება აქვს, როგორიც მე ჩემისაგან. იქნება თქვენმა უგანათლებულესობამ საჭიროდ დაინახოთ გეახლოთ თქვენთან. თქვენი სურვილი მაშინ შემიძლია აღვასრულო, თუ უბრძანებთ გზაში არაფერი შემემთხვეს.

დავშთები უღრმესის პატივისცემით უმდაბლესი და უმორჩილესი.

მონა-მოსამსახურე თქვენის უგანათლებულესობისა

ფ. ლონგუორტი."

ეი მეორე წერილიცა, ისიც ფრანგულად დაწერილი:

Camp et quartier général d'Ontopo, le 6 décembre (25 novembre) 1855 *).

Princesse!

„Je comprends l'hésitation de Votre Alesse, mais cette hésitation, très excusable chez une femme, peut, en se prolongeant, compromettre gravement vos intérêts et ceux de vos enfants. Les russes battus au Danube, en Crimée, sur l'Ingour, partout enfin, ou on a pu les joindre, sont, Votre Altesse le comprendera, tout à fait hors d'état de défendre et de conserver leurs conquêtes du Caucase. Quels efforts tentent-ils? Ils se retirent, se retirent toujours devant nous, brûlant leurs magasins, leurs provisions, ne respectant pas même les propriétés privées, mais n'osant et ne pouvant nulle part opposer aucune résistance.

„Il a fallu près d'un ciècle d'efforts, de sacrifices à la Russie, pour conquérir bien imparfaitement le Caucase, livré à lui même, oublié du monde entier.

L'Europe a maintenant les yeux ouverts, elle est décidée à ne plus souffrir que ces peuples restent plus longtemps plongés dans l'ignorance, qui enfante la misère, elle veut que Vous entriez dans la grande famille des nations civilisées, que Vous profitiez enfin des avantages, dont le ciel a été si prodigue envers votre pays

---

*) თარგმანი:

„ბანაკი და მთავარი სადგომი სოფ. ონტოფოში,
6 დეკემბერს (25 ნოემბერს) 1855 წ.

ბატონიშვილო!

საკვირველი არ არის, რომ თქვენი უგანათლებულესობა ამდენს ყოყმობს. მართალია, ამდენი ყოყმობა, როგორც მანდილოსანს, გეპატიებათ, მაგრამ თუ კიდევ გასტანა, სავალალო იქნება თქვენისა და თქვენის შვილების ინტერესებისათვის. რუსები ძლეულ იქმნენ დუნიაზე, ყირიმში, ინგურზე, ყველგან, სადაც კი მტერი შეხვდა. თქვენს უგანათლებულესობას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ იმათ არ ძალუძთ კავკასიაში დაპყრობილი ქვეყნები შეირჩინონ. მერე რა ღონე უნდა იღონონ ამისთვის? არაფერი. სულ უკან-უკან იხევენ, ცეცხლს უკიდებენ თავის მაღაზიებსა, თავის სურსათსა, კერძო პირთა ქონებასაც არა ჰზოგავენ, და ამავე დროს ვერა ჰბედავენ და არც შეუძლიათ გაუმკლავდენ მტერსა.

მთელ ერთ საუკუნის განმავლობაში უნდა იბრძოლოს რუსეთმა, მთელის საუკუნის განმავლობაში უნდა ღვაროს თავისის ჯარის სისხლი, რომ, ოდნავაც არის, დაიპყროს კავკასია, ეს უპატრონოდ დარჩენილი და ყველასაგან მივიწყებული მხარე.

„ევროპამ ახლა თვალები გაახილა; მეტის მოთმენა არ შეიძლებაო და გადასწყვიტა კავკასიის ერნი, გონებრივის სიბნელითა და სიღარიბით შეწუხებულნი, გაათავისუფლოს; ევროპასა ჰსურს, რომ თქვენ შეუერთდეთ განათლებულს ხალხს; რომ იმ განძით და სიმდიდრითა, რომელიც უფალს თქვენის ქვეყნისათვის მოუმადლებია, თქვენვე სარგებლობდეთ.

„C'est l'indépendance, la prospérité, que nous vous apportons. Votre Altesse, hésitez encore. Permettez moi de Vous le dire, princesse, Votre Altesse est mingrélienne, princesse régente de Mingrélie, mais non pas sujette russe.

„C'est à Vous que Dieu a confié les intérêts de votre pays, de vos enfants, ceux sacrés de votre Ban.

„Ces peuples et ces pays-ci, ne seront plus jamais soumis à une domination étrangère, mais qui peut assurer Votre Altesse, que les gouvernements alliés lassés par votre longue hésitation et ne voulant pas laisser votre peuple privé plus longtemps de soutien d'un gouvernement, ne considéreront pas votre abstention, votre exil volontaire, comme un renoncement à vos droits et ne nommeront pas un autre prince du pays à votre place.

„Je comprends tout ce que la situation présente a d'embarrassant pour une femme, mais quand on se trouve, comme Votre Altesse, placée à la tête d'une nation, chargée des intérêts de ses enfants, il faut savoir prendre un parti.

Votre Altesse me pardonnera ma franchise et verra qu'elle est toute dictée par le recpectueux intérêt, que je ressens pour Votre Altesse.

Le colonel d'état major détaché par l'empereur auprès de son altesse le généralissime Omer Pacha

Comte de Meffray".

„ასე და ამ გვარად, ჩვენა გვსურს დამოუკიდებელ და მდიდარ გყოთ და თქვენი უგანათლებულესობა კი ყოყმანობს! ნება გვიბოძეთ, ბატონიშვილო, მოგახსენოთ, რომ თქვენი უგანათლებულესობა ბრძანდებით მეგრელი და მმართველი სამეგრელოსი და არა ქვეშევრდომი რუსეთისა.

„ღმერთმა ჩაგაბარათ თქვენ ინტერესები თქვენის ქვეყნისა, თქვენის შვილებისა, თქვენის კურთხეულის ხარისხისა.

„აქაური ხალხი და ქვეყნები სხვის ხელში თავისდღეში არ იქნებიან, მაგრამ, ვინ იცის, მოკავშირე სახელმწიფოებს, შეიძლება, თავი მოჰბეზრდეთ თქვენის ყოყმობით. იტყვიან, ამდენ ხანს ხალხის დატოვება უპატრონოდ არ შეიძლებაო, თქვენზე იტყვიან—ამდენხანს იმიტომა ჯიუტობს, აქედან თავის ნებით იმიტომ გაიხიზნა, რომ მთავრობაზე ხელი აიღოვო და თქვენს მაგივრად სხვა თავადს დანიშნავენ მმართველად.

„მე კარგად მესმის, თუ რა ძნელია ამ შემთხვევაში თქვენი მდგომარეობა, როგორც ქალისა, მაგრამ რაკი თქვენს უგანათლებულესობას მთელი ერის უფროსობა გაბარიათ, რაკი ვალდებული ბრძანდებით იზრუნოთ თქვენის შვილების ინტერესისათვის, უნდა იცოდეთ, რომ საჭიროა ხელის გამოღება, რისამე გაკეთება.

„თქვენო უგანათლებულესობავ, მაპატივეთ ჩემი გულახდილი ლაპარაკი; თქვენ თითონ დაინახავთ, რომ ასე გულახდილად იმიტომ მოგახსენეთ ყველაფერი, რომ თქვენის უგანათლებულესობის მოწიწებითი პატივსცემა მაქვს.

გენერალურის შტაბის კოლონელი, იმპერატორის ბრძანებით მყოფი მისს ბრწყინვალება გენერალისიმუს ომერ-ფაშასთან.

გრაფი მეფრე..."

ამ ორ წერილიდან ნათლად ჩნდა, რომ ომერ-ფაშა მიხვდა, დედოფალს ზუგდიდში ჩემის რჩევით ვერ მოვიყვანო და უკანასკნელ საშუალებას მიჰმართა,—შეეცადა ფონს გასულიყო მასთან მყოფ ინგლისის აგენტის გრაფ მეფრეს, საფრანგეთის კოლონელის დახმარებით. ძალიან შეეცადნენ ორნივე, მაგრამ მაინც ვერას გახდენ და ამას შემდეგ ოსმალთ ბანაკიდან დედოფალს წერილი არ მოსვლია.

ამასობაში, გენერალმა მურავიოვმა გურიის რაზმს შვიდი ბატალიონი ჯარი მიაშველა. იმერეთი სიხარულმა მოიცვა, როცა გაისმა—ჯარი სურამს გადმოსცდაო. ქუთაისში ყველანი თავზარდაცემულნი იყვნენ: ომერ-ფაშა 25 ვერსის მანძილზე იდგა ქუთაისიდან, ხოლო გურიის რაზმისა ბევრი არაფერი იმედი ჰქონდა ვისმე. ქალაქიდან საჩქაროდ ეზიდებოდნენ კანცელარიის საქმეებს და ხაზინას ტფილისში, სახლების ფასები დაეცა, საცაა ოსმალები შემოვლენ, აქაურობას აიკლებენ და გადასწვავენო და ცდილობდენ გაეყიდნათ. ამ დროით ისარგებლა ერთმა აფერისტმა და ერთი მშვენიერი სახლი ვრცელის ეზოთი ორას თუმნად იყიდა, ხოლო ერთი წლის უკან იმავე სახლში ათას-ოთხას თუმანს აძლევდენ, მაგრამ არა ჰყიდდა. სანოვაგე აღარ შემოჰქონდათ, ყველაფერზე საშინლად იმატა ფასებმა: ქილა ფქვილი, მაგალითად, 9 მანეთად ღირდა, ფუთი შაქარი—28 მ., ყოველსავე ამასთან ქაღალდის ფულის ფასი საშინლად დავარდა. მცხოვრებთ სანოვაგისათვის მხოლოდ ოქრო-ვერცხლის ფული მიჰქონდათ, ქაღალდის ფულს არავინ ღებულობდა, ასე რომ ზუგდიდში ერთმა მედუქნემ ათ თუმნიანი ქაღალდის ფული ხუთი მანეთის ვერცხლად იყიდა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიხარული შეუდგათ ქუთათურებს, როცა გაიგეს—ახალი ჯარი მოდის ჩვენდა საშველადაო.

ომერ-ფაშამ რომ გაიგო, გურიის რაზმს ახალი ჯარი მიაშველესო, იმერეთის საზღვარს თავი ანება. ამავე დროს ტფილისიდან თავადი ბებუთოვი ჩამოვიდა და ქვაშხორში დედოფალი ინახულა. ეკატერინემ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა ყველაფერი უამბო.

რაკი რუსებმა ყარსი აიღეს, ოსმალოს მთავარ-სარდალს უკან უნდა დაეხია, სხვა გზა არა ჰქონდა: როცა სამეგრელოზე გაილაშქრა, აზრად მხოლოდ ისა ჰქონდა, რომ გენერალი მურავიოვი ყარსისათვის მოეშორებინა, მაგრამ საწადელს ვერ ეწია. ეს ერთი. მეორეც, იძულებული იყო აქაურობას გასცლოდა იმიტომ, რომ ძალიან ეცადა, მაგრამ სამეგრელოს მცხოვრებლებთან ვერავითარი კავშირი დაამყარა, ვერც დედოფალი გადაიბირა თავის მხარეზე. ჯერ მცხოვრებნი მაშინაც კი დაუხვდენ მტრულად და იარაღიც კი იხმარეს

ოსმალთ წინააღმდეგ, როცა რუსებმა თავი გაანებეს აქაურობას. ახლა, როცა რუსები უფრო ღონემოკრებილნი დაბრუნდებიან უკან, მაშინ მით უფრო აიღებენ ხელში იარაღს და ჩემი მდგომარეობაც უფრო საშიში გახდებაო.

ომერ-ფაშის ჯარს, ცხენის-წყლისაკენ წასვლის დროს, მერე, მდ. ხობის წყალისაკენ გამობრუნებაზე, მეტად ცუდი დარი შეესწრო, გზებიც მეტად გაუვალი იყო და იმან ძალიან შეასუსტა. გზები იმდენად გაფუჭებული იყო და სოფლებიც ისეთი ხვდებოდა გასავლელი, რომ სოფ. ონტოფოში, მაგალითად, ერთი ზარბაზანი ჩაეფლოთ ტალახში და სოფლელებმა მხოლოდ ერთ წელს უკან ამოათრიეს რის წვალებით. მდინარეები ყველა საშინლად ადიდდა გადაუღებელ წვიმებისაგან, ყველგან საფლობები გაჩნდა, ასე რომ გურიის რაზმისათვის შეუძლებელი შეიქმნა ოსმალოს რაზმს გასდევნებოდა უკან. იმისი ეშინოდათ, ვაი თუ ჩვენც ის დღე დაგვადგეს, რა დღესაც ოსმალოს ჯარს დაადგა ამ გზებით სიარულითაო. გურიის რაზმიდან ერთი ნაწილი გამოარჩიეს, შეუერთეს დონელ ყაზაღთა ერთი ბატალიონი და ორასი კაცი მილიცია სახაზო ყაზახთა, ცხენის-წყალში გაიყვანეს და უკან გაადევნეს ომერ-ფაშას.

ზუგდიდში, როგორცა ვთქვით, ოსმალთა ჰოსპიტალი იყო და გარნიზონი, მაგრამ ისკანდერ-ფაშამ თავისი რაზმი წაიყვანა, რომ ომერ-ფაშას შეერთებოდა. სწორედ ამ დროს მეგრელების მილიცია ოსმალთ გარნიზონს დაეცა და უმეტესი მათგანი ტყვედ წაასხა. ეს რომ გაიგო ისკანდერ-ფაშამ, საშინლად გაბრაზდა და განიზრახა მეგრელებისთვის სამაგიერო გადაეხადნა; დაბრუნდა ზუგდიდში, გადაჰბუგა მთელი დაბა, მთავრის სასახლე, წინასწარ კი სასახლიდან ყველა ძვირფასი ნივთები გააზიდვინა, ორანჟერეებიდანაც, რის გამოტანა კი შეიძლებოდა, ყველაფერი გაატანინა, ხოლო ბაღში ხეები სულ ძირში დააჭრევინა. ამ სახით, ის საუცხოვო ბაღი, რომელიც დედოფალმა გააშენა და რომელსაც თვალის ჩინივით უვლიდა, მიწასთან იქმნა გასწორებული. სხვა შენობათა შორის დაიწვა გრაფ როზმურდუკის საფეიქრო. როზმურდუკი ძალიან გაანაწყინა ომერ-ფაშის ასეთმა საქციელმა, წავიდა სტამბოლში და იქ ფრანგების ელჩ ტუვენელთან უჩივლა ომერ-ფაშას. ტუვენელმაც თავი გამოიდო და ოსმალეთის მთავრობას 15,000 მანეთი მიაცემინა როზმურდუკისათვის ზარალის საზღაურად.

მდინარე ცივს რომ გავიდა, ოსმალოს ჯარი ქვალონის სერებზე დაბანაკდა. აქედან თანდათან იხევდა უკან და ომერ-ფაშამ ერთი

ნაწილი თავისი ჯარისა ქვალონსა და ყულევს შუა დააყენა, ხოლო მეორე ნაწილი ზღვის პირას გაშალა, ყულევსა და ნაბადას შორის.

ქრისტეშობისთვეში ივ. მუხრან-ბატონი ტფილისში გაიხმეს, ხოლო გურიის რაზმის უფროსობა მის მაგიერ ჩაბარდა გენერალ ბრუნნერს. პირუთვნელი ისტორია გამოაშკარავებს მუხრან-ბატონის მოქმედებას. ხოლო რაიცა შეეხება ბრძოლის ველს, ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორი თვის განმავლობაში, ნოემბრის გასულიდან იანვრის გასვლამდე, მტერი მხოლოდ ახლო-მახლო სოფლების ადგილ-მდებარეობას იკვლევდა და რამდენჯერმე მსუბუქი შეტაკებაც მოუვიდა გურულ რაზმის მოწინავე წყობასთან, რომელიც მდ. ცივის მარცხენა მხარეს იყო დაბანაკებული. მთელ თავის ძალას ომერ-ფაშა ყულევთან იკრეფდა. აქ იშენებდა ქოხებსა, აკეთებდა ბატარეიას და ჯებირებს.

იანვრის გასულისათვის, როცა სამეგრელოის უმეტესი ნაწილი ოსმალოს ჯარისაგან გაიწმინდა, დედოფალი გორდში დაბრუნდა. მთელი თვე-ნახევარი მხლიციას არ მოჰშორებია, უკეთ, ცხენიდან არ ჩამომხტარა. ნებიერად და აზიზად გაზდილი დედოფალი იძულებული შეიქნა სავსებით გამოეცადნა მთელი სიმწარე სამხედრო ცხოვრებისა სხვა მილიციონერებთან ერთად: ზამთრის სიცივესა და წვიმაში დღისით ცხენზე იჯდა, ხოლო ღამეს გლეხის ქოხში ათევდა. გორდში თავისი ბავშვებიც მიჰგვარეს, რომელთაც ლეჩხუმის მთის ჰაერმა საუცხოოდ არგოთ. თვენახევრის გაშორების შემდეგ შვილების ნახვამ მეტად გაახარა დედოფალი; მათმა ტიტინმა სულ დაავიწყა გავლილი გაჭირვება.

თებერვალში გურულებისა და მეგრელების მილიციებს რამდენჯერმე მოუვიდათ ოსმალებთან შეტაკება, მაგრამ გამარჯვება ყოველთვის პირველთ რჩებოდათ, რადგან ადგილმდებარეობა ზედმიწევნით იცოდენ და მტერსაც მოულოდნელად ესხმოდენ თავზე. მაგრამ საზოგადოდ კი უნდა ვთქვათ, რომ ომი თითქმის ჩაქრა. ორივე მხარე საშინლად დაღალა ოთხის თთვის ომიანობამ, უგზოობამ და ზამთრის სიცივემ, თან, ხმაც ისმოდა,—ზავი უნდა ჩამოვარდეს მალეო. მეგრელებსა და ოსმალებს შორის უკანასკნელად შეტაკება მოხდა ხორგასა და ყულევს შუა. თავადმა ჯაიანმა და გუბერნიის სეკრეტარმა გაბუნიამ მდ. ხობისწყალზე დაინახეს ნავი, რომელშიაც ოსმალი ჯარის-კაცები ისხდენ, მილიციონერებით დაეცნენ, ზოგი ტყვედ წამოასხეს და დანარჩენი დახოცეს. ყულევიდან ჯარისკაცები მოაშველეს, მაგრამ მეგრელებმა ისინიც დაამარცხეს; ჯაიანი წინიდან ებრძოდა, ხოლო გაბუნია—ზურგს უკანიდან. ოსმალოს კო-

მანდა ყულევში გააქციეს და გამარჯვებულნი უკან დაბრუნდენ. ეს იყო უკანასკნელი სურათი იმ სისხლის-ღვრის დრამისა, რომელიც მდ. ინგურზე იქმნა დაწყებული.

მარტის დამდეგს ამბავი მოვიდა, რომ ყირიმში ერთი თვით წინასწარი შერიგება მოხდა და პარიზში მოლაპარაკება აქვთ ზავის ჩამოგდების შესახებაო. ამნაირივე წინასწარი მორიგება ჩამოვარდა აქაც; დაიწყო მისვლა-მოსვლა ორსავე მხარეზე და, ბოლოს, აპრილში, უმაღლესი მანიფესტი მოგვივიდა 19 მარტისა ზავის შეკვრის შესახებ.

ომერ-ფაშას ყოველთ უწინარეს აზრად ჰქონდა—მურავიოვი ყარსიდან გაეტყუებინა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდოდა, რომ რუსეთის მიერ აღებული სამი პროვინცია: აფხაზეთი, სამურზაყანო და განსაკუთრებით სამეგრელო, ამ სახელმწიფოსათვის მოეგლიჯნა, სამივე დამოუკიდებელ სამთავროებად გამოეცხადებინა და მათი არსებობა ევროპის ტრაქტატის ძალით უზრუნველ ეყო*). ამ შემთხვევაში, იმდენად ამ პროვინციებისა და მისთა მკვიდრთა დარდი არა ჰქონდათ, რამდენადაც სურვილი იმისა, რომ რუსეთი ეზარალებინათ.

ერთბაშად ადვილი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მოჰყვებოდა ომერ-ფაშის განზრახვის ასრულებას და შავის ზღვის პირად დამოუკიდებელ სამთავროთა დაარსებას, მხოლოდ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს შეიქმნებოდა მიზეზი დაუსრულებელის შფოთისა კავკასიაში და რუსეთს ხელს შეუშლიდა კავკასიის საბოლოოდ დაპყრობის საქმეში.

ეკატერინე დედოფალი, რა თქმა უნდა, არ დაჰყვა ომერ-ფაშისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა აგენტების ნებას და დუმილით მოიშორა თავიდან სამივე. საქმე ამით გათავდა. უდედოფლოდ კი ამ საქმის გაკეთება ამათ არ შეეძლოთ, ამიტომ რომ ეკატერინე სამეგრელოში იყო. მაგრამ ჩვენ კი გვგონია, რომ ომერ-ფაშისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ამ დროს დედოფალი თავისის ოჯახით ტფილისში ყოფილიყო წასული მუხრან-ბატონისა და თავად ბებუთოვის დაბარებით. მაშინ ოსმალოს მთავარ-სარდალს შეეძლო პირდაპირ განეხორციელებინა

*) „Le czar doit être refoulé au délà du Terek et du Kouban, c'est irrévocablement arrêté dans les conseils des puissances alliées. („რუსის ხელმწიფე თერგისა და ყუბანს იქით უნდა იქმნას გაგდებული: ასე გადაწყდა საბოლოოდ დიდთა სახელმწიფოთა რჩევაზე"). ეს ამოწერილია ფერხად-ფაშის წერილიდან, რომელიც რუსებს ჩაუვარდათ.

თავისი სურვილი, რომლითაც დედოფალს აშინებდა წერილებში, სახელდობრ: რაკი ტახტის მემკვიდრე სამეგრელოში არ არის, ეტყობა, ხელს იღებს თვისთა უფლებებზეო, და ამიტომ ოსმალეთის და მისთა მოკავშირე სახელმწიფოთა სახელით, ვნიშნავ მთავრად ერთ-ერთ აქაურ თავადსაო. ამისთვის ყოველივე მზად იყო, მხოლოდ რაკი ახალ კაცს გაამთავრებდა, მისთვის ზურგი უნდა მოემაგრებინა პირველ ხანებში. მაშინ, შესაძლებელია, ყარსის აღების ამბვის მისვლის შემდეგ, ომერ-ფაშა იძულებული არ გამხდარიყო საჩქაროდ გაშორებოდა ცხენის-წყალსა. მაშინ მის მიერ დაყენებული მთავრობა ხალხთან მოციქულად და შუაკაცად გაუხდებოდა და იმისა არ შეეშინდებოდა—ხალხი იარაღით დახვედროდა, როგორც სამურზაყანოის საზღვარზე უქნეს. და რაკი ხალხი იმის მხარეს იქნებოდა, თამამად შეეძლო თავის რიცხვ-მრავალ ჯარით რუსის ჯართან ხელ-ახლა გაემართნა ბრძოლა. მარტამდე როგორმე რომ მიეყვანა საქმე და გამაგრებულიყო, რაშიაც სამეგრელოს უგზოობაც ხელს შეუწყობდა, პარიზში მომხდარი თათბირი სამეგრელოს ახალს მთავრობას მოუსწრებდა და ძნელი შეიქმნებოდა უარეყოთ უკვე მომხდარი ფაქტი. მაგრამ მთავარსარდალმა, რუსეთის საბედნიეროდ, ვერ გაამართლა ის იმედები, რა იმედებიც ოსმალეთის მთავრობასა ჰქონდა მისი. ევროპაში ყველანი ომერ-ფაშას ამტყუნებდენ—ყარსიც იმის უხეირობით აიღეს რუსებმა და სამეგრელოში გალაშქრებამაც იმისივე წყალობით ჩაიარა ასე ფუჭადაო. მერე ომერ-ფაშა დიდხანს იმართლებდა თავს ამის გამო როგორც თავის მთავრობისა, ისე ევროპის პრესის წინაშე.

ეკატერინე დედოფალი ხელმწიფის კურთხევაზე რყო მიპატიჟებული და მკათათვეში თავისი ბავშვები და თავის დაჲ ნინო გრიბოედოვისა წაიყვანა და პეტერბურგში გაემგზავრა.

მე კი ვისარგებლე ამ შემთხვევით, მის შვილების მასწავლებლობაზე უარი განვაცხადე და კავკასიაში დავრჩი.

თავი მეოთხე

აჯანყება სამეგრელოში

1857 წლის თიბათვის ერთ-ერთი საღამო ქუთაისში გუბერნატორ ნ. პ. კოლუბიაკინის სახლში. — ქუთაისის მიმოხილვა. — ს. ე. აკოფოვი. — თავად მიქაძის მოსვლა. — დედოფალ ეკატ. ალ. დადიანის წერილი.— პირველი ცნობა სამეგრელოს აჯანყებაზე. — კოლუბიაკინის თითბირი სამეგრელოში წასვლის შესახებ. — აკოფოვის წინააღმდეგობა. — კოლუბიაკინის წასვლა. — კნეინა დადიანის დახასიათება. — ნ. პ. კოლუბიაკინის დახასიათება.

1857 წლის თიბათვის, ერთ-ერთ საღამოს ქალ. ქუთაისში გუბერნატორის სახლში ქალალდის სათამაშო მაგიდას ოთხი პარტნერი უჯდა პრეფერანსის სათამაშოდ: მაშინდელი გუბერნატორი გენერალ-მაიორი ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლუბიაკინი, მისი განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე რაფიელ დავითის ძე ერისთავი*), ტფილისის მოქალაქე სტეფანე იაგორას ძე აკოფოვი და ავტორი ამ მოგონებათა. ვთამაშობდით მხოლოთ დროს წასაღებად, მგონი მე-$^1/_4$ კაპიკზე. გუბერნატორისათვის ეს ერთგვარი დასვენება იყო დღიურ ზრუნვისა და მეცადინეობის შემდეგ, და თამაშობის მთელი ინტერესი ის იყო, რომ ყველა ცდილობდა არაფერი წაეგო. აკოფოვი გესლიან მოთამაშედ ითვლებოდა და დანარჩენები ყველანი ერთობრივის ძალით ვცდილობდით იერიში მიგვეტანა მაზე, მაგრამ ის მაინც ჟამდა-ჟამ გვიეშმაკებდა და რემიზში ჩაგვსვამდა ხოლმე, რითაც საერთო სიცილისა და ლაპარაკის საგნად გადაიქცეოდა. ამ უდარდელად მოცინარ ხალხის ყურებაზე აზრად არავის მოუვიდოდა, რომ ესენი ამავე მაგიდასთან, აუდგომლად, ცოტათ თუ ბევრათ მხურვალე მონაწილეობას მიიღებდენ იმ ამბავში, რომელსაც ამ მხარისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამბავში, რომელსაც მოჰყვა

*) ჩვენი მგოსანი.

მთელი სოციალური ცვლილება და რომელმაც აქაურების უმეტეს ნაწილის ცხოვრებას ახალი მიმართულება მისცა. ამიტომ მკითხველთ ყოველი უწინარეს გავაცნობთ ხსენებულ პარტხერებს.

კოლუბიაკინის და ერისთავის ხსენება და მათზე ლაპარაკი ჩვენს მოგონებებში არაერთხელ და ორჯელ მოგვიხდება, ამიტომ

ნიკ. პეტ. კოლუბიაკინი

ქუთაისის გუბერნატორი

ჩვენს ამბავს წინ არ გავუსწრებთ, ისე ჯერჯერობით შევჩერდებით აკოფოვის ტიპიურ პიროვნებაზე. აკოფოვი ადგილობრივი მკვიდრი იყო, ვაჭარი კაცი, ეროვნებით სომეხი-კათოლიკე, და რომ რაც შეიძლება უკეთესად დავუხატოთ მკითხველთ, რომელნიც ამიერკავკასიას არ

იცნობენ, რამდენსამე სიტყვას ვუძღვნით აკოფოვის სამშობლოს— ქუთაისს.

ქუთაისი 1820 წლამდე იმერეთის სატახტო ქალაქი და იმერეთის მეფის რეზიდენცია იყო. დღეს საგუბერნიო ქალაქი-ღაა და მდებარეობს ამიერკავკასიის უუმშვენიერეს კუთხეში, მთის ხევის დასასრულთან, საიდანაც მდინარე რიონი ვაკეზე გამოდის. უხსოვარ დროიდან ამ ქალაქში, ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, დაბაში სამ სხვადასხვა ეროვნებას მოუყრია თავი. ესენი არსან: **იმერლები**— ქართველთა ტომის ერთ-ერთი შტო—ძირითადი მოსახლენი არიან; **სომეხ-კათალიკენი** და **ებრაელნი** — წამოსულები არიან თავიანთ სამშობლოებიდან, როცა ისტორიულ წარსულში მათს ქვეყნებს მტერი არბევდა ხოლმე. თითოეული ამ ეროვნებათაგანი განსაკუთრებულ უბანში დასახლებულა და თუმცა სომხებს და ებრაელებს მხარი-მხარს ყოფნა და ვაჭრობა უხდებათ, მაინც ეს მოსულები ერთიმეორეში მორიგებულან და საერთოდ თავიანთის ექსპლოატაციის მსხვერპლად იმერლები გაუხდიათ.

სომეხი, ფრანგი (სომეხ-კათოლიკე) *) და ურია (ებრაელი), იმერლის წარმოდგენით სინონიმებია ჩარჩ-ვაჭრისა; ამათ ქედმაღლურათ უყურებს და მათს ხელობაზე უფრო მაღლა აყენებს თავის ხელობას,—სასოფლო მეურნეობას. ეს წარმოდგენა ისე ღრმადა აქვს გამჯდარი, რომ დღესაც კი, იმერელ აზნაურს, რომელსაც უკვე დაკარგული აქვს თავისი პოლიტიკური უფლებები გლეხზე, წინანდებურათ მზა-მზარეულზე არა ცხოვრობს და იძულებულია ხოლმე თავისი პირადის შრომით გამოალებინოს მამულს მოსავალი,—თუ გაუჭირდა და ხელი მოეცარა, უმალ ყოველგვარ სათაკილო საქმეს იკადრებს, ძალით სხვის ქონებასაც კი დაეპატრონება და ვაჭრად მაინც არ გახდება. იმერელ გლეხს-კი იმდენად უყვარს თავისი მიწა, რომ ყოველი ზედმეტი ფული, რომელსაც იგი არა მარტო მიწის დამუშავებით შოულობს, არამედ შემთხვევით, სოფელს გარეთ სხვა მუშაობით შეიძენს, მხოლოთ და მხოლოთ ახალ-ახალ მიწის ნაკვეთების შეძენას უნდა მოახმაროს. მიწის ძალა-უფლება მეტად დიდს როლსა თამაშობს ყველას ყოფა-ცხოვრებაში, ვინც კი მიწადმოქმედებს კულტურითა ცხოვრობს და ვინც ებრძვის კაპიტალის ძალა-უფლებას. ხოლო კაპიტალის წარმომადგენლებად საქართველოში ითვლებიან სომეხი, ფრანგი და ურია. ეს ბრძოლა მიწასა და კაპიტალს შორის, წინათ, რუსის მპყრობელობამდე, ბარიბარს გამო-

*) ფრანგს ეძახდენ უმთავრესად ქართველ კათოლიკეთ.

შენიშვნა მთარგმნელისა.

დიოდა იმდენათ, რამდენათ მწარმოებელს ვაჭრის თავი სჭიროდა, ხოლო ვაჭარს—მწარმოებლისა; ორისავ მხარისათვის ერთგვარი საზღვარი არსებობდა, რომელსაც მოგება ერთისა და მეორისაც არ გადასცდება და, არც ერთი მათგანი მეორეს არა სჩაგრავდა. ვაჭარი პატივისცემით ეპყრობოდა აქაურს თავადსა და აზნაურს, თუ არ „ბატონს, ისე სხვა სახელს არ უძახდა; ესენი კიდევ თავისს მფარველობას არ აკლებდენ. მაგრამ ყოველივე ეს რუსის მპყრობელობის შემოსვლასთან ერთად გამოიცვალა. ვაჭარი, განსაკუთრებით სომეხი, ერთბაშად წინ წადგა; ამიერკავკასიაში ფეხი შემოვდგით თუ არა, მაშინათვე დაგვჭირდა მისი თავი, და წავიდა და წავიდა იჯარით აღება სახაზინო საქმეთა გაკეთებისა, რამაც სწრაფათ გაამდიდრა სომხობა, რომელსაც პირთამდე გაეღო უძირო ზანდუკი რუსეთის ხაზინისა. კაპიტალის ძალა-უფლებამ აჯობა მიწის ძალა-უფლებას, და იმერლობის, როგორც საზოგადოთ ქართველობისაც, ცხოვრებამ სულ სხვა სადინელით იწყო დენა.

სომხები საძგვარ სარწმუნოებისანი არიან: ერთნი არიან **გრიგორიანები,** რომელთაც თავიანთი ჰაიაკანელთა, ე. ი. სომეხთა ხალხის კათოლიკოსი ჰყავსთ, რომელიც აერთიანებს სომეხთა მრავალრიცხოვან და მდიდარ კოლონიებს ევროპასა და აზიაში. თვითონ კათოლიკოსი ეჩმიაწინის მონასტერში სცხოვრობს, ერევნის გუბერნიაში; არიან **კათოლიკენი.** კათოლიკობა აქ რამდენისამე საუკუნეს წინად პატერ-მისიონერებმა შემოიტანეს, და, დასასრულ, არიან **რეფორმატულ** სარწმუნოებისანი. ეს სარწმუნოება ახალი შემოტანილია და განსაკუთრებით გავრცელებულია ბაქოს გუბერნიაში. ტფილისის სომხების ამ ყოველმა სარწმუნოებრივმა ჯგუფმა რუსეთის სახაზინო სუფრის გარშემო მოიკალათა თუ არა, ამ სუფრაზე დაიწვია თავისი ტომის ხალხი, ამიერკავკასიაში მცხოვრები ერთმორწმუნენი. დასაწყისში ყველას ერთი საერთო მისწრაფება ასულდგულებდათ: რაც შეიძლებოდა, მალე გარუსებულიყვნენ, ამიტომ დაიწყეს მათ მიერ დამახინჯებულის რუსულის ენის სწრაფად შეთვისება; ისწრაფვოდენ თავიანთი გვარები რუსულ გვარებად გადაეკეთებინათ; ამგვარად გაჩნდა აუარებელი გვარები „ოვ-ის“ დაბოლოებანი: მირზოევი, თუმანოვი, სოლოროვი, აკოფოვი და მ. სხ., რომლებიც შემდეგში, ახალ მიმართულების გაჩენისას, ისევ გადააკეთეს „იან“ და „იანც“-ებად. სომხურ სახელებს არამარტო დაბოლოება გამოეცვალა, არამედ მათს მაგიერ ნამდვილი რუსული სახელები დაირქვეს, მაგალითად: სარქისი—სერგეად გადაკეთდა, მიკირტუმი—ნიკიტად და მ. სხ.

ტფილისიდან მიმართულება ქუთაისის სომეხ-კათოლიკურ უბანშიაც შემოვიდა, ხოლო მათს შორის აკოფოვი, რომელსაც ახლა მკითხველს ვაცნობთ, ერთი პირველი იმ პიონერთაგანი იყო, რომლებიც რუსულ საკომერციო მოძრაობის და სახაზინო იჯარების სარბიელზე გამოვიდენ.

ოცდაათიან წლებში აკოფოვი ნოქრად მსახურობდა ტფილისში მსხვილ მოიჯარადრე ზუბალაშვილთან. ამ ნოქრობის დროს იყო მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში და ლაიპციგშიაც-კი, იქაურს იარმარკაზე, იმ დროს იქ რომ იმართებოდა. ისიც კი მოახერხა, რომ სახელმწიფო სამსახურშიაც-კი ყოფილიყო „სხვადასხვა დავალებათა“ მოხელედ, საგუბერნიო სეკრეტრის ხარისხამდე ააღწია, უწიგნოდ და უმასწავლებლოდ ისწავლა რუსული და რაღაც თავისებური ჟარგონი შეითვისა; მისს „რუსულს“ რომ ისმენდით, არ შეგეძლოთ არ გეცინათ. თვითონაც კარგათ იცოდა, თუ რა ფასისა იყო მისი ცოდნა, თავის ცოდნას თვითონაც დასცინოდა და ზოგჯერ მოსწრებულათაც ოხუნჯობდა, რათგან დარწმუნებული იყო, რომ ყოველი დამახინჯება რუსულის ენისა დანაშაულობაში არ ჩამოერთმეოდა და ეპატიებოდა. მისი რუსულის გამო მრავალი ანეგდოტი არსებობდა; სხვათა შორის ამბობდენ, რომ როდესაც ის საოლქო სამმართველოში თარჯიმანად იყო 1837 წელს, და როდესაც ხელმწიფე ნიკოლოზ პავლეს-ძე ქუთაისში მოსვლის დროს ქალაქის მოედანზე მოქალაქეთა შორის ჩადგა და სანამ მათთან ლაპარაკს დაიწყებდა, იკითხა: „რუსული ვინ იცის“-ო—აკოფოვი წინ წადგა და მოახსენა: „მე, თქვენო კეთილშობილებავ“-ო. ხელმწიფეს გაეღიმა და უთხრა: „ვხედავ, ჩემო კარგო, რომ შენის საშუალებით ბევრს ვერაფერს ვიტყვიო“.

მდიდარ ზუბალაშვილის ქალის შერთვამ და ქალს მოყოლილმა მზითევმა აკოფოვის მდგომარეობა საგრძნობლად განამტკიცა და ორმოციან წლებში ქუთაისში უკვე მსხვილ ვაჭრად და მოიჯარადრედ ითვლებოდა. მიხვედრილი კაცი იყო, მარჯვე, საქმის პირნათლად შემსრულებელი. ვორონცოვსაც, აბა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ასეთი კაცი და მიანდო რამდენისამე დიდი შენობის აგება ქუთაისში. საჭირო შეიქმნა გოსპიტლის აშენება და აკოფოვს მიანდო ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა. აკოფოვმაც წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა ზომიერი და გონივრულათ შედგენილი, მხოლოთ ერთი მუხლი იყო ჩართული ისეთი, რომ ვორონცოვს ვერ გაეგო, რასა ნიშნავდა. აღნიშნული იყო ხუთასი თუმანი „საალერსოდ“. გაგზავნეს კაცი აკოფოვთან და მოსთხოვეს აეხსნა, რასა ნიშნავდა ეს მუხლი. აღმოჩნდა, რომ ეს ხუთასი თუმანი საჭირო იყო აუცი-

ლებელ ალერსისათვის, ანუ, უკეთ, რომ ვსთქვათ, მოხელეთა მოსაქრთამავად. ვორონცოვმა თურმე ბევრი იცინა ასეთ გულუბრყვილო პირდაპირ თქმაზე და ხარჯთაღრიცხვა უცვლელად დაუმტკიცებია. გოსპიტალი მშვენიერი გამოვიდა და მისი აშენებაც ძვირად არ დამჯდარა. მერე აკოფოვმა გააშენა საგუბერნიო გიმნაზია, ქვითკირის დუქნები და მ. სხ.

აკოფოვმა იცოდა, როგორ შესწყობოდა გუბერნატორებს ყველას და, როგორც შეძლებული კაცი, ყოველთვის წინ მიუძღოდა, თუ რამ დეპუტაცია იყო მოქალაქეთაგან მისაგზავნი ვისთანმე, ყველას აცინებდა თავის რუსულის ლაპარაკით და ამ რუსულის ოინბაზურ დამახინჯებით საწადელს ყოველთვის ეწეოდა, სახელდობ – მისი ნათქვამის დედააზრს სულმუდამ მიუხვდებოდენ, რათგან უსმენდენ ხოლმე. ერთხელ გუბერნატორი ბელიავსკი რაღაზედაც გაუწყრა სომეხ-კათოლიკეთ და ბრძანა მასთან გამოცხადებულიყვნენ. ბელიავსკი ყვიროდა—ნებას არავის მივსცემ აქ სხვადასხვა პარტიები იყოსო და სიტყვა „პარტია“ რამდენჯერმე განიმეორა თურმე. როცა ბელიავსკის გაუთავებია, ლაპარაკი დაეწყო აკოფოვს: „რა პარტიას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულესობავ, ჩვენ ასეთი პარტიებისა არაფერი ვიცით, თქვენო აღმატებულესობავ; პარტიას მხოლოდ მეოთხედ კაპიკობით ვთამაშობთ (ქაღალდის თამაშობაში)“.

ბელიავსკის ვერ გაეგო აკოფოვის პასუხი და ქართულათ ეკითხვინებინა,—რის თქმა უნდოდა. აღმოჩნდა, რომ აკოფოვი ვითომც ფიქრობდა, რომ გუბერნატორი სიტყვა „პარტია“-ს რომ ახსენებდა, ჰგულისხმობდა პრეფერანსის პარტიას და ვითომც სწყრება, სომეხ-კათოლიკენი როგორა ჰბედავენ პრეფერანსის თამაშობასო. გუბერნატორს, აკოფოვის კომიკურ-სერიოზულ სახეს რომ უყურებდა, ძალაუნებურად გაეცინა, ლაპარაკის კილო გამოიცვალა, მოუსმინა სომეხ-კათოლიკეთ, რაც სათქმელი ჰქონდათ, და გაიგო, რომ მას სომეხ-კათოლიკეთა წინააღმდეგ ამხედრებდა მექრთამე პოლიცმეისტერი, და ყველანი მშვიდობით გაუშვა. ხუმრობითი რეპლიკა აკოფოვისა ძალიან გამოდგა.

როგორც შეძლებულს კაცს, როგორც საჭირო იყო, ისე ჰქონდა სახლკარი მოწყობილი. შისი სახლი მთელს ქუთაისში ყველა სახლსა სჯობდა; სახლს ბაღიცა ჰქონდა და შიგ გამოდიოდა დიდი ვერანდა. მისი ცოლი ტფილისში იყო აღზრდილი, რუსულათ საუცხოვოდ ლაპარაკობდა და მეტად მოსიყვარულე დიასახლისის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მის სახლში ხშირათ იმართებოდა საღამოები და ამ საღამოებს თითქმის მთელი ქალაქი ესწრებოდა. დიდი მხია-

რულება იყო ხოლმე ამ საღამოებზე; ეს საღამოები მეტად გემრიელ-იმერულ ვახშმით თავდებოდა, აუარებელი ღვინო ისმებოდა როგორც კახური, ისე ევროპული. მასპინძლის თავაზიანობას და მისივე შეთხზულ რუსულ ლაპარაკის თავისებურ გონება-სიმახვილეს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთის სიტყვით, კათოლიკეთა უბანში აკოფოვი პირველ კაცად ითვლებოდა და ამ უბნის უსაზღვრო დესპოტი, მღვდელ დონ ანტონიოც კი პატივისცემით ეპყრობოდა. ეს მღვდელიც, გვარად გლახიაშვილი, ქუთაისში იყო დაბადებული, დიდსხანს ეცხოვრნა რომში, იქ თურმე სამღვდელოდ ემზადებოდა და პატერ-იეზუიტის ქცევა-მიმართულება ზედმიწევნით შეეთვისებინა. კათოლიკეთა უბანი შიშით კანკალებდა დონ ანტონიოს წინაშე, რათგან იქაური ქალები სიტყვა-შეუბრუნებლადა ჰყავდა დამორჩილებული, ყველას აშინებდა ჯოჯოხეთში ცოდვილთათვის განმზადებულ ყოველგვარ სატანჯველებით; ხოლო ქალების საშუალებით დონ ანტონიო ჰბატონობდა მამაკაცებზედაც. მეტის-მეტი ასკეტი რამ იყო, მისი ტანისამოსი „სევილიელ დალაქში“ დონ ბაზილიოს მოგაგონებდათ. საკანონოს განწესების დროს პირდაპირ შეუბრალებელი იყო და თითქმის საშუალო საუკუნოების ზომის საკანონოს უწესებდა ცოდვილთ. ხშირათ ნახავდით მა ; მიერ ზიარებისაგან განყენებულთ, რომელთაც რაღაც გასანთლული ქლამინდები ეცვათ, ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ და დაჩოქილნი ისე დაბობღავდენ ეკლესიაში; კარგახანს ამყოფებდა ასე მომნანიებელთ, სანამ არ შეუნდობდა. და ასეთი სასტიკი მოძღვარი ისე იყო აკოფოვის მიერ მორბილებული, რომ ნებას აძლევდა, თავისთანაც კი პრეფერანსი ეთამაშნა ცოტაზე.

კოლუბიაკინს აკოფოვი ტფილისში ჯერ მაშინ იცნობდა, როცა კოლუბიაკინი ჯერ ისევ დაბალის ხარისხის მოხელე იყო; მერე ვიცე-გუბერნატორობა მიიღო ქუთაისში, და როცა გუბერნატორად დანიშნეს, ორნივე ერთმანეთს დაუახლოვდენ როგორც ძველი, კარგი ნაცნობები. რაკი იცოდა კოლუბიაკინმა, მართლა რამდენათ კაი კაცი იყო აკოფოვი, თავისის სასტუმროს მუდმივ წევრად გახადა, სრულს თავისუფლებას აძლევდა მის უეშმაკო ოხუნჯობას, ხოლო საღამოობით იმართებოდა საყვარელი პრეფერანსი.

და აი ასეთს პრეფერანსს გარშემო უსხდენ ჩვეულებრივი მოთამაშენი, ამ თავის დასაწყისში რო მოვიხსენიეთ.

აკოფოვი უბრალო თხილის გულს ჩამოვიდა და ვისტიანები უსამოდ დასტოვა. ასტყდა საშინელი ხარხარი. ამ დროს უცბად გუბერნატორის სახლის ეზოში გაისმა საფოსტო ზარის წკარუნი, და

საფოსტო ურემი მძიმედ მიგორდა აივანთან. რაკი ზარი აკრული არ იყო, ადამიანს უნდა ეფიქრნა, რომ მომსვლელს ძალიან ეჩქარებოდა. პირველად ის ვიფიქრეთ—ტფილისიდან ხომ არ არის შიკრიკი, მეფის ნაცვლის მიერ გამოგზავნილი? მაგრამ გაიარა ერთმა წუთმა და ყველას გაგვიკვირდა, როცა კაბინეტში შემოვიდა გრძელ აჩეჩილ თმიანი, თეთრ ჩოხიანი, მტვრით დაფარული და ტალახის შხეფებით მოსვრილი კაცი, რომლის ცნობა ერთბაშად გაგვიჭირდა. ეს იყო მეგრელი თავადიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მიქაძე. მოსულმა კოლუბიაკინს გადასცა წერილი და დასძინა: „ეკატერინესაგან გახლავართო“.

ახსნა არა გვჭიროდა, ვიცოდით, რომ „ეკატერინე“ იყო—სამეგრელოს დედოფალი, უბრწყინვალესის დავით დადიანის მეუღლე.

წერილი მოკლე იყო. კოლუბიაკინმა ხელათ გადაჭკრა თვალი, დააგდო მაგიდაზე და გვითხრა: წაიკითხეთო. თვითონ სკამიდან წამოდგა, ეტყობოდა, შემკრთალი იყო. მივიდა მიქაძესთან და დაუწყო გამოკითხვა.

წერილის შინაარსი, დაახლოვებით, ასეთი იყო:

„სამეგრელო მთლათ აჯანყებულია,—იწერებოდა დედოფალი,—მე სრულებით არ შემიძლია თავი გავართვა. გლეხები სულ მთლად თავს გავიდენ; შეიარაღებული ბრბოები სრულებით არ გვემორჩილებიან. თუ ღმერთი გწამსთ, თქვენ თვითონ მომეშველენით. ნიკოლოზ პეტრეს ძევ, და თან წამოასხით, სულ უკანასკნელი, 500 ყაზახ-რუსი მაინც; მაშინ-ღა შემეძლება აჯანყება ჩავაქრო. ერთი წუთიც არ დაახანოთ. მე ქვაშხორში ვიმყოფები და ყველა მხრიდან აჯანყებულ გლეხები მარტყია. მიფარავენ ჩემი ერთგული თავადები.

ეკატერინე“.

მიქაძე დაღლილობისაგან ძლივას ლაპარაკობდა. ოცდაათიოდ ვერსის მანძილი ცხენის ჭენებით გამოუვლია (სამეგრელოში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საფოსტო სადგურები, რომლებიც ომერ-ფაშას შემოსევის დროს დაანგრიეს ოსმალებმა) და ქუთაისის გუბერნიაში რომ შემოსულა, საფოსტო სადგურზე საფოსტო ურემში ჩამჯდარიყო და ცხენებს დაუზოგავად მოერეკებოდა თურმე.

არ შეეძლო დალაგებით, გაბმით ეთქვა რამ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა... ის-ღა გავიგეთ, რომ აჯანყება ამ ექვსის თვის წინად დაწყებულა. დედოფალი იმ დროს პეტერბურგში იყო წასული იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის კურთხევაზე დასასწრებლად, იქიდან დაბრუნდა მაისში და ყოვლის ღონისძიებით შეე-

ცადა სამეგრელოში მშვიდობიანობა დაემყარებინა, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოთ ჩაუარა და აჯანყება საშინლათ მოედო იქაურობას. მემამულენი გლეხების ბრბოებს ემალებოდენ, რათგან გლეხები საცა მიასწრებდენ, შეუბრალებლად ექცეოდენ; თვითონ დედოფალს საშიშროება მოელოდდა და თავი შეეფარებინა თავის ნათესავთან მენიკი დადიანის ქალთან, ქვაშიხორში, და მასთან იმყოფებოდენ გრიგოლი და კონსტანტინე დადიანები, მის მიცვალებულ ქმრის, სამეგრელოს მთავრის, დავითის, ძმები.

უღმერთობა იქნებოდა ჩვენის მხრივ, დიდსხანს გაგვეჩერებინა დაღლილ-დაქანცული და დამშეული მიქაძე და ამბავი გამოგვეკითხნა, ამიტომ კოლუბიაკინმა უბრძანა სასადილოში ვახშამი მოეტანათ და მიქაძეც იქით წაიყვანინა, თვითონ კი ქალალდის სათამაშო მაგიდას მოუჯდა და მოგვმართა ამ კითხვით:

— აბა, ბატონებო, როგორა ჰფიქრობთ, მე რა უნდა ვქნა? თქვენი აზრი მინდა გავიგო და, აკოფოვო, შენგან ვიწყებ.

— ჩემი აზრი ის გახლავსთ,—დაიწყო აკოფოვმა,—რომ, ნიკოლოზ პეტრეს-ძევ, შენი საქმე არ არის ამ საქმეში ჩარევა.

— როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? მაშ ეს წერილი?

— რა წერილი, რის წერილი! შენ ქუთაისის გუბერნატორი ხარ, წერილი რას მიქვია!

— როგორ არ გესმის, ყაზახ-რუსებსა მთხოვს აჯანყებულთა წინაალმდეგ!..

— მერე სად არის აჯანყება?—სამეგრელოში. შენი რა საქმეა?! აიღოს და გაგარინს მისწეროს.

თავადი გაგარინი იმ დროს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო და დროებით სოხუმში იმყოფებოდა, ე. ი. სამეგრელოდან ოთხჯერ უფრო შორს იყო, ვიდრე ქუთაისი.

— შენ შეგეძლო ასეთი რჩევა მიგეცა მისთვის, იმასთან ქვაშხორში რომ ყოფილიყავ, და კარგსაც იზამდი, მაგრამ რაკი შენთვის რჩევა არ უკითხავს, ისე ჩემთან გამოგზავნა კაცი, აბა როგორ შემიძლია არ გავერიო საქმეში?

— ნიკოლოზ პეტრეს-ძევ, დედოფალი შენა გწერს და შენც, ნიკოლოზ პეტრეს-ძევ, შეუთვალე—გაგარინს მისწერე-თქო.

— შენ, ჩემო კარგო, მიჰქარავ. წარმოიდგინე, შენის მეზობლის სახლს ცეცხლი წაეკიდა და შველა გთხოვა. განა შეგიძლია უარის თქმა?

— ნიკოლოზ პეტრეს-ძევ, სხვის საქმეში ნუ ერევი, შენ ქუთაისის გუბერნატორი ხარ. რის სახლი, რის ცეცხლი,—ზე ჩემი სახ-

ლი ვიცი და ყურს ვუგდებ, ცეცხლი არ წაეკიდოს... შეზობელი რაში მედარდება, თუ ღმერთი გწამს; თუ მისს სახლს ცეცხლი უკიდია, ვცდილობ ჩემსას არა ევნოს რა.

— ადამიანო, გაიგე, ქალია, შველას რომ მთხოვს, თავტანი აქვს დაკარგული, უმწეოთაა დარჩენილი.

— შენც აიღე და გაგარინს მისწერე, ეკატერინეს წერილიც მასვე გაუგზავნე. ქალმა თავტანი დაჰკარგა-თქო... ისე მისწერე. შენ კი ნულარ წახვალ, დიდ უსიამოვნობას გადაეკიდები... რაც შენი საქმე არ არის, იმაში რაღათ ერევი, თუ ღმერთი გწამს... შენ ქუთაისის...

მაგრამ კოლუბიაკინმა სიტყვა არ გაათავებინა.

— გეყოფა, გეყოფა,— ვხედავ, რომ ჯორზე შეჯექ და იქიდან კაცი ვერ ჩამოგიყვანს... გმადლობ... თქვენა, ბატონებო, თქვენ რაღას იტყვით?—მოგვიბრუნდა თავად ერისთავს და მე.

ჩვენი აზრი ის იყო, რომ გადაუდებლივ მივშველებოდით დედოფალს, რომ თვითონ ნიკოლოზ პეტრეს-ძე კოლუბიაკინი წასულიყო მასთან, და, რა თქმა უნდა, ეს ამბავი იფრინდას საშუალებით გაგარინისა და მეფის ნაცვლისათვის ეცნობებინა.

კოლიუბიაკინიც ამასვე აპირებდა. ჩვენ გული-გულში ვეთანხმებოდით კოლუბიაკინს, თუმცა არც იმას უარვყოფდით, რომ აკოფოვის სიტყვებში პრაკტიკული მოსაზრება იყო, და, როგორც შემდეგში გამოირკვა, მისი მოსაზრება წინდახედულებასაც არ ყოფილა მოკლებული.

ამგვარად, გადაწყვეტილი იყო წასვლა.

მაშინათვე კაცი გავუგზავნეთ ვიცე-გუბერნატორს ივ. მ. იურჩენკოს და ყაზახთა ლეგიონის კომანდირს ბოლდირევს. ერთს საათში წასასვლელად საჭირო მზადება დასრულებული იყო, კოლუბიაკინმა გაიყოლა თავადი ერისთავი და მიქაძე, რომელიც ძლივას გააღვიძეს (ვახშამს შემდეგ დაღლილობისაგან მოცელილივით დაეცა და მკვდრის ძილით ჩაეძინა), და რამდენიმე ასეულ ყაზახრუსის თანხლებით გაექანა სამეგრელოში.

გუბერნატორის სახლის შესავალთან, ჩემთან გამოთხოვების დროს, აკოფოვმა ჯიბიდან საბურნუთე ამოიღო, ცხვირი ბურნუთით გაიტენა და მითხრა:

„ტყუილად ერევა... მისი საქმე არ არის, ნახავ, თუ არა. ეს ქუთაისის გუბერნატორია!“ და ერთმანერთს გავშორდით კიდეცა.

მაგრამ სანამ კოლუბიაკინს მივყვებოდეთ, მოდით, მკითხველთ გავაცნოთ ის გარემოება, რომელიც წინ უძღოდა სამეგრელოს

აჯანყებას, და აგრეთვე დედოფლისა და კოლუბიაკინის პიროვნება, და მაშინ ამ მკითხველთათვის გასაგები იქნება მთავრობის შემდგომი მოქმედებანი, ამ ამბით გამოწვეული.

თავად ალექსანდრე გარსევანის ძეს ჭავჭავაძის მეორე ქალი, ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა, სწორედ ისეთსავე პირობებში იყო აღზრდილი, როგორშიაც იზრდებოდენ მაშინ საზოგადოთ ყველა მდიდარი და სახელოვანი ოჯახები რუს თავად-აზნაურობისა. მუსიკა, სიმღერა, ხატვა, ფრანგული ენა და ცეკვა შეადგენდა მაშინდელ მაღალ საზოგადოების გასათხოვარ ქალის ცოდნისა და ტალანტის ენციკლოპედიას, ხოლო გარეგნობა მისს განათლებას, ცოტათ თუ ბევრათ, ფასსა მატებდა და იერს აძლევდა. მისი უფროსი დაჲ უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, რაც ქვრივად დარჩა ჩვენს სახელოვანს გრიბოედოვს, და ახლა თავის მოხუცებულ დედის მაგივრობა გაუწია თავისს დას და საზოგადოებაში გამოჰყავდა. ორივე კალმით დახატულნი ლამაზები იყვნენ და თავბრუსა ჰხვევდენ ტფილისის მაშინდელ ახალგაზრდობას; ეს ახალგაზრდობა უმეტესად შესდგებოდა ჭაბუკებისაგან, რომელნიც პეტერბურგიდან კავკასიაში მოისწრაფოდენ კარიერის გასაკეთებლად და რომელნიც ატარებდენ დიდ არისტოკრატულ გვარებს. თვით გრიბოედოვი, როგორც უკვე ვსთქვით, თავისს მეუღლეს „მადონნას“ ეძახდა იმ არაამქვეყნიურ სახიერებისა და სიმშვიდის გამო, ნინო ალექსანდრეს ასულის საუცხოვო თვალებში რომ გამოიხატებოდა. მის გვერდით იყო სულ მოწინააღმდეგე მშვენიერება—მისი დაჲ, რომელშიაც განხორციელებული იყო მხიარულება, სიფიცხლე, გონების სიმახვილე და თან თვალები ენთებოდა ცეცხლით და მათს მაყურებელს გულში იმედი ესახებოდა, რომ ეს ქალი მომავალში მთლიან ხასიათის პატრონად გადაიქცეოდა. და აჰა, როდესაც იმ თაყვანისმცემელთა შორის, რომელნიც გარს ეხვივნენ ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, წინ წამოდგა ისეთი საქმრო, როგორიც იყო დავით დადიანი, სხვები ყველანი უკან დადგნენ. მშობლები ერთს წუთსაც არ შეყოყმანებულან თავისი ქალი მიეცათ დავითისათვის, და იმანაც მალე სამუდამოთ წაიყვანა სამეგრელოში.

მართალია, უკეთეს ქმრის ნატრიც-კი არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც დედმამის ოჯახისა და ტფილისისათვის თავის დანებება და სამეგრელოში წასვლა ეკატერინესათვის უფრო ძნელი იყო, ვიდრე რომელიმე მაშინდელ ლამაზ ქალისათვის, რომელიც თავის სილამაზით თავბრუსა ხვევდა პეტერბურგის მაღალ საზოგადოებას, ხმაურიან და ჩოჩქოლიან სატახტო ქალაქიდან სადმე მიყრუებულ

პროვინციალურ ქალაქში გადასვლა იქნებოდა. ახალგაზდა დედოფალი იძულებული იყო სრულებით ახალის ცხოვრებით ეცხოვრნა, გაეჩინა თავისებური, ალაგობრივი ინტერესები და საზრუნავები, რასაც მის წარსულ ცხოვრებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ან და თავისთვის შეექმნა საკუთარი ცხოვრება, ცხოვრება ხელოვნური.

დავით დადიანი საქმის კაცი იყო, ჯერ სიევ მამის სიცოცხლეშივე მართავდა სამთავროს საქმეებსა, გულმოდგინეთ ჩაფლული იყო პრაკტიკულს საქმიანობაში და ცდილობდა თავის მამულებისათვის უფრო მეტი მიემატებინა. დილითგან საღამომდე საქმეებში იყო გართული, შეჩვეული იყო თვითონ პირადად ეკეთებინა ყველაფერი, არ უყვარდა თავის საქმეებში სხვა ვინმე ჩაერევნა, და მით უფრო უცნაურად ეჩვენებოდა ასეთს საქმეში ახალგაზდა ცოლისათვის ეთხოვნა მონაწილეობის მიღება, და ამიტომ ეკატერინეს მიანდო ყურისგდება თავის ზუგდიდის ბაღისა, რომლისათვის ხარჯი არ ეზოგებოდა. ეკატერინემ ხალისიანად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. საზღვარგარეთიდან სწავლული მებაღე გამოიწერეს. იშვიათ ხეების წიდნები და ყვავილების თესლი მილანიდან მოსდიოდათ. სამეგრელოს ბუნებამა და ჰავამ ხელი შეუწყო დედოფლის ცდას და ათის წლის განმავლობაში ისეთი საუცხოვო ბაღი გაიჩინა, რომლის მსგავსი არც მანამდე ⁄ ალარც მერე ყოფილა ა/კავკასიაში. დიდფოთლება მოგნოლიები, ბიგონიები, პაულონიები, მიმოზები, კვიპაროზები, ოლეანდრეები უშველებელის სიდიდისა გაიზარდა და ამ ხეებისა მთელი ხეივნები შეიქმნა. ბაღთან იყო საუცხოვო სათბური და საგრუნტე ფარდულები, სადაც 500-ზე მეტი ხე იყო ფორთოხლისა, ლიმონისა, პაპელმოსისა, ბანანებისა და სხვა იშვიათ ხეხილისა. მაგრამ განსაკუთრებით კარგი იყო საყვავილე განყოფილება: დათვლაც კი სჭირდა ათასნაირ ვარდებისა, ზოგიერთი მათგანი ორის მეტრის სიმაღლე გაიზარდა; მრავალფეროვანი იყო აგრეთვე კამელიების კოლექცია. ერთის სიტყვით, ზუგდიდის ბაღი ყოვლის მხრით შესანიშნავი იყო და ⁄ მიერ-კავკასიაში მისი ბადალი არ მოიძებნებოდა. მის მეზობლად პარკი იყო გაშენებული, სადაც ნახავდით აუარებელ მშვლებს, ირმებს და ქურციკებს, რომლებიც ვორონცოვის მამულიდან იყო მოყვანილი, ყირიმიდან. ესენი კაცის დაძახებაზე მოდიოდენ და ხელით შეიძლებოდა მათი დაპურება.

რა თქმა უნდა, მარტო მებაღეობას არ უნდებოდა ზრუნვა და ფიქრი დედოფლისა; ბაღი მისთვის მეორეხარისხოვანი საქმე იყო. მისთვის უმთავრესი იყო —პატარა შვილები, რომლებიც, საუბედუროთ, ერთავად ავადმყოფობდენ. სამი მათგანი უკვე ბიწას ბია-

ბარა. ბავშვების სიკვდილი მისს ნირშეუცვლელ ცხოვრებაში მეტად აწუხებდა ეკატერინეს და ერთად-ერთ ნუგეშსა ჰპოვებდა იმაში, თუ ათასში ერთხელ ტფილისში ჩავიდოდა და თავისს მშობლებს ინახულებდა ან თუ ესენი ხანდახან მის სანახავად ჩამოვიდოდენ ზუგდიდში. ერთგულ მეგობრადა ჰყავდა დაჲ ნინო გრიბოედოვისა, რომელიც ხშირათ მოდიოდა მასთან სტუმრად. მაგრამ თვით ქმრის სახლში ყველანი, გარდა მოხუც და გულკეთილ სიმამრ ლევანისა, რომელიც ძალიან ეფერებოდა თავისს რძალს, ეკატერინესათვის ყველანი უცხონი იყვნენ.

1846 წელს ლევანი გადაიცვალა და მაშინ დავითმა პეტერბურგიდან დაიბარა თავისი ძმები გრიგოლი და კონსტანტინე. პირველი მათგანი გვარდიის პოლკოვნიკი იყო და ცოლადა ჰყავდა დედოფალი ალაქსანდრა თეოდორეს ასულის ფრეილინა, თავადის ასული ტერეზია მამიას ასული გურიელისა, სმოლნის ინსტიტუტში ნასწავლი. რძლებს საერთო არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან—არც ხასიათით და არც აზრ-შეხედულებით. და ამიტომ ერთმანერთს ვერ დაუახლოვდნენ, ხოლო ქალურმა თავმოყვარეობამ და სხვა წვრილმანმა ჭორიკანობამ მათს შორის დაჰბადა ის გრძნობა, რომელშიაც უნდა ვეძებოთ მიზეზი ერთმანერთთან ჯერ ცივისა ტ, შემდეგში პირდაპირ მტრულის განწყობილებისა გრიგოლსა და დედოფალ ეკატერინეს შუა. დავითი-კი, პირიქით, კეთილად განწყობილი იყო გრიგოლსა და ტერეზიას მიმართ და ცდილობდა თავისი ძმა თავისს საქმეებში ჩაეხედვინებინა და თავის თანაშემწედ მოემზადებინა. კონსტანტინეს პაჟთა კორპუსში ჰქონდა სწავლა მიღებული. ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, მხიარული, მოყვარული მონადირეობისა, აქაურ ლხინისა და ცეკვა-თამაშისა. ზუგდიდი გააცოცხლა, გაამხიარულა, და იმას რომ უყურებდა, დედოფალს აგონდებოდა ის წრე, რომელშიაც გაეტარებინა თავისი ახალგაზრდობა. დავითს ფული არ ეზოგებოდა მის ჩაცმა-დახურვისათვის, ტანისამოსს ოდესიდან აბარებინებდა მისთვის, სასახლე მშვენივრად მორთო. მის სურვილის თანახმად შეადგინა ამალა, რომელშიაც უმთავრესად შედიოდა დიდის გვარის მეგრელი ახალგაზრდობა. მაგრამ მიუხედავად ყოველისავე ამისა დავითი უფრო და უფრო ერიდებოდა ყოველგვარ გართობას და ამბობდენ კიდეცა, რაღაც მიზეზით შესამჩნევად აიცრუვა გული თავის ცოლზედავო. გარეგნულათ დავითი მშვიდი და წყნარი კაცი იყო. იცოდა თავის დაჭერა, მაგრამ სამეგრელოს მართვა-გამგეობის რთულს საქმეში მარტოდ-მარტო იყო დარჩენილი. დავით ნათლადა ჰხედავდა, რომ მალე, საქმეთა მიმდინარეობის წყალობით,

აუცილებელი იქნებოდა სამეგრელოს ავტონომიურის მდგომარეობის გაუქმება, და რაკი წინდაწინვე ხედავდა საქმის ასე დამთავრებას, მთელი მისი ზრუნვა და მეცადინეობა იმისკენ იყო მიმართული, რომ თავისი ქონებრივი ინტერესები ისე მოეწყო, მისი ოჯახი რაც შეიძლება კარგათ ყოფილიყო უზრუნველყოფილი მომავალში.

თავის სამთავროში დავით დადიანი სრული და უკონტროლო ბატონ-პატრონი იყო, იგი იყო კანონმდებელიცა, მოსამართლეცა და და აღმსრულებელი ხელისუფლებაცა. ხელისუფლების ასეთის ატრიბუტებით აღჭურვილი თავის მამულების გასაფართოებლად არაფრად აგდებდა თვისთა ქვეშევრდომთა ქონებრივს ინტერესებს და ყოველს თავისს მოქმედებას კანონიერების ხასიათს აძლევდა. მთავრის ასეთს საქციელს არ შეეძლო არ გამოეწვია დრტვინვა, უკმაყოფილება და თვით სიძულვილიც მცხოვრებთა უმაღლეს კლასისა და განსაკუთრებით დადიანების გვარის თავადიშვილებისა, დავითის შორეულ ნათესავებისა, მსხვილ ვასალებისა, დიდის მამულების პატრონებისა, რომელთაც მისნი წინამოადგილე მთავარნი ცოტა რასმე ყოველთვის უთმობდენ და ცდილობდენ მომადლიერებული ჰყოლოდათ. დავითმა იცოდა, რომ თავის მოქმედებით იგი ამზადებდა საშინელს ინტრიგას თავის წინააღმდეგ, გაუწყნარებლივ მოელოდდა მალულ შურისძიებას, ამიტომ უფრო და უფრო ეჭვიანი, პირქუში და გულჩათხრობილი ხდებოდა. მისმა ბუნებამ ვერ გაუძლო ნერვიული სისტემის ესეთს მუდმივს დაძაგვრას: შემოეჩვია ავადმყოფობა, მკურნალობდა მეტად გულაცრუებულად და, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ვაჟკაცი, 41 წლისა, გარდაიცვალა 1853 წლის მარიამობისთვეში, სწორეთ იმ წუთას, როცა რუსეთის თავზე მომავლის ომის შავი ღრუბლები იგრაგნებოდა. მაშინდელი გარემოების წყალობით ომი აუცილებელი იყო და პირველად ეს ომი უნდა ატეხილიყო სამეგრელოს მეზობლად.

დედოფალი, როგორცა ვსთქვით, დაქვრივდა და გასაზრდელი შერჩა ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი. და ამ წუთიდან მოკიდებული 1856 წლის მარტამდე, ე. ი. ორის წლისა და-რვა თვის განმავლობაში ეკატერინე, რომელიც სრულებით არ მზადებულა იმ მოღვაწეობისათვის, ახლა შემთხვევით რომ ხვდა წილად, იძულებული შეიქმნა, თავის შვილების ქონებრივის ინტერესებისათვის სამეგრელოს მართვა-გამგეობის საქმეს გასძღოლოდა, იმ სამეგრელოსი, სადაც მოქალაქებრივობის ერთად-ერთ საფუძვლად ჯერ-ჯერობით იყო რაღაც დრომოჭმული ადათი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ითელებოდა მაღალი წოდების თვითნებობითა, იმ წოდებისა, რომელიც

ჯერ კიდევ ნახევრად ქოჩათმავლურს ცხოვრებას ეწეოდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ეს მხარე იძულებული იყო განეცადნა მთელი სიმწარე ომიანობისა და უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში მტრად გადაკიდებულ ოსმალეთის 30-ათასიან ჯარს ხელში დაჭერილი ჰყოლოდა.

საქმის ამგვარ გართულების დროს თვით ნათელ და დამშვიდებულ გონების პატრონ ადმინისტრატორს, მრავალწლის გამოცდილებით აღჭურვილსაც-კი გაუჭირდებოდა გაჭირვებულ მდგომარეობისათვის თავის დაღწევა; საეჭვოა, თვით დედოფლის მეუღლის გამოცდილ ხელსაც-კი შესძლებოდა რამე გაეკეთებინა, ამიტომ არამცთუ ცოდვა, უცნაურიც იქნებოდა ადამიანს საყვედურის ღირსად გაეხადნა მოქმედებანი ქალისა, რომელიც შემთხვევით გახდა სამეგრელოს მმართველად ასეთს გაჭირვებულ ჟამს.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭო, რომელიც ეკატერინეს დაენიშნა დახმარებისათვის ქვეყნის მართვის საქმეში, არამცთუ არ ეხმარებოდა, პირიქით ათასგვარ უსიამოვნების წყაროდ იყო. ამ საბჭოს წევრები მთავრის ძმები გრიგოლი და კონსტანტინე განუწყვეტლივ ერთმანეთს ეჩხუბებოდენ და მთელი მათი დრო ერთმანერთის წინააღმდეგ ათასგვარ ჭორების შეთხზვაში მიდიოდა, ხოლო გრიგოლი დედოფლის წინააღმდეგაც არ ერიდებოდა ამ ჭორებს. ძმის სიკვდილის შემდეგ გრიგოლს იმედი ჰქონდა, მთავრად მე ვიქნებიო, და რაკი იმედი გაუცრუვდა, გული-გულში ვერ თანაუგრძნობდა ქალს, რომელმაც მისი ადგილი დაიჭირა. ჭყონდიდელი თეოფანე საბჭოში სრულებით უხმო პიროვნებად იყო.

სამეგრელოში ომერ-ფაშის გათარეშების ამბავი მკითხველს ამ წიგნის პირველ თავებში აქვს გაცნობილი. ეკატერინე წაეჩხუბა თავადს ივ. მუხრანბატონს, რომელიც მისგან მოითხოვდა სამეგრელოდან გასულიყო იმის შემდეგ, რაც თვითონ მუხრანბატონმა თავის გურულთა რაზმით ქუთაისის გუბერნიაში დაიხია. ეკატერინე სამეგრელოდან არ გავიდა, ოჯახი სამეგრელოს მთაადგილებში, ლეჩხუმში, გადაიყვანა და იქ მანამდე დარჩა, სანამ ყარსი არ იქმნა აღებული და სანამ არ გაიგო, რომ ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში თავადი ვ. ო. ბებუთოვი მოდიოდა.

იმ დროიდან რამდენიმე წერილი შემრჩა დედოფლისა; აქ ერთს გადმოვსწერ, რომელიც ცხოვლად ხატავს სამეგრელოს მაშინდელ მდგომარეობას.

„...ეს მესამე დღეა, ნოქალაქევში ვარ; წყალდიდობის გამო ადგილიდან ვერ დაძრულვარ. დღეს ქვაშიხორში მივდივარ და იქ დავუცდი თავ. ბებუთოვს; როგორც მითხრეს, კიდეც ჩამოსულა ქუთაისში; მერე წავალ ზუგდიდში და კაცს გამოგიგზავნით და შემოგითვლით, ჯერხანათ გორდში გადმოხვიდეთ.

„ომერ-ფაშა ჯერ ძალიან წყნარად მოდის*). ჩვენი ჯარები მდინარეზე ვერ გადაიყვანეს. როგორც მოგეხსენებათ, თავ. მუხრან-ბატონმა ყველაფერს ადრევე წაუკიდა ცეცხლი. სამეგრელოში აღარც ხიდებია სადმე და აღარც ნავები. ახლა თვითონ წავიდა და თან წაიღო 500 შტუცერი**), გაიყოლია იმერელთა და მეგრელთა მილიცია, აგრეთვე დონისა და სახაზო ყაზახრუსები. თავის მოქმედებას პარტიზანულ ბრძოლას უწოდებს, მაგრამ გარწმუნებთ, მტერს იმდენსავე დააკლებს, რამდენსაც თქვენ დააკლებთ ცაგერიდან. ეს კია, რომ სამეგრელოს საშინლად ანგრევენ და ანადგურებენ. 9,000-მდე კაცი ეყოლება და წარმოიდგინეთ, აღარც პროვიანტი აქვსთ და აღარც ფურაჟი, ყველაფერი მეგრელების კისრიდან უნდა ამოვიდეს. გული მიკვდებოდა, როცა მცხოვრებნი ტირილითა და გოდებით უვარდებოდენ ჩემს ცხენს ფეხებში. პირდაპირ საშინელება ხდება აქ. მუხრან-ბატონს სრულებით თავტანი დაეკარგა. დიდ ბედნიერებად მიმაჩნია, რომ გავიგე, ბებუთოვი ჩამოდისო“.

თავად ბებუთოვს გურულთა რაზმის უფროსობა რომ მისცეს და ივ. მუხრანბატონის მაგიერ გენერალი ვაგნერი რომ დანიშნეს, ეკატერინე თვითონ მეგრელთა მილიციას გაუძღვა და მონაწილეობა მიიღო რამდენსამე პარტიზანულ ლაშქრობაში ოსმალების წინააღმდეგ. ნაბადი ჰქონდა მოსხმული, თავი ყაბალახით წაკრული, თან ახლდა თავისი პირადი ამალა შინაყმებისა, ცხენზე შემჯდარი მტრის ტყვიას უშვერდა გულს და მისი ზუზუნი ხშირად ესმოდა. ამით მხოლოთ ის უნდა დაემტკიცებინა, რომ მეგრელთა მილიცია სხვა მილიციებს არ ჩამორჩებოდა მტრის დევნაში და ამით თავიდან მოეხსნა უმართლო საყვედურები რაზმის წინანდელ უფროსისა.

ეკატერინემ საერთოთ, ომერ-ფაშის შემოსევის დროს თავის მოქმედებით სავსებით დაიმსახურა რუს ისტორიულ პირის მნიშვნელობა. როცა ოსმალეთის მთავარსარდალმა და მასთან მყოფ ინგ-

*) ამ დროს ომერ-ფაშამ თავის კორპუსიანათ მდ. ცხენისწყლიდან უკან რედუტ-კალესკენ (ყულევისაკენ) დაიწყო დახევა.

**) სისტემაა თოფისა.

ლისისა და საფრანგეთის დიპლომატურმა აგენტებმა წინადადება მისცეს—ჩამობრძანდით ზუგდიდში და ჩაიბარეთ მართვა-გამგეობა სამეგრელოსი, რომელიც ევროპის სახელმწიფოებმა სრულიად დამოუკიდებლად უნდა აღიარონო, ეკატერინემ პასუხიც კი არ გასცა, რითაც დაამტკიცა, რომ ასეთი წინადადება მისთვის შეურაცხყოფი იყო. სხვაფრივ არც შეეძლო მოქცეულიყო: ის დაბადებით ეკუთვნოდა ჭავჭავაძიანთა გვარს, სადაც მოღალატეობა არ თქმულა და არ გაგონილა. მეტად მძიმე წუთები განიცადა დედოფალმა, და ამ წუთებში ყველა მხრითგან მის გარშემომყოფთაგან დრტვინვა ესმოდა, ყველანი ჰყვედრიდენ—რატომ არ მობრძანდებით ზუგდიდშიო, მაგრამ იგი ერთ წუთსაც არ შეყოყმეტულა. ისმალოს ჯარის შემოსევის დროს დედოფალსა და მისს შვილებს ძე არ მოშორებივარ და ყოველივე ამის ცოცხალი მოწამე ვიყავ, ყოველივე საკუთრის თვალებითა ვნახევი. მაგრამ შემდეგში ბევრისაგან გამიგონია ზღაპრები, ვითომც დედოფალს მოღალატური კავშირი ჰქონოდა ომერ-ფაშასთანაო. ამ უსაფუძვლო ცილისწამების წყარო უნდა ვეძიოთ იმ ცრუ ცნობებში, რომლებიც ჯაშუშებს მოჰქონდათ გურულთა რაზმის შტაბში, თავი რომ მიანება სამეგრელოს და მის საზღვარზე, ხონში, გაჩერდა. მაგრამ ყარსის აღების შემდეგ დედოფალი მეგრელთა მილიციის მეთაურად რომ დაინახეს, ეს მითქმა-მოთქმა და ჭორებიც მიყუჩდა და გაიფანტა.

1856 წლის მარტში პარიზში ზავი შეიკრა. ახალის ხელმწიფობის პირველი აკტი იყო—ხელმწიფის კურთხევა, რომელზედაც მიწვეული იყო დედოფალიც.

წასვლის წინ სამეგრელოს მართვა-გამგეობა ეკატერინემ ჩააბარა თავის მაზლს გრიგოლს, რომელთანაც მეტად გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა. ომერ-ფაშას შემოსევის დროს გრიგოლი გურულთა რაზმში იმყოფებოდა და აქ ყველაზე მეტად ცდილობდა დედოფლის წინააღმდეგ ემოქმედნა. როცა, მუხრანბატონის წასვლის შემდეგ, გრიგოლი და ეკატერინე ერთმანერთს შეხვდენ, მათს შორის გაიმართა ერთი იმ მელოდრამატულ სცენათაგანი, რომელიც არაერთხელ გამეორებულა: გრიგოლი ხატზე ეფიცებოდა, ყველაფერი მომიგონეს მტრებმაო, სტიროდა და არწმუნებდა, შენი ერთგული ვარო; დედოფალმა საშინელი საყვედურებით აავსო და ისიცა სტიროდა. და ყოველივე ეს, როგორც კვლავ ყოფილა, იმითი გათავდა, რომ გარეგნულათ შერიგდენ, ამ შერიგებისა ყველაზე ნაკლებ ამათა სჯეროდათ. ამიტომ ყოველ ასეთს მელოდრამას მოსდევდა ხელახალი ერთმანერთის ზვერვა, და ჰგროვდებოდა ახალი მასალა ახალის შეჯახებისათვის.

ასეთის ურთიერთობის დროს მეტად საჩოთირო იყო კითხვა სამეგრელოს მართვაგამგეობის გადაცემისა გრიგოლისათვის. თუ გადაცემა იქნებოდა, ისევ დედოფალს უნდა გადაეცა მისთვის მთავრის ყველა უფლებანი, რამე განსაკუთრებული ინსტრუქციები არ უნდა მიეცა, მისთვისვე უნდა დაემორჩილებინა ძმა კონსტანტინე, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ანუ ბოქაულთუხუცესის თანამდებობას ასრულებდა. რაკი გრიგოლს არ ენდობოდა, ვერც ასეთს ძალა-უფლებას მიანდობდა. და ასეთს ფორმით კიდეც რომ არ გადაეცა, შელახავდა მისს თავმოყვარეობას და ისედაც გამწვავებულ ურთიერთობას უარესად გაამწვავებდა. დედოფალს თავისი ტალეირანიცა ჰყავდა—მისი მდივანი თავადი ირაკლი იოსების-ძე ლორთქიფანიძე და იმას მიანდო შეედგინა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო მართვა-გამგეობის დროებით გადაცემის აქტი. ლორთქიფანიძემ მთელი თავისი დიპლომატური ნიჭი მოიხმარა, ძალზე იგულისმოდგინა, რა თქმა უნდა, დედოფლის სასარგებლოდ, და დასწერა ისეთ ნაირად, რომ გრიგოლს თითქოს სრულის მართვა-გამგეობის უფლება ეძლეოდა და ნამდვილად კი უბრალო ავტომატად ხდებოდა. ყოველ ახალ შემთხვევისათვის ევალებოდა ინსტრუქციის ახალის მუხლის შესრულება, ასე რომ მისი საკუთარი ინიციატივა ამ აუარებელ მუხლების გროვაში იფლობოდა. კონსტანტინეს კი, პირიქით, ფართეთ და დამოუკიდებელათ შეეძლო ემოქმედნა; ამ ძმებთან ერთად, მთავრის საუფლისწულო მამულების მთავარმმართველი ანუ სახლთუხუცესი თავადი ჩიქოვანი არსებითად არცერთს ძმას არ ემორჩილებოდა და დედოფლის იქარყოფნაში თითქმის მთავარ პიროვნებად ხდებოდა იმ დავალებით, რომელიც მას ეკისრებოდა, სახელდობ: რაც შეიძლებოდა, ენერგიულად მოეკიდნა ხელი ომისაგან მთავრის აოხრებულ ქონების აღსადგენად, აეკრიფნა დაგროვილი გადაუხდელი გადასახადები, და რათგან ზუგდიდში ჯერ დაბინავება არ შეიძლებოდა,—ისკანდერ-ფაშამ დედოფლის სასახლე გადააწვევინა და ზუგდიდის ბაღი სულ ერთიანად გადააჭრევინა,—პეტერბურგიდან დედოფლის დაბრუნების დროისთვის შეეკეთებინა სალხინოს სასახლე. როცა ლორთქიფანიძე თავისს მემორანდუმს უდგენდა, ალბათ, იმასვე განიცდიდა, რასაც განიცდიდა ტალეირანი ვენის კონგრესზე. ამ კილოებგამობმულ ნაწარმოებს რომ უსმენდა, გრიგოლმა განგებ დიდი კმაყოფილება დაიმჩნია სახეზე, ხოლო დედოფალმა ამ სიგელს ხელი მოაწერა, გადასცა გრიგოლს, გულამოსკვნითა სტიროდა, და პეტერბურგს გაემგზავრა.

პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც ეკატერინე თავის სიცოცხლეში პირველად იყო, ნამდვილი აპოთეოზი, მოელოდდა. ღვთივგანსვენებული იმპერატორი და იმპერატრიცა, რომელნიც თავიანთს დიდებულის მეფობას იწყებდენ და რომელნიც მთელის რუსეთის ხალხისათვის დაუვიწყარ გულკეთილობით ბრწყინავდენ, ეკატერინე და მისი შვილები ალერსითა და მოწყალებით აავსეს. თვითონ დედოფალი და მისი ამალა საუცხოვო სანახავნი იყვნენ. 37 წლისას კიდევ შერჩენილი ჰქონდა თავის სილამაზის შუქმფენარობა, საუცხოვო და თავისებური ტანისამოსი (რომელიც გამოხატულია აქ დართულ სურათზე), კალმით დახატულ სილამაზის ვაჟები და ქალი, გარშემოხვეული საპატიო და მეტად ლამაზის სახის მეგრელ თავადებით,— დედოფალი მეტად კარგი საყურებელი იყო; მისსავე გვერდით ყველანი ხედავდენ მისს საუცხოვო დას, გრიბოედოვის ქვრივს, მთელის რუსეთის საზოგადოებისათვის ძვირფასს იმ გვარის გამო. რომელსაც ის ატარებდა. თუ ოდესღაც ახალგაზდობაში ეკატერინე ჰხიბლავდა ტფილისის საზოგადოებას, აქ, პეტერბურგში, უმეტესის სიძლიერით მოჰხიბლა აქაური საზოგადოება. ყველანი აღტაცებულნი იყვნენ სამეგრელოს დედოფლის, მისის დის, შვილისა და ამალის ყურებით.

ხელმწიფის გვირგვინის კურთხევაზე, სადაც ეკატერინეს ერთი პირველ ადგილთაგანი ეჭირა, როგორც სამეფო პიროვნებას, სტატსდამას და წმ. ეკატერინეს ორდენის 1-ელ ხარისხის კავალერ-დამას, ყურადღება მიიბყრო ყველა ჩამოსულ სამეფო პირთა და დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა. ერთი-მეორეს გადასცემდა წარსულ ომის დროს მის გმირულ მოქმედების ამბავს და ყველანი ისწრაფვოდენ ღირსნი გამხდარიყვნენ მის წინაშე წარდგინებისა. სხვა წყალობათა შორის, ხელმწიფემ უბოძა თავის საკუთარ ხელიდგან წარსულ ომის მოსაგონებლად მედალი წმიდა გიორგისა ბაბთაზე დაკიდებული, და მგონი ქალთაგანი სხვა არავინა ყოფილან ამ ნიშნის კავალერად. განსაკუთრებით თავის გაოცებას გამოჰხატავდა და ეკატერინეს წინაშე მუხლს იდრეკდა მაშინდელი ცნობილი ევროპელი ტუზი, უსაზღვრო მდიდარი, ისპანელი ელჩი ჰერცოგი დ'ოსუნა, რომელიც მალე მის მუდმივ სტუმრად და კავალრად იქცა. დ'ოსუნას ყველაზე მეტად აღტაცებასა ჰგვრიდა ის ფაქტი, რომ ქალი, რომელიც შემკული იყო ესდენის სამეფო დიდებულებით, სიმშვენიერით, ჭკუით, წმინდა ქალურის სინაზით და სინარნარით, არავითარს გასაჭირს უფრთხოდა, და ნაბადმოსხმული და ყაბალახით თავწაკრული წინ მიუძღოდა თავის მილიციას ოსმალებთან ომში.

ეკატერინე მოაგონებდა პოეტურ რაინდულ ეპიზოდებით სავსე მის სამშობლო ისტორიის საშუალო საუკუნეთა ერთ-ერთ ლეგენდარულ მებრძოლს.

კორონაციის შემდეგ, ხელმწიფემ ეკატერინე პეტერბურგში მიიწვია, იქ სტუმრად დაანარჩუნა, და იმანაც 1857 წლის მთელი ზამთარი და გაზაფხული იქ გაატარა და იქვე დაიბარა სამეგრელოდან თავადი კონსტანტინე. დღეობა დღეობას მისდევდა. უავგუსტოესი მეუღლენი წყალობას არ იშურებდენ ეკატერინესა და მის შვილებისადმი. მის უფროს ვაჟს, ნიკოლოზს, ათის წლის მთავარს, უკვე ლეიბ-ყაზახთა ლეგიონის ოფიცერს, ფლიგელ-ადიუტანტობა ებოძა, ქალს სალომეს—ფრეილინობა, და ამათ ნიადაგ ჰპატიჟობდენ სათამაშოდ სასახლეში ხელმწიფის ბავშვებთან, რომელთაც ძალიან შეუყვარდათ კიდეცა.

და იმ დროს, როცა ეკატერინეს პეტერბურგში ყველაფერი ასე ულიმოდა, თვით სამეგრელოში დაიწყო მეტად არასასიკეთო საქმე, და ეს საქმე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთს შემთხვევებში, სულ უბრალო რასმე აჰყვა.

მთავრის მამულების მმართველი, სახლთუხუცესი თავადი დავით ჩიქოვანი, გულმოდგინეთ შეუდგა ამ სამეურნეო პროგრამის შესრულებას, რომელიც ეკატერინემ დაუტოვა, და თავგამოდებით ცდილობდა სალხინოს სასახლე გადაეკეთებინა. თავისი საუფლისწულო უწყება განსვენებულს მთავარს დავითს დადიანს დიდის ცოდნითა და მოხერხებითა ჰქონდა მოწყობილი; ეს ხალხისათვის მეტად საძულველი და მის დასაბეგრავად მოწყობილი აპარატი მეტისმეტ ოსტატურათ და დაჟინებით მოქმედებდა და ყოველსავე ამასთან სამუშაო ბეგარა საერთო ბეგრის მუდმივ სტატიად რჩებოდა, მეტად სათაკილო რამ იყო და გლეხთა დრტკინვას იწვევდა. ყველა გლეხს, რომელსაც მებატონე დავით მთავარი თავისს სასახლეში დაუძახებდა საბატონო სამუშაოზედ, მებატონე, ადათის ძალით, ვალდებული იყო საჭმელი ეჭმივნა და ღვინოც დაელივინებინა; მაგრამ მთავარმა ეს ჩვეულება თავის ხარჯებისათვის სახეიროდ ვერ დაინახა და ნელ-ნელა გლეხი აიძულა სამუშაოზედ თავის სასმელ-საჭმელი მიეტანა. მთავრის სიკვდილს შემდეგ დედოფალიც ამ წესს მისდევდა, და სახლთუხუცესმა ჩიქოვანმა და მისმა კაცებმა დედოფლის აქარყოფნის დროს, სალხინოს სასახლის შესაკეთებლად ხალხი რომ მორეკეს, მოსთხოვეს ემუშავნათ, და მათის საჭმელ-სასმლისათვის აღარც-კი უზრუნვიათ. გლეხებმა გულში ჩამარხულ უკმაყოფილებით მოიტანეს თან ხორბალი, სიმინდი და ღომი დაუფქვავად და სთხოვეს მთავრის წისქვილზე

დაფქვის ნება მიეცათ; დაფქვის ნება-კი მისცეს, მაგრამ დასაფქვავი მინდიც აიღეს. ეს კი ველარ მოითმინეს გლეხებმა და წინააღმდეგობა განაცხადეს და უთხრეს: სამუშაო ბეგარაზე ისედაც ჩვენის საჭმელ-სასმლით მოვდივართ, ადათის წინააღმდეგ, და აქ კიდევ ახალი გადასახადს გვაკისრებთო?!. სახლთუხუცესმა მათს ნაქვამს ყური არ ათხოვა და მინდის აღება მოითხოვა. გლეხებმა რამდენიმე კაცი აირჩიეს და გრიგოლთან გაჰგზავნეს საჩივლელად. იმან კი გადაშალა დედოფლის დატოვებული ინსტრუქცია და ამ პუნკტის შესახებ შიგ ვერაფერი იპოვნა და უთხრა: მე საქმის გადაწყვეტის უფლება არა მაქვს და ამიტომ მომჩივანმა გლეხებმა დედოფლის დაბრუნებას დაუცადონ პეტერბურგიდან: როგორც ის იტყვის, ისე იქნებაო. ასეთმა პასუხმა გლეხების არჩეულებს ხელები გაუხსნა: დაბრუნდენ სალხინოში და გლეხებს უთხრეს—დედოფლის ჩამოსვლამდე ნულარ ვიმუშავებთო. სახლთუხუცესმა სცადა ძალა ეხმარნა, მაგრამ მრავალრიცხოვან ბრბოს წინააღმდეგ სუსტი გაბოჩნდა: გლეხებმა სცემეს მისს მოხელეებს, სახლთუხუცესის ძმა თავადი ივანე ჩიქოვანი იქიდან იფრინეს. უკვე იგრძნეს—ნავსი გავსტეხეთო, რამდენმამე ათასმა კაცმა სალხინოს მახლობელ მთაზე თავი მოიყარა, მოაყვანინეს მაგარი (ძლიერი) ხატი მეზობელ ეკლესიიდან და ფიცი დასდეს: ერთიმეორისთვის მხარი დაეჭირნათ და პეტერბურგიდან დედოფლის დაბრუნებამდე სახლთუხუცესს არაფერში დამორჩილებოდენ. აქ მოხდა, მხოლოდ მცირე მასშტაბით, იგივე შეთქმულება, როგორიც იყო შვეიცარიაში, ტყით დაბურულ კანტონებში მე-XV საუკუნეში, ან შეთქმულება ვერსალისა 1789 წელს.

სახლთუხუცესი გრიგოლთან მიიჭრა და სთხოვა: იარაღიანი ხალხი მომაშველე, რომ აჯანყებული ხალხი დავაჩუმოვო. მაგრამ გრიგოლმა აუხსნა: ინსტრუქციაში ისეთ მუხლი არ მიწერია, რომ ყოველ შენს მოთხოვნას უეჭველათ მხარი დავუჭიროვო. ხოლო მართალი ვინ არის—შენა თუ ხალხიო, მხოლოთ დედოფალს შეუძლია მისი გამორკვევაო და ამიტომ, მეტი გზა არ არის. მისს დაბრუნებას უნდა დავუცადოთო. სახლთუხუცესი იძულებული შეიქნა სალხინოში მუშაობა შეეჩერებინა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფეზე მოედო მთელს სამეგრელოს. ყოველ მებატონის მამულში მაშინ, ცოტათ თუ ბევრათ, იგივე ხდებოდა, რაც ხდებოდა მთავრის მამულში. ყოველი მებატონე ცდილობდა, რაც ომისაგან ზარალი ნახეს, გლეხების ოფლით აენაზღაურებინათ. ამიტომ გლეხები ყურმახვილათ გამოეხმაურნენ სალხინოში დადებულ ფიცს; მათს შორის გამოჩნდენ მთავრის ყმების

ბანაკიდან და ურჩევდენ მათს ფეხის ხმას აჰყოლოდენ; აქა-იქ თავს იყრიდენ, ამ კრებებზე ფიცსა სდებდენ, და ბევრსა სცდილობდენ თვითონ გრიგოლიც, ეპისკოპოსიც, ერთობლივ ყველა მებატონენიც, მაგრამ ვერავინ შესძლო შეეჩერებინა მოჩვენებასებ მოვლენილი მრისხანე სახე გლეხთა საერთო აჯანყებისა.

1857 წლის აპრილის გასულს დედოფალი ნინო გრიბოედოვთან ერთად პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდენ, სადაც ამ დროს ქუთაისიდან კოლუბიაკინი და მე ვიყავით ჩასულნი. პირველათვე ჩემი დიდათპატივცემული ნინო გრიბოედოვისა ვინახულე. ჩვეულებრივ ტკბილათ დამიხვდა, ბევრი ამბავი მიამბო პეტერბურგზე, ხელმწიფის კურთხევაზე, და ერთბაშათ თავისი ლაპარაკის ეს ტემა ამ სიტყვებით შესწყვიტა:

— მართლა, წარმოიდგინეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლუბიაკინი გუშინ კატოსთან (ე. ი. დედოფალ ეკატერინესთან) იყო და არწმუნებდა, სამეგრელოში აჯანყებაო, კაცს სწორეთ ისეთი ფიცხი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, როგორიც ნიკოლოზ პეტრეს ძესა აქვს, რომ გამოიგონოს ასეთი ამბავი,—სიცილითა სთქვა გრიბოედოვისამ.

მე ამაზე მოვახსენე, რომ ქუთაისში, ე. ი. სამეგროლოს მეზობლად ვსცხოვრობ და მართლაც მეც იგივე გავიგონე-მეთქი.

— ეს ყოვლად შეუძლებელია, მერწმუნეთ. ალბათ ცოტა-რამ უწესობა მოხდა და გრიგოლმა ვერაფერი მოახერხა. მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, საკმარისია კატო (ეკატერინე) ერთი კი გამოჩნდეს, რომ ყოველივე დამშვიდდეს. ხალხი აღმერთებს დედოფალს...

საბრალო ქალს სრულებით გულწრფელადა სწამდა თავისი ნათქვამი და მე, რა თქმა უნდა, არ ავუხირდი, არა ცდილვარ სულ წინააღმდეგი დამემტკიცებინა.

და როცა ამის შემდეგ დედოფალი ვინახულე, ამაზე ხმა-კრინტი არ დამიძრავს. მაისში ეკატერინე ტფილისიდან წავიდა სრულიად დამშვიდებული, მის ყურებამდე მისული ხმა იოტის ოდენად არ დაუჯერებია. კოლუბიაკინი და მე ქუთაისში ივნისის დამდეგს დავბრუნდით.

როცა დედოფალი თავის სამფლობელოს საზღვარზე მოვიდა, სოფ. კულაშში სამეგრელოს თავად-აზნაურობა დაუხვდა, გრიგოლისა და ჭყონდიდელის მეთაურობით. დედოფალმა შეამჩნია, რომ მის დასახვედრად მოსულთა შორის ბევრი მაღალი წოდების პირი აკლდა და თავსზარი დაეცა, როცა გაიგო, რომ მის სამთავროში სრული

ანარქია სუფევდა. გლეხებს თავიანთ სახლებისათვის თავი დაუნებებიათ, მსახურნი მებატონეებს გაქცევიან და გლეხების მრავალრიცხოვანი ბრბოები სამეგრელოს ყველგან მოსდებიან. სახლთუხუცესმა თავადმა დავით ჩიქოვანმა დედოფალს სალხინოში მომხდარი ამბავი მოახსენა და, რა თქმა უნდა, თავს იმართლებდა. გრიგოლი მინორულის კილოთი ამოეფარა თვისდამი მოცემულ ინსტრუქციას, რომელშიაც გათვალისწინებული არ იყო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სალხინოს საქმეში; გრიგოლსა და დედოფალს შუა ცხარე ლაპარაკი გაიმართა და დედოფალმა გამოუცხადა—შენგან სამეგრელოს მხოლოდ იმავე დაამშვიდებულს მდგომარეობაში ჩავიბარებ, როგორშიაც ჩაგაბარეო; თუ ასე არ მოქცეულხარ, შენს ამბავს ყველაფარს ხელმწიფე იმპერატორს შევატყობინებო.

ამ ფიცხელ წალაპარაკებას შემდეგ დედოფალმა იახლა მთელი გუნდი თავადებისა და შვილებიანათ წამოვიდა გორდში. აქ თავადები დაითხოვა და დააფიცა მტკიცედ შეერთებულიყვნენ ერთიმეორეში, ერთი-მეორისათვის მხარი დაეჭირნათ და მთელის ძალღონით ემოქმედნათ აჯანყების ჩასაქრობად:—ამით ყველაზე უკეთესად დაამტკიცებთ მცირეწლოვან მთავრის ერთგულებასაო. მაგრამ როცა ყველანი წავიდ-წამოვიდენ და თვითონ ეკატერინე მარტო თავად ჩიქოვანთან დარჩა, მალე დარწმუნდა, რომ მარტო გრიგოლის მიმართ მუქარით არაფერი გამოვიდოდა. აუარებელი მთხოვნელები აღარ ასვენებდენ: ყველა მხრიდან მეტად საშიში ამბები მოდიოდა, ეკატერინე თვითონ უნდა გამოსულიყო და ემოქმედნა. იმანაც მოიწვია ჭყონდიდელი და იმასთან ერთად წავიდა სალხინოში, სადაც ყველა გარშემო სოფლებიდან ხალხს თავი მოეყარნა და სადაც გაიმართა მოლაპარაკება. მეტად მძიმე და საქმის გადამწყვეტი წუთი იყო. დედოფალს რომ დაეწუნებინა თავის სახლთუხუცესის მოქმედება, ან და ეს სახლთუხუცესი სრულებითაც რომ დაეთხოვნა, რამდენიმე მისი მოხელე, განსაკუთრებით ათვალისწუნებული ხალხისაგან, რომ დაესაჯნა, ესენი რომ მსხვერპლად შეეწირნა,—გლეხების გულს მოიგებდა და თვითონაც მოგებული დარჩებოდა. ასეთს გაჭირვების ჟამს თავის ზარალის ანაზღაურებისათვის კი არ უნდა ეზრუნა, არამედ უნდა გაეღო თავისი სალარო და ხალხისათვის განებნია რამდენიმე ათასი თუმანი. ეკატერინემ იცოდა, ომმა როგორ გაანადგურა ხალხი, ხედავდა, როგორ მოდიოდენ და მის ცხენს ფეხებში უვარდებოდენ როგორც ჩვენის, ისე ოსმალის ჯარების რეკვიზიციებით შეწუხებულნი მცხოვრებნი, და იმის მაგიერ, რომ ეს ხალხის უბედურება და გასაჭირი ყოველგვარ შე-

ღავათებით დაეშუშებინა, როგორც ამასა შვრებოდენ მეზობელ იმერეთსა და გურიაში, სადაც ხალხი სამეგრელოზე ნაკლებად იყო დაზარალებული,—დედოფალმა ომის გათავებას შემდეგ სხვა უკეთესი ვერა მოიფიქრა რა და ხალხს სამუშაო ბეგარა დააკისრა. ეს თავისი შეცთომა არ შეეძლო შეგნებული არა ჰქონოდა, და მისი გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოთ და მხოლოთ გლეხებისათვის უხვის დახმარების აღმოჩენით. მაშინ გლეხები დამშვიდდებოდენ და არეულობის მეთაურებს თვითონვე გასცემდენ.

მაგრამ დედოფალმა, სამწუხაროთ, ეს გზა არ აირჩია; ეგონა, ასეთი მოქცევა შეუნდობელ დათმობად ჩამოერთმევოდა აჯანყებული ყმების ბრბოს წინაშე; მისის აზრით, ეს ბრბო ძალით უნდა დაემორჩილებინა, და გლეხებთან მოლაპარაკების დროს, სახლთუხუცესი არამცთუ არ მოიშორა თავიდან, პირიქით მას გლეხების ბრალმდებელის როლიც კი დააკისრა. ხმამაღლა ყაყანი, რომელმაც ლანძღვა-გინების ხასიათი მიიღო, ვერაფრით გათავდა. სალაპარაკოდ ჭყონდიდელი გამოვიდა, ბრძანა—ხალხის წინაშე ხატი გამოესვენებინათ, დარიგებას აძლევდა, მაგრამ მისმა სიტყვებმა არ გასჭრა და მხოლოდ მისი ღირსება ძირს დასცა; გლეხები ხმამაღლა პირში ეუბნებოდენ ჭყონდიდელს—შენ სულიერი მწყემსი კი არა, დედოფლის მსახური ხარო. ბოლოს, საქმე იქამდეც მივიდა, რომ დედოფლის სალხინოში არ ედგომებოდა, მის ამალიდან რამდენსამე კაცს სცემეს და ისიც იძულებული შეიქმნა საჩქაროთ გასცლოდა იქაურობას და წასულიყო თავის ნათესავის კნეინა მენიკი დადიანის სასახლეში, ქვაშიხორში. აქვე მასთან მოვიდენ გრიგოლი და კონსტანტინე.

საქმე საშინლათ მწვავდებოდა, და, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე მომავალი აუცილებელ უბედურობის ჟამს, დედოფალს თვალ წინ ნათლათ წარმოუდგა მთელი თავისის უმწეობის სურათი. მიხვდა, რომ, თუმცა აჯანყება სულ უბრალო გარემოებამ გამოიწვია, მაგრამ რაკი ეს აჯანყება ძალიან გაიზარდა და სერიოზული სახე მიიღო, მას დაერთო შუღლი, რომლის სათავე იყო სამეგრელოს ყველა კლასების სიძულვილი და მტრობა გადაცვალებულ მთავრის მეტად მკაცრ და ანგარებისმოყვარე რეჟიმისადმი. დედოფალს თავის ქმრის დანაშაულისათვის უნდა ეგო პასუხი და ახლა იცოდა, თუ რა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ იყო გამართული მის წინააღმდეგ ინტრიგები იმისათვის, რომ იგი ბრმად მომხრე იყო თავის ქმრის რეჟიმისა. მისი მოწინააღმდეგე პარტია ბრაგალრიცხოვანი იყო.

წინ იდგა ჯგუფი ბატონიშვილებისა (დადიანებისა)—სამის ძმისა—გიორგისა, პეტრესი და ბესარიონისა, „დიდი“ ნიკოს შვილებისა. მათი მამა ოდესღაც მარჯვენა ხელი იყო მთავრის ლევანისა, მისი ვეზირი იყო და მრავალ წლის განმავლობაში თვითმპყრობელურათ და უკონტროლოთ მართავდა სამეგრელოს; დავითი ჯერ ისევ მამის სიცოცხლეშივე გახდა მთავრად და მაშინათვე ჩამოაყენა „დიდი“ ნიკო და აქედან გაჩნდა სიძულვილი მისდამი ნიკოს ოჯახისა. სამი ვაჟი მამის შურს იძიებდა და იმას-ღა ცდილობდენ, მთავრისათვის ემტროთ და მისი სახელი გაეტეხნათ ხალხის თვალში. მათს მძულვარებას მთავარ დავითისადმი უერთებდა თავისს მძულვარებას მთავარი აფხაზეთისა, თავადი მიხეილ შარვაშიძე, ნიკოს უფროს ვაჟის გიორგის ქალის ქმარი; სარგებლობდა ყოველ მარჯვე შემთხვევით და ისედაც ორგულ ვასალებს მთავრის წინააღმდეგ ამხედრებდა. დავითის მიერ მოწყობილ ადმინისტრაციას ამ ბატონიშვილების მამულებში ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდენ. ეს ხომ ასე იყო, მაგრამ ყოველი საერთო საქვეყნო ღონისძიებანი მთავრისა დაწუნების საგნად ხდებოდა და ნიკოს შვილები და მათი აგენტები დავითის მოქმედების შესახებ ათას რასმე ცუდს იგონებდენ, რომ ამით ხალხი მის წინააღმდეგ უფრო აემხედრებინათ. და ამავე დროს ეს „სამი მუშკეტერი“, როგორც იმათ ეძახდა დავითი, საოცარის მოხერხებით თამაშობდენ თავმდაბალი კარისკაცების როლს და მოქარგულის სიტყვებით გამოხატავდენ თავიანთს უსაზღვრო ერთგულებას მთავრისადმი. მე თვითონ არაერთხელ მიყურებია მათის შეხვედრისათვის დედოფალთან და მათი მსახიობობა მეტად მომწონდა. ერთ-ერთი ძმა, პეტრე, დედოფალს პეტერბურგშიაც-კი წაჰყვა ხელმწიფის კურთხევაზე და ყველას ისე აჩვენებდა თავს, თითქო მცირეწლოვან მთავარს იმაზე გულითადი საყვარელი ნათესავი არც-კი ჰყოლოდეს. გლეხთა აჯანყება, ცხადია, საზარალო იყო ამ მსხვილ მემამულეთათვის; მაგრამ ესენი არამც თუ არა ცდილობდენ დაეცხროთ როგორმე აჯანყებულნი, ის-კი არა თავის აგენტების საშუალებით უარესად აღვივებდენ ამ ჯანყს, რათგან წინდაწინვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გლეხებს რუსის მთავრობა ადრე იქნებოდა თუ გვიან აჭლაგმავდა და აჭლაგმავდა მთავრის ხელისუფლების საზიონოდაო.

ამათ მოსდევნენ მათნი თანამოგვარენი, რომელთაც სათავეში ედგა ელიზბარ დადიანი. ელიზბარს ემხრობოდენ აგრეთვე სხვა გვარის თავად-აზნაურები—მხეიძენი, მიქაძენი, დგებუაძენი და სხვანი. ეს ჯგუფი დიდი ხანია გულწრფელად ნატრობდა: მალე ენახნა

მთავრის მართვა-გამგეობის გაუქმება; თავის მისწრაფებით ეს ჯგუფი რუსულის ორიენტაციისა იყო და მეტი არაფერი უნდოდა, ოღონდ მალე ენახნა ისეთის წესწყობილების შემოღება, როგორიც იყო მეზობელ მხარეებში—იმერეთსა და გურიაში. მთავრის რეჟიმი არა მარტო იმიტომ ეჯავრებოდათ, რომ ამ რეჟიმის დროს შეუძლებელი იყო რაიმე წინსვლა მხარის მატერიალურ კეთილდღეობის საქმეში (მთავრის თვალი და ხელი უბოდიშოთ ფათურობდა ყველგან და ქვეშევრდომებს რაც რამ საუკეთესო ჰქონდათ, ყველაფერს ართმევდა), არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ მაღალი წოდების პირადი უფლებანი სავსებით მიწასთან იყვნენ გასწორებულნი. მეგრელი თავადი თუ აზნაური, როცა რუსის სახელმწიფო სამსახურში შედიოდა, ვალდებული იყო წინასწარ ამის ნებართვა მთავრისათვის ეთხოვნა, და რამდენი ხანიც უნდა ემსახურნა და რაც უნდა მაღალ ხარისხამდე ასულიყო, სამშობლოში რო დაბრუნდებოდა, მთავრის პიროვნების წინაშე ისევ პირველყოფილ არარაობად იქცეოდა; მის მიერ შეძენილ ხარისხს, სამსახურში მიღებულ განსხვავების ნიშნებს მთავრისათვის ისევ არა ჰქონდათ მნიშვნელობა, როგორც არა ჰქონდა მნიშვნელობა მის მიერ შეძენილ განათლებას და საქმიანობის უნარს. ასეთები მთავრისათვის არამც თუ საჭირონი არ იყვნენ, არამედ თავიდან იშორებდა; ვინც გარშემო ეხვია, ყველასაგან სრულ მონურ მორჩილებას თხოულობდა, რასაც ვერ მოსთხოვდა განათლებულ და გარუსებულ ქვეშევრდომებს. და რაც უფრო იზრდებოდა წრე ასეთ განათლებულ პირებისა, მათ უფრო მწვავდებოდა მათი ურთიერთობა მთავართან, რომელიც მათს თავმოყვარეობას ჩალად არ აგდებდა. მრავალი იყო მეტად აღმაშფოთებელი ფაქტები და მაგალითად მოვიყვან ერთს მათგანს.

აზნაურ ანდრო გეგეჭკორს პატარაობაში შემთხვევა ჰქონდა ტფილისში ჩასულიყო. იქ გიმნაზიაში შევიდა, ძალიან კარგათ სწავლობდა, სწავლა დაამთავრა და უნდოდა სახელმწიფო სამსახურში შესულიყო, ამისთვის საჭირო შეიქმნა მთავრის ნებართვა, მაგრამ მთავარმა უარი შემოუთვალა და თან რომ გაიგო, ახალგაზდა ყმაწვილი კარგათ სწავლობდაო, სამეგრელოში დაიბარა და თავის მწერლად გაიხადა. თავის უნებურად წამოყვანილი გეგეჭკორი ვერას გზით შეურიგდა ამ ძალადობას, მის პიროვნების დამცირებას, მით უფრო, რომ როცა გაეცნო მთავრის მართვა-გამგეობის საქმეებს, დარწმუნდა—ჩემს სიცოცხლეში ვერ თანავუგრძნობ მთავრის სისტემას და განზრახვებსაო. დაუფიქრებელის სითამამით, რომელიც ესდენ სჩვევია ახალგაზდობას, ამ პატიოსანმა კაცმა თავისი აზრი პირ-

დაპირ გამოსთქვა დავითის წინაშე და არამკითხე ალალმართლობამ სამუდამოთ დაჭღუპა კიდეც. დავით ჯერ ცდილობდა გეგეჭკორის შესიტყვება ხუმრობაში ჩაეტარებინა და თვით მისი საქმისმწარმოებელი სასახლის ხუმარად გადაექცივნა; გეგეჭკორი ამაზე არ დასთანხმდა და უკმეხი სიტყვა ჰკადრა მთავარს. საქმე იქამდე მივიდა, რომ უმწეო ყმას საშინლად გაურისხდა მთავარი. ჯერ სცემეს, მერე დაამწყვდიეს, და კისერზე ჯაჭვი მოაბეს და ცარიელ მჭადსა და წყალზე ამყოფეს. გეგეჭკორის ნერვებიანმა ბუნებამ ველარ გაუძლო ამ წამებას, და ბოლოს ძალაუნებურათ თავი დაანებეს ბნედისაგან მთლად დამახინჯებულს. სიღარიბეში სული ამოსდიოდა ამ გასაცოდავებულს ადამიანს მთავრის მართვაგამგეობის დროს, და ცოტა წინ გავუსწრებთ ჩვენს ამბავს და ვიტყვით, რომ ამ საცოდავმა მაინც გასძლო თავის pium desiderium (ნატრის საგნამდე)-მდე, ე. ი. რუსის მთავრობის შემოღებამდე. და ამ მთავრობამ უპატრონა, ფიზიკურად დამახინჯებულს გონების სიფხიზლე და სულიერი პირდაპირობა მაინც შერჩენოდა.

და თუ ასეთი ფაქტი შესაძლებელი იყო მთავრის რეჟიმის დროს, გასაგებია, თუ რატომ იყო უკმაყოფილოდ ის პარტია, რომელიც თავისს თავს **რუსულ პარტიად** სთვლიდა. ამ პარტიას სათავეში ედგა ელიზბარ დადიანი, რომლის ორი ვაჟი ოფიცრებად მსახურებდენ კავკასიის ჯარში. ამ პარტიას, როგორც მთელ მაღალ წოდებასაც, ზარალი მოსდიოდა გლეხების აჯანყებისაგან, მაგრამ აჯანყების მიზეზად დედოფალსა სთვლიდა და სრულებითაც არა ჰფიქრობდა დედოფლის შერყეულ ძალაუფლებისათვის შველა აღმოეჩინა რითიმე.

აღარც სამეგრელოს აზნაურობაც უჭერდა მხარს დედოფალს იმიტომ, რომ მისმა ქმარმა 6 ათასი კომლი ყმა აზნაურებისა განსაკუთრებულის ფულადი გადასახადით დაჰბეგრა, რომელსაც **ხაუდიერო** ერქვა. ეს გადასახადი ვითომ მთავრობისა და საერობო საჭიროებას ხმარდებოდა, ნამდვილათ კი, როგორც ეს ყველამ იცოდა, ეს თანხა სავსებით მიდიოდა მთავრის პირად სალაროში. აზნაურები დრტვინავდენ, ეურჩებოდენ ამ გადასახადის მოკრეფას, მაგრამ მთავარმა, ჩიქოვანთა გვაროვნობის დახმარებით, აიძულა აზნაურები მისი მოთხოვნა აესრულებინათ.

ყველა ქვეყანაში, სადაც თეთროსან სამღვდელოებას საზოგადოების თავისუფალ კლასის შესაფერი ადგილი უჭირავს, სოფლის მღვდელი ყოველთვის შეიძლება გამოიყენოს კაცმა აჯანყებულ ხალხის დასამშვიდებლად, მაგრამ სამეგრელოში სამღვდელოების სამოქალაქო

უფლებანი იმდენათ იყვნენ დამცირებულნი, რომ მთავარმა დავით დადიანმა მხოლოთ 1842 წელს გაანთავისუფლა სამღვდელოება ბატონ-ყმურ დამოკიდებულებისაგან. მღვდელი იმავე პირად და საადგილმამულო ბეგარას იხდიდა, როგორც იხდიდა გლეხი, და როდესაც ბატონი ერთ ადგილიდან სხვაგან მიდიოდა, ბატონის მსახურთა შორის მღვდელსაც ხედავდით, ბატონის ბარგით დატვირთულს. თითქმის ყოველ მებატონესა ჰქონდა თავისი კარის ეკლესია, გარედან ხის ბეღლის მსგავსი, რომელსაც სახურავზედ ხის ჯვარი ჰქონდა გაკეთებული; შიგნით მეტად სადა საკურთხეველი იყო, ხოლო საღმრთო წერილის წიგნები, სამკაული, ოდიკი და ბარძიმ-ფეშხუმი მებატონის საკუჭნაოში ინახებოდა. როცა უნდა ეწირნათ, მეკუჭნავე ქალს ყველა ეს ნივთები ეკლესიაში გამოჰქონდა და დაუძახებდენ იმ ყმას, რომელსაც მღვდელი ერქვა, ისიც შეიმოსებოდა და სწირავდა. ნაწირვებს ყველაფერს ისევ საკუჭნაოში ჩაჰკეტავდენ, ხოლო მღვდელი თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდა, როგორც ყმა. მებატონენი მღვდლებსაც ისევე ჰყიდდენ, როგორც ყველა სხვა თავისს ყმებს, და მოგონილი არ გახლავსთ ცნობილ მოგზაურის შარდენის (ორას წელზე მეტია, რაც სამეგრელოში უმოგზაურნია) ნაამბობი იმაზე, თუ ერთ მებატონეს როგორ მოუწვევია ერთ ქელეხში 12 მღვდელი, ისე დაუთვრია, რომ არაფერი ესმოდათ და მიუყვანია ერთ ოსმალოს მესანდლეესთვის, ამასაც სტამბოლში წაუყვანია მონების ბაზარზე გასასყიდად. და თუმცა მთავარმა დავით დადიანმა მღვდლები ბატონყმობისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ ეს სულ ახლახან მოხდა და თეთროსან სასულიერო წოდებას ჯერ ვერ მოუსწვრია მისგან ცალკე კლასი შემდგარიყო; წინანდებურათ მღვდლები გლეხებში ითქვიფებოდენ, მათს ჭირსა და ლხინს შუაში იყოფდენ, და ამიტომ დედოფალი მღვდლებს ვერ მიჰმართავდა და ვერას გზით ეტყოდა—გლეხებს ჩააგონე რამეო.

შავოსანი სამღვდელოება სულ სხვა მდგომარეობაში იყო. ამას მთელი იერარქია ჰქონდა და მრავალი მონასტერი. მათს შორის ყველაზე მაღლა იდგა მარტვილისა—შიგ იყო რეზიდენცია ეპისკოპოზისა, რომელიც **ჭყონდიდელი-ს** *) ტიტულს ატარებდა. მისი მდგომარეობა შეიძლებოდა შეგვედარებინა კათოლიკე ეპისკოპოსის მდგომარეობისათვის დასავლეთში, ე. ი. ის იყო, ასე ვთქვათ, prince de l'église; იგი იყო მწყემსი ეკლესიისა, ამავე დროს იყო პატრონი

*) **ჭყონდიდელი** წარმოსდგება მეგრულ სიტყვა ჭყონისაგან, რაც მუხას ნიშნავს. ეს სახელი ერქვა ეპისკოპოსს მარტვილისას, რომლის გარშემო **დიდი**ხნის მუხებია.

უზარმაზარი საეკლესიო მამულისა, რომელზედაც ესახლნენ აზნაურები და გლეხები, მისნი ქვეშევრდომნი. ეს მამული, „საჭყონდიდ-ლოდ“ წოდებული, მთელს სამეგრელოში იყო გაფანტული, მაგრამ მთავარი მისი ნაწილი იმყოფებოდა აბაშის, ტეხურის და რიონის მდინაარეებს შორის, და ამ ადგილას ითვლებოდა სამ ათას კომლზე მეტი გლეხი. შუაგულ სოფლად ითვლებოდა სუჯუნა, სადაც ძველს ეკლესიაში ესვენა სასწაულთმოქმედი ხატი წმ. გიორგისა. მეგრელთა ამ მფარველთან მოჰქონდათ შესაწირავნი, მის სახელს მიაწერდენ ხშირ მოსახლეებიან მამულებს და ყმებს, რომელთა შორის იმყოფებოდა ებრაელთა ახალშენიც. წმ. გიორგისათვის ებრაელები ოდესღაც ერთს მთავართაგანს შეუწირავს, და ესენიც წმ. გიორგის გადასახადს თაფლის სამთლით წესიერათ იხდიდენ.

როგორცა ხედავთ, „ჭყონდიდელს“ სრულებით დამოუკიდებელი მდგომარეობა ჰქონდა. და მისს განკარგულებაში იყო დიდი შემოსავალი როგორც ფულით, ისე განსაკუთრებით, ნატურალურ ნაწარმოებით. და ამ მის სახარბიელო მდგომარეობას შეუძლებელი იყო განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია მთავრისა. ჭყონდიდელი იყო დავითის მკვიდრი ბიძა დედით, წერეთლების გვარითგან; მართალია, დიდის ჭკუისა არ იყო, მაგრამ გულკეთილობით ცნობილი იყო. როცა დავითი მთავრად გახდა, იმდენი მოახერხა, რომ მაზე უსაზღვრო გავლენა ჰქონდა და დააჯერა—ყოველი ბუნებრივი ბეგარა და სამუშაო გადაეყვანა ფულზე, და თან არწმუნებდა—ბეგარა და სამსახური ეპისკოპოსის ღირსებას ამცირებსო. ეპისკოპოსიც დაჰყვა მისს ჩაგონებას: ყოველი კომლი გლეხი, ბუნებრივი გადასახადის და სამუშაოს მაგიერ, იძულებული იყო ეხადნა სამი მანეთი ფულად, და ჭყონდიდელი წლიურად ღებულობდა ათას ორას თუმანს, რაც სრულებით აკმაყოფილებდა იმას. გლეხებიც მადლიერნი იყვნენ ასეთ ახალ ლიბერალურ წესისა. მაგრამ თუ ჭყონდიდელი ჰფიქრობდა, რომ საქმე ამით გათავდებოდა, მთავარი ამ რეფორმაში ჰხედავდა სხვა რეფორმის შთანასახს, სახელდობ: იმას განზრახული ჰქონდა ჭყონდიდელისათვის ათას ორასი თუმანი თავის ხაზინიდან მიეცა, ხოლო საეკლესიო მამული საკუთარ საუფლისწულო მამულად გადმოეწერნა. ამის ასასრულებლად ყოველთ უწინარეს საჭირო იყო წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ხატი სუჯუნიდან მარტვილში გადმოესვენებინა და ამისთვის რაიმე დასაჯერებელი საბაბი გამოეგონებებინა,—გადმოესახლებინა, ეგრე ვსთქვათ, წძიდა მფარველი თავის მუდმივ სამყოფელ ადგილიდან და ამით გაეუქმებინა მისი უშუალო კავშირი სუჯუნის მამულებთან. ხალხის თვალში ეს

აკტი გადასახლებისა ეტოლებოდა მებატონის გადმოსახლებას თავის დედულ-მამულიდან, და ამის შემდეგ მამულის გადასვლა სხვა პირის ხელში, რა თქმა უნდა, დასაჯერებელი მიზეზებით ძოწყობილი, ერთგვარად დაკანონებული იქმნებოდა. ეს გეგმა მეტად ოსტატურად იყო მოწყობილი დავითის მიერ, მაგრამ მისის ბიძის, ჭყონდიდელის, სიცოცხლეში ამაზე ხმა-კრინტის ამოღებაც კი არ შეიძლებოდა: ჭყონდიდელს თავისი დისწული, მართალია, ძალიან უყვარდა, მაგრამ ამაზე მაინც არაფრის გულისთვის დასთანხმდებოდა.

მაგრამ აჰა, ბიძა გადაიცვალა, და დავითმა ისწრაფა და ჭყონდიდლობაზე ჯრუჭის (რაჭაში) მონასტრის არქიმანდრიტი, აზნაურ გაბუნიების გვარის კაცი, თეოფანე, დაასახელა. თეოფანე, რა თქმა უნდა, აკურთხეს ეპისკოპოსად და მის, როგორც ბრმა იარაღის, დახმარებით დავითს იმედი ჰქონდა თავისი გეგმა განეხორციელებინა და საეკლესიო მამულები საუფლისწულოდ გაეხადნა. მაგრამ კაცი ბჭობდა—ღმერთი იცინოდაო. თეოფანეს კურთხევის შემდეგ რამდენსამე თვესაც არ გაუვლია, ისე მთავარი დავითი გადაიცვალა და დედოფალს ანდერძად დაუგდო თავისი გეგმის განხორციელება.

1855 წლის დამდეგს დედოფალმა თეოფანე ჭყონდიდლისაგან ჯერ თანხმობა აიღო და მთელი საქმე მიანდო თავისს მაზლს კონსტანტინეს, როგორც ბოქაულთუხუცესს. კონსტანტინე სუჯუნაში ჩამოვიდა და უკვე აპირებდა სასწაულთმოქმედი ხატი წმ. გიორგისა მარტვილში გადაესვენებინა. მაგრამ ბატონიშვილებს გიორგის, პეტრეს და ბესარიონს არ ეძინათ, თავისი კაცები საჭყონდიდლოში გაგზავნეს და იქაურებს შეუთვალეს, თუ რა ოინს უმზადებდა კონსტანტინე. ამან ერთბაშათ ფეხზე დააყენა ყველანი და კონსტანტინეს სუჯუნაში ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ იგი უკან მოუხედველათ უნდა გასცლოდა იქაურობას, თუ უნდოდა თავი ცოცხალი შერჩენოდა. მისი მხლებლები კი კარგათ სცემეს.

ამას შემდეგ ეს საქმე ძალაუნებურათ უფრო მარჯვე დროისთვის უნდა გადაედოთ, მანამდე კი წინააღმდეგობის ერთ-ერთი მთავარი დამწყებთაგანი, საეკლესიო აზნაური მეთოდი ხოშტარია, ჯაჭვით დააბეს ლეჩხუმში, მურის ციხეში, ხოლო მისი ძმა, ბერი ივანე ანუ, როგორც ეძახდენ, ივაბერი მცხეთის მონასტერში გაგზავნეს დასამწყვდევად, სადაც მალე მოკვდა კიდეცა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა საეკლესიო აზნაურები და გლეხები მეტად აღაშფოთა დედოფლის წინაამღდეგ და თუმცა საერთო აჯანყებას საეკლესიო მამულის გლეხები არ მიმხრობიან, მაგრამ როგორც ამ გლეხების, ისე საეკლესიო აზნაურების იმედი დედოფალს არამც თუ არ უნდა

ჰქონოდა, არამედ იცოდა ისიც, რომ ესენი ისე არასფერსა ნატრობ-დენ, როგორც მთავრის მართვა-გამგეობის გაუქმებას.

აი რამდენი ძლიერი და მტრული ჯგუფები ედგა დედოფალს თვალწინ და სად-ღა უნდა ეძებნა მომხრეები მათს წინააღმდეგ?

თავისი უფროსი მაზლი გრიგოლი, რომლის შესახებ ჩვენ უკვე საკმაოთ ვილაპარაკეთ, დედოფალს არამც თუ თავის პირად მტრად მიეჩნდა, არამედ მთელის თავის ოჯახის მტრად სახავდა. მას სულ თან დასდევდა კუდივით მთელი ბრბო თავად ფალავებისა და ტაია დადიანის ოჯახი, სადაც გრიგოლი ძუძუნაწოვები და პატარაობაში აღზრდილი იყო. მისი უმცროსი მაზლი კონსტანტინე, ბოქაულთ-უხუცესი, მართალია, მისი და მის ბავშვების ერთგული იყო, მაგრამ გარს ეხვია ერთი მუჭა ფუქსავატ ხალხისა, რომელმაც იცოდა მხ-ოლოდ დროს გატარება, ქეიფი და ნადირობა, და კონსტანტინე თავისი საზოგადოებრივი გავლენით იმდენათვე უძლური იყო, რო-გორც მისი გარშემომყოფნი. რჩებოდა მხოლოდ ერთი მრავალრიც-ხოვანი გვაროვნობა თავადებისა და აზნაურების ჩიქოვანებისა, რომ-ლებიც მთავარმა დავითმა თავის ერთად-ერთ აგენტებად გადააქცია და მათ ჰქონდათ ჩაბარებული როგორც ადმინისტრაცია და სასა-მართლო, ისე მთავრის საუფლისწულო მამულების მართვა-გამგეობა. მაგრამ ჩიქოვანებს, ძალიან გულითაც რომ სდომნოდათ, განა შეეძ-ლოთ საერთო სურვილის წინააღმდეგ წასულიყვნენ, ყველას გამ-კლავებოდენ და აელაგმნათ თითქმის მთლათ იჯანყებული გლეხობა? ჩიქოვანები ყველა კლასსა სძულდა, ამას თვითონაცა ჰგრძნობდენ და მთავრის გარშემო თავი მოიყარეს, როგორც ნაკლებსაიმედო ტანის-მცველებმა.

როცა მთელი ეს ნამდვილი სურათი იმდროინდელი მდგომა-რეობისა სრულიად მკაფიოდ თვალწინ გამოეხატა დედოფალს, ეს უკანასკნელი ფრიად შეძრწუნდა, და ვისაც ეკატერინე ამ ერთ თვეს წინად შეხვედრია ტფილისში, ახლა რომ ენახნა, მისი ცნობა გაუ-ჭირდებოდა,—იმდენათ გამოცვლილიყო გამოვლილი განცდათაგან. თითქო დიდი ხანი იყო მას აქეთ, რაც მის ცხოვრების ბრწყინვალე ხანამ განვლო, მას აქეთ, როცა თავის ბავშვებიანათ სამეფო ტახტ-თან ასე ახლო იდგა და გარშემომყოფნი თაყვანსა სცემდენ! აწინ-დელი მდგომარეობა მაჯლაჯუნასებ აწვა გულზე. მისი ყოფა მით უფრო საშინელი იყო, რომ სრულებით მარტოდ-მარტო ჰგრძნობდა თავს. ყველა მისი მრჩევლები—გრიგოლი, კონსტანტინე, ჭყონდი-დელი,—მხოლოდ ნაღველს უსივებდენ; მაგრამ რადაც უნდა დას-ჯდომოდა, ამ მდგომარეობისათვის თავი უნდა დაეღწივნა და გადა-

სწყვიტა რუსის სამხედრო ძალისათვის ეთხოვნა შველა. ასე ეგონა, საკმაოა რამდენიმე ასეული ყაზახრუსი გამოჩნდეს, რომ გლეხთა ბრბოები გაიფანტოს, და მერე იმავე ყაზახრუსების დახმარებით თითო-ოროლა მათგანი მწარეთ დაისაჯოს, რომ ადიდებული წყალი თავის კალაპოტში ჩადგესო. გლეხობა თავის ქერქში დაეტევა, მხარეში მშვიდობა ჩამოვარდება და მაშინ მისი ხელისუფლება სავსებით განახლდება, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ გრიგოლი და რამდენიმე მეშფოთარი ბატონიშვილი აქედან გაძევებულნი იქნებიანო. მაგრამ ამ საქმეში დედოფალს ყველაზე უკეთესად აბა ვინ უშველიდა, თუ არ ნიკოლოზ პეტრეს-ძე კოლუბიაკინი, რომელიც ერთ დროს ტფილისში მის ნაფიც რაინდ-მოთაყვანეთა შორის იყო, რომლებიც მზად იყვნენ ყველაფერი ჩაედინათ მის გულისათვის, და რომელსაც თავისი მეგობრობა არაერთხელ დაუმტკიცებია თავისის რჩევა-დარიგებითა და მშვენიერ საქმიან კალმით. კოლუბიაკინმა დაუწერა პასუხი ომერ-ფაშასთან და მეტის-მეტად გონება-მახვილი პასუხიც, მაგრამ რომელიც, თავ. ვ. ო. ბებუთოვის რჩევით, ომერ-ფაშასთან არ გაუგზავნიათ.

და ეს დედოფალს აზრად მოუვიდა თუ არა, დიდხანს არ უფიქრნია, თავადი მიქაძე აფრინა და თან გაატანა სასოწარკვეთილი წერილი კოლუბიაკინთან და სული-სულზე ელოდებოდა პასუხს.

მაგრამ სანამ გადმოვიდოდეთ სამეგრელოში, აჯანყების ასპარეზზე, საჭიროდა ვსთვლით შევჩერდეთ ნიკოლოზ პეტრეს ძის კოლუბიაკინის პიროვნებაზე, რომელსაც ეკატერინემ შველა სთხოვა, და მკითხველს გავაცნოთ იგი.

ძმები ნიკოლოზ და მიხეილი პეტრეს-ძენი კოლუბიაკინები თვალსაჩინო მოღვაწენი იყვნენ კავკასიისა. სწავლობდენ ცარსკოე-სელოს ლიცეის პანსიონში, მაშასადამე, განათლებით მაშინდელ მოწინავე და მაღალწოდების ახალგაზრდობას ეკუთვნოდენ. სწავლის გათავების შემდეგ ორთავემ სამხედრო კარიერა აირჩიეს. ერთი მათგანი, ნიკოლოზ პეტრეს-ძე, უკვე მის უდიდებულესობის ულანის ლაშქრის კორნეტად იყო, როცა ატყდა პოლონეთის აჯანყება 1831 წლისა, მთელის ომის განმავლობაში იბრძოდა, დაიჭრა და ომის გათავებისას გადავიდა ერთ-ერთ ულანის ლეგიონში, სადაც ერთი ისეთი ამბავი დაემართა, რასაც მისთვის საბედისწერო შედეგი მოჰყვა. მეტის-მეტი თავმოყვარე იყო, თოფისწამალივით აფეთქება იცოდა და ასეთ ადამიანს ლეგიონის კომანდირთან მოუვიდა ლაპარაკი, შეურაცხება მიაყენა, ამის გულისთვის ოფიცრობის ხარისხი აჰყარეს, უბრალო ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს, გაგზავნეს ერთ-ერთ სახაზო ბატალიონში კავკასიაში.

ეს ჩვენის ქვეყნის შორეული განაპირი, სადაც გამძაფრებულს ომს ვაწარმოვებდით მთიელებთან, და სადაც ამ ომს მალე არ უნდა მოჰღებოდა ბოლო, პუშკინისა, მარლინსკისა და ლერმონტოვის წყალობით, გახვეული იყო ლეგენდარულსა და პოეტურს წარმოდგენაში. ამ მხარის შესახებ ბევრს რასმე ამბობდენ სასწაულებრივს, მისტიურს; აქედან დაბრუნებულებს ჩვენი (რუსეთის) საზოგადოება ისე უხვდებოდა, როგორც გმირებს: მათს ნაამბობს ყველანი, დიდი თუ პატარა, გატაცებით ისმენდენ ხოლმე, და კავკასია რჩებოდა რაღაც სფინქსად, რომლის გამოცნობა არავის შეეძლო. ყველა ჰკვირვობდა, ნეტავ, რათ უნდა ვეომებოდეთ ჩერქეზებს, როცა მათში ყოველ ნაბიჯზე ხვდება კაცს „მოლები ნურები", „ამალათ-ბეკები", ქალები „კავკასიის ტყვეს" გმირის ქალის მსგავსები, — ესენი ხომ ყველანი ზნეობრივის სიმშვენიერის განხორციელებანი არიან, და როგორღა შეიძლება ებრძოლოს ადამიანი იმ ხალხებს, რომლებიც ასეთს ტიპებსა ჰქმნიან; ასეთის ამაღლებულის მისწრაფებით და კეთილშობილების ხასიათის ჩერქეზებს თითქო ადვილათ უნდა შეეძლოთ დაუახლოვდენ ჩვენს გულკეთილს რუსის ხალხსაო. ეს კითხვები ძალაუნებურათ იბადებოდა, როცა ისმენდენ ყველა ფანტასტურ ამბებს კავკასიის შესახებ, და მე მახსოვს, როგორ უპასუხებდა ამ ამბების გაგონებაზე, სხვათა შორის, ჩვენი პატივცემული და მეტად ორიგინალური პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა თ. ლ. მოროშკინი. „კავკასია", მისის აზრით, „სამჭედლო იყო და რუსის ხალხს ბედისაგან ეწერა თავისი ხასიათი ამ ქვეყანაში გამოეწრთო". ამ განმარტებას მეტს არასფერს უმატებდა, არც უნდოდა სცოდნოდა, თუ რისთვის სწარმოებდა ომი ან როდის გათავდებოდა; მოროშკინს, როგორც ბევრს სხვას მის თანამედროვეს, ისიც-კი ეგონა, რომ ომი სულ თავისდღეში არ გათავდებაო, ბით უფრო, რომ ლომისებურ ჭაღარა თავიანი გენერალი, რომელსაც ამ ომის გათავება შეეძლო, თანდათან ჰქრებოდა მოსკოვში, საკუთარ სახლში, პრეჩისტენკაზე. თუმცა ეს განმარტება კავკასიისა პატივცემულ პროფესორის მიერ, ცოტა არ იყოს, უცნაური იყო, მაგრამ შიგ სიმართლის ნიშანწყალიც ერია. კავკასიაში მართლაც შესაძლებელი იყო გამომუშავება და გამოწრთობა ხასიათებისა, რადგან ამისთვის მრავალგვარი პრაქტიკა და ძნელი ასასრულებელი დავალებანი ჰხვდებოდა წილად თითქმის ყოველ რუს მოღვაწეს, რომელიც კი მოკლებული არ იქნებოდა აღმაღლებულ პატივმოყვარეობას. ცელქობისათვის ახალგაზრდობის გაგზავნა კავკასიაში, გამოსასწორებლად, ყოველთვის კი არ იყო ცარიელ ფრაზად. ბევრნი გადაგზავნილთაგანი იქიდან უკან ბრუნდებო-

დენ მეტად საყურადღებო და სერიოზულ ადამიანებად. ერთ მუჭა რუსებს,—ჩვენი ჯარები მაშინ მეტად მცირერიცხოვანი იყო და შეიძლება მართლაც ერთი მუჭა გვეწოდებინა, — რომლებიც აქეთკენ გადმოტყორცნილი იყვნენ თავის დამოუკიდებლობისათვის გამწარებით სისხლის დამღვრელ ხალხებთან საბრძოლველად, სხვა ლოზუნგი არ გააჩნდათ თვინიერ შეტევისა და გამარჯვებისა. აქ არ იყო ელე-

ნიკ. პეტრ. კოლუბიაკინი

მენტები ობლომოვობისათვის, — ზნეობრივად ჩამოქვეითებისათვის, როგორც ეს ხდებოდა ყოველ ნაბიჯზე ჩვენს საზოგადოებაში მაშინ ფრთაგაშლილ ბატონყმობის წყალობით, — ეს აქ შეუძლებელი იყო; გარემო პირობები სავსებით სპარტანულის ხასიათისა იყო, უზომო

მატერიალურს გაჭირვებას განიცდიდა ყველა, მოქმედება უხდებოდათ მრისხანე და მიუდგომელ ბუნების შორის, და ასეთს გარემოებაში ჩავარდნილი რუს-კავკასიელს ყოველთ-უწინარეს სჭიროდა სულის სიმტკიცე და ვაშკაცობა. უშიშარი სიმამაცე აქ უარყოფით თვისებად ითვლებოდა იმ აზრით, რომ აქ არავის შეეძლო მხდალი ყოფილიყო, და თან ადამიანს ისე არსად აფასებდენ ძვირად, როგორც აქ, ისე არსად სარგებლობდენ მათის ნამდვილის ღირსებით, როგორც აქ, ადამიანებში ამ ღირსებებს ეძებდენ, ასეთ ადამიანთ ზრდიდენ და მათს ხასიათს სწრთვნიდენ. ნიჭიერს და უმაღლესის განათლებით აღჭურვილს ადამიანს აქ არ შეეძლო დაკარქულიყო და მიჩქმალულიყო სადმე, არამედ მისს ნიჭსა და ცოდნას სავსებით გამოიყენებდენ. ამ მნიშვნელობით კავკასია მართლაც სამჭედლო იყო, და აქ გადმოტყორცნილი იყო, თავის დასაწყისშივე დამსხვრეულ კარიერით, ნიკოლოზ პეტრეს-ძე კოლუბიაკინი. და ამ წრემ დაღუპვას გადაარჩინა კიდეც.

ყოველთ უწინარეს მის აღმზრდელად შეიქმნა კავკასიელი სოლდათი, რომელთანაც, როგორც სწორთან, რამდენსამე წელიწადს იძულებული იყო სამსახურის მძიმე ჯაპანი ეწივნა. ამ პირქუშ სკოლაში, ფიცხმა, თავისებურმა ჭაბუკმა, განყენებულ და ფანტასტურ იდეალების ატმოსფერაში აღზრდილმა, პირველად შეიგნო და დააფასა სისადავის და სიმართლის დიდებულება, რუს სოლდათის ხასიათს საფუძვლად რომ ედო, და რაკი ეს შეგნება ძვალ-რბილში გაუჯდა, ამ სკოლიდან სამუდამოთ გამოიტანა ის წრთობა, რომელიც, მიუხედავათ მის მრავალ პირად ნაკლისა, მასში სულმუდამ გაგრძნობინებდათ ადამიანურის ღირსებით სავსე პიროვნებას. პირველს თავის გალაშქრებას უბრალო სოლდათად თავის დღეში არ ივიწყებდა. ამ გალაშქრების დროს მისს მეზობელს სოლდათს ასეთი გაკვეთილი მიუცია მისთვის: „ადამიანი უნდა ამოიღო ნიშანში? — შენიშნა ამ მეზობელმა,—თვით უბედური ადამიანი ხარ, დაჯარიმებული, და განზრახვა კი გაქვს სხვას წაართვა სიცოცხლე. იცოდე, ღმერთი ამის გულისთვის უფრო დაგსჯის“. ეს სიტყვები ისე სადა და გულისხმაში ჩამგდები იყო, რომ ახალგაზრდა კაცს ძირიანფესვიანად შეუცვალა აზროვნება და განკურნა განუსჯელობისაგან. ნიკოლოზ კოლუბიაკინი სულმუდამ განსაკუთრებულის მადლიერებით იგონებდა თავისს სოლდათობის წლებს, იმის მსგავსად, როგორც დოსტოევსკი თავის იძულებითი სამუშაოს წლებს იგონებდა ხოლმე, ხოლო თავისს ყოფილ ასეულის უფროსს, ივანე კორზუნს, ძველ კავკასიელ ნამსახურს უკრაინელს, კაცს სრულებით უსწავლელს, მაგრამ გულადს,

პატიოსანს და გულკეთილს, ყოველთვის განსაკუთრებულის პატივისცემით დახვდებოდა ხოლმე იმ დროს, როცა უკვე დიდი თანამდებობა ეჭირა. კორზუნი სულმუდამ ჰსტუქსავდა თავის სიფიცხისათვის.—„შენ, ჩემო ძამიავ, სულ ჰყვირი, როდის იქმნება, რომ იყუჩო?“—დარიგებას აძლევდა ხოლმე ყოფილი ასეულის უფროსი თავისს ყოფილს ხელქვეითს, ახლა კი ქუთაისის გუბერნატორს, და ეს უკანასკნელი კი უდრტვინველის სულგრძელობით უსმენდა ყოველსავე ამას.

ის ბატალიონი, სადაც კოლუბიაკინი უბრალო სოლდათად მოხვდა, გენერალ ველიამინოვის მხედრობის ნაწილში შედიოდა, ხოლო ამ მაშინდელ დროის განთქმულ გენერლის გარშემო თავი მოყრილი ჰქონდა კავკასიის სამხედრო წოდების მთელს თავანკარს; მისსავე ნაწილში იმყოფებოდა დეკაბრისტების წრეც და პოლონელ მაგნატებისაც, რომლებიც 1831 წლის აჯანყებისათვის იყვნენ აქ გამოგზავნილი. ძმები ბესტუჟევები, ოდოევსკი, სანგუშკო, ჩერკასოვი, კორნილოვიჩი და სხვები შეადგენდენ ამ, როგორც მაშინ ეძახდენ, „უბედურთა წრეს“ და ამათ კოლუბიაკინი რომ გაიცნეს, თავის წრეში მიიღეს, და უფროსების თვალში წინ წასწიეს ახალი წევრი და დაუახლოვეს იმ არისტოკრატულ ახალგაზრდობას, რომელიც პეტერბურგიდან მოედინებოდა ველიამინოვის რაზმში სამხედრო წარჩინების მისაღებად. ამგვარად, 1835 წ. კოლუბიაკინმა უკვე დაიმსახურა სოლდათის წმ. გიორგის ჯვარი და შემთხვევა ჰქონდა გაეცნო კორნეტი თავ. ა. ი. ბარიათინსკი, და როცა ბარიათინსკი მძიმედ იქმნა დაჭრილი, სხვებთან ერთად თავის მხრებზე შემოიდო და ისე გაიტანა ბრძოლის ველიდან. ბარიათინსკის ეს სულმუდამ ახსოვდა, და მაშინ თითქმის უიმედოდ ავადმყოფი ჭრილობისაგან, გენერალ ველიამინოვს ანდერძს უტოვებს და, როგორც დიდს რასმე წყალობას, სთხოვს იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე კოლუბიაკინისათვის ოფიცრობის ხარისხის დაბრუნების შესახებ. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, უშველა ღირსებააყრილ ნაოფიცრალს და შემდეგს წელიწადს, როცა ფეხში მძიმედ დაიჭრა, პრაპორშჩიკის ხარისხი მისცეს. ამ ხანებშივე სწამლობდა თავის ჭრილობებს პიატიგორსკში და გაიცნო ლერმონტოვი; ორნივე უცნაურის ხასიათისანი იყვნენ და ერთმანეთი ვერ შეიგუეს. და პოეტმა თავის „ჩვენის დროს გმირი“-ში ერთის კალმის მოსმით დაჰხატა კარიკატურული სილუეტი კოლუბიაკინისა ტიპ გრუშნიცკის სახით. კოლუბიაკინმა ეს იცოდა და გულკეთილად აპატივა ლერმონტოვს ეს ბოროტი საქციელი მის წინააღმდეგ. ოფიცრობა მისცეს თუ არა, გადავიდა ნიჟეგოროდის დრა-

გუნთა ლეგიონში, რომლის კომანდირად იყო თავის დროზე ცნობილი გენერალი ბეზობრაზოვი. კოლუბიაკინის სამსახური ისევ კალაპოტში ჩადგა და მალე მიიქცია ყურადღება ყველასი, როგორც ნიჭიერმა და განათლებულმა ოფიცერმა.

ამ დროიდან იწყება საკმაოთ სწრაფი წარმატება სამსახურში კოლუბიაკინისა. ჯერ გახდა გენერალ ბუდბერგის ადიუტანტად, მერე გრაფ ანრეპის ადიუტანტად, მსახურობს შავის ზღვის სანაპირო ხაზზედ და კახეთში, ლეკების ხაზზე.

აი ამ დროს მოუხდა ერთი ამბავი სამსახურში და იმას აღუნიშვნელად ვერ დავსტოვებთ.

გენერალ-ადიუტანტი გრაფი ანრეპი, ოდესღაც ქალ. დერპტის უნივერსიტეტის ნასტუდენტარი, კაცი მეტად-განათლებული და ჰუმანისტი, კავკასიაში მსახურებდა დიდის წარმატებით. სტუდენტობის დროის იდეალებს ისევ ერთგულობდა: ომი უბედურება და ბოროტებაა და ამის მიზეზი ადამიანთა შორის გაუგებრობაა. გული-გულში დარწმუნებული იყო: სულ ადვილია ეს გაუგებრობა მოისპოს სხვადასხვა ხალხთა ერთმანერთან მშვიდობიანის დაახლოვებითაო. ანრეპი დარწმუნებული იყო, რომ გალაშქრებისა და თავდასხმის მაგიერ, ჩვენ რომ გავბედავდეთ და მთიელებთან შევიდოდეთ როგორც მისიონერები, ყოველი უთანხმოება მოისპობოდა, ჩვენი ურჩი ხალხები ბარად ჩამოვიდოდენ ჩვენთან არა როგორც მტრები, არამედ როგორც ჩვენი უმცროსი ძმებიო. ეს აზრი მან გაუზიარა ერთ ტკბილ მეგობრულ ბაასის დროს თავისს ადიუტანტს, ახალგაზრდა კოლუბიაკინს და ეს უკანასკნელიც დაეთანხმა და თანაუგრძნო. ორთავე არამარტო ირწმუნეს შესაძლებლობა და ნაყოფიერება ამ გეგმის ასრულებისა, მაგრამ გადასწყვიტეს კიდეცა დაუყონებლივ ეცადნათ მისი განხორციელება საქმეზედ. ტანთ მთიულურათ ჩაიცვეს, იახლეს ერთი ლეკურის მოლაპარაკე თარჯიმანი და გენერალ-ადიუტანტი ანრეპი და მისი ადიუტანტი, პორუჩიკი კოლუბიაკინი, ფეხით გაემართნენ ზაქათლიდან ანწუხის საზოგადოებაში, რომელიც ჩრდილო დაღესტნის ყველაზე მაღალ და მთიან ნაწილში მდებარეობდა. მათის წასვლის მიზანი ზაქათალაში არავინ იცოდა და ყველას ეგონა, სანადიროდ მიდიოდენ. ანწუხელებს მეტად გაუკვირდათ, როცა მათს აულში მოსული სამი უცნობი და უიარაღო კაცი დაინახეს. თარჯიმანმა გააგებინა, ესენი უბრალო ხალხი არ არისო და სურსთ ჯამაათს, ე. ი. მცხოვანთა კრებულს მოელაპარაკნენო. ჯამაათიც შეგროვდა და ანრეპმაც მიჰმართა რჩევა-დარიგების სიტყვებით, რომელთა აზრი საერთოთ ასეთი იყო: „რათ გვებრძვით და ძმათა

სისხლი რათ იღვრება? ჩვენ თქვენი მტრები არა ვართ, არამედ ახლობელი მეგობრები. ჩვენა გვსურს თქვენს შორის განათლება შემოვიტანოთ, რომელიც მიზნად ისახავს თქვენს სიკეთესა და ბედნიერებას. თქვენ ახლა ღარიბები ხართ, მაგრამ ჩვენ გაგამდიდრებთ და გასწავლით, როგორ შეიძინოთ ამ ქვეყნიური სიკეთე; ამისთვის თქვენს მხარეში გავიყვანთ გზებს, და დაგიარსებთ სკოლებს, სადაც თქვენი შვილები ყველა სასარგებლო ხელობას ისწავლიან და ამის საშუალებით შეიძენენ ყოველგვარ სიმდიდრეს. როცა ჩვენოდონათ გაგანათლებთ, თქვენთან ერთად დავიმუშავებთ იმ ბუნებრივს სიმდიდრეს, რომელიც ასე უხვად მოიპოვება კავკასის მთებსა და ბარში. დაჰყარეთ იარაღი და ჩვენც ჩვენს იარაღს დავყრით—ომის მაგიერ საუკუნოთ დავძმობილდეთ და ერთმანერთთან მშვიდობიანათ და ტკბილათ ვიცხოვროთ“.

ჯამაათმა გულდასმით მოისმინა ნათქვამი და ორატორსა ჰკითხა, ვინა ბრძანდებით და ვისი სახელით გველაპარაკებითო? მაშინ ანრეპმა თავისი ვინაობა გაუმჟღავნა. განცვიფრება სრულ უნდობლობად შეიცვალა.

— როგორ, შენ, გენერალი, ხელმწიფის ჯარის სარდალი, რომელსაც დავალებული გაქვს ჩვენთან ომი, ჩვენთან მოდიხარ და გვეუბნები—ნულარ ვიომებთო?! მაშასადამე, შენ არამცთუ შენს პირდაპირს მოვალეობას არ ასრულებ, არამედ ისეთს საქმესა ჰკიდებ ხელს, რაც შენ სრულებით არ შეგეფერება. ჩვენა ვრწმუნდებით, რომ თქვენ მოსული ხართ ან იმისთვის, რომ მასხარად აგვიგდოთ, ან დაათვალიეროთ აქაური ადგილ-მდებარეობა, ან, კიდევ, გიჟები უნდა იყვნეთო!..

ჯამაათი აყაყანდა, და ამ წუთას მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც უფრო გაამწვავა საერთო არეულობა.

კოლუბიაკინთან მივიდა ვილაც ახალგაზრდა ლეკი, მის ჩოხაში ვაზნებს მოჰკრა თვალი და მოურიდებლათ ხელი ჩაუყო ამოსაღებად. ალბათ, თოფისწამალი უნდოდა. კოლუბიაკინმა ისე ღონივრადა ჰკრა ხელი, რომ ლეკი გაცოფდა და ეცა. ერმანერთს დაებღაუჭნენ და რათგან ეს მთის ბილიკის ნაპირას მოხდა, ორნივე ხრამში გადაიჩეხნენ.

მოხუცთ შეეშინდათ და ხელათ უბრძანეს ახალგაზრდებს გასდევნებოდენ უკან და უცხო კაცი უვნებლად ამოეყვანათ. ბრძანება ხელათ აასრულეს და კოლუბიაკინი ამოიყვანეს მთლად დაფხაჭნილი და გასისხლიანებული, ჩოხაშემოხეული. მაშინ მოხუცებმა ორ მოსულ კაცს აუხსნეს:

— ჩვენის ჩვეულების თანახმად, სტუმართმოყვარეობა უდიდესი წმინდა მოვალეობაა და ჩვენთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა, უიარაღო ხალხისათვის ჩვენს საზოგადოებაში ვისმე შეურაცყოფა მიეყენებინა. ჩვენ არა ვცდილობთ გავიგოთ, თქვენ ვინა ხართ; მაგრამ რათგან უკვე გატყობთ, რომ აქ სამტროდ არა ხართ მოსული, და ერთი ბეწო არაფერი დაგიშავდებათ, გირჩევთ ახლავე დაბრუნდეთ, საიდგანაც მოსულხართ. ჩვენის საზოგადოების საზღვრამდე კი კაცებს გაგაყოლებთო".

აი, რითი გათავდა ეს უცნაური ცდა გენერლისა და მის ადუტანტისა!.. მალე მთელს კავკასიაში ყველამ გაიგო ეს ამბავი, და, ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აქედან გენერალი ანრეპი სხვაგან გადაიყვანეს.

ეს ეპიზოდი სამხედრო პრაკტიკაში თითქმის დანაშაულად ჩაითვლებოდა და ბოლოს სასაცილო ანეგდოტის ხასიათი მიიღო. მაგრამ თუ კაცთმოყვარულის თვალსაზრისით შევხედავთ, არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს როგორც აღმაღლებულმა განზრახვამ, ისე ამ ორის თავისებურ ადამიანის უდიდესმა თავგანწირულებამ. საკუთარ სიცოცხლისათვის არც გენერალი ჰფიქრობდა და აღარც მისი ჭაბუკი-ადიუტანტი, ორნივე ალალ-ბედზე მიდიოდენ; ხოლო ასეთ თავგანწირულ და თან შემცთარ იდეალისტების წყალობით კავკასიის დაპყრობის საქმე ძალიან ადვილდებოდა. და თვით შეცთომაშიაც-კი იგივე ლოზუნგი იყო ჩატანებული: „ნურაფრის წინაშე დაფიქრდები, ნურაფრის წინაშე გაჩერდები, ოღონდ კი შეიძლო წინ სიარული".

ვორონცოვს, კავკასიაში ჩამოსვლისთანავე, თვალში მოხვდა კოლუბიაკინი და დანიშნა ჭარ-ბელაქანის ოლქის ბოქაულად, მერე ვიცე-გუბერნატორად ქუთაისში, და ორმოცდაათიან წლების დამლევს ნიკ. კოლუბიაკინი შავიზღვის სანაპირო ხაზის მე-III განყოფილების უფროსად იყო. ეს უკანასკნელი პოსტი სამხედრო გუბერნატორის წოდებას უდრიდა და იმ დროს კავკასიაში ერთი უდიდესი თანამდებობათგანი იყო. რეზიდენცია სოხუმში ჰქონდა კოლუბიაკინს. მარჯვენა ფრთაზე ჩვენი სამხედრო მოქმედება ჯიქებისა, უბიხებისა და შაფსუღების წინააღმდეგ აქედან მიემართებოდა: ამავე დროს ურთიერთობა გვქონდა აფხაზეთის მთავართან, მიხეილ შარვაშიძესთან, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მთის ხალხებთან, მაგრამ რუსის მთავრობასთან ყოველთვის ორგულად იქცეოდა. ისეთს პირს, რომელსაც შავიზღვის სანაპირო ხაზის მე-III განყოფილების უფროსობა ეჭირა, მოეთხოვებოდა სამხედრო გამოცდილება, ნიჭი და ქვეყნის ადგილობრივის პირობების ცოდნა. და როდესაც ასეთი თანამდებობა კოლუ-

ბიაკინს ჩააბარა, ვორონცოვი არ შემცთარა. და რომ არ შემცთარა, ამას ამტკიცებს სამის წლის განმავლობაში ინტიმური, საქმიანის ხასიათის მიწერ-მოწერა ვორონცოვისა კოლუბიაკინთან. რამდენადაც გვახსოვს, ეს მიწერ-მოწერა დაბეჭდილი იყო „რუსულ არქივში“. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამ მიწერ-მოწერის დედანი გვეკითხნა და შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მეტად საინტერესო რამ იყო, სხვა არ იყოს რა, მარტო იმიტომ, რომ იქიდანა სჩანს, თუ რამდენად შედიოდა ვორონცოვი ყოველ კუთხის საადმინისტრაციო და სამხედრო საქმის ყოველ წვრილმანის განხილვაში და რამდენად ბრძნული იყო მისი რჩევა და მითითებანი იმათთვის, ვინც იმის ნდობით იყვნენ შემოსილნი.

მართალია, კოლუბიაკინს სამსახურში ბედი სწყალობდა და მეტად დიდი ადგილიც ეჭირა, მაგრამ მაინც ვერაფერი უშველა თავისს გულფიცხობას, რომლის გულისთვის ასე მწარედ დაისაჯა თავის კარიერის დასაწყისში.

როგორცა ვსთქვით, კოლუბიაკინმა თოფისწამალივით იცოდა აფეთქება, თავის სიცხარით ხშირათ ერთ წამში აფუჭებდა იმას, რის გაკეთებისათვის საკმაო დიდი დრო ექნებოდა მონდომებული. მეტად ჭკუიანი კაცი იყო და ნაკითხი, სწრაფად იცოდა მოსაზრება, როცა გუნებაზე იყო, ოხუნჯობა უყვარდა; სამართლიანი იყო, ზედმიწევნით პატიოსანი და უანგარო; როგორც უბრალო ჯარისკაცს, ზომიერება უყვარდა თავის პირად მატერიალურ მოთხოვნილებათა საქმეში. კოლუბიაკინი, რა თქმა უნდა, ამ თავის თვისებებისათვის ბევრს არ მოსწონდა, და ყოველი მისი აპილპილება, რასაც ზოგჯერ განგებ გამოიწვევდენ მასში, მის საწინააღმდეგო იარაღადვე ხდებოდა. ეს ამბავი ისე არავისა სწყინდა, როგორც იმათ, ვინც კოლუბიაკინს კარგათ იცნობდენ და აფასებდენ მისს უტყუარ ღირსებას, და ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა თვით ვორონცოვიც. მისი ძმა, მიხეილი, ამ დროს ტფილისის ვიცე-გუბერნატორად იყო, იმასაც ყველანი პატივსა სცემდენ. საერთო მეგობრები, ძმისაგან გასარჩევად, მიხეილს ეძახდენ „მშვიდობიან კოლუბიაკინს“, ხოლო ნიკოლოზს, დიდი ხანია, დაერქვა მეტ სახელად „მოჩხუბარი“. მისი სიცხარის შესახებ აუარებელი ანეგდოტი დადიოდა ხალხში; ამბობდენ, ერთხელ, გაცხარების დროს, მთელი სამელნე დაასხა მოხუც მოხელე-მომხსენებელს მელოტ თავზე, მაგრამ მაშინათვე მიხვდა, რაც ჩაიდინა, და ზევიდან გასამშრალებლად საქვიშედან ქვიშა მოაყარა. და სანამ მცირე ხარისხის ოფიცერი იყო, იმდენჯერ ჰქონია დუელი, რომ ყველა დუელი თვითონაც უჭირდებოდა მოეგონებინა. ეს მისი სიფიცხე იმდე-

ნათ ხელქვეითებისათვის არ იყო საგრძნობი (ხელქვეითები აფასებდენ მისს კარგ თვისებებს და ადვილად ითმენდენ მისს ნაკლულევანებას), რამდენად მის უშუალო უფროსებისათვის იყო. სამსახურში სხვების წინწაწევის ჟინი ისეთი ჰქონდა კოლუბიაკინს, რომ ზოგჯერ არ ერიდებოდა სამსახურისათვის თავის დანებებასაც-კი. სწორეთ ასეთი ამბავი დაემართა სოხუმში.

მთელის სანაპირო ხაზის მენავეობას განაგებდა ადმირალი სერებრიაკოვი. ეს იყო მშვიდობიანი, ტკბილის სიტყვის პატრონი კაცი, გულისმოსვლა ძნელათ იცოდა. როგორც სომეხი, ყოველთ უწინარეს თავის პირად ინტერესებისათვის ზრუნავდა, ყოველთვის ხელს უშლიდა კოლუბიაკინის თაოსნობას და ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ კოლუბიაკინი საშინლად გაცხარდა, მასთან ლაპარაკში თავდაჭერის ყოველს საზღვარს გადავიდა, ამას შემდეგ სოხუმიდან უნდა აბარგებულიყო და ტფილისის მთავარს შტაბს მიეწერა. ეს ამბავი სწორედ ყირიმის ომის გამოცხადების და კავკასიიდან ვორონცოვის წასვლის წინ მოხდა. თითქმის ორი წელიწადი იყო კოლუბიაკინი უადგილოდ და მხოლოდ 1856 წელს, როცა ომერ-ფაშამ სამეგრელოდან უკან დაიხია, მეფის ნაცვალმა, მურავიოვმა, დანიშნა ქალ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად და ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორად

ამ ადგილზე იგი უკვე ერთის წლის მისული იყო, როცა ჩვენ სცენაზე გამოვიყვანეთ ჩვენს მოგონებებში და ამ ხნის განმავლობაში იმდენი სარგებლობა მოუტანია მისდამი რწმუნებულ გუბერნიას, რომ მის სახელს დღემდე მოიგონებენ. ყირიმის ომის შემდეგ გუბერნია საშინლად აწეწილ მდგომარეობაში იყო. ომის დროს ყოველი საქმიანობა შეჩერდა და აუარებელმა საქმემ მოიყარა თავი; გადაუხდელი ვალები გაიზარდა, გლეხები განადგურებულნი იყვნენ ნატურალურ ბეგარით, მებატონენი ისწრაფოდენ თავიანთი საქმეები თავის ქვეშევრდომების ხარჯზე გამოეკეთებინათ. ერთის სიტყვით, ყველგან არეულ-დარეულობა სუფევდა და უნდა გენახნათ, რა მხნედ შეუდგა კოლუბიაკინი ყველაფრის შეკეთებას. ცხენით, თავის სამგზავრო კანცელარიანად, გასწევდა ხოლმე გუბერნიის შემოსავლელად კიდითკიდე, რევიზიას უკეთებდა სამაზრო პოლიციას და ასამართლებდა ყველას, seance tenante, დაუყონებლივ, იმ უფლებით, რომელიც მას მოცემული ჰქონდა. ხანდახან ამ უფლებას გადაამეტებდა კიდეც, მხოლოდ ეს გადამეტება ხალხის სასარგებლოდ ხდებოდა; უფლების გადამეტება იქა სჭირდებოდა ხოლმე, სადაც სწრაფად უნდა აელაგმნა ფეოდალური ძალა-უფლება მსხვილ თავად-აზნაურობისა. ასე, მაგა-

ლითად, ერთხელ გურიაში რომ დადიოდა, აქ დახვდა ერთი მიდეგა მემამულე, თავადი დიმიტრი გურიელი, რომელსაც რაც უნდოდა, იმას სჩადიოდა, ყველაფერი შერჩებოდა. კოლუბიაკინის გამოვლის დროს აუარებელი გლეხობა, მისგან განაწყინებული, გუბერნატორს დახვდა და უჩივლა გურიელს. კოლუბიაკინმა იცოდა, რომ მომჩივანნი მართალნი იყვნენ. თავადთან თავისი მოხელე გაგზავნა, თან გაატანა თავისი საათი და დაავალა: ყურში უჩურჩულე, თუ ორ საათში არ დაუკმაყოფილებია მომჩივანნი, იცოდეს, გურიიდან ავბარგავო. გურიელმა იცოდა, რომ კოლუბიაკინს ხუმრობა არ უყვარდა და მაშინათვე ყველანი დააკმაყოფილა, და ორს საათს უკან იგივე გურიელი, თითქო აქ არაფერი ყოფილაო, კოლუბიაკინის წინაშე იყო ატუზული, ვითომ ბატკანივით მშვიდი და უწყინარი. პირდაპირ სასწაული მოხდა. ყველანი დარწმუნდენ, რომ ფეოდალის თავგასულობას ხელად ამოსდეს ლაგამი, და კარგი ლაგამიცო.

ამ ენერგიულმა და დაუმაშვრალმა მოქმედებამ, აღმაღლებულის მიუკერძველობით აღსავსემ, კოლუბიაკინს სახელი გაუთქვა ადგილობრივი საზოგადოების და ხალხის ყველა კლას შორის. ,,გიჟია, მაგრამ სამართლიანი კაციაო'', ამბობდენდე კოლუბიაკინზე, ხოლო გლეხები პირდაპირ მის მზესა ჰფიცავდენ, რათგან იცოდენ, რომ მათს თავს არავის დააჩაგვრინებდა.

საინტერესო იყო კაცს თვალყური ედევნებინა იმ მუშაობისათვის, რომელიც სწარმოებდა გუბერნატორის სახლში, დილით ადრე დაწყებული გვიან საღამობამდე. პირდაპირ გაგაოცებდათ კოლუბიაკინის ენერგია. ყველას შეეძლო მასთან მისვლა, ისმენდა ყოველდღე ასობით მასთან მოსულების თხოვნასა და საჩივარს; საქმეების უმეტეს წილს მაშინათვე გაარჩევდა და გადასწყვეტდა. პოლიცია მასთან სულმუდამ ფეხზე იდგა, ფხიზლობდენ მისი სხვა საგუბერნიო დაწესებულებანიც; ყველას ეშინოდა მისი, იცოდენ, რომ მასთან ეშმაკობა არ გაუვიდოდათ, ყველაფერს გაიგებდა. ომს შემდეგ არეულ-დარეულ და დანგრეულ მხარეში, როგორიც იყო ქუთაისის გუბერნია, ამაზე უკეთესის გუბერნატორის შოვნა შეუძლებელი იყო.

მუდმივმა პრაქტიკამ ნიკოლოზ კოლუბიაკინი დაახლოვებით გააცნო ამ მხარის განსაკუთრებულ სოციალურს წესწყობილებას. გაეცნო ადგილობრივს ზნე-ჩვეულებას, ამ ზნე-ჩვეულებებს ყოველთვის ანგარიშს უწევდა და თანაც ცდილობდა მებატონის ხელისუფლება ადამიანობის ფარგლებში ჩაეყენებინა. კიდეც ამიტომ იყო, რომ ყველანი ენდობოდენ, საერთოდ. ხალხი ამბობდა: „ამან ყველაფერი იცის, ვერ მოატყუებო".

პოეტი რაფაელ ერისთავი

ცოდვა იქნებოდა არ მოგვეხსენებინა ისიცა, რომ კოლუბიაკინმა ადგილობრივნი მკვიდრნი გაიცნო და დაიახლოვა უმთავრესად მის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელის, თავად რაფიელ ერისთავის, დახმარებით. ერისთავი ნიჭიერი კაცი იყო, კარგად იცნობდა თავისს სამშობლოს და ქართულის ენის ზედმიწევნით მცოდნე იყო. რაფ. ერისთავი მისი თარჯიმანი იყო და ამავე დროს ადგილობრივი მკვიდრთა ცხოვრების თავისებურებათა ამხსნელ-განმმარტებელი. სამწერლო ასპარეზზედ სახელი გაითქვა თავის წერილებით ხევსურებსა და თუშებზე, ეს წერილები ოდესღაც იბეჭდებოდა რუსულ გაზეთ „კავკასში“ და „გეოგრაფიულ საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებულში“; შემდეგში კი თავისს თანამემამულეთ ჭეშმარიტი სამსახური გაუწია იმით, რომ ქართულად სთარგმნა კრილოვის არაკები ხალხისათვის მეტის-მეტად გასაგების და დედანთანაც დაახლოვებულის ენით. სამსახური კოლუბიაკინთან, როგორც სამართლიან და მთელის მხარისათვის უეჭველად სასარგებლო კაცთან, რაფიელ ერისთავს ახალისებდა და ამასთან, კოლუბიაკინი რაც უნდა მძიმე ხასიათისა ყოფილიყო თავის ყვირილითა და ჩხუბით, დღიურ მეცადინეობის შემდეგ გამხიარულდებოდა ხოლმე, ენამოსწრებულ და გულუხვ მასპინძლად გადაიქცევოდა. სცენაზე გამოჩნდებოდა აკოპოვი, ვიცინოდით მის ჩიქორთულ რუსულის ლაპარაკზე და ბოლოს იმართებოდა პრეფერანსის თამაში. რაფიელ ერისთავი არა მარტო მოხელე, არამედ მეგობარიც იყო კოლუბიაკინისა.

1857 წლის გაზაფხულზე კავკასიაში მოვიდა ახალი მეფის ნაცვალი, თავადი ბარიატინსკი. მეგობრულად მიეგება ნიკ. კოლუბიაკინს, მადლობა უთხრა სასარგებლო სამსახურისათვის, და ამით უფრო გააცხოველა მისი ენერგია. ამავე დროს კოლუბიაკინს გენერალ-მაიორობა მისცეს. უნდა ითქვას, რომ ერთი გარემოება მაინცადამაინც არ მოსწონდა, სახელდობრ—ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ახალის თანამდებობის დაწესება, რომელსაც, მეტი ჩარა არ იყო, რამდენადმე უნდა დაჰმორჩილებოდა—და ეს კი საშინლათ ეჯავრებოდა. მაგრამ იმით ნუგეშობდა, რომ ამ თანამდებობაზე დანიშნული იყო გაგარინი, მისი კარგი ნაცნობი და უაღრესად პატიოსანი კაცი, რომელთან ერთად წინადაც უმსახურნია, როცა ქუთაისის ვენერალ-გუბერნატორად იყო.

თავი მეხუთე

6. ბ. კოლუბიაკინის ჩამოსვლა სამეგრელოში

აღწერა სამეგრელოს კალმით დახატულ ბუნებისა.—მისი ისტორიული წარსული.—რა სთქვეს სამეგრელოზე მე-XVII საუკუნის მოგზაურმა შარდენმა და მე-XIX საუკუნის დასაწყისში ლიტვინოვმა.—დადიანის მდგომარეობა, როცა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.—დახასიათება დადიანებისა—ლევანისა და დავითისა.—აღწერა იმ ადგილისა, საცა იყო ქვაშიხორი, და საცა ეკატერინე კოლუბიაკინის მოსვლას ელოდებოდა.—წარსულ ომის ახლობელ წარსულის მოგონება.—კოლუბიაკინი ჩამოდის.—მისი შეხვედრა დედოფალთან.—გრიგოლისა და კონსტანტინეს გადაგზავნა ტფილისში.—კოლუბიაკინი აჯანყებულ გლეხების ბრბოსთან მიდის.—ამ ბრბოსთან შეხვედრა კოლუბიაკინისა თეკლათში.—გლეხები გენერლის წინაშე თავიანთს მორჩილებას აცხადებენ.—კოლუბიაკინი გამოელაპარაკება გლეხებს და გაიგებს მათის უკიდურეს მდგომარეობის საშინელებას.—ხაჯალურები და ხუნდები.—მიქავა, სახალხო ტრიბუნი, ყველას მაგიერ ლაპარაკობს.—მოსვლა მდივანბეგისა და მებატონეებისა.—კოლუბიაკინის განკარგულებანი.—ბრბო, მის ბრძანების თანახმად, სიტყვაშეუბრუნებლად დაიშლება და წავა თავიანთ მებატონეთა სახლებისაკენ.—გენერალი მერე ზუგდიდისაკენ წამოვა.—დედოფალი კმაყოფილი არ დარჩება მისის მოქმედებით და შესჩივლებს გენერალ-გუბერნატორს, თავადს გაგარინს.—კოლუბიაკინი ცხარედ შელაპარაკდება დედოფალთან და წავა ქუთაისში, იქიდან ყველაფერს დაწვრილებით ტფილისში შეატყობინებს. ამასავე იზამს გაგარინიც.—ჩამოსვლა დუკრუასისა და განსაკუთრებულ კომისიისა.—ჩამოსვლა ჯ.-სა.—უნაყოფო ლაპარაკი მისი დედოფალთან.—დუკრუასი ინახულებს დედოფალს, მერე ბარიატინსკის მისწერავს.—დღეის ამას იქით სამეგრელოში დედოფლის დარჩენა შეუძლებელიაო.—თავადი ბარიატინსკი ტფილისში გაიწვევს კოლუბიაკინს და დანიშნავს სამეგრელოს მმართველად, ხოლო ამ მოგონებათა ავტორს—სენაკის საოლქო უფროსად.

1

სახელგანთქმული მოგზაური სტენლი, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში დაკარგულ ლივინგსტონს დაეძებდა, როცა იქაურს ოაზისებზე ლაპარაკობს, მოიგონებს თავის ბუნების სიმშვენიერით. სამეგრელოს, რომელიც, მისის სიტყვით, ამ საუცხოვო ოაზისებსა ჰგავ-

სო. და მართლაც ჩვენს ამიერკავკასიაში სამეგრელოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც თავის მცენარეულობით, ისე კალმით დახატულ მოხაზულობით. მისს უმეტეს ნაწილს შეადგენს ვაკობი ზედაპირი, რომელსაც ოდიში ჰქვიან და რომელიც დაფარულია მთლიანი ტყეებით, სადაც თანდათან იზრდება სახნავ-სათესისა და სივენახე ადგილების რაოდენობა. ოდიში რიონის ბარის ნაწილია და ერთის მხრით ზღვაში ებჯინება, ხოლო მეორე მხრით —მთელ რიგ ქედებში, რომელნიც მარადმწვანე დაფნებით არიან დაფარულნი. ქედები თანდათან მაღლდება და მწკრივად მიეჯარვის თოვლით დაფარულ მწვერვალებიან კავკასიის ქედებს; შემოდგომის ცამოწმენდილში ფოთიდან მკაფიოდ მოსჩანს მთების ტერასების პერსპეკტივა, რომელიც სულ შორს თავდება იალბუზის თოვლიან კინკრიხოთი. შედარებით მცირე ადგილზე, რომელიც სამეგრელოს უჭირავს, რამდენიმე სხვადასხვა კლიმატია, ოდიშის თითქმის ტროპიკულით დაწყებული და დათავებული სადადიანო სვანეთის ძალზე სუსხიანითა. სამი საკმაოთ დიდი მდინარე მთისა: აბაშა, ტეხური და ხობიწყალი დიდის ხმაურობით ჩახრიალებენ ქარაფებზე, გამოდიან ვიწრო ხეობიდან და თანასწორად მიედინებიან ვაკეზე; ამ ვაკეს სიგრძეზე ჰსერავენ დასახელებული მდინარენი და მათს ნაპირებზე თავმოყრილია უმეტესი წილი მცხოვრებლებისა. ლამაზ გადასახედების მოყვარულისათვის, გაგიხარიანთ, სამეგრელოში სანახავები იყვეს! საკმარისია კაცი ავიდეს ქედებზე, რომელნიც ქობასებ შემოჰკვრიან ველს, და საიდანაც უნდა, იქიდან გადმოიხედოს, ყველა ადგილიდან დაინახავს გრანდიოზულს და თავისის სიმშვენივრით გასაოცარ პანორამებს; და ისეთი პანორამები, როგორების ნახვა შეიძლება მარტვილის მონასტრიდან და სახარბედიოს საბერო სავანიდან, თავის დღეში არ დაავიწყდება. ბერებმა იმავ თავითვე იცოდენ ეპოვნათ ხოლმე ისეთი ადგილები, რომლებიც თავის მშვენიერ მდებარეობით განმსჭვრეტელობითს, დაყუდებულს ცხოვრებას აყვარებდა ხოლმე.

კავკასიაში, ვერც-კი ჩამოთვლი, იმდენი ადგილებია, საიდანაც რასაც თვალითა ხედავ, შეუძლებელია კალმით გამოჰხატო. ჩვენს ჩრდილოეთის ტყიან და მინდორ-ველიან ზოლს გაუჩნდა ისეთი დიდი ოსტატები კალმისა, როგორებიც არიან გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი; კავკასია კი ჯერ ისევ მოელის ამ მწერლების მსგავსებს. პეიზაჟების ხატვა უფრო ადვილი იყო ჩვენში, მაგრამ ეს ხატვრობაც ღარიბია; ჰხატავენ ცალკეულ ლანდშაფტებს, რომელთა შესრულება ხშირად ფოტოგრაფიის საშუალებით ხდება და მხოლოდ

სისწორით უნდა გადმოიცეს ფერადები მცენარეულობისა, ჰაერისა, ცისა და სხვა; მაგრამ ძალიან ძნელია ტილოზე გადმოღება კავკასიის გრანდიოზულ პანორამებისა. მაგონდება ერთი ამბავი. ერთხელ კახეთში შემთხვევით მოვიდა ერთი ჩვენი უნიჭიერესი პეიზაჟისტი. მაღლობებიდან, ალაზნის ველს რომ შემორკალვია, სხვადასხვა სანახაობა რომ დაინახა, პირდაპირ გაშტერდა. და ტემად დაისახა:— ტილოზე ყალმით გადაეღო სინტეზი ამ ველისა. რამდენსამე თვეს უტრიალებდა ამ ტემას, ვინ იცის, რა და რა ადგილებზე არ ავიდა, საიდანაც ველი სულ ახალის სახით და ხელახალის განათებით ეჩვენებოდა; აუარებელი ეტიუდები გააკეთა და, ბოლოს, ამ ცდებმა არ დააკმაყოფილა და კავკასიიდან წავიდა. წასვლის წინ შეჩომიარა; რაკი იცოდა, რომ ძალიან მაინტერესებდა მისის შემოქმედების რეზულტატი, გამომიტყდა—უძლური ვარ ამ ტემის ასასრულებლადო. „ჩემო კარგო, ამ თქვენს ალაზნის ველს ვერაფერი მოვუხერხე,—მითხრა პეიზაჟისტმა,—მერე რა მშვენიერია ეს დალოცვილი! რა ვქნა, ეტყობა, ჩემი ძალ-ღონე სუსტია მის დასახატავად; ახლა ვეცდები დავივიწყო, თორემ სხვა საქმის გაკეთებაში ხელს შემიშლისო“.

ჩვენ ერთმანერთს გავშორდით და არც-კი ვფიქრობდი, თუ როდისმე შევხვდებოდი. მაგრამ აი ასე ოციოდ წელს შემდეგ პეტერბურგში ერთის საუცხოვო კაბინეტის კედელზე მოულოდნელად ჩემი თვალი დააშტერდა რაღაც ნაცნობს, მეტად ფართე ზომის სურათზე გამოსახულს. ახლოს მივედი, დავაკვირდი და გამოუთქმელის სიხარულით ვიცანი იგივე ალაზნის ველი, რომელიც ასე ძლიერ აწუხებდა ჩემს ნაცნობს პეიზაჟისტს. ველის სინტეზი მეტად მხატვრულად იყო გადმოცემული. ეტყობოდა, სურათის შემოქმედს ზეშთაგონება გამოსჩენოდა კავკასიიდან შორს, აქ, ჩრდილოეთში.

მაგრამ თუ-კი ალაზნის ველი საუცხოვო საყურებელია მის გარშემო მდებარე მაღლობებიდან, მარტვილიდან და სახარბედიოდან რიონის ველის ყურება იმაზე უფრო საამოა; ფონი ველისა, რომელიც დასერილია აუარებელ და ერთი-მეორეში გადახლართულ დიდ და პატარა მდინარეებითა, თავდება ზღვის სილურჯით; ჯვერდით, მარცხნივ, მიედინება მწკრივი აჭარის მთებისა, თოვლიან მწვერვალებიანი, ხოლო მარჯვნივ—სამურზაყანოს და აფხაზეთის მთები. პანორამა გადაჭიმულია მთელ ას ოთხკუთხ ვერსის მანძილზე; სული გიგუბდება, როცა ამ თვალუწვდენელ სივრცეს უყურებ. და ასეთ დახატულ ჩარჩოში ბუნებამ ჩასვა კავკასიის ერთი უნაყოფიერესი ველთაგანი, სადაც ხარობს ძალზე მრავალფერი კულტურა

მცენარეთა სამეფოთაგან. აქაურს მიწას არავითარი ხელოვნური გაპატივება სჭირია, ისე ხორბალი ერთ-ორმოცად მოდის; სიმინდი და ღომი (mil d'Italie) პირდაპირ საარაკო მოსავალს იძლევიან; კარგად მოდის ბამბა, უმაღლეს ხარისხის თუთუნი, რომელიც ბაზრობაზე ოსმალურ თუთუნის სახელით საღდება; თუთის ხე და ვაზი ყოველ ეზოშია, და მეაბრეშუმეობა და მეღვინეობა ჯერ მხოლოდ

თავ. ალ. ივ. ბარიატინსკი

მეფისნაცვალი კავკასიისა და მთავარსარდალი
კავკასიის ჯარებისა

ადგილობრივს საჭიროებას აკმაყოფილებს, მაგრამ ერთიც და მეორეც მოელის კაპიტალს, რომ გავრცელდეს და საზღვარგარეთ გატანის საგნად გადაიქცეს.

სამეგრელოს მთავრებმა ოდითვე ამოირჩიეს სამყოფელ ადგილებად ორი პუნკტი თავიანთ სამფლობელოს მოწინააღმდეგე სამზღვრებზე. ერთია აფხაზეთის მეზობლად, ინგურიდან რამოდენისამე

ვერსტის მანძილზე,— დაბა ზუგდიდი, ხოლო მეორეა—იმერეთის საზღვარზე, მთაგორიან ადგილას, ცხენისწყალის ხეობის მახლობლად,— დაბა გორდი. მთავარი ზამთრობით ზუგდიდში სცხოვრობდა. და ეს დაბა განთქმული იყო თავის მშვენიერ ბაღით; გორდი იყო— საზაფხულო რეზიდენცია, მდიდარი მთის წყაროებით და ნაქები საღ ჰაერით. ამ ორ დაბას გარდა, სალხინოსა და აბასთუმანში, რომელნიც აგრეთვე მთავრის საკუთრებას შეადგენდენ, და რამდენსამე უმდიდრეს ბატონიშვილების მამულებში თუ ნახავდით სამეგრელოში, ჩვენს მიერ აწერილ დროს, ჩვენებურ სახლების მსგავსებს. აქაურები ცხოვრობდენ ყავრით გადახურულ ჯარგვლებში, რომელთაც ორი კარი ჰქონდათ წინა და უკან, ან და წკნელისაგან მოწნულ და ისლით გადახურულ ფაცხებში. ამ ფარღალალა საცხოვრებელ ბინებს კარგათ დატკეპნილი მიწური იატაკი ჰქონდათ, რომლის შუა გულში მუდმივ ენთო ცეცხლი, ხოლო კედლების გასწვრივ განიერი ტახტები იდგა, ქეჩებ ან ჭილობ გადაფარებული; ამ ტახტებზე იდგა ზანდუკები, რომლებშიაც ელაგა შინაური რამერუმე, და დაკეცილი ლოგინი. აი ასე ღარიბულად იყო მორთული სახლი გლეხისაც და თავადისაც, და მაშინდელი მოხუცები, რომელთაც ახსოვდათ, როგორი იყო სამეგრელო რუსეთთან შემოერთებამდე, ასეთს მოწყობილებასაც მდიდრულად თვლიდენ.

და მართლაც ბუნებრივის სიმდიდრით უხვ და ბედნიერ გეოგრაფიულ პირობებში მოქცეულ ქვეყნის მცხოვრებთა ბედი ისტორიულ წარსულში მეტად სავალალო იყო.

ამ ორას წელს წინათ, შარდენი*) ასე გვიხასიათებს სამეგრელოს:

„მაღალი წოდება,—ამბობს მოგზაური,—თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების პატრონია, იმას უშვრება, რაც უნდა: წაართმევს ცოლს, შვილებს, შეუძლია გაჰყიდოს და მოიხმაროს ყველაფრისათვის, რაც მოექეიფება. ყოველ გლეხს მოაქვს თავის ბატონთან ამდენი და ამდენი საწყაო ხორბალი, ამდენი და ამდენი საქონელი, ღვინო და სხვა სამეურნეო ნაწარმოები, ასე რომ მებატონის სიმდიდრე განიზომება იმ გლეხების რიცხვით, რომლებიც მას ჰყავს ყმებად. ყოველი გლეხი ინახავს მებატონეს თავის საჭმელსასმელზე ერთ, ორ ან სამ დღეს წელიწადში, ამიტომ უმაღლესი წოდება მთელის წლის განმავლობაში ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადადის და პირიდან ლუკმას აცლის თავისს, და ზოგჯერაც

*) „Voyage en Perse et autres lieux de l'Orient".

სხვის გლეხებს. ეს გარემოება ხშირათ უკმაყოფილების მიზეზად ხდება, ხოლო ამ უკმაყოფილებას ერთმანერთის სისხლის ღვრაც მოჰყვება. მთავარიც ამნაირადვე ცხოვრობს, ასე რომ ყოველთვის ძნელია გაიგოთ მისი სადმყოფობა. თავისთან ერთად დაჰყავს მთელი თავისი ოჯახი, ქალები, ბავშვები, მოსამსახურენი, სტუმრები, ელჩები და სხვა საპატიო უცხოელები, როცა ესენი მასთან სტუმრად არიან; ყოველივე ეს უშველებელ ამალას შეადგენს კიდევ იმ მიზეზით, რომ ბარგი მხრებზე ან თავებზე შემოდებული მიაქვს ნახევრად შიშველ, ქვეითა კაცებს. ამ აყრა-დაყრის დროს მთავარი ჰკრებს ხარჯს, და სადაც ხარკი არ ერგება, იმის მაგივრად ძღვენს აძლევენ. გზა-გზა არჩევს საჩივრებს და დავას, გზაზე მიართმევენ ხოლმე თხოვნებს და ხშირათ საქმეებს აქვე არჩევს ან და მოდავეებს იქ იბარებს, სადაც ღამე უნდა გაათიოს. როცა სხვადასხვა მებატონის ყმებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვათ, მათ ბატონეები შეარიგებენ, ხოლო როცა თვით მებატონენი წაიჩხუბებიან, საქმის გადამწყვეტი—ღონეა. ვინც უფრო ღონიერია, მართალიც ისაა. ასეთ შემთხვევაში ყველანი ერთნაირად იქცევიან: თავს დაეცემიან მოწინააღმდეგის საქონელს, მისს ვასალებს, სახლებს, სახნავ-სათესს; იტაცებენ, ცეცხლს უკიდებენ, რაც ხელში მოხვდებათ, ყველაფერს ანადგურებენ და, ბოლოს, როცა მოსატაცებელი არაფერი ექნებათ, ძირიანად ამოაგდებენ ვაზებს, თუთისა და ხეხილის ხეებს. თუ მტრადგადაკიდებული მხარეები ერთმანერთს შეხვდებიან, სისხლის დაუღვრელად საქმე არ გათავდება. სუსტი და უღონო მთავარსა სთხოვს მფარველობას, რომელიც მანამდე არ ჩაერევა ჩხუბში; მაგრამ რაკი ჩაერევა, იმით იწყებს, რომ დამნაშავეს საპატიო მოციქულს უგზავნის და მტრადგადაკიდებულთ ერთმანერთში შეარიგებს. მაგრამ ასეთი შერიგება მკვიდრი არ არის და პირველსავე მარჯვე შემთხვევაში ისევ ატყდება ჩხუბი. სამეგრელოში ისეთი აზნაური არ მოიპოვება, რომ სხვასთან მტრობა არა ჰქონდეს და ნაჩხუბარი არა ჰყავდეს, და ამიტომ მეგრელები იარაღს არ იშორებენ და ერთავად შინაყმები ახლავან".

შარდენს შემდეგ, სანამდე სამეგრელო რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებდა, აქ, ოსმალეთის მთელის ასის წლის მძიმე ბატონობის წყალობით, არაფერი გამოკვლილა, და ეს კარგადა სჩანს 1804 წელს იმერეთისა და გურიის ყოფილ მმართველის ლიტვინოვის აღწერილობისაგან. „თავადები—ამბობს ლიტვინოვი—თავიანთის ხელქვეითების დესპოტები იყვნენ და ყმების ქონება მათ ეკუთვნოდათ. განათლება განისაზღვრებოდა ადამიანის უმთავრეს საჭიროების

დაკმაყოფილებით. მთავრები და თავადები თითქმის მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდენ; ქოხი, კარავი ან ხშირტოტებიანი ხე—მათი სასახლე იყო. საჭმელ-სასმელს ის სოფელი აძლევდა, სადაც მიადგებოდენ და ამ სოფელში მანამდე სცხოვრობდენ. სანამ ყმებს მთელს მარაგს არ გამოულევდენ და მაშინ შიმშილი და გლეხების საჩივარი—კარისკაცები გვარბევენ და ძალით გვართმევენ ყველაფერსო—იძულებულ ჰყოფდათ მეზობლად მდებარე სოფელში გადასულიყვნენ, და ასე გადადიოდენ სამთავროს ერთ სოფლიდან მეორე სოფელში. საჭმელი სულ სადა იყო, და თუმცა მთავარს უფლება ჰქონდა თავისი ქვეშევრდომი როცა უნდოდა, მაშინ მოეკლა, სუფრა ყველასათვის საერთო იყო, და ყოველ მათხოვარს, ხეიბარს, გულისამრევ სახიჩარს უფლება ჰქონდა თავის მბრძანებლის გვერდით მოსჯდომოდა სუფრას. მთელი განსხვავება მდგომარეობისა იმაში გამოიხატებოდა, რომ გლეხი აზნაურს ემსახურებოდა, აზნაური—თავადს, ხოლო თავადი—მთავარს“.

აი, როგორი იყო სამეგრელო მდგომარე საუკუნის დასაწყისში და როგორი ახსოვთ იგი ჩემს ნაცნობს მოხუცებს.

1803 წლის ქრისტიშობისთვის 4 მთავარმა გრიგოლ დადიანმა მთელ თავის ხალხითურთ რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობა მიიღო იმ პირობით-კი, რომ თვითონ შერჩენოდა ავტონომია ყველა სამოქალაქო საქმეებში, ხოლო ხელს იღებდა თავის ვასალების პიროვნებასა და სიცოცხლეზე სისხლის სამართლის უფლებაზე და ამ უფლებას რუსის იმპერატორს ხელში აბარებდა. ამის შემდეგ მთავრის უფლების მნიშვნელობა არსებითად იცვლებოდა. რაკი დადიანს განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა თვისთა ქვეშევმრდომთა სიცოცხლეზე, მათს ქონებას ისე უყურებდა, როგორც თავისს საკუთრებას, რომელსაც იძლევოდა სასარგებლოდ და სამფლობელოდ იმ პირობით, რომ ვისაც მისცემდა, მისი ერთგული და მორჩილი ყოფილიყო, თუ ამ პირობას დაარღვევდა, მამული ჩამოერთმევოდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პრაკტიკა ყოველთვის კი არ ეთანხმებოდა თეორიას. ყოველივე დამოკიდებული იყო თვით მთავრის პიროვნებაზე და მის გარშემო მყოფ პარტიაზე, რომელიც უმთავრესად შეადგენდა მისს დასაყრდენ ძალას. როგორც თავად ჩიქოვანების გვარის ჩამომავალი, ყოველთ უწინარეს მთავარი ამ გვაროვნობას ეყრდნობოდა და მერე მთელს მაღალ წოდებას, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო: იარაღით დაეცვა მთავარი მეზობელ იმერეთის, გურიის და აფხაზეთის მთავრების თავდასხმისაგან; დადიანი ამ მთავრებს ნიადაგ ეომებოდა, კარავ ქვეშ ატარებდა თავისს სიცოცხლეს და არ

შეეძლო ეფიქრნა თავის მამულების კეთილმოწყობისათვის. მასთან უხვად მოჰქონდათ ყველაფერი. რაც საჭირო იყო თვითონ მისთვის, მის ოჯახისა და მის გარშემომყოფთათვის: ღვინო, პური, თევზი, ფრინველი, ძროხები, ბატკნები, ნანადირევი და მ. სხ.; ყოველივე ეს მზამზარეული ჰქონდა. რაკი ამით დაკმაყოფილებული იყო, ვასალი თუ რასმე სამსახურს გაუწევდა ან რასმე უძღვნიდა, არ ეზოგებოდა სამაგიეროთ ებოძებინა მიწა და გლეხები, და ამით მას არაფერი აკლდებოდა. რაც უფრო მეტი სჩნდებოდა მიწის მფლობელობა და რაც უფრო მატულობდა მიწის დამმუშავებელი ხელი, მით უფრო ვითარდებოდა ადგილობრივი წარმოება. ამნაირ საყოფაცხოვრებო პირობებში, მთავარს იშვიათად სჭირდებოდა გამოეჩინა თავისი უფლება თვისთა ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და სიკეთილზე, ერთის მხრით, იმიტომ, რომ მისთვის პირდაპირ ხელსაყრელი იყო—მათთან თანხმობით ეცხოვრნა, და მეორეს მხრით იმიტომ, რომ როგორც იმას უნდოდა, ისე ვერ მოექცეოდა ყველას. მაღალი წოდება მუხლს იდრეკდა მის წინაშე წმინდა აღმოსავლურის მონურის მორჩილებით, მაგრამ ეს მორჩილება მხოლოდ გარეგნულათ იყო გამოხატული, ნამდვილათ კი ამ წოდებას ისევ დამოუკიდებლად ეჭირა თავი, როგორც პოლონეთის შლიახტას. ხელის აღმართვა რომლისამე ურჩ თავადის წინააღმდეგ არც ისე ადვილი საქმე იყო, იმხს მხარში ამოუდგებოდა ერთი კი არა, რამდენიმე გვაროვნობა თავადებისა, და აღმასრულებელი უფლება მთავრისა ხშირად უძლური გამოდგებოდა.

როცა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო სამეგრელომ, შიგნით მშვიდობა დამყარდა. მაღალს წოდებას დაეკარგა მუდმივის სამხედრო ორგანიზაციის მნიშვნელობა, ყოველი მის წევრთაგანი მშვიდობიან მემამულედ გადაიქცა და თავის მიწა-წყლის შემოსავლით დაიწყო ცხოვრება. რაკი ძთავარი სახელით იტოვებდა მთელს ტერიტორიაზე საკუთრების უფლებას, როცა მაღალი წოდება მუდმივი სამხედრო ბეგრისაგან გაანთავისუფლა, ამ წოდებისაგან რამდენიმე ნაწილი საადგილმამულო რენტა უნდა მოეთხოვნა, და ეს მოთხოვნა სრულებით ლოგიკური იქმნებოდა, მაგრამ გრიგოლ დადიანმა ეს ვეღარ მოასწრო; როცა რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცი დასდო, ამის შემდეგ მალე გადაიცვალა, ამბობენ, სოლომონ მეფის აგენტებმა მოსწამლესო. შვილი ლევანი პატარა ბავშვი დარჩა და სრულიწლოვანი რომ გახდა, მაინც და მაინც არავითარი მიდრეკილება გამოუჩენია სამეგრელოს მართვა-გამგეობის საქმისადმი. არც მომზადება რამ მიუღია ამისათვის და აღარც საკმაო განათლება. საქმის

კეთება მოსაწყენად მიაჩნდა, უფრო ნადირობის ტრფიალი იყო, სულმუდამ ეხვია გარშემო გუნდი და გუნდი მხიარულ მოქეიფე ყმაწვილებისა; ბუნებით გულკეთილი და უდარდელი იყო. და თავის ხალხსაც ძალიან უყვარდა. მთავართაგანი ლევანი პირველი იყო, რომელიც რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ სტკბებოდა თავის ქვეყნის მშვიდობიან ცხოვრებით და შინაურ მყუდროებით. სრულებით ბედნიერად სთვლიდა თავს თავის მდგომარეობით და ამაზე მეტს არაფერსა ჰნატრობდა. ყულევისა (რედუტ-ყალე) და ანაკლიის დათმობისათვის, სადაც ახლა საბაჟოები იყო მოწყობილი, მთავრობისაგან ახლა წლიურად ათას ორას თუმანს ღებულობდა; ამას ემატებოდა ჩვეულებრივი მისართმევი სასმელ-საჭმელისა და ისიც თავს მეტად მდიდარ კაცადა სთვლიდა. როგორც მართვა-გამგეობისა, ისე საოჯახო ყველა საქმეებს განაგებდა მისი ნათესავი (დიდი ნიკო), რომელსაც უსაზღვროდ ენდობოდა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, ლევანი მკაფიოდა გრძნობდა, თუ რა მთავრული უფლებები ჰქონდა თავისს ტერიტორიაზე და ეს ყველაზე უკეთესად სჩანს ერთ მეტად საინტერესო ფაქტისაგან. 1832 წელს სამეგრელო მოიარა, როგორც ტურისტმა, მდიდარმა ოსტზეელმა მემამულემ გრაფმა შტაკელბერგმა. გრაფს საშინლად მოეწონა მშვენიერი ბუნება, ჰავა და მცენარეულობა სამეგრელოსი, ყველაფერმა მეტად დააინტერესა, ხოლო სტუმართმოყვარე მთავარმა ხომ სულ მოჰხიბლა. შტაკელბერგს აზრად მოუვიდა აქ ახალშენი დაეარსებინა ოსტზეელ გერმანელებისა და ლატვიელთაგან და ეს აზრი ლევანს გაუზიარა; ლევანმა დიდის სიხარულით აღუთქვა დახმარება ამ საქმის განხორციელებაში და თვითონ გრაფსა სთხოვა ახალშენისათვის ადგილის არჩევა. შტაკელბერგმა გულდასმით მოიარა სამეგრელო, ყველაფერი დაათვალიერა და აირჩია ცხენის-წყლის ნაპირას მდებარე ადგილი, სადაც დღეს სოფელი ხუნწია. ლევანს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს და ორთავემ ფორმალური ხელშეკრულება დასდეს, რომელიც შემოწმებულ იქნა საქართველო - იმერეთის სამოქალაქო პალატის მიერ. შტაკელბერგი ჰკისრულობდა თავის ხარჯით გადმოეყვანა და აქ დაესახლებინა ხუთასი კოლონისტი ორისავ სქესისა, ხოლო ლევანი აძლევდა სამუდამო სამფლობელოდ სულზე ათ დესეტინას, და თითოეულ დესეტინაზე ხუთ შაურსა სთხოვდა საიჯარო ფულსა. გრაფი აქედან წავიდა და თავისი პირობა რატომღაც არ შეუსრულებია; ლევანი კი მზად იყო, ვინც ამ მიწაზე სცხოვრობდენ თავადები თუ აზნაურები, გამოუცხადა, ამბავი მომივა თუ არა ახალმოშენენი სამშობლოდან გამოვლენო,

შტაკელბერგის მიერ ამორჩეული მიწები უნდა გაათავისუფლოთო. აქედან ცხადია, რომ თავისი ქვეშევრდომების მთელის სამიწაწყლო ქონებას თავისს საკუთრებადა თვლიდა. *)

1842 წ. ლევანმა, უზენაესის თანაჯერჩინებით, სამეგრელოს მმართველად დანიშნა თავისი შვილი დავითი, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, როგორც განათლებულ კაცზე. დავითი აღიზარდა ბარონ როზენისა და თავად ბ. ო. ბებუთოვის სახლებში, ნამყოფი იყო აგრეთვე პეტერბურგში და გარკვეულათა ჰქონდა წარმოდგენილი როგორც თავისი მდგომარეობა, ისე თავის მომავალ მოქმედების პროგრამა, სწორე ისეთი, რაც უფრო გამოდგებოდა პრაქტიკულად.

დიდ ნიკოს კასაში არამცთუ კაპიკი არ აღმოაჩნდა ფულად, პირიქით, ვალად დასდებოდა ქუთაისის ებრაელებისა ათას ხუთასი თუმანი; ოჯახური საქმეები აწეწილ-დაწეწილიყო, და დავითმა ისწრაფა გადაერჩინა, რაც ჯერ კიდევ არ იყო დატაცებული. მაინც და მაინც ამისთვის კაცი ვერ დასძრახავდა დავითს; წინ იცქირებოდა და ცდილობდა საწადელსა სწეოდა. მისის რწმენით, მის დიდკაცურ მდგომარეობისათვის სიმდიდრეც იყო საჭირო. თავის სამფლობელოში აღიჭურვა დიდის აღმსრულებელ და უკონტროლო ძალა-უფლებით, და ამასთან იცოდა, რომ, 1803 წელს დადებულ ტრაქტატის ძალით, რუსეთის მთავრობა საჭიროების დროს დამეხმარებაო, და ამ გარემოებით სარგებლობდა კიდეც. დავითის მხნეობამ და მიდეგაობამ გამოიწვია საერთო დრტვინვა, უკმაყოფილება და ვერაგობა, რაზედაც ჩვენ ზემოთა გვქონდა ლაპარაკი, ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობამ გააბოროტა და რაკი ერთი და ერთი გადააცილა კანონიერების მიჯნას ურჩებთან, მალე მიმართა „დადიანურებსა“ და დილეგებს. ერთ გაჯიქებულ ქურდისათვის, ძველებურ ჩვეულების თანახმად, მაჯაც-კი მოაკვეთინა. კონტრაბანდ საქონლის საწყობები იყო გამართული ზუგდიდსა, სენაკსა,სუჯინაში და სხ.; ამ საწყობებმა დიდძალი ფული აშოვნინა; ამბობენ, აქედან ნახევარ მილიონზე მეტი ქონება შეიძინაო ვორონცოვს ეს ამბავი არ გამოჰპარვია, დავითის მოქმედების ხასიათი არ მოსწონდა და სიტყვა ჩამოუგდო—ნებაყოფლობით აიღე ხელი მთავრის ძალა-უფლებაზედაო და სამაგივროთ ფულად მოგეცემა სასყიდელიო. მთავარმა სთხოვა—ჩემი მამულები დამი-

*) ინტერესს მოკლებული არ არის ის ფაქტიცა, რომ 1859 წ. შტაკელბერგის შვილიშვილს თავის პაპის ქაღალდებში ლევანთან დადებული ხელშეკრულება რომ უნახავს, კავკასიის მთავრობას შეჰკითხებია. პაპიჩემის მიერ დადებულ ხელშეკრულების ძალით შემიძლია თუ არა ვისარგებლო უფლებით ხუნწში მდებარე ადგილებზეო? უპასუხეს, დაიგვიანეთო.

ტოვეთ და წლიურადაც სამი ათასი თუმანი პენსია გამიჩინეთო. ამ-დენი ფული, ალბათ, იბევრეს და მოლაპარაკება ამით გათავდა. ვორონცოვმა დავითს მაინც აგრძნობინა, რომ თუ ასე სასტიკად მოე-ქეცი შენს ქვეშევრდომთ, ამას, ადვილად შეიძლება, შენს უნებურათ, სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება მოჰყვესო. ეს იყო პირველი სერი-ოზული გაფრთხილება. ამას შემდეგ დიდს ხანს არ გაუვლია, ისე, დავითი გადაიცვალა, და რაც მოჰყვა მის გადაცვალებას, მკითხვე-ლებს უკვე მოეხსენებათ.

ასეთი იყო ახლოხნის, ჯერ კიდევ სამწუხარო წარსული იმ ქვე-ყნისა, რომლის სიმშვენიერესაც სტენლი ცენტრალურ აფრიკის ოაზი-სებში იგონებდა ხოლმე.

3.

ოდიშში ერთი უუმშვენიერესი ადგილთაგანია მდინ. ტეხურის მარჯვენა ნაპირი; მის გაყოლებაზე მიდის მთელი რიგი ვაზებით და-ფარულ ქედებისა, რომელთა ძირშიაც ბატონიშვილებს თავიანთი სა-მოსახლოები გაუმართავსთ. და ერთ ამათგანის ახლო მდებარეობს ნანგრევები ძველის ქალაქის ეასი, ჯერ ისევ ჰეროდოტეს მიერ რომ არის მოხსენებული; შემდეგში იმავე ქალაქს სტრაბონი არქეოპოლისს ეძახის. ახლა კი ამ ნანგრევთ ქართულად ნაქალაქევი ჰქვიან. არქეო-ლოგის ხელი ჯერ არ შეჰხებია ამ ჭაღარა სიძველეს და როცა მომა-ვალში დაიწყებენ აქაურობის გათხრას, უეჭველია, აქაც იმდენს რა-სმე იპოვნიან, როგორც იპოვნეს და ჰპოულობენ მიტრიდატის მთაზე ქერჩში; ჯერ-ჯერობით კი ტურისტის ყურადღებას იპყრობს აქ კარ-გათ შენახული ტაძარი იუსტინიანეს დროისა 40 მოწამის სახელო-ბაზე, მშვენიერ ფრესკებიანი და საიდუმლო გვირაბიანი მდინარისა-კენ; ამ გვირაბს თაღები უზარმაზარ თლილის ქვისები აქვს, რომლის შენობა ცხადად მოწმობს მისს ძველის-ძველობას.

ნაქალაქევიდან 9—10 ვერსის მანძილზე, ტეხურის დაყოლებაზე, მდებარეობს სავაჭრო დაბა სენაკი და იმის იქით ერთიოდ ვერსის სიშორეზე სასახლეა კნეინა მენიკი დადიანისა, აფხაზეთის მთავრის მიხეილ (ჰამუთბეი) შარვაშიძის ცოლისა, რომელსაც გაეყარა და სხვა შეირთო. სასახლის დიასახლისს, კინაღამ მთავრის ოჯახის მანდი-ლოსანს, ეძახდენ უგანათლებულეს მენიკის; სწორეთ ამ მენიკის სასა-ხლეში ბრძანდებოდა სტუმრად თვითონ დედოფალი, რომელმაც აქე-დან გაატანა კოლუბიაკინთან მიქაძეს წერილი.

მენიკის სასახლე ორსართულიანი იყო, გრძელ და განიერ ტერა-სიანი, რომელიც ტეხურზე გამოდიოდა, ხოლო უკანიდან ედო ვრცე-ლი ეზო, სადაც ცათაძდე აშვერილი იყო ასწლოვანი ჭადრები, მუ-

ხები და კაკლისხეები; ეს ხეები იქაურობას სქელ ჩრდილსა ჰფენდა, აგრილებდა და გათქათებულ მზის სხივთაგან იფარავდა ადამიანს. ამ ვრცელ კარმიდამოს იქით იწყებოდა ხოფ. შხეფი, გორაკის ძირას გაშლილი, ამ გორაკს კონუსის სახე ჰქონდა და თავზე წამოდგომოდა ნანგრევები დიდის კოშკისა, დადიანების ძველებურ ციხისა, რომელსაც სქლად ჰფარავდა სურო.

თავადი ი. ჩიქოვანი
სამეგრელოს მთავრის სახლთუხუცესი

როცა დედოფალი სადმე წავიდოდა, სულმუდამ თან ახლდა კარის ამალა, რომელიც, როგორცა, ვსთქვით მოაწყეს თვით მენიკმა და განსვენებულმა მთავარმა. ამ ამალაში ყველაზე უფროსი იყო სახლთუხუცესი, ამას რამდენიმე თანაშემწე ჰყავდა, მერე მოსდევდა მთელი

ბროვა თავადიშვილების გვაროვნობის ლამაზ ყმაწვილებისა, რომელთაც ჭრელ-ჭრელი ტანისამოსი ეცვათ და კოხტა იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი. ამ ყმაწვილებს შინაყმები ერქვათ და მთავარს ემსახურებოდენ, მათში ყოველ დღე ორ-ორი მორიგეობდა, მოახსენებდენ სტუმრებისა და მთხოვნელების მისვლას და მათვე გადასცემდენ სიტყვიერად მთავრის ნაბრძანებს; სუფრაზე ჭურჭელი უნდა გამოეცვალნათ და მთავრისათვის ღვინო მიერთმიათ. ეს ახალგაზრდობა საუცხოოდ იყო გაწრთვნილი, ზრდილი, მარდი და ნატიფის მიხვრა-მოხვრისა, თითქმის ყველანი ლაპარაკობდენ რუსულს, უმეტესობა მათგანს მარტვილის სასულიერო სასწავლებელში ესწავლნა; მეტად მოხდენილად ცეკვავდენ და სასიამოვნოდაც მღეროდენ ხოლმე მეგრულ სიმღერებსა. თავადები დიდ ნადიმებს რომ გამართავდენ, ამ მოშღერალთა გუნდს ცალკე სუფრას მოუსვამდენ და პირველ თავ საჭმლიდანვე შემოსძახებდენ სიმღერას, თითქო ორკესტრიაო. ამ შინაყმებს გარდა კნეინასთან მუდამ იყვნენ მდივანი, მოლარე და მოძღვარი. ყველა ამათ სასახლეში თავიანთი ულუფა ეძლეოდათ და ბინა. სამზარეულო იყო ევროპული და აქაური; ევროპულ სამზარეულოს გამგედ ბყო chef de cuisine, შვეიცარიელი, Mr Salomon Pfeniger. მოსამსახურე ქალთა შტატს მეთვალყურედ ჰყავდა მოხუცი ქალი, ძიძა კნეინისა. ეს შტატი შესდგებოდა ძიძებისა და მოახლეებისაგან, უმთავრესად აზნაურ ქალებისაგან. ცხოვრება მეტად ნირშეუცვლელი იყო: ყოველ დილას კნეინა და მისი შინაყმანი წირვას ისმენდენ, 12 საათზე საუზმე იყო, მერე იწყებოდა მოხსენებები და სტუმრების დახვედრა, საღამოს 5 საათზე სადილობდენ, 6 საათზე მწუხრის ლოცვაზე მიდიოდენ. საღამოს შინაყმებს თავთავისთვის გაუშვებდენ და კნეინა თავისიანებთან რჩებოდა. მარხვას უეჭველათ ინახავდენ და დიდ დღესასწაულებში ჩვეულებრივ მობრძანდებოდა ჭყონდიდელი და სწირავდა დიდის ზეიმით. ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლის დროს დედოფალს მეტად მშვენიერი ამალა ახლდა, რომელიც ახლა, აქაურ სტუმარმოყვარეობის ძალით, კნეინა მენიკის ხარჯზე იყო.

ამ დილას დედოფალი, მასთან ერთად ჭყონდიდელი, კონსტანტინე და დიასახლისი მენიკი გადმომდგარნი იყვნენ აივანზე, რომელიც ტეხურს გასცქეროდა. გრიგოლი თავის მახლობელ კაცებით ცალკე მოშენებულ სახლში იდგა, ხოლო ამალა ეზოში ჩერდებოდა განიერ ტოტებიან ხეების ჩრდილში.

ქვაშხორ ეკატერინეს ცხოვლად მოაგონებდა მისის ცხოვრების მეორე, სულ ახლანდელ ეპოქას, 1855 წ., ე. ი. მხოლოდ ამ ორს

წელს წინად, ოსმალთ შემოსევის დროს, აქ ექვს თვეზე მეტს იცხოვრა თავის შვილებთან და დაჲ ნინო გრიბოედოვისასთან ერთად. აქედან ორს ვერსზე, ტეხურს გაღმა, სოფ. სორტაში იდგა გურულების რაზმი; ზამთრის საღამოებზე მასთან მოდიოდენ მისი ნაცნობი ოფიცრები და დრო თითქმის შეუმჩნეველად მიდიოდა; ზოგიერთი მათგანი შემდეგში ინგურზე ომერ-ფაშასთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნენ; აქ მოუვიდა სამგლოვიარო ამბავი იმპერატორ ნიკოლოზის გადაცვალებისა, ამბავი, რომელმაც ყველა ძაძით შემოსა სწორეთ იმ დროს, როცა სამწუხარო ომს ვაწარმოვებდით მთელის ევროპის შეერთებულ სახელმწიფოებთან; აქავე ინახულა დედოფალი მაშინ ახლად დანიშნულმა მეფის ნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მურავიოვმა. მრისხანე და მოქურუშებული სახე ჰქონდა გენერალს: პეტერბურგიდან გამოსვლას წინ ბაასი ჰქონია იმპერატორთან და ამ ბაასის შთაბეჭდილებას ქვეშ იმყოფებოდა, ისე ტფილისში ჩასვლამდე უკანასკნელ სადგურზე, ღართისკარში, სადაც ღამის გასათევად იყო გაჩერებული, ფელდეგერმა გააღვიძა და იმავე იმპერატორის გადაცვალება მიუსამძიმრა. „ნეტარხსენებულმა საფლავში ჩაიტანა,—უთხრა მურავიომა აქ შეხვედრის დროს დედოფალს,—ჩემთვის ჩამორთმეული სიტყვა—მეტად ხელმოჭერილი ყოფილვიყავ და დამეზოგნა ხაზინა, ხალხის მწარე ოფლით შეგროვილი და ომისაგან განლეულიო“. და მურავიოვი მართლაც რომ უსაზომოდ ხელმოჭერილი იყო როგორც ფულისა, ისე ჯილდოების გაცემაში და კავკასიაში ბევრი მომდურავი ჰყავდა. დედოფალს ჯერ ისევ პატარა გოგოს იცნობდა და ენათესავებოდა კიდეც თავის პირველ ცოლის, ახვერდოვის ქალისაგან; მასთან რამდენსამე დღეს დარჩა სტუმრად და აქედან იძლეოდა საჭირო განკარგულებას სამეგრელოს დასაცავად, თუ ვინიცობაა მტერი შავიზღვის ნაპირას ჯარს გადმოსხამდა. იმავე ქვაშხორში, რამდენსამე თვეს უკან, ომერ-ფაშის მიერ სამეგრელოს დაპყრობის დროს, დედოფალს მისთვის მეტად დიდის მნიშვნელობის ბაასი ჰქონდა თავად ბებუთოვთან, და ამ ბაასს შემდეგ თვითონ გაუძღვა თავისს მილიციას და ბრძოლის ველზე გამოჩნდა.

აი, ასეთ შფოთიერ მოგონებათა შემდეგ, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ წარსულ ომთან, ახლა დედოფალი იძულებული იყო ხელახლა განეცადნა იმავე ქვაშხორში არანაკლებ შფოთიერი წამები, მხოლოდ ახლა-კი სულ სხვა მიზეზის გამო. სამძიმო იყო მისი როლი ყირიმის ომის შემთხვევითი გარემოებათა დროს, მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, იგი მაშინ მარტოდ-მარტო არა ყოფილა და საერთო ამბებს უკან მისდევდა, ახლა-კი, როცა თვალწინ ედგა ამ-

ბოხება, რომელმაც მის ხანგრძლივად აქ არყოფნის დროს სამეგრელოს საზოგადო ცხოვრება ესდენ ძლიერად შეარყია, მისი მდგომარეობა, როგორც დედოფლისა, სასწორზე იქმნა დადებული. ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა კავშირი ჰქონდა გლეხთა აჯანყებას მის პირად მტრებთან. მართალია, დედოფალი იყო, მაგრამ ის რეჟიმი, რომლის წარმომადგენელი ის იყო, იმას არ გამოუგონია, არამედ ქმრისაგან გადმოვიდა მის ხელში, მემკვიდრეობით. და რაკი იგრძნო, რომ ამ ამბავს თავს ვერ გაართმევდა, გადასწყვიტა შველა ეთხოვნა კოლუბიაკინისათვის; ეგონა, საკმაო იქნება გამოჩნდეს რამდენიმე ასეული ყაზახრუსი, გაჰფანტონ გლეხთა ბრბოები, რომ ყველაფერი დამშვიდდეს და წინანდელ კალაპოტში ჩადგესო. იმედი ჰქონდა, გენერალი ჩამოვა თუ არა, ამ ამბავს ერთბაშად მოიღება ბოლოვო. ამ დღეს ჩვეულებრივ ადრე ადგა, მოუთმენლად დადიოდა ტერასაზე, ერთთავად ტეხურისაკენ ეჭირა თვალი, ამ მდინარეზე გადადიოდა ქუთაისიდან მომავალი დიდი შარა-გზა.

4

დილის 10 საათისათვის ამ მხრიდან გამოჩნდა ცხენოსანი, რომელთაც ოთხანაღებ მოარბენინებდა თავისს მერანს. რამდენსამე წამს უკან მისგან გაიგეს, რომ თვითონ გენერალიც მოდიოდა. მეოთხედ საათს უკან გზაზე აყენებულ მტვერზე მიხვდენ მისს მოახლოვებასაც. ეტლს გარშემო სქლად ეხვივნენ ყაზახრუსები და სულ მოკლე ხანში გენერალი უკვე მენიკის სასახლეში შემოვიდა.

მეტად მხურვალე და მეგობრულ მისალმება-მოკითხვას შემდეგ, რამაც დედოფალს ცრემლებიც-კი მოჰგვარა თვალებზე, ეკატერინე კოლუბიაკინს ყველაფერს მოუყვა. მის ნათქვამიდან ის-ღა სჩანდა, რომ მთელი ბრალი გრიგოლს ქდებოდა. „მეო, — მოუყვა ეკატერინე, სამეგრელო სრულებით დამშვიდებული დავუტოვე და ამან კი მუხანათურად ამიჯანყა ხალხი თავის მართვა-გამგეობითო. დაახლოვებია ჩემის ოჯახის მტერ ბატონიშვილებს, ხოლო დასცინოდა თურმე იმათ, ვინც ჩემი ერთგული იყო და ვინცა სცდილობდა გლეხთა აჯანყება დასაწყისშივე ჩაექრო, ასეთებს უდიერად ეპყრობოდა თურმე. ეს ჯანყი, მისის წყალობით, საშინლათ გაზდილია და ახლა, როცა პეტერბურგიდან დავბრუნდი, თავის მანქანებით ხელს მიშლის მხარე დავამშვიდო. საქმე იქამდე გამიჭირდა, რომ იძულებული ვარ ჩემ ნათესავ ქალის სახლში ვეძიო თავშესაფარი, მაგრამ აქაც უშიშრად არა ვარ: აქედან სულ რამდენისამე ვერსის მოშორებით გლეხების აუარებელი ბრბოა გაჩერებული და შემოტევას გვიქადის, ვიცი, ამ

გლეხებმა რაც დღე დააყენეს თავიანთს ბატონებს, და ადვილად შესაძლებელია მეც გამიბედონ ყოველგვარი სისაძაგლე. სანამ სამეგრელოს დავამშვიდებდეთ, საჭიროა აქედან გრიგოლი სხვაგან წავიყვანოთ სადმეო".

დედოფლის ნათქვამის მეტ წილს იმდენი სიმართლე ერია, რომ კოლუბიაკინს, რომელიც კარგათ იცნობდა ორსავე ძმას და აგრეთვე იცოდა, ერთმანერთთან მუდამ რა უთანხმოება ჰქონდათ, ეკატერინეს აზრი ჭკუაში დაუჯდა და როცა გრიგოლის ბრალდება წაუყენა და ამან თავის მართლება დაიწყო, კოლუბიაკინმა შეაჩერა:

— ხო გესმით, თავადო,—უთხრა გენერალმა,—მე თქვენ ისე კი არ გელაპარაკებით, როგორც კერძო კაცი. არც ტყუილა-უბრალოთ გელაპარაკებით თქვენა და თქვენც, თავადო,—აქ კოლუბიაკინი მიუბრუნდა კონსტანტინესაც,—მეფის ნაცვლის სახელით წინადადებას გაძლევთ, დაუყონებლივ წახვიდეთ ტფილისში... თქვენ, რა თქმა უნდა, საუკეთესოდ ჩასთვლით ისწრაფოთ ჩემი წინადადება აასრულოთ და ამით მე იძულებულ არა მყოთ უეჭველათ მოგთხოვოთ ისე მოიქცეთ, როგორც გეუბნებით.

კოლუბიაკინი აღარც იმას მოერიდა, რომ გრიგოლი იმაზე მაღლა იდგა ხარისხით, ე. ი. რომ გენერალ-ლეიტენანტი იყო.

მის სიტყვებს შემდეგ, განსვენებულის მთავრის ძმებმა ულაპარაკოთ თავი დაუკრეს და განშორდენ, ხოლო რამდენსამე საათს უკან უკვე ტფილისისაკენ მიმავალ გზას ადგნენ.

ამასობაში კოლუბიაკინმა დედოფალთან ისაუზმა, ნასაუზმევს შეკაზმული ცხენი მოითხოვა და გამყოლებს უბრძანა წაეყვანათ მახლობლად დაბანაკებულ მეამბოხეებთან.

ყაზახრუსების თანხლებით სოფ. შხეფიდან ხუთიოდე ვერსი რომ გაიარა, გენერალმა შენიშნა მოშორებით გზაზე რამდენიმე ცხენოსანი, რომელთაც დაინახეს თუ არა, იქიდან ცხენები მოაბრუნეს და გაიქცნენ. გამყოლებმა გენერალს უთხრეს, ესენი ბრბოს ცხენოსანი დარაჯები არიანო. გენერლის ბრძანებით ყაზახრუსები გამოედევნენ, მაგრამ ვერას გახდენ: ცხენოსნები, რომელთაც ტყეში ყოველი ბილიკი იცოდნენ, იქით-აქეთ გაიფანტნენ და გაუჩინარდენ, თითქო დედამიწამ პირი უყოვო. მერვე ვერსზე გენერალი შედგა ერთ გორაკზე, რომელზედაც ზუგდიდის გზა გადადიოდა, და მის წინ გადაიშალა ფართე მინდორი, რომელიც ერთ ხშირ ტყის ბუჩქებიან და აქა-იქ ხეებიან ნაპირს ეკვროდა. მინდორზე დაინახა მრავალრიცხოვანი ბრბო გლეხებისა, რომელნიც სამხედრო წესზე დაბანაკებულიყვნენ. თამამად შეიძლებოდა თქმა, რომ სულ ათიათას კაცამდე იქ-

ნებოდა; გლეხები დიდს სივრცეზე იყვნენ გაშლილნი და ბოშების უშველებელს ურდოს მოგაგონებდათ. ქოხები, სახელდახელო ფარღალალა ფარდულები, რაღაც ნახევებისაგან შეკონკილები, ურმები, დანთებული ცეცხლი, ცხენები, ძროხები, ცხვრები, დედაკაცები, მამა-კაცები, ნახევრადშიშველი ბავშვები — ყველაფერი — ერთიმეორეში არეულიყო და მეტად ჭრელს სანახაობას წარმოადგენდა. ბრბოში ფაცა-ფუცი და ჩოჩქოლი შექმნოდათ; ალბათ, დარაჯებმა შეატყობინეს ყაზახრუსების მოახლოვება, და უკვე სჩანდა, რომ შარაგზაზე ხალხი ჰგროვდებოდა და ისმოდა საყვირის ხმა, რომელიც შესაგროვებლად მოუწოდებდა ხალხს. როცა გენერალსა და ხალხს შუა სულ ნახევარ ვერსის მანძილი რჩებოდა, ხალხი გენერლის მისაგებებლად წამოვიდა, წინ მოუძღოდა წითელ არშია შემოვლებული ქუდიანი კაცი, მხარზე ხმალ გადაკიდებული,—გამყოლებმა აუხსნეს გენერალს— ის ბრბოს მეთაური, მჭედელი მიქავა არისო.

ძნელია დაწვრილებით წარმოვიდგინოთ ის პროცესი, რომელიც ასეთს ბრბოებს წარმოშობდა და ამ ზომამდე გაზრდიდა, და უფრორე ძნელია ადამიანს მოვუყვეთ მათის წოწიალით ცხოვრების ამბავს მთელის ნახევარ წლის განმავლობაში; მხოლოდ ის არის უეჭველი, რომ ამ ბრბოში შესულნი იყვნენ ისეთნი, ვინც სასოწარკვეთილებამდე იყვნენ მისულნი დაუსრულებელის დევნულებითა და ტანჯვა-წამებით და თავი მოეყარათ რამდენისამე გულად ვაჟკაცების გარშემო, რომელთაც მეთაურების ადგილები დაეჭირნათ. ამისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ბატონის ძალა-უფლებისათვის, რომ მას კრიჭაში ჩასდგომოდენ, ეჯობნათ მისთვის, რომ ხელფეხი შეკვრით ადგილობრივის ადმინისტრაციისათვის და დასასრულ, იმისთვის, რომ დაეწყოთ რაღაც არანორმალური-დამოუკიდებელი არსებობა,—გლეხებს ოღონდაც რომ უნდა გამოეჩინათ დიდი ენერგია. როგორც აკტიური, ისე პასსიური. გენერალი, მაშასადამე, თავის წინაშე ხედავდა ხალხის დუნდგოს, თავზე ხელაღებულს, და არ იცოდა, ეს დუნდგო რასა ჰფიქრობდა, გულში რა ედო; აბა, რა ღა თქმა უნდა, ყაზახრუსები, მას რომ მოჰყვებოდა, სრულებით საკმარისნი იყვნენ არამცთუ მათს გასარეკად, არამედ ამოსაწყვეტადაც; ამ ხალხის გროვას ეს თვითონაც უნდა ჰქონოდა შეგნებული, მაგრამ, მიუხედავად აშკარა მოსალოდნელის საშიშროებისა, ეს ხალხი იმისკენ მოდის შესახვედრად. გენერალმა ცხენს დეზები ჰკრა და სულ მიუახლოვდა. ხალხი გაჩერდა, ამან ცხენს სადავე მოსწია და ხმამაღლა შესძახა.

— მოიხადეთ ქუდები, და დაიჩოქეთ!

ეს სიტყვები ძალიან ნაცნობებია, რომ მათს ორიგინალობაზე ვილაპარაკოთ; ოდესღაც ამ სიტყვებით დაიწყო იმპერატორმა ნიკოლოზმა აჯანყების ჩაქრობა სენნაიას ქუჩაზე; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ეს სიტყვები, კოლუბიაკინის მიერ განმეორებული, ძალზე თავის დროზე და თავის ალაგას იყო ნახმარი.

როცა რაფ. ერისთავმა მისი ნათქვამი ხმამაღლა გადათარგმნა ქართულად, ხალხის დუნდგომ იმ წამსვე მოიხადა ქუდები და დაიჩოქა.

ამ მოძრაობას საერთო არაფერი ჰქონდა ხალხის იმ მოძრაობასთან, რომელიც შიშის გავლენითა ხდება; ეს მოძრაობა უმალ მოგაგონებდათ იმ მოძრაობას, როცა ხალხი მუხლს იდრეკს მის მიერ ხილულ და სათაყვანო ძლიერების განსახიერებას წინაშე. შიშის ადგილი აქ დაჭერილი ჰქონდა უსაზღვრო მორჩილებას და ნდობას. საკმაოდ კარგხანს გაგრძელდა დუმილი, ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგონებდით. დაჩოქილმა ხალხმა თავები ჩაჰქინდრა. ყაზახრუსები, გენერლის ბრძანებით, გარსშემოერტყნენ.

— თქვენმა დედოფალმა, — დაიწყო კოლუბიაკინმა, — მთხოვა მოსულვიყავ და თქვენთვის ურჩობაზე ხელი ამეღებინებინა. ეს ნახევარი წელიწადია, რაც კანონიერ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებით თურმე. თვით დედოფალმა თურმე ბევრი გირჩიათ, მაგრამ თქვენს მორჯულებას მაინც არაფერი ჰშველებია. თქვენს მებატონეებს არამცთუ გამოქცევიხართ, არამცთუ არ აძლევთ, რაცა გმართებსთ მაგათი, არამედ იმ ზომამდე გაკადნიერებულხართ, რომ ვინც ხელში ჩაგივარდებათ, დაუსჯელად არ უშვებთ. ნუ თუ გგონიათ, რომ სულ ასე შეგრჩებათ? მე მოვედი თქვენს დასასჯელად და აქედან მანამდე არ წავალ, თუნდაც იძულებული ვიქნე ერთი ცოცხალი არ გაგიშვათ...

გენერლის უკანასკნელ სიტყვებზე არც თუ შრიალი, არც თუ ჩურჩული მოჰყვა ხალხში, და ამ ბგერებისაგან შესდგა რაღაც საცოდავი, მკვნესარე გამმა.

გენერალმა ისე გაიგო—ალბათ ჩემს ნათქვამზე დრტვინვა შეჰქმნესო და დაუყვირა:

— ჩუმათ! თუ ერთი კრინტი დაგიძრავთ, ვუბრძანებ, გესროლონ!..

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ხალხის დუნდგოდან წამოდგა თოვლივით თეთრად გადაპენტილი თმაწვერა მოხუცი, მივიდა გენერალთან, მის ცხენს ფეხებზე მოეხვია და ხმამაღლა შეჰღაღადა — წყალობა მიყავ და მალაპარაკეო.

— გვესროლე, გენერალო, როგორც წყალობას, ისე გთხოვთ. ათას წილ გვირჩევნია დავიხოცნეთ, ვიდრე იმ მდგომარეობაში დავრჩეთ, როგორშიაც ახლა ვართ. შენი აქ, ამ მთაზე, გამოჩენა სასწაული გვგონია, ისე მოგვევლინე, როგორც მხსნელი ანგელოზი ღვთისა... შენ რომ არ მოსულიყავ აქ, ჩვენ თვითონ მოვდიოდით შენთან, ამიტომ რომ ქუთაისისაკენ მოვდიოდით, ცხენის-წყალს გაღმა, სწორეთ შენთან. ბევრი რამ გაგვიგონია შენზე, შენს სამართლიანობაზე. ცხენის-წყალს გამოღმა სამართალი არ არის, სამართალი მხოლოდ გაღმაა და ჩვენც იმისკენ მოვდიოდით.

ხალხს მოეწონა მისი ნათქვამი და მოისმა ხმები:

— მართალია, მართალი!

მოხუცმა განაგრძო:

— და აი, ახლა, როცა შენ ჩვენს წინაშე ბრძანდები, ჩვენ შენის ბრძანებით კი არა, ჩვენის ნებით ვემხობით პირქვე და გეხვეწებით: გვესროლეთ! თუ კი ღმერთმა, ვენაცვალე მისს დიდებას, პირი გვარიდა, გვირჩევნია ერთს დღეს გავსწყდეთ, ვიდრე ნელ-ნელა ვიტანჯოთ; მაგრამ სანამ გვესროდე, გენერალო, შენი მუხლების ჭირიმე, მოგვისმინე...

მოხუცი ამის თქმაზე მიწაზე დაემხო. მთელმა დუნდგომ იმას მიჰბაძა და იგივე ჰქნა.

— კარგი, მოგისმენთ. მინდა გავიგო, რა სამართალს ეძებდით ცხენის-წყალს გაღმა, მაგრამ გაფრთხილებთ, მე მინდა სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდეთ დედოფალს.

გენერალმა ეს რომ სთქვა, ცხენს შემოჰკრა, შარაგზიდან გადმოუხვია და ერთ ხშირტოტებიან ხესთან მივიდა. ყაზახრუსებმა დასაჯდომი გაუკეთეს და იმანაც აქ იხმო ხალხი.

— აბა, სთქვით, გისმენთ.

რამდენმამე კაცმა ერთად დაილაპარაკა.

— ჩუმათ! — დაიყვირა ისევ გენერალმა,—ამოირჩიეთ ერთი, და იმ ერთმა ილაპარაკოს.

— მიქავა, მიქავა...—გაისმა ყველა მხრიდან;—შენა სთქვი, მიქავა...

კოლუბიაკინმა მიქავა მოიხმო. და როცა ეს მოვიდა დიდის მოწიწებით და მუხლებზე დაეშვა, კოლუბიაკინმა უბრძანა ამდგარიყო და ელაპარაკნა. მიქავამ შეშინებულის ხმით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ თანდათან სიმხნევე ემატებოდა.

— ამ ერთს წელს წინად, ბატონო, ჩვენს ქვეყანას, ოსმალთა ჯარი შემოესია, მტერმა გაანიოარწყლა ყველაფერი, რაც ხელში მოხ-

ვდა. შველა არსაიდანა გვქონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებსა გვტაცებდენ და ოსმალებზე ჰყიდდენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენის შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიენით. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავსთ, რომ ამბობენ, ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც კი არ უნდა გვედგასო. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავსთ, ჩვენ არა გვჯობდეს! ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრის ან მეძებრისათვის რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები. აქავე, ყურიძირში, ცხენისწყალსა და რიონს გაღმა, ადამიანებს ასე როდი ეპყრობიან. ჩვენ ვიცით, რომ იქ პირუტყვზე დაბლა არ აყენებენ, რომ იქ არსებობს სამართალი და კანონი. ნეტავი, რა დავაშავეთ ისეთი ღმერთთან, რომ ჩვენთანაც ისევე არ არის? როცა ბატონს თავისას ვაძლევდით, მხოლოდ იმასა ვსთხოვდით—ისე მოგვქცეოდენ, როგორც ამას ჩვენი ძველი, ჩვენთა მამაპაპათა მიერ დადგენილი, ჩვეულება მოითხოვდა. მაგრამ ამ წმინდა ჩვეულებას მებატონეებმა, დიდი ხანია, ფეხი დააბიჯეს, უგულებელ ჰყვეს, ხოლო ნაომევს მათმა სისასტიკემ ყოველსავე საზღვარს გადააცილა. გვეჩივლნა? აბა ვისთან გვეჩივლნა? დედოფალი აქედან შორს იყო, ხოლო მისს მდივანბეგებს (პოლიციის მოხელენი) მებატონეების მხარე უჭირავსთ, მათგან ძალდატანების მეტი არაფერი გვახსოვს, თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდენ და ისე უდიერათ იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლეხებმაც-კი გადასწყვიტეს არ დამორჩილდენ და ხატზე დაიფიცეს—დედოფლის ჩამოსვლამდე ერთანერთს მხარი დაუჭირონ და ერთიმეორეს არ ულალატონ. ჩვენც მათს მაგალითს მივბაძევით. გვეგონა, ჩქარა დაბრუნდებოდა; მაგრამ გაიარა თვეებმა, ჩვენ იქითაქეთ დავეხეტებოდით, ჩვენს ბატონებს ვემალებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძალლებით ნადირობდენ ჩვენზე, ერთად შეერთდით და ძალას ძალა დავუპირდაპირეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მებატონენი არ გვითმობდენ და აღარც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს, ზაფხულში დედოფალი ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა? არამც თუ მფარველობა არ გაგვიწია, ყურშიაც არ უნ-

და შეუშვას ჩვენი გაჭირვება. ,,როგორ გაჰბედევით,— გვიბრძანა დედოფალმა,—და ბატონებს ხელი ახელითო!“ ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელის წლობითა გვტანჯავდენ, და მათს სახლებიდან გამოვიყვანევით ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილათ კი მათი ხასები იყვნენ, და ქრისტიანულის წესით გავათხოვეთ. მოხუცმა მართალი მოგახსენათ: შენ თვითონ რომ არ მოსულიყავ, ჩვენ თვითონ გეახლებოდით შენთან; მთელი ეს ხალხი მე მომყავდა და რამდენსამე დღეში ცხენისწყალს გაღმა ვიქნებოდით. ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავსწყვიტევით მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოთ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგნეთ... რაც უნდათ, ის გვიყონ, თუნდაც დაგვხვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანერთს შევფიცევით: არაფრის გულისათვის დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, საცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ!.. დედოფალს ყოველივე ეს ესმოდა ჩვენგან და არ მოინდომა ჩვენთვის ეშველნა. იმას თავის დღეში არაფრით დამუქრებივართ, ჩვენი არაფერი შიში უნდა ჰქონებოდა, არც ავაზაკები ვართ და აღარც მეამბოხენი, უბედურები ვართ, სამართალსა ვთხოულობთ, მეტს არასფერს. გვიწყალობე.— გენერალო, ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე, თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვიქნებით, ყველაფერს გაგიგონებთ. მანამდე კი თქვენის ბედნიერის თვალებითა ნახევით...—აქ მიქავა გლეხებს მოუბრუნდა და მეგრულად რაღაც უთხრა. ერთ წუთში რამდენმამე კაცმა მოათრია მთელი გროვა მძიმე ჯაჭვებისა და ძირს დაჰყარა.—აი რითი გვაბამდენ და გვაწამებდენ.

გენერალმა უნებურად წარბები შეიჭმუხნა, როცა ეს საწამებელი იარაღი დაინახა.

— აბა რა უნდა გვექნა,—განაგრძო მიქავამ,—მოძალის წინააღმდეგ ძალა უნდა გვეხმარნა ფარად, თუ არა? ისე გამოტეხილად გევუბნები, როგორც ღმერთს. აი თუნდაც გუშინ, იძულებულნი ვიყავით ასეთის საშუალებით გვეპასუხნა ერთ-ერთ აქაურ მემამულესათვის,— და აქ დაასახელა მისი გვარი.—შეუყრია თავისი თანამოგვარენი, მოულოდნელად დაეცა გლეხის ოჯახს და მოიტაცა იქიდან ქალი, რომელიც წინად მასთან მოახლედ იყო და რომელიც ჩვენ იქიდან წამოვიყვანეთ და ჯვარი გადავსწერევით; ეს ქალი სადღაც დამალეს, ამბობენ, აფხაზეთისკენ წაიყვანეს გასასყიდადო. ჩვენ ეს ძალადობა არ შევარჩინეთ და თვითონ მემამულე, გაბაწრული, ჩვენს ტყვედ არის, სანამ მოტაცებულ ქალს არ დაგვიბრუნებს...

ამ სიტყვებზე გენერალმა ენერგიულად დაიქნია მხრები და დაიყვირა:

— ახლავე აუშვით და აქ მოვიდეს.

მიქავა გაექანა ბრძანების ასასრულებლად და რამდენიმე წამს უკან გენერლის წინაშე იდგა უიარაღო, მაღალი, მოყვანილი და ლამაზი ვაჟკაცი, თავადი პ. მ. სახეზე საშინელი შიში ეხატებოდა; ალბათ გაგონილი ექნებოდა, რომ კოლუბიაკინი ისეთი კაცი იყო, რომელთანაც ხუმრობა კაცს არ გაუვიდოდა.

გენერალმა ბრძანა დაუყონებლივ დაებრუნებინათ მისთვის თავისი იარაღი, მერე ახლოს მოიხმო და დაბალის ხმით, მაგრამ რიხიანათ უთხრა:

— თქვენს მიერ წართმეული ქალი, გთხოვთ, ახლავე აქ მომგვაროთ; თუ აფხაზეთში გაყიდულია, იცოდეთ, ჩემს წინაშე პასუხს აგებთ. წადით და არ დაივიწყოთ, რომ მე ჩვეული არა ვარ ჩემის ბრძანების ასრულებას დიდხანს ვუცადო ხოლმე.

პ. მ-მ მდაბლათ თავი დაუკრა და შურდულივით გაჰქანდა.

ამ დროს, შარაგზის მახლობლად, რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. ესენი იყვნენ ადგილობრივი მდივანბეგი და მებატონენი. გენერალმა ბრძანა დაეძახნათ მათთვის, და ისინიც აჩქარებით მოვიდნენ და მდაბლად სალამი ჰკადრეს გენერალს.

— მე თქვენი საქმე არაფელი მაქვს ასახსნელი თქვენთვის, ბატონებო!—უთხრა გენერალმა.—აქ თქვენმა დედოფალმა მომიწვია გლეხების აჯანყების ჩასაქრობად, და ჩავაქრობ კიდეცა; მაგრამ იცოდეთ კია, რომ ამიერიდან თქვენც სულ სხვანაირად უნდა მოიქცეთ, ვიდრე აქამდე იქცეოდით. მთავრობა აღარ გაპატივებსთ ულმერთო საქციელს და გაიძულებსთ არ გადასცდეთ იმ ფარგლებს, რა ფარგლებსაც ადათი გიჩვენებსთ ხოლმე.

ეს რომა სთქვა, მიუბრუნდა მდივანბეგს და ჰკითხა—ამ ხალხში ხომ არ ურევია აქ დამსწრე მებატონეების გლეხებიო? და როცა მდივანბეგმა უპასუხა, დიახო, გენერალმა მიქავას უბრძანა—წინ წამოდგნენ ეს გლეხებიო.

— აი თქვენი ბატონები,—უთხრა კოლუბიაკინმა ამ უკანასკნელთ (ას კაცამდე მოგროვდა),—ისევ იმათვე დაუბრუნდით და იგივე გააკეთეთ, რაც აქამდე გიკეთებიათ მათთვის. იცოდეთ, რომ კანონი უსამართლობისაგან დაგიფარავსთ. თუ დაგჩაგრეს, მიდით თქვენის დედოფლის მიერ დაყენებულ მდივანბეგთან, თუ მდივანბეგმა დაგჩაგრათ, დედოფალს შესჩივლეთ მის უკანონო საქ-

ციელის შესახებ. გახსოვდესთ, რომ ყოველ ურჩობისათვის შძიმედ დაისჯებით.

— მობრძანდით ამ მებატონეებთან და გლეხებთან,—მიუბრუნდა ისევ მდივანბეგს კოლუბიაკინი, და თვალყური ადევნეთ, ყველა თავთავისას დაბინავდეს. რამდენიმე ყაზახრუსი გამოგყვებათ და საჭიროების დროს მოგეშველებიან. თქვენ, ბატონნო მემამულენო, გირჩევთ თქვენთან დაბრუნებულ გლეხებს ავად აღარ მოექცეთ, და ვითომ არც-კი ყოფილა თქვენს შორის უთანხმოება რამე. ახლა შურისძიების დრო არ არის, ეცადეთ, რაც შეიძლება, ტკბილათ მოეპყრათ. მაშ, წაბრძანდით!

ურიადნიკი და რამდენიმე ყაზახრუსი ამ ჯგუფს შეუერთდა. ჯგუფმა მდაბლათ თავი დაუკრა, იქიდან დაიძრა და თვალთაგან მიეფარა ყველას.

— ახლა ყველამ კარგათ დამიგდეთ ყური,—სთქვა ბოლოს გენერალმა.—თქვენი კრება ახლავე უნდა დაიშალოს. თქვენ-თქვენსა წადით და თქვენ-თქვენს ბატონებს პატივება სთხოვეთ; უთხარით, რომ მე გამოგგზავნეთ და რომ თვალყურს ვადევნებ თქვენს ურთიერთობას. შენ, მიქავა, გიბრძანებ აუხსნა ყველაფერი ეს გლეხებს და ჩააგონო, რომ რაც ახლა ვსთქვი, ყველაფერი დაუყონებლივ უნდა აასრულონ; გლეხები ერთმანეთისათვის მიცემულ ფიცისაგან გამინთავისუფლებია, ახლა თითოეული მათგანი დამშვიდებულის სინდისით დაბრუნდეს შინ და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

ხალხი სწრაფათ დაიშალა მინდორზე და თავ-თავიანთ ცოლ-შვილიანათ შინ წასასვლელად მზადებას შეუდგნენ.

5

გენერალმა დედოფალს კაცი გაუგზავნა და რაც მოხდა, ყველაფერი შეუთვალა. ამ კაცსავე დაავალა მოეხსენებინა, ზუგდიდში წასვლა საშიშო არ არის და თუ წაბრძანდებით, იქა მნახავთ, რათგან მეც იქ გეახლებით-თქო. ყაზახრუსების ერთ-ერთ ოფიცერს უბრძანა აქ გაჩერებულიყო და თან 50 ყაზახრუსი ჰყოლოდა; აქ ამ ოფიცერს თვალყური უნდა ედევნებინა—გლეხები, რაც შეიძლება, მალე დაშლილიყვნენ, და ამ დავალების ასრულების შემდეგ ჩემთან მოდიდა ყოველივე მომახსენეო.

მერე, როცა მზე დაიხარა, კოლუბიაკინი ქვალონისაკენ გაემართა და იქვე გაათია ღამე; მეორე დღეს ზენში გადავიდა, იქიდან—აბასთუმანში, ხოლო მესამე დღეს უკვე ზუგდიდში იყო. იმ ადგილებში, საცა კი გაიარა, ყველგან იყო ცალკ-ცალკე ბრბოები,

თუმცა თეკლათისაზე უფრო ნაკლებები, და მიქავა ყველგანა სჭიროდა გენერალს. ზოგიერთ ზეგან სოფლებში გლეხები ჩვეულებრივ ურჩები არიან და ყაზახრუსები რომ დაინახეს, დააპირეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მიქავა დაუწყებდა ლაპარაკს, აუხსნიდა ყველაფერს და ისიც მორჩილებას უცხადებდა გენერალს. ერთ-ერთ ამ სოფლელთაგანში გენერალ-გუბერნატორის კანცელიარიის მმართველი იზიუმსკი მოვიდა და კოლუბიაკინს აცნობა—თვითონ გაგარინიც მალე გეახლებათო.

ჩვენ არ გამოვუდგებით გენერლის მოგზაურობის დაწვრილებით აღწერას. საცა კი გაიარა, შედეგი ერთი და იგივე იყო: ბრბოები იფანტებოდა, მებატონენი ყველა მხრიდან მოდიოდნენ და ხდებოდა ის, რაც დავინახეთ პირველ ბრბოში. თავადმა ნ. მ-მ წარუდგინა გენერალს მის მიერ მოტაცებული ქალბ; თავისი ცოლი ქმარს დაუბრუნეს, ხოლო ქალის ძმებმა მებატონეს თუმანი მისცეს ქალის გამოსასყიდი, ადგილობრივის ჩვეულების თანახმად. ასეთი სწრაფი და სამართლიანი გათავება საქმისა გლეხებს ნდობას უნერგავდა, და ყველანიც მიხვდენ, რომ აქ ყოფნა ისეთის ადამიანისა, რომელიც ისეთის ძალაუფლებით იყო აღჭურვილი და რომელიც ასე სწრაფად ათავებდა ყოველს საქმეს, უეჭველად ბოლოს მოუღებდა აქაურ ანარქიულ მდგომარეობას, რომელიც, ნახევარ წელიწადზე მეტი იყო, რაც გრძელდებოდა.

კოლუბიაკინს ასე იმიტომ უმარჯვდებოდა, რომ ასეთს საქმეებში შეტად გამოიცადა ქუთაისის გუბერნატორობაში. ორივე მოსაზღვრე ქვეყნის—იმერეთისა და სამეგრელოს—გლეხებისა და მემამულეთა ყოფა-ცხოვრების პირობები იმდენათა ჰგავს ერთმანერთს და საერთო იმდენი აქვსთ, რომ გენერლისათვის ახალი და გაუგებარი არაფერი იყო მეგრელების აჯანყებაში; ხოლო მისი ენერგია და აგრეთვე ყოველი საქმის სწრაფათ მოსაზრების უნარი, რა თქმა უნდა, უფრო შველოდა საქმეში უეჭველად გაემარჯვნა. მართალია, ამ საქმეს საუკეთესო მიმართულება მისცა, მაგრამ დედოფალს მაინც ვერ იამა და ამის მიზეზი ბევრი რამ იყო.

ყოველთ უწინარეს, დედოფალი ვერც-კი იფიქრებდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ასე სწრაფათ და ისიც იარაღის უხმარებლად ასეთის საქმის მოგვარება. მისი თავმოყვარეობა, როგორც დედოფლისა, ილახებოდა, როცა დაინახა, რომ საქმე დაშოშმინდა ყაზახრუსების მათრახებით კი არა, არამედ ადმინისტრატორის უნარიანობით, რაიცა მას აკლდა. შემდეგ მიხვდა, რომ იმ მიმართულების შემდეგ, რომელიც კოლუბიაკინმა საქმეს მისცა, მისთვის შეუძლე-

ბელი იყო დაჰბრუნებოდა იმ რეჟიმს, რომლის გამოცვლას არამცთუ არა ფიქრობდა, არამედ გადასწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, უფრო განემტკიცებინა და სწორედ ამისთვისაც მოიწვია სამხედრო ძალა, დედოფლისთვის საჭირო იყო იმათი მსგავსი გენერალი, რომელთაც სამწუხარო სახელი გაითქვეს იმით, რომ ხალხს ტყუილ-უბრალოთ არა მარტო თოფებს, ზარბაზნებსაც კი ესროდენ, როგორც ეს ჩაიდინა გენერალმა ვოლოცკიმ მასლოვოი კუტში, სტავროპოლის გუბერნიაში, და ეკატერინე გული-გულში ჰნანობდა კიდეცა, რომ კოლუბიაკინი მოიწვია. განსაკუთრებით იმისთვის ემდურვოდა კოლუბიაკინს, რომ ამან საქმეში არამცთუ არ დაიხმარია მისი, ეკატერინეს, დაახლოვებული ჩიქოვანები, არამედ პირისპირ დადგა მებატონეებსა და გლეხებთან და მეტად მკაფიოთ აუხსნა ორსავე მხარეს, რომ კაცთმოყვარება და ადათი უნდა შეადგენდენ საზღვარს, რომელსაც არ უნდა გადასცდეს მებატონის ძალა-უფლებაო. ამით კოლუბიაკინმა დედოფალიც ჩააყენა იმავე ჩარჩოებში საკუთარ გლეხების მიმართ. ამას შემდეგ სამმართველო აპარატი დედოფლის სახლთუხუცესისა სრულებით გამოუსადეგარი ხდებოდა, როგორც დამთრგუნავი ადათ-ჩვეულებისა. თუ კოლუბიაკინის მიერ ნაჩვენებ ჩარჩოებში ჩადგებოდა, დედოფალს მაშინათვე უნდა აღეარებინა, რომ სახლთუხუცესის ამბავი მთავრის წისქვილზე მინდის გამო სალხინოში, საიდანაც დაიწყო კიდეც აჯანყება, იყო აშკარა უსამართლობა და დარღვევა ჩვეულება-ადათისა. მაგრამ დედოფალი ამას ახირებულათ უარჰოფდა, და იმისთვის რომ გეკითხნათ, ისე გამოდიოდა, რომ კოლუბიაკინი გლეხებს კი არ ამშვიდებდა, პირიქით, ამხედრებდა მის, დედოფლის, წინააღმდეგო. რამდენათ მოუთმენლათ მოელოდდა ქუთაისიდან კოლუბიაკინისა და ყაზახრუსების ჩამოსვლას, იმდენათვე მოუთმენლათ ნატრობდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა გენერალი.

თავადი გაგარინი ზუგდიდში კოლუბიაკინზე ადრე ჩავიდა და დედოფალმა, რომელიც უკვე ჩასულიყო, აჯანყების ამბავი დაწვრილებით და იმავე სახით გადასცა, რა სახითაც ეს ამბავი კოლუბიაკინს უამბო, მერე შესჩივლა კოლუბიაკინზე—გლეხებს კი არ ამშვიდებს, უარესად აჯანყებსო; მე მხოლოთ ყაზახ-რუსების გამოგზავნასა ვთხოვდი ჩემს განკარგულებაში, თვითონ მისი ჩამოსვლა სრულებითაც არა მჭიროდაო.

ასეთნაირად დასმენის გამო კოლუბიაკინს გაგარინი მეტად ცუდ გუნებაზედ დახვდა. გენერლის ჩამოსვლა სამეგრელოში მის დაუკითხავად გაგარინს არ მოსწონებია. მისის აზრით, ეს კოლუ-

ბიაკინის მხრით არამკითხე შეჭრა იყო იმ სამმართველოში, რომელიც მას არ ექვემდებარებოდა; ვინ ამბობს, შემთხვევა განსაკუთრებული ყოფილა, მაგრამ მაინც თუ კი თვითონ დედოფალს არ უთხოვნია კოლუბიაკინისათვის ჩამოსვლა, კოლუბიაკინს რაღა სჯოდა, რომ ჩამოდიოდაო! გაგარინმა დედოფლის წერილის შესახებ არაფერი იცოდა, თვითონ დედოფალმა კი ეს წერილი არც-კი ახსენა,

თავ. ალ. ივ. გაგარინი
ქუთაისის გუბერნატორი

რათგან ამის მიზეზი ჰქონდა. ასეთს გუნებაზე მყოფმა გაგარინმა კოლუბიაკინს მადლობა უთხრა არეულობის დაწყნარებისათვის და თან ზრდილობიან სიტყვებით აგრძნობინა—თქვენ თვითონ ტყუილად გარჯილხართ, მით უფრო რომ დედოფალი ძალიან გულმო-

სულია თქვენზედაო. მერე პირდაპირ უთხრა—დედოფალი გიჩივისთ: გლეხები კი არ დაამშვიდა, უარესად ააჯანყაო.

ადვილი წარმოსადგენია, ამან რამდენად ააშფოთა კოლუბიაკინი!... ესეც მივიდა დედოფალთან და მოახსენა: სულითა და გულითა წუხვარ, რომ უკეთესად ვერ შევიძელი თქვენთვის მეამებინაო, და თან დასძინა: „Certes! je ne soutiendrai jamais, madame, le règime féodal que vous voulez ressusciter". *) და ამის შემდეგ კოლუბიაკინი ქუთაისში გაემგზავრა.

სამის დღით ადრე მის ჩამოსვლამდე, ამისგან ეს წერილი მომივიდა:

„ყველაფერი სასურველად ბოლოვდება; მაგრამ, უნდა გითხრა, მეტად საშიში მდგომარეობა კი იყო. დღეს ან ხვალ გაგარინის მოსვლას ველი, ამიტომ იმედი მაქვს მალე ჩამოვიდე ქუთაისში

. . . . . .

. . . . . .

გეთაყვა, სახლი მომიმზადეთ, მორიგეც დააყენეთ. გკოცნით. ნიკოლოზ კოლუბიაკინი. ივნისის 25-ს, 1856 წ. აბასთუმანი".

მთხოვდა თავის ახალი ბინის მოწყობას, რათგან ის სახლი, სადაც წინეთ იდგა, გაგარინზე გადავიდა. წერილი რომ მომივიდა, ბინაზე უკვე ყველაფერი მზად იყო და სულისულზე მოველოდი მის ჩამოსვლას.

როგორც იყო, ჩამოვიდა კოლუბიაკინი და თან ჩამოჰყვა რაფიელ ერისთავი. იმავ საღამოს მიამბეს ყველაფერი დაწვრილებით, რაც უკვე აღწერილი მაქვს. კოლუბიაკინი მეტად აღელვებული იყო. განსაკუთრებით ის აბრაზებდა, რომ დედოფალი უარს ამბობდა—მე სამეგრელოში არ დამიბარებია კოლუბიაკინიო, არც წერილი რამ გამიგზავნია ამის თაობაზე მიქაძის ხელითო. დავიწყეთ ამ წერილის ძებნა მაგიდის უჯრაში და გასაოცარს ვიყავით, რომ ველარსად გვეპოვნა. შემდეგში კი გავიგეთ, რომ წერილის პოვნა არც შეგვეძლო, რათგან რამდენისამე წელს უკან მიქაძე გამოგვიტყდა--კოლუბიაკინის წასვლის დროს ატეხილ აურზაურში, ის წერილი ავიღე და, ქვაშხორში რომ დავბრუნდი, დედოფალს უკანვე დავუბრუნევიო. თუ მიქაძე არა სტყუოდა და ჩვენ რომ მართლა გვცოდნოდა ეს მისი მოწაფური ეშმაკობა, ჩვენ ბევრს ვიცინებდით და მართლა რომ სასაცილო იქნებოდა. სამი მოწმე ვიყავით: აკოფოვი, ერისთავი,

---

*) „თავის დღეში მხარს არ დავუჭერ, ქალბატონო, ფეოდალურ რეჟიმს, რომელიც თქვენ მკვდრეთით გინდათ აღადგინოთ".

მე და მეოთხეც—ვიცე-გუბერნატორი. ყველამ წავიკითხეთ წერილი, დედოფალი მეგრულის ეშმაკობით მოატყუა მიქაძემ და ისიც გულისმოსვლის დროს ამბობდა—ასეთი წერილი არ არსებულაო. მეტად სასაცილო რამ იყო.

საღამოს, ჩვეულებრივ, კოლუბიაკინთან შემოვიდა აკოფოვი და როცა გაიგო, რა ამბავიც იყო, ცხვირი გამოიტენა ბურნუთით, კარგა ხანს ხმას არ იღებდა, და ბოლოს დაიწყო:

— თუ არა მცემ, ნიკოლოზ პეტრესძევ, ჩემს ნათქვამს მოგაგონებ... აკი გეუბნებოდი—ნუ მიდიხარ-მეთქი. რაში გესაქმება— შენ ქუთაისის...

— წადი, დაიკარგე, თორემ, ეს არის, გცემე... სულელი ხარ, არ გესმის, რომ საქმე ამით არ გათავებულა და უჩემოთ მაინც არ იქნება... მაგრამ თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს, საშინლად მომაბეზრა თავი, სჯობია... ალექსეი, მოიტა მაგიდა და ბანქო. ბატონებო! როდისმე უნდა მოვუგოთ თუ არა ამ ყაჩაღ აკოფოვს?...

6

ქუთაისში დაბრუნების მეორე დღეს კოლუბიაკინმა თავის მოქმედების შესახებ მოხსენება გაუგზავნა მეფის ნაცვალს და იმისივე შესახებ მისწერა თავისს ძმას მიხეილს. მისი მოხსენების შინაარსი ის იყო, რომ გლეხების აჯანყება სრულებით ბუნებრივი მოვლენაა იმ ქვეყანაში, საცა ხაჯალურებსა და კისერზე მისაბმელ ჯაჭვებსა ხმარობენ, და სადაც ადამიანებს პირუტყვსავით ჰყიდიანო. ამ რეჟიმს კოლუბიაკინი დრო-მოჭმულადა სთვლიდა და მისი მხარის დაჭერა უხეოხულად მიაჩნდა. დედოფალს არ ამტყუნებდა: არც ამას გაუჩენია ეს რეჟიმი და არც ამას შეუძლია მისი გამოცვლაო. მაინც, რაც უნდა იყოს, არ შეიძლება სამწუხაროდ არ ჩავთვალოთ ისა, რომ იგი მეტისმეტად გულმოდგინეთ ცდილობს მის შენარჩუნებას, ისიც თავის შვილების ქონებრივ ინტერესებისათვის. ეს წინდაუხედავი გულმოდგინება მეტად ყალბ მდგომარეობაში აყენებს. არც თავის მამას, ალექსანდრე ჭავჭავაძის, არც იმ საზოგადოებრივ წრეში, საცა იგი გაიზარდა, არ შეიძლებოდა პლანტატორული მიდრეკილება გადასდებოდა; ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც იმდენათ ეშინიან შვილების ქონების გაფლანგვისა, რომ იძულებულია მხარი დაუჭიროს თავის საზიზღარ მოურავების მიერ გლეხების გატყავებას. ასეთი აგენტები საშიშონი არიან საზოგადოებრივის მშვიდობიანობისათვის. ყაზახრუსების ჩაყენებით და ეკზეკუციით არსებითად საქმეს ვერ ეშველების, თუ აწინდელი ადმინისტრაციის მთელი პირადი შემადგენლობა სხვა შემადგენლობად არ გამოიცვა-

ლა. და მართლაც, განა სამართლიანობაა, რომ მდინარე ცხენის-წყალი, რომელიც გეოგრაფიულად ორს მხარეს ერთმანეთისაგან ჰყოფს, ერთ ნაპირისაკენ კანონიერს იურისდიქციას აწესებს, ხოლო მეორე ნაპირისაკენ—სრულს უსამართლობას; განა შეიძლება ასეთი ფაქტი სულმუდამ აღუნიშვნელად დავტოვოთო,—ათავებდა კოლუბიაკინი თავის მოხსენებას.

თავისი კორესპონდენციია ტფილისში რომ გაჰგზავნა, კოლუბიაკინი ისევ თავისს მიმდინარე საქმეებს დაუბრუნდა, როგორც ქუთაისის გუბერნატორი, და მისი აქარყოფნაში კი აუარებელმა საქმემ მოიყარა თავი.

მალე გაგარინიც ჩამოვიდა იზიუმსკითურთ. თავადი გაგარინი საერთოდ რბილის ხასიათის კაცი იყო და დედოფალთან ყოფნის დროს ცდილობდა, რამდენადაც შეეძლო, საქმე მშვიდობიანათ გაეთავებინათ, ცდილობდა თავად-აზნაურობისათვის ჩაეგონებინა გლეხებისათვის წაყენებული მოთხოვნილებანი, რაც შეიძლებოდა, მეტად შეემცირებინა; დედოფალს ურჩევდა უდიერად არ მოპყრობოდა გლეხებს. მერე სამეგრელოში გაგზავნა რამდენიმე ასეული ყაზახრუსები და მათი ოფიცრები და უბრძანა—ხალხს, რაც შეიძლებოდა, ტკბილად მოპყრობოდენ. დედოფალს დაჰპირდა რამდენისამე გამოცდილ მოხელის გამოგზავნას დასახმარებლად, მანამდის კი ურჩია გორდში წასულიყო და იქ ეცადნა შემდეგი განკარგულებისათვის. მეფისნაცვალს თავისი მოსაზრება წარუდგინა, რომელნიც იზიუმსკის დახმარებით შეიმუშავა. მეგრელ გლეხების არეულობის შესაჩერებლად, მისის აზრით, საკმაო იყო გაეგზავნა იქ რამდენიმე მოხელე, მაგრამ ამის ნებას არ აძლევდა მისის კანცელიარიის შტატის სიმცირე და ამიტომ მეფისნაცვალსა სთხოვა—გაედიდებინა ეს შტატები და ტფილისიდანაც გამოეგზავნა ისეთი პირები, რომლებიც ამ საქმეში გამოადგებოდენ.

თავად ბარიატინსკის რაკი კოლუბიაკინის მოხსენება უკვე მისული ჰქონდა, ახლა ამგვარსავე მოხსენებას ელოდდა გაგარინისაგან, რომ თავისი აზრი დაესკვნა ამ საქმეში. მაგრამ მათი მოხსენება ერთისაც და მეორისაც იმდენად წინააღმდეგი იყო ერთი-მეორისა, რომ ბარიატინსკი ჩააფიქრა. ამბოხების ჩასაქრობად და სამეგრელოში სრულის სიმშვიდის დასამყარებლად საჭიროდ მიაჩნდა მხოლოდ და მხოლოდ სხვა ადმინისტრაციის შემოღება. ეს ადმინისტრაცია შედგენილი უნდა ყოფილიყო, თუმცა დროებით, რუს მოხელეთაგან; გაგარინი კი შესაძლებლად სთვლიდა საქმისათვის ეშველნა უფრო ადვილად და უბრალოდ: შინაურის ძალებით. მხოლოთ ამათთვის უნდა მიე-

მატებინათ რამდენიმე პირი, ტფილისიდან გამოგზავნილი. რაკი ორს ადგილობრივს ადმინისტრატორს ასეთი რრი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე აზრი ჰქონდა, შეუძლებელი იყო ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიექციათ. გაგარინის, როგორც უფროსის პასუხისმგებელ პირისა, წარმოდგენილი მოხსენება თავისთავად შეიძლება ყოფილიყო საკმაო საბუთად იმისა, რომ საქმე ისე გადაწყვეტილიყო, როგორც იგი იწერებოდა; მაგრამ კოლუბიაკინი, მართალია, უმცროსი პირი იყო და სამეგრელოს საქმეებისათვის პასუხისგებაც არ შეეძლო, სამაგიეროთ ცნობილი იყო თავის გამოცდილებით საერთოდ გლეხების და ბატონების ურთიერთ საქმეებში; არ შეიძლებოდა მის აზრისათვის განსაკუთრებული ფასი არ დაედოთ. თან თავადი გაგარინი თხოულობდა მოხელეები ტფილისიდან გამოეგზავნათ, იქ-კი ასეთი ხალხის შოვნა, ვინც სამეგრელოს ადგილობრივს პირობებს იცნობდა, არ შეიძლებოდა; ასეთი ხალხი უფრო ახლო უნდა ეძებნათ, მეზობლად, ქუთაისში. თავადმა ბარიატინსკიმ არჩია, სანამ საბოლოოდ მისცემდა საქმეს ამა თუ იმ მიმართულებას, მთავარმართველობის საბჭოს წევრი ხამდვილი სტატის მრჩეველის იპოლიტე ალექსანდრეს ძე დ'ასკიპ დუკრუასისათვის, რომელსაც იგი სავსებით ენდობოდა, დაევალებინა სამეგრელოში წასვლა და გამოკვლევა ამ კითხვისა. დუკრუასის ნება დართო, ვინც იმას უნდოდა, ის წაეყვანა თან თავის თანამშრომელებად. და ეს ამბავი გაგარინსაც აცნობა.

დუკრუასი ქუთაისში რომ ჩამოვიდა და გაგარინს უთხრა, რაცა ჰქონდა დავალებული, თავადს მის წარდგინებისათვის ასეთი მიმართულების მიცემა ძალიან ეწყინა. იმას იმედი ჰქონდა, ტფილისიდან გამოუგზავნიდენ ისეთს ვისმე, ვინც მას ეყოლებოდა დაქვემდებარებული, ის კი არა დუკრუასის სრულებით დამოუკიდებელი დავალება ჰქონდა დაკისრებული და მხოლოდ, თუ საჭიროდ დაინახავდა, ითათბირებდა გენერალ-გუბერნატორთან და მას მიჰმართავდა ზოგიერთ შემთხვევაში დახმარების სათხოვნელად და ამ შემთხვევაში გაგარინს უარის თქმის უფლებაც არ ექნებოდა. გაგარინი დუკრუასის ცოტათი იცნობდა და ეს გარემოება უფრო უწყობდა ხელს—მათს შორის, პირველ შეხვედრიდანვე, გულცივი ურთიერთობა დამყარებულიყო.

სულ სხვანაირად იყო საქმე დუკრუასისა კოლუბიაკინთან. ესენი ძველი მეგობრები იყვნენ, და დუკრუასიმ კოლუბიაკინთან საუბრის დროს თავისთვის ბევრი რამ სასარგებლო ცნობა მიიღო. დუკრუასის ტფილისიდან ჩამოჰყვა სამი მოხელე: ბარანოვსკი, ჟულ-

ცინსკი და შერემეტიევი. სამნივე ტფილისის იმ დროინდელ მოხელეობაში საუკეთესოებად ითვლებოდენ და დუკრუასის მოწვევით ხალისით მოდიოდენ სამეგრელოში.

ამ კომისიას გენერალ-გუბერნატორმა აახლა გამყოლები, თარგიმანები, გადამწერები, საკანცელიარიო ნივთები და სხ. და სხ. და ისიც რამდენსამე დღეს შემდეგ გაემგზავრა სამეგრელოსაკენ.

დუკრუასიმ ყოველთ უწინარეს გორდში ინახულა დედოფალი. დუკრუასი მეტის-მეტად ზრდილი იყო, დიდის ტაკტის კაცი, ენამოსწრებული, სასიამოვნო მოსაუბრე და იმავე დროს სერიოზათ ეკიდებოდა იმ საქმეს, რაც დავალებული ჰქონდა. დედოფალზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და დაჰპირდა—ყოველ ღონეს ვიღონებთ არეულობის მოსასპობად და სამეგრელოში სრულის მშვიდობიანობის დასამყარებლადო. მოიარა ერთი ნაწილი ოდიშისა და თავის რეზიდენციად ქვაშხორი აირჩია. პირველ დღიდანვე კომისიას აუარებელი მთხოვნელი მოაწყდა ყველა წოდებისა. დუკრუასის მიერ ჩამოყვანილი მოხელენი დილიდან საღამომდე მუშაობდენ და ათასნაირ დავალებებს ასრულებდენ, მაგრამ საქმეს მაინც ვერა სწვდებოდენ: საჭირო შეიქმნა მიეშველებინათ ყაზახ-რუსების ოფიცრები და აგრეთვე რამდენიმე მეგრელი თავადი თუ აზნაური, ვინც კარგათ ლაპარაკობდა რუსულს.

კომისიის მუშაობას უმეტესად საქმის მორიგებით გათავების ხასიათი ჰქონდა. მაგრამ დუკრუასი მალე დარწმუნდა, რომ ეს მხოლოდ დროებითი მალამო იყო, იარის პირის მომშუშებელი; გაგარინს სწორედ ამის იმედი ჰქონდა, მაგრამ სამეგრელოს საქმეს ეს არაფერს უშველიდა; სხვა გზა არ იყო, აქაც უნდა შემოღებულიყო მთელის ამიერკავკასიისათვის საერთო დაწესებულებანი სასამართლოსი და პოლიციისა, და ამათ სათავეში უნდა დაეყენებინათ სამხედრო გუბერნატორის უფლებით შემოსილი კაცი. აბა, რა თქმა უნდა, ეს დედოფალს არ ესიამოვნებოდა, და აუცილებლივ ყალბ მდგომარეობაში ჩააყენებდა, ამიტომ მასთან მოლაპარაკება უნდა გაემართნათ და ჩაეგონებინათ ის აზრი, რომ საჭირო იყო თავისნებით გასცლოდა აქაურობას და თან კარგა ხნით, რათა მის აქარყოფნაში შესაძლებელი ყოფილიყო სრული სიმშვიდე და წესიერება დაემყარებინათ.

დუკრუასიმ მეფისნაცვლისათვის მირთმეულ მოხსენებაში ყოველივე ეს აღნიშნა და დასძინა, რომ მთელი მეგრელობა მეტად ემდურის შთავრის მართვა-გამგეობასაო. ყველაზე პატივცემული და მშვიდობის მოყვარე ხალხი თავადიშვილების გვარისა ამას იძახის—თუ ასეთი წეს-

წყობილება ჩვენში არ გამოიცვალა, ყველაფერს მივატოვებთ და სულაც გავეცლებით აქაურობასაო. სამართალი არსადაარ, ადმინისტრაციამ სული ამოართვა ხალხს გადასახადებით, თვითონ წილი უდევს ქურდობასა და ყაჩაღობაშიო; სამართალი აშკარად ფულზე იყიდება; სასწავლებლების ხსენებაც-კი არ არის, ბავშვებს საშუალებაც არა აქვსთ, სადმე რუსული ისწავლონო; დედოფალს მხოლოდ ისა ჰნებავს, რომ იმეფოს, სასახლეები აიშენოს და ხალხის მართვა-გამგეობისათვის აღარც კი ფიქრობს, რადგან ყველაფერი სავსებით ჩიქოვანების გვაროვნობას მიანდო და ისინიც ძარცვავენ ყველასაო.

თავადი ბარიატინსკი სავსებით დაეთანხმა დუკრუასის და მოინდომა დედოფალთან ჯერ შინაურის ხასიათის მოლაპარაკება გაემართნა და წინასწარ მასთან მოსალაპარაკებლად ერთ-ერთი თავისი პირადი ადუტანტთაგანი, ჩ. გაეგზავნა.

ჩ. მდიდარი ვინმე იყო, ჩინებული; ჰქონდა ფლიგელ-ადუტანტის წოდება, დაახლოებული იყო ხელმწიფესთან და მეფის ნაცვალთან. ყველა ამ ღირსებით შემკულ კაცის საშუალებით დედოფალს თითქოს ნდობით და გულგახსნილად უნდა ელაპარაკნა მეფისნაცვალთან, და მაშინ დუკრუასის წარმოდგენილი აზრიც სავსებით განხორციელდებოდა. როცა გზა დაულოცა ჩ-ს, ბარიატინსკიმ, სხვათა შორის, დაავალა—ქუთაისში რომ იქნებით, ინახულეთ ნ. კოლუბიაკინი და მოელაპარაკეთ, რათა მისი გამოცდილება საქმის გაკეთების დროს გამოიყენოთო.

ქუთაისში ჩამოსვლისას თავადი გაგარინთან სადარბაზოდ რომ იყო, ჩ. შემდეგ კოლუბიაკინთან წამოვიდა სადილობის წინ. გენერალი ჩ-ს თავის ჩვეულებრივის ალერსიანობით და გულკეთილობით მიეგება. ჩ-მაც დაუფარავად აუხსნა მიზეზი თავის ჩამოსვლისა. კაბინეტში ამ დროს მეც ვიჯექი. გენერალმა ჩემი თავი გააცნო ჩ-ს და დაუმატა:—ამის აქყოფნა ზედმეტი არ იქნება, რათგან დედოფლის საქმეებსა და სამეგრელოს ჩემზე უკეთ იცნობსო. მერე ბრძანა არავინ შემოეშვათ, და სტუმარი სადილად მიიწვია. სადილზე სამეგრელოს ამბავზე დაიწყეს ლაპარაკი. უმთავრესად იმაზე ილაპარაკეს, თუ რა ფორმისა შეიძლება ყოფილიყო ის სათქმელი, რომელიც დედოფალთან ექნებოდა ბარიატინსკის, და ყველაზე საუკეთესოდ ეს ჩასთვალეს: დედოფალი დაეჯერებინათ, რომ ეთხოვნა ხელმწიფისათვის სამეგრელოს მმართველობისაგან განთავისუფლება, რადგან მცირეწლოვანი მთავარი და სხვა შვილები იმპერიის ერთ-ერთ საატახტო ქალაქში უნდა აღეზარდნა; დედოფალსვე უნდა ეთხოვნა, რომ მთავრის სრულწლოვანებამდე შემოღებული ყოფილიყო რუსის

მართვა-გამგეობა, ხოლო დედოფლის მამულები უნდა ჩაებარებინათ განსაკუთრებულ მზრუნველისათვის, რომელსაც აირჩევდენ თვითონ დედოფალი მეფის ნაცვალთან შეთანხმებით. ეს ფორმულა საუკეთესოდ ჩავთვალეთ დედოფლის ინიციატივისათვის. მართლაც, დედოფალს რომ ეს რჩევა მიეღო, საქმე მეტად კარგათ გათავდებოდა. ბარიატინსკი საუცხოვოდ მოუწყობდა სამეგრელოდან წასვლის საქმეს, საცა ის ინებებდა, იქ წაიყვანდა, და თუ თვითონ არ იკისრებდა მზრუნველობას, ყოველსავე შემთხვევაში მკაცრ კონტროლიორად გაუხდებოდა მზრუნველის მოქმედებას და თავის ნებაზე არ ატარებდა მთელის ათის წლის განმავლობაში, ე. ი. სანამ მთავარი სრულიწლოვანი არ გახდებოდა. მამულები ყველა გაიმიჯნებოდა, შემოსავალი ყველა ნათლად იქნებოდა აღნუსხული, ასე რომ როცა მთავარი სრულიწლოვანი გახდებოდა, თავის მამულების ბატონპატრონი გახდებოდა და მაოგან დიდი შემოსავალი ექნებოდა, აცდებოდა სასამართლოებში დავი-დარაბას, როგორც ეს შემდეგში მოუხდა კიდეცა. **ჩ-მ** გადასწყვიტა ამ მიმართულებით ემოქმედნა და იმავ საღამოს გორდში წავიდა.

დედოფალი განაწყინებული იყო დუკრუასის მოქმედებით, რომელმაც იმედები არ გაუმართლა და მხარი არ დაუჭირა მის რეჟიმის შენარჩუნებას. აიღო და ფიცხელი მიწერ-მოწერა გამართა ტფილისელ ნათესავებთან, რომელნიც ჭორების სახით ატყობინებდენ ყველაფერს, რასაც მის საქმეების გამო ბარიატინსკისაგან გაიგონებდენ. ამ ჭორებმა მეტად აამხედრეს დედოფალი ბარიატინსკის წინააღმდეგ. თავის მდგომარეობას დედოფალი ისე მაღლა აყენებდა, რომ, მისივე სიტყვით, ვიღაც ბარიატინსკი მას ვერას დააკლებდა. სულ ცოტახნის წინად, როცა პეტერბურგში იყო, დედოფალს სრული საბუთი ჰქონდა იმისა, რომ იმპერატორი და იმპერატრიცა მეტად კეთილგანწყობილნი იყვნენ მასთან.

დედოფალი მიხვედრილი იყო, თუ რა ჰქონდა დავალებული **ჩ-ს**. ეს უკანასკნელი გორდში ჩამოვიდა თუ არა, ნამდვილ ქალურ ხერხიანობით ზოეპყრა, რომ ამით უფრო მეტად ეგრძნობინებინა ბარიატინსკისათვის—შენს მოციქულობას არაფრად ვაგდებო. **ჩ-ს** მეტად ალერსიანად დაუხვდა, გააცნო თავისი ბავშვები, ყველანი, ვინც გარშემო ეხვივნენ, ერთის სიტყვით, მოექცა როგორც პატივსაცემ და სასიამოვნო სტუმარს, და არა ბარიატინსკის დესპანს. მუსიკას მისდევდა ბავშვების თამაშობა და სიმღერები, მერე გასეირნება ბაღში, მთელი დრო ამაში გადიოდა, და **ჩ.** როგორც-კი მოინდომებდა საქმეზე სიტყვის ჩამოგდებას, დედოფალი რასმე მოიგო-

ნებდა, რომ ამით ბანზე აეგდო სიტყვა. ასე გრძელდებოდა სამ დღეს და, ბოლოს, ჩ-ს მოთმინება დაეკარგა და სთხოვა აუდიენცია, მაგრამ დედოფალმა თავი მოიავათმყოფა და სალაპარაკოდ არ მიუშვა. მეტს ხანს რომ დარჩენილიყო, თავისს დავალებას სრულებით დაუკარგავდა მნიშვნელობას და ფასს და მეტად განაწყინებული წამოვიდა იქიდან. დედოფალს არ ესმოდა, რომ ასეთი ხერხები მაშინდელს მისს მდგომარეობაში მყოფს მაინცა-და-მაინც ხელს არ მისცემდა.

ჩ-ს ტფილისში დაბრუნებისას, თავადი ბარიატინსკი მეტად გაოცებული დარჩა იმის მოხსენებით. მაგრამ მაინც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ დედოფალი თავის საზიანოდ მოიქცეოდა, ამიტომ თვითონ დუკრუასის მიანდო წასულიყო დედოფალთან და ცდილიყო დაეჯერებინა როგორმე.

დუკრუასი წავიდა და გაიმართა მოლაპარაკება, მაგრამ ამ მოლაპარაკების შინაარსი ყველასათვის საიდუმლო იყო. ტფილისში ის-ღა გაეგოთ, რომ ბარიატინსკის პირველი მოხსენება მიეღო დუკრუასისა, საიდანაც ჩანდა, რომ დედოფალი მზად ყოფილა უეჭველათ ისე მოქცეულიყო, როგორც ბარიატინსკის მიერ შემუშავებული პროგრამა უკარნახებდაო: დუკრუასი დასძენდა, რომ თუ დედოფალი გაცხარებული იყო და წინად ნებას არ დაგვყვაო, ამის მიზეზია გამოუცდელობა და ტაკტის უქონლობა იმ პირთა, ვისაც ეს მოლაპარაკება წინად ჰქონია მინდობილიო. მე დედოფლისათვის ცალკე წერილი დავწერე და დედოფალმაც პირობა მომცა—სამ დღეს უკანასკნელ ბოლოაო და კატეგორიულ პასუხს მოგცემთო.

ოთხ დღეს უკან ბარიატინსკიმ ახალი მოხსენება მიიღო დუკრუასისაგან, მაგრამ ეს მოხსენება უკვე ისეთი იმედიანის სახისა არ იყო, როგორისაც იყო პირველი მოხსენება. დედოფლის მიერ დანიშნულმა სამმა დღემ განვლო, აქამდე პასუხი არ გაუცია და კაცი გამოუგზავნა—ავად გახლავართ და სანამ არ მოვრჩები, დუკრუასის ვერ ვინახულებო. ამაზე დუკრუასიმ კაცსა სთხოვა მოეხსენებინათ დედოფლისათვის, რომ იგი სამ დღეზე მეტს ვერას გზით დარჩებაო და პასუხს ამ სამ დღეში გთხოვს-თქო.

დუკრუასი მესამე მოხსენებაში მეფისნაცვალს ატყობინებდა, რომ გორდიდან გავდივარ, დედოფალს წერილი მივსწერე და ვატყობინებ, რომ, ჩემის აზრით, სამეგრელოში მეტსხანს მისი დარჩენა არამცთუ არას არგებს მხარეს, პირიქით, უფრო უარესად გაართულებს სამეგრელოს ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას-მეთქი.

დუკრუასისაგან ვერავინ ვერასდროს გაიგო, რა გახდა მიზეზად იმისა, რომ მოლაპარაკება ასე ერთბაშად შესწყდა. ხმა კი დადიოდა, რომ მესამე დღის მიწურულში, რომელიც დუკრუასიმ დაუდო უკანასკნელ ვადად, მასთან მისულა დედოფლის საქმისმწარმოებელი და დედოფლის სახელით შეუძლევია დიდძალი ფული ქრთამად,—ზოგი ამბობდა—6 ათასი თუმანი იყოვო,—რომ დუკრუასის მაინცა და მაინც არ მოეთხოვნა—დედოფალი სამეგრელოდან გასულიყო. და ვითომც ასეთის წინადადებით აღშფოთებულ დუკრუასის მკვახე წერილი მიეწერნოს დედოფლისათვის, გადაუცია საქმისმწარმოებლისათვის, დაუხურნია ქუდი და ფეხით, მარტოდ-მარტო წამოსულა გორდიდან და მხლებლებისათვის უბრძანებია ცხენებით დასწეოდენ გზაში. ესენიც გორდიდან ორის ვერსის მოშორებით დასწევიანო: მაგრამ როცა შემდეგში დუკრუასისა ჰკითხავდენ იმის თაობაზე—ყველაფერი ასე იყო, თუ არაო, გადიხარხარებდა და ხუმრობაში ჩაატარებდა კითხვას. შეიძლება ეთაკილებოდა კიდეცა მოეგონებინა ის სასაცილო როლი, რომელიც ასეთი ყოვლად სერიოზულ კაცს ათამაშებინა დედოფალმა სწორეთ ისეთ წუთას, როცა ეს კაცი გულწრფელად სცდილობდა მას გამოსდგომოდა.

როცა ბარიატინსკის დუკრუასისაგან უკანასკნელი მოხსენება მოუვიდა, საბოლოოდ გადასწყვიტა სამეგრელოში რუსის მართვა-გამგეობა შემოეღო და დუკრუასის მიანდო მართვა-გამგეობის შტატების შედგენა და იმავე დროს ნ. კოლუბიაკინი ტფილისში გაიწვია. ბარიატინსკიმ ძალიან გულითა სთხოვა კოლუბიაკინს ეკისრნა სამეგრელოს მმართველის თანამდებობა და დაჰპირდა—ამ ადგილზე მხოლოდ მანამდე გაგაჩერებთ, სანამ მხარე სრულებით დამშვიდდებოდეს, და მერე კი სხვა ადგილს მოგცემთ ისეთს, რომ გენერ-გუბერნატრობისაგან დამოკიდებული არ იყოთო. აი ამ უკანასკნელის დაპირებით დაიყოლია თავადმა ბარიატინსკიმ კოლუბიაკინი.

პირად შედგენილობის მოწყობა თვით კოლუბიაკინს მიანდო და სთხოვა რამდენისამე დღით ტფილისში დარჩენილიყო, სანამ დუკრუასი თვით შტატებს წარმოადგენდა. როცა ეს წერილობითი ფორმალობა გათავდა—კოლუბიაკინთან ერთად სამეგრელოში წამოვიდა და ჩ-ც, თან წამოიღო დაბეჭდილი პროკლამაციები სამეგრელოს ხალხის მიმართ რუსის მართვა-გამგეობის შემოღების თაობაზე მთავრის მცირეწლოვანობის განმავლობაში. პროკლამაციები ორ სხვადასხვა შინაარსისა იყო შემდეგის მოსაზრებით: ბარიატინსკიმ მიანდო ჩ-ს ისევ დაეწყო დედოფალთან მოლაპარაკება

იმავე შინაარსის, როგორც უნდა ელაპარაკნა პირველად ჩამოსვლისას და როგორც ელაპარაკებოდა დუკრუასი. და თუ ამ ხელად დედოფალი საუკეთესოდ ჩასთვლიდა თავისი მეთაურობა გამოეჩინა და საქმე სიამტკბილობით გათავდებოდა, როგორც ესა სურდა ბარიატინსკის, მაშინ გამოაქვეყნებდენ პირველ შინაარსის პროკლამაციას, რომელიც ასე იწყებოდა: რადგან დედოფალი სამეგრელოდან გადის, შემოღებული იქნება რუსის მმართველობაო. ამ გვარად მთელ ამ საქმეს ნებაყოფლობით სახე და საბაბი ეძლეოდა. მაგრამ უკეთუ დედოფალი ამ წინადადებაზე არ დაჰყვებოდა, მაშინ ჩ-ს უნდა გამოექვეყნებინა მეორე ეკზემპლიარი პროკლამაციისა, სადაც დედოფალი სრულებით არ იყო ნახსენები, და პირდაპირ აცხადებდენ რუსის მმართველობის შემოღებისა და მმართველად ნ. პ. კოლუბიაკინის დანიშვნის შესახებ. ეს უკანასკნელი პროკლამაცია დედოფალს ფაქტიურად სამეგრელოს მართვისაგან აშორებდა, და ამის შემდეგ იგი აქა რჩებოდა მხოლოდ უბრალო მემამულედ და თავის მცირეწლოვან შვილების მამულების ყურისმგდებლად.

ეს საშუალება, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი იყო, მაგრამ ბარიატინსკი იძულებული იყო ამისათვის მოემართნა თვით დედოფლის მეტად ქედმაღლურ ტონის გამო. ხოლო საქმის გაჭიანურება მეტად არ შეიძლებოდა, მდგომარეობა დაჟინებით თხოულობდა ასეთს გადაწყვეტილებას.

ჩ. გორდში მაშინ ჩამოვიდა, როცა დედოფალთან სტუმრად იყო მისი ბიძაშვილი, თავად გაგარინის მეუღლე, რომელსაც მე წავყევი სამეგრელოში პატარა შერვაშიძესთან (გიორგი) ერთად, ასე რომ სანამ დედოფალთან მივიდოდა, მე მინახულა და შემატყობინა, რაც დავალება ჰქონდა. საშინლათ ნატრობდა, ნეტავი არ იქნება, პირველი შინაარსის პროკლამაციის გამოქვეყნება მომიხდებოდესო. ამიტომ, ვინ იცის, რა მოსაზრებას არ იგონებდა, რომ დედოფალი დაეყოლიებინა და ურთიერთ თანხმობით გაეთავებინათ საქმე, მაგრამ საწადელს ახლაც ვერ ეწია. აუდიენციამ სულ ცოტა ხანს გასტანა, დედოფლის ოთახიდან რომ გამოვიდა, ჩ-მ ნაწყენმა გაუგზავნა კოლუბიაკინს სქელი შეკვრა მეორენაირ პროკლამაციისა გამოსაქვეყნებლად და თვითონ მაშინათვე ტფილისში წავიდა.

ყველა ამ საქციელს დედოფლისას, სამწუხაროდ, გასამართლებელი საბუთი არაფერი ჰქონდა, და მისი ახსნა მხოლოდ შეიძლებოდა, დედოფლის მეტისმეტ გულმოსულობით, რაიცა წარმოსდგებოდა ტფილისიდან მიღებულ და ათასნაირ ჭორებით სავსე წერილებისაგან. გულმოსულობით ბარიატინსკის, ვინ იცის, რას არ აბრალებდა. „ეს

ავანტიურისტი პეტერბურგიდან აქ იმისათვის ჩამობრძანდა, რომ წარჩინება და ჯვრები მიიღოს იმ ომისათვის, რომელსაც განგებ აჭიანურებენ, რომ სძარცვონ ხაზინა; ამასვე ჩაბარებული აქვს მთელი მხარე და მთავრებს ისე ცვლის, როგორც მოეგუნებებაო. მე სამეგრელოდან გამიყვანენ, მამულებს ჩამომართმევენ, მე და ჩემს შვილებს რაღაც საცოდავ პენსიას გადმომიგდებენ სამადლოდ და იმასვე მიზამენ, რასაც უშვრებოდენ საქართველოს ბატონიშვილებს დად ედოფლებს, ხოლო სამეგრელოს დადიანის მაგიერ სათავეში ჩაუდგება ვიღაც სოლდათის შვილი კოლუბიაკინი. მაგრამ მე ამას ვერ მოვითმენ და ისვ ვიზამ ყველაფერი იმპერატორისა და იმპერატრიცას ყურებამდე მივიდეს, ისინი ნებას არავის მისცემენ დასჩაგრონ საცოდავი ქვრივი და მისი მცირეწლოვანი შვილებიო".

ასეთს სიტყვებს დედოფალი ყველას გასაგონად იძახდა, ძალიან ღელავდა და ბოლოს გულიც კი მისდიოდა, მისი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო; როგორც ქალი, ღირსი იყო სრული თანაგრძნობისა, მაგრამ თითქოს რაღამაც თვალები დაუბრმავაო, ყველას იშორებდა, ყურს არავის უგდებდა. აღარავის ენდობოდა და შემცთარ გზას დაადგა,—უძლურ გაბოროტების გზას. მარტო თავისი ჩიქოვანები მიაჩნდა ერთგულ და მისანდო ადამიანებად.

კოლუბიაკინმა, ქუთაისში პირველადვე შევხვდით თუ არა ერთმანეთს, თავად ბარიატინსკის სახელით, შემომთავაზა სამეგრელოში ოლქის უფროსის ადგილი. დუკრუასის შტატების თანახმად სამეგრელო გაყოფილი იყო სამ ოლქად: ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისად. პირველ ოლქში დაინიშნა თავადი რაფიელ ერისთავი, მეორეში—მე და მესამეში—თავადი კონსტანტინე მიქელაძე. ყოველივე ეს მეტად სწრაფად მოხდა, რათგან სამეგრელო მეტად მძიმე პიროპებში იყო და საქმის გადადება არ შეიძლებოდა. ენკენისთვის დამდეგს სამივე ჩვენ-ჩვენ ალაგას ვიყავით. ხოლო დუკრუასიმ აუარებელი დაწყებული საქმეები გადმოგვცა და თვითონ თავის თანაშემწეებითურთ უკან დაბრუნდა.

თავადს გაგარინს ძალიანა სწყინდა საქმის ასე მოგვარება; მისი შემათანხმებელი საშუალება უარყოფილ იქმნა, რადგან ეს საშუალება კითხვას საბოლოოდ ვერა სწყვეტდა; იგი მეც მემდურდა, რათგან თავს ვანებებდი მე თვითონ ეს ძალიან მიმძიმდა, ძალიან ვიყავ ამასთან დამეგობრებული, მაგრამ ერთის მხრით, თვით ბარიატინსკის მიერ ჩემმა არჩევამ, ხოლო მეორე მხრით—ჩემმა მეტად საინტერესო მომავალმა მოღვაწეობამ გამიტაცეს აქეთკენ.

როცა ქუთაისიდან კოლუბიაკინი ახალ თანამდებობაზე მოდიოდა, რა თქმა უნდა, მასთან აკოფოვიც იყო, გულწრფელად დაღონებული, რომელმაც მაინც გზა დაულოცა ხუმრობით:

— აკი გეუბნებოდი, ნიკოლოზ პეტრესძევ, როცა მიქაძემ წერილი მოგიტანა:—დარჩი, ნუ მიდიხარ-მეთქი... არ დამიჯერე, წახველი., დედოფალი ეშმაკი ქალია, იმ ზომამდე გაგაბა ხაფანგში, რომ ახლა შენც-კი დარჩებოდი, მაგრამ არ შეიძლება—ძალაუნებურად უნდა წახვიდე. ზუგდიდში ჩავალ შენთან პულკის სათამაშოდ, შენ კი მანამდე მიქავას ვინძლო პრეფერანსის თამაშობა ასწავლო.

თავი მეთქვსმეტ

რუსის მართვა-გამგეობის შემოღება სამეგრელოში

შემოსვლა სახაზო ბატალიონისა და რამდენიმე ასეულ ყაზახრუსეებისა.—ძალაუფლება და კომპეტენცია ოლქის უფროსისა. — აჯანყების მეთაურნი.—კრიტიკა სახალხო უბედურობისა.—მებატონეთა თავგასულობა.—ოსმალთა ბატონობის ტრადიცია.—რუს გამოუცდელ მოხელეთა მოღვაწეობა ამ მხარეში.—ამ მოღვაწეობის შედეგი.—დაახლოვება ადგილობრივ მცხოვრებლებთან.—ნადედოფლარის აქყოფნა ხელს უცარავს ახალს მართვა-გამგეობას.—იგი არასგზით თანხმდება აქედან გასვლას. —მასთან საწყენი შეტაკება.—მარტვილის მონასტერში ნადედოფლარი მიქავას შეხვდება.—ნადედოფლარმა გაგარინთან დამაბეზღა.—ჩემი წასვლა გორდში მის სანახავად.—სოფ. კინჩხის გლეხებს უჩივის.—როგორ გავუსწორდი ამ გლეხებს.—თავად ჩიქოვანების ოინი სოფ. ზანაში—ყაზახრუსების მიერ ძეამბოხეთა დაწყნარება.—უმაღლესი რესკრიპტი ნადედოფლარის მიმართ შვილებიანათ ს.-პეტერბურგში გამგზავრების შესახებ.—წასასვლელად მზადება.—სვანეთის მთავრის კონსტანტინე დადეშქელიანის მიერ თავად გაგარინის მოკვლა.—დავით დადიანის მეუღლის გამგზავრება პეტერბურგში.

1

რუსის ადმინისტრაციასთან ერთად სამეგრელოში შემოვიდა სახაზო ბატალიონი სრულის თვისის შემადგენლობით და სამი ასეული თერგის ყაზახრუსთა.

ოლქის უფროსთა უფლება და კომპეტენცია მეტად ვრცელი იყო; ყოველ მათგანის უშუალო განკარგულებაში იყო ასეული ყაზახრუსთა და, თუ დასჭირდებოდათ, შეეძლოთ მოეთხოვნათ სამხედრო კომანდები. მხოლოდ ასეთ პირობებში და პირად ენერგიის წყალობით შეიძლებოდა დამშვიდებულიყო მხარე. ულრან ტყეებში, რომლებითაც დაფარული იყო მაშინდელი სამეგრელო, ადვილი არ იყო კაცს გაეფანტნა გლეხთა ბრბოები, გლეხები თავ-თავის ადგილებზე მიგემაგრებინათ, მოგერიგებინათ ბატონებთან და როგორც ბატონისა, ისე ყმისათვის შეგეგნებინებინათ, რომ, მართალია, რუსის მმარ-

თველობა იფარავდა ყმებს ბატონის თავგასულობისაგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ჩვენ ვითომ ვანელებდით ბატონის უფლებას, არამედ ამ უფლებას ბატონყმობის კანონიერების ფარგლებში ვათავსებდით, იმ კანონიერებისაში, რომელიც მაშინ იმპერიის შიგნით არსებობდა. რომ უფრო მარჯვედ და წარმატებით გვემოქმედნა, საჭირო შეიქმნა გაგვეცნო აჯანყების მეთაურები, დაგვეახლოვებინა და მათის საშუალებით როგორც უკვე ცალ-ცალკე ბრბოებზედ, ისე საზოგადოდ ყველა გლეხებზედ გვემოქმედნა.

ეს მეთაურები სამნი იყვნენ: **კოჩა თოდუა, მართალი თოდუა** და **უტუ მიქავა**. ესენი მართლაც თვალსაჩინო პიროვნებანი იყვნენ, როგორც თავის გავლენით გლეხებზე, ისე თავის პირად ხასიათითაც.

კოჩა თოდუა გლეხი იყო აზნაურ კორზაიასი, რიონის პირას მდებარე სოფ. საჭილაოდან. ორმოცდაათის წლისა იქნებოდა, წამოსადეგი, ბრგე; საწვრილმანო დუქანი ჰქონდა და ბატონს საურს ფულად აძლევდა. ერთს დღეს გლეხების მოძრაობას თავში ჩაუდგა, როგორც დამცველი თავის თანამოძმეებისა, დაჩაგრულთა და მიწასთან გასწორებულთა. ბელადად რომ გახდა, თითქო გენერალიაო, ისე მოეწყო: გაიჩინა ადუტანტები, შიკრიკები, მდივანი, რომელიც ბრძანებებს უწერდა; როცა სადმე წავიდოდა, თან მიჰყვებოდა მთელი ამალა, და ზოგჯერ ტახტრევანით დაჰყავდათ კიდეც. გლეხები მასთან მოდიოდენ და ბატონების წინააღმდეგ საჩივარს აძლევდენ; ისიც ბატონებს უწყებას გაუგზავნიდა და დაიბარებდა და თუ მოვიდოდენ, ბევრჯელ მორიგებით ათავებდა საქმეს, ან და დაადგენდა განაჩენს, რომელიც მაშინათვე მოჰყავდათ სისრულეში. თუ მებატონე არ გამოცხადდებოდა, კოჩა თავისს კაცებს გაგზავნიდა ალაგობრივ, რომ მებატონეს გასწორებოდენ და გლეხები დაეკმაყოფილებინათ. მკაცრი იყო, წესიერება უყვარდა. მებატონენი თვითონა სთხოვდენ მფარველობას, დაუხვდებოდა, მოუსმენდა და გლეხებს ყოველთვის კი არ ამართლებდა. კოჩას მებატონე კორზაია გვიამბობდა, რომ ჩემი მეამბოხე ყმა **განსა**კუთრებით კეთილგანწყობილი იყო ჩემთანაო და ერთხელ ღირსი გამხადა კიდეც ჩემს სახლში მობრძანებულიყო თავის ამალით და ჩემთან სადილი მიერთმიაო. მე გავუმასპინძლდი, როგორც საპატიო სტუმარს, და როცა ნასადილევს ტახტზე იყო წამოწოლილი, მე ჩემი საუკეთესო, ქარვიანი ჩიბუხი მივართვი თუთუნის მოსაწევადო, კოჩამ ყველაფერი შეიფერა, თითქო ასეც უნდა ყოფილიყოვო. მაგრამ ვაი იმ მებატონის ბრალი, ვინც ურჩობას გაუწევდა! კოჩა თავის ბრბოებით ქორივით თავს დაუქროლებდა და შეუბრალებლად არბევდა იქაურობას. იკლებდა სახლ-კარს და მება-

ტონე ღმერთს მადლობასა სწირავდა, თუ მოახერხებდა, და ცოცხალი და უვნებელი დააღწევდა თავს.

საერთოდ კი კოჩაზე უნდა ითქვას, რომ ბოროტი კაცი არ იყო, მაგრამ არც თუ ძალიან ჭკვიანი, და ბრბოს გული მოგებული ჰქონდა უფრო თავის წამოსადეგობით, რიხიანობით და ბრძანებლობის მოხერხებით.

სულ სხვა ჯურისა იყო **მართალი თოდუა**. მართალი სახელი არ არის, მეტისახელია. და ეს მეტისახელი ხალხს ტყუილაუბრალოდ არ დაურქმევია მისთვის: დაარქვა მის პირად ღირსებათათვის. სალხინოელი გლეხი იყო და ეკუთვნოდა თვით მთავარს. მართალი თოდუა ხის ჯამ-ჭურჭლის მთლელი იყო. თავისი ხელობა და შრომა ძალიან უყვარდა, ღვთისმოყვარე იყო, უკვე ხანშიშესული (ისიც 50 წლისა იქნებოდა), ცოლშვილიანი. მისი სოფლის ხალხი ძალიან პატივსა სცემდა, და როცა სალიპარტიოს სოფელში ყმები აჯანყდენ, ამათ თავის ბელადად ერთხმად ამოირჩიეს და დაავალეს—მთელი სიმართლე და მხოლოდ სიმართლე ჯერ დედოფლისათვის მოეხსენებინა და თუ აქედან არაფერი გამოვიდოდა—თვით რუსთ ხელმწიფემდე ევლო.—„არ შეიძლება,—გაიძახოდა ხალხი,—რომ ბატონების თვითნებობა დაუსჯელად დასტოვოს ხელმწიფემაო“. მართალი თოდუამ უარი ვერ უთხრა თავის ერთხმად ამომრჩეველ სოფლელთ და მთელ თავის წინამძღოლობის განმავლობაში ცდილობდა მშვიდობიანის და გონივრულის სიტყვით ყმებისათვის თავი შეეკავებინებინა და რამე წრესგადასული აო ჩაედინებინებინა. როცა მის მოსაყვანად კაცი გავგზავნეთ, მაშინათვე წამოვიდა და სრულს ჩვენს განკარგულებაში ჩაგვაბარა თავისი თავი. და, მართლაც, ეს ისეთი პატიოსანი და მართალი ადამიანი იყო, რომ ძალაუნებურად მისდამი ნდობით აღივსებოდით. ბრბოებთან არ დადიოდა, იჯდა თავის ქოხში, წინანდებურად სთლიდა ხის ჯამებს და ხალხში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოჩნდებოდა.

მესამე ბელადი და ყველაზე საინტერესო იყო—მჭედელი **უტუ მიქავა**, სოფ. ჯვარიდან. მჭედელი ყველგან ხალხში უბრალო კაცად არ არის მიჩნეული. როგორც რუსეთის სოფლებში, ისე სამეგრელოშიაც მჭედელი უფროსერთ შემთხვევაში მკითხავიცაა, იცნობს სხვადასხვა სამკურნალო ბალახებს, იცის შელოცვები, დაახლოებულია... ავ სულებთან. მეგრულ სამჭედლოს გვერდით დუქანიცაა და შიგ კიდევ სულმუდამ ირევა უსაქმური ხალხი; აქ ეუბნებიან ერთმანერთს ახალ ამბებს, ერთ ჯგუფის ალაგას მეორე მოდის, განუწყვეტლივ ლაყბობენ, ყაყანებენ, ილანძღებიან, ერთიმეორეს თავის აზრს უზი-

არებენ, ზოგჯერ საქონელსა სცვლიან და ვაჭრობენ, და ყოველ სადაო შემთხვევაში ეს ხალხი მიმართავს ხოლმე მჭედელს, რომელმაც, უმეტეს შემთხვევაში, ლაპარაკი იცის თავდაჭერით, მაცდურათ, კილოკივით. გლეხთა მოძრაობის დასაწყისიდანვე უტუ მიქავას სამჭედლო შესაკრებელ ადგილად იქცა, ხოლო თვით პატრონი, ახალგაზდა კაცი, ასე ოცდაათის წლისა, მიხვედრილი, ეშმაკი, როგორც უმეტესობა მეგრელთა, გლეხების წინამძღოლად იქცა ისე, რომ თვითონ ამისთვის არც-კი ცდილა, ძალად თავისთავი არავისთვის ძოუხვევია. ბუნებით ფიცხი მალე თვითონ გაიტაცა მისმა როლმა და სულ მოკლე ხანში გლეხებს, როგორც უნდოდა, ისე ათამაშებდა. ბატონებს სწრაფად და ენერგიულათ უსწორდებოდა; ქორივით დააცხრებოდა თავზე, წაართმევდა, რასაც კი მოახელებდა, ამას ურიგებდა გლეხებს და ზოგჯერ ბატონებს ტყვედ დაიჭერდა იმ პირობით, რომ მისიანებს გამოესყიდნათ. განსაკუთრებით მისი სუსხი ადგებოდა თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც სხვებზე მეტად იყვნენ ცნობილნი თვისის გულქვაობით. წერა-კითხვის მცოდნე იყო და ენაწყლიანი ლაპარაკი იცოდა, როგორც ეს დავინახეთ კოლუბიაკინთან მის პირველად დალაპარაკების დროს; იგი გული-გულში მოძულე იყო ბატონ-ყმობისა და ყოველის ღონისძიებით მის შურს იძიებდა თავის ძმების საუკუნოვან შეწუხებისათვის.

ეს სამი მეთაური თავის ნებით დაგვნებდა და, როგორცა ვსთქვით, მოგვიხდა მათთან დაახლოვება; მათგან უნდა გაგვეგო მეტად საჭირო და ჩვენთვის აუცილებელი ცნობები აჯანყების, მსვლელობისა, რომელიც მთელის ექვსის თვის განმავლობაში დაუბრკოლებლივ მზადდებოდა. ჩვენ მათთვის სრულებითაც არ დაგვიმალავს, თუ რამდენათ პასუხისმგებელნი იყვნენ აჯანყებაში მეთაურობისათვის; მაგრამ ამავე დროს გავაგებინეთ, რომ ამბოხების ჩაქრობის საქმეში მათს დახმარებას შეეძლო შეემსუბუქებინა სასჯელი, მათ რომ მოელოდდა, და იმედი სავსებით გაგვიმართლეს.

2

სამეგრელოში ჩვენმა შესვლამ საბოლოოდ შეაჩერა აჯანყების განვითარება; მაგრამ მისი სავსებით ჩაქრობა, როგორც ძალზე გაძლიერებულ ხანძრისა, ადვილი არ იყო და არც მალე შეიძლებოდა. გარდაბუგვილი ადგილი ჯერ კიდევ დიდხანსა ჰყრჩოდა. რამდენისამე თვის განმავლობაში ოლქის უფროსები სულ ცხენებზე იყვნენ დაკრულნი, დადიოდენ ოლქის ყველა მხარეს და ყველგან პირადად ასამართლებდენ მომჩივანთ.

ბელადებთან საუბრებისაგან, დღიურ ორომტრიალს შემდეგ, საღამოობით, ძალზე გახურებულ ბუხართან, აგრეთვე რაც ჩვენ პირადად გავეცანით სინამდვილეს, ჩვენ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, რომ საქმე გვქონდა ისეთ სოციალურ მოვლენასთან, რომელიც დიდი ხანია—დავიწყებული იყო და რომელსაც სავსებით გადავყავდით საშუალო საუკუნოებში, ფეოდალიზმის გაფურჩქვნის ხანაში, გლეხთა იმ მოძრაობასთან, რომელსაც საფრანგეთში ჟაკერიები ეწოდა, საზოგადო სახელ ჟაკ-ისაგან, რომელიც პირაღებით ყველა იქაურ გლეხებს დაერქვა. სამეგრელოში ჩვენ დაგვხვდა ისეთი სახე მემამულეთაგან გლეხების დამოკიდებულებისა, რომლის დროს საადგილმამულო ურთიერთობას ყოველი არსებითი მნიშვნელობა დაეკარგა და ეს დამოკიდებულება გადაიქცა წმინდა პირად დამოკიდებულებად; ხოლო ადათი, რომელიც ოდესღაც ჩაუწერია ვახტანგ მეფეს (მის კრებულს ვახტანგ მეფის კანონები ჰქვიან), მკაფიოდ ამბობდა, რომ „კაცი თავის თავად თავისუფალია და მისი დამოკიდებულება წარმოსდგება მხოლოდ მიწისაგანო“. საადგილმამულო დამოკიდებულება კი, რომელიც განწესებულია იმავე ადათით, ჰყოფს ყველას, ვინც საბატონო მიწა-წყალზე სცხოვრობენ, შემდეგნაირად. სულ მაღლა იდგა **აზატი**, ანუ, სხვაფრივ რომ ვსთქვათ, გათეთრებული, რომელსაც, შედარებით, სულ მცირე გადასახადი ემართა.— ამათი რიცხვი მცირე იყო; მას ქვევით იდგა—**მსახური**, ამათ ემართათ განსაზღვრული რაოდენობა მიწის მოსავლისა, და, ამას გარდა ვალდებულნი იყვნენ მებატონესათვის მამრობითის სქესის მსახური მიეცათ; ამაზე ქვევით იყო **გლეხი**, რომელიც აძლევდა მოსამსახურე ქალსა და კაცს, მუშა ხელს საბატონო სამუშაოსათვის და მოჰქონდა მიწის მოსავალი; და, ბოლოს, ამ კიბის სულ ქვედა საფეხურზე იდგა **მოჯალაბე**—სამხედრო ტყვე, სრული და ყურმოჭრილი მონა.

მაგრამ მთელი ეს კლასიფიკაცია გლეხებისა, მათის საადგილმამულო დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით, ფიქტიურად გადაიქცა მის შემდეგ, რაც მებატონემ შეიძინა ის უფლება, რომლის ძალით, როცა მოეგუნებებოდა, თავისს ხელქვეითებს ეწვევოდა, მათს სახლებში სცხოვრობდა და მათს ხარჯზე სჭამდა და სვამდა მანამდე, სანამ მასპინძელს ყველაფერი არ გამოელევოდა. მებატონე წელიწადი თორმეტი თვე ასე დამთაბარობდა, სჭამდა თავისა და სხვათა ყმების სარჩო-საბადებელს და ამ ყმების პიროვნების სული და ხორცი მის ხელთ იყო. გლეხები სულმუდამ დრტვინავდენ ამ ძალადობის წინააღმდეგ და ზოგჯერ იარაღსაც მიმართავდენ და ისე გაუძალიანდებოდენ, მაგრამ მაშინ ყოველ მებატონეს მისი მე-

ზობლები მიეშველებოდენ და ერთობლივ ენერგიულათ ამშვიდებდენ ხოლმე ურჩთა და გაუგონართ, ამის შემდეგ იწყებოდა მათი უწყალო წიოკობა და წინანდელზე უარესი დამონება.

რუსის მართვა-გამგეობის დროს გლეხების საერთო აჯანყებამდე, ან ფრანგების ჟაკერიამდე, როგორც ჩვენ დაგვხვდა აქაურობა, საქმე ერთხელაც არ მისულა. ამ ჟაკერიის გაჩენას ხელი შეუწყო თვით სამეგრელოს მთავრობამ, რომელიც მეტის-მეტად ზედმიწევნილათ, სიტყვა-სიტყვით ასრულებდა დედოფლის მიერ დატოვებულ ინსტრუქციას მის აქარყოფნის დროს. ხოლო ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ჟაკერიები წინა დროებში სამეგრელოში ერთხელ და ორჯელ კი არა ყოფილა. ესენი ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა და შედეგად მოსდევდა საერთო ცვლილებები, რომელთა კვალი ეტყობოდა როგორც სამეფო დინასტიების, ისე დიდ გვაროვნობათა ამაღლება-ჩამოქვეითებას. დადიანების ძველი გვარები—ბედია, ჭილაძე, ლიპარიტიანი, შელია ახლა გლეხებშიაცა გვხვდება, აგრეევე გვხვდება გვარი დიდებულის საბათარისა, რომელთანაც ოდესღაც სტუმრად ყოფილა ფრანგი-მოგზაური შარდენი. გლეხები საბათარაშვილები ბევრნი არიან, ხოლო თავადები და აზნაურები უკვე სულ არავინაა დარჩენილი. და ყველა ეს სწრაფი სოციალური ადგილგადანაცვლება ხდებოდა ადგილობრივი ვულკანიურ მოძრაობათა ანუ, სხვანაირად რომ სთქვათ, ჟაკერიების წყალობით, რომელნიც გამოწვეულნი იყვნენ მაღალი წოდების მიერ გლეხების შევიწროებით.

ფაქტები უსულმერთო ძალდატანების, რომლის მსხვერპლად ბატონები ხდიდენ გლეხებს, ახლაც საძებარი არა გვქონდა, ესენი ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდებოდა. აი თუნდაც მოვუსმინოთ იმ ქალს, რომელიც გამოიპარა მებატონის სასახლიდან და ქურდულათ მოაღწია ოლქის უფროსთან. მარტო გარეგნობაც-კი გამოგვიხატავს მის უკიდურეს გაჭირვებასა და უპოვარებას: ტანს უფარავს ძონძები, მისი ტიპი სრულებით არა ჰგავს მეგრელ ქალისას, რომელიც მთელს აღმოსავლეთშია განთქმული თავის სილამაზით; ჩვენს წინა დგას სულ სხვა, დაჩიავებული, დატანჯული, დაკნინებული რასა. აი რა უჭირს ქალს: „მე—მოჯალაბე გახლავართ,—მეუბნება ქალი,—ამა და ამ თავადისა„ მისგან ორი შვილი გამიჩნდა: ბიჭი და გოგო. მერე აიღო და მავან მებატონეს მიმყიდა. წინანდელმა მებატონემ ჩემი შვილები ვიღაც-ვიღაცეებს მიჰყიდა. ახალ ბატონის ხელში სამი შვილი გამიჩნდა და ახლა უნდა ეს შვილები გამიყიდოს. ჯერ უფროს შვილისაგან იწყებს. რომ გაიგო, მე ჩივილს ვაპირებდი, დამემუქრა,

შენ თვითონ აფხაზეთში გაგყიდიო; გამოვიქეცი, თორემ მუქარას აასრულებდაო“.

შეიძლებოდა, ამაზე შორს წასულიყო ადამიანის სხეულით ვაჭრობა!?

ახლა სხვა მაგალითი, თუ გნებავთ.

დგას ორი მთხოვნელი, მამაკაცი და დედაკაცი; სამ წლის წინათ თავი შეასყიდეს ბატონს ათ თუმნად, ხოლო ამ ფულის საშოვნელად თავიანთი ქალი, შვიდის წლის გოგო, მეორე მებატონეს დაუგირავეს. გოგოს გამოხსნის ვადა დადგა, მოუტანეს ფული. მაგრამ მსესხებელმა გადაჭრით უარი უთხრა გოგოს დაბრუნებაზე: ქალალდში, რომლის ძალით ეპატრონება გოგოს, ნათქვამია—ნაყიდიაო. მართლაც წერის უცოდინარობის გამო ამ უბედურთათვის ჯვარის სახე გამოუყვანინებიათ ქალალდზე, ესენი თავიანთს ხელისმოწერაზე უარს არ ამბობენ და უნდა გამოეთხოვონ თავიანთს ერთადერთს ბავშვს...

ამ საჩივრის მოსმენა არცა-კი გათავებულიყო, ისე შემოვიდა გამხდარი, შეშინებული კაცი; არეულად ლაპარაკობს, გარშემო იხედება და ეშინიან—ყურს არავინ მიგდებდეს, რომ ბატონებზე საჩივლელად მოსულვარო. აბა ყური დაუგდეთ მის თავგადასავალს. შვიდ ბატონს ეკუთვნის, შვიდნივე ერთიმეორეს მახლობელი ნათესავები არიან, აზნაური შავდიები, და შვიდ სახლში მსახურობს, თითო დღეს თითო სახლში და ერთ სახლიდან მეორეში გადადის. კვირაში შვიდის დღის განმავლობაში მუშაობს, შეუსვენებლივ, ძისთვის უქმე არ არის, ყველგან სცემენ და ტყეპენ და ნახევრად მშიერს ამყოფებენ. თხოულობს—ისე მწარედ არა სცემონ ხოლმე,—ორ მისს ბატონს საშინლად ჰყვარებია ცემა;—და საჭმელიც ცოტა მეტი აჭამონ; თავის გამოხსნის თხოვნა აზრადაც არ მოსდის...

ხელში ეს სამი ფაქტი მოიხვდა... ასეთი ფაქტები კი იმდენია, რომ ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.

საზიზღარი იყო ბატონ-ყმობა რუსეთში, მაგრამ შიდა გუბერნიებში არსად შევხვედრივარ ისეთს რასმე, როგორიც სამეგრელოში ვნახე. აქვე, გვერდით, იმერეთსა და გურიაში, რომლებიც 30 წლის განმავლობაში რუსის ხელში იყვნენ, ასეთი ულმობლობის ფაქტების ხსენებაც-კი არა ყოფილა. მაგრამ ყველაზე გასაშტერებელი ის იყო, რომ დაჩაგრული და პირუტყვის მდგომარეობამდე მიყვანილ მეგრელ გლეხებს შორის კაცს შეხვდებოდა იმდენად გამოცვეთილი და მოხერხებული ყმები, რომლებიც ბატონისაგან ფულით თავს იხსნიდენ და თვითონ ჰყიდულობდენ დიდ ფულში გლე-

ხებს და ყმებად გაიხდიდენ ხოლმე; ისეც მოხდებოდა, რომ ამ გლეხების გლეხებსაც თავიანთი გლეხები ჰყავდათ. ერთის სიტყვით, ადამიანსა ჰყიდდენ და აქ ყიდულობდა ყველა, ვისაც-კი ფული ებადა.

და ყოველივე ეს არც ისე საკვირველი იყო: აქაურებს ჯერ ისევ კარგათ ახსოვდათ ოსმალოს ბატონობის სულ ახალი ხნის ამბავი. იყვნენ, ვიმეორებთ, მოხუცებიცა, რომელთაც ეს დრო ახსოვდათ. დადიანი მაშინ ხარკს აძლევდა ოსმალოს სულთანს ბიჭებითა (თუქსუსებით) და გოგოებითა; ხშირათ ვეზირი ბარათს უგზავნიდა, რეცეპტების მსგავსად, და მონაწერი სააფთეკო სისწორით უნდა აესრულებინა.*) ამ ბარათებში აღწერილი იყო ხოლმე სიმაღლე, თვალები, პირი, თმა, სხეულის სხვა და სხვა ნაწილების ფორმა და მისი მსგავსი წვრილმანები, რომლებიც უნდა ჰქონოდა თუქსუსს ან ოდალიკსა (ჰარამხანაში მოახლე-მონას), ფადიშაჰის ავხორცობის დასაკმაყოფილებლად. სპარსეთის შაჰიც უფრო მეგობრობითა სთხოვდა იმასვე, განსაკუთრებით თუქსუსებს, რათგან სოდომია გაცილებით მეტადაა გავრცელებული სპარსთა შორის, ვიდრე ოსმალთა შორის. დადიანი ამ შემონათვალს ასრულებდა თავისდა უნებურადაც და მეგობრობითაც, სანამ ქუჩუკ-კაინარჯიის ზავმა 1783 წ. ამ საშინელ ხარკისაგან არ გაათავისუფლა—de jure, მაგრამ de facto ოსმალეთისათვის ამ საქონლის გაგზავნა დიდხანს კიდევ დარჩა ტყვეების გაყიდვის სახით.

მართალია, ამ სენის წინააღმდეგ ძალიან იყო ხოლმე ამხედრებული მთავარი დავითი და არამცთუ სდევნიდა ტყვეების გაყიდვას, არამედ აკრძალა ოჯახის წევრების იქეთ-აქეთ დაფანტვა და მათი გაყიდვა უმიწა-წყლოდ; იმან საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ის გლეხები, ვინც უკანონოდ გადავიდენ ერთი მებატონისაგან მეორის ხელში, ყველას გავათავისუფლებო. მაგრამ როცა ის გლეხები, რომლებიც ბატონებს გამოექცნენ და მას შეაფარეს თავი, იმის მაგივრად რომ გაეთავისუფლებინა, თვითონ გაიხადა ყმებად, თავის მიწა-წყალზე მიაწერა და მათის ხელით თავისს სასახლეებს დაუწყო შენება, თავად-აზნაურობამ მის ვითომ ლიბერალობაში დაინახა მარტოოდენ ახალი ფორმა ლეგალურ წართმევა-წაგლეჯისა და ძალადობისა. თავად-აზნაურობას უმძიმდა ეს აღვირი და მით უფრო ხა-

*) 50-იან წლების კავკასიის ერთ-ერთ კალენდარში ასეთი რეცეპტი, რომელიც სპარსეთის შაჰს იმერეთის მეფისათვის გამოეგზავნა, პ. გნილოსაროვის მიერ იყო დაბეჭდილი.

ლიცით წაიძრო პირიდან, როგორც კი ამისთვის გარემოებამ ხელი შეუწყო, ე. ი. ომერ-ფაშის მიერ სამეგრელოს დაპყრობის დროს. ამ დროს თავადებმა და აზნაურებმა ისევ ძველებური ამბავი მოიგონეს, დააწვნენ გლეხებს, ოსმალებზე ბლომათ დაუწყეს ყიდვა ტყვეებს და ამით მათი გული მოიგეს.

აჯანყების ბელადებმა გადმოგვცეს ბატონებისათვის ჩამორთმეული ხაჯალურები, რომლებითაც კოშკებსა და მიწისქვეშეთებში წლობით დაბმული ჰყავდათ ხოლმე თავისი ქვეშევრდომები. მათის მითითებით, მებატონეთა სახლებში ჩვენ აუარებელსა ვპოულობდით ამ მონობის იარაღებს; გვაგონდება განსაკუთრებით ერთი ორფუთიანი ჯაჭვი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ერთისა და ორის კაცის სიცოცხლე არ შეუმოკლებია. და იმ დროს, როცა მებატონეთ ამ ჯაჭვებს ჩამოვართმევდით, გლეხებს ვართმევდით თოფ-იარაღს. მარტო სენაკის ოლქში ჩამოვართვით ათასამდე თოფი და თითქმის იმდენივე სატევრები და ხმლები. შემდეგში მთელი ეს არსენალი საჯარო ვაჭრობით გაიყიდა და იქიდან აღებული ფული ეკლესიას მოხმარდა. ახლა ბარემ ვნანობ, რომ, თუნდაც კურიოზისათვის, არ შევინახე ის უზარმაზარი ჯაჭვი, რომელიც ჩემს კაბინეტში კედელზე დიდხანს მეკიდა, როგორც ტროფეი რამ.

3

ჩვენ ყველანი ხამები ვიყავით ამ მხარეში და თუმცა მე იქ წინათ ორს წელიწადნახევარსა ვცხოვრობდი, როგორც აღმზრდელი მცირეწლოვან მთავრისა, თავადის ნიკოლოზისა, მაგრამ ამ თანამდებობის დროს ამ მხარის შესწავლა მხოლოდ ზეზეურად შემეძლო, იმის საშუალებით, რასაც გავიგონებდი ან მიამბობდენ მთავრის ოჯახში მყოფნი თუ მომსვლელები. სამეგრელოს სოციალური ყოფა და ნამდვილი მდგომარეობა ხალხის კეთილდღეობისა ჩემთვის სრულებით უცნობი იყო, ასე რომ როცა აქ ადმინისტრატორად დავბრუნდი, როგორც მე, ისე ჩემი კოლეგები, აქ პირველად ჩამოსულნი, იძულებული ვიყავით სულ თავიდან გავცნობოდით აქაურ, როგორც სახალხო, ისე საზოგადო ცხოვრების ყველა მხარეთ და ზნეჩვეულებას. ამიტომ პირველად თითქმის თვალხუჭელა გვიხდებოდა საქმიანობა; ყველაფერი დამოკიდებული იყო პირად მიხვედრილობისა და გულმოდგინე ცდისაგან—გაგვეგო აქაური ჩვეულებები და გაგვეცნო ხალხის გონებრივი დონე. საქმეს უფრო ის გვიადვილებდა, რომ მმართველს ნ. ბ. კოლუბიაკინსა და ჩვენს შორის დამყარდა მეტად გულწრფელი და მეგობრული ურთიერთობა; ყოველი

ჩვენი ნაბიჯი, ყოველი ჩვენი მოქმედება შეთანხმებული იყო ჩვენს საერთო თათბირზე შემუშავებულ პროგრამასთან; მმართველი არ გვაიძულებდა თავისი პირადი რამე გაგვეკეთებინა, და ასეთი მეგობრული, ერთმანეთს შეთანხმებული მოქმედება ბევრ რაშიმე გამოგვადგა. ყოველი დღე, ყოველი საათი განუწყვეტელის პრაკტიკისა გამოცდილებასა გვძენდა და ადგილობრივ განსაკუთრებულ პიროობათა შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წარმატება გვეტყობოდა. ჩვენ რაკი შუამავლებად ვიყავით დაყენებულნი მებატონეებსა და გლეხებს შუა, უნდა ცდილვიყავით, რაც შეიძლებოდა აღვედგინა პრესტიჟი პირველთა და თან გლეხების თავი არ დაგვეჩაგვრინებინა. საადგილმამულო იურისდიქცია მებატონეთა ძალაუფლებისა გლეხების აჯანყების შემდეგ წარმოუდგენელი გახდა და მთელის თვისის სიმძიმით ჩვენვე დაგვაწვა კისერზე. მართალია, მებატონეებს მხარს ვუჭერდით, როცა მოთხოვნა კანონიერი იყო, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო გლეხებისათვის აგვეკრძალა—მათს ბოროტმოქმედებაზე ნულარ სჩივითო, თუმცა იმ დროს მთელს იმპერიაში არსებულ ბატონყმურ სამართალის შინაარსის თანახმად ასეთის საჩივრის ნება გლეხს არ ეძლეოდა. ჯერ ისევ ეკატერინე II (რომელიც ესდენ ეძიებდა, რომ ვოლტერს, დიდროს და დალამბერს ექოთ მისი ლიბერალიზმი) ბრძანების ძალით ჩვენს ადმინისტრაციას უფლება არა ჰქონდა გლეხებისაგან მემამულეებზე შემოტანილი საჩივარი მოესმინა, და მებატონეთა ბოროტმოქმედების საქმეებს არჩევდენ მხოლოდ თავადაზნაურობის სამაზრო და საგუბერნიო წინამძღოლები, და საიდუმლოდ—მე-III განყოფილება.

სამეგრელოში ასეთი დაწესებულებანი სრულიადაც არ იყო, თავად-აზნაურობის უფლებრივი მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გამოერკვიათ, ასე რომ ოლქის უფროსი წარმოადგენდა მეტად სხვადასხვა ფუნქციებით აღჭურვილ პიროვნებას. იგი იყო ადმინისტრატორიც, სამოსამართლო და საპოლიციო ძალა-უფლების წარმომადგენელიც და ერთგვარი თავადაზნაურობის წინამძღოლიცა; თვით პრაქტიკამ შეგვიქმნა ასეთი ვრცელი კომპეტენცია. ფაქტიურად ჩვენ, სამეგრელოში გავუსწარით რუსეთის შიდა გუბერნიებს მომრიგებელ-შუამავლების თანამდებობის შემოღებაში, რათგან ჩვენის მოქმედებით ძალიან ვემსგავსებოდით ასეთებს. რა თქმა უნდა, ყველა იმ შემთხვევაში, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ე. ი. იქ, სადაც საჩივარი შემოჰქონდათ ოჯახის წევრების ცალ-ცალკე და უმიწოდ გაყიდვაზე, სადაც გლეხები, რაღაც ქაღალდის ნახევების ძალით, თავისსავე მსგავსს გლეხებს ეკუთვნოდენ; სადაც, დასასრულ, საქმეს

ჩვენის ძალღონით თავს ვერ ვართმევდით, როგორც მაგალითად, აზნაურ შავდიების კუთვნილ გლეხის საქმეში, ჩვენ მივმართავდით იმპერიის საერთო კანონებს და დაუყონებლივ ვათავისუფლებდით ასეთს გლეხებს და ამის მოწმობასაც ვაძლევდით ამ გლეხებს, ხოლო მათს პატრონებს შეეძლოთ ხაზინიდან სულზე ოთხი თუმანი მიეღოთ. ასეთ გლეხებისაგან შემდეგში შეიქნა თავისუფალ გლეხთა კლასი, რომელთა რიცხვი 1860 წელს 400-დე ადიოდა. და ყოველ ცალკეულ შემთხვევისათვის ასეთნაირად მოქცევასთან ერთად, ჩვენ ერთი რამ საზოგადოთ შემოვიღეთ, სახელდობ: ერთხელ და სამუდამოდ ავუკრძალეთ მებატონეებს თავიანთ ყმების სახლებში სტუმრად მისვლა და მათთან ჭამა-სმა, რაიცა ამ გლეხებს კალიასებრ ანადგურებდა.

ჩვენდა სასიხარულოდ დავინახეთ დაუყონებლივი, მეტად საგულისხმო შედეგი ჩვენის მოღვაწეობისა: გლეხები გულმოდგინეთ შეუდგნენ მათს მიერ თავმინებებულ მიწების დამუშავებას და ანეულის პურის თესვას. მინდორზე გაჩნდენ მშვიდობისმოყვარე ჯგუფები კაცებისა, ქალებისა, ბავშვებისა და გაისმა ჩვეულებრივი სიმღერა მხვნელ-მთესველისა. გახურდა მუშაობა ტ მუშაობასთან ერთად გაიმართა აუცილებელი საადგილ-მამულო დავა, რომელიც ხშირათ ცემა-ტყეპით თავდებოდა. აქაც უნდა მისულვიყავით საქმის გასარჩევად. მართალია, მეტად სადავიდარაბო საქმე იყო, მაგრამ არსებითად მხოლოდ უნდა გავეხარებინეთ. ვხედავდით, რომ ხალხი თავის ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას შეუდგა. ამ თავშისაცემ საქმეს ზედ დაერთო ზრუნვა საქონლისა და განსაკუთრებით ცხენის ქურდობის მოსპობისათვის; ქურდობა მეგრელების ტომებრივ, ტრადიციულ თვისებას შეადგენდა. ცხენის ქურდობა ისეთისავე ოსტატობით იციან, როგორც იციან ეს ამერიკის წითელკანიანმა ინდოელებმა, რაიცა აწერილი აქვს კუპერსა და მაინ-რიდს. მეგრელის შესახებ საქართველოში ერთი თქმაცაა; სამოთხეში რომ შესულა მეგრელი, წმ. გიორგის რაში დაუნახავს, ვერ მოუთმენია და მოუპარნიაო. ცხენიპარიობა არ შეწყვეტილა გლეხების აჯანყების დროსაც-კი და ახლა, როცა გლეხები თავ-თავიანთ კერას უბრუნდებოდენ, ეს ცხენიპარიობა ჩვეულებრივ გაგრძელდა. ამ ხელობას თავისი ორგანიზაცია ჰქონდა და მასში მონაწილეობას იღებდენ ყველა წოდების მეგრელები. ამასთან საბრძოლველად საჭირო იყო ახლო გავსცნობოდით ამ ორგანიზაციას, რასაც ცოტა დრო-კი არ დასჭირებია, მანამდი კი საერთო პასუხისმგებლად ვხდიდით იმ სოფელს, რომლის საზღვარში მოიტანდენ მოპარულ ცხენების კვალს. ამ სოფლელთ დაუ-

ყონებლივ გადავახდევინებდით მოპარულ ცხენის საფასურს, ხოლო იმათ უნდა ეპოვნათ ქურდი და ჩვენთვის უნდა წარმოედგინათ საჭირო დამამტკიცებელ საბუთებითურთ. სამეგრელოს სოფლებში ძნელი იყო გზაკვალის გაგნება; ამ სოფლებს საერთო არაფერი

მეგრელი გლეხი

აქვსთ ველიკოროსულ სოფლებთან: აქ არ არის მთლიანი მოსახლეობა და აღარც საერო მფლობელობა მიწისა, თითოეული მოსახლეობა თავისთვის ეწევა მეურნეობას, ყოველი მოსახლე გაცალკევებით ცხოვრობს, თავის სახლკარისა და ეზოყურეებისათვის მაღალი

ღობე უვლია, ეკლით შემობლანდული და ყოველივე ეს ჩაფლულია გაუვალ ბუჩქნარებში და ხეებში, რომლებზედაც გადახლართულია ვაზები. სოფელი უზარმაზარ სივრცეზეა გაშლილი და მის ურიცხვ ბილიკებზე მხოლოდ აქაურ მკვიდრს არ ექცევა მხარი. მებატონეთა საცხოვრებელი გლეხების საცხოვრებელშია არეული, და იმ დროს გარეგნობით ერთმანეთისაგან ველარც კი გაარჩევდა კაცი— ყველა ესენი უბრალო ფაცხები იყვნენ.

სამეგრელოს მართვა-გამგეობისათვის სახელდახელოდ შედგენილი იყო (იმერეთის მსგავსად) დუკრუასის კომისიის მიერ დებულება, დამტკიცებული მეფისნაცვლის მიერ. ამ დებულების თანახმად ყოველ სოფელში უნდა ამოერჩიათ ხოლმე ხელოსანი გლეხიბისაგან და იმას ეკისრებოდა სოფლის საპოლიციო საქმე; მაგრამ ეს დაწესებულება აქ სრულებით გამოუსადეგარი გამოდგა. ხალხი მეტის-მეტად იყო დაბეჩავებული და არ შეეძლო თვითონ წაეყვანა თავის სოფლის საქმეები; მათ შორის არჩეულ ხელოსნებს ყურს არავინ უგდებდა—არც ბატონები და არც თვით გლეხები. ჩვენც იძულებულნი გავხდით დახმარებისათვის მიგვემართნა ადგილობრივ აზნაურებისათვის და მათთვის გვეთხოვნა დამდგარიყვნენ ხელოსნებად. გლეხები სიხარულით დათანხმდენ ამაზე და დაგვისახელეს საუკეთესო აზნაურთაგანნი; ესენი კი ჩვენ არ შეგვეძლო ძალით დაგვეყენებინა ხელოსნებად და დავითანხმეთ იმით, რომ დავპირდით განსაკუთრებულ ჯილდოს საერობო სამსახურისათვის. დავარქვით მოურავები, ე. ი. სოფლის მმართველები, ესენიც გახდენ ხელოსნებად, და საქმე გაიჩალხა. ყოველ სოფელში მათის საშუალებით გავაკეთეთ ის, რაც გვინდოდა. და მოურავთა შორის მართლაც აღმოჩნდენ ზოგნი მეტად მიხვედრილნი და რიგიანი ადამიანები, რომელებიც გულწრფელად მონდომებული იყვნენ დაკისრებული საქმე შეესრულებინათ.

ოლქის უფროსებს ორ-ორი თანაშემწე უნდა ჰყოლოდათ და ერთი მათგანი უფლება გვქონდა ადგილობრივი თავადთაგანი აგვეყვანა; ვისარგებლე ამ უფლებით და ამ თანამდებობაზე მოვიწვიე ერთ-ერთი ბატონიშვილთაგანი, თავადი დიმიტრი გრიგოლის ძე დადიანი, და არც მინანია, რომ ის ავირჩიე. დიმიტრი სრულებით არ ჰგავდა თანამოგვარეებს. ზედმიწევნით პატიოსანი და მოუსყიდველი, ყველასგან პატივცემული იყო და საჭიროების დროს სიმკაცრის გამოჩენაც იცოდა, თავის ქვეყანას მშვენივრად იცნობდა; ერთ დროს განსვენებულ მთავართან მდივანბეგადაც იყო ნამყოფი, და ასეთი კაცი ბევრ რაშიმე იყო ჩემთვის გამოსადეგი. რუსული არ იცოდა, მაგ-

რამ ეს სრულებით ხელს არ უშლიდა, თავის შინგაზრდილ საქმის-მწარმოქბელ ბოკერიას დახმარებით, რომელსაც ზოგჯერ მათრა-ხით აუჭრელებდა ხოლმე ზურგს ცუღლუტობისათვის,—მშვენივრად ასრულებდა, რასაც კი მივანდობდი. მისი მოტყუება შეუძლებელი იყო, მაშინათვე მიუხვდებოდა ყოველგვარ საიდუმლოებას და ყველაფერს დაუფარავად მე შემატყობინებდა ხოლმე.

საზოგადოთ დღითი-დღე ახლოს ვეცნობოდი აქაურს საზოგადოებას, და თუ ჩვენ ეს გაცნობა გულწრფელად გვინდოდა, საუკეთესო ნაწილი ადგილობრივთა მკვიდრთა ამაში ხელს გვიწყობდა, და რათგან ადამიანი ყველგან ადამიანია და როგორც ცუდთა შორის კარგებიც გამოერევა ხოლმე, როცა უფრო და უფრო გავიცანით მეგრელები, კარგები ვინც იყვნენ ყველა წოდებაში, მკაფიოდ გამოჩნდენ ჩვენს წინაშე. სხვა არა ყოფილიყო რა, მარტო ამაშიაც დიდ დახმარებას ვპოვებდით, და საადმინისტრაციო სამსახურის ინტერესი დღითი-დღე მეზრდებოდა.

4

მაგრამ ერთი თვეც არ გასულიყო ჩვენის გაუწყნარებელის მუშაობისა, ისე შევამჩნიეთ, რომ ჩვენს საქმიანობას, ეტყობოდა, ხელს უცარავდა ნადედოფლარის იქ ყოფნა. ეკატერინე გორდში სცხოვრობდა, გარს ეხვივნენ ჩიქოვანები, რომლებიც წინათ ყველა საქმეთა გამგენი იყვნენ და ახლა უსაქმოდ დარჩენ; ვერ შეჰრიგებოდა იმ აზრს, რომ ძალა-უფლება ხელიდან გამოეცალა, თუმცა ასეთი თავისი მდგომარეობა თვითონვე შეჰქმნა ხელოვნურად. ხოლო ჩიქოვანები არამცთუ არ ამშვიდებდენ, პირიქით უარესად აღეზიანებდენ სხვადასხვა ჭორებით და მითქმა-მოთქმით ჩვენს მიმართ. ის-კი არა, ცდილობდენ მოეგონებინათ სხვადასხვა მიზეზები, მის შესაჯახებლად რუსის ადმინისტრაციასთან, რომ მერე მისთვისვე დაეცინათ, ან და, უკეთუ ეს ვერ მოხერხდებოდა, თავიანთი თავნ მისი უსამართლობის მსხვერპლებად გამოეყვანათ. ამ თვალისსეირით ისინი ფიქრობდენ ეამებინათ ნადედოფლარისათვის, რომელიც ჰკიცხავდა კავკასიის მთავრობის მოქმედებას და ყველას გასაგონად იძახდა—ძალათ წამართვეს სამთავროვ. ეკატერინეს აზრით, ჩვენი ხერხი გლეხების აჯანყების ჩაქრობისა სახელს უტეხავდა თვით მთავრობას, რომელიც რევოლუციის მეთაურებთან მორიგებითა ცდილობს ფონს გასვლასო. ბარიატინსკი ვალდებული იყო, ამბობდა იგივე, მხოლოდ დაეცვა სამეგრელოს სამთავროს აწინდელი მდგომარეობა, სამხედრო ძალლონით ჩაექრო აჯანყება და აღედგინა ჩემი, დედოფლის, ძალაუფლება საკუთრებით, და ამის მაგიერ მე თვითონ გადამაყენესო.

ნადედოფლარს თავის საკუთარ ინტერესებს გარეშე არ უნდოდა დაენახნა ინტერესები მეგრელთა და გაეგო, რომ ის, რასაცა სთხოვ და კავკასიის მთავრობას სამეგრელოს საქმეში, წინააღმდეგი იქ-ნებოდა რუსეთის მთელ პოლიტიკურ სისტემისა აღმოსავლეთში; ხოლო ეს სისტემა იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველ ახლად შე-მოერთებულ მხარის მკვიდრთათვის იგივე სამოქალაქო უფლებანი მიეცა, რაც იმპერიის ძირითად მკვიდრთა ჰქონდათ. მარტო ინგ-ლისი, რომელიც გულმოდგინეთ ჰზრუნავს იმისთვის, რომ თავის ინდოეთის სამფლობელოში დაიცვას, რადაც უნდა დაუჯდეს, status quo და ხელი არ ახლოს მის შინაურს პოლიტიკურ წესწყობილებას, რათგან ეს წესწყობილება მისთვის მეტად ხელსაყრელია, როგორც იარაღი, რომლის საშუალებით საუკეთესოდ უზრუნველჰყოფს ბრი-ტანეთის სავაჭრო ინტერესებს. რაჯებისაგან ინგლისი თხოულობს მხოლოდ წესიერად შემოტანას საკმაოდ დიდ და განსაზღვრულ თან-ხისას ფულადი გადასახადის სახით, ხოლო მის შინაურ საქმეებში გარევას ერიდება და თუ გაერევა, ისიც ერთგვარ მომენტში. მაგრამ ასეთს ანგარებისმოყვარულ რეჟიმის დროსაც კი ინგლისის რეზი-დენტი ყოველ ავტონომიურ სამფლობელოში თავის ხავერდის ხელ-თათმანწამოცმულ რკინის ხელით რაჯების დესპოტიზმს თავის ფარგ-ლებში აჩერებს ხოლმე. როცა რომელიმე ამ რაჯათაგანი უსაზომო ფუფუნებას გამოეკიდება და კისრამდე ვალებში ჩაეფლობა, დაიწ-ყებს სასამართლოს იჯარით გაცემას, გზებს უპატრონოდ და მოუვ-ლელად დააგდებს და, დასასრულ, თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და სახელს აბუჩად აგდებას დაუწყებს, რეზიდენტი ოფიციოზურად გააფრთხილებს, და თუ ამ გაფრთხილებამ არ გასჭრა, უკვე უფრო არსებითს ღონისძიებას მიჰმართავს: რაჯას მოაკლებენ იმ პატივსა და უპირატესობას, რომელიც მინიჭებული აქვს მთავრობისაგან, სა-ხელდობ: მის გამოვლის დროს ზარბაზნებს აღარ გაისვრიან, და, როგორც ვიცით, ამ ზარბაზნების გასროლით განიზომება მდგომა-რეობა და გავლენა ყოველ მთავრისა; როცა ესეც არ გასჭრის, სრუ-ლებით ჩამოართმევენ უფლებას კანონიერ მემკვიდრის სასარგებლოდ, და თუ მემკვიდრე არა ჰყავს—მისი უფლება გადავა ინგლისის მთავ-რობის მიერ არჩეულ პირზე.

მაშასადამე, თუ ინგლისიც-კი, რომელსაც თუმცა სისტემად აქვს შემოღებული ავტონომიის შინაურს საქმეებში არ ჩაერიოს, მაგრამ მაინც საზღვარს უდებს ხოლმე ადგილობრივის რეჟიმის თავგასულობას, ნუ თუ ჩვენ, რომელნიც ასიმილიაციის პრინციპით ვხელმძღვანელობთ, შეგვეძლო გამონაკლისი გვექნა მხოლოდ სამე-

გრელოსათვის და ისიც იმ დროს, როცა შინაური არეულობანი, ანარქიამდე მისულნი, ყველაზე უკეთესად ამტკიცებდა მის მართვა-გამგეობის უვარგისობას. ყველა იმ ადამიანთ, ვისაც ერქვათ აზატე-ბი, მსახურები, გლეხები და მოჯალაბენი და ვინც მთავრის ხელის-უფლების მიერ უბრალო ნივთებად ღა ითვლებოდენ, ჩვენ ვეძახდით-გლეხებს და არ შეგვეძლო მათთვის გვეცემნა მარტო იმისთვის, რომ ჩვენთან მოდიოდენ და გვთხოვდენ—ცემა-ტყეპისაგან დაგვიფარეთო. და დიაღაც რომ საკვირველი იყო, რომ ამას ნადედოფლარი ჩვენის მხრით რევოლუციის მეთაურებთან მეგობრობას ეძახდა! დუკრუასი, კაცი ჭკუიანი, შვიდობიანი და უაღრესად განათლებული ყოველსავე ამას დიდის მოთმინებით განუმარტავდა ხოლმე ეკატერინეს; იყო ისეთი წუთიცა, როცა დედოფალი ეკატერინეს თითქო დაჰყვა კი-დეც დუკრუასის დარიგებასო, მაგრამ რაღაც გაუგებარის ჯიუტობით ისევ თავისაზე შესდგა და ერთს-ღა იმეორებდა: მე თქვენთვის არ მითხოვნია მართვა-გამგეობის შინაურ საქმეებში გაერიეთ-მეთქი, მე მინდოდა მხოლოდ ყაზახრუსები, მეტი არაფერი და მერე მე თვითონ დავამყარებდი მშვიდობიანობასაო, ამის მაგივრად, უჩემოდ ჩაერივ-ნენ შინაურ საქმეებში და დამიწყეს ჩურჩული—შენის ნებით ხელი-აიღე შენს უფლებებზედაო. ამ ჩურჩულს ახლოსაც არ გავიკარებ, ხოლო ჩემი გადაყენება-კი ძალადობად მიმაჩნია. მეუბნებიან, საქე-გრელოდან წავიდე; მაგრამ სად ან რისთვის უნდა წავიდე, როცა პირდაპირ მოვალეობად მაწევს პატრონობა და დაცვა ბავშვების ქონებისა.

ასეთ გულმოსულობის დროსაც კი არ ჰქონდა უფლება—რუსის ადმინისტრაციას დამდურებოდა. ჩვენ ყველანი მხად ვიყავით მის-თვის პატივი გვეცა და ვცდილობდით მისი თავმოყვარეობა არ შე-ლახულიყო. ყოველ მისს მოთხოვნას დაუყონებლივ ვასრულებდით, მისი საფერი პატივისცემა არ აკლდა და მაინც, ჩვენის სურვილისა და ნების წინააღმდეგ, ზოგჯერ გამოტყვრებოდა ხოლმე ისეთი შემთ-ხვევა, რომლის წინდაწინ გათვალისწინება შეუძლებელი იყო და რო-მელიც ეკატერინეს უფრო აღელვებდა. ასე, მაგალითად, ერთხელ ზუგდიდის ოლქის უფროსმა, თავად რაფიელ ერისთავმა, მარტვილის მონასტერში შემოიარა. თან ახლდა ცნობილი ბელადი აჯანყებისა უტუ მიქავა. იმ დროს როცა ერისთავი არქიმანდრიტის სახლის აი-ვანზე იჯდა, მონასტერში ნადედოფლარიც მოვიდა. ერისთავი შესა-ფერი პატივისცემით მიეგება. ეკატერინემა სთხოვა ერისთავს დამ-ჯდარიყო და მასთან ლაპარაკი გააბა. მოართვეს ჩაი. ამდროს ვი-ღაც მის ამალის კაცმა უჩურჩულა ნადედოფლარს,—მონასტერში

თავად ერისთავს მიქავა ახლავსო. ამ ამბავმა ძალიან დააინტერესა და ითხოვა მისთვის წარედგინათ ეს, როგორც დაცინვითა სთქვა, სამეგრელოს რევოლუციის დანტონი. ერისთავმა იხმო მიქავა. ისიც ამოვიდა აივანზე და მდაბალი სალამი ჰკადრა ნადედოფლარს. ამან უფრო ახლო მოიხმო და მეტად ალერსიანის კილოთი დაუწყო ლაპარაკი:

— შვილო,—უთხრა ალერსიანად მიქავას,—გლეხებისაგან არჩეული მეთაური რატომ პირდაპირ ჩემთან არ მოხვედი და არ მომახსენე მათი გაჭირვება და უბედურება? მე ხომ არაფერი ვიცოდი მათის ამბისა, და ჩემთან მოსვლა კი ყველას შეგეძლოთ. შენ შეგეძლო, როცა გინდოდა, მაშინ მოსულიყავ ჩემთან და სიმართლე გეთქვა. ეს რატომ მაშინ არა ქენი, როცა პეტერბურგიდან დავბრუნდი?

ამაზე მიქავამ არაფერი უპასუხა, და დარცხვენილივით თავჩაქინდრული იდგა და ხელში ქუდსა ჭმუჭნიდა. ამ სიჩუმეში რამდენმამე წუთმა გაიარა.

— არ გინდა მიპასუხო ჩემს შეკითხვაზე, განა?—დაიწყო ისევ ეკატერინემ,—მაშასადამე, აღიარებ, რომ ცუდი ჰქენი, რომ ჩემთან არ მოხვედი!..

მიქავამ თავი აიღო და ძალიან ნელის ხმით დაიწყო ლაპარაკი:

— დედოფალო, მეშინიან, ვაი თუ გამიწყრეთ და იმიტომ გახლავართ ჩუმათ.

— სთქვი, გეთაყვა, სთქვი,—სწრაფად სიტყვა გააწყვეტინა ეკატერინემ,—სიმართლის თქმისათვის თავისდღეში არ გაგიწყრები.

მიქავამ ერისთავს შეხედა, თითქო ლაპარაკის ნებასა სთხოვსო, და როცა ერისთავმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, დაიწყო:

— მაპატივეთ, დედოფალო, რომ არ გეახელით... და არ გეახელით იმიტომ, რომ თქვენ ვერას გვიშველით, ძალიანაც რომ გნეგნებავდესთ...

მიქავა ერთხანს გაჩუმდა, თითქო ვერა ჰბედავს მეტის თქმასო, მაგრამ ისევ ასწია თავს, თვალები როგორღაც განსაკუთრებულად გაუბრწყინდა, და დაიწყო:

— აი აქ, ამ მთის ძირას (მარტვილის მონასტერი მაღალ მთაზედაა) გლეხი ცხოვრობს, თქვენი გლეხი. ამ საცოდავს ამ ერთს საათს წინად ჰყავდა ძროხა, ერთად-ერთი მისი მარჩენელი: ძროხის რძით მისი პატარა ბავშვები იზრდებოდენ და ახლა კი ეს ძროხა აღარა ჰყავს: დაჰკლა თქვენმა ამალამ, მონასტერში რომ მოგყვათ, და ახლა მის ხორცის მწვადებსა სწვავენ. ამ უბედურს მისს ძროხას არავინ და არაფრით უზღავს... თქვენ ეჰვიც კი არა გაქვსთ, ისე სა-

ცა კი წაბრძანდებით, ყველგან უბედურება და ცრემლი მიგაქვსთ. აბა რიღასთვის უნდა გხლეგოდით და მომეხსენებინა უბედურება იმ-ნაირისავე გაჭირვებულის გლეხებისა, როგორიც ეს გლეხია: თქვენ ხომ ამას ვერაფრით უშველით!

მიქავა გაჩუმდა და თავი ძირს დახარა. ეკატერინეს სახეზე უსაზღ-ვრო წყენა გამოეხატა და ახლა რომ უფლება ჰქონოდა, იმ წამს-ვე გააქრობდა, ვინც გაუბედა და პირში, ამდენი ხალხის თანადას-წრებით, ასე ამხილა. მაგრამ თავს ძალა დააატანა, ცოტა ხნის სიჩუ-მის შემდეგ თავმდაბლად გაიღიმა და მიქავას უთხრა:

— კარგი, შვილო, ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს.

ხუმრობით დაიწყო ეკატერინემ, როცა მიქავას დანტონი უწო-და. მაგრამ როცა მიქავას პირიდან კვლავ გაიგონა იგივე ხმა უკი-დურეს უბედურებამდე მიყვანილ ხალხისა, ის ხმა, რომელიც მან თავის დროზე, როცა ძალა-უფლება მის ხელთ იყო, ყურად არ იღო, მიხვდა, თუ რარიგ უადგილო იყო ეს ხუმრობა და ეს დაცინვა. ასეთი შემთხვევები არამცთუ არ ულბობდენ გულს, პირიქით უფრო აბოროტებდენ ყველას წინააღმდეგ, ვისაც გულწრფელად მისი სი-კეთე უნდოდა, მაგრამ ვინც მისს ნათქვამს კვერს არ უკრავდა.

5

დუკრუასის შემდეგ მოვიდა თავადი გაგარინი და ეკატერინეს ურჩია ბარიატინსკის რჩევას დაჰყოლოდა და ბავშვების ქონების მზრუნველად დაუსახელა მის მიერვე თან წამოყვანილი, ყველასა-გან პატივცემული პოლკის უფროსი თავადი იაგორ ივანეს-ძე აბა-შიძე. მაგრამ ეკატერინემ პასუხად მეტად მკვახე საყვედურებით აავსო: „უმწეო ქვრივი, მცირეწლოვან ბავშვებიანი, დამიბრიყვეთ, გინდათ გამძარცვოთ და სადღაც უნდა გადამჰკარგოთ!.. ჩემს შვილებს ძვირფასი მამული აქვსთ სამეგრელოში, ერთ დროს ამ მამულს ასი-ათასობით ექნება შემოსავალი და ასეთის მამულის მოვლა-პატრო-ნობა ვისღა შემიძლია მივანდო?—ჩემის თვალებით თუ არ ვუყურე, ისე ყველაფერს დაიტაცებენ“. თავად აბაშიძესაც კარგებისა აკადრა. „როგორ,—უსაყვედურა დედოფალმა,—რუსის მთავრობისაგან გაძარ-ცულმა*) როგორ გაჰბედე ჩემთან მოსვლა უჩემოთ და მზრუნველობა როგორ ითხოვეთ?“ ხოლო თავადი გაგარინი იძულებული შეიქმნა თავის ყურით მოესმინა თავად ბარიატინსკის ლანძღვა-გინება. გაგა-

*) თავად აბაშიძის მამა იმერეთის აჯანყებისათვის საქართველოდან გადა-სახლებული იყო და მისი ქონება კონფისკაციაქმნილ იქმნა მთავრობის მიერ.

რინმაც და აბაშიძემაც, ამ გაანჩხლებულ ქალს რომ უყურებდენ, ამ-ჯობინეს იქაურობას გასცლოდენ. როცა ეთხოვებოდენ, ეკატერინემ ჩემზედაც დაუმატა საჩივარი:

— აბა ოლქის უფროსი ბოროზდინია, რაც არის! ვუბრძანე, ჩემი ავეჯი სალხინოდან აქეთ, გორდში, გადმოეტანათ, რადგან აქ მინდა ზამთარი გავატარო, გლეხებს კი ჩემი სახლთხუცესი გამოუგ-დიათ და უთქვამთ,—დედოფლის ავეჯის გადამტანი არა ვართო, ბოროზდინთან ვიჩივლე და იმან კიდენ პასუხიც კი არ - მაღირსა... აღარც შეშა მაქვს, კინჩხელ გლეხებმა უარი შემომითვალეს შეშის მო-ტანაზე; საჭმელი ვერაფრით მომიხარშავს, და ეს სულ ოლქის უფრო-სის ბრალია: გლეხებს ეფერება, ძმა-ბიჭებად გაუხდია...

გაგარინი და აბაშიძე მეტად დაღონებულნი შემხვდენ გორდი-დან დაბრუნებულნი. გადმომცეს ეკატერინეს საყვედური ორის საქ-მისა გამო. ორივესთვის ტყუილად კი მემდუროდა: მოურავმა, მარ-თალია, მოსთხოვა გლეხებს სალხინოდან ავეჯის გადმოტანა, მაგრამ გლეხებმა ვერ მოიტანეს, რათგან რაც რამ საქონელი ჰყავდათ, აჯან-ყების დროს თვითონ იმათ შეეჭამნათ, ან დაეტაცნათ და მოეპარ-ნათ; ასე რომ ურმით გადმოზიდვა შეუძლებელი შეიქმნა, და მეტი გზა რომ არ იყო, ვუბრძანე ხელით გადმოეზიდნათ, თუმცა მთელი ორმოცის ვერსის მანძილი იყო სალხინოდან გორდამდე. რა თქმა უნ-და, ასეთის საშუალებით ავეჯს მალე ვერ გადაიტანდენ, ეს ავეჯი გზაში იყო, ასე რომ მაშინ ეკატერინეს ეს არც-კი ეცოდინებოდა. იმისა, რომ ვითომ უშეშოდ დაეტოვებინოსთ გლეხებს, უნდა ვსთქვა, რომ მე არაფერი გამიგია.

თავადმა გაგარინმა მთხოვა, ყოველსავე შემთხვევაში, რაც შეიძლებოდა მალე წასულვიყავ ეკატერინესთან გორდში და მისი შოთხოვნილება შემესრულებინა.

ორ დღეს უკან ვიახლე ექვსი ყაზახრუსი, თარჯიმანი და იასა-ული და წავედი. ეკატერინე მეტად თავაზიანად მომეგება და განსა-კუთრებით იმიტომ, რომ იმ დღეს დილითვე მოეტანათ ავეჯი სალ-ხინოდან; ეს მისთვის სრულებით მოულოდნელი იყო, და ჩემს წინაშე თავს დამნაშავედა ჰგრძნობდა გაგარინთან დაბეზღებისათვის. შეშა ვახსენეთ და იმან ნახევრად ირონიულად მითხრა: „აი, რა დღეს მო-ვესწარ: კინჩხის გლეხები არაფრად მაგდებენ და სამზარეულოში ცეცხ-ლი ვერ დამინთებინებია უშეშობითო“. დავპირდი, ყველაფერი მო-გერთმევათ-მეთქი და ვსთხოვევი, ხვალ ჩემთვის გამოეყოლებინა მისი სახლთხუცესები ჩიქოვანები, რომ მათ ეჩვენებინათ ბატონის ურჩი გლეხები.

ღამე ეკატერინეს ოჯახში გავატარე, როგორც ძველმა ნაცნობმა. საყვედური მითხრა გაგარინისა და ბარიატინსკისა,—ჩემი შვილები ღვთის ამარა უნდათ გაუშვანო; კოლუბიაკინს უფრო მორბილებულად იხსენიებდა და სურვილიც კი გამოსთქვა, უნდა შევურიგდე და ძველი მეგობრული ურთიერთობა უნდა განვაახლო მასთანაო.

ნავახშმევს ჩემს ოთახში დავბრუნდი, საოაც დამიხვდა თარჯიმანი და ურიადნიკი. პირველმა საიდუმლოდ მითხრა, ძალიან ცუდი რამე გავიგე და თავს გაუფრთხილდითო. ასე მითხრა: კინჩხა—საშიში სოფელია, ნადირი ხალხი ცხოვრობს, როგორც ეს მიყრუებულ, მთა ადგილების კუთხეებში არისო; ამ სოფელს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია და მთავრის ერთგულიაო. კინჩხა, როგორცა სჩანდა, ერთგვარი ვანდეა ყოფილა. რაღაც რომ მიჰკიბ-მოჰკიბეს ვითომც გლეხები დედოფალს შეშას არ უზიდავენო—სულ ჩიქოვანების ბრალი ყოფილა და ეს ზღაპარი იმიტომ გამოუგონიათ, რომ ამ სოფელში ოლქის უფროსი შეეტყუებინათ და რამე ევნოთ მისთვის. გლეხებისათვის ჩაეგონებინათ—რუსის უფროსს არ დაუჯეროთ და აქედან გააგდეთო. ყოველივე ეს თარჯიმანს მთავრის მეჯინიბესაგან, მის ნათესავისაგან, გაუგია. თარჯიმანი ყველაფერს მაფიცებდა, კინჩხაში არ წასულვიყავი.

ურიადნიკმა, თავის მხრივ, მომახსენა, რომ დაბინდებისას იქვე ახლოსვე საძოვებლად გაშვებულ ცხენებს ყაზახრუსებისას ვიღაც სამი კაცი დასცემია და თურმე მოტაცება სდომნიათ, მაგრამ ყაზახრუსებს დროითვე შეუნიშნავთ და წაურთმევიათ; შეეძლოთ ის კაცები გაეთოკნათ კიდეცა, მაგრამ მთავრის სასახლის ახლო ხმაურობის ატეხას მოჰრიდებიან და „კარგათ უთაქებიათ და გაუგდიათო“.

ეს ორი მოხსენება რომ მოვისმინე, მივსწერე ყაზახრუსთა ასეულის უფროსს, დროშიონს ტუპიცას, რომელსაც თავისი ასეული გორდიდან 15 ვერსის მოშორებით ეყენა, ხვალ უთენია წამოსულიყო თავის ასეულითურთ სოფ. კინჩხაში და გზის მაჩვენებლად წამოეყვანა ჩემის წერილის მიმტანი იასაული ნარაკია, რომელმაც ამ ადგილებში ყველა ბილიკი იცოდა. თარჯიმანი და ურიადნიკი გავუშვი და მადლობა ვუთხარი, რომ თავის დროზე გამაბრთხილეს ჩიქოვანების ვერაგობის შესახებ. მე კი გადავწყვიტე თავი ისე დამეჭირნა, ვითომ არაფერი ვიცი მათის განზრახვის შესახებ, და როცა მეორე დღეს დილით, 8 საათზე, ისინი ჩემთან მოვიდნენ სახლთუხუცესის მეთაურობით, მეტად თავაზიანად დავუხვდი და ნახევარ საათს უკან მათთან, თარჯიმანთან და ექვს ყაზახრუსთან ერთად გავწიე სოფ. კინჩხასაკენ.

სოფ. კინჩხა გორდიდან 14 ვერსის სიშორეზეა და მდებარეობს მაღლობ და მთიან ადგილას; ბუნება საუცხოვოა; უკვე ფიჭვი და ნაძვი იზრდება და უზარმაზარებიც. ერთის ვერსის მანძილზე სოფლამდე ძალუნებურად ჩერდები კაცი და თვალები ვერ მოგიწყვეტია კალმითდახატულ სანახაობისათვის. დაახლოვებით 100 საჟენის სიმაღლის ღრეედან, რომელიც გადასცქერის ფართე მინდორს, ჩამოქუხს მთის მდინარე ოკასო. ზევით ფართე ბაბთის მსგავსი წყალი ჩამოშვების დროს თანდათან ვიწროვდება და ბოლოს აურაცხელ წინწკლებად იბნევა. მზის სხივები ამ წყლის მტვერში რომ შეიჭრება, აუარებელ ცისარტყელებსა ჰქმნის, და ესენი ერთი-მეორესა სცვლიან. შვეიცარიაში ასეთი კუთხე როგორც-კი გამოჩნდება სადმე, მაშინათვე მთელი ქალაქი გაშენდება ტურისტების ფულებით; შაგრამ კავკასია ჯერ-ჯერობით მიუწდომელადა ჰმალავს თავისს მშვენიერს ადგილებს: აბა ვის ექნება იმის ხალისი, რომ აბობღდეს სადდაც კინჩხაში, სადაც გზაც-კი არ მიუდგება, მხოლოთ ღრეებზე დაკიდებულ ბილიკებით თუ-ღა იბობღებს კაცი.

შუადღემდე უკვე სოფელში ვიყავით. მე ცხენიდან ჩამოვხტი ეკლესიის გვერდით, კეთილმოწესეს სახლთან. იმათ, ვინც თავისდღეში არა ყოფილან კავკასიაში და განსაკუთრებით მთიან სოფლებში, საჭიროდა ვსთვლით ავუხსნათ, სიტყვა „სოფელი“-ს ხსენებაზე არ წარმოიდგინონ, როგორცა ვსთქვით, სწორ ქუჩების იქითაქეთ ჩამწკრივებული სახლები. ასეთის რისამე ხსენებაც კი არ შეიძლება. მთის სოფელი შესდგება მთელ ჯგუფ ქედებისაგან, რომელთა შუა მრავალი ღელეებია. და ეს დასერილი ადგილი გაჭიმულია ზოგჯერ 20,—30 ვერსზე და დაფარულია გარდი-გარდმო მიმართულებით შემთხვევით მიმოფანტულ პატარ-პატარა მოსახლეობით, სადაც სახლები განიერ ტოტებიან ხეების ქვეშიდან გამოიყურებიან. სადგომებად ქოხები აქვთ, ყავრით გადახურული, სახურავზე მჭადაქვებია დაწყობილი, რომ მთის ძლიერს ქარს ყავარი არ მოატაცებინონ. ქედების კენწეროებზე მოსჩანს ქკითკირის ეკლესიები, რომელთაც გარშემო არტყიათ საღმრთო წალკოტები.

ასეთი იყო კინჩხაც. აქ მოსახლეობდა 500-მდე კომლი და ქედებზედაც 13 ეკლესია იდგა. ასეთის სოფლის ხალხის თავის მოყრა ადვილი საქმე არ გახლდათ და დეკანოზმა უბრძანა ეკკლესიიდან გამოეტანათ უშველებელი სპილენძის ბუკი და საეკლესიო კრებულის წევრს **მებუკეს** უბრძანა ბუკი დაეყვირებინა. ამ ნიშნით ხალხი უნდა შეკრებილიყო. ჩვენს მებუკეს მალე ერთმა გასცა ხმა, მერე მეორემ, შემდეგ რამდენმამე მებუკემ კინჩხას ყველა ეკლესიიდან ერთად

გამოსძახეს და ქედები თითქო გაცოცხლდა და კიდითი-კიდე ალა-პარაკდაო.

სანამ ხალხი მოგროვდებოდა, სახლთუხუცესმა განკარგულება გასცა საუზმე მოემზადებინათ; მე-კი დეკანოზის სახლში ჩემთვის მიჩენილ ოთახში შევედი. შეშინებული თარჯიმანი ვერ ისვენებდა, რაღაც უბედურობის მოლოდინში იყო; მისი შიში სიცილად არა მყოფნიდა. გაიარა ერთმა საათმა, ორმა; ბუკის ყვირილი ისევ გრძელდებოდა და ხალხმა დენა იწყო. მე უკვე ვისაუზმე. სახლთუხუცესები ჯერ კიდევ არ მოდიოდენ და არ მატყობინებდენ ხალხის სრულად თავის მოყრას; აღარც ყაზახრუსები სჩანდენ: თარჯიმანი, გადაფითრებული, წამდაუწუმ მიდი-მოდიოდა საიდგანღაც და ბოლოს, შემატყობინა, ქვევით 400 კაცამდე მოიყარა თავიო, და ყველანი „შეიარაღებულნი“ არიანო, დაუმატა ჩურჩულით. გავიდა კიდევ ერთი საათი და მოვიდენ და მითხრეს, ყველაფერი მზათაა, ხალხი შეგროვდაო. გამოვედი ოთახიდან და ქვევით, მინდორზე, ორასიოდ ნაბიჯის მოშორებით დავინახე მთლად შეიარაღებული ხალხი; თოფებს შორის მოსჩანდა შუბებიც, რომლებსაც წვერზე ცელები ჰქონდათ წამოცმული. მოვიხმე თარჯიმანი, ვერხვის ფოთოლივით აკანკალებული, და ყაზახ-რუსები და მათთან ერთად ძირს დავეშვი. ამავე დროს, თითქო ვინმე შეულოცაო, მოპირდაპირე ქედიდან, მოგროვილ და მინდორზე მრისხანედ მდგარ ხალხის სწორედ ზურგთ უკან გამოჩნდა ჩემი ასეული, წინ მოუძღოდა დროშიონი ტუპიცა. როცა თთქმის ჩამოვედი მინდორზე, ტუპიცამაც მოაჭენა ჩემთან ცხენი და მომახსენა:

— ბატონო პოლკოვნიკო, ჩემდამო რწმუნებულ ასეულში მშვიდობაა!

თუ არ პოლკოვნიკს, სხვა სახელს არ მეძახდა, თუმცა ერთი მოკრძალებული ტიტულიარული მრჩეველი ვიყავ. ნისმა და მისის ასეულის გამოჩენამ, ეტყობოდა, დამსწრენი შეაშინა. ჩიქოვანებს მოლიმარე სახეებზე მწუხარება გამოეხატათ, ხოლო ჩემს თარჯიმანს თვალები გაუბრწყინდა,

მივესალმე ყაზახრუსებს და თავაზიან დროშიონსა ვსთხოვევი ებრძანებინა სასწრაფოთ ორად გაყოფილიყვნენ და ისე დამდგარიყვნენ, რომ ერთი ნახევარი შეიარაღებულ ხალხს ზურგთ უკან მოქცეოდა. ეს თვალის დახამხამებაში ასრულებულ იქმნა და მაშინ მეც კინჩხელებთან მივედი.

ყველას ქუდები ეხურათ. თარჯიმანის პირით ვუბრძანე ქუდებიმოეხადნათ. ყველამ არ მოიხადა; ხუთს თუ ექვს კაცს, წინ რომ იდ-

გნენ, ისევ ეხურათ. ყაზახრუსები მიეშველნენ და მოახდევინეს. მერე ვუბრძანე ყველასთვის იარაღი ჩამოერთმიათ. ხალხი ამოძრავდა; მაგრამ სანამ გონს მოვიდოდა, ყაზახრუსებმა ყველას იარაღი აჰყარეს; ორმა თუ სამმა გაძალიანება მოინდომა, მაგრამ ისინი განზე გაათრიეს და გათოკეს.

გლეხებს პირველად ესა ვკითხევი:

— მე, უფროსმა, რომ დაგიძახეთ, შეიარაღებულები რატომ მოხვედით?

მიპასუხეს:

— ასე გვქონდა ნაბრძანები.

— ვისგან?

მიგვითითეს რამდენსამე გლეხზე, მათს შორის ყაზახრუსების მიერ გათოკილებზედაც.

ახლა იმათა ვკითხე:

— რათ უბრძანე ასე?

გლეხებმა თვით სახლთუხუცესებზე მიგვითითეს.

ამ ვაჟბატონებს რომ შევხედე, მათს გაფითრებულ სახეებზე მათის განზრახვის ცხადი დადასტურება წავიკითხე. მარწმუნებდენ— გლეხები სტყუიანო, და მხოლოდ უფროსი სახლთუხუცესი იდგა ფერწასული და სდუმდა. გრძელი ჭაღარაშერთული თმა მის მშვენიერს სახეს მეტის-მეტად უხდებოდა.

ახსნა-განმარტების ლაპარაკი შევაწყვეტინე და პირდაპირ შეშის ამბავიდან დავიწყე. გლეხები გორშდი შეშის ჩატანაზე უარს რათ ამბობენ-მეთქი? გამოირკვა ნამდვილი სიცრუვე და მიკიბ-მოკიბვა. დამისახელეს გლეხები, ვინც თავის მოვალეობას არ ასრულებდა; ასეთები 5—6 კაცი აღმოჩნდა, მაშასადამე, მთელის სოფლის მცხოვრებთა უუმცირესი ნაწილი, იმათაც შეშა მოჭრილი ჰქონოდათ, მხოლოდ ვერ ჩაეტანათ საქონლის უყოლობის გამო, ეს საქონელი შარშან ჭირს გაეწყვიტნა ამ სოფელში; ვისაც-კი საქონელი ჰყოლია, რამდენიც შესძლებიათ, ჩაუზიდნიათ შეშა, თუ ყველა ვერ ჩავზიდეთ აქამდე, გვიბრძანეთ და თუნდ დღესვე ჩავზიდავთო. დედოფლის ურჩობა გუნებაშიაც არავის გაუტარებია, მით უფრო აჯანყება, მე—კი სახლთუხუცესებმა სწორედ აჯანყების ამბავი მითხრეს,

იმ გლეხებს, ვისაც შეშის ჩაზიდვა ემართა, ვუბრძანე ახლავე წასულიყვნენ ტყეში და შეშა გორდში წაეღოთ, ხოლო რამდენსამე ჩიქოვანს დავავალე მათ გაჰყოლოდნენ და ეზრუნათ ჩემი ბრძანება მალე ასრულებულიყო.

ამ უმნიშვნელო საქმეს რომ მოვრჩი, შევუდექი მთავარ საკითხს, სახელდობ იმას, თუ: როგორ გაჰბედეს კინჩხელებმა ჩემთან შეიარაღებულებმა მოსვლა და ზოგიერთმა მათგანმა ქუდი მაშინაც რატომ არ მოიხადა, როცა უბრძანეს?

ყოველთ უწინარეს გლეხებისათვის ვაკითხვინე: ამ ერთ თვეს წინად ეკლესიებში მღვდლებმა და ხელოსნებმა ხომ გამოგიცხადეს, რომ ხელმწიფემ ბრძანა სამეგრელოში რუსის მართვა-გამგეობა უნდა შემოსულიყო-მეთქი?

ხალხი ხმას არ იღებდა.

ვკითხე დეკანოზს და იმან მითხრა—მეცა და სხვა მღვდლებმა ხალხს წავუკითხეთ გამოგზავნილი პროკლამაციებიო.

მაშინ ხალხსა ვკითხევ:

— თუ ეს წაგიკითხეს, მე, ხელმწიფის დანიშნულმა კაცმა, რომ დაგიძახეთ გლეხებს, შეიარაღებულები რათ მოხვედით? იარაღი რიღასთვის გინდოდათ?

ხალხი სდუმდა.

შეუძლებლად მიმაჩნდა მაშინათვე არ დამესაჯნა ჩიქოვანების მიერ გამოწყობილი მოღალატური საქმე. პირადად მათ რომ შევხებოდი უშუალოდ, არ ივარგებდა, ეკატერინე ჩემის მხრით ამას თავის პირად შეურაცყოფად ჩათვლიდა, და ჩვენ კი კანონად გვქონდა დადებული—ეკატერინეს, რაც უნდა ყოფილიყო, მოვრიდებოდით; მაშასადამე, გვრჩებოდა მოვქცეულიყავით ისე, რომ ჩიქოვანები, თუნდაც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დაგვესაჯნა; თავიდათავი ის იყო, რომ მათთვის ისე შეგვეკრა ხელფეხი, რომ შემდეგში არ შესძლებოდათ ასეთის მიქარვის განმეორება და არ შეეცდინათ გლეხები, რომლებიც დაჩვეულნი იყვნენ მათს ყურისთხოვებას. ამ მოსაზრებათა გამო ვთხოვე ჩემს კეთილს დროშიონს ტუპიცას ჩემი თარჯიმანი დაეხმარებინა და ხალხის მწკრივიდან ყოველი მეცხრე კაცი გამოეყვანათ, გარშემო შემორტყმოდენ და ოცდახუთხუთჯერ წკნელი დაერტყათ; ის ხუთი, რომლებიც შეკრულები იყვნენ, გაწკეპვლის შემდეგ წაეყვანათ სენაკის სატუსაღოში, და სენაკშივე გაეგზავნათ ჩამორთმეული იარაღი.

ეს ბრძანება სწრაფად ასრულდა და ასეთის სერიოზულ ჭკუის სწავლების შემდეგ გლეხებმა მითხრეს—ახლაკი გვახსოვს, ბატონო და ვიცით, რა პროკლამაციას ბრძანებთო. დასასრულ, ვუთხარი: ძალიანა მწყინს, რომ იძულებული ვიყავ თქვენი გაცნობა ასეთ უსიამოვნო ამბით დამეწყო-მეთქი, თავთავიანთ სახლებში გავუშვი.

ყოველისავე ამის ასრულება, მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ისეთის ყოჩაღი ბიჭების დახმარებით, როგორებიც იყვნენ სახაზო ყაზახრუსები, და ჩემს მოქმედებას როგორც მაშინ, ისე ახლა ვთვლიდი და ვთვლი სრულებით მიზანშეწონილად. მაშინდებურად განწყობილ გლეხებს და განსაკუთრებით მთაადგილების მცხოვრებთ ასეთს შემთხვევებში უეჭველად სუსხი უნდა დასდგომოდათ. მე რომ კინჩხადან ისე წამოვსულიყავ, რომ იქაურები არ დამესაჯნა, ლაპარაკს დაიწყებდენ ოლქის უფროსი გამოუგდიათ, მხდალი ყოფილა, შეჰშინებიაო, და რაკი სოფელი დავსაჯე, არც ასეთი ხმა გავრცელებულა. და საკვირველია, მერე ოთხ წელზე მეტს ვიყავ აქ ოლქის უფროსად, თითქმის სათითაოდ გავიცანი კინჩხელი გლეხები და ჩემდამი საუკეთესოდ იყვნენ განწყობილნი სწორედ იმიტომ, რომ ყოველთვის მადლობით იხსენიებდენ იმას, თუ რა სწრაფად და ენერგიულად გავუსწორდი თავიანთ დანაშაულისათვის. იმათ სავსებით შეიგნეს, თუ რა სახიფათო საქმეში უნდა გაეხვიათ ისინი ჩიქოვანებს და ან როგორ დაიღუპებოდენ, ოლქის უფროსის წინააღმდეგ იარაღი რომ ეხმარნათ; და ამ იარაღს უეჭველად იხმარდნენ, ყაზახრუსების ასეული რომ არ გაჩენილიყო და მათი რომ არ შეშინებოდათ. მაშინ ბევრს მათგანს, რა საჭიროა, ციმბირი არ აცდებოდა.

კინჩხაში ეკზეკუციის მოხდენის შემდეგ გორდში მოვედი. ყაზახრუსების მომღერლები წინ მიგვიძღოდნენ. ამათი სიმღერები იმ ზომამდე მოეწონათ ეკტერინეს ბავშვებს, რომ ტუპიცასა ვთხოვევი, დაექვეითებინა მომღერლები და ბავშვები გაერთოთ. ეკატერინეს ჩემ ჩამოსვლამდე გაეგო დაწვრილებით ჩემ მიერ გლეხების მორჯულების ამბავი. ცივად მადლობა მითხრა ენერგიულ საქციელისათვის. მე-კი თავი შევიკავე და არაფერი ვუთხარი იმის შესახებ, თუ როგორ მოუცთათ ჩიქოვანებს თავიანთი მუხანათობა და მივახვედრე, რომ მათს მიერ საქმე გაზვიადებული იყო. ერთმანეთს ტკბილის სიტყვებით დავშორდით.

კინჩხის ამბავი, ჩიქოვანების მიერ შეთხუზული, მარტო ერთი არ ყოფილა და მალე მას მეორე მოჰყვა, უფრო მსხვილი.

მთავარ სახლთუხუცესის ძმა. თავადი ივანე ჩიქოვანი, კაცი უგუნური, მეშფოთარი, მაგრამ გამბედავი და ბოროტი, შეუდგა გარშემო შემოეკრიბნა უკმაყოფილონი და აღემხედრებინა რუსების წინააღმდეგ, რომ ჯერ ხალხი აეჯანყებინა და მერე ჩვენც (რუსებიც) გაეძევებინა სამეგრელოდან. დიაღ რომ სულელური განზრახვა იყო, მაგრამ ამ განზრახვას თანამგრძნობად გაუხდა ჯგუფი ისეთისავე მეშფოთრებისა, როგორიც თვითონ ივანე იყო. კოლუ-

ბიაკინს შეატყობინეს, ზუგდიდის ოლქის სოფ. ზანაში შეკრებილა სამას კაცამდე სხვადასხვა ნაძირალებისა და განზრახვა აქვსთ ზუგდიდს დაეცნენო.

ნ. კოლუბიაკინმა სწრაფად იღონისძია წინდაწინვე ამ განზრახვის წინააღმდეგ, წაიყვანა ერთი როტა სახაზო ბატალიონისა და ასეული ყაზახრუსებისა და ზანისაკენ გაემართა, მთაზე, ძველ-ლებურ ციხეში ჩაუსხდენ მეამბოხენი და პირველათ იმათ ასტეხეს სროლა, როცა მომავალი ჯარი დაინახეს; მაშინ ყაზახრუსები შეიჭრნენ ციხეში. აჰკაფეს თუთხმეტიოდ კაცი, იმდენივე დასჭრეს, რის შემდეგ დანარჩენი მაწანწალები ყურდღელებივით გაიფანტნენ. დაიჭირეს 50-მდე კაცი.

ივანე ჩიქოვანის მონაწილეობა ამ საქმეში აღმოჩენილ იქმნა დაიჭირეს და დაუყოვნებლივ გადაასახლეს სამეგრელოდან ქ. ტამბოვში საცხოვრებლად.

6

ეს ეპიზოდი, რა თქმა უნდა, ყველას აალაპარაკებდა, რომ ის არ დაეჩრდილნა ერთს, თავის მნიშვნელობით, დიდს ფაქტს: ნადეიდოფლარს მოუვიდა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც, რა თქმა უნდა, გამოგზავნილი იყო თავად ბარიატინსკის წარდგენილობით. ხელმწიფე მოწყალე სიტყვებით იწვევდა ეკატერინეს თავის ბავშვებითურთ პეტერბურგში! გაწვევის მიზეზად ასახელებდა თავისს სურვილს ახლოს ჰყოლოდა მცირეწლოვანი მთავარი და თვალყური ედევნებინა მის აღზრდისათვის,

აბა რა თქმა უნდა, დეიდოფლის ყოველ ყოყმანს და გადაუწყვეტილობას ხელათ მოუღო ბოლო ამ რესკრიპტმა, და იმანაც გაგარინს გამოუცხადა, ოქტომბრის 25-ს გავალო და სთხოვდა მისთვის ხომალდი დაეხვედრებინა ფოთში, რათგან გადაეწყვიტნა ოდესაზე წასულიყო. იმავე დროსვე გადასწყვიტა ეკატერინემ, თუ ვინ უნდა მოეწვია თავის მცირეწლოვან ბავშვების ქონების მზრუნველად. ჯერ თავისს ძმასა სთხოვა, თავად დავით ჭავჭავაძეს, და სიძეს, ბარონ ა. ბ. ნიკოლაის, ეს მოვალეობა ეკისრნათ; მაგრამ როცა ამათ უარი სთქვეს, ეკატერინემ მთავარ გამგეობის საბჭოს წევრი დიმიტრი ივანეს-ძეს ყიფიანი აირჩია. დიმიტრი ყიფიანმა თავად ბარიატინსკის თანხმობით იკისრა მზრუნველობა და მაშინათვე ჩამოვიდა გორდში ეკატერინეს სანახავად. მათი თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ეკატერინემ მიანდო სახლთუხუცესს მზრუნველისათვის აღწერილობით ჩაებარებინა ყველა მამულები, ხოლო თვითონ ყიფიანსა სთხოვა ბარიატინსკისათვის ეცნობებინა, რომ სამეგრელო ჩემის შვილების საკუთრებას შეადგენს და აქაურ მიწების პატრონი

თვინიერ მთავრისა სხვა არავინ არის-თქო. თავადები და აზნაურებიც მასვე, მთავარსვე, ეკუთვნიან, როგორც მიწებიც. ე. ი. ეკატერინემ თავის უფლებათა შესახებ იგივე აზრი განიმეორა, რა აზრისაც მისი განსვენებული ქმარი იყო; მაგრამ ძნელი იყო, მეგრე-

დიმიტრი ივ. ყიფიანი

ლებს ეს თეორია ერწმუნებინათ: 60 წლის განმავლობაში უთავოდ მფლობელობის შემდეგ კნეინას მიერ წამოყენებული თეორია მეგრელთ საშინელ ძალადობად მიაჩნდათ.

ყიფიანი რომ წავიდა, შეუდგნენ მზადებას ეკატერინეს გასასტუმრებლად. წასვლამდე, სულ რაღაც ორი კვირა თუ-ღა რჩებოდა.

ჩვენის მხრით ეკატერინეს ყველაფრით დავეხმარენით; გორდიდან უნდა გამოსულიყო ოქტომბრის 24, დილაადრიანად; ღამეს გაათევდა ორპირში, ხოლო 25-ს ნავებით მდინარე რიონზე ფოთში ჩავიდოდა, სადაც გემი ელოდებოდა.

ეკატერინეს მგზავრობის შედგენილ მარშრუტის თანახმად, ოქტომბრის 23-ს მე უნდა ყოფილვიყავ გორდში, და იქიდან მეორე დღეს გამეცილებინა ორპირში. ამიტომ ამ დღეს დილაადრიანა ყაზახრუსების ასეულის თანხლებით გამოვედი სენაკიდან და უკვე შუა გზაზე ვიყავი. ეკატერინეს გადაყვანისა და მისი ბარგის გადაზიდვისათვის ზრუნვა მე მხვდა წილად, როგორც ოლქის უფროსს. ეს, სწორე მოგახსენოთ, მეტად მადარდებდა და მომავალ მგზავრობისათვის ყველაფრის დაწვრილებითი მოფიქრებამ ისე გამიტაცა, რომ ბუნდად შევნიშნე შეხვედრილი ცხენოსანი, რომელმაც მდაბლად თავი დამიკრა და ამავე დროს ჩემს თარჯიმანს თავით ანიშნა—რაღაც უნდა გითხრაო. თარჯიმანი მასთან შივიდა, სულ ცოტა ხანს ელაპარაკა, მერე მოაბრუნა ცხენი და სწრაფად მოიჭრა ჩემთან. გავჩერდი. —„ქუთაისში საშინელი უბედურება მომხდარა,— მითხრა თარჯიმანმა:—„კონსტანტინე დადიშქელიანს სატევრით დაუჩეხნია თავადი გაგარინი“. ამ ამბავმა თავზარი დამცა; დავაძახებინე ცხენოსნისათვის, რომელიც სენაკელი ვაჭარი გამოდგა. და იმანაც განიმეორა თარჯიმანის ნათქვამი, როგორც უტყუარი ფაქტი, მაგრამ დაუმატა —დაწვრილებით ვერ მოვასწარი გამეგო, რათგან ძალიან მეჩქარებოდა ქუთაისიდან წამოსვლა, სადაც დიდი ჩოჩქოლი ჰქონდათ შემდგარიო. ეს ამბავი გუშინ მოხდა. მე კი გზაში შემიგვიანდა, რათგან ღამე ხონში ნათესავთან დავრჩი; დღეს დილით იქაც გავიგონე ეს ამბავიო. დაასრულა ვაჭარმა. და მე მაინც არ მინდოდა დამეჯერებინა. ვაჭარი გავაჩერევი და ვუბრძანევი ჩემთან ევლო, რომ ეს, შეიძლება, ყალბი ხმა არ გავრცელებულიყო, და თვითონ მე საჩქაროთ გავექანე ცხენისწყლისაკენ, სადაც იდგა ყაზახრუსთა პოსტი, იქიდან კი ქუთაისამდე 20 ვერსის მანძილი-ღა რჩებოდა. პოსტზე წერილი მივსწერე მორიგე შტაბ-ოფიცერს ბერტიე დელაგარდის და ვსთხოვე ეცნობებინა, ეს საშინელი ამბავი მართალი იყო თუ არა და თან დაწვრილებით შეეტყობინებინა ყველაფერი.

თავადი გაგარინი, როგორც უფროსი და როგორც ადამიანი, ყველასაგან დიდად პატივცემული იყო და ყველას მხურვალედ უყვარდა; ადამიანის სული და გული იყო. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეჰზარა გული ყველას ამ მისმა უბედურებამ. ყაზახრუსის გასტუმრებას შემდეგ, მე ისევ გორდში წამოვედი. 7

ვერსი მიკლდა მისვლას, ისე ბუბუას-ხიდთან უკვე დავრწუნდი, რომ ყველაფერი მართალი იყო. თურმე გაგარინის ბეუღლე სტუმრადა ყოფილა ეკატერინესთან გორდში, როცა ეს ამბავი იქ გაგარინის კანცელიარიის მმართველის იზიუმსკის ჩამოუტანია, და ორნივე— გაგარინის მეუღლე და ეკატერინე იზიუმსკისთან ერთად ქუთაისში გამოქანებულან, თვითონ ეკატერინე ოქტომბრის 23-ს იქიდან უნდა დაბრუნებულიყო. უნდა უეჭველად ბუბუას-ხიდზე გამოევლო და ამიტომ მე აქ დავრჩი და მის დაბრუნებას დავუწყევი ლოდინი.

ერთი-მეორეზე უფრო სერიოზული ამბავი საშინელის სისწრაფით ერთიმეორესა სცვლიდა. და ერთი ამბავი წინანდელ ამბავს მნიშვნელობას უკარგავდა. ის იყო, ზანაში ჩიქოვანების აჯანყება ჩააქრეს, ისე ეს ამბავი დედოფლის მიერ მიღებულმა ხელმწიფის რესკრიპტმა დაავიწყა ყველას, და როცა ეკატერინე სამეგრელოდან გასასვლელად ემზადებოდა, ამ დიდის ფაქტის მნიშვნელობა სრულებით დაჩრდილა ვიცე-გუბერნატორის საშინელმა კატასტროფამ. ამ საზარელის ფაქტის წინაშე ყველაფერი დადუმდა და თვითონ დედოფალს, მომხდარ ამბით თავზარდაცემულს, დაავიწყდა თავისი პირადი საქმეები, და უსიამოვნებანი და ქუთაისში გაქანდა... შუაღამეს კარგა გადასული იყო, როცა ეკატერინე კარეტით ბუბუას-ხიდს მოადგა; თან მოყვებოდა გაგარინთან მყოფი განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე მ. ი. რომანოვი. ეკატერინე მეტისმეტად დაღლილი და შეწუხებული იყო, მომესალმა და ამის თქმა-ღა მოახერხა:

— ღმერთო, რა ვნახე... რა ვნახე!.. თქმაც კი არ შემიძლია, რა საშინელება იყო... მაგრამ დაწვრილებით ბ. რომანოვი გიამბობსთ, მე-კი გორდში მიმეჩქარება. ხვალ გამოვდივარ. თქვენ ნულარ შესწუხდებით ჩემს წამოსაყვანად, აქ დარჩით... ხვალ შევხვდებით ერთმანეთს.

მოართვეს ცხენი და მცირე ამალის თანხლებით გორდისაკენ გაემართა.

როცა მე და რომანოვი მარტოკანი დავრჩით დუქანში, სადაც ღამეც უნდა გაგვეთია, მან დაწვრილებით მიამბო, როგორც მომხდარა ეს საშინელება, მე ამ ამბავს შემდეგს თავში მოვუთხრობ მკითხველს, აქ კი მხოლოდ ვიტყვი, რომ თავადი სატევრით დაჭრილი ყოფილა, ხელსა, გულსა და მუცელში; მისი გადარჩენის იმედი სრულებით არა ჰქონიათ. მოუკლავსთ თავადთან მყოფი განსაკუთრებითი საქმეთა მოხელე და მისი დიდი მეგობარი ნიკოლოზ პეტრესძე ილინი და თარჯიმანი თალხან არდიშვილი, დაეჭოათ თავადის მზარეუ-

ლი მაქსიმე და სამი სოლდადი სახაზო ბატალიონისა. და ყველაფერი ეს ერთ კაცს ჩაუდენია.

როცა რომანოვმა ამბის მბობა გაათავა, ჩვენ დიდხანს ვიყავით ჩუმათ, ისე გაგვთანგა ამ შემაძრწუნებელმა ფაქტმა... სიჩუმე ისევ რომანოვმა დაარღვია. ლაპარაკი ფრანგულად დამიწყო, ალბად იმისთვის, რომ მისი ნათქვამი ვერავის გაეგო, თუ ვინიცობაა ვინმე ყურს დაგვიგდებდა დუქნის თხელ კედლების მეორე მხრიდან.

— იცით, რამ უფრო შემზარა გული და ალმაშფოთა?—დაიწყო რომანოვმა:—დედოფლის ნათქვამმა კარეტაში, ქუთაისიდან რომ მოვდიოდით. წარმოიდგინეთ, მთელი გზა თითქო უხაროდა ეს ამბავი და გამარჯვებულივით იძახდა: ჩემი სამაგიერო გადაუხადეს, გაგარინს, ალბად, ღმერთმა მოჰკითხაო... ჩემის ბავშვების გაძარცვა უნდოდა... უპატრონო ქვრივი, ვინ იცის, სად უნდა გადამკარგონ! ნახავთ, თუ ბარიატინსკისაც შერჩეს ეს ამბავი, მაგისთვისაც მოიცლის ღმერთი! ვენაცვალე დადიშქელიანს! ის-ღა გამოგვექომაგა მე და ჩემს შვილებს... ახლა მაინც გაიგებენ, რომ მთავრები არც ისე ადვილი ხელწამოსაკრავები არიან, როგორცა ჰგონიათ... და სულ ამის მსგავსებს ლაპარაკობდა მთელის გზის განმავლობაში. მისმა ნალაპარაკევმა თავზარი დამცა... ჩემთვის უფრო საზარელი ის იყო, რომ ვფიქრობდი, იქნება ჭკუაზეშეშლილ ქალთან ვზივარ-მეთქი... ბოლოს, ქალი გაჩუმდა, მაგრამ ცოტას ხნით. ერთბაშად ცრემლის ღვარი წამოსკდა თვალთაგან და ისტერიკა დაემართა. კარეტა გავაჩერებინე, იქვე ახლოს წყარო ყოფილა და წყალი შევთავაზე. პირი დაიბანა, ცოტაოდენი მოსვა, ხელპირი გაიგრილა, ცოტათი დამშვიდდა, და ჩვენც განვაგრძეთ გზა. ამას შემდეგ ხმა არ ამოუღია...

ამ ნაამბობმა ძალაუნებურად დამაფიქრა. საცოდავს ეკატერინეს თავის სიცოცხლეში ბევრი მწარე წუთები გამოუვლია, და თავის შეკავება ყველას როდი შეუძლია...

თითქმის შემოგვათენდა, მე და რომანოვმა რომ დავიძინეთ.

მეორე დღეს საათის 9-ე, კოლუბიაკინმა გაგვაღვიძა, ისიც დედოფლის გასაცილებლად წამოსულიყო. ნაშუადღევს უკან დედოფალიც გამოჩნდა შვილებითა და ამალითურთ, ბუბუა-ხიდთან კარეტაში გადასხდენ და ყველანი გამოვემგზავრენით. საღამოს ორპირში ვიყავით და იქვე მოვიტანეთ მთელი ბარგი. ბავშვები მოგზაურობით დაღლილები იყვნენ და ადრევე დავაწვინეთ. მე და ის ლაპარაკს როგორღაც ვერ ვახერხებდით, თუმცა ის ყოველთვის ალერსიანად იყო ჩემთან. ქუთაისის ამბით ძალიან ვიყავით შეწუხებულნი

ბაასი სულ ერთისა და იმავე საგნის გარშემო ტრიალებდა. მალე შემოგველია სალაპარაკოც. ეკატერინეს ღამენებისა ვუსურვე და ჩვენს ჩვენს ოთახებისაკენ გავემართენით.

გათენდა ოქტომბრის 25, წასვლის დღე. რიონის ნავთსადგურში იდგა მშვენიერი სამთავრო სანდალი, ოდესღაც სტამბოლიდან მოტანილი და მის გვერდით იდგა კიდევ ორი სანდალი ეკატერინეს ბარგისა და მოსამსახურეთათვის. სახელდახელოთ ვისაუზმეთ და გამოთხოვების წამიც დადგა. გულისამაჩუყებელი სურათი იყო. აუარებელი ქალი და კაცი იდგა ჩიქოვანებისა, დედოფალს ხელებს და კაბის კალთას უკოცნიდენ. ყველა ქვითინებდა. ჩვენის ოფიციალურ მდგომარეობის მიუხედავად, მე და კოლუბიაკინსაც აგვიჩვილა გული მათმა ყურებამ. სხვადასხვა გარემოებით გამოწვეულმა შეხლა-შემოხლამ კნეინასთან ჩვენი კარგი ურთიერთობა შეარყია; მაგრამ მის გულწრფელ მწუხარებას გულგრილად ველარ ვუცქეროდით, როგორც მისი მახლობელი ადამიანები: და ჩვენს ოფიციალურს მდგომარეობას არ შეეძლო ჩვენი მისდამი კეთილი გრძნობა ჩვენში დაეხშო.

აჰა, ჩვენთანაც მოვიდა და ხმის ამოუღებლივ გულში ჩაეკრო ნ. კოლუბიაკინს:

— მაპატივეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძევ,.. მაპატივეთ და ნუღარ მოჰკითხავთ დამწუხრებულ, გაუბედურებულ ქალს...

ამ წუთას ეკატერინე მშვენიერი რამ იყო. გამოწრთობილ, მზემოკიდებულ და უკვე ხანშიშესულ სახეზე კოლუბიაკინს ცრემლი ჩამოუგორდა...

მერე დედოფალი ჩემთან მოვიდა, მეც მხურვალედ გადამეხვია, და სახე ცრემლებით დამილტო.

— მაპატივეთ, მაპატივეთ... ცუდათ არ მახსენოთ... ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენდამი ეს გახლავსთ: ჩიქოვანებს არაფერი მიწყენინოთ, მათი თავი თქვენთვის ჩამიბარებია... მართალია, თქვენ უკმეხად გეექცეოდენ, მაგრამ მე ერთგულად მემსახურებოდენ... ნუ გაუჯავრდებით, გეთაყვა.

უკვე სანდალში იჯდა, ისე რაღაც მოაგონდა და მიმიხმო.

— იცით, კიდევ რა უნდა გთხოვოთ? სალხინოში მშვენიერი ბოსტანი მაქვს, შიგ იშვიათი მწვანილი მითესია: ფეშქაშად მიირთვით ჩემს სახსოვრად.—სახლთუხუცესს ქართულად უბრძანა.

— ეს ჩემი ქრთამია ჩიქოვანებისათვის,— დაუმატა დედოფალმა ლიმილით *).

სანდლები დაიძრა. კიდევ დიდხანს ვიდექით ნაპირას; წამსვლელები ცხვირსახოცებს გვიქნევდენ, სანამ თვალთაგან არ მოგვეფარნენ...

—

მას აქეთ ოცდარვა წელმა განვლო. კარგა ხანია გასული და როცა მაშინ ნათამაშევ დრამის მთავარი ავტორთაგანი თითოოროლა-ღა არიან დარჩენილნი ცოცხლებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1857 წლის ოქტომბრის 25 სამეგრელოსათვის მეტად დიდის მნიშვნელობისა და ბედნიერ დღედ ჩაითვლება. დედოფლის წასვლა უკანასკნელი რგოლი იყო ამ ქვეყანაში მომხდარ გარდატეხისა; ფეოდალიზმის დაცვა არამც თუ არ შეიძლებოდა, არამედ დიდი დანაშაული იქნებოდა; ერთი მუჭა ხალხი, რომელსაც თავში ედგა დედოფალი, გაჯიქდა და არაფრის გულისთვის უნდოდა დაეთმო თავისი პრივილეგიური მდგომარეობა, ხოლო ეკატარინეს არ უნდოდა ხელი აეღო დედოფლის ფიქტიურ წოდებაზე, და ერთმა ღმერთმა უწყის, ყოველივე ეს რით შეიძლებოდა გათავებულიყო, რომ ხელმწიფე არ ჩარეულიყო და კეთილსაჩინო საბაბით პეტერბურგში არ გაეწვიათ ეკატერინე. ხელმწიფის გულმხურვალე თანაგრძნობამ და წყალობამ ეკატერინეს დაავიწყა გრძელი ზოლი განვლილ უსიამოვნებისა და შფოთისა; მისი ქონებრივი საქმეები მოწყობილი იყო და მას შემდეგ 25 წელიწადი მშვიდობიანად და ბედნიერად გაატარა. ამ ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში მთელი წლები გაატარა პეტერბურგსა თუ საზღვარგარეთ, ბოლოს დაბრუნდა სამეგრელოში და უკანასკნელ ხანს, როგორც უბრალო მემამულე, ცხოვრობდა ზუგდიდში, სადაც გაიშენა ახალი, ლამაზ არქიტექტურის სასახლე. გრიგოლს სულ შეურიგდა, სულმუდამ ჰპატიჟობდა თავისთან და უიმისოდ მოეწყინებოდა ხოლმე. ხუმრობდენ, ოხუნჯობდენ და უმეტესად წარსულის მოგონებაში ატარებდენ დროს; გულიანად ეცინებოდათ, რომ მოაგონდებოდათ თავიანთი წარსული ერთმანერთთან შეტაკებანი, რასაც თვით გრიგოლის გადასახლება მოჰყვა კიდეც. ყოველივე ეს დიდი ხნის ამბავი იყო, და როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სამწუხარო ამბავი სამხიარულოდ იყო გადაქცეული.

---

*) ამ ქრთამით ვეღარ ვისარგებლე; ბოსტანისათვის აბა სადა მცალოდა, როცა ხანძარი ჯერ კიდევ ჩაუქრობელი იყო.

1882 წელს ეკატერინე გარდაიცვალა, 66 წლისა, გულის ავადმყოფობისაგან, შვილებითა და შვილიშვილებით გარშემოხვეული. დასაფლავებულია მარტვილის მონასტერში, თავის ქმრის გვერდით.

მაგრამ ჩვენ მეტად წინ გავუსწარით და მოდით, ისევ დავუბრუნდეთ იმ ეპოქას, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს მოგონებას, და ამ თავის დასასრულს ვსთქვათ, რომ ეკატერინეს მაშინდელი წასვლა სამეგრელოდან შეიქმნა დასაწყისად აქ ქვეყნის უფლებრივ და დაწესებულებრივ შედუღებისა ძირითად იმპერიასთან.

და რათგან ეკატერინეს წასვლასთან ერთად მოხდა ქუთაისის კატასტროფა, რომელსაც მეტად მძიმე შედეგი მოჰყვა მეზობელ სვანეთის სამთავროსათვის, და რათგან თუ ეს (ე. ი. გაგარინის მოკვლა) არ მოვიხსენიეთ, ჩვენი მოგონება სრული არ იქნება, შემდეგს თავს ამის აღწერას ვუძღვნით.

თავი მეშვიდე

სვანეთის სამთავროს გაუქმება

ოროგრაფიული მიმოხილვა სვანეთისა.—ისტორია მთავარ დადეშქელიანის გვარისა.—მცირეწლოვანი მთავარი კონსტანტინე.—ჩვენი პირველი ეკსკურსია სვანეთში თავად ვორონცოვის დროს, პოლკის უფროსის ბარტოლომეის მიერ შესრულებული.—მღვდელი ქუთათელაძე.—სვანეთის ეტნოგრაფია.—ყალბი მდგომარეობა კონსტანტინესი, რომელიც ცხოვრობდა ორ მტრად გადაკიდებულ მეზობელს შორის: სამეგრელოს მთავრის დავითსა და აფხაზეთის მთავარ მიხეილს შორის.—ორისავ დახასიათება.—საბალახოს საქმე.—გრაფ გალატერის კომისია.—ყირიმის ომი.—დედოფალ ეკატერინე დადიანისა და კონსტანტინეს ჩხუბი.—გორდში ეკატერინესთან მისვლა კონსტანტინეს მტრის ჯამსუხისა, რომელსაც დედოფალი იშვილებს.—ჯამსუხის მოკვლა.—ომერ-ფაშის შემოსევა ამ საქმის გამოძიებას შეაჩერებს.—ომის დროს ორგულობა კონსტანტინესი და მისის ძმის ალექსანდრესი.—ომს შემდეგ თავ. ბარიატინსკის დანიშვნა ახალ მეფის-ნაცვლად.—მისი დახასიათება.—თავადი ა. ი. გაგარინი; მისი დახასიათება.—მისი შტაბის უფროსი, ბარონი ი. კ. უსლარი.—სვანეთის საქმე ჯერ ში დგას.—უსლარი შეთხზავს სვანეთში გალაშქრების საჭიროებას. მას ნიშნავენ რაზმის უფროსად და ისიც მიდის სვანეთში.—კონსტანტინე და ალექსანდრე ქუთაისში ჩამოდიან.—გაგარინი გაჭირებაში ჩავარდება.—უსლარი გაჭირვებულ მდგომარეობას თავს დააღწევს.—ალექსანდრე აღმოსავლეთ ციმბირშია გაგზავნილი სამსახურში, ხოლო კონსტანტინე ტფილისში გაუგზავნეს თავად ბარიატინსკის.—კონსტანტინე ტფილისიდან ჰბრუნდება ბარტოლომეისთან ერთად.—დახასიათება პოლკის უფროს ი. ა. ბარტოლომეისა.—კონსტანტინეს, ეტყობა, გული მოსდის.—ბარიატინსკი განკარგულებას გასცემს კონსტანტინე ერევანში გადაასახლონ.—გაგარინი პირადად გამოუცხადებს მეფისნაცვლის ამ სურვილს; კონსტანტინე სასიკვდილოდ დასჭრის.—გაგარინის გარდაცვალება.—დადეშქელიანის სიკვდილით დასჯა.

1.

რომ ავუხსნათ იმ მკითხველებს, ვინც კავკასიას არ იცნობენ, შინაარსი იმ სავალალო დრამისა, რომელიც მოხდა 1857 წლის ოქტომბრის 22 ქ. ქუთაისშ ი გენერალ-გუბერნატორს თავად გაგარინსა

და სვანეთის მთავარს კონსტანტინე დადეშქელიანს შორის, საჭიროდა ვთვლით მოკლეთ გაგაცნოთ თვით სვანეთი, სადაც იმყოფებოდა ამ დრამის კვანძი.

ქართული სახელი სვანეთი ანუ სავანე, რაიც ნიშნავს თავშესაფარს, ამ მიუვალ მთის მხარეს, რომელიც ზედ ეკვრის ბალბუზის სამხრეთ კალთებს, ალბათ იმიტომ დაერქვა, რომ ძველად, კავკასიის გაუწყნარებელის შიშიანობის დროს, აქეთ მორბოდენ და თავს იფარავდენ ყველანი შეუბრალებელ და ძლიერ მტრის შემოსევისა და დევნისაგან, ხოლო, ხალხის გადმოცემას თუ დავუჯერებთ, თამარ მეფე აქ ჰმალავდა თავისს განძსაო.

შიგნითა სვანეთი სამ ნაწილადაა დაყოფილი: თავისუფალი, სადადეშქელიანო და სადადიანოდ; მას თავიდან ბოლომდე გაუვლის ორი დიდი მდინარე—ინგური და ცხენისწყალი, რომელთაც სათავე ფაზის მთაში აქვსთ, ორისავ მდინარის სათავე თავისუფალ სვანეთშია, მერე სხვადასხვა მხარეს მიედინებიან: ინგური მიდის ჩრდილოეთ-დასავლეთით სადადეშქელიანო სვანეთზე, ხოლო ცხენისწყალი სამხრეთ-დასავლეთით მიდის სადადიანო სვანეთზე; გზაზე უკეთდებათ ღრმა და ფართე ხევები და გამოდიან სამეგრელოს ვაკეებზე,—პირველი—სოფელ ჯვართან, ხოლო მეორე—ციხე მურთან.

სვანეთს, თითქოს დაცინვით დარქმევია **თავისუფალი**. აქ ჰავა მეტად სუსხიანია, მიწის მოსავალი თითქმის არაფერი მოდის და კაცი მიუდგება წელიწადში მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, როცა მისი გასასვლელები თოვლით არ არის დაფარული. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, **დამონებული** რქმეოდა. და მართლაც, სავსებით, დამოკიდებულია თავის მეზობლებზე, რომლებიც, თუ უნდათ, შიგ ჩაჰკეტავენ და არსად გამოუშვებენ აქაურ მცხოვრებთ, რომლებიც შესდგებიან თორმეტ ცალცალკე საზოგადოებისაგან და გაფანტულნი არიან ღრმა მთის ხევებში. ამბობენ, რომ ერთს ამ საზოგადოებათაგანს ამ ქვეყნის სხვა ნაწილებთან მისვლა-მოსვლა შეეძლო მხოლოდ თოკებითაო, თოკს წვერზე კალათს მოაბამდენ, შიგ კაცი ჩაჯდებოდა და ჭოჭონაქით ძირს ჩაუშვებდენ თურმე. თავისუფალ სვანეთიდან გამოსავალი გზა სულ სამია: ერთი სადადეშქელიანოდან, მეორე—სადადიანოდან და მესამე მთავარ უღელტეხილზე—ყარაჩაში მიმავალი.

სადადეშქელიანო სვანეთი თავისუფალ სვანეთს ქვემოთაა და იწყება მთების საძოვრებით, დაეშვება ხეობებით და ძიაღწევს იმ ზოლამდე, სადაც სიმინდი მოჰყავთ. ასეთსავე ფიზიკურს მდგომარეობაში იმყოფება სადადიანო სვანეთიც, რომელსაც სხვა გასავალი

არა აქვს, თუ არა სამეგრელოში, რის გამო სრულს დადიანების დამოკიდებულებაში უნდა მოქცეულიყო. სადადეშქელიანო სვანეთი ასეთს დამოუკიდებლობას მხოლოთ იმით გადაურჩა, რომ ბუნებამ გზა გაუხსნა, ინგურის ხეობას გარდა, დალისა და წებელდის ხეობით აფხაზეთში. დადეშქელიანები, რომელნიც შამხალ ტარკოვსკისაგან მომდინარეობენ, აქ დამოუკიდებელ მთავრებად გამხდარიყვნენ. ხალხის გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ადგილებზე, საცა ახლა თავისუფალ სვანეთის 12 საზოგადოება სცხოვრობს, წინათ თავად დადეშქელიანების ვასალები სცხოვრობდენო; მაგრამ ერთხელ აჯანყებულან და თავისი მთავარი მოუკლავთ, რის გულისთვის მოკლულის შვილებს სულ ეროიანად ამოუჟლეტიათ. რაკი ხალხისაგან დაუცარიელებიათ, დადეშქელიანებს ამ ადგილისათვის თავისუფალი უწოდებიათ იმ აზრით, რომ ზედ მცხოვრები ერთიც არ მოიპოვებოდა და არც უნდოდათ ვინმე ხელახლა დასახლებულიყო. მაგრამ დროჟამი რომ გასულა, ამ მივარდნილ მთის ღადა-ღუდეში ისევ გაჩენილან ახალმოსულები—კავკასიის ყველა ადგილებიდან გამოქცეული და თავზე ხელაღებული ხალხი, დასახლებულან თავმინებებულ და ბუდეების მსგავს კოშკებში, და შეუდგენიათ სწორეთ ის თორმეტი საზოგადოება თავისუფალ სვანეთისა.

როცა კაცი ახლო გაეცნობა ამ კუთხის ველურების ყოფაცხოვრებას, ამ გადმოცემაში, ცოტა არ იყოს, სიმართლის ნიშან-წყალს დაინახავს. ყოველ კოშკის პატრონი თავის თავს მთელს ქვეყანაზე ყველაზე მეტადა სთვლის და არავის ემორჩილება და თუ ვისთანმე შეტაკება მოუვა, იარაღს გადააწყვეტინებს საქმეს. ამიტომ ყოველი მათგანი სისხლის აღებასა სცდილობს. ამ კოშკების პატრონები თავს ერთად მაშინ-ღა მოიყრიან, როცა ერთობრივის ძალით ვინმე უნდა გაძარცვონ. რო გაძარცვავენ, ნადავლს გაიყოფენ და ყველანი თავთავიანთვის წავლენ-წამოვლენ ერთის სიტყვით, პირველყოფილი ავაზაკების ორგანიზაციაა.

მაგრამ ასე იყო, თუ ისე, ჩვენ ამ მხარეს ასეთს მდგომარეობაში მყოფს მოვესწარით ამ მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა მთავარი სადადეშქელიანო სვანეთისა, თენგიზ დადიშქელიანი, დადიანისა და შერვაშიძის შემდეგ, რუსეთის ქვეშევრდომი გახდა და მათსებ რუსეთის იმპერატორისაგან ინვენსტიტურა (ხარისხი მთავრისა) მიიღო, ამ სამ, ჩვენთვის ერთსა და იმავე დროს შემოერთებულ სამფლობელოში დავინახეთ თითქმის ანალოგიური საერთმანეთშორისო უთანხმოება მთავრის გვარეულობის წევრთა შორის. აფხაზეთში მთავარ სეფერ-ბეის მტრად ჰყავდა გადაკიდებული ჰასან-

ბეი; სამეგრელოში ლევანს—გიორგი; სადადეშქელიანო სვანეთში თენგიზს—თათარხანი, და ამ მტრობის შინაარსი იგივე იყო, როგორიც იყო ბიბლიური შუღლი ისაკისა და იაკობისა პირმშოობისათვის: უმრწემესი ძმა ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, უფროსის ძმის ადგილი დაეჭირნა. აფხაზეთსა და სამეგრელოში, სადაც შედარებით მეტი ცივილიზაცია იყო, ამ შუღლს ისეთი უხეში ხასიათი არა ჰქონდა და აქ ათასში ერთხელ თუ მიმართავდენ საწამლავსა და სატევარს: ხოლო ისეთს პირველყოფილ მხარეში, როგორიც იყო სვანეთი, ბრძოლამ სისხლის აღების ხასიათი მიიღო და მთავრის გვარეულობის წევრები თუ ერთმანეთს მოჰკლავდენ, მოკლულის ნათესავები ცდილობდენ ვალი გადაეხადნათ სისხლისაღებით და ერთმანერთს ჯერითა სწყვეტდენ.

თენგიზის შვილი ციოხი (მიხეილი) ტფილისში ნამყოფია. თავისს მილიციას მეთაურობდა და განსაკუთრებულის გამოჩინებით ღებულობდა მონაწილეობას ჯიქებისა და შაფსუღების წინააღმდეგ; მეტად კეთილგონიერი კაცი იყო და, როგორც ასეთს, მეტად ემძიმებოდა, როგორც ჩვეულება სისხლისაღებისა, ისე განუწყვეტელი ჩხუბი და დავიდარაბა თავისს მეზობლებთან მის საკუთარ საძოვრების გამო. ამ საძოვრებზე თითქმის ყოველწელიწადს ხდებოდა შეტაკება: მეგრელები, აფხაზები და წებელდელები ამ საძოვრებზე ჰგზავნიდენ თავიანთს ცხვარს და ცდილობდენ უსასყიდლოთ ეძოვებინათ, ხოლო თავისუფალი სვანები, რომელთაც ცხვარი არ ჰყავდათ, აქ საძარცვავად და ცხვრების თავიანთსა გასარეკად მოდიოდენ. საჭირო იყო სხვის ცხვარის ძოვებისათვის საბალახო მოეკრიფნა და იმავე დროს თავდან აეცილებინა თავისუფალ სვანების მხრივ თავდასხმა და დარბევა. ციოხი მოჰღალა ამ დავიდარაბამ და ასეთის საქმის მართვის სიძნელემ და რუსის მთავრობას, თვითონ შეაძლია თავისი სამთავრო და სთხოვა რუსის მართვა-გამგეობა შემოეღოთ. უკვე მოლაპარაკება გაიმართა მასთან იმაზე, თუ რამდენი და როგორ მიეღო ციოხს სამაგიერო სასყიდელი სამთავრო უფლებათა დათმობისათვის. მაგრამ ეს მოლაპარაკება ვერც-კი დაემთავრებინა, ისე 1842 წ., ჯერ სულ ახალგაზრდა კაცი, გადაიცვალა და თავისს დედას დიგორხანს ხელში ჩაუტოვა თავისი ხუთი მცირეწლოვანი ვაჟი: კონსტანტინე (მურზაყანი), ალექსანდრე (ისლამი), თენგიზი (ნიკოლოზი) და ციოხი (მიხაილი). სულ უფროსსა, მომავალს მთავარს, კონსტანტინეს, მაშინ 14 წელიწადი შეუსრულდა.

მთავრის საცხოვრებელი ადგილი იყო გამაგრებული კოშკი ფარი; მაგრამ რათგან ციოხის სიკვდილს შემდეგ აქ შავი ყვავილი

გაჩენილა, ბებიას თავისი შვილისშვილები სამეგრელოს მოსაზღვრე სოფელ ხუდონში გაეგზავნა, თვითონ კი კოშკში დარჩენილა. ბავშვების გახიზნვა არ სცოდნია ოთარ დადეშქელიანს, თათარხანის მტრადგადაკიდებულ შთამომავალის წარმომადგენელს, რომელსაც თათარხანის სისხლი მართებია და გადაუწყვეტია ერთბაშად მოეღო ბოლო მთავრის მთელ ოჯახისათვის, თან წაუყვანია თავისი შვილი ჯამსუხი და თავისი კაცები და დასცემია კოშკს. დიგორხანისათვის ეს ამბავი მოულოდნელი იყო და თავის კაცების საშუალებით დიდხანს ებრძოდა თურმე მოსეულთ, მაგრამ ვერას გამხდარა; კოშკისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ და მოხუცებული ქალი ცეცხლში გამომწვარა.

ოთარი დაეუფლა კოშკს და რვა თთვის განმავლობაში თარეშობდა, სანამ მცირეწლოვანებმა კონსტანტინემა და ალექსანდრემ თავიანთ ერთგულ კაცების საშუალებით იქიდან არ გამოაძევეს.

რა მონაწილეობა მიიღო მთავრობამ ამ სისხლის ღვრაში, არ ვიცით და მხოლოდ ის შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს მონაწილეობა მეტად ზერელე უნდა ყოფილიყო, ამიტომ რომ ოთარისა და მის შვილ ჯამსუხისათვის ხელი არავის უხლია; შეიძლება ესენი დროებით მეზობელ შფოთიან დალში იმალებოდენ, მხოლოდ აღარც მათის ქონების კონფისკაციის შესახებ ისმოდა რამე. მთავრობის მონაწილეობა მთავრის ოჯახის ყურისგდების საქმეში იმით-ღა გამოიხატა, რომ მეორე ვაჟი განსვენებულ მთავრისა პეტერბურგში წაიყვანეს და სათავად-აზნაურო პოლკში მიაბარეს.

თვითონ მცირეწლოვან მთავარს კონსტანტინეს ყველანი დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდენ. დედოფალი ეკატერინე დადიანისა და მისი დაჲ ნინო გრიბოედოვისა ძალიან ეფერებოდენ, როცა კონსტანტინე ზუგდიდში იყო ხოლმე, ასწავლიდენ ცეკვას, რუსულ წერა-კითხვასა და ლაპარაკს, ყველასა სთხოვდენ მის შესახებ ტფილისში, სადაც თვითონაც დადიოდა თავის საქმეების გამო. ვორონცოვი, 1845 წელს მეფისნაცვლად დანიშნული, ტკბილად დაუხვდა ახალგაზდა კაცს, და დაჰპირდა, სრულიწლოვანი რომ გახდებით, ხელმწიფის წინაშე ვიშუამდგომლებ მთავრის უფლებანი მოგანიჭოსო; ვორონცოვის მეუღლე და გრაფის შუაზელის მეუღლე მეტის-მეტს თანაგრძნობას უცხადებდენ როგორც ობოლს, ებრალებოდათ მისი ტრაგიკულათ გადაცვლილი ბებია, გამოჰკითხავდენ ყველაფერს დაწვრილებით, ეფერებოდენ.

მაგრამ იმავე დროს ტფილისში ჩამოსულმა სვანეთის თავისუფალ საზოგადოებათა დეპუტატებმა ამაზე მეტი ეფექტი მოახდი-

ნეს და იმათ განსაკუთრებულის ყურადღებით და თანაგრძნობით მოეკიდნენ. აქამდე სრულებით უცნობის მხარის მცხოვრებნი, რომლებზედაც ათასნაირი ლეგენდარული ხმები დადიოდა საზოგადოებაში, დადიანებსა და დადეშქელიანებს უჩიოდენ,—არ გვასვენებენ, ათასნაირად სულსა გვხდიან და გთხოვთ რუსეთის ქვეშევრდომებად მიგვიღოთო. ასეთი ფაქტი მაშინ მოულოდნელი იყო, კავკასიაში მაშინ ხშირათ არ გვიმარჯვდებოდა, და თუმცა ჩვენს გაზეთებში, მართა-

თავ. მიხ. სიმ. ვორონცოვი
მეფისნაცვალი კავკასიისა

ლია, გრძელი წერილები იბეჭდებოდა, ამ წერილებიდანა სჩანდა, ვითომც აქ მოუსვენარ მთიელების ურდოებსა ვფანტავდით, მათს აულებს ცეცხლს ვუკიდებდით, ჩვენს ჯარს ზარალი თითქმის სულ არა ჰქონდა, და ვითომც აჯანყებულებს კი აუარებელს ხალხს ვუხოცავდით, მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდიოდა და შამილი თავის მიურიდებითურთ გულოვნობდა დაღესტანში. ამიტომ ამბავი იმაზე

რომ თორმეტი თავისუფალი საზოგადოება, რომელთაც აქამდე ბატონად არავინა ჰყოლიათ, ახლა თავის ნებით რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობას თხოულობდა, განსაკუთრებით უნდა გახარებოდა რუსეთის მკითხველ საზოგადოებას. უეჭველია, ვინც ამას წაიკითხავდა, ბევრი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ასეთ ამბავს შემდეგ შამილს შავი დღე დაადგებოდა, ხოლო მოსკოვის ინგლისურ კლუბში, ალბათ, ცხარე ბაასი იქნებოდა ორგვარის ხასიათისა: ზოგ-

ა. პ. ერმოლოვი
კავკასიის მთავარმართებელი

ნი იძახდენ—აქამდე უნდა დაგვენიშნა კავკასიაში ვორონცოვი და ყველაფერი გათავებული იქმნებოდაო, ხოლო ზოგნი კიდევ მაინც იმ აზრისანი იყვნენ, რომ თუ ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი არ იქნა, ვერას გავხდებითო... ერთის სიტყვით, მაშინ თავისუფალ სვანეთიდან დეპუტაციის ჩამოსვლამ დიდი ეფექტი მოახდინა და უკან ჩამოაყენა ყველა საქმეები დადეშქელიანებისა. ვორონცოვმა თავისუფალ სვანეთში პოლკის უფროსი ბარტოლომეი გაგზავნა.

ბარტოლომეი კოლუმბი იყო კავკასიის ამ ლაპლანდიისათვის. პროფესიით არქეოლოგოსმა და ნუმიზმატმა აქ დიდძალი მასალა აღმოაჩინა და შეადგინა მეტად საინტერესო აღწერილობა საეტნოგრაფიო და საარქეოლოგიო მხრით. მისი სტატია დაბეჭდილი იყო ორმოციან წლებში საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყო-

ი. ა. ბარტოლომეი
არქეოლოგოსი და ნუმიზმატი

ფილების ჟურნალში. თავისუფალ სვანეთის იმ საზოგადოებებში, რომლებიც ბარტოლომეიმ აღწერა, მას საუკეთესო გზისმაჩვენებლადა ჰყავდა მღვდელი ქუთათელაძე. ეს მღვდელი პირველი მისიონერი იყო აქ და იმდენიც მოახერხა, რომ ქრისტიანობა აღადგინა პირვანდელის თვისის სიწმინდით. ქრისტიანობა აქ ჩვენის წელთ-

აღრიცხვის პირველ საუკუნეებში შემოვიდა და მის აყვავებულ მდგომარეობას გვიმტკიცებენ ძველ ეკლესიების ნანგრევნი. თამარ მეფე აქ თურმე ხშირად მოდიოდა და ეს ეკლესიებიც მის ნაშენებებად ითვლება.

2

ისტორიულმა ქარტეხილებმა სვანეთი დიდისხნით მოსწყვიტა დანარჩენს საქრისტიანო ქვეყნებთან ურთიერთობას, და ამიტომ წერა-კითხვის კვალი და საეკლესიო წიგნები ცოტ-ცოტათი გაჰქრა, მღვდლები მოისპო და ეკლესიებში შეუძლებელი შეიქმნა საიდუმლოების და ღვთისმსახურების შესრულება. დეკანოზები, წინანდელ მღვდლების შთამომავალნი, ზეპირად გადმოცემით იცავდენ ლოცვებსა და საეკლესიო წესებს, რომლებიც მეტად დამახინჯდა დროთა მსვლელობაში. ამ ლოცვებისა და წესების საშუალებით ხალხში დარჩენილი იყო შეგნება იმისა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან უნდა აღედგინათ მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაწყვეტილი კავშირი. ამიტომ, როცა აქ ქუთათელაძე გამოჩნდა, სვანები ისე დაუხვდენ, როგორც მოციქულს და დეკანოზები დიდის სიხარულით გაუხდენ მოწაფეებად. ქუთათელაძემვე ჩააგონა ამ საზოგადოებათ ხელი აეღოთ მათში არსებულ ბარბაროსულ ჩვეულებაზე—ახალდაბადებულთა დედათა სქესის ბავშვების ხოცვაზე.

ბარტოლომეის ალაგობრივე ესმოდა საჩივრები აქაურებისა მეზობელ მთავრების მიერ მოყენებულ შეწუხების გამო, და, მისის აზრით, ხელმწიფის ახალ ქვეშევრდომებისათვის საჭირო იყო, მათის ინტერესების დასაფარავად, აქ დაარსებულიყო თანამდებობა განსაკუთრებულის ბოქაულისა. ამის შესახებ კავკასიის მთავრობას კიდეც მოსწერა, მთავრობამაც მისი შუამდგომლობა შეიწყნარა და მალე დანიშნა აქ ბოქაული.

ჩვენ სრულებითაც არა გვსურს კნინ-ღა დავამციროთ მეტად დიდი მნიშვნელობა პატივცემულ დეკანოზ ქუთათელაძის ღვაწლისა, რომელმაც მართლა რომ დიდი შრომა გასწია ეკლესიის სასარგებლოდ და ქრისტეანობის აღსადგენად სვანეთში. მანვე იფიქრა ფიქრი კეთილი—სვანების თავისუფალ საზოგადოებათაგან დეპუტაციის გამოგზავნა და ათხოვნინა რუსეთის ქვეშევრდომებად მიგვიღეთო,—ყოველივე ეს კარგი და პატიოსანი იყო, მხოლოდ ჭეშმარიტებაზე შორს იქნებოდა იმის თქმა, ვითომც ეს საზოგადოებანი მეზობელ მთავრების ძალმომრეობის მსხვერპლნი ყოფილიყვნენ. ჩვენ განაგონს არ მოგახსენებთ, ჩვენ თვითონ გახლდით ამ ადგილებში, რაც ჩვენ იქა ვნახეთ საკუთარის თვალით და აქაურის ნანახის შესახებ რაც

შთაბეჭდილება მივიღეთ, ეს შთაბეჭდილებანი შევამოწმეთ იმ პირთა ჭკვიანურ მოსაზრებითა, ვინც აგრეთვე არაერთხელ ყოფილა სვანეთის თავისუფალ საზოგადოებაში, და ნებას მივსცემთ ჩვენს. თავს გავუკეთოთ შემდეგი დახასიათება.

წარმოიდგინეთ ადამიანები, რომელნიც სამ ათასამდე-ღა თუ იქნებიან. ესენი დასახლებულან ისეთ ადგილას, რომელსაც აქვს ყუთის სახე. ეს ყუთი წელიწადში სამ თვესაა გახსნილი და წლის დანარჩენ დროს განმავლობაში გერმეტულად დახშულია. ჭვავის მეტი აქ არაფერი ხარობს, ისიც ზოგჯერ დამწიფებასაც ვერ ასწრებს; ჭვავისას მყრალ არაყსა ხდიან. სამის თთვის განმავლობაშიაც მთები ბალახით იფარება, რომლითაც იკვებება ცხვარი და საქონელი, ამას გარდა არის ცოტაოდენი თაფლი, ნადირი, მელიები, სხვა დასხვა პატარა მხეცები. ეგ არის და ეგ, ამის მეტი ღვთის განაჩენი არაფერი მოიპოვება.

სამი თვე რომ გაივლის, ყუთი დაიხურება, ე. ი. თოვლი ყველასფერს დაჰფარავს და ადამიანებმა თუ ვერ მოასწრეს 9 თთვის სამყოფის მომარაგება, ძალაუნებურად უარეს დღეში იქნებიან, ვიდრე ციხეში გარემოცულები და შიმშილისაგან ღანღალაგამოლეულები; ციხეში მყოფთ კიდევ შეუძლიათ მტრისაკენ გამოიქცნენ, აქ კი ვერსად გამოიქცევი. მაშასადამე, თუ მარაგი არ არის, ისე ცხოვრება არ შეიძლება, ხოლო მარაგი საიდან-ღა უნდა იშოვნონ, თუ არ მეზობლებისაგან, და ამასთან მეზობლისაგან აღებულში სამაგიეროს არაფერს აძლევენ, რათგან მისაცემიც თავისი. არაფერი გააჩნიათ. ამის შემდეგ მეზობლებს როგორ-ღა გამოართვან, თუ არ. ძალვით და ძალით. თავისუფალ სვანეთის მცხოვრებთ რაც გნებავსთ, ის სანტიმენტალური სახელი უწოდეთ, ეს მაინც არ მოაშლევინებს თავიანთს მტაცებლურს ხასიათს, და მათის მტაცებლობის მსხვერპლნი არიან: ყარაჩა, სამეგრელო და სადადეშქელიანო სვანეთი.

ბარტოლომეის პირველ ეკსკურსიის შემდეგ ჩვენ სვანეთში მოვაწყეთ თითქმის ხუთი არამც თუ ექსკურსია, არამედ სამხედრო ექსპედიცია, და თუ შევაჯამებთ იმ ხარჯს, რაც ამ ექსპედიციებისათვის გაგვიწევია, და მეზობლებისაგან მოტაცებულისა და თავისუფალ სვანების მიერ მოხმარებულის ღირებულებას, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გაცილებით უფრო იაფად დაგვიჯდებოდა ყველა სამ ათას თავისუფალ სვანისათვის გვეყიდნა ერთი დიდი სახლი, შიგ ჩაგვესახლებინა და იმდენი სურსათი მოგვემარაგებინა, რომ მთელ თავისს სიცოცხლეში ჰყოფნოდათ.

ჩვენ ჩვენს თავს ნებას მივსცემთ, ცოტა წინ გავუსწროთ ჩვენს ამბავს და მკითხველს გავაცნოთ დასასრული 1859 წლის ეკსპედიციისა, რომელსაც მეთაურობდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავ. გ. რ. ერისთავი.

უცნაური კი იყო ეს დასასრული.

როცა თავისუფალი სვანები სამხედრო ძალით იყვნენ იძულებულნი მეზობლებისაგან წართმეული ეზღოთ ფულით, ნივთებით და საერთოდ ყველაფრით, რითაც შეეძლოთ, და ისიც სრულად არა, თავად ერისთავმა მრისხანისა და ენერგიულის სიტყვებით მიმართა ამ სვანებს; სვანებიც დიდის გულისყურით უსმენდენ და როცა ერისთავმა, რაც სათქმელი ჰქონდა, უთხრა, ყველამ დაიჩოქა.

— რათ დაიჩოქეთ?—ჰკითხა სვანებს:—რა გაქვსთ სათქმელი?

ესენი სძარცვავდენ, ახლა აიძულეს მხოლოდ ნაწილი ეზღოთ მოტაცებულისა, ამას ესენი განსაკუთრებულ დამსახურებადა სთვლიდნენ და ამიტომ არყის დასალევი ფული სთხოვეს გენერალს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გააოცა ერისთავი ამ უპასუხისმგებლო ხალხის თხოვნამ!..

ჩვენს ნათქვამში გადაჭარბებული არაფერია და ჩვენ აქ ჩვენი აზრი ამ მხარის შესახებ იმიტომ გამოვსთქვით, რომ გავაქარწყლოთ ის უსწორო, სანტიმენტალური მოპყრობა, როგორითაც ამ მხარეს ეპყრობოდენ. და სწორეთ ასეთის მოპყრობის შედეგი იყო, რაც სამწუხარო ამბავი დატრიალდა.

ბარტოლომეის ეკსკურსიის შემდეგ, რამდენსამე წელს უკან, თავისუფალ სვანეთში გაემგზავრა ეკსკურსია ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის, მიხეილ პეტრეს ძის კოლუბიაკინისა; ამ ეკსკურსიას აზრადა ჰქონდა გამოეძებნა საუკეთესო საშუალებანი დასამყარებლად უშუალო ურთიერთობისა ამ ახლად შემოერთებულ მხარისა ცენტრალურ მართვა-გამგეობასთან. კოლუბიაკინს არაფერი აწერილობა დაუტოვებია ამ ეკსკურსიისა, მე მხოლოდ მიამბობდა მეტად სასაცილო და მისთვის არც თუ ისე სასიამოვნო ეპიზოდების მთელ სერიას. სხვათა შორის, რომელიღაც საზოგადოებას თურმე მისი გატარება არ უნდოდა იმიტომ, რომ მას მამასახლისისათვის აბრეშუმის ხელსახოცი უჩუქებია; კოლუბიაკინს ამნაირივე ხელსახოცები სხვებისათვისაც უჩუქებია მთელი დიუჟინი, და ვიცე-გუბერნატორი მაშინ-ღა გაუტარებიათ, თორემ უამისოთ საქმე ცუდათ იქნებოდა; მეორე საზოგადოებაში სამგზავრო ხურჯინიდან მთელი შაქარი ამოუცლიათ და მერე გენერალი იძულებული გამხდარა ჩაი უშაქროდ ესვა. კოლუბიაკინს მისდევდა, როგორც ტურისტი, გრაფი. როზ-

მურდუკი. როგორც ფრანგს, ლაყბობა უყვარდა და სერიოზულად ამტკიცებდა, რომ თავისუფალი სვანები უეჭველად ჯვაროსნების ჩამომავალნი უნდა იყვნენ, ამიტომ რომ მათი სიმღერები ძალიან მოჰგავენ მის სამშობლო ბრეტანის სიმღერებსაო; ერთი მათგანი განსაკუთრებით მოაგონებდა ბრეტანულ სიმღერას: Oh! Richard, oh! mon roi!..

და სანამ ჩვენ თავგამოდებით ვზრუნავდით თავისუფალ სვანეთის მცხოვრებთათვის ფანჯარა გამოგვეჭრა, კონსტანტინე დადეშქელიანმა, უკვე სრულწლოვანმა, ცოლად შეირთო ქალი თავადის ასულის კესარია შარვაშიძისა *), ადილხანი, მასვე დაუმტკიცეს თავისი მემკვიდრეობითი უფლებები და თავის სამთავროს ბატონ-პატრონად გახდა.

რაკი, ამგვარად მთავრობა დაინტერესებული იყო თავისუფალ სვანეთის მოწყობის საქმეში, იმ სვანეთის, რომელიც, ამ მთავრობის აზრით, შევიწროებული იყო დადეშქელიანების მიერ, იმაზე ადვილი რაღა იქნებოდა—აეღო მთავრობას და განეახლებინა კითხვა ავტონომიურ სადადეშქელიანო სვანეთის გაუქმებისა, მით უფრო რომ ეს კითხვა თვით განსვენებულ მთავარ ციოხის მიერ იყო აღძრული; მაშინ აქ შემოღებული რუსის მმართველობა უფრო ადვილათ გადავიდოდა თავისუფალ საზოგადოებებზედაც. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროთ, ისეა ხოლმე, რომ სულმუდამ ვიგვიანებთ. კონსტანტინე დადეშქელიანი, თავის სინაბარა დარჩენილი, ყოველთ უწინარეს უნდა შესდგომოდა ზრუნვას თავის სამფლობელოში შინაური მშვიდობა დაემყარებინა, მერე ხელი მოეკიდნა საბალახოს საქმისთვისა. მისი ბიძა ოთარი, რომელმაც დიდედა ცეცხლში გამოუწვა, გადაიცვალა, ხოლო მის შვილთან, ჯამსუხთან, რაღაც მოლაპარაკება იყო გამართული, რომელმაც დროებით შერიგება ჩამოაგდო; საბალახოს საქმე-კი ისე ადვილი გასათავებელი არ იყო, და კონსტანტინე ჩავარდა იმ შეტაკებაში, რომელიც არსებობდა ორ მოსისხლე მტერს შორის: მიხეილ შარვაშიძესა და დავით დადიანს შორის. დავითმა გული აიცრუა კონსტანტინეზე მას შემდეგ, რაც იმან კესარია შარვაშიძის ქალი შეირთო ცოლად, ხოლო მიხეილთან დანათესავება მათს შორის მეგობრობას სრულებითაც არ განამტკიცებდა, და აფხაზეთის მთავარი

*) დადიანის ქალი კესარია შარვაშიძისა, დად გიორგი ბატონიშვილისა (ერთი-ერთი „სამი მუშკეტერთაგანისა"), ძიძა იყო აფხაზეთის მთავრის შვილისა, და ამბაირად კონსტანტინე დადეშქელიანი, კესარიას ქალის შერთვით დაუნათესავდა ორს სამეგრელოს მთავრის დავითის მტრად გადაკიდებულ ოჯახს.

მეტისმეტად მტრულად ეკიდებოდა დადეშქელიანს იმავე საბალახოსათვის, რომლის საღირალის გადახდა არ უნდოდა.

მთავრები მიხეილ შარვაშიძე და დავით დადიანი მეტად მოხერხებულნი და კერპები იყვნენ თავიანთის ინტერესების დაცვის საქმეში, ორნივე ერთმანერთზე იყვნენ გადაკიდებულნი და მათის მტრობის სხვადასხვა მომენტები მდიდარ ტემად გამოდგებოდა ადამიანის დასახასიათებელ მოთხრობისათვის. ბრძოლა გამართული იყო სამურზაყანოსათვის; ერთიც და მეორეც ეპოტინებოდენ და ჩემობდენ ამ პროვინციას, და ყველაზე მეტად იჩაგრებოდა თვითონ სამურზაყანო, რათგან მთავრები არავითარს ძალადობას ერიდებოდენ მის შესანარჩუნებლად. თავად ვორონცოვის მინდობილობით თავადმა ვ. ა. ბებუთოვმა ეს საქმე ისე მოაგვარა, რომ ორივე მხარე დაიყოლია სამურზაყანოსათვის ფული მიეღოთ მთავრობისაგან და გაჩუმებულიყვნენ. მართლაც, ისინი ამას დათანხმდენ, ბებუთოვმა სამურზაყანო ჩამოართვა და შიგ რუსის მართვა-გამგეობა შემოიღო. ეს ისე მოხერხებულათ და წინდახედულათ გაკეთდა, რომ ორმავე გადაკიდებულმა მხარემ ვერც კი მოასწრო გონს მოსულიყო და მიმხვდარიყო, თუ ორივე როგორ წაგებული რჩებოდა, ისე ყოველივე გათავდა და უკვე გვიან იყო საქმის გამობრუნება. სამურზაყანო ხაზინაში გადავიდა, იქიდან მისი უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო; მთავრები ერთიმეორეს უარესად გადაეკიდნენ და ერთი-მეორეს აბრალებდა, რომ საქმე ასე წააგეს ერთმაც და მეორემაც.

დავითს პირადად არ ვიცნობდი, რათგან მე რომ პირველად კავკასიაში ჩაველი, ის უკვე გადაცვლილი იყო, და მის შესახებ ყოველგვარის ცნობის ამოკრეფა შემეძლო იმ არქივიდან, რომელიც ხელთა მქონდა, და აგრეთვე მასთან დაახლოვებულ პირების ნაამბობიდან. მიხეილს-კი პირადად ვიცნობდი, და თავაზიანად მეპყრობოდა. თვალადი და ტანადი კაცი იყო. ახალგაზდობა ტფილისში გაუტარებია ისევე, როგორც დავით დადიანს, იმდროს შესაფერისად კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, რუსულ ლაპარაკში აქცენტი სრულებით არ ეტყობოდა. უფროსი ძმა დიმიტრი რომ მოუკვდა, სულ ახალგაზდა კაცი იყო, მთავრად რომ გახდა. მისი მთავრობის პირველი წლების განმავლობაში უანგაროთ ერთგულობდა რუსის მთავრობას; მაგრამ ვერ დააფასეს ჯეროვნად და არამცთუ არ აქებებდენ, პირიქით სრულებით ყალბ პოლიტიკით საბოლოოდ მოიშორეს. ჩვენი მთავრობა აფხაზეთში ძველს მოცვეთილ პრინციპს მისდევდა--divide et impera (დაანაწილე და იუფლეო) და მხარს უჭერდა ჰასან-ბეის, მიხეილის ბიძას და მოსისხლე მტერს. ამიტომ ამ მთავრობას მიხეილი

მეტად ცბიერ და მავნებულ აგენტად გადაექცა. მიხეილი მეტის-მეტად პატივისმოყვარე კაცი იყო, მეტად გაანაწყინა მთავრობის ასეთმა ტაკტიკამ და მთელი თვისი მოქმედება ინტრიგებისა და ღალატისაკენ მიჰმართა. დასავლეთ კავკასიის მთებში, ჩვენს ურჩ ჯიქებსა, შაფსუღებსა, უბიხებს და აბაძეხებს შორის მიხეილს დიდი გავლენა ჰქონდა და ჩვენთვის მეტად საჭირო და გამოსადეგი კაცი იყო, ხოლო გამოდგომის მაგიერ თაღლითურად იქცეოდა ერთსა და იმავე დროს როგორც რუსისა, ისე ოსმალოს მთავრობებთან და სარფასა რჩებოდა როგორც ერთსა, ისე მეორეს. უკვე დაგვიანებული იყო, როცა რუსის მთავრობა თავისს შეცთომას მიჰხვდა, და დაუწყო ფერება მიხეილს, დაუწყო წარჩინებისა და ორდენების ძღევა და ეს იმ დროს, როცა მიხეილის თვალში ამაებს ყოველივე მნიშვნელობა ჰქონდა დაკარქული. ბოლოს დროს გენერალ-ადუტანტობა ჰქონდა და ალექსანდრე ნეველის კავალერი იყო, მაგრამ მუნდირს მაშინ-ღა იცვამდა და რეგალიებს მაშინ იკეთებდა, როცა მთავრობის წარმომადგენელთ უნდა შეხვედროდა. აფხაზეთში, თავის ქვეშევრდომთა შორის, მიხეილი განუსაზღვრელი დესპოტი და ცოცხალი ტიპი იყო ისტორიულ პიროვნებათა სერიიდან, როგორებიც იყვნენ ლუდოვიკო XI და იოანე მრისხანე; მხატვარს შეეძლო მისი გარეგნობა გამოეყენებინა ამ გვარის ტიპის დასახატავად. მაღალი იყო, ტანადი, დაწყობილი სახისა, არწივისებურის იერისა, შავ, გამსჭვირვალე თვალებიანი, თავი მეტის-მეტად ღირსეულად ეჭირა, ყოველ მის მოძრაობაში აშკარად გამოსჭვივოდა ადამიანი, რომელიც დაბადებული იყო სხვის ბატონად და უფროსად. იოანე მრისხანესებ, ამასაც ჰყავდა თავისი მალუტა სკურატოვი—ჰასან მარღანია, რომელიც ზედმიწევნით ასრულებდა ყოველ მისს ბნელ თვისების ბრძანებას. ყოველმა მისმა ქვეშევრდომმა აფხაზმა იცოდა, რომ ის ცოცხალი იყო მანამდე, სანამ მთავარს რაიმე მიზეზით არ მოეგუნებებოდა, რომ მისი თავი ტანს უნდა მოჰშორებოდა. და ჰასან მარღანია ამ საქმეს მეტის-მეტის ოსტატობით ასრულებდა, სწრაფათ და სრულებით უხმაუროთ. იარაღად ხმარობდა სატევარსა და საწამლავს, და რაკი თვალში ამოიღებდა მსხვერპლს, მისი კერძი იყო, ხელიდან ვერსად წაუვიდოდა.

ჰასან-ბეის სიკვდილს შემდეგ მიხეილმა მთელი თვისი სიძულვილი მამისაგან გადაიტანა შვილზე—სეიდ-ბეიზე (დიმიტრიზე), რომელსაც ცოლადა ჰყავდა მთავრის დავით დადიანის დაჲ; ამ დანათესავებისათვის მიხეილი უმეტესად გადაეშტერა სეიდ-ბეის და ბოლოს საწამლავით მოუსწრაფა სიცოცხლე. ამ საცოდავ მსხვერპლის

მდგომარეობა მართლა რომ ტრაგიკული იყო. სეიდ-ბეიმ ორმოცდაწლამდე იცოცხლა და განუწყვეტლივ იმის მოლოდინში იყო, რომ მიხეილი ადრე იქნებოდა თუ გვიან ძალათი მოუღებდა ბოლოს. ჩემთან დაახლოვებული იყო და ერთხელ სამეგრელოში მესტუმრა, და რათგან ხალვათათ არა ვცხოვრობდი, ორივე ერთად ვიწექით ერთს ოთახში. დილით ადრე გამომეღვიძა და დიმიტრი იმ ლოგინზე კი არ იყო მწოლარე, რომელიც გავუშალეთ, არამედ დივანზედ გადმოსულიყო, და მეცა ვკითხევი—რწყილებმა ხომ არ შეგაწუხეს-მეთქი?

— არა!—მიპასუხა ღიმილით:—არა, ამიტომ კი არა; უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემს დღეში არ ვიძინებ იმ ადგილას, საცა ვწვები ხოლმე, ამიტომ რომ როცა უნდა იყოს და საცა უნდა იყოს, მიხეილი თვალს მადევნებს და მარჯვე შემთხვევას-ღა ეძებს გამისწორდეს,—ნახავთ, თუ არ აისრულა გულის წადილი.

მაშინ ასე მეგონა, დიმიტრის შიში გადაჭარბებულია-მეთქი და მხოლოდ მის გადაცვალების შემდეგ მივხვდი, რამდენად საფუძვლიანი ყოფილა ეს მისი სიბრთხილე.

მართალია, მიხეილის ხასიათს ასეთი ბნელი მხარეები ჰქონდა, მაგრამ იგივე მიხეილი სულ სხვა კაცი იყო იმათთან, ვისაც იგი პატივსა სცემდა და ვისთანაც მეგობრულ საუბარში მისი ჭკუაგონების სიფართოვე მთლად გადაიშლებოდა ხოლმე. ნ. პ. კოლუბიაკინმა, რომელიც მიხეილს ძალიან უყვარდა, იმისთვის რომ კოლუბიაკინი არც ვერცხლმოყვარე იყო და მისი მოსყიდვაც არავის შეეძლო, გადმომცა, თავისი შთაბეჭდილება, მეტად ორიგინალურად რომ გაუზიარებია მიხეილს უკვე მოწიფულებაში პეტერბურგსა და მოსკოვში მგზავრობის შესახებ.

— იცით, რა გითხრათ გენერალო,—უთქვამს მიხეილს,—რუსეთში მე მხოლოდ ორი კაცი შემხვედრია და ჩემს დღეშიაც არ დამავიწყდება: ესენი იყვნენ იმპერატორი ნიკოლოზი და მიტროპოლიტი ფილარეტი. იმ ბაასის შემდეგ, რომლითაც გამაბედნიერა იმპერატორმა, დიდსხანს ვერ მოსულვიყავ გონს იმ აღტაცებისაგან, ჩემი არსება რომ მოიცვა. ჩემს გონებას თავის დღეში ვერ წარმოედგინა ის დიდებულება, რომელიც განსახიერებული იყო მისს პიროვნებაში; მის ოთახიდან რომ გამოველ, მე შევიგენი, რომ ჭია ვიყავ, ქვეწარმავალი ამ ადამიანის წინაშე. და ჩემთვის მით უფრო სამძიმო იყო იმის შეგნება, რომ მასა და ჩემს შორის სდგას მთელი რიგი ადამიანებისა, რომელთადმი მე ზიზღისა და სიძულვილის მეტს არასა ვგრძნობ. ამას შემდეგ ესენი უარესად შემძულდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ფილარეტმაც; რო მიყურებდა, მის თვალების სიძლიერეს ველარ

ვუძლებდი, ასე მეგონა, ჩემს სულში ყველა დაფარულ საიდუმლოებას ჰკითხულობს-მეთქი. ასეთი შეხედვის ძალა მხოლოდ ჭეშმარიტ მღვდელმთავრის განსაკუთრებული ნიჭია; ამ ადამიანის წინაშეც ვიგრძენი, რომ ფრიადი სიკნინე ვიყავი, მეტი არარა. დიახ, ასეთი ადამიანები, ჩემის აზრით, საუკუნოებით იბადებიან. რუსეთი ბედნიერია და უნდა ამაყობდეს კიდეცა, რომ ასეთი შვილები ჰყავდა.

კოლუბიაკინის აზრით, მიხეილმა ეს თავისი შთაბეჭდილება მას გადასცა პირუთვნელ აღტაცებით და გულწრფელობით, ასე რომ ნათლადა სჩანდა, რომ აღმაღლებული იდეალები მისთვის არც ისე უცხო ყოფილა, იმ დროს როცა მისი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მთელის თვისის არსებით ჩაეფლო გაშმაგებულ და გამძვინვარებულ ბრძოლაში მხოლოდ თავის პირად, სრულებით არააღმაღლებულ ინტერესებისათვის. მისი სიძულვილი, მაგალითად, დავით დადიანის მიმართ, სრულებით მტაცებლურის ხასიათისა იყო; მიხეილს დავითი არამცთუ მოცილედ მიაჩნდა ქონებრივს კითხვებში, არამედ მტრად მიაჩნდა აგრეთვე იმისთვისაც, რომ იგი, დავითი, ყოველ ეჭვს გარეშე ერთგული იყო რუსის მთავრობისა. „იცი, რა არის რუსი,—უთხრა ერთხელ მიხეილმა დავითს:—ტილია, ფეხზე რომ დაისვამ, უეჭველად თავზე აგაცოცდება; შენ-კი ელაქუცები და სცდილობ აამო ხოლმე ამ ტილს“. სიბოროტით ეკიდებოდა აგრეთვე დედოფალს ეკატერინეს, მას ყოველთვის ზიზღითა და დაცინვით იხსენიებდა იმისთვისაც, რომ საერთოთ ქალები ყველა ეჯავრებოდა.

3.

აი, სწორეთ ასეთ თვალსაჩინო როგორც თავის ხასიათით, ისე თავის მდგომარეობით პიროვნებათა შორის, რომელთაც ერთთმანერთი ეჯავრებოდათ, მოექცა უმნიშვნელო სვანეთის მთავარი დიდეშქელიანი, წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე, რუსულის თითქმის უცოდინარი და თავისს აგრეთვე შედარებით მინიატურულ, ინტერესებს გადაყოლილი.

რა თქმა უნდა, რაც უნდ დიდი ენერგია გამოეჩინა თავის ძლიერ მეზობლების წინააღმდეგ, მხოლოდ და მხოლოდ წაგებით უნდა გათავებულიყო მისი საქმე.

ორმოცდაათიან წლებში, მთავრის ძმას, ალექსანდრეს, რომელიც კარგათ სწავლობდა ნიჟეგოროდის პოლკში, ოფიცრობა მისცეს. ისიც ჩამოვიდა სვანეთში და უფროსს ძმას მხარში ამოუდგა სამთავროს საქმეების წაყვანაში. ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ მოსაზღვრე მთავრებთან ცარიელი ლაპარაკით საბალახოს საქმე არ გადაწყდებოდა,

ამიტომ ძმებმა სთხოვეს მეფისნაცვალს ჩარეულიყო მათს საქმეში და საბოლოოდაც იმასვე გადაეწყვიტნა საქმე. მათის თხოვნის გამო გამოგზავნილი იყო ცალკე კომისია პოლკის უფროსის გრაფ გალატერის თავმჯდომარეობით.

ჩვენში იმავ თავითვე შემოღებულია საქმეთა გადაწყვეტა კომისიების საშუალებით. მაგრამ კომისიის საშუალებით საქმის მოგვარება—დროებითია, იარას მხოლოთ ზევიდან მოაშუშებს, სავსებით კი ვერა ჰკურნავს, და საერთოთ ასეთს კომისიას შედეგად სხვა არაფერი მოჰყვება, თვინიერ ტყუილ-უბრალო დროს კარქვისა, მოხელეების ჯამაგირებისა და მათს საგზაოდ ხარჯების გაწევისა. იგივე დღე დაადგა გალატერის კომისიასაც. თვით გრაფი ერთი იმათგანი იყო, ვისაც porto-franco-ს ეძახდენ, ე. ი. ვინც ვორონცოვის მიერ მოყვანილნი იყვნენ ოდესიდან, სადაც მაშინ porto-franco *) იყო; ესენი ხამად იყვნენ კავკასიაში, აქაურობისა არაფერი გაეგებოდათ, და როცა რომელისამე საქმის გაკეთება სწადდათ, ჯერ დიდსხანს უნდა ეტრიალებინათ ხელში, ხან საიდან მიუდგებოდენ და ხან საიდან. ერთ-ორ წელიწადს გალატერი ცოდვილობდა, სანამ თავისს მოხსენებას შტაბის უფროსს კოცებუს წარუდგენდა; კოცებუმაც კარგა ხანს გააჩერა და, ბოლოს, გადასწყვიტა, რომ სამეგრელოს მთავარმა, დავითმა, კონსტანტინე დადეშქელიანს საბალახოსთვის ფულად უნდა გადაუხადოსო, ხოლო გადასახდელ ფულის რაოდენობა სამედიატორო სასამართლომ დაადგინოსო. მაშასადამე, აქ საქმის დასასრული კი არ იყო, არამედ აქ იყო დასაწყისი ახალის საქმისა, სახელდობ საჭირო იყო, რომ მთავრებს მედიატორები აერჩიათ სამედიატორო სასამართლოსათვის. ერთმა ალაჰმა უწყოდა, როდის მოაგვარებდნენ ამას, ალბათ გახგებ გააჭიანურებდენ მედიატორების ამორჩევას, ამიტომ რომ კონსტანტინეს ანგარიში - დავითს ცოტამატა კი არ ემართა, არამედ მაშინდელ დროისთვის კარგა დიდი თანხა—შვიდასი თუმანი!

მთელის წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა ეს საქმე; ამასობაში უსწრო ყირიმის ომმაც; კავკასიაში ყველაფერი არივ-დარია, და ისეთი საქმე, როგორიც საბალახო იყო, აბა ვის მოაგონდებოდა; მალე თოფიც გავარდა.

1855 წლის ზამთარში, როცა დედოფალი ეკატერინე, მისი შვილები და დაჲ ნინო გრიბოედოვისა ქვაშიხორში ცხოვრობდენ, გურულთა რაზმის ბანაკის ახლო, მასთან მოვიდენ კონსტანტინე

*) Porto-franco ნიშნავს უცხოეთიდან უბაჟოდ საქონლის შემოტანას.

დადეშქელიანი და მისი ძმა ალექსანდრე, უკვე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბს-კაპიტანი. იმათის მოსვლის მიზეზი ისევ საბალახო იყო. სრულებით არაფერი სცოდნოდათ, რა ხდებოდა ამ დროს ქვაშიხორში, და სწორეთ რომ უდროვო დროს მოსვლა შეექნათ. ეკატერინეს სწორეთ ამ წუთას ჩაეფუშა საქმე საეკლესიო მამულების შესახებ, სოფ. სუჯუნაში; ეს მამული სამთავრო მამულებისათვის უნდოდა შემოეერთებინა, როგორც ეს მოხსენებული გვქონდა ამ წიგნის პირველ თავში. დედოფალმა იცოდა, რომ საქმის ჩაფუშვა მიხეილ შარვაშიძის საიდუმლო საქციელის ბრალი იყო; მიხეილი ამ დროს ჭკადუაშში სცხოვრობდა თავის სიმამრთან, გიორგი ბატონიშვილთან, და ბოროტად უხაროდა, როცა გაიგო—კონსტანტინე დადიანმა სუჯუნაში სირცხვილი სჭამაო. და სწორეთ ასეთ დროს მოდის მასთან დადეშქელიანი, მახლობელი ნათესავი მიხეილისა; ეკატერინეს აზრად მოუვიდა, რომ დადეშქელიანი ალბათ შარვაშიძემ გამოგზავნა, რომ დაწვრილებით გაიგოს, რა ხდება ჩემს სახლშიო. ამიტომ მეტად ქედმაღლურად დაუხვდა ძმათა დადეშქელიანებს. ამათ სიტყვა ჩამოუგდეს თავიანთ საქმეზე (საბალახოზე), მაგრამ რაკი დაინახეს, პირჯვარს ვერ გადავაწერინებთო, წამოვიდნენ, გულში ეშმაკობა არაფერი სდებიათ ისე, თითქოს განგებაო, ჭკადუაშში, გიორგი დადიანთან. იქ საქმიანი მოლაპარაკება ჰქონდათ მიხეილ შარვაშიძესთან ისევ იმ საბალახოს თაობაზე. მიხეილთან კონსტანტინეს, ცოტა არ იყოს, ცუდი განწყობილება ჰქონდა. მიხეილთან წასვლა დადეშქელიანებისა ეკატერინეს ძალზე ეწყინა; გადასწყვიტა—აშკარად დამცინიანო, და ამ წუთიდან კონსტანტინე დადეშქელიანს თავისუფლად შეეძლო დედოფალი თავის მოკეთეთა სიიდან ამოეშალნა. ეკატერინე არ ერიდებოდა ხმამაღლა ეთქვა—ამ ნადირს ვაგრძნობინებ, როგორ შემიძლია ჭკუა ვასწავლო ხოლმე, ვინც მე უპატივცემულოდ მომეკიდებაო.

ამ ამბავმა ჯამსუხის, კონსტანტინეს დაუძინებელ მტრის, ყურებამდე მიაღწია, და იმანაც საჩქაროდ თავისი კაცები გაუგზავნა დედოფალს გორდში, სადაც საზაფხულოდ იყო წამოსული. ჯამსუხი სთხოვდა—ნება გვიბოძე გინახულოვო. დედოფალმა ნება დართო. იმანაც ორი თავისი შვილი—თენგიზი და გელა იახლა და მაშინათვე წამოვიდა ეკატერინესთან.

შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი ეკატერინესი და ჯამსუხის შეხვედრას.

ჯამსუხი ასე ორმოცდახუთის წლისა იქნებოდა, უკვე თეთრი ჰქონდა გამორეული, ხმელ-ხმელი იყო, ტანადი, მაღალი, სახის

სწორნაკვთებიანი, ჭკუიანი და გამომეტყველ თვალებიანი, მეტად საამო საყურებელი. მისი შვილები უფროსი 18 წლისა იყო, უმცროსი—15-ისა, ორივე მეტად ლამაზები იყვნენ.

დედოფალთან ჯერ ვითომ, მოსაკითხავად მოვიდა და მერე როგორც მოციქული და შუაკაცი თავისუფალ სვანეთის ერთ-ერთ, მგონი, ლატალის, საზოგადოების მხრივ. საქმე ის იყო, რომ ხუთ-ექვს წელს წინათ, ლეჩხუმის ბაზრობის დროს, სოფ. მურს ახლო, რაღაც უბრალო რისამე გამო შელაპარაკებულან და მერე ჩხუბზე გადასულან ამ საზოგადოების მცხოვრებნი, და მეგრელები. ჩხუბი იმით გათავებულა, რომ შემოკვდომიათ ერთი მეგრელი და ამას შემდეგ სვანები მარჯვედ გაქცეულან და თავიანთ მიუვალ ხევ-ხუვებისათვის თავი შეუფარებიათ. მთავარი დავითი ამისთვის გაურისხდა ლატალის საზოგადოებას და თავის ქვეშევრდომ სვანებს უბრძანა ცხენის-წყალის ხეობით არც ერთი ლატალელი არ შემოეშვათ სამეგრელოში; ასეთი სასჯელი მეტად სამძიმო შეიქნა: ლატალელებს აღარ შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოები სამეგრელოს ბაზრებზე გაესაღებინათ და სამაგიეროთ იქიდან წამოელოთ თავიანთთვის მეტად საჭირო და აუცილებელი საქონელი—მარილი. იმ ზომამდე გაუჭირდათ საქმე, რომ არაერთხელ თვალცრემლიანებმა სთხოვეს მთავარს ეპატივებინა მათთვის დანაშაული და სამაგიეროთ ფულად ჯარიმა გადაეხდევინებინა მათთვის; მაგრამ მთავარი გაკერპდა და მათი ხვეწნა არ შეისმინა. და აჰა, ამ საცოდავების შებრალებას თხოულობდა ჯამსუხი. ეკატერინეს გულის მოსაგებად ჯამსუხს თან მოეტანა საჩუქრად იარაღი, უნაგირები, ნაბდები და მ. სხ.

ჯამსუხის შუამდგომლობა ლატალელების სასარჩლოდ დედოფალმა შეიწყნარა და მაშინათვე გააგზავნინა კაცი და უბრძანა გორდში მათი წარმომადგენლები შემოეშვათ. ამასობაში დედოფალი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი პატივი ეცა ჯამსუხისათვის და დიდი საბოძვარებიც უბოძა. სტუმრები თავისთავადაც მეტად საინტერესონი იყვნენ, ცხენებს აჯირითებდენ, ნიშანში თოფს ისროდენ, მღეროდენ და თამაშობდენ მთავრის შვილებთან და კარისკაცებთან. თვითონ ჯამსუხმა ერთნაირი საოცარი ცეკვა მაჩვენა, რომლის მსგავსი მერე არსად მინახავს. მიწაში ტარით ჩარჭობილი იყო ერთი-მეორის ახლო-ახლო სატევრები, ღამით, დიდ ცეცხლის და მოკიდებულ ფიჭვის დიდ კვარების სინათლეზე, დაირისა და სიმღერის აყოლებით, ჯამსუხმა დაიწყო ცეკვა. ჯერ ცეკვავდა ზომიერათ, ნელა, მერე თანდათან მოუჩქარა და ისეთის სისწრაფით თამაშობდა, რომ მის მაგივრათ მეშინოდა და ტანში ჟრუანტელი მივლიდა. სა-

ტევრებს შორის ჩიტივით დაფრინავდა. მიმოხვრის სინარნარე, სახის გმირული და ვაჟკაცური გამომეტყველება, რომლითაც თითქოს სრულ უშიშრობას გამოხატავდა, განსაკუთრებულს ეფეკტს წარმოადგენდა, და როცა ცეკვის გათავებისას ნელ-ნელა უკლო თავისს მოძრაობას, ყველანი საშინლად ახმაურდენ და საერთო აღტაცება გამოსთქვეს.

საერთო დროსგატარებისა და მხიარულების დროს დედოფალი და სტუმარი ახერხებდენ განმარტოებით ტკბილ ბაასს. ერთხელ ერთ ასეთ ბაასს შემდეგ დედოფალმა ჯამსუხს გამოუცხადა— უნდა გიშვილოვო. ეს ჩვეულება აქ დიდათ გავრცელებული და მოწონებულია. ის, ვინც შვილად მოიგებს სხვას, განსაკუთრებულ ლოცვის სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გულს გადიღეღავს და ძუძუებზე კბილებს დაადგმევინებს და ეს მანამდე ერთმანერთისათვის უცხო პირფათვის დედა-შვილურ ურთიერთობის დამყარების სიმბოლოდა ხდება. ჩნდება სულიერი ნათესაობა, რომელიც სისხლის ნათესაობის სადარად ითვლება. შვილობილი ღვიძლ შვილს უდრის. აბა, რა თქმა უნდა, შვილად მოკიდების შემდეგ ჯამსუხისა და დედოფლის სიყვარული და სიძულვილი საერთო ხდებოდა, და ამიტომ მიხეილ შარვაშიძე—ჯამსუხისათვის და კონსტანტინე დადეშქელიანი—დედოფლისათვის მოსისხლე მტრებად ხდებოდენ.

4

სამ დღეს უკან გორდში მოვიდენ ლატალის საზოგადოების გამოგზავნილი კაცები. ორმოცდა ათნი იყვნენ. ახოვანები, ჩამკვრიულები ხოხოლების ტიპს მოგაგონებდათ; ტანთ ემოსათ მატყლის მსხვილ ბაწრისაგან მოქსოვილი ჩოხები, ჩვენებურ ქუდების მაგივრად თავთ ეხურათ რაღაც პატარა მრგვალი შალის ქუდები, რომლებიც თავზე დამაგრებული ჰქონდათ გაპარსულ ნიკაპს ქვეშიდან ამოდებულ გრეხილით; ეს თავის სარქმელი იმავე დროს საშურდულეც იყო, რომლითაც სვანები მეტად მარჯვედ ისვრიან ხოლმე ქვებს. მათი ფეხსაცმელი ანუ ქალამანი ძალიანა ჰგავს ძველის დროის სანდლებს და ამოსხმულია ტყავისაგან, რომელსაც ბალანი ზევიდანა აქვს დარჩენილი და თასმებით შეკრულია.

მფელი გარეგნობა ამ ხალხისა მაჩვენებელი იყო სისასტიკისა, სიღარიბისა, ველურობისა. რომ ლაპარაკობდენ, ასე გეგონებოდათ, ბუკებს აძახებენო; ჩუმათ ლაპარაკი ლატალელებმა არ იცოდენ, და როცა მათთან მოლაპარაკება გაიმართა, ისე ხმამაღლა გაჰყვიროდენ, იფიქრებდით—ალბათ, რაღაზედაც ჯავრობენო, თუმცა ბაასი სრუ-

ლებით მშვიდობიან საგანზედა ჰქონდათ. ყველანი ერთად ჰყვიროდენ. მათს ლაპარაკში მრავალი ქართული სიტყვა ერია, თუმცა ქართველი მათს ნათქვამს ვერაფერს გაიგებდა. ყველაზე ტიპიური იყო საზოგადოების მოხუცი მამასახლისი. დაბალის ტანისა იყო, დაგლეჯილი ჩოხა ეცვა, გადაღეღილი გული გაჭაღარავებულ თმითა ჰქონდა დაფარული, თავის გარეგნობით თითქოს ყველაზე უკანასკნელი ის იყოვო, მაგრამ, ეტყობოდა, ყველანი მას ჰმორჩილობდენ; მაზე ცოტა მოშორებით იდგა ძისი მოსამსახურე, ყარაჩელი *), ტანთ ეცვა სირმიანი ჩოხა და ხელში კიდენ მამასახლისის ჩიბუხი და სათუთუნე ქისა ეჭირა. აშკარათ ეტყობოდა, რომ უკიდურეს დემოკრატიზმის ამ თავისებურ წარმომადგენელსაც სჩვევოდა არისტოკრატული გემოვნება.

ლატალელებმა არყის ხის ქერქისაგან გაკეთებულ კოლოფებში ჩალაგებული ძღვენი მოართვეს დედოფალს. ეს ძღვენი შესდგებოდა: ცვილისა, თაფლისა და არაყისაგან. შერიგდენ და ესენიც დასხეს გასამასპინძლებლად. მეორე დღეს დედოფალთან დადებული პირობა ფიცით განამტკიცეს. შემოვიდენ ეკლესიაში, პირში ყალიონგაჩრილები, თითქო გარეთ ყოფილიყვნენ, ისეთი ხმაურობა ასტეხეს, საითაოდ მიდიოდენ სახარებასთან, ემთხვევოდენ, მერე პირში თითს ჩაიდებდენ, გამოიღებდენ, მაღლა აიშვერდენ და შეუბერავდენ. ვიკითხე მნიშვნელობა ამ უცნაურ ჩვეულებისა და ამიხსნეს—ამით თავიანთ ფიცის მოწმედ სული წმიდას მოუწოდებენო.

მეორე დღეს ლატალელები გორდიდან გავიდნენ, დედოფლის მიერ დასაჩუქრებულები, და შემდეგ მათ მალე გაჰყვნენ ჯამსუხი, მისი შვილები და ამალა.

რაც მოხდა გორდში ჯამსუხის ჩამოსვლის დროს, ყველაფერი მაშინათვე გაიგეს სადადეშქილიანო სვანეთში. კონსტანტინე, ალესანდრე და მისი მცირეწლოვანი შვილი მოსოსტრი ამ დროს ტფილისში იყვნენ: მოსოსტრი სასწავლებელში შესაყვანად ჩამოეყვანათ ქალაქში; მათს მაგიერ უფროსად სვანეთში დარჩა მისი მესამე ძმა, ისლამი, რომელიც თავისს სამშობლო მთებს თავის დღეში არ გასცილებოდა და რომელიც თავის გრძნობებითა და შეხედულებით სრულებით ხელუხლებელ და ნამდვილ ველურად იყო დარჩენილი. დედოფალმა ჩემი მტერი ჯამსუხი როგორ მიიღო სახლშიო და ან-

*) ყარაჩა—თავისუფალ სვანეთის მოსამზღვრე მხარეა, იალბუზის ჩრდილოეთით მდებარე. თავისუფალ სვანეთიდან ჩრდილოეთში გასვლა მხოლოთ ყარაჩით შეიძლება.

ჯამსუხმა გორდიდან სვანეთში ჩვეულებრივის ლენტეხის გზის მაგიერ როგორ გაჰბედა ჯვარზე ლახმულისაკენ გამოვლაო, სადაც წინათ თავისდღეში ვერ გაჰბედავდა გავლასო, ისლამი პირდაპირ გაცოფდა, არც აიღო, აღარც დაიღო, გადასწყვიტა მაზე დარჩენილი სისხლი აეღო, იახლა ყმები, ჩაუსაფრდა და დაუწყო ლოდინი ჯამსუხის გამოვლას. ვერავინ მოასწრო ჯამსუხი გაეფრთხილებინა, თუ რა ხიფათს უმზადებდა ისლამი, და ქვის უკან ამოფარებულ კაცის თოფის ნიშანში ამოლებულმა ტყვიამ იქვე დააწვინა, ხოლო მეორე ტყვია მის შვილს თენგიზს ხელში მოხვდა. დანარჩენები იძულებულნი იყვნენ თავისთვის ეშველნათ.

ტფილისიდან დაბრუნებულ კონსტანტინესა და ალექსანდრეს შინ საშინლათ აწეწილ-დაწეწილი დახვდათ ყველაფერი; ჯამსუხის შომხრენი ფაარს დაეცნენ, და ამათ დიდი მეცადინეობა და დრო დასჭირდათ, სანამ მათ მოიგერიებდენ და იქიდან გაჰრეკავდენ. თვითონ ისლამი, მიზეზი მთელ ამ ორომტრიალისა, მეზობელ მოუსვენარ დალში გაიქცა.

რამდენსამე ხანს შემდეგ იმავე გორდში, იქ, სადაც ამას წინათ ჯამსუხის ცეკვის ყურებით ვსტკბებოდით, დავინახეთ მისი ქვრივი ყველა შვილებითა და მოსამსახურებითურთ: ქვრივი დედოფალსა სთხოვდა მფარველობასა და თავშესაფარს. სვანეთიდან გამოქცეულიყვნენ, რომ სულ არ ამოეწყვიტნა კონსტანტინეს; მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინეს აბრალებდენ ჯამსუხის მოკვლას, ისლამი-კი ბრმა იარაღი იყო მის ხელშიო. დედოფალი, რომელმაც იშვილა საცოდავი მსხვერპლი სისხლის აღებისა, გულმხურვალედ მოეკიდა მის დაობლებულ და სამშობლო კერადან გამოყრილ ოჯახობას. მით უფრო, რომ ჯამსუხის ქვრივმა ორი მეტად ძვირფასი საჩუქარი მიართვა; ყაწიბი და კვერთხი თამარ დედოფლისა*). განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ბიზანტიურ ხელოვნებით ნაკეთები ყაწიბი; სულ ოქროსი იყო, მინანქრებიანი და ზედ გამოსახული იყო მაცხოვარი, ღვთისმშობელი და წმიდანები. კვერთხიც ოქროთი იყო შეჭედილი, მხოლოდ ნამუშავარი ისეთის ხელოვანებით არ იყო. ჯამსუხის ქვრივს ეკატერინემ ლეჩხუმში ერთ-ერთ თავის მამულში მიუჩინა ბინა საცხოვრებლად და თან ბრძანა მისთვის და მის ოჯახის წევრებისათვის სრული ულუფა ეძლიათ, მისცა ფული და ყოველივე, რაცა სჭიროდათ, და იმავე დროს კავკასიის მთავრობასა სთხოვა—

*) ესენი, როგორც წმიდა ნივთები, რამდენსამე საუკუნეს განმავლობაში დადეშქელიანების ოჯახში ინახებოდა.

დაეფარნათ ეს საცოდავები და დაეკმაყოფილებინათ; თან კონსტანტინე დადეშქელიანს საშინლათა სწყევლიდა.

მაგრამ მთავრობას მაშინ ამ საქმისათვის როდი ეცალა: მთელს მხარეზე მოქურუშებულიყო ცაჲ და, საცა იყო, უნდა დაეჭექნა. უკვე იცოდენ, რომ ოსმალოს ჯარი შავის ზღვის ნაპირათ უნდა გადმოსულიყო ხმელეთზე, მხოლოთ არ იცოდენ—სახელდობ რა ადგილას უნდა გადმომსხდარიყვნენ; ელოდნენ ჯარის გადმოსხმას ან ქობულეთში და ან აფხაზეთის მხრიდან. მცირერიცხოვანი რაზმი გურულთა ორ კოლონად იყო გაყოფილი და მტრის თავდასხმას ორივე მხრიდან დაუწყეს ლოდინი. ამიტომ ფიქრიც კი მეტი იყო იმაზე, რომ რაზმის ამ ნაწილებისაგან თუნდაც მცირე ნაწილი გამოეყოთ სამხედრო ექსკურსიისათვის თავისუფალ სვანეთში. თავადი ივანე მუხრანთ-ბატონი, გენერალ-გუბერნატორი ქუთაისისა, რომელიც გურულთა რაზმს მეთაურობდა, ჯამსუხის ოჯახობის საქმის გამო იძულებული იყო, ჯარის მაგიერ, სვანეთში გაეგზავნა ბოქაული თავადი მიქელაძე და დაევალებინა—კონსტანტინე და ალექსანდრე ქუთაისში ჩამოეყვანა. მაგრამ ამან არ გასჭრა: დადეშქელიანებმა ბოქაული ახლოს არ გაიკარეს და ქუთაისში ჩამოსვლა არც-კი უფიქრნიათ. ალექსანდრე დადეშქელიანს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მიერ მოცემულის შვებულების ვადა ვაუთავდა და პოლკი რაზმის უფროსის მუხრან-ბატონის საშუალებით მოითხოვდა დაუყონებლივ დაბრუნებულიყო; მუხრან-ბატონმა სვანეთში ხელახლა გაგზავნა კაპიტანი დემიანოვიჩი, მაგრამ იმან იმდენივე გააკეთა, რაც მიქელაძემ. ძმანი დადეშქელიანები დემიანოვიჩს, მისისავე თქმით, უზრდელათ დახვედრიან, ხოლო ალექსანდრეს თავი მოუავათმყოფებია, ნამდვილათ კი სრულებით კარგათა ყოფილა. მისთვის რაპორტი გადაუცია და უთხოვნია რაპორტი დემიანოვიჩს რაზმის უფროსისათვის გადაეცა.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რაც ომერ-ფაშამ თავისი ჯარი აფხაზეთში გადმოსხა, და გაიმართა მისი ცნობილი ლაშქრობა, რომლის ასპარეზად ექვსის თთვის განმავლობაში გადაიქცა მთელი რიონის მხარე, და რა თქმა, უნდა, ყველა სხვა შინაური საქმეები განზე იქმნა გადადებული.

ინგურზე ბრძოლის დროს ომერ-ფაშას 30.000 კაცი ჰყავდა, ჩვენ-კი ოთხჯერ ნაკლები. როგორც მკითხველებმა იციან ჩვენის-მოგონების პირველ თავებიდან, ამ ბრძოლის დროს მუხრან-ბატონი იძულებული შეიქმნა ცხენის-წყალს გამოსცილებოდა, და სამეგრელო-მტერს დარჩენოდა ხელში.

აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე, რომელიც ამ დროს აფხაზეთში დარჩა, მეტად ორაზროვან როლს თამაშობდა. ჩვენს შტაბში მისგან სხვადასხვა პროექტები მოდიოდა მტრის ზურგს უკან სამხედრო მოქმედების შესახებ და თხოულობდა—ჯარები მომაშველეთო, და იმავე დროს იმავე შტაბში ცნობა ჰქონდათ ჯაშუშებისაგან მიხეილ შარვაშიძის მიერ ომერ-ფაშასთან გამართულ მოლაპარაკების შესახებ. მიხეილ შარვაშიძეს უკან კიდევ სხვები მოჰყვებოდენ და ამ სხვებში, იმავე ჯაშუშების ცნობით, ერივნენ ძმანი კონსტანტინე და ალექსანდრე დადეშქელიანები, რომელნიც ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს ალერსიანად მიუღია. ან და რა გასაკვირველი იყო, ასეთი საქმე მომხდარიყო იმ მხარეში, რომელიც მტერს ჰქონდა დაპყრობილი და ექვსის თთვის განმავლობაში ჩვენის მხრივ არავითარი სერიოზული წინააღმდეგობა უნახავს.

1856 წლის მარტში დროებით ზავი იყო შეკრული; ომერ-ფაშამ სამეგრელო დასცალა და ამას მოჰყვა ცნობილი პარიზის ტრაკტატი, რის შემდეგაც მოხდა იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ჟურთხევა.

შემდეგ კავკასიაში ადგილი ქონდა მეტად დიდ ცვლილებას: მურავიოვის მაგიერ მეფისნაცვლად დაინიშნა თავადი ა. ი. ბარიატინსკი და ხმა გავრცელდა—კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეში დიდი ცვლილება მოხდებაო.

ახალი მეფისნაცვალი კავკასიაში ხამად არ იყო: თავისი სამსახური აქ დაიწყო 1835 წელს კირასირთა პოლკში კორნეტად, გენერალ ველიამინოვის რაზმში, მერე მთიელთა წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში ყაზახრუსთა ასეულის უფროსად იყო, ამ დროს თოფის ტყვიამ მარჯვენა გვერდში გაუარა და იძულებული შეიქმნა 1836 წელს საზღვარგარეთ წასულიყო, სადაც 1838 წლამდე დარჩა. ეს პირველი, ეგრე ვსთქვათ, სამხედრო მონათვლა ახალგაზრდა თავადისა, რომელიც მას აგრე ძვირად დაუჯდა, გულში ღრმად ჩარჩა და ამ დროიდან კავკასია უფრო და უფრო იზიდავდა თავისკენ. 1845 წელს ისევა ჩნდება კავკასიის ჯარების რიგებში და პოლკის უფროსის ხარისხით უფროსობს ყაბარდოს პოლკის მესამე ბატალიონს დარგოს ექსპედიციის დროს ანდოს სიმაღლეთა აღებაში. მთელის რაზმის თვალწინ მოხდა ამ სიმაღლეთა აღება; დამსწრენი მოგვითხრობენ, რომ ბარიატინსკის მეთაურობით ბრძოლა ისე სწრაფათ და ისე საუცხოოთ მიმდინარეობდა, რომ როცა მთიელები დაამარცხა ყაბარდოს პოლკმა, მაყურებელთ დაავიწყდათ მანძილი, რომელიც მათ მებრძოლთაგან ჰყოფდა, ტაში დაუკრეს და „ეაშა“

შემოსძახეს. ბარიატინსკიმ ამ ბრძოლისათვის გიორგის მე-4 ხარისხის ჯვარი მიიღო. ხელახლა მოხვდა ტყვია ფეხში, ასე რომ იძულებული იყო ხელახლა წასულიყო საზღვარგარეთ ჭრილობის მოსარჩენად და იქ 1847 წლამდე დარჩა.

5.

1856 წელს, როგორც კი ზავი შეიკრა, გენერალ მურავიოვმა ითხოვა სამსახურიდან დათხოვნა და ხელმწიფემ მის ალაგას დანიშნა თავადი ა. ი. ბარიატინსკი.

ოცის წლის სამსახურის განმავლობაში ბარიატინსკიმ გაიარა კავკასიის ბრძოლის საომარი სკოლა. და ეს სკოლა საუცხოოდაც გაიარა. ეჭირა მეტად დიდი და პასუხსაგები თანამდებობა როგორც დაბალი სამსახურისა, ისე უმაღლესისა—მთავარ შტაბის უფროსობა. ამის წყალობით ბარიატინსკის დიდი გამოცდილება ჰქონდა სამსახურისა. ხასიათითაც მეტად თვისებიანი იყო, იცნობდა თითქმის ყველა მოსამსახურეებს კავკასიის როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყებაში. ამის წყალობით შეეძლო შეგნებულათ აერჩია მათს შორის თავისი უმახლობელესი თანამშრომელნი მათის ნიჭისა, სპეციალობისა და ცოდნის მიხედვით. ეს მისი გამოცდილება ყველაზე უფრო დამტკიცდა მაშინ, როცა თავის მარჯვენა ხელად აირჩია გენერალი ევდოკიმოვი. ბარიატინსკის ასეთის მომზადების წყალობით, ვორონცოვის მიერ განზრახულის და ბარიატინსკის მიერ მკაფიოდ შეთვისებულის გრანდიოზულის პლანის განხორციელება კავკასიის საბოლოოდ დაპყრობისა სერიოზულად იყო უზრუნველყოფილი.

ხელმწიფე ბარიატინკის ახალგაზრდობიდანვე იცნობდა, ახლა დაიახლოვა და ღირსჰყო თავის გულითადის მეგობრობისა, სწამდა მისი ნიჭიერება და ოდეს თავის ნაცვლად დააყენა კავკასიაში, შეჰმოსა სრულის უფლებითა და დაამტკიცა ყველა მისნი წარდგენილებანი ამ მხარეში მართვა-გამგეობის ცვლილებათა შესახებ.

ამ ახალის ცვლილების თანახმად, კავკასია იყოფოდა რამდენიმე საგენერალ-გუბერნატოროდ, და მათს შორის დაარსდა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროც, რომელშიაც შედიოდა ქუთაისის გუბერნია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი. ასეთ დიდ პოსტზე, როგორიც იყო პოსტი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა, ბარიატინსკისათვის საჭირო იყო ისეთი კაცი, რომელშიაც შეერთებული იქნებოდა მრავალი სხვადასხვა პირობები. თავის პირად ღირსებათა გარდა ამ კაცს მოეთხოვებოდა ცოდნა მხარისა და კაი გვარიშვილობაც, და ეს უკანასკნელი ღირსება განსაკუთრებით საჭირო იყო იმიტომ,

რომ აფხაზეთისა, სვანეთისა და სამეგრელოს მთავრები თავადები იყვნენ და იმას უშუალოდ უნდა დამორჩილებოდენ. იმისთვის, რომ მაგათს თვალში ფასი ჰქონოდა, თვითონაც წმინდა წყლის არისტოკრატი უნდა ყოფილ იყო. ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელის პიროვნების პოვნა ადვილი საქმე კი არ გახლდათ. მაგრამ თავად ბარიატინსკის პეტერბურგში შემთხვევით შეხვედროდა თავადი ალექსანდრე ივანესძე გაგარინი და არჩევანიც მასა ხდომია. ბარიატინსკის ქუთაისისათვის უკეთესი გენერალ-გუბერნატორი არც კი უნდოდა. გაგარინს, აგრეთვე ძველად კავკასიაში ნამყოფს, ბარიატინსკი პირადად იცნობდა და მეგობარიც იყო მისი.

ახალგაზრდობაში ლამაზს, მდიდარს, იმ დროისათვის მშვენივრად განათლებულს, თავადს გაგარინს პატარა ხარისხებიანს ვორონცოვის ადიუტანტობა ჰქონდა ჯერ ისევ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ნოვოროსიისკის გენერალ - გუბერნატორად იყო. და როცა ვორონცოვმა კავკასიაში მეფისნაცვალის ადგილი მიიღო, გაგარინი ტფილისში გადმოჰყვა, თითქო წევრი ყოფილიყო მისი ოჯახისაო. აქ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ექსპედიციებში და ყოველგან დიდ სიმამაცეს და თაოსნობას იჩენდა, ხოლო როცა სამოქალაქო საქმეების შესრულებას ავალებდენ, ყველაფერს ისე მოხერხებულად აკეთებდა, რომ ვორონცოვმა ორმოციან წლების დასასრულს დერბენტის ქალაქის უფროსად დაჰნიშნა. ამ ხანებში იყო, რომ გაგარინმა ჯვარი დაიწერა თავად დავით ორბელიანის ასულ ანასტასიაზე, რომლის საშუალებით დაუნათესავდა ქართველობის მთელს მაღალ წოდებას *). დერბენტში გაგარინი დიდხანს არ დარჩენილა და გადმოიყვანეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. ამ ადგილზე გაგარინი რანდენსამე წილიწადს დარჩა ყირიმის ომის დაწყებამდე, და ეს ხანა ყველაზე უკეთესი ხანა იყო მისი საადმინისტრაციო ასპარეზზე მოღვაწეობისა.

არც თავის ჭკუით, აღარც თავის შორსმხედველობით გაგარინი არც დამოუკიდებელი და აღარც ორიგინალური მოღვაწე იყო, მასზე ითქმოდა მხოლოთ—მშვენიერი მოწაფეა ისეთის შესანიშნავის სახელმწიფო კაცისა და ადმინისტრატორისა, როგორიც იყო ვორონცოვიო. ცდილობდა თავის მასწავლებლის პროგრამისათვის ერთის ბეწოთითაც არ გადაეხვევნა და თავის საკუთარის პიროვნებით ამშვენებდა მის მიერ დაჭერილ პოსტს.

---

*) პირველ ცოლად გაგარინს ჰყავდა დეკაბრისტ პოჯიოსთან გაყრილი მარიამ ანდრიას ასული, ბოროზდინის ქალი, ამ წიგნის ავტორის ბიძაშვილი.

ვორონცოვის პროგრამა იმ ზომამდე სადა და მარტივი იყო, რომ საკმარისი იყო დაჰკვირვებოდით ამ მოხუცის საკუთარს მოქმედებას, რომ გაგეგოთ მისის პროგრამის დედა-აზრი. ვორონცოვი უუდიდეს სტრატეგიულ მუშაობას აწარმოებდა, ეს მუშაობა უუდიდესი იყო როგორც გაზრახვით, ისე თავის წვრილმანებითაც, და სწორედ ასეთმა მისმა პროგრამამ შეგვაძლებინა კავკასია სავსებით დაგვეპყრო, ამავე დროს აწარმოებდა საორგანიზაციო მუშაობას კავკასიის ყველა ნაწილების მართვა-გამგეობის საქმეში; თან ვორონცოვი არ ივიწყებდა მესამენაირ მეტად მნიშვნელოვან მუშაობას— პირადი გავლენა ჰქონოდა ადგილობრივთა მკვიდრთა ცხოვრების შინაურ მხარეზე. და აქაც მისი ნიჭი სავსებით იყო ხოლმე გადაშლილი. ამ მხარეში წარმოების დარგი არ იყო ისეთი, რომლისათვის ვორონცოვს თავისი გამჭრიახის თვალით არ შეეხედნა და სადაც თავის პირად მონაწილეობით არ აემოძრავებინა და არ წაეხალისებინა სასარგებლო საქმიანობისათვის ადგილობრივნი მკვიდრნი. მისის ხასიათის ასეთის თვისების წყალობით დიდძალი ნაცნობობა გაიჩინა მკვიდრთა შორის, მერე პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ იმახსოვრებდა ყველას სახესა და სახელს, და ეს ხომ საშინლად ხელს უწყობდა მისს ნაყოფიერსს მოღვაწეობას. როცა მხარის დასავლელად დადიოდა, ყველგან ისე ჰგრძნობდა თავს, თითქო შინაურიაო: ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა კერძო, პირადი ურთიერთობა ადგილობრივ მკვიდრებთან. ერთისათვის რიღასიც თესლი მიეცა, და ისიც ისწრაფვოდა მისთვის ეთქვა—მშვენივრად იხარაო, მეორესათვის—ნამყენი მიეცა ხილისა და კარგი ხილი რომ დაეკრიფნა, მასთან საჩვენებლად მიჰქონდა; მეორეგან სოფლელთ ახალი არხი გაეჭრათ მიწების მოსარწყავად და მოხუცი ვორონცოვიც ეტლიდან ჩამოდიოდა, შინჯავდა მათს ნამუშევარს, თავის შენიშვნას აძლევდა, ხარობდა მათის ნაკეთებით; მესამე ალაგას კალია გაჩენილიყო და ისიც დარიგებას აძლევდა როგორ გაეწყვიტნათ ყანის მტერი და მაშინათვე განკარგულებას გასცემდა ამის შესახებ; ხოლო კახეთის ერთ სოფელში დღესაც დგას ერთი უშვილებელი კაკლის ხე, რომელსაც ვორონცოვის სახელს ეძახიან შემდეგის ამბის გამო. ხე მართლაც უზარმაზარი რამ არის, ოთხი კაცი ძლივს შეეოუწვდენს ხელებს, ხოლო ტოტების დიამეტრი ას ნაბიჯამდე იქნება. ქუდივით ხშირით და სქლათ გაშლილი ცოცხალ კარავსა ჰგავს, რომლის ქვეშ სამას კაცზე მეტი დაეტევა თავისუფლად. ამ ხემ ძალაუნებურად მიიპყრო ვორონცოვის ყურადღება, მხლებლებს მის ახლოს გაჩერება უბრძანა. და მოი-

სურვა ხის პატრონის ნახვა. მოვიდა თვით პატრონიც, გლეხი. ვორონცოვი თავის ამალითურთ ხეს ქვეშ იჯდა და გლეხსა ჰკითხა, რამდენი კაკალი ჩამოგვა ამ ხიდანაო. გლეხმა უპასუხა -ყოველწლიურად 60 ფუთამდე ჩამომიდისო. ვორონცოვმა ასწავლა, როგორ უნდოდა მისი მოვლა, როგორ უნდა შეეჭრა გამხმარი ტოტები და, დასასრულ, აჩუქა რამდენიმე ძველებური ფული, რომ ამით გლეხს სულმუდამ ხსომებოდა მისი დარიგება და მოევლო ხისათვის. გლეხი ამ ფულებს წმიდანის ნაწილებივით ინახავდა, ხოლო ვორონცოვი მას შემდეგ ყოველთვის, როცა კი ჩაივლიდა ხესთან, უეჭველად ჩამოხტებოდა მისს ჩრდილს ქვეშ დასასვენებლად, ზოგჯერ აქავე ისაუზმებდა კიდეც.

მხარის დავლის დროს მასთან მიდიოდენ ომში მოკლულთა ობლები, ქვრივები და ყველანი ვისაც კი მართლაც უჭირდათ, გაუკითხავნი არა რჩებოდნენ, ხელცარიელს არავის გაუშვებდა. რომელსამე მის პირადს ადიუტანტს ყოველთვის თან ჰქონდა პარკით ჩერვონცები, რომლებიც ვორონცოვის ბრძანებით დაუყოვნებლივ ურიგდებოდათ ხოლმე როგორც შესაწევარი გაჭირვებულთ. იმავე დროს როცა საჭირო იყო, ვორონცოვს გამოაჩნდებოდა მეტად სერიოზული ენერგია, თუ ეს ენერგია საჭირო იქმნებოდა რაიმე ბოროტების აღსაკვეთად. მაზრის უფროსი, რომელიც აუცილებლივ თან დაჰყვებოდა ვორონცოვს, სწრაფად, ხელდახელ ჰმოქმედებდა. ერთის სიტყვით, ვორონცოვის ყოველ მოგზაურობის შემდეგ ღრმა კვალი რჩებოდა და მკვიდრნი ჰგრძნობდენ, რომ მათს შორის გაიარა მეფის ნაცვალმა (სერდარმა).

თვით ტფილისში ვორონცოვი პირდაპირ სული და გული იყო ამ ქალაქისა. ყოველდღე დილით სასეირნოდ გამოდიოდა, უკან მოჰყვებოდა ყაზახრუსი, რომელსაც მისი ქოლგა და კალოშები მოჰქონდა. და ამ სეირნობის დროსაც კი რასმე სასარგებლოს აკეთებდა. ჩვეულებრივ ეს ორი ქვეითი კაცი იქითკენ გაემართებოდა, სადაც რასმე აშენებდენ, ან კიდევ ბაზრისაკენ. წინ მომავალს მოხუცს ნაცნობი და მეგობარი, საცა არა მგონია, ყველგან გამოუჩნდებოდა. აქ ხურო მიხაკო აუხსნიდა, რა გააკეთეს გუშინ დილიდან; იქ ივანიკა კალატოზი უჩვენებდა, თუ რამდენზე ამოიყვანა აგურით კედელი სპარსელ მუშების დახმარებით; ან ლაპარაკს დაუწყებდა მოიჯარადრეს ამოყვანილ კუთხის სისწორეზე, თარაზოთი ასწორებდენ; ყოველისავე ამის წყალობით მუშაობა კარგათ მიდიოდა, ბაზარში ისევ შეხვდებოდა ნაცნობები და ჩამოუგდებდა ლაპარაკს აქითურ-იქითურზე.

ასეთის გულისამაჩვილებელის სისადავისა იყო ვორონცოვი, მაგრამ აზრადაც-კი არავის მოუვიდოდა, მას შესაფერის პატივით არ მოპყრობოდენ; მაგრამ კავკასიის მკვიდრნი, და განსაკუთრებით მაშინდელნი, ისეთი ზრდილნი და თავდაჭერილნი იყვნენ, რომ ჩვენ რუსებს ბევრ რაშიმე შეგვეძლო მათთვის მიგვებაძნა.

ვორონცოვის შესახებ მთელი წიგნი უნდა დაიწეროს ცალკე. აქ კი, გაგარინს ვუბრუნდებით, უნდა ვსთქვათ, რომ გაგარინი ვორონცოვის ერთი უსაყვარლესი და საუკეთესო მოწაფეთაგანი იყო.

ყველასათვის მისაწდომი, მომჯადოებლად სასიამოვნო ყველასთან, გაგარინი მართლა რომ შეყვარებულივით ეკიდებოდა თავის ბუნებით განსაცვიფრებელ მხარეს, რომელიც მასა ჰქონდა ჩაბარებული მოსავლელად, და მთელს თავისს ძალღონეს მისს სამსახურს ანდომებდა. მებალეობა გაშმაგებით უყვარდა და თავგამოდებითა სცდილობდა ადგილობრივ მკვიდრთათვისაც შეეყვარებინებინა. ქუთაისში გააშენა ბულვარი, საქალაქო ბაღი და ფერმა, რომლებიც დღემდე დარჩენილნი არიან ცოცხალ ძეგლებად, გაგარინის მოსაგონარად. გამოაწერინა შეტად იშვიათი ხეები, მცენარენი, ყვავილები, რომელთაც აქაურის მადლიანის ჰავის წყალობით საუცხოოდ იხარეს; ფერმაში იპოვიდით ფრანგულ, რეინის თუ იტალიურ ყველა საუკეთესო ჯიშის ყურძენს. ნერგებს სიამოვნებით ურიგებდენ ყველას, ვინც მოისურვებდა მათს გაშენებას თავისს მამულში. ამ ფერმის წყალობით, იზაბელლას (ადესა) ყურძენი, ყირიმიდან შემოტანილი, მთელს მხარეში გავრცელდა.

გაგარინის მართვა-გამგეობის დროს ქუთაისში აშენებულ იქმნა საგუბერნიო გიმნაზია, სამხედრო გოსპიტალი, ორი ხიდი რიონზე, დაიწყეს შენება საგუბერნიო დაწესებულებათა. მანვე გააშენა აქ პირველი კლუბი და მასთანვე საზოგადო საკრებულო, რომ ამით გაეცხოველებინა და შეეერთებინა აქაური საზოგადოება. ყოველივე ეს ყველა სხვა ადმინისტრატორსაც შეეძლო გაეკეთებინა. და მართლაც კეთდებოდა კიდეცა, მხოლოდ გაგარინს ეს როგორღაც უფრო გამოუდიოდა ხელიდან, ემარჯვებოდა მისის მეტისმეტად გულწრფელ და სიმპატიურ პიროვნების წყალობით. ყველამ იცოდა, რომ გაგარინი საუცხოო გულის კაცი აყო, იცოდა, რომ იგი არ არ ინდომებდა და არც შეეძლო ვისთვისმე ეწყენინებინა, ვისმე მისგან გულს დაჰკლებოდა. კაცი ვერ იტყოდა, რომ იგი გულგრილი ან მეტად თავდაჭერილი ყოფილიყო; სრულებითაც არა, გაგარინი იყო მეტად მოძრაგი, ფიცხი და ზოგჯერ ცხარეც, იყვირებდა ზოგ-

ჯერ საშინლად, დაიწყებდა დარბაზში სირბილს, გრძელი და ხუ-ჭუჭი თმა აეჩეჩებოდა და მაინც ვინც ასეთს უყურებდა, ყველამ იცოდა, რომ ამ კაცს არ შეეძლო ვისთვისმე ვნება რამ მოეყენებინა. ცოლი მისი მარჯვენა ხელი იყო მისი. ტომით ქართველი, ქმარივით ყველას მიმღებიანი იყო. ყველა დაჩაგრულს და უპატრონოს მფარველობას უწევდა და ნუგეშსა სცემდა. უშვილონი იყვნენ, მაგრამ მეტად ტკბილი და ბედნიერი ცოლქმრობა ჰქონდათ.

არ შეიძლება ისიც არ მოვიგონოთ, რომ იმ დროს რუსსა და აქაურს მკვიდრს შორის ერთი ბეწო განსხვავება არა ყოფილა; ჩვენ-ქართველებთან პირდაპირ ძმურად ვცხოვრობდით იმის წყალობით, რომ თვითონ ვორონცოვს ისე ეჭირა თავი. ამას მისი თანამშრომლებიცა ხედავდენ და ცდილობდენ ქართველებთან ურთიერთობაში ვორონცოვის ქცევისათვის მიებაძნათ, მაშინ ხსენებაც კი არ იყო იმ უშვერისა და უხეშის სეპარატიზმისა, რომლითაც თავი მოაქვს ახლა განსაკუთრებით ახალგაზრდობას ამიერკავკასიაში.

დრო-და-დრო ქუთაისში თვითონ ვორონცოვი და მისი მეუღლეც ჩამოდიოდენ. ვორონცოვი თანაგრძნობით თვალყურს ადევნებდა გაგარინის მოქმედებას და გულმხურვალედ მხარს უჭერდა როგორც ზნეობრივად, ისე მატერიალურადაც; ხოლო ვორონცოვის მეუღლე, რომელმაც აქ თავის ხარჯით წმ. ნინოს სახელობის პირველი საქალებო სასწავლებელი დააარსა, მის წარმატებისათვის დედობრივის მზრუნველობით ჰზრუნავდა.

მაგრამ გაგარინის მართვა-გამგეობის ამ მშვენიერ ხანას ღრუბელი გადააფარა 1853 წელს ყირიმის ომმა. ეს ომი ამ მხარიდანაც დაიწყო. ოსმალები გამოვიდენ შავი ზღვის ნაპირას ჩოლოქის სიმაგრეში, ამოსწყვიტეს აქაური გარნიზონი, რომელიც შესდგებოდა სახაზო ბატალიონის როტისაგან და, რომელსაც უფროსობდა კაპიტანი შჩერბაკოვი, და ამას მოჰყვა საერთო სამხედრო მოქმედებაც. გაგარინს ჩააბარეს გურულთა რაზმის უფროსობა. ოსმალებთან შეტაკებაში რამდენჯერმე გაიმარჯვა კიდეცა, მაგრამ როცა მოსალოდნელი გახდა წამოსვლა ოსმალთა დიდის კორპუსისა, გაგარინს თავისი ადგილი უნდა დაეთმო უფრო გამოჩენილ და გამოცდილ სტრატეგ ანდრონიკაშვილისათვის, თვითონ კი მე-13 დივიზიის უფროსობა იკისრა.

ერთის წლის შემდეგ, ყარსთან, მარცხნით იერიშის მიტანის დროს, სადაც იმყოფებოდა მისი დივიზია, გაგარინი მძიმედ დაიჭრა მარცხენა მხარში, ტყვიამ მთლად გაუარა კისერში. დაჭრილი ნახევრად მკვდარი გაიტანეს ბრძოლის ველიდან და დიდსხანს მე-

ტად საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ცოტათი რომ მოიკეთა, ექიმებმა საზღვარგარეთ წასვლა ურჩიეს და ისიც მეუღლითურთ იქითკენ გაემგზავრა.

მთელი წელიწადი პარიზსა და წყლებზე დაჰყო და სამშობლოში 1856 წელს დაბრუნდა. გადაწყვეტილი ჰქონდა სამსახურიდან გამოსულიყო და დასახლებულიყო თავის ყირიმის მამულში. ქუჩუკ-ლამბათში, სამხრეთ ნაპირის ამ კალმით დახატულ კუთხეში. ვორონცოვი ამ დროს გადაიცვალა, უიმისოდ კი სამსახურში დარჩენა გაგარინისათვის ყოველსავე ინტერესს მოკლებული იყო; ხანიც დასვენებას უთქმიდა, უკვე 60 წელს იყო მიტანებული, და ამასთანავე ყური უნდა ეგდო საკუთარ მამულისათვის, რომელიც სრულებით თავმინებებული იყო სამსახურის დროს.

და აი ასეთს წუთას და ასეთს გუნებაზე მყოფს შეხვდა თავადი ბარიატინსკი, რომელიც თავისთვის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაეძებდა. თვით ბედმა უჩვენა ბარიატინსკის გაგარინი.

როცა ბარიატინსკიმ გაუზიარა განზრახვა მისი წამოყვანისა, გაგარინმა ცივი უარი უთხრა, პირველ წუთას ახლოსაც არ იკარებდა მისს ნათქვამს და თავისს უარს ასაბუთებდა კიდეც მრავალის საბუთებითა; მაგრამ ბარიატინსკი კერპი და გაუტეხელი კაცი იყო და რასაც მოინდომებდა, უეჭველად გაიტანდა. იერიში მიიტანა, რა თქმა უნდა, მეტად მეგობრულის და ქების სიტყვებით და ისე მოახერხა, რომ ხელმწიფემ თვითონ მიიწვია გაგარინი თავის ახალ ნაცვლის თანამშრომლად. ამასთან, რა თქმა უნდა, აგრძნობინეს, რომ მისი სამსახური განსაკუთრებულათ ხანგრძლივი არ იქნებოდა; იმედი ჰქონდათ, ორ-სამ წელიწადში კავკასიის დაპყრობა დასრულდებოდა, და მერე ამას მოჰყვებოდა მისი დასვენებაცა და განსაკუთრებული პატივიცა. ბოლოს და ბოლოს, გაგარინი დაიყოლიეს, და რაკი თავისი თანხმობა განაცხადა, ისევ გამხნევდა, გაყმაწვილდა და 1857 წლის თებერვალში უკვე ქუთაისში ჩამოვიდა, სადაც მთელი მოსახლეობა აღტაცებით დაუხვდა.

მისის შტაბის უფროსად დანიშნულ იქმნა გენერალურ შტაბის ლეგიონის უფროსი ბარონი პეტრე კარლოს ძე უსლარი. მის დანიშვნა, ალბათ ბარიატინსკისა და გაგარინის ერთად მოლაპარაკებისა და შეთანხმების შემდეგ.

უსლარი ბევრნაირად დიდი პიროვნება იყო. ტვერელი მემამულე, საინჟენერო სასწავლებლის მოწაფე, რომელიც შემდეგში გენერალურ შტაბის აკადემიაში შევიდა და მისი კურსი ჩინებულად დაამთავრა, იმავე დროს თავისუფალ მსმენელად იყო ს.-პეტერბურ-

გის უნივერსიტეტის საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტისა, მერე უცხოეთის რამდენისამე უნივერსიტეტში ისტორიისა და ფილოლოგიის სხვადასხვა კურსებს ისმენდა, და ყველა ამის წყალობით დიდის ერუდიციის პატრონი იყო, იცოდა ევროპული ძველი და ახალი ენებიც და ორი ენაც აღმოსავლეთისა: ოსმალური და სპარსული. ამავე დროს მეცნიერების მრავალი დარგი მრავალმხრივ და საფუძვლიანად ჰქონდა გაცნობილი. თან ნიჭი ჰქონდა მეტის-მეტის სიადვილით და მკაფიობით გამოეთქვა თავისი აზრი და ამის წყალობით იგი იყო არა მარტო შესანიშნავი რედაქტორი, არამედ ნიჭიერი მწერალიც. ბაასში მეტად ენამახვილი იყო, ემარჯვებოდა მშვენივრად ლაპარაკი და თავის ნათქვამს სულ ადვილად გარწმუნებინებდათ. მისი პროექტები, წინადადებანი, განმარტებითი მოხსენებანი პირდაპირ ნიმუში იყო ლოლიკურად აზროვნებისა და ნაფიქრ-ნააზრის ოსტატურად გამოთქმისა.

სამხედრო აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ უსლარს რამდენიმე მივლინება ჰქონდა სხვადასხვა ადგილებში იმპერიის სამხედრო-სასტატისტიკო აღსაწერად ტ-სხვათა, შორის, მოგზაურობდა დასავლეთ ციმბირშიაც. ორმოციან წლების ნახევარში, ვორონცოვის დროს, უსლარი გადმოვიდა კავკასიაში, ათ წელიწადზე მეტს ხანს მსახურობდა აქ და ამ ხნის განძავლობაში ძალიან კარგათ გაიცნო მხარე. შემდეგში უსლარი კავკასიის ისტორიოგრაფი გახდა, შეისწავლა რამდენიმე კილოკავი მთიელებისა, შეუდგინა ამათ ანბანი და გრამატიკა, და დასტოვა მრავალი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც სამწუხაროდ დღემდე გამოცემულები არ არის.

მართალია, პატივისცემით ვიხსენიებთ ამ მაღალნიჭიერის კაცის ხსოვნას, მაგრამ სიმართლე მოითხოვს არ გავჩუმდეთ და მოვიხსენიოთ მისი ნაკლულევანებიცა. პირველი მათგანი ის იყო, რომ უსლარს თავის თავისმოყვარეობა განსაკუთრებულ კულტადა ჰქონდა გადაქცეული. დიდის ცოდნის პატრონი იყო და ამ ცოდნის გამოყენებაც ემარჯვებოდა და ხშირად არ შეხვდებოდა ისეთ მოწინააღმდეგეთ, რომელთაც მასთან კამათი და პასუხის გაცემა შესძლებოდათ. ამან გაანებივრა უსლარი და ბოროტად ხმარობდა თავისს არგუმენტაციას. რაც უნდა აშკარა შეცთომა მოსვლოდა, შეუძლებელი იყო აღეარებინა და თავის საშინელ არგუმენტაციის კორიანტელს დააყენებდა ხოლმე. ყოველთ უწინარეს და ყველაფერში იგი თეორეტიკოსი იყო, საცა სამართალი იყო, ის მსწავლულის კაბინეტში უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი, იქიდან არ გამოსულიყო და სამეცნიერო კვლევა-ძიება ეწარმოებინა; ის კი რალაც უცნაურ წი-

ნააღმდეგობებით უმეტესად ესწრაფვოდა ყველაზე ცოცხალ და მოძრავ სამხედრო საქმიანობას. ნამდვილად კი უსლარი სამხედრო კაცად თავის დღეში არ ყოფილა, და თუ იყო, იყო უმეტესად მოლაშქრე. კავკასიაში უსლარს იცნობდენ როგორც კაცს, რომელიც

ბარონი პეტრე კარლოსძე უსლარი
ცნობილი ლინგვისტი.

სულმუდამ ასრულებდა შტაბის უფროსის თანამდებობას სხვადასხვა რაზმებში, სთვლიდენ მეცნიერად და ამავე დროს უარს ვერ ჰყოფდენ იმ გარემოებას, რომ საცა კი ის მოექცეოდა რაზმში, ყველგან უეჭველად რაიმე საბედისწერო მარცხი და უბედურება უნდა მომ-

ხდარიყო. მაგალიდად, როცა უსლარი სლეპკოვთან მსახურობდა სუნჯაში—სლეპკოვი იქ მოჰკლეს; მსახურობდა თავად მელიქოვთან, ლეკების წინააღმდეგ—შამილმა გაარღვია ხაზი და დაარბია კახეთი, ტყვედ წაიყვანა თავად ჭავჭავაძის ოჯახობა; მსახურობდა თავად მუხრან-ბატონთან გურულთა რაზმში—ომერ-ფაშამ ცხვირპირი დაამტვრია ამ რაზმს ინგურთან და დაიკავა სამეგრელო; ან და თავად გაგარინის დროს... მაგრამ ეს ამბავი წინ გვიდევს და მაშინ ვილაპარაკოთ, როცა იმამდე მივალთ. უსლარის თაყვანისმცემელი ყველა ამ მარცხს შემთხვევას აბრალებენ, მაგრამ ყოველივე ეს მწარედ აღონებდა არამც თუ სხვებს, თვით უსლარს ცუდ გუნებაზე აყენებდა. თუ ამ საქმიანობის დროს, ისე კერძოდ უსლარი მიუკარებელი იყო, დაღრეჯილი, თუ ბაასის დროს ღვინო არ გაჩნდებოდა დასალევი. ღვინო-კი, სამწუხაროთ, ძალიან უყვარდა და ხშირათა სვამდა. ღვინის სმისაგან ბევრი ნიჭიერი ხალხი დაგვეღუპა და მათ შორის უსლარიც; სამოცდაათიან წლების ნახევარში უსლარი თავის სოფელში სცხოვრობდა, მეტისმეტის სმისაგან უცბად გაგიჟდა (delirium tremens) და თან გადაჰყვა.

მაგრამ გაგარინისთვის უსლარის ნაკლი არ არსებობდა. მისთვის უსლარი იყო გენერალურ შტაბის გამოცდილი ოფიცერი, დიდათ განათლებული და ნიჭიერი, და გაგარინი, როგორც რბილი ხასიათის კაცი, მის ავტორიტეტის წინაშე მუხლს ადვილად იდრეკდა. ყველაფერს უსლარსა ჰკითხავდა, უიმისოდ წყალს არ დაჰლევდა.

საქმე იმ.ით დაიწყეს გაგარინმა და უსლარმა, რომ ორივენი შეუდგნენ მხარის დათვალიერებას, რომელსაც ორნივე კარგად იცნობდენ ამასწინანდელ მოგონებათა წყალობით. მაგრამ ეს მოგონებანი თავისი ხასიათით ორივესათვის სულ სხვადასხვანაირი იყო და ამ მოგონების მიხედვით თითოეული მათგანი სულ სხვადასხვანაირად აპირებდა მომავალში საერთოდ მოქმედებას.

7

გაგარინს, როგორც ქუთაისში, ისე ყველგან სხვაგან დიდის აღტაცებითა და ყოვლადის გულწრფელობითა ხვდებოდენ, და თვითონ ისიც სასიამოვნო წარსულის შთაბეჭდილიბებს ქვეშ იმყოფებოდა, კარგს გუნებაზე იყო და თავის წინაშე დასახული ჰქონდა ერთად-ერთი მიზანი—სიკეთე ეყო და გაებედნიერებინა მისდამი ჩაბარებული მხარე. ყოველს ნაბიჯზე თვალწინ ედგა კვალი ამ მხარის განადგურებისა ოსმალოთაგან. და ზოგიერთ ადგილის ცნობაც-კი

უჭირდა, ისე იყო ოსმალთაგან იავარყოფილი. უნდოდა დაეევიწყებინა მთელი დრამა აქ მომხდარ ომისა, მტყუანსა და მართალს არ ეძებდა, ხედავდა მხოლოდ საერთო. უბედურობის კვალს, რომელიც, რაც შეიძლებოდა, ჩქარა უნდა მოესპო და ხელი შეეწყო მხარის წარმოებითი ძალთა ფეხზე წამოდგომისათვის.

უსლარი კი სულ სხვანაირად სცდილობდა ფონს გასვლას. ამ ერთს წელს წინათ ამ მხარეში მეტად მძიმე წამები გამოიარა და განიცადა მთელი სიმწარე. იმ კაცის მდგომარეობისა, რომელიც საშინელის მარცხით გათავებულ და გახმიანებულ საქმის სათავეში იდგა. ომერ-ფაშამ გურულთა რაზმი რომ დაამარცხა, ეს რაზმი ინგურიდან გამოიქცა და სამეგრელოს საზღვრებს გასცდა. და აჰა, უსლარი იძულებული შეიქმნა რამდენისამე თთვის განმავლობაში დაბა ხონში მჯდარიყო და ეყურებინა თავის ცხვირ წინ ატუზულ მტრისათვის, რომელიც უწყალოდ აჩანაგებდა მის მიერ დაპყრობილ მხარეს და რომლისათვის უსლარს არ შეეძლო რამე სერიოზული ზიანი მიეყენებინა. ყოველივე ეს მეტად სტანჯავდა და გულს უკლავდა უსლარს. თავადმა მუხრან-ბატონმა განიზრახა ოსმალების წინააღმდეგ პარტიზანული ომი გამოეწვია სამეგრელოს ხალხში, მაგრამ ეს განზრახვა ოცნებად დარჩა. უსლარი მხოლოთ იმ ცნობებით ინუგეშებდა თავს, რომელიც ჯაშუშებს მოჰქონდათ მტრის შესახებ, და თან თვალყურს ადევნებდა—აფხაზეთის, სამეგრელოს და სვანეთის მთავრებს როგორ ეჭირათ თავი. ამ დაკვირვებისაგან ბევრი არაფერი სანუგეშო დასკვნა გამოდიოდა: მხარეს შიგნით ნამდვილი ღალატი იყო და ამ ღალატს ვერას უშველიდა კაცი. ამ ღალატის დაწვრილებითი ამბების ერთად თავის მოყრა, დასახელება ღალატში გაერეულ პირთა, აგრეთვე გენერალ მურავიოვის გამტყუნება იმაში, რომ გურულთა რაზმს გაჭირების დროს ჯარი არ მიაშველა,—მასალად დაედო უსლარის მშვენიერს მოხსენებას. ამ მოხსენებაში უსლარი ცდილობდა გაემართლებინა მუხრან-ბატონის მოქმედება, ე. ი., იმასთან ერთად თავის საკუთარიცა. ამ ნიჭიერ თავისდაცვაში, უსლარს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ობიეკტური და მიუკერძველი ყოფილიყო, მთელი ბრალი ამ მხარის ხელმძღვანელ პირთ მოახვია და დაურიდებლად პირშავად გამოიყვანა ქვეყნის წინაშე; ამნაირისავე თვალით უყურებდა ამათ ახლა, როცა გაგარინთან ერთად ამ მხარეში მოგზაურობდა. მ. შარვაშიძე, დადიანი და დადეშქელიანი ისევ გამოდიოდენ სცენაზე მათის სამთავროების ავტონომიებითურთ. ამათ, უსლარის აზრით, ბოლო უნდა მოჰღებოდათ; და ახლა საკითხავი სახელდობრ ის იყო, თუ როგორ უნდა

მოჰღებოდათ ბოლო. მართალია, მათი ავტონომია წარმოადგენდა უკვე დრომოჭმულ მოვლენას, აბსურდს, და ხელმწიფისა და მეფის ნაცვლის უმაღლეს საბჭოში ამ ავტონომიებს საბოლოო განაჩენი გამოუტანეს; მაგრამ საჭირო იყო გამოეგონებინათ საუკეთესო საშუალება მათის ლიკვიდაციისათვის. და ეს ჰქონდათ სწორეთ თავშისაცემად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორსა და მისის შტაბის უფროსს. ყოველსავე შემთხვევაში ეს ლიკვიდაცია არ უნდა მომხდარიყო რაიმე სუბიეკტურ გავლენით, რომელიმე კერძო კაცის ჟინიანობით, არამედ ფართო მასშტაბით, ზევიდან. ქვეყანამ იცოდა, რომ როცა რუსეთმა შემოიერთა ეს სამთავროები, მხოლოდ და მხოლოდ თვითონ რუსეთმავე შეჰქმნა მათში არსებული ავტონომიები, ერთგულათ იცავდა და იფარავდა ამ ავტონომიებს აქაურ მცხოვრებთა საზიანოდ, და აბა სწორედ რუსეთსავე ჰმართებდა ლიკვიდირება ამ ავტონომიებისა ისე, როგორც ეს შეეფერებოდა დიდ სახელმწიფოს ღირსებას და სახელს.

უეჭველად ასეთის შეხედულებისად დარჩებოდა გაგარინი, უსლარის წმინდა სუბიეკტიური გავლენა რომ არ ყოფილიყო. ეს გავლენა მაშინათვე გამოჩნდა სვანეთის საქმეში. ჯამსუხის ოჯახობა დაკმაყოფილებასა გვთხოვდა; სადაეშქელიანო სვანეთის საქმე უსლარმა პირველ ჯერში დააყენა და ამას მაშინათვე შეუდგა, მხარის მოვლას რომ მორჩა.

მასალა, რომელსაც მკითხველნი ჩვენის წინანდელ ნაამბობისაგან იცნობენ და რომელიც გენერალ-გუბერნატორის შტაბში ინახებოდა, საბრალმდებლო ოქმის ყველა ელემენტს შეიცავდა, და უსლარმა სწორეთ ასეთი და არა სხვანაირი ფორმა მისცა ამ მასალას: 1) მკვლელობა ჯამსუხისა, რასაც ამ უკანასკნელის ოჯახი კონსტანტინე დადეშქელიანს აბრალებდა და რასაც მხარს უჭერდა დედოფალი სამეგრელოსი; 2) ურთიერთობა ომერ-ფაშასთან თანახმად იმ ცხობებისა, რომელნიც ჯაშუშებს მოჰქონდათ; 3) უწამებლობა რუსეთის მთავრობისა როგორც მთელის ომის განმავლობაში, ისე მთელ ერთს წელიწადს ომის გათავებას შემდეგ; 4) თავისუფალ სვანეთის ბოქაულის შეუშვებლობა თავისს საბოქაულოში. ამის მეტი არც კი იყო საჭირო საბრალმდებლო ოქმისათვის. ახლა საქმე ის იყო,—ბრალდებულისათვის რა უნდა ექნათ?

გადასწყდა ხელახლა გაეგზავნათ ბოქაული მიქელაძე და მისი პირით კიდევ და უკანასკნელათ მოეწვიათ კონსტანტინე და ალექსანდრე ქუთაისში, თანაც უკანასკნელი ვადა შეეთვალნათ ჩამოსვლისა. მიქელაძე წავიდა და რომ მობრუნდა, მთავრობას მოახსენა,

რომ ვერც ახლა მოვახერხე დადეშქელიანების ნახვა და თავისუფალ საზოგადოებათა მამასახლისების საშუალებით უწყებები გავუგზავნეო. ამასთანავე გავიგე, რომ ამ საზოგადოებათა მცხოვრებნი კონსტანტინესაგან ისე შეწუხებულნი, როგორც ახლა არიან, თავის დღეში არა ყოფილანო. უწყებაში აღნიშნული ვადა გავიდა და დადეშქელიანები მაინც არ ჩამოვიდენ ქუთაისში.

უსლარს შემმართებლობის ჟინი გაეღვიძა და არწმუნებდა გაგარინს—საჭიროა განსაკუთრებული ეკსპედიცია გავგზავნოთ სადადეშქელიანო სვანეთში ჯვარის ხეობითაო. ეს მეამბოხეობისა და შფოთის ბუდე, მისის აზრით, უნდა აღმოფხვრილიყო, თორემ თუ ასე შევარჩინეთ ურჩობა, ცუდის თვალით დაგვიწყებს ყურებას ჯერ ისევ ურჩი მოსახლეობა მთებისაო.

იმ ხანებში გაგარინს სხვა საქმეებიც ბევრი ჰქონდა. ირჩეოდა კითხვა, თუ სად აერჩიათ პორტი შავს ზღვაზედ: სოხუმსა, რედუტ-ყალესა (ყულევსა) თუ ფოთში; ამ საქმეში მას თანამშრომლებადა ჰყავდა ლეგიონის უფროსი ივანოვი და კაპიტანი ფალკენგაგენი; სამეგრელოში დომხალივით აირია ყველაფერი და იქითკენ დუკრუასი წავიდა. მხოლოდ აფხაზეთის მთავართან იყო საქმე კარგათ; მიხეილ შარვაშიძე იმ ზომამდე დაუშინაურდა გაგარინს, რომ თავისი უფროსი შვილი გიორგი აღსაზრდელადაც-კი მიაბარა. ცოლქმარმა გაგარინებმა ეს ათის წლის ლამაზი და ჭკუიანი ყმაწვილი ღვიძლი შვილივით აიყვანეს. და აქაც უჩემობა არ იქნა: გაგარინმა იცოდა, რომ მე მინდობილი მქონდა აღზრდა სამეგრელოს მცირეწლოვან მთავრისა (ორ წელიწადს ნახევარს ვასწავლიდი და კარგათაც ითვისებდა სწავლას), და ამიტომ მთხოვა გიორგისათვისაც მესწავლებინა. მაგრამ მე გამოცდილებით ვიყავ დარწმუნებული, თუ რა ძნელი იყო შეთანხმება წესიერის სწავლა-აღზრდის მოთხოვნათა იმ პირობებთან, იმ გარემოსთან, რომელშიაც ჩაყენებულნი იყვნენ ეს ბავშვები თავიანთის ჩამომავლობის წყალობით, ამიტომ არ მინდოდა ჩემს თავზე ასეთი მძიმე პასუხისმგებლობა მიმეღო და მოცემულ წინადადებაზე უარი ვსთქვი. მაგრამ მიუხედავად ამისა, რაკი გაგარინთან ვცხოვრობდი სახლში, როგორც განსაკუთრებულ დავალებათა აღმასრულებელი პიროვნება, იმაზე მაინც უარი ვერა ვსთქვი, თვალყური მედევნებინა იმ გაკვეთილებისათვის, რომლებსაც მასწავლებლები ბავშვს აძლევდენ.

თავადს არ ავიწყდებოდა თავისი საყვარელი მებაღეობაც და, ათასში ერთხელ როგორც კი მოიცლიდა, მაშინათვე ფერმისაკენ გასწევდა. საღამოობით ჯუინის სალონში მოვიყრიდით თავს, სადაც

მოდიოდა დღიურ ჭირ-ვარამით და ზრუნვით დაღლილი გაგარინი, და გაიმართებოდა ხოლმე შინაურული ბაასი, მეტად სასიამოვნო და საინტერესო.

და აჰა, ერთ-ერთ ასეთ საღამოს, გაგარინი უჩივოდა თავისს მდგომარეობას,—ჩემდა უნებურად მიხდება მუშაობაო, და მოგვიყვა, როგორ ატარებდა მეტად სასიამოვნო ბურჟუაზულ ცხოვრებას კნეინასთან ერთად პარიზში, რა ხშირათ დადიოდენ თეატრებში, ისმენდენ ოპერებს, სადილობდენ სხვადასხვა კაფეებში, დოღის საყურებლად შანტიიში დადიოდენ, მიდიოდენ ვერსალის, სენ-კლუს, ფონტენებლოს სანახავად; ყოველიკე ეს სიამოვნება სულ ჩალის ფასად გვიჯდებოდა და არ ვიცოდით სად გვეხარჯნა ფულიო... გაგარინს ლაპარაკი უცბად შეაწყვეტინა სასტუმროში შემოსულმა თარჯიმანმა თალხანმა და მოახსენა—თავადი ალექსანდრე დადეშქელიანი გეახლათ და დარბაზში გელოდებათო.

ეს ამბავი ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ჩვენ თითქო ერთბაშათ გამოგვაღვიძა სასიამოვნო ძილისაგან და პირის-პირ დაგვაყენა, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო სინამდვილესთანო. რა თქმა უნდა, ალექსანდრეს ჩამოსვლა დაკავშირებული იყო უსლარის რაზმის გასალაშქრებლად გასვლასთან, მაგრამ ერთბაშად მაინც გვიჭირდა გაგვეგო, რა ამბავი იყო.

გაგარინი დარბაზში გავიდა და ჩვენც უკან გავყევით. დადეშქელიანს სრული ფორმის ტანისამოსი ეცვა. პირველმა იმან დაიწყო ლაპარაკი.

— მაპატივეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ უდროო დროს გეახელით, მაგრამ მეტად დიდი ამბავი გახლავსთ. მხოლოდ ამ ოთხ დღეს წინად გავიგეთ მე და ჩემმა ძმამ, რომ რაზმი სადადეშქელიანო სვანეთისაკენ მოდის და მეც მაშინათვე ვისწრაფე აქეთკენ სადადიანო სვანეთის გზით; უწდა მოგახსენოთ, რომ აქ რაღაც საშინელი გაუგებრობაა დაფარული... ეს ეკსპედიცია, დავიჯერო, როგორც ჩვენ გავიგევით, ჩემის ძმის, კონსტანტინეს, წინააღმდეგ არის გაგზავნილი?

— დიახ,—უთხრა გაგარინმა,—რაზმი თქვენის ძმის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ ეს თქვენ არ შეგეხებათ, თქვენი საქმე სულ სხვაა. თქვენ, რომელიც რუსის ოფიცრის მუნდირს ატარებთ, რატომ და როგორ არ გამოცხადდით შვებულების გათავებისას თქვენს ლეგიონში და მერე საჭიროდ არა სცანით ჩემისა და ადგილობრივის უფროსთა გამოწვევაზე გამოცხადებულიყავით?

— 1855 წელს,— მოახსენა დადეშქელიანმა,—მე მართლაც ავად გავხდი და ავადმყოფობის რაპორტი ლეგიონში გავგზავნე კაპიტან დემიანოვიჩის ხელით. როცა მოვიკეთე, სვანეთიდან მომავალი გზები თოვლით იყო დაფარული და მე ჩემდაუნებურად დავრჩი. ომს შემდეგ ლეგიონიდან არ მოვუთხოვნივართ, ესეც არ ყოფილიყო, ძმაც არ მიშვებდა, სხვადასხვა საქმისათვის ვჭიროდი, თქვენგან და ადგილობრივის მთავრობის მიერ გამოძახების ამბავი არც ჩემს ძმას მოსვლია და არც მე.

— ბოქაულმა, თავადმა მიქელაძემ, რომ გამოგიგზავნათ უწყებები?

— მიქელაძე ჩვენთან არც ომამდე ყოფილა და არც ომს შემდეგ; რომ სდომნოდა კიდეც მოსვლა, არ შეეძლო მოსულიყო, რათგან უნდა გამოევლო თავისუფალ საზოგადოებებზე, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მის მოქმედებით. იქ არ გამოატარებდენ. ხოლო თუ ვისმე გადასცა უწყებები ჩვენდა ჩასაბარებლად, ჩვენთვის არ ჩაუბარებიათ.

— ამას ყველაფერს გავიგებ, ახლა კი ინებეთ და წაბრძანდით კომენდანტთან, თქვენი ხმალი გადაეცით და მოახსენეთ, რომ დატუსაღებული ბრძანდებით. ხვალ კი ტფილისში გაემგზავრებით და იქ მეფისნაცვალი განიხილავს თქვენს საქციელს.

გაგარინი მიუბრუნდა თავის ადიუტანტს, ე. ფ. ეკელნს და დაავალა მას ამ ბრძანების შესრულებისათვის თვალყური ედევნებინა.

მაგრამ დადეშქელიანი წასვლას აყოვნებდა.

— სანამ გეახლებოდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ვკადნიერდები და გთხოვთ მომისმინოთ რამდენიმე სიტყვა ჩემის ძმის შესახებ.

— აბა ბძანეთ.

— მე არ ვიცი, თქვენო ბრწყინვალებავ, რა ჰბრალდება ჩემს ძმას. მხოლოდ ის ვიცი, რომ თუ რამ ცილი დასწამეს, სიმართლე გამოჩნდება. თვითონ წამოვიდა რაზმის უფროსის შესახვედრად და გაუგებრობის გამოსარკვევად. იმას აბრალებენ ჯამსუხის სიკვდილს, მაგრამ ეს ლიტონი ბრალდება გახლავსთ, ეს ცილი დასწამეს მტრებმა, და ამ მტრებ შორის პირველი—დედოფალი ეკატერინე გახლავსთ. ჩემი ძმა—ერთი უბრალო კაცია, დიდის ჭკუისა არ გახლავსთ, უსწავლელია, ერთგულია ხელმწიფისა და მის მთავრობისა და ამის საუკეთესო საბუთად ის გარემოება. კმარა, რომ სწორედ იმის წინ, სანამ ომერფაშა სამეგრელოს დაიპყრობდა, თავისი შვილი

ტფილისში ჩაიყვანა აღსაზრდელად და იქ დასტოვა თავის ერთგულობის საწინდრად; მე კიდენ რჩევითა და რითაც კი შემეძლო, ვეხმარებოდი, და თუ ახლა ამ მისთვის მეტად გაჭირვებულ წამს გარემოება ერთმანეთს გვაშორებს, თქვენო ბრწყინვალებავ, ნუ მოაკლებთ თქვენს მფარველობას. იმას, როგორც ყველას ჩვენს მხარეში, სწამს თქვენის გულკეთილობისა და დიდსულობის ამბავი".

ეს ნალაპარაკევი, რა თქმა უნდა, ჩემ მიერ სტენოგრაფიულად არ არის გადმოცემული, არამედ ზოგადათ, ვიცავ მხოლოდ მის შინაარსს.

სათქმელი რომ გაათავა, ალექსანდრემ თავი დაუკრა გაგარინს და ეკელნთან ერთად დარბაზიდან გავიდა.

მეორე დღეს ალექსანდრე დადეშქელიანი ტფილისში გაგზავნეს, იქ კი ბარიატინსკიმა ბრძანა აღმოსავლეთ ციმბირში წასულიყო გრაფ მურავიოვ-ციმბირსკის განკარგულებაში. შემდეგში მისი საქმე სულ კარგათ წავიდა. მურავიოვმა დაიახლოვა; კლავ მოწყალედ დაუწყეს ყურება; როგორც მეტისმეტად ნიჭიერმა კაცმა, სამსახურში ადვილათ წაიწია წინ და ლეგიონის უფროსობა იშოვნა; მერე მურავიოვს ციმბირიდან გამოჰყვა, სამხრეთ რუსეთში მამული შეიძინა; იქ დასახლდა და, როგორც გავიგეთ, მდიდრადაც სცხოვრობდა.

ტფილისში ალექსანდრეს გამგზავრების შემდეგ სამმა დღემ გაიარა, ისე გაგარინთან თვით კონსტანტინეც მოვიდა. იმან გაგარინს შეატყობინა, რომ უსლარსა და მისს რაზმს სადადეშქელიანოსვანეთში უკანასკნელ გადასავალთან, სახელდობ ხუდონში, შემოვხვდი, გამოველაპარაკე და დავარწმუნე, რომ მისი შემოსევა ჩემს სამთავროში სამწუხარო გაუგებრობის ნაყოფია-მეთქი, ალბათ მტრებმა მომიგონეს ყველაფერი-მეთქი და ვარწმუნებდი—იქით არ წასულიყო; მაგრამ იმან პატივი არა სცა ჩემს ნათქვამს და გამომიცხადა—პირდაპირ უნდა წავიდე სვანეთშიო. ამიტომ თვითონ თქვენთან წამოვედი, რომ როგორც სამართლიანმა ადამიანმა, დამიფაროთო.

გაგარინი კონსტანტინეს მისის ღირსების საფერ პატივისცემით დაუხვდა. დამშვიდებით, ზრდილობიანათ მოუსმინა და დასასრულ უთხრა—ვერასფერს პასუხს მოგცემ, სანამ თვით უსლარი არ შემომითვლის საქმის ვითარებასაო, უსლარს-კი ახლავე გავუგზავნი საგანგებოდ კაცსაო. გაგარინმა კონსტანტინეს ქუთაისში დარჩენა და უსლარის ამბის მოსვლის დაცდა სთხოვა. იფრინდა მაშინათვე ფიჭრა.

მაგრამ უსლარისაგან სანამ მოხსენება მოვიდოდა, მთელმა კვირამ გაიარა და ამ მოლოდინში გაგარინი მეტად ჰლელავდა. იმას ძალიან აფიქრებდა ასე მოულოდნელი გასვლა ძმათა დადეშქელიანებისა სვანეთიდან; იქნებ მართლა ეს საქმე განგებაა ასე გაზვიადებული და თვით ეკსპედიცია ვაითუ ბელურებზე ნადირობას დაემსგავსოსო! ვინ იცის, რას იტყვის ბარიატინსკი? და საერთოდ მთელმა ამ საქმემ ვაი თუ ჩირქი რამ მოსცხოს ჩემს სამხედრო სახელსაო?! ამ ფიქრებმა ძალიან დაანაღვლიანეს და ააღელვეს გაგარინი. ასეთს შემთხვევაში იმან სეირნობა იცოდა ხოლმე ქვეითად. დაიჭერდა ვისმე მასთან მყოფს, ათრევდა მანამდე, სანამ მუხლებში წყალს ჩაუყენებდა, ატარებდა ყოველგან, ხშირათ ქალაქ გარეთაც. ზოგჯერ კიდევ თავს შერგავდა ფერმაში და მცენარეთა და ყვავილთა შორის ჩაიფლეგოდა.

ამასობაში იფრინდები ერთი-მეორეს მისდევდენ უსლარისაკენ.

და აჰა, როგორც იქმნა, მისგან სულ დიდი მოხსენება მოვიდა. გაგარინმა რომ წაიკითხა, სახე გაუბრწყინდა. მოხსენება, რა თქმა უნდა, საუცხოვო სტილით იყო დაწერილი; უსლარის კალამს კრიტიკულ წამებში ფერი არ უკრთებოდა, კილო იმდენად დამშვიდებული იყო, რომ გაუქრა ყოველი ეჭვი იმისა, თითქო საქმე ცუდათ ყოფილიყოს დაწყებული.

მოხსენების დედააზრი საზოგადოთ ასეთი იყო, ძმათა დადეშქელიანების წამოსვლას სვანეთიდან უსლარი თვლიდა იმ თვალთმაქცობად, რომელსაც მელია განწირულების ჟამს მიმართავს ხოლმე: მელია ძაღლებს ატყუებს ან თავის კუდის ქნევით და ძაღლებს იქით-აქეთ აწყვეტებს, ან და ერთბაშად გაჭენებული მიწაზე გაერთხმის, სულგანაბული, თითქო მოჰკვდაო; ძაღლები თავზე გადაახტებიან და ის კი ამ დროს მოასწრებს და სულ შორს ჩამორჩება სადმე. დადეშქელიანების სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ასეთი ხერხი მათთვის ერთად-ერთი საშუალება იყო იმისთვის, თუნდაც ერთის წუთითაც ეცადნათ სხვათათვის თვალები აეხვიათ. რა თქმა უნდა, სამხედრო ექსპედიციის წინააღმდეგ გაძალიანების შესახებ ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ეს მათაც მშვენივრად ესმოდათ, და, მადლობა ღმერთს, რომ წამოვიდენ და ამგვარად თავიდან აგვაცილეს ყოველივე საბაბი თუნდ ერთ წვეთ სისხლის დაღვრისაო. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეკსპედიციას ნიშანში მარტო დადეშქელიანები არა ჰყავდა ამოღებული, არა, ამ ექსპედიციას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოესპო ადგილობრივი შინაური პირობები სადადეშქელიანო სვანეთისა, რო-

მელიც სიტყვით ვითომ მშვიდობიანი მხარე იყო, ნამდვილად კი ეს იყო ბუდე ყაჩაღობისა ⁄ ყოველგვარის შფოთისა. ეს სვანეთი საზღვრავდა ჩვენს ურჩს დალის ხეობას და არამთუ არ გვიფარავდა დალისაგან, პირიქით მასთან კავშირი ჰქონდა ჩვენს წინააღმდეგ და იმავე დროს განუწყვეტლივ თავს ესხმოდა გასაძარცვავად თავისუფალ სვანეთის საზოგადოებათ. ამიტომ უსლარმა ყურადღება არც-კი მიაქცია კონსტანტინეს წასვლას, ჩავიდა ეწერამდე და მალე დარწმუნდა, რომ აქ მდგომარეობა, რომ ეგონათ, იმაზე გაცილებით საშინელი ყოფილა. ამ მდგომარეობას უსლარი ოსტატურის კალმით აგვიწერს. სვანეთი მისთვის უუმდიდრეს მასალას წარმოადგენდა როგორც თავის ოროგრაფიულ, ისე სოციალურ პირობებით. ცას ქვეშეთში ასეთი კუთხე მეორე არ მოიძებნებოდა. ცივილიზაცია საოჯახო კავშირის პირველყოფილ ფორმაზე გაყინულა, მამას განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა თავის ოჯახის წევრებზე; ქალი ყოველსავე უფლებასაა მოკლებული; სარწმუნოება არ არსებობს, მის მაგივრად რაღაც ნარევი კერპთაყვანისმცემლობის, მუსულმანობის და ქრისტიანობის წესებისა; უმეცრება ანუ, უკეთ, ველურობა; სოციალური ურთიერთობა დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ უფრო ძლიერის მკლავზე; სისხლის აღების გამო გაუთავებელი დავა; ამასთან ჰავა საშინლად სუსხიანია, მწირი ბუნება არაფერს ადგილობრივს წყაროს იძლევა კეთილ ცხოვრებისათვის, აქაურობა მიუვალია. მოწყვეტილია მთელს ქვეყნიერობას.

აი ასეთ საჩინო ფონზე დაჰხატა უსლარმა თავისი სურათი, და ამ სურათის პირველ ადგილას იდგა, რა თქმა უნდა, დადეშქელიანი, რომელიც დესპოტურად უფლობდა იმდენათ თავისს საკუთარს სამთავროს, რამდენად მეზობელი თავისუფალ სვანეთის საზოგადოებათ. შეუძლებელი იყო ასეთის მდგომარეობის მოთმენა. უსლარი ეწერში რომ შევიდა, გროვა დახვდა თავისუფალ სვანეთის საზოგადოებათა მცხოვრებლებისა, ყველანი კონსტანტინეს ულმობელობას უჩივოდენ: აქედან ისე ვერ გავალო,—სწერდა უსლარი,—სანამ შეძლებისა და კვალად არ დავაკმაყოფილებ ძომჩივანთა და ბოქაულის კანონიერ ძალა-უფლებას პირველ საძირკველს არ ჩავუყრიო. დადეშქელიანისათვის თავის სამთავროში დაბრუნების უფლება არამცდაარამც უნდა მიეცათ. ეს უსლარმა მრავალის საბუთით დაასაბუთა ცალკე დამატებითს მოხსენებაში. თუ როგორ და რა სახით უნდა დაჯილდოვდეს დადეშქელიანი მისგან ჩამოსართმევ სამთავროს და ქონებისათვის, ამის შესახებ თავის მოსაზრების წარმოდგენას უსლარი ჰპირ-

დებოდა ცალკე პროექტში, თუ დამატებით მოხსენებასთან არა, იმის წარმოდგენის შემდეგ მაინც.

აი შინაარსი უსლარის უზარმაზარ მოხსენებისა.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ამ მოხსენებამ გაგარინი გამოაცოცხლა. მისის აზრით, იმდენათ საკმაოთ იყო დასაბუთებული ეს მოხსენება, რომ შეიძლებოდა ბარიატინსკის დაჯერება იმაში, რომ უსლარი მიზანშეწონილად მოქმედებდა. ამიტომ იმანაც აიღო ეს მოხსენება უსლარისა და სავსებით წარუდგინა ბარიატინსკის. ამასთან, მოიწვია კონსტანტინე დადეშქელიანი, ამხელად მეტად სერიოზად და ცივად დაუხვდა და უთხრა თვითონ წასულიყო ტფილისში: ტფილისში შეგეძლებათ მეფისნაცვალს აუხსნათ თქვენი მდგომარეობა და ისიც გეტყვისთ, თუ რა მიმართულებას მისცემს თქვენს საქმეს.

კონსტანტინე ტფილისში წამოვიდა, მაგრამ ამ წაწოსვლამ ვერ დააკმაყოფილა. ბარიატინსკიმ მისი ნახვა არ ისურვა, და მას ელაპარაკა მხოლოდ დ. ი. მილუტინი. ბარიატინსკის მახლობელნი მერე გვიამბობდენ, რომ სვანეთის მთელმა ისტორიამ საზოგადოდ სახე დაუღრიჯა და უსლარის მოხსენება რომ წაიკითხა, ირონიულადა სთქვა თურმე: „je trouve que cette litterature me revient trop cher“ *). მისივე აზრით, ეს სვანეთის ფილანტროპია შეიძლებოდა უფრო იაფადაც გაეკეთებინა კაცს და უექსპედიციოდაც. დადეშქელიანის ჩამოსვლა ტფილისში ნაადრევად ჩასთვალეს; სანამ უსლარისაგან დამატებითი მოხსენება არ მოუვიდოდათ, დადეშქელიანთან საბოლოოდ საქმის გათავება და ყველაფრის ლიკვიდაცია შეუძლებლად მიიჩნიეს, და ამიტომ გადასწყვიტეს კონსტანტინე დადეშქელიანი ისევ ქუთაისში დაებრუნებინათ, და რადგან დადეშქელიანს თავის მდგომარეობით განსაკუთრებითი თვალყურის დევნება და ბევრს რაშიმე ხელმძღვანელობა სჭიროდა, ბარიატინსკიმ საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნია, მისთვის მზრუნველად მიეჩინა პოლკის უფროსი ბარტოლომეი და მისსავე განკარგულებაში გადაერიცხა დადეშქელიანის სახარჯოდ ფული, რამდენიც დასჭირდებოდა.

ამნაირად ამ საქმეში ახალი მოქმედი პირიც გაერია, და საჭიროდა ვთვლით მკითხველთ ისიც გავაცნოთ.

ივანე ალექსის-ძე ბარტოლომეი ამხანაგი იყო თავად ბარიატინსკისა გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და კავალერიის იუნკრების სკოლაში სწავლის დროს. თავის სამსახური დაიწყო ლეიბგვარდიის ეგერთა ლეგიონში. შეძლებული იყო, მშვენივრად იცოდა რამდენიმე

*) ჩემის აზრით, ეს მიწერ-მოწერა ძვირად დამიჯდება.

ენა, განსაკუთრებით ფრანგული. ერთის სიტყვით, ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ საზოგადოებაში წარმატებული, საჩინო ყოფილიყო, კარგი კარიერა შეექმნა, გარეგნობით უშნო რომ არ ყოფილიყო. ეს კი ძალიან უშლიდა ხელს: დაბალის ტანისა იყო, წითური-ძოთეთრო ფერისა, თვალზედაც ლირბი ჰქონდა გადაკრული. ასეთის სახის პატრონი არავის მოსწონდა, განსაკუთრებით მშვენიერს სქესს, და პირველადვე, როგორც კი მოიწადინა საზოგადოებაში თავი გამოეჩინა, ამბობენ, ხელი არ მოემართაო. გაგიჟებით შეჰყვარებია ერთი მეტად მშვენიერი და მდიდარი საპატარძლო, მაგრამ ქალს ცივი უარი უთქვამს, და ამ უარს ისე დაუღონებია და აღუშფოთებია, რომ ხალხში გამოსვლაზე ხელი აუღია, ჩაკეტილა თავის მარტოხელი კაცის სენაკში და მთელის თვისის ძალ-ღონით ტ ენერგიით შესდგომია აღმოსავლეთის ენების შესწავლას, მაშინდელ ცნობილ რუს ორიენტალისტების კაზემბეკისა და გრიგორიევის სახელმძღვანელოებით. ამასთანავე ერთად გაჰლვიძებია სურვილი კოლეკტორობისა და განსაკუთრებით ნუმიზმატიკურისა. ჯერ აგროვებდა ყველა ხალხის და ყველა დროის ფულებს, შემდეგში ამ დარგში სპეციალობის გზას დასდგომია, აგროვებდა მხოლოდ ძველ სპარსულ ფულებს და ისიც მხოლოდ და მხოლოდ სასანიდების დინასტიის ხანგრძლივ პერიოდის ფულებს. ამ სპეციალობასთან და აგრეთვე აღმოსავლეთის ლიტერატურათა შესწავლასთან დაკავშირებით, ბარტოლომეი ეცნობოდა მეცნიერების სხვა დარგებსაც, მაგალითად: არქეოლოგიას და პალეოგრაფიას. მისმა შრომებმა ნუმიზმატიკაში და ზედმიწევნით კლასიფიცირებულ სპარსულ ფულების მისმა მდიდარმა კოლეკციამ მსწავლულთა ყურადღება მიიქცია, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც ბარტოლომეის დამფასებლად გამოუჩნდა ცნობილი არქეოლოგოსი და ნუმიზმატი სორე (Soret), რომლის მეშვეობით არჩეულ იქმნა მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრად.

უკვე კაპიტანის ხარისხი ჰქონდა ბარტოლომეის, როცა ვორონცოვი კავკასიაში დანიშნეს. იმასაც მოეგუნება კავკასიაშივე გადმოსულიყო სამსახურში იმისთვის, რომ აღმოსავლეთს უფრო კარგათ გასცნობოდა. ვორონცოვმა დიდის სიამოვნებით აიყვანა თავის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ, და აქედან იწყება კავკასიაში სამსახური ბარტოლომეისა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ორმოციან წლებში ბარტოლომეი კოლუმბი იყო სვანეთისა, მერე-კი ჰგზავნიდენ სპარსეთში (ბრუსილოვთან ერთად), და ჟამ-დაჟამ მონაწილეობას ღებულობდა მთიელთა წინააღმდეგ მოწყობილ ეკსპედიციებში. სხვათა შორის, ერთ-ერთ ამ

ექსპედიციების დროს საკვირვლად იყო დაკოდილი: ფრენაშესუს-ტებული ტყვია მოჰხვედრია სწორედ იმ ალაგას, საცა გულია; ტყვის გვაბანაკი სცმია და ტყვიას გვაბანაკში გაუვლია; მის ახლო-მდგომნი გვაბანაკის ქვეშიდან გამონაჟონ სისხლზე მიმხვდარან, რომ ბარტოლომეი დაკოდილი იყო. ტყვიის მიმართულება ისეთი ყოფილა, რომ დაჭრილობა უეჭველად მომაკვდინებელად უნდა ჩაეთვალნათ; ბარტოლომეი ამას თვითონაც მიმხვდარა და აღელვებისაგან გული წასვლოდა; მაგრამ ტანთ რომ გახადეს, ტყვია თურმე იატაკზე გაგორდა. აღმოჩნდა, რომ ტყვია გასულა გვაბანაკში, გასულა აგრეთვე მუნდირში, შემდეგ მკერდი გაუფხაჭნია, მაგრამ მეტი ძალა აღარა ჰქონია შიგ შესულიყო. ბარტოლომეის ეს მუნდირი სწორეთ გულს პირდაპირ დაუკერებინებია და მერე დიდხანს უტარებია.

ბარტოლომეი ერთხანს მეჯლისის (მუსულმანთა სასამართლოს) თავმჯდომარედ ყოფილა ჩეჩნებში სლეპცოვის დროს და მშვენივრადაც ასრულებდა თურმე ამ მძიმე სამსახურს: რა თქმა უნდა, როცა ბარიატინსკის მეფისნაცვლობა მისცეს, ბარტოლომეის, როგორც მის სკოლის ამხანაგის, პატივმოყვარულმა იმედებმა ძალზე შეიჩუჩუნა და იგი სულმუდამ ატუზული იყო ბარიატინსკის წინაშე სხვა „წინწაწევის მსასოებელთა“ შორის. ამ მრავალთა შორის მაშინ, მ. ტ. ლორის-მელიქოვიც იმყოფებოდა.

9

ბარიატინსკი, როცა ბარტოლომეი დადეშქელიანთან მზრუნველად დანიშნა, კმაყოფილი იყო, რომ „მსასოებელთა“ რიგი შემცირდაო.

მაგრამ ნამდვილათ განა ასეთი მზრუნველი სჭიროდა კონსტანტინე დადეშქელიანს, რომელიც, როგორც დავინახეთ, სულ სხვა ჯურის კაცი იყო! უზარმაზარი, მშვენიერი ტანადი და მოყვანილი, ლამაზი ქერა, გოლიათისებურის ძალ-ღონისა, ასე ოცდაათის წლისა, დადეშქელიანი ერთი იმ მშვიდ და მომთმენ ხასიათის ადამიანთაგანი იყო, რომელთა გაბრაზება და გულისმოყვანინება მეტად ძნელია ხოლმე; მაგრამ თუ კი ერთი მოთმინების ფიალა აღევსოთ, მეტად საშიშნი ხდებიან. ქუთაისში მოხელეებს ბევრს იცნობდა, მათს შორის მეც, და ყველას უფრო გულკეთილ ადამიანად მიგვაჩნდა, ვიდრე ავგულად. რუსული ლაპარაკი არ იცოდა, მაგრამ კარგათ ესმოდა კი, ასე რომ მე, რაკი ქართული მესმოდა, შემეძლო მასთან მებაასნა უთარჯიმანოდ: თითოეული ჩვენთაგანი ჩვენს-ჩვენს სამშობლო ენაზე ვლაპარაკობდით და ერთიმეორისა თავისუფლად გვესმოდა. კონსტან-

ტინე აღზრდილი იყო ნახევრად ველურ წრეში, სიყრმეში გამოცანაცადი ჰქონდა ისეთი არაჩვეულებრივი განცდა, როგორიც იყო მისი მოკვლის განზრახვა, მერე გამოიარა მთელი რიგი სხვადასხვა დაუსრულებელ ხიფათებისა, რომელთა შორის შულლი, გამცემლობა, სატევარი, საწამლავი, უხეში ძალადობა, მტაცებლობა, მოკვლა—სულ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომ, რა თქმა უნდა, არ იყო შემოსილი ალმაღლებულის იდეალებითა, მაგრამ კარგი მისწრაფებანი და საღი გონება არ აკლდა. მაგალითად, ძალიან უყვარდა შვილები და ჩემთვის არაერთხელ უთქვამს თავისი განზრახვა—შვილებს (მაშინ სულ პატარეები ჰყავდა (საფუძვლიანათ უნდა ვასწავლოვო. ძალიან აინტერესებდა ამბები რუსეთისა, პეტერბურგისა, ხელმწიფისა; ვისთანაც საქმე ჰქონდა, იმათი ცნობა შეეძლო, და მეტად პატივსა სცემდა პატიოსან და სამართლიან ადამიანებს, მზად იყო ასეთ ადამიანთ სიტყვა შეუბრუნებლად ყველაფერში დამორჩილებოდა. სიმპატიურს, პირდაპირს, მისის მდგომარეობის და საქმის ვითარების პატიოსნად ამხსნელს კაცს რომ შეჰყროდა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დადეშქელიანი თვალხუჭელა მიენდობოდა მისს ხელმძღვანელობას და ყოველივე ისე გათავდებოდა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა. ადვილი იყო მისთვის მიუკიბ-მოუკიბავად გაეგებინებინა კაცს, რომ მისი როლი, როგორც ავტონომიურ მთავრისა, საბოლოოდ იყო ნათამაშევი, ამ როლის გაგრძელებაზე ფიქრი ახლა არ შეიძლებოდა, არამედ უნდა შესდგომოდა ამ საქმის ლიკვიდაციას, თვითონ მამა მისსაც ჰქონდა ეს შეგნებული და მისთვის ახალი ამბავი არ იყო. ამიტომ მისთვის პირდაპირ უნდა ეთქვა კაცს ყველაფერი, არაფერი უნდა დაეფარნა და არც შეუსრულებელს რასმე დაჰპირებოდა. სამწუხაროდ, მისთვის დანიშნული მზრუნველი არამც თუ შეურაცმყოფელ გულგრილობით ეკიდებოდა, არამედ სრულის უგულებელყოფითაც.

ბარტოლომეი, როგორც სპეციალისტი კოლლეკტორი და ნუმიზმატი, ფანატიკოსად მხოლოდ ამ დარგში იყო; რომელისამე ძველ ფულის შესაძენად არაფერ ღონისძიებას დაჰზოგავდა, ფულს ხომ არ ჰზოგავდა და არა, თავისი ქონება სწორედ სასანიდების დინასტიის დროის ფულების შეძენას შეალია; ამავე დროს პატივისმოყვარე იყო და სამსახურში წინ წაწევისათვის თავი არ ეზოგებოდა: თავის დამცირება მაგისთვის არაფერი იყო, ოღონდ საწადელს სწეოდა, და მერე, როგორც ადამიანი, მეტად ულმობელის გულისა იყო და ქცევასა და მიხვრა-მოხვრაში რაღაც სიბოროტე და გესლიანობა ეტყობოდა. ბარიატინსკის მიერ მისთვის დაკისრებული თანა-

მდებობა ძალზე არ მოსწონდა, მისთვის შეურაცხმყოფელადაც-ეჩვენებოდა; „on m'a fait cornac,—ეუბნებოდა ხოლმე თავისს მეგობრებს:—voyez, quel mostodonte je dois promener"! *)

კონსტანტინე დადეშქელიანი
სვანეთის უკანასკნელი მთავარი

რა თქმა უნდა, პირველ დღეებიდანვე მასა და კონსტანტინე დადეშქელიანს შორის ერთმანეთის სიძულვილი დაიბადა, და თუ წარსულსაც მოვიგონებთ, არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს დადეშქე-

*) სპილოს დამტარებლადაც რომ გამხადეს! ერთი შეხედეთ, რა მამონტი ამკიდეს სატარებლად!

ლიანის მოთმინებამ, როცა წამ-და-უწუმ ზნეობრივათ ამცირებდა ბარტოლომეი. მაგალითად, ბარტოლომეის მოეგუნება დადეშქელიანთან ერთად ერთსა და იმავე სასტუმროში დაბინავება. მაღლა სართულში კონსტანტინე სცხოვრობდა, ხოლო დაბლა—ბარტოლომეი; ცუდი სახლი იყო, დაბლა ყველაფერი ისმოდა, რაც მაღლა ხდებოდა; ბარტოლომეის თარჯიმანად (ქართული არ იცოდა) ერთი საზიზღარი ადამიანი, ვიღაც ლაქია ჰყავდა, რომელმაც რიგიანად თარჯიმანობაც არ იცოდა: ბარტოლომეიმ ეს თარჯიმანი თავისს ჯაშუშადაც გაიხადა და ამის წყალობით ამ კაცს საშუალება ჰქონდა ერთისთვისაც მიეტანა ენა და მეორესთვისაც; ბარტოლომეი დადეშქელიანთან დაებეზღებინა და წინაუკმო. ხარჯების შესახებ ბარტოლომეიმ რაღაც ორიოდ გროშისათვის მთელი ამბავი დაათია, ვითომდა ხაზინის ინტერესის დასაცველად. რა საჭიროა, მისი მზრუნველობა დადეშქელიანისათვის პირდაპირ ჯოჯოხეთად იყო გადაქცეული.

ჟამდაჟამ დადეშქელიანს გაგარინთან დაჰპატიჟებდენ ხოლმე სადილად. და ბარტოლომეიც უეჭველად თან უნდა ჰყოლოდა. ბარტოლომეი ისე სადილს არ გაუშვებდა, რომ გესლიანად რამე სასაცილო ანეკდოტი არ ეთქვა ფრანგულად თავის მამონტის შესახებ.

ბოლოს, როგორც იყო, უსლარიც ჩამოვიდა. თან ჩამოიტანა აუარებელი მასალა და მის დამუშავებას გულმოდგინეთ შეუდგა. დადეშქელიანთან შეხვედრას ერიდებოდა, რათგან გული უთქვამდა, რომ ამ შეხვედრას სიკეთე არ მოჰყვებოდა. ერთხელ შემთხვევა მქონდა ორნივე ერთად მენახნა—საღამოს ხანზე ნ. პ. კოლუბიაკინთან, ჯერ ისევ ქუთაისის გუბერნატორთან, შევედი. მასთან დამხვდა კონსტანტინე დადეშქელიანი და ერთი კიდევ ვიღაც; ცოტა ხანს შემდეგ უსლარიც მოვიდა. საერთო ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არა ხერხდებოდა და ყველას მაგიერ უნდა ელაპარაკნა სახლის პატრონს, რომელიც ძველ დროს იგონებდა, როცა ის ღირსებააყრილი და სოლდათად ჩამოქვეითებული ზოგიერთ დეკაბრისტებთან ერთად ველიამინოვის რაზმში ემსახურებოდა. მოიგონა ოდოევსკი, ძმანი ბესტუჟევები და სხვები, რომლებთანაც ძალიან დაახლოვებული ყოფილა. ვახშამი შემოიტანეს, მაგრამ მაშინაც მძიმედ ტრიალებდა ენა. დადეშქელიანი ბარტოლომეის პირდაპირ იჯდა, ერთთავად თეფშს დასცქეროდა, სდუმდა და ჩემს კითხვებზე ლაკონიურ პასუხს იძლეოდა. ისევ კოლუბიაკინი თუ ლაპარაკობდა. ნავახშმევს პირველად დადეშქელიანი წავიდა, იმას გაჰყვა უსლარი და მითხრა, ერთად წავიდეთო, რათგან ერთ მხარეზედ ვიდექით. ბნე-

ლი ღამე იყო და უსლარმა ყაზახრუსი მოითხოვა ფანრიანად გამ-ცილებლად; მე ვუთხარი, ფანარი საჭირო არ არის, ქუჩები ყველა ვიცი და უფანროდაც გაგაცილებთ-მეთქი, მაგრამ იმან მაინც თავი-სი გაიყვანა და წავედით. ნახევარი გზა გვქონდა გავლილი, ისე ერთბაშათ მითხრა: „ნუ თუ გგონიათ, რომ ეს ველური ერთ წამს დაფიქრდება და ღამით სადმე მარტო თუ მომიხელა, მუცელში სა-ტევარს არ მატაკებს“. ვერ მივხვდი, ვისზედ ლაპარაკობდა. მაშინ ეჭვი არა მქონდა, თუ რა გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა უსლარს დადეშქელიანთან და ვკითხევი, ეს „ველური“ ვინ არის-მეთქი. „როგორ, ნუთუ ვერ მიხვდით? მთელი საღამო აკი გვერდით გვეჯდა!“ მისმა ნათვქვამმა ძალზე გამაკვირვა, არ მეგონა თუ საქმე ეს ზო-მამდე იყო გამწვავებული. მე სულ იმ აზრისა ვიყავ, რომ ასეთ მშვი-დობიან კაცთან ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა.

რამდენსამე დღეს უკან უსლართან შევედი და დავინახე, რომ მონტეკრისტოს სისტემის დამბაჩიდან ნიშანში ისროდა.

— ყოველისავე შემთხვევისათვის ხელს ვივარჯიშებ,— მითხრა უსლარმა.

მე ამაზე არაფერი ვუთხარი, მაგრამ მის სიტყვებში ჩვენის წინან-დელღამის ლაპარაკის გაგრძელება მომესმა. მხოლოდ შემდეგში გამო-ირკვა ჩემთვის, რომ უსლარს მართლა რომ სერიოზულად უნდა ჰშინე-ბოდა დადეშქელიანისა.

ამ დროს ერთი უცნაური ამბავი მოხდა. დადეშქელიანთან ბევრი სტუმარი დადიოდა; ქუთაისში სცხოვრობდა მისი სიდედრი, კნეინა კესარია შარვაშიძისა, მისი შვილი გრიგოლი ოჯახობითა. მა-შასადამე, ჰყავდა აქ ნათესავებიცა, ხოლო ნაცნობები აუარებელი ეხვია თავს.

ზოგჯერ როცა ბულვარში სეირნობდა, უკან მთელი ხროვა მისდევდა. რა თქმა უნდა, ამ დროს ერთავად მის საქმის გამო ჰქონდათ ლაპარაკი, ბევრნი თანაუგრძნობდენ და ამ თანაგრძნობის ნიშნად სხვადასხვა რჩევა-დარიგებას აძლევდენ. ერთ-ერთი ასეთი მრჩეველთაგანი ერთხელ მასთან მივიდა და საიდუმლოთ ერთი მეტად უცნაური რამ ურჩია. რადგან ცხადია, რომ არც გაგარინისა და აღარც ბარიატინსკისაგან სამართლიანობას აღარ უნდა მოელოდეს კაცი, სჯობია სხვა გზა ვეძებოთ, ხელმწიფემდი მისასვლელიო, ეს ეს ყველას აჯობებსო. მე ვიცნობო,— უთხრა ამავე მრჩეველმა,— ერთს პოლონელ ექიმს, რომელმაც მშვენივრად იცის ფრანგული ენა, ის იკისრებს თხოვნის დაწერას პირდაპირ ნაპოლეონ მე-III-თან. ნაპოლეონს თხოვნაში აუხსნით, რომ შენ სვანეთის მეფეთ იყავ

და ბარიატინსკი უსამართლოდ გართმევს მეფობას, და სთხოვე დაგეხმაროს იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზისძესთან. ის ნაპოლეონს არაფერში ეტყვის უარსო.

მოგეხსენებათ, წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო და უკიცმა დადეშქელიანმა, მეტად გაჯავრებულმა ყველაფრით, რასაც უშვრებოდენ, და განსაკუთრებით ბარტოლომეის საქციელით ამ მრჩეველს გაებრიყვებინა· მოეყვანინებინა ექიმი, მოჰლაპარაკებოდა თავის მეგობრის საშუალებით და რამდენიღაც მანეთიც მიეცა თხოვნის დასაწერად. ამას შემდეგ ექიმი ორჯერ ყოფილა დადეშქელიანთან. თუმცა მოლაპარაკება თურმე საიდუმლოდ იმართებოდა, მაგრამ ბარტოლომეის თარჯიმანმა და ჯაშუშმა ყური მოჰკრა და პოლკოვნიკს შეატყობინა; ის კიდეც პოლიცმეისტერთან მივიდა და სთხოვა პოლონელის შესახებ ცნობა მომეცეო. აღმოჩნდა, რომ იმ კაცს, რომელიც დადეშქელიანთან დადიოდა, მართლა სცმია სამხედრო ექიმის მუნდირი, მაგრამ ნამდვილად ყოფილა სამსახურგათავებული უბრალო სოლდატი, გვარად ტოლსტოვი, დიდი საზიზღარი და ვაიძვერა ვინმე. ის უკანონო შვილი ყოფილა რომელიღაც გრაფ ტოლსტოისა. ახალგაზრდობაში საუცხოვო განათლება მიუღია, ფრანგული ზედმიწევნით სცოდნია. უკვე ლეგიონში ოფიცრად ყოფილა, ისე რაღაც სისაძაგლე ჩაუდენია, ამისათვის ოფიცრის ღირსება აუყრიათ ისე, რომ მის დაბრუნების უფლება არა ჰქონდა და უბრალო სოლდათად კავკასიაში გამოუგზავნიათ. აქ დიდსხანს უწვალნია, ბოლოს ფიზიკურად უვარგისობის გამო სამსახურიდან გაუშვიათ, იმასაც მათხოვრობით დაუწყია ხელის მონაცვლება და ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა თურმე. ქუთაისში რო ჩამოსულა, ექიმის მუნდირი სცმია, რომელიც მოწყალების სახით ვიღაც ექიმს უჩუქებია, და თავის თავს პოლონელ ექიმად ასაღებდა. ეს გაიძვერა ვაჟბატონი, რა თქმა უნდა, დაიჭირეს, უპოვნეს მის მიერ შედგენილი თხოვნა ნაპოლეონის სახელზე; ბარტოლომეის უნდოდა ამ საქმისაგან მთელი ისტორია შეეთხუზნა—ვითომ სახელმწიფო მოღალატენი დავიჭირეო. კარგი, რომ გაგარინი, რომელსაც ყოველმა ამან საშინლად თავი მოაბეზრა, ყოველთ უწინარეს როგორც რიგიანი კაცი, მეტისმეტად აღაშფოთა ნუმიზმატიკოსის შეთითხნილმა ამბებმა და ხელათ ბოლო მოუღო მის მიქარვას. ტოლსტოი ეტაპით სამშობლოში გააგზავნინა კალუგის გუბერნიაში, ხოლო ბარტლომეისა სთხოვა დადეშქელიანისათვის არაფერი ეთქვა ამ ამბის გახმიანების შესახებ. გარდა ამისა, გაგარინი რაკი ხედავდა,—უხერხულია აქ კონსტანტინეს მეტს ხანს გაჩერებაო, როცა უსლარმა, როგორც იყო, გაათავა თავისი სამუშაო და ნამუშევარი ტფილისში

გაიგზავნა, ბარიატინსკისა სთხოვა—დადეშქელიანს საცხოვრებლად ქუთაისს მაგივრად სხვა რომელიმე ადგილი აურჩიეთო.

ამ დროს მე სამეგრელოში წავედი სამსახურში.

10

ჩემის ნაამბობისაგან მკითხველი დაინახავდა, რომ სამეგრელოს საქმე, დედოფლის ჯიუტობის გამო, ძალიან გართულდა და, ბოლოს იქამდის მივიდა, რომ საჭირო შეიქმნა დედოფალი პეტერბურგში გაეწვიათ. ყოველივე ეს სადავიდარაბოთ უხდებოდა თავად გაგარინს; მას ერთსა და იმავე დროს სჭირდებოდა ორის ისეთის საჩოთირო საქმის მოგვარება, როგორიც იყო სამეგრელოს და სვანეთის ავტონომიების გაუქმება, და იმასღა ნატრობდა, როგორმე მალე მოჰღებოდა ბოლო ამ საქმეებს და მერე სხვა, უფრო საინტერესო საქმეებისათვის მოეკიდნა ხელი. უკვე მაშინ ჰქონდა გამართული მოლაპარაკება მენავეობა-ვაჭრობის საზოგადოების დირექტორ-გამგებელთან, ნ. ა. ნოვოსელსკისთან, რრონზე სამდინარეო მენავეობის მოწყობის შესახებ. გაგარინს იმედი ჰქონდა, რომ ეს წამოწყება მეტად სახეირო იქნებოდა მთელის მხარისათვის.

და აჰა, დასასრულ, გაგარინი დედოფალს შეუთანხმდა გამგზავრების დღის დანიშვნის შესახებ. დანიშნეს ოქტომბრის 25. ამისათვის ყველაფერი მოამზადა გაგარინმა და თვითონ აპირებდა გაეცილებინა დედოფალი. წინდაწინ გორდში თავისი მეუღლე გაგზავნა. თვითონაცა ჰქონდა გადაწყვეტილი ოქტომბრის 22 გორდშივე წასულიყო და ბრძანა 12 საათისათვის ცხენები მზად ჰყოლოდათ.

დილის ცხრა საათზე ტფილისიდან მოსული პაკეტი გადასცეს. შტაბის უფროსი ატყობინებდა, რომ თავად ბარიატინსკიმ მოისმინა დადეშქელიანის საქმის შესახებ მოხსენება, მოიწონა მისი, გაგარინის, მოსაზრება და განზრახვა, და გადასწყვიტა მთელი საქმე ხელმწიფეს მოახსენოს და უცადოს, რას ინებებს ხელმწიფეო; მანამდე კი ბარიატინსკის საჭიროდ მიაჩნია დადეშქელიანს საცხოვრებლად მიუჩინოს ქალაქი ერევანი და თქვენ მოგანდობსთ დაუყონებლივ გაისტუმროთო.

ეს ქაღალდი რომ წაიკითხა, გაგარინმა თავის კანცელიარიის მმართველ იზიუმსკისათვის დააძახებინა და სახეგაბრწყინებული დაუხვდა.

— აჰა, როგორც იქნა, დადეშქელიანის საქმესაც გადავრჩით. იმისთვის გთხოვეთ ჩემთან მოსულიყავით, რომ მასთან მოლაპარაკების დროს დამეხმაროთ.

იზიუმსკი ამიერკავკასიის მხარეში იყო დაბადებული, დედა ქართველი ქალი ჰყავდა და ქართულადაც მშვენივრად ლაპარაკობდა. მეტად სიმპატიური იყო, ზრდილი; სწავლა ყაზანის უნივერსიტეტში ჰქონდა დამთავრებული; ადგილობრივნი მკვიდრნი დიდს პატივსა, სცემდენ; თვით გაგარინი განსაკუთრებით ენდობოდა და კარგი ურთიერთობა ჰქონდა დადეშქელიანთანაც, რომელიც მასთან ხშირათ დადიოდა. გაგარინმა ამიტომ უფრო აირჩია დადეშქელიანთან მომავალ საჩოთირო მოლაპარაკებისათვის ასეთი შესაფერი კაცი.

იზიუმსკიმ გაგარინს ურჩია მოჰრიდებოდა დადეშქელიანთან პირადად მოლაპარაკებას: ძალიან გაჯავრებულია და ვაი თუ რამე უსიამოვნება მოჰყვეს მოლაპარაკებასაო. მე თვითონ ჩემის თვალით ვნახეო,—უთხრა იზიუმსკიმ,—ამ რამდენსამე დღეს წინათ, როცა თქვენ ბულვარში სეირნობდით, დადეშქელიანმა სატევარს ხელი იტაცა და როგორღაც საეჭვოდ აატოკა ხელიო. მაგრამ იზიუმსკის ამ ნათქვამმა არამცთუ ხელი ააღებინა გაგარინს დადეშქელიანთან მოლაპარაკების განზრახვაზე, პირიქით უფრო ააღელვა.

— ნეტავი თქვეს, ანდრიანე ანდრიანეს ძევ, ნუ თუ ფიქრობთ, რომ მისი შემეშინდება? იმისთვის მინდა დავიბარო, რომ რითაც შემიძლია, დავეხმარო წასვლის წინ. დავიჯერო, ამას ვერ მიხვდება?

იზიუმსკიმ ერთხელ კიდევ სცადა წინააღმდეგი ეთქვა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ყველაფერი ამაო იქმნებოდა. გაგარინს უნდოდა 12 საათზე უეჭველად წასულიყო გორდში, ხოლო წასვლის წინ დადეშქელიანი ენახნა, გაეგო მისგან, რაც სჭიროდა, და საჭირო განკარგულება გაეცა მის დასაკმაყოფილებლად.

უნდა დაებარებინათ დადეშქელიანი. დასაბარებლად საპოლიციო უბნის მორიგე ზედამხედველი გაგზავნეს.

საკრებულო ტაძარში ამ დროს წირვა იდგა და ეკლესიის კარიბჭეზე მკაფიოდ მოსჩანდა უზარმაზარი ტანი დადეშქელიანისა, გულმხურვალე ლოცვად მდგარი. ზედ არავითარი იარაღი ჰქონდა, სიტევარს გარდა, მაგრამ სატევარი უშველებელი იყო, მისი ტანისა და ძალ-ღონის შესაფერი. მივიდა მასთან უბნის ზედამხედველი და მათს შორის გაიმართა შემდეგი დიალოგი, რომელიც ახლომდგომთაც გაიგონეს:

— თქვენო ბრწყინვალებავ, გენერალ-გუბერნატორმა გამომგზავნა და გთხოვსთ ახლავე მიბრძანდეთ.

— როგორ თუ ახლავე? ვერა ხედავთ, ვლოცულობ?! მოახსენეთ, რომ როცა მე ლოცვადა ვდგევარ, ჩემთვის სხვა საქმე, გარეშე ლოცვისა, არაფერი არსებობს. წირვა რომ გამოვა, მაშინ წამოვალ.

უბნის ზედამხედველი წავიდა; მაგრამ მისი აქ გამოჩენაც კი საკმაო იყო, რომ დადეშქელიანი აღეშფოთებინა. უკანასკნელ ხანს კონსტანტინე განსაკუთრებით ყოფილა აღელვებული; გაგარინი, დიდი ხანი იყო, არ ენახნა, რათგან ის მხოლოთ და მხოლოთ სამეგრელოს საქმით იყო გართული; ბარტოლომეი წინანდებურათ აანჩხლებდა; ყური ჰქონდა მოკრული, რომ უსლარმა რაღაც დიდი რამ დასწერა და ტფილისში გაგზავნაო; ყოველისავე ამისაგან კონსტანტინე სასიკეთოს არასფერს მოელოდდა. ამ მეტად უბედურ ადამიანისათვის, რომელსაც თავისი ოჯახი, აგერ სამი თთვეა, არ ენახნა და მისს მოშორებას ნაღვლობდა, მისი საუკეთესო წუთები—ლოცვის წუთები იყო . და აჰა, არ უნდათ, ეს წუთებიც ტკბილათ ჩაატარებინონ, ისიც უნდათ ჩააშხამონ. რაკი გაგარინმა კაცი გამომიგზავნა და მთხოვა მასთან მისვლა, — გაიფიქრა დადეშქელიანმა, — ალბათ, რაღაც ახალი რამ მოხდა ჩემის საქმისაო. ვიმეორებთ, კარგს არასფერს მოელოდდა კონსტანტინე. და აჰა, უფრო გულმხურვალეთ განაგრძო ლოცვა, და ერთბაშათ ისევ შეაწყვეტინა ლოცვა იმავე უბნის ზედამხედველმა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, გაგარინი უეჭველათა გთხოვთ ახლავე წამოჰბრძანდეთ. გორდში მიბრძანდება და წასვლას წინ თქვენი ნახვა ჰნებავს.

მაშინ დადეშქელიანმა უთხრა, კარგიო, რამდენჯერმე პირჯვარი გადაიწერა, ხელი ჩააქნია, თავზე ქუდი დაიხურა და გამოვიდა.

როცა უბნის ზედამხედველი მეორეჯელ გაგზავნეს გენერალ-გუბერნატორის სახლიდან, და იზიუმსკი აღელვებულ სახეს რომ უყურებდა გაგარინისას, რომელიც გაჯავრებულად იძლეოდა ბრძანებას დადეშქელიანის დაბარების შესახებ, გაგზავნილ უბნის ზედამხედველს თითონაც უკან გაჰყვა და კონსტანტინეს შუა გზაზე შემოხვდა. შეატყო სახეზე, რომ ისიც აშფოთებული იყო და აუხსნა, გაგარინი მოუთმენელი იმიტომ არის, რომ გორდში წასვლამდე თქვენი ნახვა ჰნებავსო.

— შენის საქმის გამო ქაღალდი მოუვიდა,—უთხრა იზიუმსკიმ,— უნდა თვითონ მოგელაპარაკოს და კაცი ცოტა ადრე გამოგიგზავნა, რომ შენ მანამდე მოსულიყავ, სანამ მასთან სხვები მივიდოდენ სხვადასხვა საქმის მოსახსენებლად.

— ხომ არ იცი, რა სწერია ამ ქაღალდში?— ჰკითხა დადეშქელიანმა.

— თვითონ გაგარინი გეტყვის. შენ მხოლოდ დარწმუნებული იყავ, რომ გაგარინი, რის გაკეთებაც კი შეიძლება, ყველაფერს გაგიკეთებს. მიენდვე და ნურაფრის დარდი გექნება.

დადეშქელიანი ხმას არ იღებდა და ამასობაში გენერალ-გუბერნატორის სახლამდე კიდეც მივიდენ.

სასტუმრო დარბაზში უკვე რამდენიმე კაცი ელოდებოდა, მათს შორის ბარტოლომეიც, კაპიტან-ლეიტენანტი სავინიჩი, სახაზო ბატალიონის კაპიტანი თავადი კონსტანტინე მიქელაძე, თარჯიმანი თალხან არდიშვილი და სხვები.

დადეშქელიანი და იზიუმსკი- პირდაპირ გაგარინის კაბინეტში შევიდენ.

გაგარინი, ჩვეულებრივ, ზრდილობიანადა და ალერსიანათ დაუხვდა დადეშქელიანს.

— ძალიანა მწყინს, რომ წირვის დროს შეგაწუხეთ; მაგრამ ანდრიანე ანდრიანეს-ძემ ალბათ აგიხსნათ მიზეზი. თქვენის საქმის შესახებ ქაღალდი მომივიდა.

აიღო მაგიდიდან ქაღალდი და იზიუმსკისა სთხოვა დადეშქელიანისათვის წაეკითხნა და ქართულად გადაეთარგმნა. ყველანი ფეხზე იდგნენ. დადეშქელიანი კარებს მარჯვნივ იდგა, ბუხრისაკენ ზურგშექცეული, მას გვერდით— იზიუმსკი, ხოლო გაგარინი ქაღალდის კითხვის დროს კაბინეტში ბოლთასა სცემდა. იზიუმსკი რაც უფრო ათავებდა კითხვას, კონსტანტინეს სახე უფრო და უფრო ეჭმუხვნებოდა, თვალები სისხლით ევსებოდა.

ბოლოს, ქაღალდის კითხვა გათავდა და გაგარინმა დაიწყო ლაპარაკი.

— როგორცა ხედავთ, თავადო, თქვენი საქმე ხელმწიფესთან არის გაგზავნილი; პეტერბურგში საბოლოოდ გადასწყდება. ჩვენი ხელმწიფე მოწყალეა და მტკიცედ უნდა იყვნეთ დარწმუნებულნი, რომ თავის წყალობას არ მოგაკლებსთ. სანამ პეტერბურგიდან პასუხი მოვიდოდეს, მეფისნაცვალმა საჭიროდ დაინახა თქვენ საცხოვრებლად ერევანი დაგეხიშნოსთ, და თქვენც ახლა იქ გაემგზავრებით.

დადეშქელიანი ყოველსავე ამას თავჩაქინდრული უსმენდა, და როცა გაგარინმა ლაპარაკი გაათავა, ერთხანს კიდევა სდუმდა.

— თავადს უთხარი,—დაიწყო დადეშქელიანმა და იზიუმსკის მიუბრუნდა:—ხელმწიფისა და მეფისნაცვლის ურჩობა აზრადაც არა მქონია; მაგრამ ვთხოვ, ჩემს გაჭირებულ მდგომარეობასაც მოხედოს:

აბა სად შემიძლია ერევანში წასვლა, როცა შინ ყველაფრისათვის თავი მაქვს მინებებული და უპატრონოდ დამიყრია. გარდა ამისა, ეს სამი თვეა, ცოლშვილი არ მინახავს.

— ჰო, ეს ყველაფერი მართალი გახლავსთ, თავადო,—უპასუხა გაგარინმა,—მაგრამ რასაც მთხოვთ თქვენის შინაურის საქმეების შესახებ, ყველაფერს უკლებლივ ავასრულებ. ამ საქმეს საიმედო კაცს მივანდობ, რომელიც საგანგებოთ ამისთვის სვანეთში წავა.

— არა, ამისთვის ჩემი პარადათ იქ ყოფნაა საჭირო. მე ჩემს საქმეებს ვერავის ვანდობ, და ისევ ვიმეორებ, ამდენი ხანია ცოლშვილს მოწყვეტილი ვარ... შინ წასვლის ნება გვიბოძეთ, ყველაფერს მივაწყობ-მოვაწყობ და ისევ დავბრუნდები.

— ამას ვერ ვიზამ, უფლება არა მაქვს. მეფისნაცვლის განკარგულება ზედმიწევნით უნდა შევასრულო. არ შემიძლია სვანეთში გაგიშვათ, და ერევანში უნდა წაბრძანდეთ; იქიდან ბარიატინსკის სთხოვეთ, თქვენს გაჭირვებას ანგარიშს გაუწევს და შეეცდება როგორც სამჯობინო იქნება, ისე დაგეხმაროსთ.

— მე მაინცა გთხოვთ, ახლავე გამიშვათ.

— არ შემიძლია! არ შემიძლია!...

გაგარინმა კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო და ეტყობოდა, გული მოსდიოდა.

— სამის თთვით გამიშვით, ამ ხანში ყველაფერს მოვაწყობ და დავბრუნდები.

— როგორაო? სამის თთვითო!—გაგარინმა გულკეთილად გადაიხარხარა:—სამის თვით კი არა, სამის დღით არ შემიძლია გაგიშვათ... აღარც სამის საათით... დღესვე უნდა წაბრძანდეთ, ჰო, დღესვე...

11

დადეშქელიანს ყოველი სიტყვა იზიუმსკის დაუხმარებლად ესმოდა. გაგარინმა უკანასკნელი რომ უთხრა, მობრუნდა და ისევ სიარული დაიწყო. იზიუმსკიმ თვალი რომ მოჰკრა, დადეშქელიანმა სატევარს იტაცა ხელიო, გაგარინს უკანიდან მიაძახა ფრანგულათ:—„უფრთხილდით, თავადო, მოკლას გიპირობსთ!“-ო.

გაგარინი ისე იყო აღელვებული, რომ ალბათ ვერაფერი გაიგონა, ხოლო დადეშქელიანმა ხელი ჩამოუშვა.

— მე იმიტომ მოგიხმეთ,—დაიწყო ისევ გაგარინმა:—რომ თქვენთვის შემეტყობინებინა ნება-სურვილი მეფისნაცვლისა, ეს ნება-სურვილი დაუყონებლივ უნდა იქნეს ასრულებული, მეტი არაფერი

მაქვს თქვენთვის სათქმელი. დღესვე უნდა გაემგზავროთ ერევანში.

გაგარინმა თავი დაუკრა და იმით აგრძნობინა—მეტი არაფერი მაქვს სათქმელი და აუდიენციაც გათავდაო.

მაგრამ დადეშქელიანი ალაგიდან აღარ იძვროდა.

— უთხარი,—დაიწყო დადეშქელიანმა და ისევ იზიუმსკის მიუბრუნდა:—ფული სრულებით არა მაქვს-თქო.

როცა იზუმსკიმ გადაუთარგმნა ესა, გაგარინმა, უკვე ცოტათი დამშვიდებულმა, უპასუხა:

— ამაზე ნუ სწუხს, ფული, რამდენიც უნდა, იმდენი ექნება, პოლკოვნიკ ბარტოლომეის ეძლევა იმდენი ფული, რამდენიც მისთვის საჭირო იქნება სახარჯოდ. შეუძლია, რამდენიც სჭირდება, მოსთხოვოს. მაგრამ მეც შემიძლია ფული მივსცე...

ამის თქმაზე გაგარინი მოტრიალდა, მივიდა თავის მაგიდის უჯრასთან და დაიწყო დასტა ფულის ამოღება. მაგრამ ამ საბედისწერო წუთას დადეშქელიანმა თავისი საშინელი სატევარი ქარქაშიდან იშიშვლა, დააცხრა გაგარინს და ორჯელ შემოჰკრა—ერთხელ ხელზე, მეორეჯელ—მუცელში.

ამის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის სახლი რაღაც საყასბოდ იქცევა; გაგარინს გარდა ამ სახლში კიდევ სამი კაცი გახდა ამ სიბრაზისაგან გაცოფებულ კაცის მსხვერპლად.

თარჯიმან არდიშვილს სატევარი გულში გაუტარა და იქვე უცებ მოჰკლა; ნიკოლოზ პეტრეს ძე ილინი, რამდენსამე ალაგას დაჭრილი, სახედასახიჩრებული, მალე სულს განუტევებს; მზარეული მაქსიმე დაჭრილი აივანზე ჰგორავს. კატასტროფის მოწმენი გაქცევით თავსა ჰშველიან.

მთელს ქალაქს ელვის სიმალეზე მოედო უბედურობის ამბავი, ყველანი გაგარინის სახლში მორბიან; იქვე მოიჭრა სახაზო ბატალიონის ასეული. გუბერნატორი ივანოვი, პოლიცმეისტერი, მთელი ხელისუფლება აქვეა. გაგარინი, კაბინეტიდან ეზოში გამოვარდნილი, იქვე მიწაზე დაეცემა და სახლის ფრთედში მოათავსებენ. ექიმები თავს ეხვევიან.

მაგრამ დადეშქელიანი სადღაა, ველარსად უპოვნიათ; ჩოჩქოლი და ჟუარზაური არ შეწყვეტილა და ერთბაშად სომხის შესახვევიდან, რომელიც გენერალ-გუბერნატორის გვერდით იყო, ყვირილი მოისმის: „აქ არის, აქ არის!“ იქითკენ გაიჭრება ასეულის კომანდირი თავის ასეულითურთ; აღმოჩნდა, რომ დადეშქელიანი ბაქრაძის სახლში შესულა. სახლს შემოეხვევიან, უძახიან—გამოდი, დაგვ-

ნებდიო; მაგრამ კონსტანტინემ თურმე კარს უშველებელი დივანი მიაყუდა, რომელსაც მერე რამდენმამე კაცმაც-კი ძვრაც ვერ უყვეს; ბაქრაძის ოთახში უპოვნია თოფი, შიგ მის ჩოხაში ჩაწყობილი ვაზნები ჩააწყო, დაიწყო სროლა და კიდევ სამი კაცი დასჭრა. მაშინ გუბერნატორმა ივანოვმა ბრძანა ესროლნათ მისთვის. ტყვიამ მკლავი მოამტვრია, დაიჭირეს და გაუპვახტაში წაათრიეს.

ყოველივე ეს იმაზე უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე მისი მბობა შეიძლება, და პირველ ხანს ვერავის გაუგია კარგათ, რა მოხდა. ქალაქი საშინლად აღელვებულია.

ერთსა და იმავე დროს გაგზავნეს—იზუმსკი გორდში კნეინა გაგარინთან და იფრინდა—ტფილისში მოხსენებითურთ. ტელეგრაფი მაშინ ჯერ არ იყო.

ექიმებმა გაგარინის ჭრილობა მომაკვინებლად იცნეს და საშინელის წვალების შემდეგ გარდაიცვალა ოკტომბრის 27, პარასკევს.

თალხან არდიშვილი და ნიკოლოზ პეტრეს ძე ილინი დაიღუპნენ, როგორც უსაზღვროდ ერთგულნი გაგარინისა. პირველს კაბინეტიდან გაგარინის ყვირილი რომ მოესმა, ზალიდან ხმლიანი გამოიქცა და მიჰვარდა დადეშქელიანს; მაგრამ კონსტანტინემ არდიშვილის მოქნეული ხმალი აიცილა და სატევარი შიგ გულში გაუტარა, ილინმა უიარაღოთ უკანიდან ხელები დაავლო დადეშქელიანს და ამ წუთას ვინმე რომ მიჰშველებოდა, შესაძლებელი იყო დადეშქელიანისათვის იარაღი წაერთმიათ; მაგრამ ვერავინ მიეშველა... ყველანი გაიქც-გამოიქცნენ და დაიმალნენ. დადეშქელიანს ძალიან გაუჭირდა ილინს ხელიდან გახსლტომოდა და როცა თავი გაითავისუფლა, უსულმერთოდ დაუწყო საცოდავ, უიარაღო მსხვერპლს სატევრით ჩეხვა სახეში და საცა-კი მოხვდებოდა. მზარეული მაქსიმე, გაგარინის ნაყმევი, როცა დადეშქელიანი აივნიდან ბაღში ჩამორბოდა, უკანიდან ზედ დაახტა, მაგრამ დადეშქელიანმა სატევარი ერთი რომ დაარტყა მხარში, მიწაზე დაანარცხა. კიდევ კარგი, მისი ღრმა ჭრილობა მომაკვდინებელი არ გამოდგა. დადეშქელიანი ბაღში რიონის ნაპირიდან მივიდა და ყოყმანობდა: გავიდე თუ არ გავიდე წყალშიო! მაგრამ რაკი ფონი არ იცოდა, მარცხნივ მოუხვია და ნაპირ-ნაპირ სომხის ქუჩაზე გამოვიდა, და აქ იყო, ბაქრაძის სახლში რომ დაიჭირეს.

ამ ამბის შემდეგ სამმა დღემ განვლო, ისე ქუთაისში ჩამოვიდა გენერალი თავადი ბეგთაბეგოვი, ბარიატინსკის მიერ სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნული. ამ სასამართლოს წინაშე წარსდგა თავადი დადეშქელიანი.

კონსტანტინე მარცხენა მკლავში იყო დაჭრილი და ძალიან იტანჯებოდა ტკივილისაგან, მაგრამ სასამართლომ არ მიჰხედა მისს ავადმყოფობას და საქმე მაინც გაარჩია. ბრალდებულმა დამცველად აირჩია სამეგრელოს მმართველი ნ. პ. კოლუბიაკინი, მაგრამ რათგან კოლუბიაკინი მაშინ ქუთაისში არ იმყოფებოდა, სასამართლომ არ შეიწყნარა მისი არჩევანი და თვითონ სასამართლომვე დაუნიშნა დამცველად გუბერნატორი, გენერალი ივანოვი.

სასამართლოში კონსტინტინემ განაცხადა: გაგარინი განრისხების წამს შემომაკვდა და ძალიან ვწუხვარ მისს სიკვდილსაო:—გაგარინი კაი კაცი იყო და მე ცუდს არაფერს ვუზამდი, მაგრამ უკანასკნელად შეხვედრის დროს თავის სიფიცხით და ჯიუტობით მოთმინების ფიალა ამივსოვო. მიყვიროდა და მე-კი, როგორც მთავარი, ჩვეული არა ვარ, ასე მომეპყრან. მე მოკვლა მინდოდა გაგარინისა კი არა, უსლარისა და ბარტოლომეისა. ესენი იყვნენ, რაც იყვნენ, ბოროტები, მავნებლები, გაგარინს თავ-ტვინი დაუბნიეს; ძალიანა ვწუხვარ, რომ ორივე მოუკლელი გადამირჩა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ჩემს მიერ მოკლულთა არდიშვილისა და ილინის სულს, ესენი თვითონ დამეცნენ, მე რომ იმათ არ მოვრეოდი, მოუკლავს არ გამიშვებდენო".

სასამართლომ დადეშქელიანს დახვრეტა მიუსაჯა და განაჩენი მეორე დღესვე შეასრულეს.

აი, ამგვარად, რამდენი სისხლი და მსხვერპლი დასჭირდა ამ პატარა სვანეთის სამთავროს გაუქმებას, რომლის არსებობის შესახებ ჩვენს ვრცელს სამშობლოში თითო-ოროლას თუ-ღა ჰქონდა რაიმე ცნობა.

ყოველმხრივ სამწუხარო იყო დაკარგვა ასეთის საუცხოვო პიროვნებისა, როგორიც იყო გაგარინი; მისდამი რწმუნებულ მხარეს მისის სიკვდილით ბევრი რამ დააკლდა; არ შეიძლება არ ვიწუხოთ სიკვდილი თვით კონსტანტინე დადეშქელიანისა, რომელმაც ეს ბოროტება ჩაიდინა უკიდურეს გაანჩხლების დროს, როცა გაანჩხლება სიცოფედ გადაექცა. არ შეიძლება არ მოვიგონოთ ისიცა, რომ მთელი მისი სიცოცხლე ყრმობიდან მოკიდებული სავსე იყო მეტად შავ-ბნელ ხასიათის შემთხვევებითა. კონსტანტინე მოქცეული იყო ორ ერთმანერთის მოსისხლე მტერს შორის, ორ დიდ მეზობელ შორის, რომლებთან შედარებით ეს მცირემამულიანი მთავარი იყო. ძალაუნებურად იყო ჩათრეული მათს ბრძოლასა და ინტრიგებში, თამაშობდა მეტად პასიურ როლს და ითმენდა ყოველგვარ შეურაცყოფას და უსიამოვნებას. არც უსლარია ახლა ცოცხალი და აღარც

ბარტოლომეი და თუმცა — de mortuis aut bene, aut nihil,*) მაინც სამართლიანობა მოითხოვს, რომ მთელის ამ დრამის უმთავრესი მიზეზი იყო მათი უტაქტობა, განსაკუთრებით პირველ მათგანისა. მათმა გავლენამ გაგარინზე და გადამეტებულმა სიფიცხემ დადეშქელიანთან მოქმედების დროს, მთელის საქმის მიკერძვითმა და უსწორო გაშუქებამ ასე სამწუხაროთ დააბოლავეს ეს საქმე. სამწუხაროდ, ჩვენში წარსული გაკვეთილები არ უნდათ გამოიყენონ ჭკუის სასწავლად. მოკვლა გენერალ ლაზარევისა საქართველოს დედოფალ დარიას მიერ, მოკვლა ბაქოელ ხანის მიერ თავად ციციშვილისა ჩვენთვის ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილები უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ყოველი ტახტიდან ჩამოგდება თუნდ სულ პაწაწუნა მეფისა, თუ ეს ჩამოგდება ხდება უტაქტოდ, სიფიცხით,— უეჭველად ტრაგიკულად უნდა გათავდეს. უსლარს ათვალისწინებული ჰყავდა დადეშქელიანი, იმას განს აძლევდა ბარტოლომეი, ხოლო გაგარინი ამას არასფერს ამჩნევდა, და, როგორც კაცთმოყვარე ადამიანს, ეგონა თავის პირად გავლენით დადეშქელიანს შეუმსუბუქებდა ცხოვრების მწარე წუთებს, და, ის კი არა, იკისრა მისთვის შეუფერებელი როლი—მეფისნაცვლის განკარგულებათა აღმასრულებელისა. სრულებით საჭირო არ იყო პირადად გაგარინის მოლაპარაკება დადეშქელიანთან, მარტო კომენდანტსა და პოლიცმეისტერს სულ ადვილად შეეძლოთ გაესტუმრებინათ დადეშქელიანი ერევანში. თვითონ დადეშქელიანიც, ცხადია, ისეთის საშინელის სიკვდილით არ მოკვდებოდა, და რაკი თავის საქმის გათავებას მოესწრებოდა, შეიძლება, დღემდეც ეცხოვრნა ისევე, როგორც მისნი სამნი ძმანი სცხოვრობენ, სადმე სამხრეთ რუსეთში, თავის მამულში.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ერთსა და ძავე დროს ორის — სამეგრელოს და სვანეთის — ავტონომიის გაუქმებით და რუსის მმართველობის შემოღებით, აქ ჩვენის ფეხისმოკიდების საქმეში ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ. ამ მართველობის პირველ მოღვაწეობის შესახებ სამეგრელოში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ჩვენ მოგონებათა დასაწყისში; ჩვენი სათქმელი შეგვაწყვეტინა გაგარინის სიკდილის ამბავმა, და ახლა, რაკი ისიც ვუამბეთ მკითხველს, ხელახლა დავუბრუნდებით ჩვენს დაწყებულს მოთხრობას.

---

*) მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა ან სულ არაფერი.

თავი მეორე

სენაკის ოლქის მცხოვრებთა შედგენილობა და დახასიათება

თავად ჩიქოვანების მისვლა კოლუბიაკინთან.—დროებითი რეზიდენცია გენერალსა ახალხორში და ჩემი—თეკლათში. — როგორ მოვეწყეთ. — თარჯიმანები და მოხელენი. — ზუგდიდის გზის მარჯვენა მხარე ოლქისა. — თავადნი მხეიძენი, ჯაიანები, მიქაძენი, ქოჩაკიძენი; სოფლები: სუჯუნა, ჭალადიდი, საჭილავო. — მცენარეულობა. — მრეწველობა, შრომისმოყვარეობა. — ოლქის მარცხენა მხარე. — ბატონიშვილები: ელიზბარი მენიკი, კაცია, არჩილი, პეტრე და სხვები. — თავადი ფაღავები ბანძაში. — მათი დახასიათება. — ბეჟან ფაღავას ამბავი. — აზნაურები. — წინანდელი სოციალური საფეხური და შედარება მისი ახალ, რუსეთის მიერ შემოღებულ, სოციალურ საფეხურთან. — საგლეხო კითხვა საქართველოში, იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში. — ბარონ განის განზრახვა. — თავად ჩერნიშევის ჩამოსვლა ტფილისში და მისი ცირკულიარი. — ადათ-ჩვეულება. — ოლქის უფროსის მიერ საპოლიციო და სასამართლო საქმეთა გარჩევა. — მეტად მრავალ-ფეროვანი პრაკტიკა. — ებრაელთა ოჯახის ამბავი.

1

ეკატერინე დედოფლის პეტერბურგში წავლის შემდეგ დიდი ხანს არ გაუვლია, ისე ნ. კოლუბიაკინთან თავადნი ჩიქოვანნი მოვიდენ, მეტად შერცხვეხილნი. თანაც ეშინოდათ, ვაი თუ ჩვენის, როგორც მცირედ, ისე დიდ, დანაშაულობათათვის რუსის მთავრობამ დაგვსაჯოსო. ყველა ნათესავებისა და თანამოგვარეთა მაგივრად ყველაზე უფროსი თავადი სიკო ჩიქოვანი ლაპარაკობდა. იმან მოახსენა გენერალს: „იმიტომ კი არ გიახელით თქვენთან, რომ თავი ვიმართლოთ. არამედ იმიტომ, რომ გვეპატიოს, რაც რამ დანაშაული ჩავიდინეთო. ჩვენ არ შეგვიძლია ვუორგულოთ მთავრის ოჯახს, და სწორედ ეს ჩვენი ერთგულება შეიქნა მიზეზი ყველა ჩვენის დანაშაულისა რუსის მთავრობის წინაშეო. გთხოვთ, მიხედოთ ჩვენს გაჭირებულს მდგომარეობასა, გვაპატიოთ ჩვენი ბრიყვული საქციელი, რომელიც მხოლოდ გადაჭარბებულმა ერთგულებამ და გულმოდგინებამ ჩაგვადენინა. მთავრის ოჯახი სამეგრელოდან წავიდა, ჩვენ

დავობლდით და ახლა თქვენთან მოსულვართ, როგორც მამასთან; გთხოვთ ჩვენი მფარველობა იკისროთ და ჩვენც მზად გახლავართ რუსის მთავრობას ისევე ერთგულად და გულმოდგინედ ვემსახუროთ, როგორც ჩვენს მთავარს ვემსახურებოდითო“.

როცა სიკო ამას ამბობდა, ჩიქოვანებს სახეზე გულწრფელი მწუხარება ეხატებოდათ; ზოგიერთ მოხუცთ თვალებზე ცრემლები წამოასხდათ. მოციქულის სიტყვების გულწრფელობამ კოლუბიაკინს, როგორც ეტყობოდა, გული მოულბო და სიკო ჩიქოვანს უპასუხა: „რაკი შეინანიეთ თქვენი დანაშაული, მეც სიამოვნებით გაპატივებთ და თქვენი უმცროსი ნათესავები თქვენთვის ჩამიბარებია. ამას შემდეგ თქვენ უნდა იყვეთ მათი ხელმძღვანელიო. ჩიქოვანების გვაროვნობას აქამდე რაც უფლებები ჰქონდა, ამის შემდეგ უნდა გამოეთხოვოს; მაგრამ პირადს და ქონებრივს უფლებას მათსას, როგორც სხვებისასაც, კანონი ყოველთვის დაიფარავს ყოვლადის მიუდგომელობით. თითო-ოროლას თუ პირადად რამე ჩაუდენია, ამისათვის ნუ სწუხან, — რუსის მთავრობა იმდენად ძლიერია, რომ ამისთანეები შეუძლია აინუნშიაც არ ჩაიგდოსო.

ჩიქოვანებთან შერიგება რუსებისთვისაც კარგი იყო. მთავრების დროს ჩიქოვანებს მთელი დასი ჰქონდათ შემდგარი და ეს დასი განაგებდა ყველა საადმინისტრაციო და სასამართლო საქმეებსა. ამიტომ, ბევრი რამ იცოდენ წარსულის ამბებისა, რაიცა ჩვენ, რუსებსაც უნდა შეგვეტყო. და ჩვენც ვსარგებლობდით მათგან ამ ცნობებითა. ორი თუ სამი მათგანი, შემდეგში, სამსახურშიაც კი იქმნენ მიღებულნი.

კოლუბიაკინმა განიზრახა სამეგრელოს მკვიდრთათვის უფრო კარგად ჩაეგონებინა, რომ ამიერიდან თქვენს საქმეებს რუსის მთავრობა განაგებსო და ამისათვის საჭიროდ სცნო მთელი სამეგრელო შემოევლო. სამოგზაუროდ გიორგობისთვე აირჩია. შედგენილ იქმნა გეგმა გენერლის მოგზაურობისა სამსავე ოლქში. ყოველს ოლქში ადგილობრივივე უფროსი დაჰყვებოდა. სადაც კი გაჩერდებოდა გენერალი, მაშინათვე ახლო-მახლო მცხოვრები მებატონეები და გლეხები იმასთან თავს მოიყრიდენ. გენერალი ბევრს ლაპარაკობდა მათთან, ჩვეულებისამებრ, ჰყვიროდა, და ცხარობდა, მაგრამ ხალხი მაინც ყველგან მადლობელი რჩებოდა. ყველა ხედავდა, გენერალი ყურს გვიგდებს, ჩვენს თხოვნას ისმენს, მაშინათვე მიხვდება ხოლმე ყველაფერსა და, თუმცა საშინლად უყვარს ყვირილი, მაგრამ საქმეს მაინც სოლომონ ბრძენივით არჩევსო. ყოვლად შეუძლებელია კაცმა ჩამოთვალოს ყველაფერი, რასაც ამბობდენ გენერლის ამ მოგზაურობის

დროს; კაცმა თვითონ უნდა იმსახუროს ხალხის მართვა-გამგეობაში, განსაკუთრებით კავკასიის ხალხთან, რომ წარმოიდგინოს, როგორიცის ლაპარაკი სამხრეთის ცხარე და აპირპილებულ ხასიათის მკვიდრმა.

გენერალმა სამეგრელო დაიარა. და ამ მისმა მოგზაურობამ სარგებლობაც მოუტანა მკვიდრთ. სოფლელთა ცხოვრება დამშვიდდა და მოწესრიგდა. ოლქის უფროსებს საქმე როგორც სამოსამართლო, ისე საპოლიციო დღითი-დღე ემატებოდათ. ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ დილიდან მოყოლებული საღამომდე საქმეებს-ღა არ-ჩევდენ.

ოლქის უფროსს, როგორც უკვე ვთქვით, სამი თანაშემწე უნდა ჰყოლოდა: ორი რუსი და ერთიც ადგილობრივი მკვიდრი. ამორჩევა და აქ მოწვევა რუსების მოხელეთა ადვილი საქმე არ იყო, ამიტომ იძულებული ვიყავით ქუთაისის გუბერნიიდან წამოგვეყვანა მოხელენი. მაგრამ იქიდან კიდევ იმავე თანამდებობაზე, რაც იქ ეჭირა, არავინ მიდიოდა, მარტო ის თუ წამოვიდოდა, ვინც დაწინაურებას ესწრაფებოდა. ამის წყალობით მთელი ერთი წელიწადი მეტი ვერ ვიშოვნე ჩემთვის თანაშემწე. ჩემს კანცელარიაში ერთი სეკრეტარი მყვანდა, ერთი მისი თანაშემწე, თარჯიმანი მწერალი და ორი-სამი გადამწერელი, რომელთა შოვნა ადვილი არ იყო. გარდა ამათი, ჩემთან ერთი ზეპირი თარჯიმანიცა მყავდა. ეს თანამდებობა ძალიან საჭირო და საძნელო იყო, რადგან ხალხთან თითქმის შეუწყვეტლივ გვიხდებოდა ლაპარაკი. პირველში იძულებულ ვიყავი რამდენიმე თარჯიმანი გამომეცვალნა, სანამ ხელში მიხვედრილი და კარგი ყმაწვილი არ ჩამივარდა, 18 წლისა, ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძე *). ჩემი ახალი თარჯიმანი მარტვილის (სამეგრელოის) სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, და თუმცა რუსული წერა და ლაპარაკი მაგდენი არ იცოდა, სამაგიეროდ გულდადებით და დაკვირვებულად ასრულებდა თავის საქმესა. ბ. ქავთარაძე მისმა მამამ, პატივცემულმა კეთილმოწესემ, მომიყვანა და მითხრა: როგორც მამისთვის, ისე ჩამიბარებია, იქნება წიგნი რამ ასწავლო და კაცად გამოიყვანოვო. მას აქეთ, სანამ სამეგრელოში ვიყავი, მთელის ოთხის წლის განმავლობაში, ერთმანეთს არ გავშორე-

*) ბესარიონ ქავთარაძე ბოროზდინის შემდეგ ბოქაულად იყო ჯერ ახალ-სენაკში, მერე შორაპნის მაზრაში. ბოლოს — ძველ-სენაკში (სამეგრელოში), სადაც ამ 1898 წლის ზაფხულში გადაიცვალა, 80 წელიწადს მიტანებული.

თ. ს

ბივართ. რუსის მოხელე ყოველთ უწინარეს დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ მისი თარჯიმანი პატიოსანი და სანდოა, და თუ ეს თვისება აკლია თარჯიმანს, ყოველს ნაბიჯზე უნდა მოელოდეს მოტყუებასა, ყოველს ნაბიჯზე უნდა ინანოს თავისი მოქმედება; ეშმაკი და ამასთან ურცხვი თარჯიმანი თეთრს შავად მოაჩვენებს ენის უცოდინარს მოხელესა, და ეს მით უფრო სავალალო იქნება, რაც უფრო დიდი თანამდებობა უჭირავს მოხელესა. ქართული ენა უკვე იმდენად მესმოდა, რომ მოტყუების არ მეშინოდა და ბესარიონსა ვთხოვდი, ჩემი ნათქვამი არამც თუ სიტყვა-სიტყვით გადაეცა, უკლებლივ, არამედ ყოველგვარის მნიშვნელობითაც; ისიც თანდათან ეჩვეოდა სწორე თარგმნასა და ერთის წლის შემდეგ გარკვევით ლაპარაკობდა რუსულს.

მე კი, როგორც იყო, ვიშოვე პატიოსანი და ნიჭიერი ყმაწვილი კაცი, მაგრამ ნ. პ. კოლუბაკინმა, რაც რაფ. დ. ერისთავი *) (აწ უკვე ზუგდიდის ოლქის უფროსი) მოშორდა, სანამ კავალერიის კორნეტი თავადი ალექსანდრე ნაკაშიძე არ აიყვანა თარჯიმანად, ბევრი ტანჯვა გამოიარა სხვა-და-სხვა მატყუარა თარჯიმანების ხელში. სხვათა შორის, თარჯიმანად ერთი აზნაური, თემურაზ თოფურია ჰყავდა, რომელიც ულმერთოდ ატყუებდა ხან განზრახ, ხან კიდევ ენის უცოდინარობის წყალობით. ერთხელ კოლუბაკინთან ვიყავ. გლეხები მოვიდენ და მებატონეს უჩივლეს. თარჯიმანი თოფურია ადგა და გლეხების სიტყვები სულ სხვანაირად გადასცა კოლუბიაკინს, — რა თქმა უნდა, თავისი ძმა-მებატონე უნდოდა გაემართლებინა. თოფურიას არ ეგონა, თუ მე ქართული ვიცოდი. გლეხები ამბობდენ, „ბატონი ხელ-ფეხში ხუნდებს გვიყრისო“, და თოფურიამ კი ასე გადათარგმა: ბატონი ახალ-ახალის ბეგრით აწუხებს ამ გლეხებსაო. მე, რა თქმა უნდა, ჩავერიე და მისი ეშმაკობა გამოვაშკარავე, რისთვისაც ჩვენს თარჯიმანს ძალიან მოხვდა. მეორეჯერ თოფურიასავე წყალობით მე და კოლუბიაკინს შეცთომა მოგვივიდა. ერთი ბერი იყო და საეკკლესიო ღალასა ჰკრეფდა გლეხებისაგან. თან გლეხებს აშფოთებდა და ეუბნებოდა, საეკკლესიო მამულებზე ვინც სახლობს, იმათ ბატონი არავინა ჰყავს თვინიერ წმ. გიორგისა, და რუსის ადმინისტრაციას იმათთან ხელი არა აქვსო. გლეხებმა დაუჯერეს ბერს და როცა მოურავმა ბეგარაზე გაყვანა მოუნდომა ხალხს გზის შესაკეთებლად, აღარ გავიდენ, ჩვენი საქმე არ არისო. იძულებული ვიყავი წასულვიყავ ალაგობრივ და გლეხებისათვის ჩამეგონებინა მათი

*) ჩვენი მხცოვანი პოეტი.

შეცთომა, ხოლო ბერს გამოვუცხადე, რომ თუ კიდევ გამიგონია შენგან გლეხების აჯანყება, უბოდიშოდ ყაზახ-რუსებს მივცემ შენს თავს და სამევრელოს მმართველთან ჯაგგზავნი-მეთქი. მეორე დღეს კოლუბიაკინმა მიხმო; მისაღებ ოთახში გუშინდელი ბერი დამხვდა, ხოლო კაბინეტში გენერალი, როგორც ეტყობოდა, შეშინებული. ამ სიტყვებით მომეგება:

„Si vous l'avez effectivement rossé... cela peut arriver à tout le monde... arrangez-vous avec lui... donnez lui une centaine de roubles. Si vous ne les avez pas, prenez chez moi" *).

გენერლის სიტყვები ვერ გავიგე და, ამიტომ, ვთხოვე ბერი კაბინეტში შემოეყვანათ და ჩემს წინაშე ეკითხნა, რასა სჩივოდა. აღმოჩნდა, რომ სიტყვა **გალახა**, რომელსაც ქართულად ორგვარი მნიშვნელობა აქვს — **ლანძღვა** (გლახა) და ცემა, თოფურიას უკანასკნელის მნიშვნელობით გადაეთარგმნა და ისე გაუგია კოლუბიაკინს, ვითომც მე წმიდა მამისათვის მეცემნოს. ძალიან შეწუხებულა კოლუბიაკინი, სხვა არაფერი გამოუკითხავს ბერისთვის და მაშინათვე კაცი უფრენია ჩემთან. ახლა კი, როცა ყველაფერი გამოირკვა, ბერსაც და თოფურიასაც, რა თქმა უნდა, შუბლზე არავინ აკოცა. თოფურიას თარჯიმანობა ჩამოართვეს და უბრალო იასაულად გახადეს.

ამისთანა ამბები ხშირად ხდებოდა ხოლმე უვიც თარჯიმანების წყალობით. ამიტომ, თავადი ვორონცოვი ძალიან აფასებდა იმ რუს ადმინისტრატორ-მოხელეებს, ვინც ადგილობრივს ენებსა სწავლობდენ, და ყველას აქეზებდა, ისწავლეთო. მაგრამ აქაც მოხდებოდა ხოლმე სასაცილო ამბები. ერთხელ გორის ოლქში მივიდა. მცხოვრებნი აქ ოსები არიან და უფროსად ერთი ვორონცოვის საყვარელი კაცი იყო, გრაფი სიმონიჩი, რომელიც აქ ორი წელიწადი მეტი უფროსობდა. მისალმების შემდეგ ვოროხცოვმა ჰკითხა:

— აბა, ოსურად ხომ ლაპარაკობ ახლა, სიმონიჩ?

— ვლაპარაკობ, თქვენო ბრწყინვალებავ.

— აი, ამისთვის გიმადლით! მაშ, თარჯიმანად შენ მეყოლები. ძალიან მოხარული ვარ. აბა დაუძახე ა იმ მოხუცთ, იქ რომ დგანან.

მოხუცნი მოვიდნენ და მდაბლად სალამი მისცეს.

— კარგადა სცხოვრობთ, მოხუცნო? ხომ მშვიდობაა თქვენკენ?

---

*) თუ მართლა სცემეთ... ეს ყველას მოუვა, როგორმე გააჩუმეთ. მიეცით ათიოდ თუმანი, თუ ფული არა გაქვთ, მე მოგცემთ.

— მშვიდობაა, სარდალო, მადლობა ღმერთს.

— ჭირნახული როგორია?

— მშვენიერი, სარდალო".

— კალია ხომ არა ყოფილა?

— გახლდათ, სარდალო, ახლაც არის, კალია როგორ არ იქნება.

ვორონცოვი გაოცებული იყურებოდა.

— კარგი და, სიმონიჩ, შენ რატომ არა შემატყობინე-რა, თუ კი აქ კალია იყო?

სიმონიჩს შერცხვა, რაღაც ლუღლუღს მოჰყვა: თითონ მეც არ შემინიშნავსო... მაგრამ კალია როგორ-ღა არ უნდა შეენიშნა?

— არა, კიდევა ჰკითხე კარგად, იქნება ვერ გაიგე რამე მათი ნათქვამი, იქნება შეგცთა რამე?

სიმონიჩი ხელახლა დაეკითხა; მოხუცნი ისევ თავისას გაიძახიან და უკვირსთ, სარდალმა რად ინება და არ დაგვიჯერაო: „სიმონიჩი რომ გვეკითხება, იმის მეტი რა არის ჩვენსკენაო."

მაშინ თავადმა გადასწყვიტა, ჩემმა სახელდახელო თარჯიმანმა, ალბად, ჯერ კარგად არ იცის ოსურიო და მიმართა თარჯიმანს ex professo.

ოსები პირჯვრის წერით ჰფიცავენ, კალია თავის დღეში არა ყოფილა ჩვენსკენაო. თავადს ძალიან გაეხარდა ამ პასუხზე და ღიმილით იკითხა, სიმონიჩი რაღას ეუბნებოდა ამათაო. აღმოჩნდა, რომ სიმონიჩს კალიის მაგივრად ბელურების შესახებ უკითხავს, და ბელურები ხომ, როგორც ყველგან, აქაც აუარებელი იყო. ეს რომ გაიგეს, ყველამ გადიხარხარა.

— არა, ჩემო ძმაო, — უთხრა ვორონცოვმა სიმონიჩს, — შენ ჯერ კიდევ კარგად ვერ გისწავლია ოსური. ისევ ისწავლე, — ეუბნებოდა თავადი და გულკეთილად მხრებზე ხელებს უტატუნებდა: — ამ მარცხისა ნუ შეგრცხვება, უშეცთომოდ ვერაფერს ისწავლის კაცი.

ხოლო ეს შეცთომა უკანასკნელი არა ყოფილა: რაღა უნდა ეთქვათ გორელ ოსებს მეფისაგან დაყენებულ სარდალზე, რომელიც ბელურების ამბავსა ჰკითხულობდა?!.

ჩემდა საბედნიეროდ, სამეგრელოში სამსახური რომ დავიწყე, ქართული, როგორცა ვთქვი, უკვე მესმოდა და აქ კი მეგრული უნდა შემესწავლა, რომელიც გამოთქმით განსხვავდება ქართულისაგან. ჩემი ყური ცოტ-ცოტად იმასაც შეეჩვია, თანდათან მესმოდა სხვისი ნათქვამი და ერთის წლისა, თუ წლინახევრის შემდეგ ბნელეთიდან

გამოვედი კიდეცა. უთარჯიმანოდ მაინც მხოლოდ მაშინ გავბედავდი მეგრულად ლაპარაკს, როცა ძალიან გამიჭირდებოდა.

სამეგრელოს მმართველის სამუდამოდ საცხოვრებელ ადგილად ზუგდიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან მთავრის სახლი ოსმალოს ომის შემდეგ დანგრეული იდგა, ნ. კოლუბიაკინი ძალაუნებურად დროებით სენაკის ოლქში დაბინავდა, სოფ. ახალხორში, ელიზბარ დადიანის სასახელეში.

პირველ ხანს ვერც მე დავბინავდი ჩემს რეზიდენციაში, დაბა ახალსენაკში, რადგან საოლქო სამმართველოსათვის სახლი ჯერ არ იყო აშენებული, ამიტომ სოფ. თეკლათში ვიშოვნე ბინა, თავად ივანე მხეიძესთან, რომელსაც აქ დიდი ხის სახლი ედგა. ასეთი სახლი იმ ხანებში იშვიათი იყო.

უცნაური კაცი იყო ჩემი სახლისპატრონი, ივანე მხეიძე, რომელსაც კინტირიასაც ეძახდენ, რადგან განსაკუთრებული თავი ჰქონდა, კიტრის მსგავსი, წვეტიანი; გულკეთილი იყო და ძალიან უხაროდა, რომ სახლი სახელმწიფო დაწესებულებას ნახევარის წლით მიაქირავა. ერთის წლის წინად იმავე სახლში კინტირიას ომერფაშა ეყენა. თურმე ძალიან პატივსა სცემდა ოსმალეთის წარჩინებული კაცი ჩვენს კინტირიას. თვითონაც არ მიმალავდა: ორდენი და ბეგობა მომცაო, და იმასთან ფესი მეხურაო. „მაშ რა მექნა? — მითხრა კინტირიამ, — ხომ არ ვეურჩებოდი! მოგეხსენებათ, ძალა აღმართსა ხნავს. რუსის ჯარი წავიდა, ჩვენ თავი გაგვანებეს, ძალაუნებურად მივიღე ასეთი სტუმარი; რომ არ მიმეღო, მე არც კი მკითხავდა, ძალათი დაეპატრონებოდა ჩემს სახლსა. ნეტავი, არ წასულიყო. მართალი უნდა მოგახსენოთ, მეგონა, რუსები ამის შემდეგ აღარ დაბრუნდებიან-მეთქი. სარდალი ძალიან კარგი კაცი იყო, მეტის-მეტად მეფერებოდა, თითქმის ყოველ დღე მპატიჟობდა სადილად და ნარდსაც ხშირადა ვთამაშობდით ერთად. ძალიან უყვარდა ნარდი. გოგოებიც ძალიან უყვარდა. ერთი მღვდლის ქალი იყიდა, მეტად ლამაზი, და მერე სტამბოლში წაიყვანა“.

ისიც მიამბო კინტირიამ, სარდალი თავისს ხელქვეითებს მეტად მკაცრად ეპყრობოდა, ხელადა სჯიდაო; ოფიცრებს ფეხის ქუსლზე სცემდენო, ხშირად იქავე ეზოში ხდებოდა ეკზეკუციაო. ძარცვისა და ღალატისათვის ხომ სიკვდილი იყო განმზადებულიო.

სოფელი თეკლათი ზუგდიდის გზის მახლობლად მდებარეობს. გარშემო ტყე აკრავს, რომელიც ზღვამდე უწევს, მთელის ორმოცის ვერსის მანძილზე; ტყე უტეხია, გაუვალი, ნარეკალათი გაბანდული. შიგა სცხოვრობს ფრემი, გარეული ფერი და ხოხობი. კინტირია

ხშირად გზავნიდა თავისს ბიჭებს სანადიროდ და მე კიდევ იმისაგან სხვადასხვა ნანადირევს ვყიდულობდი. სხვა მხეიძეებიც გავიცანი. ამათგან ყველაზე მდიდარი გრიგოლ მხეიძე იყო, რომელსაც იჯარით ჰქონდა ომის დროს სურსათის ძლევა და ამით 100.000 მანეთამდე მეტი მოიგო. აქაურს როტშილდს სახლიც ევროპულადა ჰქონდა მორთული. მხეიძენი მომეტებულად ხე-ტყის წარმოებითა სცხოვრობდენ. თავის მდიდარ და ვრცელ ტყიდან მდ. ხობის-წყლითა და რიონით ხეები და ფიცრები გაჰქონდათ ზღვის ნაპირად გასასყიდად. საზოგადოდ, ეს გვაროვნობა ერთ შეძლებულ გვაროვნობად ითვლებოდა.

ამგვარად ფეხი მოვიკიდე აქ და შევუდექი ჩემდამო რწმუნებულის სენაკის ოლქისათვის ზრუნვასა. ამ დროიდან ჩემი მოგონებანიც ამ ოლქს შეეხება. ხოლო რათა უფრო ადვილად გავუთვალისწინო მკითხველს ჩემი მოთხრობა, ვეცდები ყოველთ უწინარეს ნათლად წარმოვუდგინო, ვისთანაც მე საქმე მქონდა, ვინა და რა ხალხი იყო.

2

შოსეს გზა ზუგდიდიდან სადგურ მარანამდე (ქუთაისის გუბერნიის საზღვარზე იყო), რაღაც უცნაურ შემთხვევის წყალობით, სენაკის ოლქს ორ ნაწილად ჰყოფდა. ორივე ნაწილი ერთმანეთისაგან საშინლად განსხვავდებოდა. შოსეს გზის მარჯვნივ ოდიშის ვაკე იყო გადაჭიმული, თითქმის ერთიანის ტყით დაბურული. ზღვას რაც უფრო უახლოვდებოდა, თანდათან ვაკდებოდა და თავდებოდა გრძელისა და გაუვალის ჭაობებით; ხოლო მეორე (მარცხენა) ნაწილი მთა-გორიანი იყო. ამ ნაწილზე იყო გაჭიმული ჭხოლოდ სახნავ-სათესი ადგილები, ბაღები და ვენახები.

მარჯვენა ნაწილი ცივის-წყლიდან (ზუგდიდის ოლქის საზღვარი) სოფელ თეკლათიდან იწყებოდა, სადაცა, როგორც უკვე ვთქვით, თავადნი მხეიძენი სცხოვრობდენ; მათს იქით, ზღვისკენ — თ-დნი ჯაიანნი, ქოჩაქიძენი და მიქაძენი სცხოვრობდენ. მათი მამული მდ. რიონამდე სწვდებოდა, მერე იწყებოდა დიდი საეკკლესო მამული, საჭყონდიდლო, რომელიც რიონის ნაპირად იდო; სოფ. ჭალადიდთან. საეკლესიო მამულის სამხრეთით, რიონის აყოლებაზე, ქუთაისის გუბერნიის *) საზღვრამდე, საჭილავო იყო, სადაცა სცხოვრობდენ აზნაურები: კორზაიები, ნანეიშვილები და სხვა.

---

*) იმ. დროს სამეგრელო, ორ ოლქად გაყოფილი (ზუგდიდისა და სენაკისა), ქუთაისის გუბერნიისაგან გაცალკევებული იყო.

მთელის ამ მარჯვენა მხარის მცხოვრებნი ცნობილნი იყვნენ როგორც გამრჯე, მრეწველი და შშვიდობისმოყვარე ხალხი. თამამად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ასეთი მდიდარი მხარე სამეგრელოში მეორე სხვა არ იყო; ყოველ კუთხეში რომელიმე წარმოება ჰყვაოდა. მხეიძენი, ქოჩაქიძენი, მიქაძენი ხე-ტყის წარმოებას მისდევდენ. საეკკლესიო აზნაურები და გლეხები ხვნა-თესვისა, მევენახეობისა, ჩალვადრობისა და მეაბრეშუმეობის გარდა, მენავეობასაც მისდევდენ. ყველას ჰქონდა თავისი ნავი და ფოთსა და ორპირს შუა რიონზე საქონელი დაჰქონდათ. მენავეობა იყო ჭალადიდის მცხოვრებლების ხელობაცა. ესენი, გარდა ამისა. ბაქ-გადაუხდელ საქონელსაც ეზიდებოდენ ჩუმად აქეთკენ. ეს ხელობა რუსების მმართველობის დროს საშიში იყო, მაგრამ მაინც არ იშლიდენ, რადგან სარგებლობას დიდსა ხედავდენ. კონტრაბანდა ქობულეთიდან მოჰქონდათ, გურიის საზღვარზე. ჭალადიდის საბატონო გლეხები თებზაიები, ჯვარელიები და ჩოჩუები განთქმული კონტრაბანდისტები იყვნენ და თითოს ათასობითა ჰქონდა ფული. აი, ასეთს გლეხებს თავის მხრივაცა ჰყავდათ გლეხები.

საეკკლესიო მამულში, დაბა სუჯუნაში, ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ვაჭრები აქაური ებრაელები იყვნენ, რომლებიც, როგორც ზემოდა ვთქვით, წმ. გიორგის ეკკლესიას ეკუთვნოდნენ. მათში ყველაზე მდიდარი ცხაკუნია მიხალეიშვილი იყო. ეს აქ ყიდულობდა აბრეშუმსა და სტამბოლში გაჰქონდა გასასყიდად; ამბობდენ, ორას ათასის ქონება აქვსო. საჭილავოში აგრეთვე მეორე სავაჭრო დაბა იყო—ორპირი, რომელიც მდ. რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან მდებარეობდა. აქ იყო საფოსტო სტანცია და სადგური ნავებისათვის. ამ ნავების პატრონები იყვნენ რუსის საჭურისები, რუსეთის ყველა მხრიდან აქ გამოგზავნილები. ესენი შეადგენდენ ინვალიდთა 96 №-ის როტას. ამ რაზმში პირველად 380 კაცი ითვლებოდა. რიონის განაპირას ლამაზი სახლები ააშენეს და დაბა დაამშვენეს. არ ვიცით, პირველად ვის მოუვიდა აზრად აქ საჭურისები დაესახლებინა, ეს კია, რომ ამაზე უკეთესს ალაგს სხვაგან ვერ აარჩევდენ. აქაურ მკვიდრთაგანი ერთი კაციც არ გადაუბირებიათ თავისაკენ. მათმა მავნე მოძღვრებამ მარტოოდენ ზიზღი გამოიწვია აქაურებში. და ერთი-მეორეზე ისე ბმოწყდენ, რომ კვალიც არ დარჩენილა მათი. მართალია, დამახინჯებულები იყვნენ, მაგრამ, როგორც მოღვაწენი, ამ მიყრუებულ ალაგას სასარგებლონი იყვნენ. მათს შორის ყოველ გვარ ხელოსანს იპოვიდით: დურგალი გნებავსთ, ხურო, მჭედელი, ჩილინგდარი, მეკასრე, პურის მცხობელი, თუ სხვა

ხელობისა. ხშირად ქუთაისიდანაც უკვეთავდენ სამუშაოსა. მართალია, სუსტნი იყვნენ, მაგრამ შრომის მოყვარე და დახელოვნებულ მუშების სახელი ჰქონდათ. არამც თუ შემოკვეთილ სამუშაოს შესრულებას ასწრებდენ, თავისი ნავებიცა ჰქონდათ და ფოთსა და ორპირს შუა ხალხიც დაჰყავდათ და საქონელიც დაჰქონდათ. სასაცილო რამ იყო ეს ახალშენი. ტანთ ეცვათ ინვალიდთა ფორმის ტანისამოსი, წვრილი, ქალური ხმა ჰქონდათ, სახე მოხუცისა; ამ გულად მეომრებს თავისი უფროსიცა ჰყავდათ, — ეს გახლდათ პოდპოლკოვნიკი იაგორა დავითის ძე გეგიძე და პორუჩიკი ზვენიგოროდსკი, რომელნიც მათ ხანდისხან, თავისუფალ დროს, სამხედრო ხელობას ასწავლიდენ. მაგრამ საჭურისებისა და გეგიძის შესახებ ჩვენ შემდეგში გვექნება კიდევ ლაპარაკი.

სენაკის ოლქის ამ ნაწილს რიონი, ნაოღალევი, აბაშა, ტეხური, ცივი და სხვა მრავალი პატარა მდინარეები რწყავენ. წყალი ჭარბადაა აქ, მცენარე საშინელის ღონით იზრდება და ნიადაგიც მეტად ნაყოფიერია. ევროპიდან მოსულებს საშინლად უკვირთ ასეთი ნაყოფიერება ნიადაგისა. ერთხელ ორი მებაღე ფრანგი შემხვდა, რომლებიც სპარსეთის შაჰს თეირანში გამოეწერნა პარიზის Jardin des plantes-იდან. გზა კავკასიაზე ჰქონდათ. ჯერ ზღვის გემიდან ყულევში გადმომსხდარან, იქიდან რიონამდე მოსულან და რიონიდან ნავით ორპირში ამოვიდენ. აქ მე შევხვდი და ძალიან გაეხარდათ, რომ მათებურად მოლაპარაკე კაცი გამიცნეს. განსაკუთრებულის აღტაცებით მელაპარაკებოდენ ყულევიდან მოყოლებული გზად ნახულ ნიადაგისა და მცენარეულობის შესახებ. ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ ნიადაგის ასეთს სიმდიდრისა და ნაყოფიერობის შესახებაო.

ერთი მებაღე დაიხარა, ერთი მუჭა მიწა აიღო, მაჩვენა და აღტაცებით მითხრა: „Savez vous que cette poignée coûte 20 francs à Paris, c'est du chocolat, ah! quelles camelias on peut produire avec cela. Et dire que ce trésor se trouve entre les mains incapables d'en tirer quelque chose!“ *). გაოცებულნი იყვნენ, როცა რიონის ნაპირას გარეული გენაგერჩაქის ხესავით გამხდარი მცენარე დაინახეს, ამ მცენარით რამდენისამე ვერსის მანძილი იყო დაფარუ-

---

*) „იცით, რომ ერთი მუჭა ამ მიწისა პარიზში 20 ფრანკი ღირს; მიწა კი აბა—შოკოლადია; ახ, რა კამელიები შეიძლება ახეიროს კაცმა ასეთს ნიადაგზე! აფსუსი არ არის, ასეთი სიმდიდრე ისეთების ხელში იყვეს, რომელთაც არც კი იციან, როგორ გამოიყენონ ეს მიწა.“

ლი და თითო მათგანი მართლა რომ უშველებელი გაზრდილა. ვისაც არ უნახავს, ძნელად წარმოიდგენს, თუ რა სიდიდისა იზრდება აქ ერთის წლის მცენარე გენაგერჩაქისა. „მარტო ამ გენაგერჩაქით, — ამბობდენ ფრანგნი: — ჩვენში კაცი მარტოამით გამდიდრდებოდა, აქაურები კი, როგორცა ვხედავთ, სრულიად ღარიბები არიან“.

მაგრამ, რაც უნდა დაემცირებინათ ფრანგებს აქაურები, ოლქის ამ ნაწილის მცხოვრებნი ყველაზე მეტი შრომისმოყვარენი იყვნენ და თავიანთის ზნეობით სამეგრელოს დანარჩენ მცხოვრებლებზე გაცილებით მაღლა იდგნენ: გლეხები, განსაკუთრებით საეკკლესიონი, მდიდრულადაც სცხოვრობდენ. მათი ტიპიცა, განსაკუთრებით, ქალებისა, თავის სილამაზით იყო ცნობილი. სოფლის დღეობებში, განსაკუთრებით სუჯუნაში, სოფლის ლამაზ ქალებს თვალს ვერ მოაშორებდა კაცი. მათი სიმღერები და ცეკვა-თამაში მეტად ნარნარია და მოგვაგონებს ჩვენებურს (რუსულს) ფერხულსა, რომელსაც თანდათან ივიწყებს ხალხი. ეკკლესიის დღეობები მომეტებულად გაზაფხულობით იციან ხოლმე. ამ დღეობებზე დიდძალი ხალხი იყრის თავსა. ვინ იცის, რა შორეულ სოფლებიდან აო მოდიან! იმერეთიდან და გურიიდანაც მოდიან აქაურს დღეობებზე. აქვე იმართება ბაზრობა და ვაჭრობაა გაჩაღებული. იმ დროებაში, რომელსაც მე ახლა ვწერავ, ადგილობრივი ნაწარმოები ყველაფერი საშინლად იაფად იყიდებოდა. ერთი ფუთი აბრეშუმი ოთხ თუმნადა ღირდა, ხოლო ებრაელნი ერთი-ხუთადა ჰყიდდენ იმავე საქონელს სტამბოლში; ქილა სიმინდი ორ აბაზად ჰფასობდა, ქათამი — ორ შაურად, და მერე ისეთი ყვერულები შემოჰყავდათ, რომ ფრანგული ყვერულები, პივიტოსთან 5 მანეთად რომ იყიდება ხოლმე, ამათს ფრჩხილადაც არა ღირდა; ნარჩევს ბატკანს ოთხ აბაზად იყიდიდით. ღვინო აქეთკენ მდარეა; მაგრამ ერთის ჯიშის ღვინო იყო, თეთრი, მსუბუქი, **პუპულა** ერქვა, სასიამოვნო სასმელი იყო. ყურძენი დაბლობში და, ამასთან, ხშირ ტყეში თუ იზრდება, ყოველთვის წყალ-წყალაა ხოლმე; მართალია, ღვინო ნაკლებად იყო, სამაგიეროდ ჯუარებელი იყო პური, თევზი, შინაური ფრინველი, ცხვარი.

3.

მეორე ნაწილი სენაკისა, ზუგდიდის შოსეს მარცხენა მხარეს მდებარე სულ სხვა ხასიათის მცხოვრებლებით იყო დასახლებული. ამათ დიდი მებატონენიც ერივნენ, ბატონიშვილები, თავადი დადიანები, და ამიტომ ჯერ იმათს შესახებ ვიტყვი.

მდ. ტეხურის პირად მდებარე სოფელ ნოჯიხევიდან აღმოსავლეთისკენ მიუდის მთელი ზოლი სერებისა და მათს ძირას მოსახლობდენ ბატონიშვილები.

პირველი, ახალხორის, მამული ელიზბარ ბატონიშვილს ეკუთვნოდა; იმის სასახლეში, როგორცა ვთქვით, დროებით იდგა ნ. კოლიუბიაკინი. ელიზბარს ხუთასი კომლი აზნაური და გლეხი ჰყავდა სხვა-და-სხვა კატეგორიისა და ნამდვილი ბატონი იყო ყველაფრით. ცოლად წულუკიძის ქალი ჰყავდა. ცოლ-ქმარმა არცერთმა იცოდა რუსული, ძაგრამ შვილები კი გაეგზავნათ ქუთაისსა და ტფილისში სასწავლებლად, და როცა ჩვენ სამეგრელოში შემოვედით, ორი მათგანი ერევნის პოლკის ოფიცრებად იყვნენ უკვე, სხვები კი ჯერ კიდევ სწავლობდენ. სამი ქალი ჰყავდათ, სამივე ლამაზები. ამათგან ორი გათხოვილი იყო და შინმარტო უმცროსი, ცამეტის წლის ჯანანა *) ჰყავდათ. ელიზბარის სასახლე ორსართულიანი იყო, ქვითკირისა, საშვილიშვილოდ აშენებული, უბრალოდ. მთელი ოჯახი, მოხუცი-დან მოყოლებული, განსაკუთრებულის გულუხვობით და სტუმართმოყვარეობით გვეპყრობოდა რუსებსა; ჩვენთვინაც ძალიან სასიამოვნო იყო ასეთ მემამულეს სასახლეში ყოფნა, რომელსაც არავინ უჩივოდა, რადგან თვითონაც არავის აწყენინებდა და არავის უჩივოდა. ლაპარაკი არ უყვარდა, თავისთავი ღირსეულად ეჭირა, მაღალი იყო, სამოც წელს გადაცილებული. ყველა პატივსაცემდა. თავის ოჯახში უფროსი ის იყო და თავისს შვილებს ყოველთ უწინარეს პატიოსნური მიმართულება მისცა.

მის მამულის შემდეგ მკითხველებისათვის უკვე ნაცნობი ქვაშხორი იწყებოდა, რომელიც მის ძმისწულს, კნეინა მენიკი (მარიამ ნიკოლოზის ასულს) შარვაშიძეს, ეკუთვნოდა. მენიკი ერთად-ერთი შვილი იყო ნიკოლოზ ბატონიშვილისა (ელიზბარის უფროსის ძმისა). მისი სილამაზე ერთს დროს განთქმული იყო (მისი კავები იატაკზე ერთს ადლზე დასთრევდა). უკვე მოხუცებაში იყო შესული, რომ იმერეთის თავადიშვილს წულუკიძეს მისთხოვდა. მაგრამ ერთს წელსაც არ გაუვლია, რაღაც ავადმყოფისაგან ქმარი მოუკვდა და ისევ მამის სახლს დაუბრუნდა. ქმარი რომ მოიგლოვა და ხალხს ეჩვენა, აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს ძალიან მოეწონა და ცოლობა სთხოვა. დაიწერეს ჯვარი. აფხაზეთის მთავარმა ერთი თვე ქვაშხორში გაატარა თავის ცოლთან და მერე აფხაზეთში წავიდა, სადაც ლოდინი დაუწყო თავის მეუღლესა, რომელიც იმის შემდეგ

*) თავად ვახტანგ გურიელსა ჰყავს ცოლად.

უნდა წამოსულიყო, როცა მამა მენიკისა, ამ ქვეყნის ჩვეულების თანახმად, თავისის ქალის მზითევს გაგზავნიდა. ერთი ქარავანი მზითევისა მოვიდა კიდეც აფხაზეთში, მაგრამ უკმაყოფილება ასტყდა. მიხეილმა სთქვა, გამოგზავნილი ცხენები არაფრად არ ვარგა და დანარჩენი ნივთებიც, რომ მითხრეს, ის არ არისო. პირველი ქარავანი მზითვისა მიხეილმა უკანვე გამოაბრუნა ტ სიმამრს დიდი საყვედური შემოუთვალა. სიძე-სიმამრს შორის უსიამოვნება ასტყდა. მიხეილი თავისას გაიძახოდა, ნიკოლოზი კიდევ თავისას, არც ერთი უთმობდა და არც მეორე. ეს უსიამოვნება ერთი წელიწადი მეტი გაგრძელდა. ბოლოს, მიხეილმა, რომლისათვის კანონი და სამართალი არ არსებობდა, შემოსთვალა ქვაშხორში, მენიკი აღარ მინდა ცოლად, მე უკვე სხვა ცოლი შევირთე, გიორგი ბატონიშვილს ქალიო. ასე და ამ გვარად, ქმარსა და მამას შორის უმნიშვნელო რაზედმე ატეხილ დავის წყალობით მენიკი ქმრისაგან თავმინებებული დარჩა. ნიკოლოზმა ვერ გაუძლო სიძისაგან ასეთ გალანძღვას, ავად გახდა და ამ ავადმყოფობას გადაჰყვა კიდეცა. სიკვდილს წინ ანდერძი დასტოვა, რომლის ძალით მისი ქონება მენიკსა რჩებოდა სიცოცხლეში, მერე კი ელიზბარზე უნდა გადასულიყო. ძნელი ასახსნელია, რად დასტოვა ნიკოლოზმა ასეთი ანდერძი. მაგრამ თავისს ქალს იცნობდა, დამოუკიდებელის ხასიათის არ არისო, და ალბად, ეშინოდა, ვაი თუ მიხეილმა რამე ეშმაკობა იხმაროსო, მით უფრო, რომ თუმცა ასე აშკარად ულალატა მიხეილმა, მენიკს მაინც უყვარდა და უკან მისტიროდა. თავის ნათესავებში ქმაგიც არავინ გამოუჩნდა. თვითონაც არ იცოდა, როგორ ეშველნა თავისთვის კანონიერის გზით. ასეთმა ებედობამ, რა თქმა უნდა გაანჩხლა, ჭკუა-გონებაც შეურყია. რაც ხანი გადიოდა, რაღაც უცნაური ხდებოდა. მთავრობასთან უჩივლა მიხეილ შარვაშიძეს და ეს საჩივარი იმით-ღა გათავდა, რომ 12,000 მანეთიდან, რომელიც პენსიად ეძლევოდა აფხაზეთის მთავარს, ერთ ნაწილს, მგონი, სამ ათასს, უჭერდენ და იმას აძლევდენ. ბიძა ელიზბარსაც წაეჩხუბა და სულ იმის ცდაში იყო, ჩემი ხუთასი კომლი ყმა ჩემს სიკვდილს შემდეგ ამას არ ერგოსო. Idèe fixe-დ გადაექცა ესა და რას არა შვრებოდა, რომ საწადელისათვის მიეღწია როგორმე. ჯერ იფიქრა, ჩემს ქონებას მთავარს დავითს ვაჩუქებო, ანგარისმოყვარე კაცია, დახარბდება და გამომართმევსო; მაგრამ დავითმა იცოდა ნიკოლოზის ანდერძი და, თუმცა გემრიელი ლუკმა იყო, მაინც უარი სთქვა, ანდერძს არ გავსტეხავო. მაშინ ვიღაც ქუთაისელმა აბლაკატმა, — ასეთი ვეზირ-აბლაკატები კნეინას ყოველთვის ჰყავდა სასახლეში, — ურჩია, ხაზინას შესწირეთ

თქვენი ქონებაო, და როცა თავადმა მ. ვორონცოვმა სამეგრელო ფნახულა, მენიკი მივიდა და მოახსენა — ხაზინისათვის შემიწირავს ჩემი მამულიო. ვორონცოვს პირველად გაუკვირდა ასეთი უხვი შეწირულება, ხოლო როცა გაიგო, რომ ასე ადვილად კნეინამ თავისი კი არა, სხვისი ქონება მაჩუქაო, ალერსიანის ღიმილით უთხრა: სხვა რასმე საქმეს მოჰკიდეთ ხელი, მშვიდობით განვლიეთ დღენი თქვენნი თქვენს მამულში და მოწყალებას გაცემდეთო, გაჭირვებულთ გაიკითხავდეთო, ახლაც გაუცუდდა იმედი; მაგრამ მენიკი გულს არ იტეხდა და იმნაირივე ხერხი იხმარა ვორონცოვის შემდეგ მოსულ მთავარმართებლებთან ნ. მურავიოვსა და ბარიათინსკისთან. რა თქმა უნდა, ვერც ამათთან გახდა რასმე. თავის თავს კი დიდად ავნო, ამიტომ რომ აბლაკატების დასაქირავებლად და ტფილისსა და ბორჯომში წასასვლელად დიდძალი ფული ეხარჯებოდა. ხოლო ამ ფულის საშოვნელად იძულებული იყო გაეყიდნა მამისაგან დარჩენილი მოძრავი განძეულობა, როგორც მაგალითად: ძვირფასი იარაღი, ოქრო და ვერცხლეულობა. რაც რამ ებადა, ზოგი დააგირავა, ზოგიც გაჰყიდა. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მოვალეები ბატონებად გაუხდენ. მიუხედავად ამისა, თავის თავი ვითომ დედოფლადა ჰყავდა წარმოდგენილი, რაკი მთავრის მეუღლე იყო, ქედმაღლურად ეჭირა თავი. თან, რიცხვმრავალი ამალა ახლდა, სასახლიდან რომ გამოვიდოდა, ალისფერი საწვიმარი ესხა ტანზე, ოქრომკედით ნაკერი; ამალაში მისი მოძღვარიც ერია, სულმუდამ მწვანე ანაფორიანი. ვისიმე მიღების დროს, მეტის-მეტ ეტიკეტებს მისდევდა, სხვა-დასხვა ოთახებში დაყენებული ჰყავდა მთელი გროვა თავის აზნაურებისა კამერგერებად. ყოველივე ეს სასაცილოც იყო და სამწუხაროცა. საბრალო, ცუდმედიდა და ჭკუანაკლები ქალი ყოველ ღონესა ღონობდა, ყურადღება მომაქციონ, თავი მოვაწონო ყველასაო, და სხვები კი მხოლოდ იცინოდენ მის სისულელეზე.

როცა, როგორც ოლქის უფროსი, პირველად მივედი მენიკის სასახლეში, შესანიშნავად დამიხვდენ. კნეინა მეორე ოთახში მომეგება, რაიცა უკვე ბევრსა, ნიშნავდა, შემიყვანა მესამეში, თვითონ მეფის ტახტის მსგავს სავარძელში ჩაჯდა და მე თავის პირდაპირ დამსვა. თვითონ რუსული არ იცოდა და თარჯიმანის საშუალებით მელაპარაკებოდა. თარჯიმანს კი არა უშავდარა.

— მე შენ კარგად გიცნობ, — დაიწყო კნეინამ: — შენ ნიკოს (მთავრის დავითის შვილი) ოსტატი (მასწავლებელი) იყავი; ვიცი, რომ კარგი აზნაური ხარ.

ამით ერთსა და იმავე დროს უნდოდა ჩემთვის თავისი დიდებულება ეჩვენებინა, რადგან, მისის აზრით, ჩემისთანა აზნაურები ათობით და ოცობითა ჰყავდა, და, მეორეს მხრით, თავი უნდა მოექონა ჩემთვის — „კარგი“ აზნაური ხარო. მე, რა თქმა უნდა, მადლობა მოვახსენე, რომ ასეთის კარგის აზრისა ბრძანებულხართ ჩემზედა-მეთქი.

მართალია, ნაკლულევანება ჰქონდა კნეინას, მაგრამ მეტის-მეტი სტუმართ-მოყვარე იყო და საუცხოვო გემრიელ სადილებს გვაჭმევდა ხოლმე. მის სახლში ახლა სამეგრელოს მართვა-გამგეობის საბჭო იყო და შიგვე სცხოვრობდა რამდენიმე მოხელე, ამ საბჭოში მოსამსახურე.

ქვაშიხორს იქით ერთ ვერსზე დაბა ახალსენაკი იყო, ჩემი მომავალი რეზიდენცია, სადაც სახლს ვაშენებინებდი საოლქო სამმართველოსათვის. აქვე ვაშენებინებდი აგრეთვე სატუსაღოს და ყაზახ-რუსების სადგომ ყაზარმებს. სენაკში ბაზარი იყო, რამდენსამე რიგად ხის დუქნები ჰქონდა ჩარიგებული და კარგი ვაჭრობაც იყო გაჩაღებული; ყოველ პარასკევს ყველა მხრიდან მოდიოდენ სოფლელნი თავიანთის ნაწარმოების გასასყიდად. წელიწადში რამდენიმე ბაზრობა იმართებოდა ხოლმე.

სენაკს იქით ვამეყ დადიანის (ელიზბარის ძმის) შვილები — გოგია, ალექსანდრე და ლევან დადიანები — სახლობდენ. ამ ბუნაგს კარგი სახელი არა ჰქონდა. თითონ ვამეყ რამდენისამე წლის წინად მისის სიმკაცრისათვის გლეხებმა მოჰკლეს, ხოლო შვილების შესახებაც ცუდს რასმე ამბობდენ: ქურდების მფარველები არიანო. სამივე ძმა ჯერ ისევ ახალგაზდები იყვნენ, სწავლობდენ ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ სწავლა არ დაუმთავრებიათ და მამის სიკვდილს შემდეგ სახლში დაბრუნდენ, სოფ. კოტიანეთში. თავის სოფლიდან იშვიათად გამოდიოდენ. ცუდი განწყობილება ჰქონდათ როგორც ელიზბართან, ისე მენიკთან და მეორე ბიძა კაციასთან, მათს მახლობელ მეზობელთან.

კაცია დადიანი, ელიზბარის მეოთხე ძმა, ხან კოტიანეთში სცხოვრობდა და მომეტებულად კი ზუგდიდის ოლქის სოფელ ჯვარში. შარების მოყვარე კაცის, ქარაფშუტა, და ძალზე ძუნწის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ყველანი კაცია-გიჟს ეძახდენ. კაციას სრულებით არა ჰგავდა მისი შვილი მელიტონი, რომელიც ქუთაისში სწავლობდა და მერე ქუთაისშივე შევიდა სამსახურში. ნ. კოლიუბიაკინმა, როცა აქეთკენ რუსის მმართველობა შემოვიდა, მელიტონი ზუგდიდის ოლქის უფროსის თანაშემწედ დანიშნა. თავმდაბალი და

მშვიდობის მოყვარე მელიტონი ძალიან შეეიწროებული ჰყავდა მისს თავქარა მამას, რომელიც, თავისის სიძუნწის წყალობით, ადრე გროშ-კაპეიკს არ აძლევდა, ახლა კი მის ჯამაგირს ნახევარზე მეტს თვითონ ართმევდა. კოწია ერთს დროს მთავრის მდივანბეგი ყოფილა. ახლა შვილს არა შორდებოდა, უნდოდა თავისი ძველი დრო დაებრუნებინა და აქაო და ჩემი შვილი ოლქის უფროსის თანაშემწეაო, ცდილობდა ყველასათვის ჩაეგონებინა — მეც ძალა მაქვს და მასარგებლეთ, მეც ყველაფერში დაგეხმარებითო. მელიტონისათვის ადვილი არ იყო თავი დაეღწია დესპოტ მამის თვითნებობისთვის და მართლაც გასაოცარი იყო, როგორ უთმენდა ამდენს! ის კი არა, პატივისცემითაც ეპყრობოდა სულელს მამას. ეს სასაცილო მამა-შვილი სულმუდამ ერთად დადიოდენ. გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტმა რომანოვმა, რომელმაც ფრანგული უკეთ იცოდა, ვინემ რუსული, და რომელსაც ოხუნჯობა ძალიან უყვარდა, ერთხელ მშვენიერად იოხუნჯა ამათს შესახებ: „a-t-on jamais vu une coincidence aussi barroque: Mirliton, qui est fils d'Accacia.“ *) ეს ოხუნჯობა ყველას საშინლად მოეწონა, ყველა ამას იმეორებდა და მელიტონს აკაციის შვილს ეძახდნენ. მეგრელებიც კი ამ სახელს ეძახდნენ მელიტონს. კალმით დახატული იყო მელიტონის ცოლი, თავად ჩიჩუას ასული, მაგრამ ქმარი ეჭვიანი იყო და არავის აჩვენებდა.

კოტიანეთს იქით ნაქალაქევი იყო, სადაც ბატონიშვილებში ყველაზე შეძლებულად თავადი არჩილ დადიანი ითვლებოდა. არჩილი დაახლოვებული მრჩეველი და დიდი მეგობარი იყო განსვენებულის მთავრის ლევანისა. ლევანის სიკვდილს შემდეგ მოხუცების ჟამს თავის მამულში დაესახლა. მთავარი დავითი და მისი ოჯახიც დიდს პატივსა სცემდა არჩილსა. არჩილის სახლი დიდი არ იყო. ისიც რუსულ სახლების სახით ჰქონდა აშენებული. არჩილი შუა ტანისა იყო, სამოც და ათის წლისა. ჯერ ისევ მხნე, წელში ერთი ბეწოთიც არ იყო მოხრილი. ცისფერი თვალები ჰქონდა, დაევრცხლილის მსგავსი, თმა თეთრი, სქელი, გრძელი და ხუჭუჭა, — მის სილამაზეზედ რჩებოდა თვალი კაცსა. მეტად ზრდილი და თავაზიანი იყო, თავის თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა — და ყოველივე ეს, ერთად შეხამებული, მეტად უხდებოდა მისს მშვენიერს ტიპსა. კოლუბიაკინი ფრანგების მარკიზს ეძახდა. სამეგრელოს სამმართველოს საბჭოში ორი კაცი თავადიშვილების მხრიდან უნდა ყოფილიყო, და გენერალმა არჩილს უთხრა, ერთი იმათგანი, თქვენა ბრძანდებოდეთო;

*) „სწორედ უცნაური ამბავია: აკაციისაგან სალამური გაკეთებულა“.

მაგრამ მოხუცებულნა თავადიშვილმა მადლობა გადაუხადა და უთხრა, არ შემიძლია ვიკისროვო, მთავრობისაგან მუქთად ფულს არ ავიღებ, და სულმუდამ საბჭოში დასწრება და მიმდინარე საქმეთა გარჩევა ჩემისთანა მოხუცს არ შეუძლიაო. შვილი ორი ჰყავდა, და ორივე განუშორებლივ მასთან იყვნენ.

არ გამოვუდგები ჩამოთვლას სხვა ბატონიშვილების სამოსახლეობებისას, რომელნიც სერების გაყოლებაზე მდებარეობდენ მდ. ტეხურისა და აბაშის ზემო ნაწილში, სოფ. სალხინომდე; აქეთკენ უკვე ჩამოთვლილ და მართლა მდიდარ მემამულე დადიანებივით შეძლებული დადიანთაგანი არავინ ერია. ხსენებულ ბატონიშვილების ხელში იყო ორიათას კომლზე მეტი აზნაური და გლეხი. მათ ეკუთვნოდა მთელი ზეგანი სოფ. შხეფიდან სოფ. სალხინომდე. ამ ზეგანზე მოსული ღვინო საუკეთესო ღვინოდ ითვლებოდა არამც თუ სამეგრელოში, არამედ თითქმის მთელს კავკასიაში. შხეფში, თამაკოს, ნახუნუს, სკურდუს, თარგამოულს. აბედათს, უშაფათში საუკეთესო ღვინო დგებოდა და ყველაზე უკეთესი — **ოჯალეში** მთავრის ვენახებში, სოფ. სალხინოს, მოდიოდა,

დადიანები ისეთის მამულების პატრონები იყვნენ, სადაც ვაზი მშვენივრად ხარობდა, პური, თუთუნი, აბრეშუმი უხვად მოდიოდა. და, რა თქმა უნდა, არც არაფერი აკლდათ. ყმებს მოჰქონდათ ღვინო, პური, მატყლი, აბრეშუმი, თუთუნი, მოჰყავდათ ცხვარი, ფრინველი, ძროხა. მხოლოდ ძვირი იყო ფული. მდიდარ კაცად ის ითვლებოდა, ვინც ვაი-ვაგლახით ხუთასს ან ათას თუმანს მოუყრიდა ერთად თავს, ფული, რა თქმა უნდა, ვერცხლისა და ოქროსი იყო, და ვისაც ჰქონდა, ცხრაკლიტულში ინახავდენ. ყოველ დიდ უქმეებში მათი სასახლეები სტუმრებით იყო სავსე; იმერეთიდან მოსული სტუმრებიცა ჰყავდათ ხოლმე. ღვინო აუარებელი იხარჯებოდა; შინაური ფრინველი, ცხვარი და ძროხა დიდძალი იკვლოდა. ვისაც სუფრაზედ ხშირად ჰქონდა ხორცი, იმაზე იტყოდენ — მდიდარიაო, და ელიზბარ ბატონიშვილზე ამბობდენ. ისე შეძლებულია, რომ ყოველ კვირა თითო ძროხასა ჰკლავსო. ყველა ბატონიშვილს საკუთარი (სასახლის) ეკკლესია ჰქონდა, თავისი მღვდელი, მდივანი, მოურავი, ვინმე აზნაურთაგანი, და ზოგჯერ ექიმიც ჰყავდა. სასახლეში ურიცხვი მოსამსახურე იყო, ყველას მიჩენილი ჰქონდა თავთავისი საქმე და მამის სამსახური შვილიშვილზე გადადიოდა.

ერთხელ არჩილ ბატონიშვილს ვეწვიე და სადილად დავრჩი. აივანზე დავსხედით. იქიდან ყველაფერსა ვხედავდით, რაც მის ვრცელს ეზოში ხდებოდა. სუფრაზე სულ სამნი ვისხედით: არჩილი,

მე და თარჯიმანი; მაგრამ სამზარეულოდან სხვა-და-სხვა ჭურჭლებით ოც კაცს მოჰქონდა სადილი. ამ გარემოებამ ძალაუნებურად მიიქცია ჩემი ყურადღება და არჩილსა ვკითხე, ამდენ ხალხს რად ინახავთ სამზარეულოში-მეთქი?

მასპინძელმა გაიღიმა.

— თქვენა გგონიათ, რომ ეს ჩემი ქეიფია? ქეიფი კი არა, იძულებული ვარ. ჩემს ყმა-გლეხებში ოცი კომლი ისეთი ურევია, რომელთაც ჩემი სამზარეულო აბარიათ. მათი პაპა ჩემის პაპის მზარეული იყო. მისი მოდგმა გამრავლდა, ოც კომლად იქცა, და მათგანი მზარეულობის გარდა არაფერს იკისრებს. ჩვეულების ძალით, სხვას ვერაფერს გავაკეთებინებ; თუ ვუთხარი, გააკეთეთ-მეთქი, იტყვიან, ძალას გვატანს, გვტანჯავსო. აი, აბიტომ, ერთის მზარეულის მაგიერ სამზარეულოში სულმუდამ ოცი კაცი ტრიალებს. და მეც იძულებული ვარ ყველას ვაჭამო და ჩავაცვა: მოდით და იანგარიშეთ, რამდენი დამიჯდება მათი შენახვა? ფულად რომ ჩავაგდოთ ეს ხარჯი, მგონი, თვით ხელმწიფის მზარეულს გადმოვიბირებდი იმ ჯამაგირით. არც ის შემიძლია, რომ აქედან გავრეკო; აშკარაა — ქეიფი კი არა, იძულებული ვარ შევინახო. ახლა მეჯინიბეები იკითხეთ! სამჯერ მეტი მეჯინიბეები მყავს, ვიდრე ცხენები, და ყველას ვასმევ, ვაჭმევ, ყველას ტანთ უნდა ჩავაცვა.

ამ დროს საჭმელი შემოგვიტანეს და ლაპარაკი შევწყვიტეთ. მაგრამ, ცოტა ხანს შემდეგ, არჩილი ისევ დაუბრუნდა დაწყებულ ლაპარაკის საგანს.

— აი, თქვენ, რუსები, სულ იმას გვიკიჟინებთ, ცხოვრება არ იცით, ოჯახი კარგად არ მიგყავთო. მე თქვენა გკითხავთ, ჩვენს მდგომარეობაში ოჯახი კარგად როგორ-ღა უნდა წაიყვანოს კაცმა? — აბა დაფიქრდით. ვთქვათ, ოთხასი კომლი ყმა მყავს. ყველას ჩვეულებით დაკანონებული სამსახური მართებსთ. სხვა საქმეს, რომ მოკლათ, ხელს არ ახლებს, და თავის მოვალეობას ისე არ ასრულებს, თუ თავზე სულმუდამ მოურავი არ ადგას და არ უყვირის. ზოგთ ყანაში მუშაობა მართებსთ, მაგრამ გარწმუნებთ, მათი სამსახური ხელს სრულებით არ მაძლევს: მუშაობის დროს იმდენი პური და ღვინო ეხარჯება, რომ ჭირნახული ზარალის მეტს არას იძლევა. ზოგთ ჩემი სამსახური მართებსთ, მაგრამ მირჩევნია სულ არა ემართოსთ-რა. მე თვითონ არ ვიცი, თავი როგორ დავაღწიო, — თორემ მაგალითი ჩემი საჯინიბო და სამზარეულოა. ჩემს სასახლეში ქალებიანად 80 სულია. მერე, ნეტავ, რადმე მჭირდებოდეს! მომეცით ერთი მზარეული და ორი-სამი ფარეში, — სრულიად მეყოფოდა. ეს

წესი უცვლელად იმიტომა რჩება, რომ პური, ღვინო და ყოველი სურსათი იმდენი მომდის, რომ მე და ჩემი მსახურნი ყველაფერს ველარ ვერევით. კარგი რომ, ჯერ გვყოფნის ყველას, მაგრამ ერთხელაც არის, ხომ დადგება ისეთი დრო, როცა მჭამელი საჭმელზე მეტი იქნება, მაშინ რაღა ვქნათ? როგორცა ვხედავ, თქვენში სულ სხვა ნაირად არის საქმე დაყენებული და იმიტომ გვიკიჟინებთ—ცუდი მეოჯახენი ხართო!.. აბა, ჩვენს დღეში ჩაგაყენოსთ კაცმა, მაშინ ვნახავთ, რასაც იზამდით! აი ჩვენი მთავარი დავითიც სულ იმას გვეუბნებოდა, რასაც თქვენა ბრძანებთ, მთელი თავისი სიცოცხლე სულ იმის ცდაში იყო, თავისებურად დაეყენებინა ოჯახი, და მერე რა მოჰყვა მის მეცადინეობასა? — რა და, ყველა გადაიკიდა და ხალხი აჯანყდა. მამა მისს ლევანს სულ სხვა რიგად მიჰყავდა საქმე: რასაც აძლევდენ, ართმევდა, რაც ჰქონდა, იმის კმაყოფილი იყო და ღვთის მადლით, ყველანი მაძღარნი იყვნენ. მე სადა მაქვს იმისი ჭკუა, რომ ისე მოვაწყო საქმე, ყველაფერი კარგად იყოს; მაგრამ ვფიქრობკი, რომ ძალით ვერაფერი გაკეთდება. აი, ახლა თქვენ, რუსები, მოხვედით, გვასწავლეთ ჭკუა, გვითხარით, როგორ მოვიქცეთ, და ჩვენც ყველაფერში მოგყვებით.

ამ პატივცემულ და საყვარელ მოხუცის სიტყვებში ბევრი სიმართლე ერია.

4

აქ ჩამოთვლილ ბატონიშვილებს გარდა, სენაკისავე ოლქში, საღხინოდან 15 ვერსის მანძილზე, სოფ. ნოღაში სცხოვრობდა ერთი ბატონიშვილიცა. ამ გვარში ყველაზედ საინტერესო ეს იყო. მე მოგახსენებთ თავადს პეტრე ნიკოლოზის ძეს დადიანს, „დიდი ნიკოს“ შვილს. მაღალი იყო, მსუქანი, სახის მსხვილ ნაკვთებიანი; გრძელი, შავი ულვაშები ჰქონდა; ასე, ორმოცდაათის წლის კაცი იქმნებოდა. ტანისამოსი, ქცევა-სიარული, ყოველი მიმოხვრა და სიტყვა-პასუხი პეტრესი ერთმანეთთან იყო შეხამებული, და ეს კაცი არამც თუ წამოსადეგი, ლამაზიც იყო. რომელ მეფესთანაც უნდა ყოფილიყო სასახლეში, პეტრეს ყველგან შენიშნავდენ, ყველას თვალში მოუვიდოდა. გარშემო სულ მუდამ ეხვივნენ დართულ-დაკაზმული თავად-აზნაურები. ერთს მიმინო ეჭირა ხელში, მეორეს ბატონიშვილის საყვარელი მწევრები — „მერცხალა“ და „ფრიალა“ დაჰყავდა. დიდკაცურ ქცევასა და თავის დაჭერაში ვერავინ შეედრებოდა. ცოტათი ცხვირში იცოდა ლაპარაკი, აუჩქარებლად, სასიამოვნო მობოხო ხმით, სვენებ-სვენებით, მწიგნობრულად და დიდკაცუ-

რად. ქართულის მწერლობისა და საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნედ ითვლებოდა. ამასთან, მეტის-მეტი ღვთის მოშიში იყო და არ შეიძლებოდა მარხვა გაეტეხნა როდისმე. საკმარისი იყო, ერთხელ გენახნათ მისი გაწმინდავებული სახე, რომ თქვენი გული მოეგო.

ხემწიფე რომ ტახტზე ავიდა, ეკატერინე დედოფალს პეტერბურგში წაჰყვა: ნახა იმპერატორი, პეტერბურგი, მოსკოვი და ამის შემდეგ უფრო გადიდკაცდა, ღირსება და ფასი მოემატა ქვეშევრდომთა თვალში, ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე, როგორ იმოგზაურა რუსეთში, როგორ გაიცნო მინისტრები და სხვ. ყურისმგდებელი სულმუდამ აუარებელი ჰყავდა. ნ. პ. კოლიუბიაკინიც მოჰხიბლა მისმა მშვენიერმა გარეგნობამ და წინადადება მისცა თავადების წარმომადგენელი ყოფილიყო საბჭოში. და პეტრემაც სიამოვნებით იკისრა ეს თანამდებობა.

კოლუბიაკინს იმედი ჰქონდა, კარგს რჩევას მომცემსო, და პირველ ხანებში ხშირად მოიწვევდა ხოლმე სხვა-და-სხვა საქმეთა გამო. პეტრემ რუსული არ იცოდა და თარჯიმანად ნაკაშიძე იყო ხოლმე, რომელიც თავ-ბედს იწყევლიდა, როცა იძულებული გახდებოდა პეტრეს ნათქვამი გენერალისთვის გადაეთარგმნა.

ხანდახან მეტად სასაცილო კომედია გაიმართებოდა ხოლმე.

მაგალითად, ერთხელ კოლიუბიაკინმა მიანდო ნაკაშიძეს, რომ პეტრესათვის ეკითხნა; თქვენის აზრით, რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ სამეგრელოში გავრცელებული ქურდობა ცხენებისა მოვსპოთ და, როგორა გგონიათ, კარგი არ იქნება, ამ შემთხვევაში თავადებიც მოვიშველიოთო?

პეტრემ მოისმინა ეს კითხვა და მეტად დაფიქრდა, მარცხენა ხელით ხელი დაუჭირა ნაკაშიძეს და მარჯვენათი თითები მოუკეცა, ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ რამდენი თითია,იმდენ ნაწილად უნდა დავყო ჩემი ნათქვამიო. ჯერ თვითონ ნაკაშიძეს მიუბრუნდა და უთხრა: თუ ღმერთი გწამთ, რაც გითხრათ, ყოველი სიტყვა უკლებლივ გადაუთარგმნეთ კოლუბიაკინსაო; მერე კი დაიწყო:

„მოახსენე გენერალს, ღმერთმა დიდ ხანს აცოცხლოს, აგრეთვე უცოცხლოს ცოლი. იმის ჭირი შემეყაროს. ყოველი სიტყვა მისი — ჩემთვის მარგალიტია და როგორ შეშიძლია არ დავეთანხმო რაშიმე? როგორც მზე ყოველთვის აღმოსავლეთიდან ამოდის, მეც ისე ნიადაგ მხოლოდ ჭეშმარიტებას მოვახსენებ. ქურდობის შესახებ ჩემი აზრი ის გახლავთ, რომ უეჭველად უნდა მოისპოს. ხომ კარ-

გად გაიგე, რაც გითხარი? — ჰკითხა პეტრემ ნაკაშიძეს. — ახლა კი, თუ ღმერთი გწამს, ყველაფერი მოახსენე.“

ამ დროს პეტრემ ნაკაშიძეს სალოკი თითი მოუკეცა და იმით აღნიშნა პირველი ნაწილი თავისის ნათქვამისა, თან გენერლის სახეს დააკვირდა, აბა როგორ მოეწონება ჩემი ნათქვამიო.

პეტრეს ლაპარაკი — საშინლად კი აჭიანურებდა, — რამდენსამე წუთს გაგრძელდა. სანამ ის ლაპარაკობდა, კოლიუბიაკინი კაბინეტში ბოლთასა სცემდა და ხანდიხან გამომეტყველს სახეს შეხედავდა ორატორისას, რომელიც ცხარედ ლაპარაკობდა და თანაც ხელებსა და სახეს იშველიებდა ნათქვამის უფრო კარგად გამოსახატავად. კოლუბიაკინს საშინლად უნდოდა მალე გაეგო პეტრეს ნათქვამის შინაარსი. და აჰა, ბოლოს, ნაკაშიძის თითი მოჰკეცა პეტრემ და გაჩუმდა. კოლუბიაკინი ნაკაშიძესთან მივიდა, მთლად სმენად ქცეული.

— თქვენო აღმატებულებავ, მოგახსენათ, რომ ქურდობა უნდა მოიპოსო.

— კარგი! მეტი რა სთქვა?

— მეტი არაფერი უთქვამს-

გენერალმა თოფის წამალივით იფეთქა:

— ნაობახტში ჩაგსვამთ ასეთის თარჯიმანობისათვის. ნახევარი საათია, კაცი ლაპარაკობს და თქვენ ორის სიტყვითა ჰბედავთ მისის ნათქვამის გადმოცემას?

— გარწმუნებთ, თქვენო აღმატ...

— ხმა, კრინტი... ყოველი სიტყვა უნდა გადამითარგმნოთ.

პეტრე გაოცდა, ასე უცბად რამ გააცხარა გენერალიო. ეგონა, ალბად, მე მიწყრებაო და ნაკაშიძეს ხელი მოჰკიდა და ჰკითხა;

— ვაიმე, შენი ჭირიმე... მითხარი, რადა სცხარობს? — და ხელზე მეორე თითი მოუკაკვა.

— კარგი, ახლა რაღა გითხრა?!. ინებეთ და სიტყვა-სიტყვით გადამითარგმნეთ. — უთხრა თავის მხრივაც გენერალმა.

— მეუბნება: შენი ჭირი შემეყაროს, მითხარი, გენერალი რადა ბრაზობსო?

— რეებს მიჰქარავთ, რა ავადმყოფობა... *) მე თქვენ ახლავე...

— იმასა ჰგონია, თქვენო აღმატებულესობავ, რომ თქვენ უჯავრდებით, და ჰკითხულობს: მიზეზი რა არისო?

— რა ავადმყოფობას ამბობს?..

---

*) „შენი ჭირიმეს“ რუსულად ასე სთარგმნიან ხოლმე; „შენი ავადმყოფობა ყველა მე შემეყარაო“.

პეტრე ნაკაშიძეს თავისკენ ეწევა.

— შეეხვეწე, ნუ სჯავრობს...

ნაკაშიძემ, აწეწილმა, თავტან-დაკარგულმა, ცოტას გასწყდა არ იტირა. მის ბედად, მათს გარდა კაბინეტში ვილაც გარეშე კაციც დაესწრო, რომელმაც რუსული და ქართული ორივე კარგად იცოდა და გენერალს აუხსნა, ნაკაშიძე აქ შუაში არ არის, საქმე ის გახლავს, რომ თითონ პეტრე ისეთის დიდთქვიაობით ლაპარაკობს, რომ მისი გადათარგმნა ყოვლად შეუძლებელიაო. დიდკაცებთან ასეთის ენით ლაპარაკობენ აქ და პეტრესაც ჰგონია, თუ არ ასეთის ენით, სხვა ენით გენერალთან ლაპარაკი არ შეიძლებაო. რაც რამ მძიმე სიტყვები იხმარა პეტრემ ამ ლაპარაკში, იმის გადათარგმნა, სამწუხაროდ, ყოვლად შეუძლებელიაო.

პეტრეს ძალიან კარგად ესმოდა, რასაცა სთხოვდენ, მაგრამ შოთავეობა არ უნდოდა ამ საქმეში, კომედიას თამაშობდა და ასეთის დიდთქვიაობით გადიოდა ფონს. მერე რამდენჯერმე სცადა კოლიუბიაკინმა მისთვის რჩევა-დარიგება ეთხოვნა და იმითი ესარგებლნა, მაგრამ ცდამ ყოველთვის ფუჭად ჩაუარა. ქურდობის მოსპობის შესახებ ვერც ისე ადვილად მისცემდა რჩევას პეტრე კოლიუბიაკინს, ამიტომ, როგორც მერე აღმოჩნდა, მისს ხელქვეით თავადებში მთელი რაზმი ყოფილა ქურდებისა, და პეტრე არამც თუ არა სდევნიდა ამ ქურდებსა, არამედ მფარველობასაც უწევდა და თავი მოჰქონდა მათის ოსტატობით.

აი ეს სხვა-და-სხვა სახისა და მიმართულების ბატონიშვილები სცხოვრობდენ აქ. ამათის შემწეობით მკითხველს შეუძლია შეადგინოს აზრი სენაკის ოლქის მაშინდელ არისტოკრატიის ხასიათის შესახებ.

ყველა ეს ხალხი ერთგვარად, პირველყოფილურად სცხოვრობდა, მათი სურვილი-ნატვრა მათის მამულის საზღვრებს არ გასცილდებოდა ხოლმე. ყმებს ყველაფერი მზა-მზარეული მოჰქონდათ. ხოლო მებატონენი იმის ძიებას არ გამოუდგებოდენ, თუ რა გზით იყო შეძენილი ის, რასაც ყმები უზიდავდენ. მოტანილის ერთს ნაწილს ხარჯავდენ და მეორეს — იზოგავდენ. ყმებს მანამდი ეპყრობოდენ კარგად, სანამ ესენი თავ-თავის დროზე უზიდავდენ ყოველსავე; თუ თავისს მოვალეობას კარგად არ აასრულებდენ, მაშინ მებატონენი თავის მოურავებს მიუსევდენ დასაწიოკებლად. ეს იყო და ეს მათი მეოჯახეობა! წირვა-ლოცვას არ აკლდებოდენ, მარხვას ინახავდენ, დღესასწაულებში დიდი სტუმრობა იცოდენ, სტუმრებისათვის არაფერსა ზოგავდენ, მათთან ერთად სვამდენ უზომოდ, სჭამდენ, მღე-

როდენ და თამაშობდენ. ქორწილსა და ტირილს დიდის ამბით იხ-
დიდენ. თავისუფალ დროს სამღრთო წერილს, შოთა რუსთაველის
„ვეფხის-ტყაოსანს“, ჩახრუხაძისა და სხვა ძველ მოლექსეთა ლექ-
სებს, აგრეთვე არისტოტელის და პლატონის თარგმანებსა კითხუ-
ლობდენ. ქალებმა უფრო იცოდენ წერა-კითხვა, მათს შორის მშვე-
ნიერი ხელობაც იყო გავრცელებული, ოქრომკედით კერვა, აბრეშუ-
მის ქსოვილების კეთება მათი განთქმული იყო. მათი ქმრები და
მები თავისუფლების დროსავე სანადიროდ დადიოდენ, ჯირითსა და
მარულასა ჰმართავდენ. ერთის სიტყვით, ამ დიდკაცობის ცხოვრების
ფიალა აღსავსე იყო ყოვლითა ხორციელ სიამოვნებითა: მათგან და-
დგენილ და თავისებურ წესებს ზნეობისას არავინ გადადიოდა, — რაც
ბატონიშვილისათვის სასირცხვილო იყო, ყველა ბატონიშვილი ერი-
დებოდა იმ აზრით, რომ ჩვენის ქცევით ჩვენზე უმცროსს არ დავე-
მსგავსოთო. მაგრამ მთელის მათის ცხოვრების აზრი მხოლოდ ქეიფი
იყო, ანუ, როგორც იტალიელები ამბობენ ხოლმე, dolce far niente
(საამო უსაქმურობა).

„კიდევ კარგი“, — იტყოდა ხოლმე არჩილ ბატონიშვილი, —
„რომ მჭამელი საქმელზე ნაკლებიაო“, ასეთ პირობებში ამ ბატონებს
ცხოვრება შეეძლო, მაგრამ რაღას იზამდა მაშინ, როცა მჭამელის
რიცხვი ძღვენთა რაოდენობას გადააჭარბებდა?

აი ეს კითხვა ყველაზე მწვავე კითხვა იყო, ამიტომ რომ სენა-
კის ოლქის მებატონეთა უმრავლესობა ისეთს პირობებში იყო, რომ
ძღვენი, ყმის ნაოფლარი არა ჰყოფნიდათ, მჭამელი მეტი იყო, ვი-
დრე თვით საქმელი.

5

მდ. აბაშის გაღმა ვაკეზე გაშლილი იყო უშველებელი სოფე-
ლი ბანძა, სადაც 75 მეტი კომლი თავადები ესახლნენ. ეს თავადები
— ფაღავები იყვნენ, რომელთაც მხოლოდ 800 კომლი აზნაური და
გლეხი ჰყავდათ. ორთა შუა რიცხვით, მაშასადამე, თითოეულს მე-
ბატონეზე 10 კომლზე მეტი გლეხი არ მოდიოდა. მაგრამ ასე თანა-
სწორად როდი ჰყავდათ ყმები. ერთს მაგალითად, თავადს ხახუ ფა-
ღავას, ას კომლამდე ჰყავდა, მაშასადამე, ბევრს მისს თანამოგვარესა
და ნათესავს ყმები ათი კომლიც არა ჰყავდა. და აი სწორედ აქ
უნდა ეძებნა კაცს პასუხი იმ კითხვისა: „მაშინ რა ეშველებათ, რო-
ცა მჭამელი საქმელზე მეტი იქმნება“.

ბანძას 40 ვერსის სივრცე ადგილი ეჭირა, ესე იგი, ის ადგილი,
რომელიც მდებარეობდა მდ. აბაშასა და ცხენის წყალს შუა, ქუთაი-

სის გუბერნიამდე. ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში status in status-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მებატონე ფაღავები — ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას. ბევრი თავისმტვრევა დამჭირდა ამ ადგილას ოთხის წლის განმავლობაში, სანამ სენაკის ოლქის შართვა-გამგეობა მებარა.

რომ ამ წყვდიადში გზა გამეგნო და ყველაფერი გამომეკვლია, პირველ ხანებში ორი გზის მაჩვენებელი ავიყვანე. ერთი იყო კეთილი და ყოვლად პატიოსანი თავადი დავით ფაღავა, რომელიც ორის წლის წინად გავიცანი, როცა მთავრის ძმასთან, კონსტანტინესთან, იყო. გულგრილისა და აუჩქარებელის ხასიათისა იყო დავითი, ამასთან, ოხუნჯობაც უყვარდა. სწორედ ზედგამოჭრილი იყო იმ თანამდებობისათვის, რომელიც, ჩემის წინადადებით, იკისრა: ბანძის მოურავობა ჩავაბარე. ბანძაში ყველა საქმე დომხალივით იყო ალუფხული, ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა და ასეთს ალაგას სხვა უმაგისო თავტანს დაჰკარგავდა, სიბრაზისაგან თავს მოაკვლევინებდენ. მაგრამ დავითმა გაბრაზება რა იყო, არ იცოდა, ყველაფერს ითმენდა, თანაც ოხუნჯობდა და ისე საქმესაც აკეთებდა. მეორე თანაშემწე — აგრეთვე ჩემი დიდის ხნის ნაცნობი კაცი იყო, გიგო (გრიგოლ ნიკოლოზის ძე) ფაღავა, ჭკვიანი, მაცდური და თავისს სოფელში მეტად გავლენიანი კაცი. ადრე მდივანბეგად ყოფილა, და ამიტომ გამოცდილი იყო ადმინისტრატულ საქმეებში. საშინლად უნდოდა რუსის სამსახურში შესულიყო და ამ აზრით განსაკუთრებით ცდილობდა უფროსებისათვის ეამებინა. ამაზედ უკეთესს კაცს ვერსად ვიპოვნიდი, მეგობრულად ვიყავი იმასთან, ხშირად მივდიოდი მისს სახლში. ჩემს მოსვლას რომ შეიტყობდენ, ნახევარ საათს უკან, თუ სადმე ფაღავები და აზნაური გაბუნიები იყვნენ, სულ იქ მოიყრიდენ თავს. მალე გავიცანი ეს რიცხვმრავალი გვაროვნობა ფაღავებისა, რომელნიც უმიწა-წყლობით მეტად გაღარიბებულნი იყვნენ. ესენი ჩამომავალნი არიან ერთის ჯიქეთის თავადისა, რომელიც ამ რამდენისამე საუკუნის წინად დადიანთან გადმოვიდა, დადიანმა მიიღო და აქ დაასახლ-კარა. ამ თავადის შთამომავლობა გამრავლდა, მერე დაიყო და იმ მდგომარეობამდე მიაღწია, რა მდგომარეობაშიაც ჩვენ მოვუსწარით. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბულადა სცხოვრობენ, ჯიში არ გადაგვარებულა; ფაღავები, როგორც ქალი, ისე კაცი, ყველანი ლამაზები არიან, ყოველს მათს ლაპარაკში, მიმოხვრაში სიმარდე, გამბედაობა და სინარნარე იხატება. ახალგაზდობა უსწავლელია, ცხოვრებისთვის მოუმზადებელია. სხვა არა იყოს-რა, ცუდად მარტო იმისთვის მაინც ვერ, დარჩებოდენ, რომ

ჭამა უნდოდათ და ამ საჭმლისათვის კიდევ — შრომა. აი, ამიტომ, ხელობად საშიში, მაგრამ მათის მებრძოლ ხასიათის შესაფერი, საქმე გაიხადეს, — ამათს ხელობას რუსები ცხენის ქურდობას ეძახიან, ხოლო მეგრელები — „მახინჯობას". *) მებატონეებმა ამ საქმეში თავისი ყმებიც ჩაითრიეს. და საქმე იქამდე მივიდა, რომ ცხენისწყლის პირას მდებარე, ფაღავების საყმო, სოფლები ლეხაინდრო და ნაგვა-

მეგრელის ტიპი

ზუ ადამიანს გააოცებდა. აქ არაფერსა სთესდენ: არც ღომს, არც პურს, არც სიმინდს, და სოფლელებს კი არაფერი აკლდათ. ყველას სირმა-შემოვლებული ჩოხა ეცვა, მშვენიერი იარაღი ჰქონდა და თითო კარგი ცხენი ყველასა ჰყავდა სათითაოდ. მართლაც-და, გასაოცარი იყო, საიდან შოულობდა ეს ხალხი ყოველსავე ამას! საქმე ის

*) მეგრულად ქურდს „მახინჯს" ეძახიან.

გახლავთ, რომ მეზობლად, ცხენის წყალს გაღმა, იმერეთი იყო და იქიდან ეზიდებოდენ ყოველსავე დოვლათსა. ცხენის ქურდობა ბანძაში დიდის ხნიდანვე იყო და მთავრის დავითის დროს უფრო გართულდა ეს საქმე. დავითმა ჯარიმა დააწესა: ვინც ერთს ცხენს მოიპარავდა, თუ დაიჭერდენ ქურდობაში, შვიდი ცხენი უნდა გადაეხადნა. ამ შვიდ ცხენიდან ორი ცხენი ცხენის დამკარგავისა იყო, ორი — მდივანბეგისა, რომელიც ქურდს დაიჭერდა და სამიც — მთავრისა. ამ ჯარიმის დაწესების შემდეგ მთელი კორპორაცია შესდგა დამზღვევ საზოგადოებათა ხასიათისა. თუ ვინიცობაა, ქურდს ვერ დაიჭერდენ, ეს კორპორაცია ქურდის მაგივრად შვიდს ცხენს გადაიხდიდა და მერე ცდილობდა ზარალი ათწილ აენაზღაურებინა ახლად მოპარულ ცხენებითა. ხოლო მათის თარეშობის მსხვერპლი საცოდავი მეზობლები, იმერლები, იყვნენ. ამბობდენ, სამეგრელოს მთავარს მოპარულ ცხენების ჯარიმად წლიურად ათასხუთასი თუმანი შემოსდიოდაო. ამ ფულის $^2/_3$ შემოდიოდა იმ ქურდებისაგან, რომელნიც იმერეთში იპარავდენ ცხენებსა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავარი ყოველწლივ იმერეთს ათას თუმანს ხარკს ახდევინებდა! რა თქმა უნდა, სამეგრელოს მეზობლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, როცა რუსის მთავრობა შემოვიდა სამეგრელოში და ქურდობისათვის დაწესებული ჯარიმა გადავარდა აქ.

სანამ ბანძაში მოვიდოდი, ბევრი რამ გამიგონია აქ გავრცელებულ ქურდობის შესახებ. აქ მოვედი თუ არა, გავლენიანი მოხუცები მოვიწვიე და გამოვუცხადე, რომ რუსის შემოსვლის შემდეგ ცხენის ქურდებს კანონი სხვანაირად დასჯის-მეთქი. თუ ქურდი დავიჭირეთ, ჯარიმის მაგივრად უფრო უარესად დასჯის კანონი; თუ ქურდობა აზნაურს დაატყდა, ციმბირის ქვეყნები უნდა ნახოს, ამიტომ, გთხოვთ, ბოლო მოულოთ და ამოჭკვეთოთ ეს აზნაურობისათვის სამარცხვინო ხელობა-მეთქი. ამის შესახებ დიდი ლაპარაკი გაბეს. მითხრეს, ჩვენც იმის მონატრულები ვართ, ქურდობა გადავარდესო. თუ თქვენ რასმე გვიშველით, ჩვენც დაგეხმარებით და სიას შეგიდგენთ თავ-თავ ქურდებისას, როგორც თავადებისა და აზნაურებისა, ისე გლეხებისასაო. გიგოსა ვთხოვე, ეს სია შეადგინეთ-მეთქი. იმანაც სიამოვნებით შეადგინა და ამის შემდეგ ყველა ფალავებმა საჯაროდ პირობა მომცეს, ამიერიდან ქურდობა მოისპობა ჩვენს შორისო. მოხუცები პატეთიურად მელაპარაკებოდენ, მჭერ-მეტყველურად. გიგო და დავითი რმათთან დავტოვე, რომ საბოლოოდ მოჰლაპარაკებოდენ, და მე კი წამოვედი. მაგრამ ამას შემდეგ ხუთს დღესაც არ გაუვლია, თეკლათში ჩემთან ათი ხონელი მოვიდა და ტი-

რილით შემომჩივლეს, ამ ორ დღის წინად ერთსა და იმავე ღამეს ათი ცხენი მოგვპარესო. თან, ამ ცხენების ქურდების მეთაურად პირ-დაპირ თავადს ბეჟან ფალავას ასახელებდენ. სერიოზი საქმე იყო, მაშინათვე შევჯექი ცხენზე, ვიახლე რამდენიმე ყაზახრუსი და თარ-

მართა დადიანისა

მეგრელი ქალის ტიპი.

ჯიმანი და პირდაპირ ბანძაში წავედი. ხოლო იმერლებს ვუთხარი, თქვენც იქ მოდით-მეთქი.

ბანძაში პირდაპირ ბეჟანის სახლისაკენ გავემართე.

აივანზე თითონ სახლის პატრონი მომეგება, ასე ორმოც და ათის წლის კაცი, ჭაღარაშერთული, დიდწვერა, და ოთახში შემიწვია. მისმა მშვიდმა და ზრდილობიანმა სახემ, უწყინარმა ხმამ პირველ ხანსვე აზრი შემაცვლევინა; ვიფიქრე, მგონია, შევცდი, იქნება, იმერლებმა მომატყუეს-მეთქი: აბა რა საფიქრებელია, ასეთის საპატიო სახის თავადი ასეთს სამარცხვინო საქმეში როგორ გაერეოდა-მეთქი! ხონელები ჯერ კიდევ არ მოსულიყვნენ ბანძაში და, იმათს ლოდინში, სახლში შევედი. სახლში ყველაფერი წესსა და რიგზე იყო მილაგებული. მასპინძელმა ჩაის მოგართმევთო, მაგრამ მე უარი ვუთხარი და პირდაპირ ლაპარაკს შევუდექი.

— ჩემთან დღეს ათი იმერელი მოვიდა, თავადო, და თქვენ გიჩივიან, ამ ორის დღის წინად ათი ცხენი მოგვპარავო. აქ იმისთვის მოსულვარ, ეს საქმე გამოვიძიო.

ბეჟანმა დაღონებულად გაიღიმა და მიპასუხა:

— მტერობით ამბობენ, ბატონო... ცილსა მწამებენ... ესენი ჩემი მეზობლები არიან... მამულების თაობაზე დავა გვაქვს... მამულს მართმევენ...

ღიმილით ამბობდა და ხმაზე ისეთი გულწრფელობა ეტყობოდა, რომ, ცოტას გასწყდა, არა ვთქვი, სწორედ ცილის წამებაა-მეთქი. თან, იმერლებმაც დაიგვიანეს, როგორღაც არსად გამოჩნდენ... იჭვმა შემიპყრო. გამოვედი აივანზე, მოვიხმე ჩემი თარჯიმანი ბესარიონ ქავთარაძე და ვკითხე: ამ მოხუცის შესახებ რა იცი... დავიჯერო, ქურდია-მეთქი? ბესარიონი არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა: ნამდვილი ქურდია და ბანძაში პირველი ეს არისო. ყველამ იცის, რომ ქურდობის დროს ორგან დასჭრეს — ხელსა და კისერშიო. ეს რომ გავიგე, ბესარიონს ვუბრძანე, თვალ-ყური ადევნე, არსად გაიპაროს მეთქი.

ბოლოს, ხონელებიც მოვიდენ. ჩემთან ლაპარაკი დაუწყეს ბეჟანს და დავრწმუნდი, რომ ბეჟანი ქურდი იყო.

ბეჟანი ოთახში შევიხმე, კარებზე თითო ყაზახრუსი დავაყენე და თავადს ვუთხარი, დაჭერილი ხარ-მეთქი. მერე თარჯიმანს ვუბრძანე, ბეჟანისათვის იარაღი აეყარნა და კედელზედაც რაც რამ იარაღი ეკიდა, ჩამოეხსნა. ბოლოს, ბეჟანს გამოვუცხადე: ახლა გვიან არის და ხვალ, დილის ათ საათზე, საქმის გამოძიებას შვეუდგები. ამიტომ, თუ გსურს, სასჯელი რაც შეიძლება შეგიმსუბუქდეს, ხვალ, დილის 9 საათამდე, ყველა მოპარული ცხენები შენს ეზოში უნდა იყოს-მეთქი, უკლებლივ. ეს განკარგულება შენ შეგიძლია ოთახიდან გაუსვლელად მოახდინო-მეთქი. თან, თარჯიმანს ვაკითხინე, რომელ

მოსამსახურის დაძახება ჰსურდა. ბეჟანმა რომელღასაც დაუძახა და დიდს ხანს ეჩურჩულებოდა. მისი თავი დარაჯებს ჩავაბარე და მე კი გიგოსთან წავედი. თან, ვუბრძანე, ბეჟანის იარაღიც იქ მოეტანათ.

მეორე დილას ჩემთან თარჯიმანი მოვიდა და მითხრა, ცხენები ყველანი ეზოში გახლავთო. როცა ბეჟანის სახლში მივედი, ხონელებიც იქ დამხვდენ. ყველამ იცნო თავთავისი ცხენი. შევადგინე ოქმი, ყველას ხელი მოვაწერინე და ცხენები პატრონებს ჩავაბარე. გახარებულმა ხონელებმა მდაბლად თავი დამიკრეს, დიდი მადლობა მითხრეს და შინისაკენ წავიდენ.

მე და ბეჟანი მარტო რომ დავრჩით, მუხლებზე მომეხვია, და ხვეწნა დამიწყო: „ნუ დამღუპავთ! მეტად არ ვიქურდებ, ეს უკანასკნელი იქმნება! გეფიცებით მაღალს ღმერთს და ყველა წმინდანების სახელს!"

მე ვუთხარი, ახლა თვითონ მე არ შემიძლია რამე გიშველო, პირდაპირ გუბერნატორთან გაგგზავნი და შევატყობინებ ყველაფერს-მეთქი; რაკი მალე დააბრუნე ცხენები, იქნება, ამისთვის შალავათი რამე მოგცეს-მეთქი.

ქაღალდი დავსწერე და დატყვევებული ბეჟანი და მისი იარაღი ყარაულებს გავატანე კოლუბიაკინთან ქუთაისში. თან, ცალკე ვსწერდი გენერალს, კარგად დააშინე ქურდი, ციხის მაგივრად გაუპტვახტაში ჩასვი-მეთქი. ჩემის აზრით, პირველად ესეც საკმაო იყო კოლუბიაკინიც ასე მოიქცა.

ორის დღის უკან გენერალთან ფაღავების გამოგზანვილი დეპუტაცია მივიდა და ცრემლითა სთხოვდენ ბეჟანის გამოხსნას, — ნუ ინებებთ იმის დაღუპვას და საქმეს სასამართლოში ნუ გადასცემთო. გენერალმა ესენიც ძალზე დატუქსა. გულდახეთქილები დაბრუნდენ ბანძაში და ეგონათ, რომ ბეჟანს ვერაფერი უშველისო. მთელი ერთი თვე იჯდა ბეჟანი გაუპტვახტაში. ფაღავებმა მოციქულებად რამდენიმე ბატონიშვილი, მათს შორის, ელიზბარი და არჩილიც, მიუგზავნეს კოლიუბიაკინს და ათხოვნინეს ქურდების წინამძღვარის განთავისუფლება. გენერალს გული მოულბა, მათი თხოვნა შეიწყნარა და უთხრა: ამის თავმდებად თქვენ იყავით, იმ პირობით კი ვუშვებ, რომ თუ კიდევ დავიჭირეთ ქურდობაში, სასამართლოში არც კი გადავცემთ მისს საქმეს განსახილველად, პირდაპირ, ადმინისტრატულის წესით, გავგზავნით რუსეთის ერთ-ერთ შორეულს გუბერნიაშიო. ბეჟანი გამოუშვეს. ამ ერთის-თვის ტყვეობას თავისი დაღი დაემჩნია: გამხდარიყო საშინლად, საკმაოდ დატანჯულიყო. ის იყო და ისა, „მახინჯობისაგან" განიკურნა. იმ ხანებში და იმის შემდეგად დიდს

ხანს ბანძაში ქურდს არ გაუჭაჭანია, ხალხმა მოისვენა, მეზობელმა ხონელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და რუსების მართვა-გამგეობასა ლოცავდენ. როცა ბანძაში მოვიდოდი, ბეჟანი პირველი მოდიოდა ჩემთან, ძაღლის სიერთგულე ეხატებოდა თვალებში და სულ თავს დამტრიალებდა.

ბანძელების ცხოვრებაში დიდ ამბად ითვლებოდა ბეჟან ფაღავას თავგადასავალი. ამან დამაახლოვა ფაღავებთან და იძულებული შევიქენი უმეტესი დრო მათის საქმეების გარჩევისათვის მომენდომებინა.

ბანძის აღმოსავლეთით მეორე საეკკლესიო მამული იყო. ამ მამულის შუაგულში, მაღალს გორაკზედ, აღმართული იყო მარტვილის მონასტერი, ჭყონდიდელის რეზიდენცია და სავანე სამეგრელოს მთავართა. ამ მონასტერში სასულიერო სასწავლებელიც იყო. ეს იყო ერთად-ერთი რუსული სასულიერო სასწავლებელი, თუ გნებავთ, რუსული აკადემიაცა, სადაც რის ვაი-ვაგლახით რუსულ ენასა სწავლობდენ. მაგრამ საყველპურო რუსულიც ბევრი იყო მაშინდელის დროისათვის. მონასტრის გორაკის ძირში რამდენიმე დუქანი იყო დაბა ნაოღალევისა.

მონასტრის აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრივ, ცხენისწყლის აყოლებაზე, საჩიქოვანო იყო. იწყებოდა ხუნწთან, გადადიოდა სერებსა და გორაკებზე, სადაც მთავრების საზაფხულო ადგილი, დაბა გორდიც, იყო გაშენებული, და თავდებოდა სოფ. კინჩხასთან. აქა სცხოვრობდენ მხოლოდ აზნაური და თავადი ჩიქოვანები. მართალია, მამულები ბევრი არა ჰქონდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მთავრების მამულების მოურავები იყვნენ, ესენივე ერეოდენ ამ მხარის მართვა-გამგეობის საქმეებში და ქონებრივად იმდენად კარგად იყვნენ, რომ ღარიბ მემამულეებად არ ითვლებოდენ.

სალხინოსა და ნოღას (პეტრე ბატონიშვილის სამოსახლო სოფელი) შუა, სალიპარტიანოში, რომელიც ერთ დროს აწ მოსპობილის დადიან-ლაპარტიანების გვაროვნობას ეკუთვნოდა, ორი მცირედი და ხელმოკლე თავადთა გვაროვნობა სცხოვრობდა: დგებუაძეები და ჩიჩუები. პირველ გვარში ყველაზე შეძლებულად ბეჟან დგებუაძე ითვლებოდა. ბეჟანი მხნე მოხუცი იყო, ამ ადგილების მოურავობა ებარა როგორც მთავრების დროს, ისე რუსის მართვა-გამგეობის შემოღების შემდეგაც; მისი შვილი, ქუთაისში ნასწავლი, საბჭოს კანცელარიაში მსახურებდა.

რაკი სამეგრელოს მაღალ წოდების შესახებ ვთქვით ჩვენი სათქმელი, არ შეიძლება გავჩუმდეთ მეგრელების მესამე წოდების — **აზნაურების** შესახებაც. ესენი როგორც პირადის, ისე ქონებრივის მხრივ დამოკიდებულები იყვნენ მთავარსა, ეკკლესიასა და თავადებთან და ყოველს აზნაურს იმდენი უფრო მეტი პატივი ჰქონდა, რამდენად კარგად სცხოვრობდა და გავლენიანი იყო მისი ბატონი. მთავრის ყმა-აზნაური თავადებთან ერთად ჯდებოდა, ეს უკანასკნელნი **ძმაო-ს** ეძახდნენ, ორსავე ფეხზე ჰქონდა დეზები გაკეთებული და ხშირად თავადის ქალსაც ირთავდა-კი ცოლად; საეკკლესიო აზნაური ჭყონდიდელს ემსახურებოდა, ამას არ შეეძლო თავადებთან დამჯდარიყო, სანამ თვითონ ესენი არ ეტყოდნენ, და დეზს ცალს ფეხზედ ატარებდა; ხოლო სათავადო აზნაური სულ ფეხზე იდგა თავადის წინაშე. მაგრამ აზნაური-ყმა და გლეხი-ყმა თავის **ბატონთან** სულ სხვა-და-სხვანაირად იყვნენ მიღებულნი: გლეხი საზიზღრად ითვლებოდა, როგორც სხვა-და-სხვა გადასახადის მტვირთველი, ეს იყო, ფრანგების ბატონ-ყმურის წეს-წყობილების მსგავსად, corvéables et taillables d'en haut et d'en bas (ყმა და მოხარკე თავითფეხამდე); აზნაური კი ბეგარას არ იხდიდა, მისი მოვალეობა უფრო კეთილშობილურის ხასიათისა იყო. აზნაურებს ბატონის იარაღის ტარება ემართათ, ესენი იყვნენ მოურავად, სახლთუხუცესად, რწმუნებულად სხვა-და-სხვა საქმეების წარმოების დროს და თავისის ბატონების მუდმივ მოსაუბრეებად. ამათ თავისი ყმა-გლეხები ჰყავდათ და უფლება ჰქონდათ, გაეყიდნათ, სხვისთვის ეჩუქებინათ თავისი ყმები; იმავე დროს აზნაურების ბატონებს შეეძლოთ თავისი ყმა-აზნაურები გაყოფის დროს ერთმანეთისათვის დაეთმოთ, ქალებისათვის მზითევში გაეტანებინათ სრულიად სხვა გვარში. თავადების უძრავის ქონების გაყიდვა, სადაც მცხოვრებნი ესახლნენ, ადათით აღკრძალული იყო. როცა მთავარმა დავითმა სააზნაურო გლეხებს ხარკი დაადო (**საური** ანუ **საუდიერო**) ვითომ და სამთავროს მართვის დროს საჭირო ხარჯის დასაფარავად, აზნაურებმა ურჩობა გაუწიეს, — ფიქრობდენ, ჩვენ თითონ გაგვიხდის მერე ყმებადაო. ჩიქოვანებს მეტად გაუჭირდათ ამ აზნაურების დაყოლიება.

აზნაურები ბევრნი იყვნენ, მიწა ცოტა ჰქონდათ, ასე რომ შეძლებულად მცხოვრები იმათში სანთლით უნდა ეძებნა კაცსა. მაგრამ ერთი სიკეთე სჭირდათ აზნაურებს: რაც უნდა საქმე ყოფილიყო, არ ჰთაკილობდენ. და ამ მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდათ გაღატაკებულ და უმამულო თავადებთან შედარებით. თავის გლეხებ-

თან ერთად ყანაში გამოდიოდენ სამუშაოდ. ბატონების სახლში სახლთუხუცესები და მოურავები ესენი იყვნენ და ეჩვევოდენ მომჭირნეობას და ქონების შენახვას. აქედან მიდიოდენ ტფილისსა და ქუთაისში, კერძო კაცებთან სხვა-და-სხვა თანამდებობას ჰკისრულობდენ, და თან რუსულსაც მალე სწავლობდენ. გალატაკებულს თავადებს კი თავი მოჰქონდათ თავისის გვარიშვილობით, ასეთს დაბალს საქმეს არა კადრულობდენ. ამათ ცხენის ქურდობა ერჩივნათ და თავის აზნაურებსაც კი ქურდებად ხდიდენ.

სენაკის ოლქში სადადიანო აზნაურებში იმ დროს ყველაზე უკეთესად გაბუნიები ითვლებოდენ, ამიტომ რომ გაბუნიას გვარისა იყო ჭყონდიდელი თეოფანე და საბჭოშიაც წევრად აზნაურების მხრივ გუბერნიის სეკრეტარი კონსტანტინე მიხეილის ძე გაბუნია იყო, რომელიც ადრე საბაჟო უწყებაში მსახურებდა. ამ გვაროვნობას მოსდევდენ სადადიანო აზნაურები — კორზაიები, ჩიქოვანები, რევიები, გვათუები, ნანეიშვილები, სალაყაიები და სხ. საეკკლესიო აზნაურებში ცნობილნი იყვნენ: ელიავები, თოფურიები, ხოშტარიები, გეგეჭკორები, გაწერელიები და სხ.; სათავადო აზნაურებში სხვებზე უკეთესებად ითვლებოდენ: გამსახურდიები, ხაინდრავები, ხოფერიები, გვიჩიები და ბევრი სხ.

ამ მდგომარეობაში მოვუსწარით ჩვენ სამეგრელოს მაღალ წოდებას. ჩვენი ნათქვამი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ კაცმა სთქვას, ეს წოდება ფეოდალურის წესწყობილების ნაშთიაო. ეს კლასი უმეტეს წილად გამოსულა ქართველთა ტომისაგან, ოდესღაც შეადგენდა ერთს მთლიანს სამხედრო ძალას, რომლის სახავეში იდგა მთავარი თავის ნათესავებთან (ბატონიშვილებთან) ერთად, ხოლო მათ ექვემდებარებოდენ რჩეულნი მხედარნი, რომელნიც შესდგებოდენ თავადებისა ტ ხელქვეითებისაგან, იარაღის მტარებლებისაგან—**აზნაურებისაგან**. როცა მხარე დაიპყრო და თავის საკუთრებად გახადა, მთავარმა უწყალობა თავისს მეომრებს **ხალხით** დასახლებული მიწები. ეს ხალხი სულ სხვა ტომს ეკუთნოდა. აქედან გაჩნდა ორი კლასი. მაღალი და დაბალი კლასი. ეს ორი კლასი რომ სხვადასხვა ტომისაა, ამას გვიჩვენებს ის განსხვავება, ქართულსა და მეგრულ კილოკავს შორის რომ არის. ქართულად ლაპარაკობდა მაღალი წოდება, ხოლო მეგრულად— დაბალი წოდება; დროთა განმავლობაში ესენი შესამჩნევად აირივნენ ერთმანეთში. მაგრამ ჩვენს დროსაც იყო სამეგრელოში მთა ადგილების სოფლები, სადაც მარტო ქართულის ცოდნით კაცი ვერასფერს გააწყობდა. გლეხს გვაროვნობითი სახელი ერქვა **„მარგალი“** ანუ მეგრელი და ეს იმას გვიჩვენებდა, რომ სწორეთ მეგრელში უნდა

გვეძებნა ნამდვილი ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც დაიპყრო მოსულ ქართველთა ტომმა *). და ეს მეომრული, ფეოდალური წეს-წყობილება დიდს ხანს იყო ამ მხარეში, სანამ ეს უკანასკნელი დამოუკიდებელის ცხოვრებითა სცხოვრობდა. ხოლო ყველამ იცის, რომ ეს ცხოვრებაც სხვა არა იყო-რა, თუ არ მუდმივი მზად-ყოფნა ომისა და ბრძოლისათვის. პატარა და მოსამზღვრე სამთავროები იმერეთისა, სვანეთისა, გურიისა, სამეგრელოისა და აფხაზეთისა სულმუდამ ერთმანეთს ებრძოდენ, ერთი-მეორეს სწეწავდენ. ძნელი იყო კაცს გაეგო მათის დაუცხრომელის ბრძოლის მიზეზი და მებრძოლნი როგორმე შეერიგებინა. ოსმალეთმაც ისარგებლა ამ გარემოებით და ადვილად დაიმონავა ეს მხარენი. ამ მონობიდან ესენი ქუჩუკყანარჯიის ზავმა გაანთავისუფლა 1783 წელს. მაგრამ განთავისუფლებულმა

*) იმის გარჩევა, თუ რამდენად მართალია ჩვენი მოსაზრება, მიგვინდვია მომავალ ფილოლოგებისათვის. ჯერ კი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არავინ შესდგომია სერიოზად შეესწავლნა სადავო კითხვა ქართულ და მეგრულ დიალეკტებს შორის არსებულ განსხვავების შესახებ. მიუხედავად ამისა სამოსწავლო უწყებამ სამეგრელოს სახალხო სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე შემოიღო. ეს ენა კი ხალხს ნაკლებად ესმის. ორმოცდაათიან წლებში, პატივცემული დეკანოზი დავით მაჭავარიანი, რომელსაც დიდი ხანი უცხოვრია სამურზაყანოში მეგრელებს შორის, და რომელსაც ეს ენა ზედმიწევნით შეუსწავლია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეგრული ქართულისაგან სრულებით განსხვავდება და ამ ენაზე სახარებაც სთარგმნა; მაგრამ ეს შრომა არ დაბეჭდილა, რადგან ქართველი სამღვდელოება დიდი წინააღმდეგი გაუხდა და დააჯერა საქართველოს ეკზარხოსი, რომელიც, როგორც რუსი, ამ საქმისა ხამი იყო, რომ მამა დ. მაჭავარიანმა სახარება სთარგმნა ქართულ დამახინჯებულ კილოკავზე და რომ ცალკე, დამოუკიდებელი მეგრული დიალეკტი სრულებით არ არსებობსო. ეს საქმე სამუდამოთ არქივში მოექცა, ხოლო სამურზაყანოს სკოლებში ქართულად დაიწყეს სწავლება; ქართული კი გაუგებარი იყო ხალხისთვის და ამიტომ მეგრელისათვის ზედმეტ ბარგს წარმოადგენდა, მეგრელს სჭიროდა თავისი სამშობლო კილოკავი და რუსული *).

*) **შენიშვნის შენიშვნა.** პატივცემულ ავტორის დროს, მეგრულისა და ქართულის ნათესაობა, მართალია, გაურკეველი იყო. ქართველებშიაც არავინა გვყავდა, რომ ეს საინტერესო კითხვა გამოეწვლილნა. მას აქეთ ოთხმოცი წელიწადი მეტია გასული. ამ კითხვის მკვლევარნი ბევრნი გამოჩნდენ, ნაშრომებიც ბევრი დაიბეჭდა, სასარგებლო და საწინააღმდეგო აზრი ბევრი ითქვა, მაგრამ უდაოდ აღიარებულ იქმნა ყველას მიერ **იგივეობა ქართულისა და მეგრულისა.** და ახლა მარტო ამ ენათა უცოდინარი თუ ღა იტყვის—ესენი სხვადასხვანი არიანო. ბოროზდინს, როგორც ზედმიწევნით არმცოდნეს როგორც ქართულისა, ისე მეგრულისას, მის მიერ გამოთქმული შემცთარი აზრი, რა თქმა უნდა, სავსებით ეპატიება.

შენიშვნა მთარგმნელისა.

სამთავროებმა ისევ დაუწყეს ერთმანერთს კინკლაობა და თავისი დღენი ბრძოლაში იქმნებოდენ, რომ რუსეთს არ შევრდომოდენ. თავის დამოუკიდებლობაზე ხელი აიღეს და თავიანთი შინაური წეს-წყობილებაც ძირეულად შესცვალეს, რადგან ეს წეს-წყობილება სრულიად უვარგისი იყო და თავისი დღე მოსჭამა. რიგრიგად ჩავიბარეთ რუსებმა: ჯერ იმერეთი, მერე გურია და, ბოლოს, სამეგრელოზე მიდგა ჯერი. ხოლო ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიაც სამეგრელო დაგვხვდა, ჩვენს წერილებში უკლებლივა გვაქვს აღწერილი.

აქაც ისე მოვიქეცით, როგორც მოვიქეცით სამოცის წლის წინად აღმოსავლეთ საქართველოში და გვიანრელე—იმერეთსა და გურიაში. ისტორიულად შექმნილი კატეგორიები სამეგრელოის მაღალის წოდებისა ყველანი განურჩევლად რუსეთის აზნაურობასთან გავათანასწორეთ უფლებებითა. ამასთანავე, ბატონიშვილისა და თავადიშვილის ტიტულის მაგიერ რუსის თავადის ტიტული შემოვიღეთ.

ინგლისელებს აზრადაც არ მოსვლიათ ინდოელი მაღარაჯები და რაჯები ლორდებად და ბარონეტებად გაეხადნათ; მაგრამ რუსეთს აზრადა აქვს ყველა შემოერთებულნი ხალხნი აღმოსავლეთის ქვეყნებისა გაარუსოს, ის უფლებანი მიანიჭოს, რაც ნამდვილ რუსსა აქვს შიდა რუსეთში. ზოგჯერ რუსეთი აჭარბებს კიდეცა და მისი ცდა ზოგიერთთათვის ხელსაყრელი არც კია ხოლმე. მაგალითად, მეგრელმა **ბატონიშვილმა** წააგო, როცა მას **თავადობის** ტიტული მისცეს, და ერთიცა და მეორეც მესამე მოდგმაში თუ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ **აზნაური**, რომელიც მათ უნაგირის უზანგოს ჩამოუწევდა ხოლმე ადრე, რუსის კანონმა მათთან გაათანასწორა.

ბევრს ლაპარაკობდენ იმის შესახებ, აზნაურებს რაცა აქვთ, იმაზე მეტს უფლებას რად ვანიჭებთო, რად ვაბაღლებთო. მაგრამ ამის შემდეგ, რაც ესევე ვქენით აღმოსავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში, არ შეგვეძლო სამეგრელოშიაც ისევე არ მოქცეულვიყავით. გარდა ამისა, აზნაურები უმრავლესობას შეადგენდენ, და ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი იყო ამ უმრავლესობის გული მოგვეგო, ისინი დაგვეწინაურებინა. ბატონიშვილები და თავადები შედარებით ცოტანი იყვნენ და რა თქმა უნდა, უჭკუობა იქნებოდა, უმრავლესობა უმცირესობისათვის მსხვერპლად შეგვეწირნა. რაკი სამეგრელოს ბატონები რუსეთის თავად-აზნაურობას გაუთანასწორდენ, ესენი უნდა ცდილიყვნენ რუსის თავად-აზნაურობისათვის მიებაძნათ თავისის ყმების გახთავისუფლების საქმეში. ხოლო, როცა ეს ამბავი მოხდა, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მოგებულნი და

თავისის ახალის მდგომარეობის კმაყოფილნი საშინლად ბევრნი აღმოჩნდენ. რაკი დაბალის წოდების მდგომარეობა გაუმჯობესდა და თავისუფალ წოდების უფლებანი მიენიჭა ამ წოდებას, ცხოვრებამ ფერი იცვალა, ხალხის ახალმა ძალამ თავი იჩინა. რუსეთი აქაურ მკვიდრთ რუსების მკვიდრთა უფლებას რომ ანიჭებდა, მხოლოდ ბაღალს წოდებას დააკლდა ცოტა რამ. ბატონიშვილები და თავადები, რა თქმა უნდა, დიდხანს არ დაივიწყებენ თავიანთ დახურდავებას, დიდხანს იქმნებიან უკმაყოფილონი, მაგრამ რა სათვალავში მოსატანია უკმაყოფილება მცირედის წრისა, რომელმაც თავისი მეთაურული მნიშვნელობა დაჰკარგა, ასი ათას გაბედნიერებულ ხალხის ხმასთან!

აქ მომხდარ ფაქტის აზრი არამც თუ ევროპაში, ჩვენშიაც ყველას როდი ესმის. და არ შეიძლება არ გაეღიმოს კაცს, როცა კითხულობს გაზეთებში, რომ ინგლისელებს უნდათ შავის ზღვის სანაპირო ადგილებში შემოგვესიონ და იმედი აქვთ, რომ მხარს ადგილობრივნი მკვიდრნი დაუჭერენ, რომელნიც, მათის აზრით, რუსეთის უკმაყოფილონი არიანო. ინგლისელები, იქნება, ამითი ფიქრობენ აქაურების გულის მოგებას, რომ ძველი, ფეოდალური წეს-წყობილება დააბრუნონ და წინანდელი წესები არ გადააგდონ ისე, როგორც ინდოელთა კასტებს უშვრებიან, რათა ამითი, რაც შეიძლება, მეტად გაატყავონ ინდოეთის მრავალ-მილიონი მცხოვრებნი? ჩვენ, რუსებს კი, როგორღაც გვემარჯვება ასეთის საქმის მოგვარება; ჩვენ რომ ინდოელების კასტებთან გვექნეს საქმე, ჩვენის სისტემის წყალობით, ბოლოს მოვუღებდით ამ კასტებს; დიდი ხანი კი არ არის მას აქეთ, სულ ოცი წელიწადია, რაც რომელიც გინდა ბატონიშვილს თავისი **მოჯალაბე** ინდოელ პარიად*) მიაჩნდა და ძაღლსა ან ჯორზედ სცვლიდა... ახლა კი ასეთი ამბავი როგორღაც არ ისმის.

მაგრამ ჩვენ ძალიან ავშორდით ჩვენის ლაპარაკის საგანს. დავუბრუნდეთ იმ დროის აზნაურებს.

აზნაურებსა და მათს ბატონებს შუა დიდი მანძილი იყო. მაგალითად, მენიკი ბატონიშვილს შეეძლო ეთქვა, ჩემი აზნაური, თემურყვა ჩიქოვანი, ჩემი სწორიაო? არა. ერთხელ თემურყვას ორი ქცევა მიწა აჩუქა ძღვნად მოყვანილ ძროხისათვის, რომელიც ამ აზნაურმა მღვდელ ოდიშარიას მოჰპარა. მენიკიმ, მართალია, მიიღო ძღვენი, დააკვლევინა კიდეცა, მაგრამ ამასთანავე იცოდა, რომ თემურყვა **მახინჯია** (ქურდია) და ეს ძროხაც ნაქურდალი იქნებაო;

---

*) პარია—ინდოეთში სულ უკანასკნელი წოდების მცხოვრებია.

ასეთს ამბავს შეჩვეული იყო. თემურყვამ გამოართვა ბარათი ორის ქცევის მიწის ჩუქებისა, გახარებული შინ დაბრუნდა და ნაჩუქარს მიწას დაეპატრონა. მაგრამ რამდენსამე დღეს უკან მენიკთან მღვდელი ოდიშარია მოვიდა და მოახსენა: თეიმურყვამ რომ ძროხა მოგართვათ, ჩემი ბყოვო და სთხოვა, ჩემი ძროხა დამიბრუნეთ, თორემ ოლქის უფროსთან ვიჩივლებო. აფრინეს კაცი თემურყვასთან, მაგრამ ქურდი აზნაური სადღაც გამქრალიყო. სთქვეს, ცუდადაა საქმეო და მენიკის ურჩიეს, მღვდელს მოურიგდით რითგორმე, თორემ ამ **რუსოსთან** (ესე იგი, რუსის უფროსთან) საქმის დაჭერა ძნელია, ძველებური დრო არ არის ახლაო, ისეთი კაცია, რომ თქვენც გაგხვევსთ საქმეში ნაქურდალ ძროხის შეჭმისათვისო. მეტი გზა არ იყო, მენიკიმ მღვდელს ძროხა უზღო... ძალიანა სწყინდა... წანანდელი დრო რომ ყოფილიყო, მომჩივან მღვდელს კინწის კვრით გააგდებინებდა სასახლიდან...

და ამ ამბის შემდეგ, მენიკის ეუბნებიან, რომ მისი აზნაური თემურყვა რუსების აზნაური გახდა და რამდენისამე წლის შემდეგ, ვინ იცის, შეიძლება მარშლადაც ამოირჩიონ!... ან კიდევ, სეირი ის იქნება, ჩემის ბიძის, ელიზბარის, თხოვნით ახალმა მარშალმა მითხრას, შენს ქონებას მეტად ჰფლანგავო და მზრუნველად და მომვლელად თემურყვა დამინიშნოსო, ამბობდა მენიკი; მაგრამ, არა, ღმერთმა ნუ მომასწროს იმ დღესაო. ძალიან მოსალოდნელი იყო, ყოველივე ეს მომხდარიყო. თემურყვა რაკი გაიგებდა, თუ რა ახალი უფლებანი მიენიჭა, შეიძლება, პატიოსანი გამხდარიყო, კანონიერის გზით ამომრჩეველთა უფლება მოეპოვებინა და შემდეგ მარშლადაც აერჩიათ კიდეცა. რაკი ერთი გატყდებოდა ნავსი და ძველებურ ბატონყმურ მდგომარეობიდან გამოვიდოდა კაცი, მისი ცხოვრება ძირეულად უნდა შეცვლილიყო.

სამეგრელოს მაღალი წოდების ყოფა-ცხოვრების აღწერის შემდეგ ვეცდებით მკითხველს გავაცნოთ დაბალი წოდება, გლეხები. აქაც, ცოტა ბოლოდან უნდა დავიწყოთ, უნდა აღმოვწეროთ ცნობები კამერალურ აღწერიდან, რომელიც ჩვენ მხოლოდ 1860 წელს შევადგინეთ.

7

ამ აღწერილობის თანახმად, მთელს სამეგრელოში 25,479 კომლი აღმოჩნდა, თითეულ კომლზე ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ ორიასავე სქესისა, სულ 127,395 სული გამოვა.

მათს შორის იყო:

მაღალი წოდება.

ბატონიშვილები.	215	კომლი
თავადები	1,309	„
აზნაურები	10,361	„
სასულიერო წოდებისანი *)	2,340	„
	14,225	კ.

დაბალი, მოხარკე წოდება.

აზატები	2,875	კომლი
მსახურნი	19,935	„
გლეხი ანუ მარგალი	85,520	„
მოჯალაბე	4,950	„
	113,280	კ.

დაბალის წოდების გლეხნი სხვა-და-სხვას ეკუთვნოდენ და ამ მხრივ შემდეგის კატეგორიისანი იყვნენ:

სამთავრო გლეხები	13,745	კომლი
საეკლესიო	15,325	„
საბატონიშვილებო	22,460	„
საგლეხო (რუსების-მიერ განთავისუფლებულნი).	1,755	„
სათავადო და საazნაურო	59,895	„
	113,180	კ.

მაშასადამე, 14,010 სულ თავადებსა, აზნაურებსა და სამღვდელობაზე ითვლებოდა 59,895 სული გლეხი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, **ოთხი** კაცი მუშაობით სულს ირთმევდა და **ერთი** კაცი ბატონი იყო, ამ ოთხი კაცის ნაწვავ-ნადაგსა ხარჯავდა!..

ეს ციფრები ყველაზე მეტად მკაფიოდ გვიხატავენ მაშინდელის დაბალის წოდების მდგომარეობასა, როცა გლეხი ნივთად იყო ქცეული ღარიბ და რიცხვ-მრავალ მაღალ წოდების ხელში.

ამ, მუშა საქონლად ქცეულის, ხალხის დამორჩილება მხოლოდ ჯაჭვითა და ხუნდებით შეიძლებოდა და მთავარი და ბატონიშვილებიც ამ საშუალებასა ხმარობდენ, სხვა გზა არა ჰქონდათ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხი, რა გასაკვირი იყო, აჯანყებულიყო, თავისის ბატონების წინააღმდეგ ხელი აღემართა?!..

რაც რუსები აქ შემოვიდენ, დიდძალი მასალა შეიკრიბა კავკასიის ქრისტეან გლეხების ისტორიისათვის. ეს ძასალები გაბნეუ-

*) 1842 წ. მთავრის დავითის-მიერ განთავისუფლებულ სოფლის სამღვდელოებას ცოტაოდენი მოჯალაბენიცა ჰყავდა.

ლიკ სხვადასხვა არქივებში და დიდი შრომაა საჭირო, კაცმა ყოველსაკვე ამას ერთად თავი მოუყაროს და სინიდისიერად შეიმუშავოს. ამ ისტორიიდან მკითხველი შეიტყობს, რომ აქ დამკვიდრებული რუსის მთავრობა სულ ფათურით მიდიოდა წინ, მეტად დაუდგრომელი იყო, დღეს რომ ერთს ზომას იხმარდა, ხვალ სულ სხვას მიმართავდა; მებატონეთაგან შეწუხებულ გლეხებს ხან შვებას აძლევდა, ხან ისევ მუხრუჭს მოუჭერდა და მებატონეებს სულს ართმევინებდა. როცა რუსეთმა საქართველო შემოიერთა და აქაურს მაღალს წოდებას რუსეთის აზნაურობის უფლებანი მიანიჭა, მთავრობას არც კი უკითხავს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ მაღალს წოდებას თავისს ყმა-გლეხებთან; მთავრობას ეგონა, რომ აქაური მებატონე და შიდა რუსეთის გუბერნიის მებატონე — ორივე ერთი იყო, ესე იგი, მებატონე თავისს მამულში იმას სჩადიოდა, რაც უნდოდა, და ყმას, როგორცა სურდა, ისე ექცეოდაო, მაგრამ აქაური მაბატონეები რუსეთის წეს-წყობილებას არ იცნობდენ და არ შეეძლოთ ერთბაშად ისე მოქცეოდენ გლეხებს, როგორც რუსის მებატონენი ექცეოდენ, ამიტომ რომ სანამ აქ რუსი შემოვიდოდა, იმდენი უფლება თავისდღეში არა ჰქონიათ, რანდენიც რუსის მებატონეთა ჰქონდათ. აქ ყველაფერი ადათითა სწარმოებდა, გლეხებიც იმ კატეგორიებად იყვნენ დაყოფილნი, როგორც სამეგრელოში, და ყველას თავისი მოვალეობა აწვა. ამიტომ, მართალია, აქაურს მებატონეებს პირველში ის უფლება ჰქონდათ, რაც რუსის მებატონეებსა, მაგრამ კარგა ხანმა გაიარა მას შემდეგ, რაც რუსეთის ქვეშევრდომნი გახდენ, და მხოლოდ მაშინ მოსთხოვეს თავისს ყმებს ის, რასაც რუსეთის მებატონეები თხოულობდენ გლეხებისაგან. გლეხებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს: — ადათით მოგვთხოვეთ სამსახურიო. მაშინ მთავრობა ჩაერია საქმეში, მებატონეების მხარე დაიჭირა და ეს უსწორო ბრძოლა იმითი გათავდა, რომ გლეხები ვალდებულნი გახდნენ მებატონეთათვის ყველაფერი სიტყვის-შეუბრუნებლად დაეჯერებინათ. მაგრამ ამ უკანასკნელთ უფლებას ერთი სუსტი მხარე აღმოაჩნდა, ეს შენიშნეს გლეხებმა და ხელები მაგრად ჩასჭიდეს.

მაშინ ლიბერალური დროება იყო, ალექსანდრე II მეფობდა. რუსეთში შიგა-და-შიგ, ის-ის იყო, იწყებდენ, თუმცა შორიდებულად, გლეხების განთავისუფლებისათვის ზომების შემოღებას. ერთი ამ ზომათაგანი რუსეთში ისე შემოვიდა, რომ არც კი ვისმე შეუმჩნევია. საქართველოში კი ამავე ზომის შემოღებამ ცხოვრება თვალსაჩინოდ შესცვალა: აქაურს გლეხებს გამოეცხადათ, უფლება გაქვთ სასამართლოს წესით განითავისუფლოთ თავი იმათგან, ვინც თქვენი

ბატონია უკანონოდაო. ხოლო უკანონო მებატონეებად, სხვათა შორის, ისეთი მებატონეებიც ითვლებოდენ, ვისაც მესაკუთრის საბუთი არ ჰქონდათ იმ მამულებისა, სადაც ყმები ესახლნენ. აი სწორედ აქ აღმოჩნდა ქართველ მებატონეების საქმის სუსტი მხარეც: საბუთის ქაღალდები არეულ-დარეულები ჰქონდათ, ზოგს სულ დაეკარგნა კიდეცა; თავისუფლების მეძიებელ გლეხთა საქმეების გარჩევა მინდობილი ჰქონდა გუბერნიის პროკურორს; მოკლე ხანში მრავალი მოგროვდა ასეთი საქმეები სასამართლოში გასარჩევად. გლეხები ყველგან იგებდენ საქმეებსა. ბატონისაგან განთავისუფლებული გლეხები სახაზინო გლეხებად ეწერებოდნენ ან და ქალაქებში მიდიოდენ და მოქალაქეებად ხდებოდნენ.

გლეხები ესწრაფვოდენ ხელიდან არ გაეშვათ თავისი უფლებები და ცდილობდენ შეემსუბუქებინათ თავიანთი ტვირთი. ამ მხრივ გლეხების მეცადინეობამ გახსაკუთრებით თავი იჩინა ოციანს და ოცდაათიანს წლებში, როცა საგუბერნიო პროკურორად ქ. ტფილისში ბ-ნი პერვოვი იყო, რომელსაც ქართველი მებატონენი ყოველ მხრივ წყევლა-კრულვით იხსენიებდენ. ხოლო ოცდაათიანის წლების გასულს სახელმწიფო საბჭოს წევრი ბარონი განი, როცა ემზადებოდა კავკასიის მხარეში სამოქალაქო მართვა-გამგეობის შეცვლისათვის და როცა დაახლოვებით გაიცნო საგლეხო კითხვა საქართველოში, დარწმუნდა, რომ აქ ბატონ-ყმობა თავის დღეში არა ყოფილაო, გლეხები უბრალო ფერმერები იყვნენ და მებატონეს ჭირნახულის ერთ ნაწილს აძლევდენ, რამდენსამე დღეს წელიწადში მუშაობდენ იმისათვის, შეეძლოთ, როცა უნდოდათ, საბატონო აღგილისათვის თავი დაენებებინათო. ამიტომაო, ამბობდა ბარონი განი, აქაური გლეხები დაუყონებლივ უნდა განვათავისუფლოთო, აქაური გლეხები და ოსტზეის გუბერნიის გლეხები ორივე ერთიაო. ბარონ განის აზრის თანახმად, კავკასიის გამგეობის საბჭო ემზადებოდა უმაღლეს მთავრობისათვის მოეხსენებინა, რათა ეს საგლეხო კითხვა საკანონმდებლო წესით გადაწყვეტილიყო.

ქართველი თავად-აზნაურობა ხედავდა, ბარონი განი ხეირს არ დაგვაყრის, თუ ჩვენც ხმა არ ამოვიღეთო. მებატონეებმა პეტერბურგში თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი დიმიტრი თომას ძე ორბელიანი და მასთან ერთად რამოდენიმე მოციქული გაგზავნეს. ამ დეპუტაციას ხელმწიფისათვის უქვეშევრდომილესად უნდა ეთხოვნა, თავად-აზნაურობა დაგვიფარეთ ამ უკანონო და საწყენ მოქმედებისაგანაო. დეპუტაცია პეტერბურგში იმდენს ეცადა, რომ გრაფ ბენკენდორფის გული მოიგო, და ამ უკანასკნელის შუამდგო-

ბლობით იმპერატორმა ნიკოლოზმა საქართველოში თავადი ა. ი. ჩერნიშევი გამოგზავნა ადგილობრივ გამოსაძიებლად და გადასაწყვეტად ამ საქმისა. თავად ჩერნიშევს ხელმწიფისაგან დიდი უფლებები ჰქონდა მონიჭებული. ასეთ სტუმარს ტფილისის თავად-აზნაურობა შესაფერად დაუხვდა. მიუხედავად მოხუცებულობისა, ჩერნიშევი საშინელი არშიყი და თაყვანისმცემელი იყო ქალებისა. სულ იმასა ცდილობდა, თავი გაეახალგაზდავებინა, ხმარობდა ფერსა და უმარილსა, ყალბ კბილებსა და თმას ატარებდა, ტანზედაც ჭორსეტი ჰქონდა შემოჭერილი, რა არის, ტარწვრილი გამოვჩნდე და ქალებს მოვეწონოვო. მაჰმადის სამოთხის ლამაზი ქალები რომ დაინახა, ჩერნიშევი არამც თუ გაყმაწვილდა, მათმა ნახვამ ტყვედ ქმნა მოხუცის გული, ვერ გაუძლო მათს მომჯადოებელს სახეს. ვისაც მაშინდელი დრო ახსოვს, მოგვითხრობენ, რომ ფელდეგერები ტფილისიდან პეტერბურგში დაჰქროდენ განგებ მარაოებისა, სურნელებისა და სხვა ნივთებისათვის, რომლებიც საჭირო იყო ქალების ბუდუარებისათვისო. ეს ნივთები ტყვედ-ქმნილ თავადს აქაურ ლამაზ ქალების საჩუქრად უნდოდა. თავადი ჰნეტარობდა ტფილისში, ბედნიერებისაგან ცათაფრენა ჰქონდა შემდგარი. ამ ნეტარების შედეგი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ თავადმა ჩერნიშევმა სრულიად უარჰყო ბარონ განის წინადადება ბატონყმობის გაუქმების შესახებ. და 1842 წელს ცალკე ცირკულიარი გამოსცა, რომლის ძალით ადგილობრივს ადმინისტრაციას ნაბრძანები ჰქონდა: თვალყური ადევნეთ ყმებს, რომ ბატონებს ყველაფერში ემორჩილებოდენო. ხოლო როცა ყმებმა, ის იყო, განიზრახეს წინააღმდეგობა განეცხადებინათ, სამხედრო ეგზეკუციამ აგრძნობინა, რომ განთავისუფლების იმედი, თუ სამუდამოდ არა, დიდხანს მაინც არ უნდა გვქონდესო.

ჩერნიშევი პეტერბურგში რომ დაბრუნდა, ხელმწიფე იმპერატორს საქმის ვითარება სულ სხვანაირად მოახსენა და ყოველი ბრალი ბარონს განს მოახვია თავზე. ეს უკანასკნელი მაშინათვე დათხოვნილ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრობისაგან, წავიდა თავის მამულში, ოსტზეის მხარეში, და დიდსხანს არ გაუვლია, იქ მოკვდა კიდეცა. ამ შესანიშნავს სახელმწიფო კაცს მუხანათობა დასწამეს: საქართველოში ერთგულად არ იქცეოდაო, განზრახვა ჰქონდა თავისის მოქმედებით მთელის საქართველოს თავად-აზნაურობა აეჯანყებინაო, ის თავად-აზნაურობა, რომელიც განსაკუთრებულის გულმოდგინებით უდგა მხარში რუსის მეომრებსაო. და მათი აჯანყება სწორედ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა კავკასია ჯერ კიდევ სრულად ვერა გვქონდა დაპყრობილიო.

როცა თავადი ვორონცოვი მოვიდა საქართველოში, ჩერნიშევის ცირკულიარი ყოვლადის სიმტკიცით სრულდებოდა. ვორონცოვმა არამც თუ არაფერი მოუკლო ამ ცირკულიარის ძალას, პირიქით, 1848 წელს გლეხებს უფლება წაართვა სასამართლოს წესით თავისუფლების ძიებისა. ვორონცოვი, რიგორც ყველამ უწყის, განსაკუთრებით ცდილობდა ქართველ თავად-აზნაურობის დაწინაურებასა და ამაღლებას. ამ გვარად, საქართველოს გლეხობას დაეკარგა თავისი ისტორიული ნიადაგი ადათით მონიჭებულ უფლებისა. მათი უფლებანი არც რუსეთის გლეხობის უფლებებს შეეფარდა, რომელნიც კანონთა კრებულის მე IX ტომშია აღნუსხული, და დარჩა სრულიად უპატრონოდ. მისი სვე-ბედი ადმინისტრაციის ხელში იყო და ამ უკანასკნელს კიდევ სასტიკად ნაბრძანები ჰქონდა, ყმები ბატონთათვის ყველაფერში დაემორჩილებინა. ამ საგნის შესახებ რაც რამ ტფილისის გუბერნიაში ხდებოდა, ქუთაისის გუბერნიაშიაც აცნობებდენ ხოლმე, და 1842 წელს თავად ჩერნიშევის მიერ გამოცემულ ცირკულიარის შემდეგ, მაზრის უფროსი საბოლოოდ შეიქმნა ბატონებსა და ყმებს შუა ატეხილ დავი-დარაბის ბოლოსმომღებ კაცად. მაზრის უფროსებს კონტროლად გუბერნატორი და მთავარმართებელი ჰყავდათ, და ეს იყო მიზეზი, რომ, ცოტა არ იყოს, ლმობიერად იქცეოდენ; დანიშნული იყო ზომა ხორციელის სასჯელისა და დატყვევებისა და იშვიათად, განსაკუთრებულს შემთხვევაში, მიჰმართავდენ ხოლმე სამხედრო ეკზეკუციას.

მაგრამ სულ სხვა ამბავი ხდებოდა იქვე, გვერდით, ავტონომიურს სამეგრელოში, სადაც ყველაფერს ბინდი ჰქონდა გადაფარებული და სადაც მთავრის უკონტროლო და უსაზღვრო უფლება დიდის ხნიდამვე ულმობელად ებრძოდა გლეხს.

1811 და 1812 წლებში ამ მხარეში შავი ჭირი (ჟამი) გაჩნდა და მუსრი გაავლო აქაურებს. მცხოვრებნი, ჟამის შიშით თავტანდაკარგულნი და შიმშილისაგან სულამორთმეულნი, სახლკარს თავს ანებებდენ და ცდილობდენ კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეში, და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, გადახვეწილიყვნენ. როცა ჟამობა გათავდა, უკან ცოტანი-ღა დაბრუნდენ, — უმრავლესობა გლეხებისა ახალს ადგილებზე დარჩნენ, განსაკუთრებით კახეთში, რომლის ბუნება სრულიად ჩამოჰგავს სამეგრელოს ბუნებას. აქაურმა მემამულეებმა მეგრელები ხიზნებად მიიღეს, ხოლო საკმაო რიცხვი გადმოხვეწილთა საეკკლესიო და სახაზინო გლეხების საზოგადოებაში ჩაეწერა.

ერთის სიტყვით, შიმშილისა და ჟამის გამო გამოქცეულნი მეგრელნი აღმოსავლეთ საქართველოში დაემკვიდრნენ და სამეგრელოში დაბრუნებას არც კი ფიქრობდენ. მაგრამ სამეგრელოს მთავარმა ხელზე რუსეთის კანონი დაიხვია ბატონ-ყმობისა, რომლის ძალით ბატონს შეეძლო თუნდ ზღვის ბსკერიდანაც ამოეყვანა თავისი ყმა, მიმართა კავკასიის ცენტრალურს მთავრობას და მოითხოვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გაქცეული მისი და მისის თავად-აზნაურების ყმები უკანვე დაებრუნებინათ. ეს ამბავი ერმოლოვის დროს დაიწყო და დიდ ხანს გაგრძელდა; ქართლ-კახელნი მემამულენი, რამდენადაც კი შეიძლებოდა, მალავდნენ მეგრელებსა, მაგრამ მთავარს საგანგებო აგენტი ჰყავდა ტფილისში და იმის შემწეობით ყველგან ეძებდა და ძალით იბრუნებდა ლტოლვილთა. სამეგრელოს მთავარი დაჟინებით თხოულობდა ჟამობის დროს გაქცეულ ყმების დაბრუნებასა, მაგრამ მისის ჟინიანობის მიზეზი მარტო ესენი არ იყვნენ: იმავე დროს გლეხებმა ჩუმჩუმად იწყეს სამეგრელოდან გადახიზნვა. და აი სწორედ ასეთის გლეხების სურვილისათვის უნდა მოეჭრა კბილები მთავრის სასტიკ ზომებსა.

სამეგრელოს მთავარი დავითი ენერგიულად ცდილობდა თავის ხელქვეითებს, თავადებსა და აზნაურებს, გამოჰქომაგებოდა, მათგან გაქცეულ ყმებს ქართლ-კახეთიდან აბრუნებდა, მაგრამ იმავე დროს ამ დაბრუნებულებს თავის მამულების კარი გაუღო, და ყველანი მთავრის მამულზე დასახლებასა ცდილობდა. რაკი ერთხელ სამთავრო გლეხების რიცხვში ჩაეწერებოდენ, ლტოლვილნი თავისს ბატონებს აღარ უბრუნდებოდენ. მემამულეებსაც სხვა გზა არა ჰქონდათ, ურჩებს ამწყვდევდენ, ხუნდებს უყრიდნენ ხელ-ფეხში და აფხაზეთში ჰყიდდენ, რა არის, ამით სხვები მაინც დავაშინოთ და გაქცევა არ გაჰბედონო.

აი, რა მდგომარეობაში დახვდა რუსის მთავრობას სამეგრელოის გლეხობა! ამათგან მხოლოდ საეკკლესიო გლეხებს შეეძლოთ თავისი თავი, შედარებით, ბედნიერად ჩაეთვალნათ. ესენი ხარკს მხოლოდ ფულით იხდიდენ, კომლზე სამს მანეთს აძლევდენ ეკკლესიას.

ყველაზე მეტი მცხოვრები სენაკის ოლქში ითვლებოდა. სცხოვრობდა აქა 50,000 მეტი სული ყველა წოდებისა. სივრცე ჰქონდა: სიგრძეზე ფოთსა და სოფ. კურზუს შუა 150 ვერსი და სიგანეზე სოფ. კინჩხასა და თეკლათს შუა 70 ვერსი. გზები იყო: ერთი რიონით ფოთიდან ორპირამდე; მეორე — საურმე მარანიდან ცივისწყლამდე. მეორე, ყველა მხრივ სასოფლო ბილიკები იყო გაყვანილი, სადაც მხო-

ლოდ ცხენით შეიძლებოდა სიარული. ამ ბილიკების გაცნობა და შესწავლა ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ მე, როგორც ოლქის უფროსს, რომელიც ჩემს ოლქში ყველგან უნდა ყოფილვიყავ, არ შემეძლო ყველა არ დამევლო და არ გაბეცნო.

8

პეტერბურგში დედოფალი იმიტომ წავიდა, რომ ხელმწიფე იმპერატორის დაახლოვებულის მეთვალყურეობით აღეზარდნა მცირეწლოვანი მთავარი. ამბობდენ, ოომ დედოფალი მანამდე დარჩება პეტერბურგში, სანამ შვილი სრულიწლოვანი გახდება და, როგორც პროკლამაციაში იყო გამოცხადებული, რუსის ხელში სამეგრელოს მართვა-გამგეობა მანამდე იქნებაო. მაგრამ ყველანი გრძნობდენ, რომ, რაც დედოფალი წავიდა, სამეგრელოს ბედ-იღბალი ძირეულად გამოიცვალაო. რუსეთის მთავრობა, თუმცა დროებითი იყო, მაინც ისე მოქმედებდა, რომ სრულიად არა ჰგავდა მთავრის მოქმედებას, და ხალხი დარწმუნებული იყო, ძველის დროისა და დადიანობის წირვა გამოსულიაო. ჩვენ მაინც იმას ვეუბნებოდით ხალხს, რომ, პროკლამაციის ძალით, ისევ მთავრის ხელში იქნება სამეგრელოვო. ამ შემთხვევაში ერთის მხრით ჩვენ იმათა ვგავდით, ვისაც ეფიქრებათ შეაშინონ მდიდარ ბიძების მემკვიდრეობის მომლოდინე ძმისწულები ამ ბიძების ავადმყოფობის ამბით. მართალია, ელოდენ დედოფლისა და სრულწლოვან მთავრის ნიკოს დაბრუნებას, მაგრამ არავისა სწამდა, რომ უფლებანი მათ დაჰბრუნებოდათ. შვიდ-რვა წლის განმავლობაში დედოფალსა და მის ეგრედ წოდებულს ერთგულ თავადებს შორის მიწერ-მოწერა იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ადგილობრივნი მკვიდრნი რუსის მთავრობას უახლოვდებოდენ. რუსები სასურველ სტუმრად მიაჩნდათ და არაფრის გულისათვის არ აპირობდენ ამ სტუმრის გაშვებას.

ყველასა სურდა, რუსებს აქ ფეხი მოეკიდებინათ.

თავადებმა შეიგნეს, თუ რამდენად სასარგებლო იყო თავიანთი ბავშვებისათვის ესწავლებინათ და სახელმწიფო სამსახურში შეეყვანათ. ადრე მთავარი განგებ არავის უშვებდა სამეგრელოდან, რა არის, რამე არ ისწავლონო, ახლა კი რუსის მთავრობა, არამც და ხელს გვიშლის, პირიქით, გვეხმარება კიდეცა ჩვენმა შვილებმა ისწავლონ რამეო.

აქაური აზნაურები ხედავდენ, რომ იმერეთსა და გურიაში აზნაურები ქონებრივად თავადებისაგან განაცალკევეს და რუსეთის აზ-

ნაურების უფლებანი მიანიჭეს; მოელოდენ, რუსის მთავრობა ჩვენც ამ წყალობას გვიზამსო.

გლეხები თხოულობდენ თავის ბატონები ადამიანურად მოპყრობოდენ. რუსის ადმინისტრაცია ქომაგად გამოუჩნდათ ამ შემთხვევაში და წადილი აუსრულდათ: ჯერჯერობით მეტი არაფერი უნდოდათ; იმდენად იყვნენ შევიწროებულნი და დაჩაგრულნი, რომ ვერ წარმოედგინათ, თუ რა ბედნიერება მოელოდათ მომავალში.

ყველა ესენი ერთსა სთხოვდენ რუსის მმართველობას — **სამართლიანობას**. მათმა დავარდნილმა ცხოვრებამ ათასგვარი კითხვა წამოაყენა, მაგრამ კითხვა კითხვად რჩებოდა, იმისი გამომრკვევი არავინ იყო. აი აქ უნდა მიშველებოდა რუსის მმართველობა. სამხრეთის აპილპილებულ ხალხთანა გვქონდა საქმე, და ამ ხალხს ეგონა, რომ რუსის მმართველობა მძლეთა-მძლე იყო, და ამიტომ იმაზე ზედმეტსა გვთხოვდენ, რაც შეგვეძლო. საეჭვო არ არის, ასეთი ამბები ხშირად მოხდებოდა რუსეთის სხვა განაპირა ადგილებშიაც, სადაც კი რუსის მთავრობას წილად ხვდა აღმოსავლეთის დესპოტებისათვის უფლებანი წაერთმია; ადგილობრივნი მკვიდრნი იქაც მოუთმენლად ეპოტინებოდენ რუსის ადმინისტრაციას, ათას რასმე სთხოვდენ თავისის მწარე ცხოვრების დასაამებლად, ის კი არ ესმოდათ, თუ რა უფლება ჰქონდა ამ ადმინისტრაციას და რა შეეძლო და რა არა მათთვის გაეკეთებინა.

მაგრამ რითი უნდა ეხელმძღვანელნა რუსის ადმინისტრაციას ამ **სამართლობის** შემოღების დროს?

ჩვეულებითი სამართალი, ჩაწერილი მეფე ვახტანგის-მიერ წარსულ საუკუნეში და არეული მოსეს და აღბულას კანონებთან ერთად, წარმოადგენდა კრებულს, რომელსაც თავის დღეში არა ჰქონია საკანონმდებლო კოდექსის მნიშვნელობა, ამას მხოლოდ მოსამართლენი ხმარობდენ საქმის გარჩევის დროს სხვა-და-სხვა ცნობების ამოსაკრებად. ამ კრებულში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონებთან ერთად თქვენ შეხვდებით სხვა-და-სხვა საფილოსოფიო მსჯელობათა, აფორიზმებს და ნიხრს, საქართველოს არისტოკრატულ გვარების სისხლის აღების გამო დაწესებულს. ამ „კანონების“ თავტანის გაგება ძნელი იყო, ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა მივგემართნა მათთვის. სხვა საიდან რა უნდა გვეშველნა საქმისათვისა? მთელ თხუთმეტ ტომოვან „კანონთა კრებას“, თავისის დამატებებით, საწყალ მეგრელებთან ვერ გამოვიყენებდით. ამიტომ, იძულებული ვიყავით, ფუტკარივით, ცოტ-ცოტა ყველგან მოგვეკრიფა სახელმძღვანელოდ და, განსაკუთრებით, გზა არ უნდა აგვევლო **სალ**

გონებისათვის, მით უფრო, რომ მეტად მიხვედრილ და ნიჭიერ ხალხთანა გვქონდა საქმე. ჩვენ პროგრამა სიტყვით სრულიად ადვილი ასასრულებელი გვეგონა, მაგრამ ყველა მხრიდან იმდენი საჩივრები შემოიტანეს როგორც სიტყვიერად, ისე წერილობითად, რომ საქმე ძალიან გაგვიჭირდა.

მთავრის დროს სამართლობა უსასყიდლო არ იყო, მოსამართლე ყოველ საქმეზე თვით საქმის გარჩევამდე ახდევინებდა საკმაო სასყიდელს მომჩივნებს და ამითი სცხოვრობდა. სამართლის მოპოვება ძვირი ღირდა და ყველას არ შეეძლო მოსამართლისათვის მიემართნა. ხოლო როცა ჩვენ ეს გადასახადი მოვსპეთ და სასამართლო უსასყიდლო გავხადეთ, ნაკადულმა ჯებირი გახეთქა და თან მოგვიტანა აუარებელი წინანდელი საქმეები, გაუთავებელნი. მეტი გზა არ იყო, ყველა უნდა გაგვერჩია და ძალაუნებურად გავიცანით ძველი წესები სამართლის გადაწყვეტისა. რაც უნდა ნასწავლი იურისტი ყოფილიყო, ხელებს გაასავსავებდა ამ წესების გაცნობაზე.

სანიმუშოდ აღვნიშნავთ თუნდ ერთს მათგანს.

მოსამართლესთან **ანმა** უჩივლა **ბანს**: ოც-და-ათი ქცევა მიწა წამართვა და უსაბუთოდ სარგებლობსო. მოსამართლემ მომჩივანი და მოპასუხე ორივე დაიბარა, მიუსმინა როგორც ერთს, ისე მეორეს, გასინჯა მათ-მიერ წარმოდგენილი რაღაც ძველის ქაღალდის ნაფლეთები, რომლებიც საბუთის ქაღალდად იყო წარმოდგენილი, და დაადგინა: **ანმა** უნდა მოიყვანოს თორმეტი კაცი და დააფიცოს, რომ ხსენებული ოცდაათი ქცევა მიწა მართლა იმისიაო. მომჩივანმა **ანმა** ბევრის დავიდარაბისა და მოწმეების დასაპატიჟებლად გაწეულ ხარჯის შემდეგ, მოიყვანა თორმეტი კაცი, ამათაც **მაგარ ხატზე დაიფიცეს**. ამნაირი „მაგარი“ (სასწაულთმომქმედი) ხატი სამეგრელოში რამდენიმე იყო, და განსაკუთრებით ხალხსა სწამდა ყული-კარის ღვთისმშობლის ხატი და წმ. გიორგის ხატი, **ჭიაჩად** წოდებული. ხალხს ბრმადა სწამდა, რომ ამ ხატებზე ტყუილად დაფიცება არ შეიძლება, ამიტომ რომ ადრე თუ გვიან სიმართლეს გამოაჩენენო. **ანის** მიერ წარმოდგენილ თორმეტის კაცის დაფიცების შემდეგ მოსამართლემ **ბანს** ჩამოართვა მიწა და **ანს** ჩააბარა. კომედიის პირველი მოქმედება გათავდა. განვლო 15 წელიწადმა. ამ ხნის გამავლობაში **ანმა** დაბრუნებულ მიწიდან მღვდელს **ვინს** ხუთი ქცევა მიჰყიდა და აზნაურს **განს** — ათი; მაგრამ ამ თუთხმეტის წლის მფლობელობის შემდეგ შეამჩნია, რომ რაღაც კარგი არ იყო მის თავსა. ჯერ საქონელი გაუწყდა, ვაზები აქა-იქ გაუხმა, მერე ორი შვილი შოუკვდა. მიდის მკითხავთან. მკითხავმა ყველაფერი გამოჰკითხა და პირდაპირ

უთხრა, **ყულის** და **ქიაჩის** ხატების ბრალიაო, ტყუილად დაგიფიცხია და **ბანისათვი** მიწა წაგირთმევიაო, თუ ახლავე **ბანთან** არ წახვედი და ფიცი არ აახსნევინე, უარესად წავა შენი საქმეო. ეს ამბავი თანამოფიცრებმაც გაიგეს. ახლა ისინიც მიხვდენ, რომ ამ ხანში რაც რამ უბედურება დაგვატყდა, სულ ტყუილის ფიცის ბრალი იყოვო. ჩვენც გაგვიწყდა საქონელი, ვაზები გადაგვიხმა, შვილები დაგვეხოცა და სხ. და სხვაო. მივიდენ **ანთან** და უთხრეს: წადი **ბანთან** და სთხოვე ჩვენც აგვხსნას ფიციო. **ანი** თავს იშაგრებს, **ბანთან** არ მიდის, მაგრამ ამ დროს გასათხოვარი ქალი გაუხდა ავად... დაგვიანება არ შეიძლებაო და წავიდა **ბანთან**.

ბანმა მეტად ძნელის პირობების ასრულება მოსთხოვა ფიცის ახსნისათვის: იმ ოც და ათის ქცევის გარდა ოც და ათი ქცევა მიწა ზედმეტი მომეცი და თანამოფიცრებმაც კარგი ძღვენი მომიტანონო. ვინ იცის რამდენი ჭირი მოსჭამა **ანმა**, დამიკელი რამეო, მაგრამ **ბანმა** ქვაშეაგდო და თავი შეუშვირა. მეტი გზა არ იყო, **ანს ბანის** პირობები უნდა შეესრულებინა, მაგრამ ბალა ის იყო, რომ მღვდელმა **ვინმა** და აზნაურმა **განმა** უთხრეს, არაფრის გულისათვის არ დაგიბრუნებთ ნაყიდ 15 ქცევა მიწასაო. **ანი** იძულებული შეიქნა ამათთვის ახალი საჩივარი აეტეხნა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მღვდელმა და აზნაურმა ნაყიდი მიწა **ანს** უნდა ჩააბარონ, მხოლოდ **ანმა** ფული უკან უნდა დაუბრუნოს და იმის საღირალიც უნდა მისცეს, რაც შენობა დაუდგამს ან ბალი გაუშენებიათო. მამული ამათ ნამდვილ პატრონისაგან კი არა, უკანონო მესაკუთრისაგან ჰქონდათ ნაყიდი და რუსული 10 წლის ხანგასულობაც ვერ იხსნიდა ამ მესაკუთრეთ, ამიტომ რომ, აქაურის ადათით, მამულზე ხანგასულობა მარტო 40 წლისა მიაჩნიათ.

ანი, რაც ერგებათ, ყველაფერს აძლევს, მამულს უკანვე იბრუნებს, მერე მიჰყავს თანამოფიცრები, ერთად მიდიან **ბანთან** და სრულად აკმაყოფილებენ. ამის შემდეგ **ბანი**, სამეგრელოს ეკკლესიის მიერ დადგენილის წესით, ფიცისაგან განათავისუფლებს მოფიცართა.

ამ პროცესში მონაწილეობის მიმღებთა შორის წაგებული არ არის მხოლოდ მოსამართლე, რომელიც ყველას გადასახადს ართმევს.

და ამას **სამართლობა** ერქვა!

რა თქმა უნდა, არც რუსული მოსამართლენი იყვენ უნაკლულონი, მაგრამ ამ ზომამდე მაინც არ მიაღწევდენ.

ოლქის უფროსს დიდი უფლება ჰქონდა. სხვათა შორის, მოვალე იყო მოსამართლესებ საქმეები გაერჩია. მოვალე იყო მომჩივან-მოპასუხენი შეერიგებინა და, თუ ვინიცობაა, ამას ვერ მოახერხებდა, მხოლოდ მაშინ გადასცემდა საქმეს სასამართლოში, რომელსაც იმ დროს სამეგრელოს მართვა-გამგეობის საბჭო წარმოადგენდა. თუ ორივე მხარე ოლქის უფროსს მედიატორად ამოირჩევდა, რასაც ოლქის უფროსი გადასწყვეტავდა, იმას უნდა დაჯერებულიყვნენ მოჩივან-მოპასუხენი, სხვაგან ჩივილი არ შეეძლოთ, და ამნაირად ბევრი საქმე ირჩეოდა. მკითხველის ყურადღებას ამას იმ აზრით მივაქცევთ, რომ ეს ამბავი ხდებოდა 1857 წელს, ესე იგი იმაზე ბევრით ადრე, რაც მომრიგებელი სასამართლონი შემოიღეს შიდა გუბერნიებში.

მეულობელობის დარღვევის საქმეში ჩვენ ოთხის თვის ხანგასულობით ვხელმძღვანელობდით, და ამგვარი საქმეები აუარებელი გვქონდა გასარჩევად.

სასისხლისსამართლო საქმეების გამო გამოძიების წესები მეგრელებისათვის ახალი ამბავი იყო და ისინი მალე მიხვდნენ, რა უსრული იყო ჩვენი წინანდელი სამოსამართლო პროცედურა. ჩვენ მაშინ მხოლოდ ფორმალურად ეკითხავდით მოწმეებს და საბუთებს ასე ვაგროვებდით. თუ მოწმეები არ იქნებოდნენ, არც საბუთი გვექნებოდა და ბრალდებული იმას-ღა გაიძახოდა: „არაფერი ვიცი“, და ჩვენც ველარ ვამტყუნებდით.

მეგრელებს ეს ფორმალისტიკა არ მოეწონათ და თავისებური სახელი დაარქვეს: „რუსული ატკაზი“, ესე იგი, შენ მხოლოდ უარი სთქვი და ვერაფერს გიზამენო.

რუსული ფიცი, ჯვარსა და სახარებაზე, მათის ფიცის შემდეგ ძლიერის ხატების წინაშე, უძლურად ეჩვენათ და ამასაც თავისებური სახელი დაარქვეს: „რუსიშ ფუჩი“, რუსის ფიციო. რუსულად ტყუილად დაფიცებისა მანამდე არ შეშინებიათ, სანამ ცრუ ფიცისათვის სასჯელის სიმწარე არ იგემეს და არა სთქვეს, საფრთხილოა ასეთი საქმეო.

ამ სადაო და სასისხლის სამართლო საქმეთა რიცხვი,მართალია, დიდი იყო. მაგრამ უფრო ბევრი იყო წვრილმანი საქმეები, რომელნიც ოლქის უფროსს უნდა გაერჩია. აქაური ხალხი ცხარია, ადვილად იცის აპილპილება და მეტის-მეტად უყვარს ჩივილი და დავიდარაბა. ამ მხრივ მეგრელები საშინლადა ჰგვანან იტალიელებს. მეგრელებიც იტალიელებივით ძუნწები არიან, და იმათებრ დაჟინებით ცდილობენ თავიანთი ინტერესი დაიცვან და სასამართლოს კარები სთელონ. აპენინის ნახევარ-კუნძულის მცხოვრებთა ამ ეროვნულის თვისების

წყალობითაა, რომ ასე შემუშავებულია რომის განთქმული სამოქალაქო სამართალი; მეგრელები განათლებით შორს არიან იტალიელებზე, მაგრამ, თავის დროზე, უეჭველია, იმათაც ეყოლებათ გამოჩენილი ადვოკატები. ამბობენ, რომ ჯერ ახლაც სხვებზე უკეთესი ადვოკატები ქუთაისში მეგრელები არიანო.

ოლქის უფროსი იძულებული იყო დილიდან საღამომდე მთელი ეს დავიდარაბა ერჩია ხოლმე. ყოვლად შეუძლებელია კაცმა ჩამოსთვალოს ყველა სასაცილო შემთხვევები. ზოგი მეზობელს ვალის გადაუხდელობას უჩივოდა, ზოგი წვრილმან რაღაების მოპარვას აბრალებდა მეორეს, მეორე ამბობდა, მავანმა ჩემის თუთის ფურცელი დაჰკრიფა ჩემ უნებურადო, ვაზები ამომითხარა ეზოდანაო; ცოლი ქმარს უჩივოდა,—მცემაო, ვინ მკითხავ-ექიმს ედავებოდა,—ფული წინდაწინ გამომართვა და ავადმყოფობისაგან კი არ განმკურნაო, აზნაური გლეხს უჩივოდა, არ მემორჩილებაო, გლეხი—მებატონეს: მეტს გვახდევინებს, სულს გვართმევსო და სხვ. და სხვა.

პირველყოფილი და მამათმთავრული ცხოვრება ყველაფერში იხატებოდა, ხალხი გულუბრყვილოდ მოდიოდა უფროსთან და თხოულობდა, უსამართლობისაგან დამიფარეო.

ზოგიერთი შემთხვევები მეტისმეტად დამახასიათებელნი იყვნენ. აი თუნდა ერთს მოვიტან, რომელიც ჯერ ისევ კარგათა მაქვს დამახსოვნებული.

ჩემთან შემოდის ასე ორმოცი წლის დედაკაცი. თან ხელით მოჰყავს მეორე ქალი ასე 17 წლისა, რომელიც უგულოდ მოჰყვება, ნაწყენი სახე აქვს და თვალები ძირს დაუხრია. ახალგაზრდა ქალი ძალიან ლამაზია. მათგან ათიოდ ნაბიჯზე მოსჩანს ახალგაზრდა, ლამაზი ყმაწვილი. ზოგიერთ წვრილმან ნიშნეულობით კაცი მიხვდება, რომ ესენი ურიები უნდა იყვნენ.

ხნიერი ქალი გაალმასებული, შემდეგს მეუბნება.

„ქალი ბივათხოვე,—და სწორეთ ესაა, ხელი რომ უჭირავს, —აი იმას, უკან რო სდგას. და მერე იცით, რა ყოფილა? არაფერი შესძლებია და ქალი შემირცხვინა.

„ჩვენის, ურიების, ჩვეულებით ქორწილის მეორე დილასვე უნდა მიმელო, როგორც დედას, ჩემის ქალის პერანგი, მერე ყველა ჩემ ნათესავებისა და მეზობლებისათვის უნდა მეჩვენებინა და მათს წინაშე სირცხვილი არ მეჭამნა. როცა ჩემს სიძესთან მიველ და პერანგი მოვსთხოვე... ფუი. ფუი!.. მცვედანი გამომდგარა... ფუი, ფუი, ფუი!..

„რა თქმა უნდა, ასეთ შერცხვენის შემდეგ ჩემი ქალი ჩემს სახლში წამოვიყვანე, სიძეს კი თვალებში ჩავაფურთხევი და გამოვუცხადე, ახლავე გაეყარე ჩემს ქალს, შე ცვედანო-მეთქი!..

„არ იკითხავთ, რა მიყო ამ უსინდისომ! გაყრა არ უნდა და ძალით უნდა წაიყვანოს ჩემი ქალი“.

ამ საჩოთირო შემთხვევის გასარჩევად გამოვაძახებინე ებრაელთა ხახამისათვის, რომელიც იქავე ცხოვრობდა სოფელში.

ხახამს მეტად პატივცემული და კეთილშობილი სახე აქვს, ერთნაირად პატივსა სცემენ როგორც მისი ერთმორწმუნენი, ისე ქრისტეანებიც. როცა მოისმინა დედის მოთხოვნა გაყრის შესახებ, აგვიხსნა, რომ ასეთ შემთხვევაში გაყრა შეუძლია, და მეორე რჯულის წიგნის თანახმად, მოითხოვოს ცოლმა დაქორწინებიდან ექვს თვის შემდეგ, მანამდე კი თავის ქმრის სახლში უნდა დარჩეს და არავის აქვს უფლება იქიდან გამოიყვანოსო.

ასეთ განმარტების შემდეგ ორსავე ქალს ვუთხარით ცოტა განზე გამდგარიყვნენ, და დავუძახეთ ახალგაზდა კაცს.

ყმაწვილი დარცხვენილია, თვალები ძირს დაუხრია:

„ჩემს ცოლს არ გავუშვებ. მართალია, ჩემ-და საუბედუროდ ვერ შევასრულე ჩვენი ჩვეულება და მეორე დილას სიდედრს პერანგი ვერ გადავეცი, მაგრამ ეს თვითონ სიდედრის ბრალი გახლავსთ. მთელი ღამე იმ სახლთან იყო ატუზული, სადაც მე და ჩემი ცოლი ვიყავით, ერთის წუთითაც, არ მოგვასვენა, რომ მარტო დარჩენილვიყავით და სულ პერანგს თხოულობდა; რო გათენდა სახლში შემოიჭრა და თავისი ქალი მოიტაცა“.

დავადგინეთ: ცოლი ებრაელისათვის ჩაგვებარებინა, ხოლო სიდედრს გამოვუცხადეთ—არ გაებედნა ქალის წაყვანა სიძის სახლიდან. ცოლს შეუძლია, თუ საჭირო იქნება, ქმარს გაშვება მოსთხოვოს მხოლოდ ექვს თვეს შემდეგო.

ებრაელმა თავის ახალგაზრდა ცოლს ხელი მოჰკიდა და ამ დროს სიდედრმან ერთი თქვენი მოწონებული სილა გააწნა. იასაულები ჩაერივნენ და დაუშალეს დედაკაცს მეტი არ დაერტყა სიძისათვის, და ახალგაზდა ცოლ-ქმარი მიდიან. დედაკაცი გაკაპასდა და ესაულებს პირში სწვდა. ამათ ებრძანათ დაეჭირნათ დედაკაცი და ცალკე ოთახში დაემწყვდიათ ქალი გაიყვანეს.

მაშინ ოლქის უფროსთან შემოდის ხახამი და ნებართვას თხოულობს მივიდეს ებრაელ დედაკაცთან—დაარიგოს და დაამშვიდოს. რა თქმა უნდა, ეს ნება დართეს; მაგრამ ზღურბლზე ფეხი გადააბიჯა თუ არა, უკანვე გამოხტა; გაანჩხლებულ დედაკაცს ერთი ბღუჭა ბალანი გამოუგლეჯია წვერიდან, რისთვისაც ბრძანება გაიცა ქალი მეორე დღემდე გაეჩერებინათ.

მეორე დღეს, დილით, ჩვეულებრივ 7 საათზე ავდექი, გამოველი აივანზე და მის გვერდით დავინახე ახალგაზდა ცოლ-ქმარი ებრაელები. მოწიწებით მომესალმნენ და მთხოვეს მათგან მიმეღო ძღვენი, რომელიც შესდგებოდა ერთ კალათა ყურძნისა, ხილისა და ერთ ქათმისაგან. ამასთანავე მთხოვეს გამომეშვა მათი დედა: გაყრა ახლა საჭირო არ არის და საქორწილო პერანგსაც ჩავაბარებთო.

მთლად გახარებული ცოლქმარი დედასთან მივგზავნე; იქვე დავიბარე ხახამი; მოხდა საერთო შერიგება და შემდეგ კმაყოფილნი ყველანი თავთავიანთ სახლებში წავიდენ.

ებრაელთა ქალბატონი სრულიად კმაყოფილი. და ახლა შეუძლია თვალები გაუსწოროს ყველა სხვა ქალბატონებს, თავისს მეზობლებს: ყველამ იცის, რომ თავის ქალის სახელი არ შეარცხვინა.

ამ დამახასიათებელ შემთხვევისაგან შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა უშუალობით, თუ რა პირდაპირობით ეკიდებიან სასამართლოს ის ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან გამოსულნი თავის პირველყოფილ მდგომარეობიდან. მოსამართლე მათთვის უბრალო კაცი კი არ არის, და მით უფრო მოხელე; მოსამართლე მათთვის მატარებელია წმინდა სამართლიანობისა და მას გასარჩევად მიანდობენ მეტის-მეტად საიდუმლო, მეტისმეტად ინტიმურ გაუგებრობასაც-კი.

ასეთ ეტნოგრაფიულ სხვადასხვაობასა და პირობებში რუსის ადმინისტრაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ახალ ადგილებში, რომელთაც რუსეთი აღმოსავლეთის ქვეყნებში იძენს. ასეთს ადგილებში მთავრობამ ისეთი ადმინისტრატორები უნდა დანიშნოს, რომელთაც: ალაგობრივი ენა იციან, უმაღლესი იურიდიული სწავლა-განათლება აქვთ მიღებული და ადგილობრივ მკვიდრთა ზნეხასიათი გაცნობილი აქვთ. ადმინისტრატორად თუ რუსია, აქაურებს ძალიან მოსწონთ, რუსი ყველაზე პირუთვნელ კაცად მიაჩნიათ. მაგრამ თუ გვინდა, რომ რუსები აქეთკენ წამოვიდნენ მოხელეებად, საჭიროა ოლქისა ანუ მაზრის უფროსებს კარგი ჯამაგირი ჰქონდეთ დანიშნული და იმდენად სახარბიელო უნდა იყვეს მათთვის აქ სამსახური, რომ სხვა სამსახურში არა ცდილობდენ გადასვლას, და პენსია დაიმსახურონ ხოლმე. თანაც, მათი პენსია მთელს ჯამაგირს უნდა უდრიდეს.

ასეთი იყო აქაურის მართვა-გამგეობის წესების გეგმა, რომელიც შეიმუშავა 1842 წელს კავკასიისათვის შესანიშნავმა, ვიმეორებთ, სახელმწიფო კაცმა, ბარონმა განმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ

გზით დიდს ხანს არ ვიარეთ, გაგვიტაცა ახალმოდურმა, ლიბერალურმა აზრებმა და ბევრი რამ გადავაკეთეთ თვით საქმის საზიანოდ.

ჩვენის მოგონების შემდეგსა და უკანასკნელს თავში მკითხველს მოვუთხრობთ მოკლე მატიანეს იმისას, თუ როგორ ვმართავდით სამეგრელოს პირველ წლებში.

თავი მეცხრე

პირველი წლები რუსის მართვა-გამგეობისა

მოსვლა ქუთაისის ახალ გენერალ-გუბერნატორის თავადის გ. რ. ერისთავისა. — დაჭერა მეამმოხეთა მეთაურებისა. — მართალ თოდუას დამალვა მის მეზობლების მიერ. — მოსვლა მთავრის მზრუნველის დ. ი. ყიფიანისა, მისი მოკლე ბიოგრაფია.— ამბოხება სოფ. ნახუნუში. — ეკზეკუცია. — აჯანყების მოთავეთა დაჭერა. — დებულების შედგენა. — რუსეთში გადასახლება სამეგრელოს აჯანყების ხელმძღვანელთა. — შიმშილობა. — მზრუნველის აღნუსხვა მთავრის მამულებისა. — ფრანგების რკინის-გზის მკეთებელ კომპანიის აგენტების მოსვლა. — ნ. პ. კოლუბიაკინი ერევანში გადაიყვანეს გუბერნატორად და მის მაგიერ დანიშნეს მისი ძმა მიხეილი. — ძმათა კოლუბიაკინთა თვისება და მათი შედარება კავკასიის სხვა ადმინისტრატორებთან. — ორპირი. — გეგიძე. — პირველი ორთქლმავალი ბომალდი რიონზე. — კამერალური აღწერა. — დიდთა მთავართა ნიკოლოზ და მიხეილ ნიკოლოზის ძეთა მოსვლა.—როგორ მიეგება მათ ფოთში გურიის თავად-აზნაურობა. — მთავრის მამულების გამო შემდგარი საქმე. — დღესასწაული ზუგდიდში. — დ. ყიფიანის მოსვლა და მისი უთანხმოება კოლუბიაკინთან. — ქ. ფოთის კურთხევა. — გორდში ჩემი გადასვლა და ოლქის სამმართველოს გადატანა. — ჩემი შეტაკება ყიფიანთან. — მისი წასვლა ლეჩხუმის გზით ქუთაისში. — აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა. — ყიფიანი ბარიატინსკის მოხსენებას აძლევს მთავრის მამულების შესახებ. — კოლუბიაკინის გახმობა ტფილისში. — ბარიატინსკი ყიფიანს უარს ეუბნება და ეს უკანასკნელი პეტერბურგში მიდის. — სვანეთის შემოერთება. — ეპისკოპოს თეოფნაეს გარდაცვალება. — სვანეთში გალაშქრება. — ჩემი გადასვლა ტფილისის გუბერნიაში.—მ. კოლუბიაკინის გადმოყვანა ტფილისში. — მის მაგივრად სამეგრელოში ჭილაშვილსა ნიშნავენ. — თ. ბარიატინსკის წასვლა საზღვარ-გარეთ. — საზღვარ-გარეთის გაზეთში დაბეჭდილი წერილი სამეგრელოს საქმეთა გამო. — ყიფიანის დაბრუნება პეტერბურგიდან. — მისი მოკლე ხნის გამარჯვება. — დრეზდენში გაგზავნა სამეგრელოს ყველა საქმეებისა. — ბარიატინსკის წერილი, ხელმწიფესთან მიწერილი. — ბუტკოვის მისვლა დრეზდენში. — ახლად გადაწყვეტა სამეგრელოს საქმეებისა. — დ. ყიფიანის დათხოვნა სამსახურიდან. — დასკვნა.

ქრისტიშობისთვის დასაწყისში სოხუმის გზით სამეგრელოში მოვიდა ქუთაისის ახალი გენერალ-გუბერნატორი, თავადი გიორგი რომანის ძე ერისთავი, რომელიც ამ თანამდებობაზე გაგარინის სიკვდილს შემდეგ დანიშნეს.

გ. ერისთავი ქართლელი თავადიშილი იყო და საქართველოს მეფეების შთამომავლობას ნათესავადა ხვდებოდა. იმ წრეში, ქართველ ახალგაზდებისაგან რომ შესდგა რუსების საწინააღმდეგოდ, გ. ერისთავიც ერია. ეს წრე მომხრე იყო ალექსანდრე ბატონიშვილისა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ამაოდ ცდილობდა საქართველოს სამეფო ტახტზე ასულიყო. რუსებმა მეამბოხეებს ოცნება გაუგეს: ალექსანდრეს გამეფება და ჩვენი განდევნა სურთო. მაგრამ მთავრობა სასტიკად არ მოეკიდა მათს ქცევასა, ამიტომ რომ ხედავდა, საშიშო არა უქნიათ-რაო. ყოველსავე შემთხვევაში, წრის მემდგენელნი ჭკუის მოსაკრეფად რამდენისამე წლის ვადით შიდა გუბერნიებში გაგზავნეს. ამათში ერია ახალგაზდა პრაპორშჩიკი თავადი ერისთავიცა, რომელიც არხანგელის გარნიზონში იქმნა გადაყვანილი. ორი თუ სამი წელიწადი ახალგაზდა კაცმა არხანგელსკში გაატარა, ერთხანს პეტერბურგსა და მოსკოვშიაც სცხოვრობდა და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ისწავლა, გამოიცადა. სამშობლოში უკვე დადარბაისლებული ვაჟკაცი დაბრუნდა და გულმოდგინედ შეუდგა სამსახურს. ვორონცოვი რომ მოვიდა კავკასიაში, გ. ერისთავს უკვე შტაბ-ოფიცერის ხარისხი ჰქონდა. მთავარ-მართებელმა ნიჭიერი მოსამსახურე რომ გაიცნო, მოეწონა და მაშინათვე დააწინაურა. გ. ერისთავი რამდენსამე წელიწადს თერგის ყაზახთა ჯარის უფროსად და ყაბარდოს მმართველად იყო. ყველგან საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. წარმოსადეგი იყო, ზრდილი, ამასთანავე მკაცრი და მიუდგომელი. ამ თვისებების პატრონმა კაცმა გული და ნდობა მოიგო როგორც მთის ხალხისა, ისე ყაზახთა ჯარისა. თავადი ბარიატინსკი იმ დროს მისისავე ხარისხისა იყო და ყაბარდოს მეზობლად მსახურობდა. იმ დროიდანვე იცნობდა თავადს ერისთავს, ღირსეულად დააფასა მისი მოღვაწეობა და, როცა მთავარ-მართებლობა მიიღო, გაგარინის მოადგილედ ის დანიშნა. ბარიატინსკიმ იმის დიდკაცურ შთამომავლობასაც მიაქცია ყურადღება. მთავართაგანი იმ დროს მარტო თავადი მიხელ შარვაშიძე იყო დარჩენილი და იმასთან, როგორც ამაყ კაცთან, მხოლოდ ისეთს გვარიშვილის კაცს შეეძლო საქმის დაჭერა, როგორიც იყო თავადი გიორგი ერისთავი.

გ. ერთავის გამოვლის შემდეგ დიდს ხანს არ გაუვლია. კოლიუბიაკინმა სთქვა: ახლა კი შიში არაფრისაა, ამ მხარეში მშვიდობა დამყარდებაო, არც ამბოხების მეთაურების (სამის კაცის) დახმარება გვჭირიაო. ეს მეთაურები ჯერხანად თავისუფლად დადიოდენ, მხოლოდ მონდობილი გვქონდა თვალ-ყური გვედევნებინა. კოლიუბიაკინმა ბრძანა ამ მეთაურების დაჭერა. ამ ბრძანების აღსრულება შესახებ კოჩასი და მართალი თოდუასი მე მომანდო, ხოლო მესამე მეთაური მიქავა ზუგდიდის მაზრის მცხოვრები იყო. კოჩა ვიხმე თუ არა, მაშინათვე გამოცხადდა, მართალი თოდუას კი კარგა ხანსა ვდიე; მის საძებრად სალხინოში გაგზანვილი იასაული უკანვე დაბრუნდა და მითხრა, სადღაც დამალულაო. მაშინ მე თვითონ წავედი იმის საძებრად და თან 25 ყაზახ-რუსი გავიყოლიე.

სალხინოს ხელოსანმა და მოურავმა მითხრეს, მართალი თოდუას მეზობლები მალავენ და თავის ნებით არავის დაანებებენო; იცოდნენ, მართალი ვის სახლშიაც იმალებოდა, და ამიტომ ვუბრძანე პირდაპირ იქ წავეყვანეთ. სახლამდე ასორმოც და ათიოდ ნაბიჯი გვიკლდა, ისე გავჩერდით. სახლს გარშემო ხალხი ეხვია და რალაზედაც ხმა-მაღლა ყაყანებდა; ჩვენ ვერ გვამჩნევდენ. დღე და ღამე გაიყარა და ეზოში უკვე ჩამობნელებული იყო. ორი ყაზახ-რუსი გამოვარჩიე და ვუბრძანე, იარაღი ახყარეთ და ხელოსანს გაყევითმეთქი. ხელოსანს რაც შეიძლება მალე უნდა შეეყვანა სახლში და თოდუა ეჩვენებინა, ხოლო ყაზახ-რუსებს უნდა დაეჭირნათ და სანამ მათს ყვირილზე მე დანარჩენის ყაზახ-რუსებით არ მივეშველებოდი, ხელიდან არ გაეშვათ. ყველაფერი სიტყვა-სიტყვით იქმნა შესრულებული: სახტად დარჩენილ ხალხს თოდუა გამოჰგლიჯეს და მე მომგვარეს. ყაზახ-რუსებმა, მართალია, სწრაფად შეასრულეს ბრძანება, მაგრამ თოდუას მფარველებმა ტანისამოსი მაინც სულერთიანად შემოაგლიჯეს. მაგრამ ესენი წურბელასებ ჩააცივდნენ თავის მსხვერპლს, — ტანისამოსი ვიღას ახსოვდა! როცა ოცზე მეტი ყაზახ-რუსი დაინახა ხალხმა, თავზარი დაეცა და ვინ საით გარბოდა და ვინ საით.

მამასახლის ვუბრძანე, ხვალ დილასვე სოფელმა ამ ორ ყაზახ-რუსს ტანისამოსი უყიდოს-მეთქი, მე კი ორსავე თითო თუმანი ვაჩუქე. დაჭერილი მართალი თოდუა მეფიცებოდა, მე დამალვას არც კი ვფიქრობდი, მაგრამ მეზობლებს ჩემი პატივისცემა ჰქონდათ, დამალვა მომინდომეს და ამასობაში მე ჭკუა წავაგეო; სულითა და გულითა მთხოვდა, მეპატივებინა. მეც დამალვის გულისათვის სასჯელი არაფერი მიმიყენებია და საქმე მივაყრუე. სამივე მეთაური ხალხის აჯანყებისა დაპატიმრებულ იქმნენ.

სწორედ ამ ხანებში მოვიდენ მთავრის ქონების მზრუნველი დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი და მისი ცოლის ძმა მ. ე. ჭილაშვილი. მზრუნველი ქონების აღწერას შეუდგა და ჩვენ დახმარება გვთხოვა. მთავარს მამული სამეგრელოში ყველგანა ჰქონდა; და ყიფიანს მამულების აღწერის დროს თან ახლდენ სახლთუხუცესი მთავრისა თავადი დავით ჩიქოვანი და მისნი თანაშემწენი. როცა ჩემს ოლქში შემოვიდენ, ჩემი თანაშემწე, თავადი დიმიტრი დადიანიც მივაშველე. ეს კომისია, იმ სოფელში რომ შევიდოდა, სადაც მთავრის გლეხები ესახლნენ, დაუძახებდა ყველა გლეხებს, შეადგენდა მათს სიას, გააწერდა მთავრისთვის მისაცემ ხარჯს, გამოჰკითხავდა მთავრის მამულების საზღვრებს და მათის ნაჩვენების შესამოწმებლად, გარშემო სოფლებიდან კეთილ-სინდისიერებსაც მოიხმობდა და ჰკითხავდა. ზოგი დავასაც აცხადებდა ამ შემთხვევაში და კომისიას ოქმში შეჰქონდა მათი საჩივარი.

დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი რაჭველი აზნაური იყო. ჯერ ისევ პატარა დაობლდა; ერთმა მისმა ნათესავმა ქალმა ტფილისში წაიყვანა და გიმნაზიაში შეიყვანა. ყიფიანი კარგად სწავლობდა და, გიმნაზია რომ გაათავა, თვითონ მასწავლებლობა დაიწყო. ამ ხანებში შესდგა ტფილისში რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო წრე ქართველ ყმაწვილ კაცებისა და გ. ერისთავთან ერთად დ. ყიფიანმაც მიიღო მონაწილეობა ამ მოძრაობაში. სულ ახალგაზდა იყო დ. ყიფიანი, როცა მთავრობამ დასასჯელად ვოლოგდაში გაგზავნა. აქ სამსახურში შევიდა. ვოლოგდაში გაგზავნა მეტის-მეტად გამოადგა. აქ წრე იყო განათლებულ პირთა. ამ წრეში მოექცა ყიფიანი და ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი სწავლა-ცოდნა შეეძინა. თვითონაცა გრძნობდა, რომ ტფილისის გიმნაზიიდან ცოტა რამ გამომყვაო. ისწავლა ფრანგული და გერმანული ენები, ბევრს წიგნებს კითხულობდა და რუსული ენა ისე გაიკვეთა, რომ სამსახურში მის დაწინაურებას არა უშლიდა-რა. მაგრამ სამშობლოს უნახავობა საშინლად ადარდებდა და, ვოლოგდაში ცხოვრების ვადა გაუვიდა თუ არა, ტფილისში დაბრუნდა. აქ ძალიან მალე დაწინაურდა. იმიტომ რომ კავკასიელ მოხელეთა შორის ყველაზე უკეთესი ის იყო. თავადი ვ. ო. ბებუთოვი და ვორონცოვი ძალიან სწყალობდენ, რაც რამ მძიმე საქმე იქნებოდა, იმას მიანდობდენ ხოლმე და 1855 წელს, როცა ვორონცოვის ალაგი ნ. ნ. მურავიოვმა დაიჭირა, მოისურვა თავის კანცელიარიის დირექტორად დ. ყიფიანი დაენიშნა. მაგრამ პეტერბურგში არ თანაუგრძნეს მურავიოვის წარდგენილებას, მოაგონდათ ყი-

ფიანის ადრინდელი შეცოდებანი, დირექტორად არ დაამტკიცეს და დ. ყიფიანი კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად დარჩა.

მაშინდელს დროში მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორის თანამდებობა ყველაზე დიდი იყო კავკასიაში, ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ დიმ. ყიფიანს, რომელმაც თავისის ნიჭით და გამუდმებულის შრომის წყალობით დიდად დაიწინაურა თავი, ეს უარი საშინლად სწყენოდა და თავისი პატივმოყვარეობა შეურაცყოფილად ჩაეთვალა. ადვილად შეიძლება, რომ მურავიოვი მეტად გაზვიადებულის აზრისა ყოფილიყო მის-მიერ წარდგენილის კაცის ნიჭის შესახებ, მაგრამ ამის განხილვაში არ უნდა შესულიყვნენ პეტერბურგში; მურავიოვს უფლება ჰქონდა თავის მახლობელი თანამშრომელი აერჩია, ვინც უნდა ყოფილიყო ეს თანამშრომელი, ეს მისი საქმე იყო; ყიფიანის დაწუნება არ შეეძლოთ, ამიტომ რომ მაშინ ისიც უნდა ეთქვათ მურავიოვისათვის, შენ არ გეხდობითო; მაგრამ პეტერბურგში სულ სხვა რამე მოიმიზეზეს; სთქვეს ყიფიანი ახალგაზდობაში ჩვენს ორგულთა წრეში ერიაო და, ეს მიზეზი თუმცა სრულიად უადგილო იყო, მაინც ხელზე დაიხვიეს. დიმ. ყიფიანმა ახალგაზდობის შემცთარ აზრებზე, დიდი ხანი იყო, ხელი აიღო, ახლა უკვე მომწიფებულის ჭკუის კაცი იყო, ოცი წელიწადი მეტი მშვენივრადა მსახურობდა და თავისი ერთგულობა და საიმედობა ყველას დაუმტკიცა. თუ მთავრობა უნდოდ უყურებდა ყიფიანს და ასე ულმობელად მოექცა, რატომ ამნაირადვე სასტიკად არ მოეპყრა სხვა მის ამხანაგებს, ერთ დროს მოღალატეთა წრეში გარეულებს, რომელთაც, მიუხედავად წარსულის შეცდომებისა, სამსახურში აწინაურებდენ და უფრო დიდ თანამდებობას აძლევედნენ, ვიდრე მთავარმართებლის კანცელარიის დირეკტორობა იყო? მაგალითად, თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, *) ერთ დროს იმავე ამბისათვის ვიბორგში იყო გაგზავნილი და იქ მსახურებდა. შემდეგში ეს კაცი მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი და სახელმწიფო საბჭოს წევრიც იყო. მაშასადამე, ეს მიზეზი ყიფიანის შესახებ არამც თუ სულ უბრალო, უსამართლოც იყო. აშკარად ეტყობოდა, რომ მურავიოვს არ ენდვნენ. მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ყიფიანი დიდად განაწყინებულად სთვლიდა თავსა; დიდი მოთმენა იყო საჭირო, რომ ამ სასჯელს კაცი არ გაებოროტებინა; დიდი ჭკუა და გამჭრიახობა იყო საჭირო ყიფიანის მხრივ, რომ გული არ გასტეხოდა, თავტანი არ დაჰკარგოდა და კარგად გაეთვალისწინებინა მომავალის ცხოვრების გეგმა.

---

*) პოეტი

მთავრმართებლად ბარიატინსკი რომ დანიშნეს, თავი წამოჰ-ყო მთელმა რიგმა მოსამსახურე პირთა, რომელნიც კავკასიაში, მარ-თალია, მანამდეც იყვნენ ცნობილნი, მაგრამ მეორეხარისხოვანი ად-გილი ეჭირათ. დ. ყიფიანი დაიჩრდილა, კუთხეში მირჩა; სასახლეში არ იხმობდენ და ჩარიცხულ იქმნა იმ მაღალის ხარისხის მოხელეთა ჯუნდში, რომელთა ხვედრია ხოლმე თუ სამუდამოდ ძილი არა, თვლემა მაინც თავიანთ სავარძელში. სამეგრელოს ამბოხებამ დ. ყი-ფიანი ამ საღათას ძილისაგან გამოაფხიზლა.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ დედოფალმა ეკატერინემ, რაკი მის-მა ძმამ, თავადმა დავით ჭავჭავაძემ, დაუსიძეს, ბარონ ა. პ. ნიკოლაიმ, უთხრეს, დ. ყიფიანს მიმართა და ამანაც არამცთუ გულმხურვალედ მოისმინა მისი თხოვნა და იკისრა მზრუნველობა მთავრის მცირე-წლოვან შვილების ქონებისა, არამედ სამუდამოდ რაინდად და ვექი-ლად გაუხდა ქალს, რომელიც, მისის აზრით, შეურაცხყოფილი და დაჩაგრული იყო. როცა სამეგრელოში მოვიდა, ვითარცა საბჭოს წევრი და მზრუნველი, ყიფიანს აზრადა ჰქონდა დაჩაგრული და შე-ურაცხყოფილი მხარე დაეფარნა.

დიმიტრი ყიფიანი მანამდე ორის წლის წინად გავიცანი დე-დოფლისავე სასახლეში. მერე ქუთაისსა და ტფილისში შევხვედრივარ. მე მეტად ალერსიანად მექცეოდა. მეც, როგორც დიდის ხარისხის კაცს და ჩემს მოკეთეს, ახლა ვცდილობდი, ვითარცა ოლქის უფრო-სი, რაც კი ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერში დავხმარე-ბოდი.

2

ოც ქრისტიშობისთვეს აზნაურ კორზაიებს, ნანეიშვილებს და მათს მეზობლად მცხოვრებს თავადს გლახუა მიქელაძის შორის წის-ქვილისა გამო დავა ატყდა და მათ შესარიგებლად სოფ. საჭილა-ოში წავედი. დაბა ორპირში სტუმართ-მოყვარე პოდპოლკოვნიკის და საჭურისთა როტის კომანდირის იაგორა გეგიძის სახლში ჩამო-ვხტი და ვცდილობდი ერთმანერთს გადაკიდებული მეზობლები შე-მერიგებინა როგორმე. საქმე კარგად მიდიოდა, ორივე მხარე ერთმა-ნერთს ურიგდებოდა, მაგრამ მაინც ყოველ დღე მივდიოდი და ალა-გობრივ ვსინჯავდი სადავო ადგილს და ვვარაუდობდი მამული ისე გამესაზღვრა, რომ არც ერთი მხარე გულნატკენი არ დარჩენილიყო. ამ დროს პეტერბურგში 20 გრადუსი ყინვებია და სამეგრელოში კი ისეთი საშინელი თავსხმაა ხოლმე, რომ წარღვნა მოგაგონდებათ. ცა პირს იხსნის, დაუშვებს კოკიპირულ წვიმას და მთელი თვე არ გა-დიღებს. სწორედ ასე მოხდა, როცა მე ორპირში ვიყავი: წვიმებდ

დაიწყო, პატარა მდინარეები გადიდდნენ, ღელეები მდინარეებად იქ-ცნენ და, გამოდარების ლოდინში, სენაკს მოვწყდი. ასეთს დარში კაცს საშინელი სევდა აწვება გულზე: ცივა, ჰაერი ნესტიანია, ბნელა და თავს გარედ ვერ გამოჰყოფს ადამიანი. 1837 წელს იმპერატორი ნიკოლოზი, როცა კავკასიაში მოგზაურობდა, სოხუმიდან ზუგდიდში მოვიდა და სწორედ ასეთი ავდარი შეესწრო. წვიმებმა ხელმწიფე მთელი ხუთი დღე დაატუსაღა ზუგდიდში: ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა, ამიტომ რომ წყლები საშინლად მოდიდდნენ და შიგ გასვლა საშიში იყო.

და აი, სწორედ, ასეთს ავდარში, ღამით შიკრიკმა გამომაღვიძა და ლუქით დაწებებულ ფრთიანი პაკეთი გადმომცა; ეს იმას ნიშნავდა, რომ სასწრაფო იყო რაღაცა. გავხსენი წერილი, წავიკითხე და გველის ნაკბენივით ლოგინიდან წამოვიჭერი.

ჩემი თანაშემწე კულვანოვსკი მატყობინებდა, რომ თავად ფაღავების სოფელ ნახუნუში გლეხები აჯანყდნენო. მებატონეებს სცემეს და, როცა მე მივედი ოთხ ყაზახ-რუსიანათ ამ სოფელში, ცოტას გასწყდა, მეც არა მცემეს გლეხებმაო, ამიტომ უკანვე წამოვედიო. ერთს ყაზახ-რუსს სცემეს და ცხენიც წაართვესო. „თუ გლეხები ამ სოფელში როგორმე არ ჩავაჩუმეთ, — მწერდა კულვანოვსკი, — სხვა სოფლების გლეხებიც ამათ მიჰბაძავენო.“

შიკრიკი მაშინვე გენერალთან ვაფრინე. ვთხოვე, რომ ასი ყაზახ-რუსი, ერთი როტა სახაზო ბატალიონისა ნახუნუში გამოეგზავნა. ნახევარ საათს უკან, ესე იგი, გათენებამდე, საშინელს თავსხმაში, ნაბადი წამოვისხი, ყაბალახი მოვიხვიე, რამდენიმე იასაული, ყაზახ-რუსები და თარჯიმანები ვიახლე და ბანძის გზით ნახუნუსკენ გავწიე. დაწვრილებით აღწერა ამ მოგზაურობისა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. უფრო მივცურავდით, ვიდრე მივდიოდით. ზოგან ისეთი ღელეები შეგვხვდებოდა გასავლელი, რომ თუ არ ერთად შეჭუჭკვილი, თითო-თითოდ გასვლას ვერა ვბედავდით. ზევიდან წვიმა კოკიპირულად გვასხამდა. თან, თოვლსაც გამოურევდა, მერე ისეთსა, რომ მაშინათვე დნებოდა. საღამომდე, რაგორც იყო, გავიარეთ ოც და ათის ვერსის მანძილი და ბანძაში შევედით. მაგრამ ვაი იმ მისვლას: დამშეულები, დატანჯულები და სიცივისაგან გათოშილები ვიყავით ყველანი. მშრალი არაფერი შეგვრჩენია ტანზე. გახვა ფაღავას სახლი, სადაც ჩვენ მიგვიყვანეს, სამოთხედ მეჩვენა; გუხარში დიდი ცეცხლი გუგუნებდა, ხურჯინებიდან მშრალი ტანისამოსი ამოვაღებინე და სველი ტანისამოსი გამოვიცვალე, მომიტანეს ჩაი, მერე ვახშამი, ზედ დაუმატეს ღვინო. ყოველივე ეს ნეტა-

რება იყო ჩემთვის და იმ ღამეს მკვდარსავით დამეძინა. მეორე დღეს დილა-ადრიან ისევ გზას შევუდექით, ნახუნუმდე თვრამეტი ვერსი გვიკლდა. წვიმა წინადღესავით საშინლად ასხამდა.

შუადღეს რომ მიატანა, ნახუნუს მივუახლოვდით. ამ დროს სენაკიდან მომავალი ასი ყაზახ-რუსი დავინახეთ. ესენი ჩემთან კორნეტს თავად ნაკაშიძეს მოყავდა. შევიყარენით ერთად. ნაკაშიძემ მიამბო, კოლიუბიაკინი მძიმედ ავად არისო, რაღაც იარა გამოაჩნდა და ექიმმა უბრძანა, ლოგინში უნდა იწვეს და არ გაინძრესო. თქვენთან წერილის მოწერა არ შეეძლო და ჩემის პირით შემოგითვალათ, ყოველი ღონე იღონეთ, მეამბოხენი ალაგმეთ და მიზეზები, შეიტყოთ თუ არა, მაცნობეთო.

ნახუნუ მთა ალაგას არის: ჩვენ რომ შევედით, თოვლი იდო, ასე რომ წვიმას გამოვეთხოვეთ და პირდაპირ ზამთარში შევყავით თავი. კავკასიაში ასეთი უცები ცვლილებანი ბუნებისა დიდად გასაკვირველი არ აოის.

ნახუნუ თავისის მდებარეობით და აქა-იქ გაბნეულ სახლებით კაცს კინჩხას მოაგონებს, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი მესამე თავში. შიგ სოფელში რომ შევედით, ხელოსნების მონახვა ძალიან გაგვიჭირდა. სოფლელნი, ბრალეულ შაგირდებივით, მთებში დამალულან. შეგვიყვანეს ერთს ცარიელს და კარგა მოზრდილს ქოხში, სადაც დიდი ცეცხლი დავანთებინე მაშინათვე, აქავე მოვიდა ჩემი თანაშემწე კულვანოვსკი, ხოლო საღამო ხანს მოატანა სახაზო ბატალიონის ერთმა როტამ, რომელსაც მოუძღოდა პორუჩიკი კრიტსკი. ამათ მოჰყვებოდენ ორი გენერლის იასაული, ძმანი თეიმურაზი და სიკო თოფურიები, ყოჩაღი და მარჯვე ყმაწვილები; ორივე მეტის-მეტად გამომადგნენ შემდეგში.

კულვანოვსკისა და ხელოსნებისაგან ჯერჯერობით მარტო ის გავიგე, რომ გლეხების აჯანყების მიზეზი მებატონეთა უკანონო საქციელი ყოფილა, მაგრამ სახელდობ რა ჰქნეს მებატონეთა — ძნელი შესატყობი იყო. აუცილებელი საჭირო იყო შემეკრიბნა მთებსა და ტყე-ღრეში დამალული ხალხი და ყველაფერი მათგან შემეტყო. მე თვითონ არ შემეძლო მათთან ლაპარაკი და მოციქულებად ძმანი თოფურიები დავაყენე. ჩემი მოციქულები მეორე დღესვე წავიდენ მთებში და საღამოზე შემდეგი ანგარიში წარმომიდგინეს თავიანთის მოციქულობისა.

ხალხი ჰგრძნობს, რომ დამნაშავეა, ეშინია შინ დაბრუნებისა. — მითხრეს იასაულებმა თოფურიებმა, — და ამბობს, თუ პირობას მოგვცემთ, რომ განურჩევლად ყველას არ დაგვსჯით, გამოვცხადდე-

ბითო. როგორც თეიმურაზ თოფურიამ მითხრა, ხალხის აჯანყების მოთავე ერთი გლეხი ყოფილა, ვინმე ბასაია. თეიმურაზს უთქვამს, წამოდი უფროსთანაო, მაგრამ ბასაიას მოუთხოვნია, ჯერ ხატზე დაიფიცე, რომ ციმბირში არ გამგზავნიან და მერე დამიძმობილდიო. დაძმობილებას იგივე ძალა აქვს სამეგრელოში, როგორც შვილად მოკიდებას, რომლის შესახებ ჩვენ შემთხვევა გვქონდა მეოთხე თავში გვეთქვა ორიოდ სიტყვა, როცა დედოფლისა და ჯამსუხ დადიშქელიანის დანათესავების შესახებ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. ორსავე შემთხვევაში დადებულ ლოცვას ამბობენ. თეიმურაზმა მთხოვა ბასაიას დაძმობილებოდა, მაშინ უფრო გავარიგებ საქმეებსაო. მე ნება დავრთე. იმანაც გაიყოლია მღვდელი და საღამოს ეს მელოდრამატიული შეთქმული ჩემს კარავში მომიყვანა. ამ დღეს ნახუნუში რამდენიმე ფაღავაც მოვიდა.

ბასაია შუა ტანის, ასე ოცდაათის წლის კაცი იყო, წითური თვალები დიდი და მაცდური ჰქონდა. მეტად ალერსიანად დავუხვდი, როგორც თეიმურაზ თოფურიას ძმობილს. თითონ ცეცხლაპირას დაჯდა და ნაკაშიძე ჩვენს ნათქვამსა სთარგმნიდა. თუ მეტი არა, ხუთი საათი მაინც ველაპარაკებოდით ამ კაცს, ხოლო კულვანოვსკი სწერავდა მისის ნათქვამის იმ ნაწილს, რომელსაც უფრო მნიშვნელობა ჰქონდა. აშკარა იყო, რომ ეს გაიძვერა და ქვეყნის დამქცევი კაცი გაკერპდა და ერიდებოდა პირდაპირის პასუხის მოცემას. ყოველს სიტყვას, სანამ იტყოდა, კარგად ასწონავდა და ისეთს უმნიშვნელო რასმე მიჰკიბ-მოჰკიბავდა, რომელიც საქმის ვითარებას უფრო აბნელებდა და ხლართავდა. მაგრამ ჩვენ იობის მოთმინებით აღვიჭურვენით და ისე ვისმენდით მისს აბდა-უბდა ლაპარაკსა. მაინც, როგორც იყო, გავუგენით გზა-კვალი მისს ნათქვამსა და ცოტ-ცოტად გავიგეთ, რის შეტყობაცა გვწადდა.

ბასაია თვითონაც ვერ აჩჩენევდა, ისე დაგვიხატა განსაკუთრებული პირობები—სამეგრელოს ბატონ-ყმურის დამოკიდებულებისა. გავიგეთ, რომ ბასაია, ჯერ ისევ პატარა, ბატონის სასახლეში ფარეშად ყოფილა. მერე ბატონს ცხენებისა და შინაურ საქონლის ქურდობა უსწავლებია, შემდეგ, როცა კარგად გაწვრთნილა, ბატონთან ერთადა ქურდობდა თურმე. მართალია, ბატონთან ერთად მოქმედობდა, მაგრამ ბატონი მაინც უსინიდისოდ ექცეოდა ნაქურდალის გაყოფის დროს: დიდი ნაწილი ბატონს მიჰქონდა და პატარას ბასაიას მიუგდებდა; როცა საქონლის პატრონი მათს სახლში მიიტანდა დაკარგულის საქონლის კვალს, ბატონი იტყოდა, ბასაიას მოუპარავსო, თითონ ჯვარსა და ხატზე ჰფიცულობდა, ქურდობაში წილი არ მიდევსო.

მდივანბეგი ბასაიას ცემით სულს ართმევდა ქურდობისათვის, იძულებულს ჰყოფდა, რაც მოიპარა, შვიდი იმის ფასი გადაეხადნა. მეტი გზა არ იყო, ხელახლა უნდა ექურდნა ბასაიას და თუ ბატონს რასმე დაუმალავდა თავის სასარგებლოდ, ხუნდებს გაუყრიდა და ასე ჰყავდა მთელის თვეობით. ყველა კუთხეები სამეგრელოსი, იმერეთისა, აფხაზეთისა ბასაიამ დაწვრილებით იცოდა და ერთგან ცხენს რომ მოიპარავდა, უხიფათოდ მეორეში ამოაყოფინებდა თავსა. „ბუნტობის“ დროს (ესე იგი შარშანდელი აჯანყება), ბატონს გაექცა ბასაია და ყაჩაღად იყო გავარდნილი: ამ დროს ბევრჯერ უყრია ბატონების ჯავრი და ეს უკანასკნელნი ნახუნუში შემოსვლას ვერა ჰბედავდენ. ბოლოს, რუსები მოვიდენ, აჯანყებული ხალხი დააჩუმეს, ნამდვილი სამართლობა აღგვითქვეს და მშვიდობა ჩამოვარდა; მაგრამ ამ სამის კვირის წინად მაჭარი გაჩნდა, მოვიდნენ ბატონები ძველებურად და გლეხებს საჭმელ-სასმელი მოსთხოვესო. — „როცა, ბოლოს, — სთქვა ბასაიამ, — თავი მოგვაბეზრეს, ჯერა ვთხოვეთ, თავის-თავად წასულიყვნენ პატიოსნად, მაგრამ, წავსლის მაგიერ, დაგვემუქრნენ, რუსებს მოვიყვანთ და თქვენთვის სულს ამოვართმევინებთო; გვითხრეს, ჩვენს ჭკუაზე, უნდა მოგიყვანოთ,ყველაფერს უფროსს შევატყობინებთო. ვხედავდით, ცუდად იყო საქმე და ის იყო, უნდა დავმოჩიღებულიყავით. ამ დროს ერთმა მებატონეთაგანმა, თავადმა გიორგი ფაღავამ, რომელიც თავის გლეხების სახლში სცხოვრობდა, ამ გლეხის ორს 9—10 წლის ქალს ჩუმად წითელი აბრეშუმის ნაჭერი შემოახვია კისერზე. ძველად ბატონი რომელ ქალსაც კისერზე წითელ აბრეშუმის ნაჭერს შემოახვევდა, ის ქალი მისი მოახლე ხდებოდა და შეეძლო მაშინათვე სახლში წაეყვანა. ქალების მამამ ეს ამბავი გაიგო თუ არა, სოფელში ყვირილი გაიბა: „ძმებო! მიშველეთ, ბატონებს უნდათ ისევ ძველებურად მოგვექცნენო“. ყველამ მოირბინა, მათს შორის მეც მივედი. ქალების კისერზე აბრეშუმის ნაჭრები რომ დავინახეთ, ვეღარ მოვითმინეთ და ფაღავებს ყველას გაურჩევლად დავუშინეთ. სწორედ ამ დროს სოფელში ვიღაც რუსი მოვიდა, თან რამდენიმე ყაზახ-რუსი მოსდევდა. დაგვიწყო ყვირილი. ჩვენა ვთქვით, ეტყობა, ბატონების მხარე უჭირავსო და ვიფრინეთ, ხელი კი არ გვიხლია. ყაზახ-რუსს კი, მართალია, მოხვდა, მაგრამ იმისი ბრალი იყო, — მათრახებით დაგვიწყო ცემა. ცხენი ხელში ჩაგვიტოვა და თითონ კი თავს უშველა...

აი, მოკლედ ის ამბავი, რომელიც, ხუთის საათის ლაპარაკის შემდეგ, მე და ნაკაშიძემ ბასაიასაგან გავიგეთ. მე არ ვიცოდი, რა სიტყვებით გადამეხადნა მადლობა ნაკაშიძისათვის, რომელმაც ბასაიას

ამდენს აბდა-უბდა ლაპარაკს გაუძლო. მაგრამ საქმის შინაარსი მაინც გავიგეთ. საქმე ის გახლდათ, რომ თავად ფაღავებს მძიმედ სჩვენებიათ ძველის ჩვეულების მოშლა, — ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო. — დაჰვიწყებიათ ამ რამდენისამე თვის წინედ მომხდარი ამბავი და მოუნდომებიათ ძველთა დამოკიდებულებათა აღდგენა. სასტიკად აღკრძალული ჰქონდათ ფაღავებს თავის გლეხებთან ევლოთ და მათს სახლებში ესვათ და ეჭამნათ, მაგრამ ესენი მაინც წასულან ნახუნუში და გლეხებისათვის საჭმელ-სასმელი მოუთხოვნიათ. ერთს მათგანს, გიორგი ფაღავას, ეს არ უკმარებია და მოუნდომებია მოახლეების წამოყვანა, რომ მერე ორივე ქალი სხვებისათვის მიეყიდნა.

ყველაფერი რომ გამოვკითხე, ბასაია შისს ძმობილს, თეიმურაზ თოფურიას, ჩავაბარე და ვუბრძანე მეორე დღეს დილით ისევ მოეყვანა ჩემთან. ჩვენ კი ვივახშმეთ და დავწექით დასაძინებლად. მაგრამ ვაი ისეთს დაწოლასა! სახლში ყველა მხრიდან ქარი უბერავდა, გარედა ჰყინავდა, ცეცხლი ჩაქრა. ხმელ ფიცრებზე ვეყარენით ტანგაუხდელად და ზევიდან ნაბდები და საბნები გვეხურა. მე, ნაკაშიძემ და კულვანოვსკიმ მთელი ორი კვირა გავატარეთ ამ ქოხში და მთელი დრო ასე ვიტანჯებოდით.

მეორე დილას ბასაიას ვუბრძანე მთებში წასულიყო და სოფლელნი ჩამოეყვანა. რაც უფრო დაიგვიანებენ, მათთვის უარესი იქნება-მეთქი. ვუთხარი: სახლებში ყველას ეკზეკუციად ჩავუყენე ერთი როტა სოლდათებისა და ასი ყაზახ-რუსი, ესენი მანამ იქმნებიან აქ და მანამ სჭამენ და სვამენ გლეხების ქონებასა, სანამ ყველანი უკლებლივ არ გამოცხადდებიან-მეთქი. საქმეს ყველაფერს გავარჩევ, ვინც დამნაშავე იქნება, რა თქმა უნდა, შუბლზე არ ვაკოცებ, მაგრამ არც გავანაწყინებ — რაც შეიძლება, მალე გამოცხადდენ-მეთქი.

ბასაია წავიდა და გლეხებმა ცოტ-ცოტად ჩამოდენა იწყეს. ჩემთან კი იასაულებს მოჰყავდათ ჩამოსულები.

ამ საქმის ძიებამ დიდს ხანს გასტანა. მთელი ერთი ოზმა ქალალდი მოუნდა ყველაფრის დაწერას. ყველანი სწერდენ და გენერალმა ერთი მარჯვე მწერალი, ვინმე ვასილრევიც, მოგვაშველა. მთელს სოფელში სულ სამასი კომლი გლეხი ესახლა და მათ შორის ფაღავების ცემა-ტყეპაში მონაწილეობა მიუღიათ ორმოცამდე კაცს.

თავადი ფაღავები ამ საქმეში თავის თავს დამნაშავედ არც კი სთვლიდენ. მათის აზრით, ღმერთმა გლეხები ფაღავებისათვის გააჩინა ისე, როგორც ადამიანისათვის ძროხა, ცხენი და სხვა პირუტყვი შეჰქმნაო. პირუტყვს ხანდიხან თავი დაავიწყდება და ურჩობას მოინ-

დომებს, მაგრამ ჯოხით სცემენ და დააჭკვიანებენ, ამნაირადვე უნდა მოექცეს კაცი გლეხსაო. „რუსები ახლა ნებას არ გვაძლევენ ჩვენ თვითონ დავსაჯოთ ხოლმე გლეხები, — ამბობდენ ისინი, — მაგრამ, ერთხელაც იქნება, მოგეზრდებათ მათი პატრონობა და მაშინ უკანვე დაგვიბრუნებენ; მხოლოდ ის არ გვესმის, ამდენ ხანს რად აჭიანურებენ საქმეს და თავს რად იწვალებენ; იქნება, იმასა ჰფიქრობენ, ეს პირუტყვები ადამიანებად აქციონ? ძალიან შემცდარნი ბრძანებულან, თუ ასე ჰფიქრობენ!.. ჩვენ რომ ჩამოგვციებიან, თავიანთის გლეხების ამბავს რატომ არ იკითხავენ? იმათში გლეხები ბატონებს ათჯერ მეტად ემსახურებიან ჩვენებურს გლეხებზე. მერე ეს გლეხები სოლდათებად აქციეს და უსულღმერთოდა სცემენ. აბა ერთი რას გვიშვრებიან ჩვენ ახლა? რასა და თავის ყმებს ჩვენის ყმების სარჩო-საბადებელს აჩანაგებინებენ, და ამას ეკზეკუციას ეძახიან! ამით ხომ ჩვენ გვაძლევენ ზარალსა! წინად ასეთი რამე რომ გაებედნათ გლეხებს, მეთაურებს დავიჭერდით და აჯანყებისათვის აფხაზეთში გავყიდიდით, არც ზარალი რამ მოგვეცემოდა. ახლა კი ჩვენს გლეხებს სოლდათები მიუსიეს და თანაც გაიძახიან, — გლეხებსა ვჯითო, ზარალს ვაყენებთო. იმათ კი არა, ჩვენ გვაყენებენ ამით ზარალსა, ამიტომ რომ, რაც ჩვენ შეგვეძლო შეგვეჭამნა, იმას სოლდათები სჭამენ და აოხრებენ. ეს ნამდვილი უსამართლობაა!.. სოლდათები ქვევრებს მარტო გლეხებს კი არ უცარიელებენ, ჩვენს ღვინოსაცა სვამენ. ამიტომ, რაც ღვინო დალიეს, იმისი ფული მაინც მოვთხოვოთ.“

ესა სთქვეს, არხეინად ანგარიში წარმომიდგინეს და 120 მანეთი მთხოვეს: თქვენმა სოლდათებმა ამდენის ღვინო დალიეს ჩვენის ქვევრებიდანაო.

იმათს ნათქვამს ყველაფერს წინდაწინვე მატყობინებდა ჩემი თარჯიმანი ბესარიონ ქავთარაძე, ასე რომ როცა ფულის ანგარიში წარმომიდგინეს, მე წინადვე გადაწყვეტილი მქონდა, რა მეთქვა მათთვის ან როგორც მოვქცეულიყავ. გბმოვართვი ანგარიში. რასაც მთხოვდნენ ფულს, ყველა მაშინათვე დავუთვალე და ბარათიც ჩამოვართვი ფულის მიღებისა. რა თქმა უნდა, მე ტუტუცად ჩამთვალეს, ამიტომ რომ ჯარისკაცებს, სულ ბევრი, ორის თუმნის ღვინო თუ ჰქონდათ დალეული და ჩემგან კი ას ოცი მან. ჩაიჩხრიალეს ჯიბეში! მე გულითადი მადლობა გადამიხადეს მათის თხოვნის შესრულებისათვის, თან გული-გულში დამცინოდენ. აბა რას მოიფიქრებდენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო საქმისა და დასასრული შემდეგში იქნებოდა.

როცა აჯანყებულ გლეხების საქმე გამოვიძიე, დამნაშავე ჯარისკაცები გავამათრახებინე, სამი თუ ოთხი, და მათ შორის, თემურაზ თოფურიას ძმობილი ბასაიაც სენაკში გავგზავნე ერთის თვის ვადით საპატიმროში გასაჩერებლად. მერე ფაღავები მოვიხმე და გამოვუცხადე, რომ ასეთს ამბებს სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს და ამისათვის საჭიროა ყველა გლეხს თავისი გადასახადი გავაწეროთ-მეთქი. ფაღავებმა ამაზე უარი ვერ მითხრეს; ჯიბეში ას ოცი მანეთი ედოთ და ამით წაქეზებულებმა გამომიცხადეს—რასაც გვიბრძანებს ყველაფერს ავასრულებთო ეს რომ მითხრეს, დავსვი ჩემი თანამშრომლები, მეც გვერდით მოვუჯექი და შევუდექით საქმესა.

მოვიწვიეთ სათითაოდ ყველა ფაღავების გლეხები და ორისავე, გლეხისა და ბატონის, გამოკითხვის შემდეგ, ვწერდით **დებულებას**, ესე იგი, ვწერდით, გლეხს რა სამსახური მართებდა ბატონისა ან რა უნდა გადაეხადნა მისთვის. თუ ვინიცობაა, ბატონისა და გლეხის ნათქვამი ერთი-მეორეს არ მიუდგებოდა, ამ შემთხვევისათვის არჩეული გვყავდა მედიატორეები. წინასწარ ორსავე მხარეს, ესე იგი, ბატონსა და გლეხს, პირობა ჩამოვართვით, ყველაფერში დამორჩილებოდენ მედიატორის გადაწყვეტილებას. იმისთვის, რომ ყველანი დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ მედიატორეთა მიუკერძველობასა და პირუთვნელობაში, ამათ ფიცი ჩამოერთვათ. დებულებას, ორისავ მხარისა და მედიატორეების-ძიერ ხელმოწერილს, ერთს მემამულეს ვაძლევდით, მეორეს — გლეხს და მესამეს საოლქო სამმართველოში ვიტოვებდით. ამასთან, ორსავე მხარეს გამოვუცხადეთ, რომ ამიერიდან მებატონეებს არ შეეძლოთ გლეხებისათვის საჭმელ-სასმელი მოეთხოვნათ, ისიც გამოვუცხადეთ, რომ ბატონებს არ შეეძლოთ გლეხებისათვის ქალები გამოერთმიათ მოახლეებად. ამის ხელწერილი მოგვცეს ორმავე მხარემ. ფაღავები ჰგრძნობდნენ, რომ ასოცი მანეთი ტყუილად არ მიმიცია, მაგრამ რა ექნათ და ყველა პირობაზე ხელი მოგვიწერეს.

ნახუნუს აჯანყების დამშვიდებას და დებულებათა შედგენას მთელი ორი კვირა მეტი მოვუნდი. ბედნიერი დღეები და ახალი წელიწადი ქრისტესებ ვიტანჯე. მხოლოდ ნუგეშად ისა მრჩებოდა, რომ „დებულების“ შემოღების შემდეგ მაინც ბოლო მოეღებოდა მებატონეთა თავგასულობას იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც მებატონეებმა და გლეხებმა დასდვეს ურთიერთ შორის.

ნ. პ. კოლუბიაკინი ლოგინში მწოლარე დამიხვდა, მეგობრულად გადამეხვია და მადლობა მითხრა ჩემის მოქმედებისათვის. ნაკაშიძე დიდხანს უამბობდა ნახუნუს ამბავს; გენერალი გულიანად იცი-

ნოდა. თემუოაზ თოფურიაც ცდილობდა თავისებურად ეამბნა თავისი დიპლომატიური საქციელი მთაში გახიზნულებთან. ღვინისათვის ასოცი მანეთი რომ გადავიხადე, ეს ფული ექსტროარდინალურ ხარჯისათვის გადადებულ თანხიდან დამიბრუნეს. როცა კოლუბიაკინი იმდენად მოკეთდა, რომ ოთახში შეეძლო სიარული, მოიხმო ფაღავები და უთხრა: „დებულებაში“ რაც გიწერიათ, ყველაფერი სიტყვა-სიტყვით უნდა აასრულოთო; თუ რამე გადაგიცილებიათ და ხალხს ის მოსთხოვეთ, რისაც მოვალენი არ არიან, და ამის წყალობით გლეხები აგიჯანყებიათ, საზოგადო მშვიდობიანობის დამრღვევებად ჩაგთვლით და თქვენს ქონებას სამზრუნველო სამმართველო დაენიშნებაო.

3

1858 წლის იანვრის თვეში, როგორც იყო, დაბოლოვდა გამოძიება წინა წლის მეამბოხეთა საქმისა. შეპყრობილ იქმნა 38 კაცი და სამეგრელოს მმართველმა მთავარმართებელს მოახსენა — ვინ რაში და რამდენად იყო დამნაშავე. მთავარმართებელმაც წარდგენილება დაამტკიცა. ყველა 38 დამნაშავე სხვა-და-სხვა ვადით რუსეთის შიდა გუბერნიებში გაგზავნეს საცხოვრებლად. ყველაზე დიდი ხანი სასჯელისა ხუთი წელიწადი იყო. ამ ვადით სამი მეთაური გაგზავნეს. მათგანი კოჩა თოდუა რუსეთში მოკვდა, ორნი-კი სამშობლოში დაბრუნდენ და, მგონი, დღესაც ცოცხალნი არიან. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ნ. პ. კოლუბიაკინი ყველას ლმობიერად მოექცა, აბიტომ რომ იმდენი ხალხი აჯანყდა და მარტო ოც და თვრამეტი კაცი გადაასახლეს. მხოლოდ სამწუხარო იყო ზანაში მომხდარი ამბავი. აქ ყაზახრუსებმა იარაღი იხმარეს და რამდენიმე კაცი მოკლეს კიდეცა. მაგრამ ეს ჩიქოვანების თავქარულ განზრახვის წყალობით მოხდა.

წინა წლის არეულობას ხალხისათვის არც თუ უშედეგოდ ჩაუვლია. იანვრის დამლევს ხალხს პური და სიმინდი შემოაკლდა და ჩვენ იძულებული ვიყავით მივშველებოდით. გენერალმა ბრძანა, სიმინდი და პური იმერეთში გვეყიდნა და ახალ მოსავლამდე სესხად დაგვერიგებინა ხალხისათვის. ამან ხალხი შიმშილობას გადაარჩინა და ყანებიც დასთესეს.

თებერვალში დ. ი. ყიფიანი და ჭილაშვილი მორჩნენ სამეგრელოს შემოვლას, აღნუსხეს მთავრის მამულები და ოლქის უფროსებს მოგვმართეს გვეცნობებინა საბაზრო ფასები სამეგრელოს სოფლის ყოველგვარ ნაწარმოებისა, როგორც მაგალითად: ხორბლისა, სიმნდისა, ღვინისა, საქონლისა და სხ. და სხ. ამან, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა, და პასუხის მიცემაც გამიჭირდა. იმ გაჩანაგებულ მდგო-

მარეობაში, რა მდგომარეობაშიაც მაშინ სამეგრელო იმყოფებოდა, ძნელი იყო კაცს ნამდვილი ფასები შეეტყო რისაც უნდა ყოფილიყო: პური თვითონ უჭირდა ხალხსა, მაშასადამე, არ შეეძლო მოჭარბებული პური ბაზარში გამოეტანა და გაეყიდნა; იმერეთიდან მოტანილი პური კი, რა თქმა, უნდა, ნორმალურ ფასზე მეტი ღირდა; ხოლო უპურობის წყალობით სხვა ნაწარმოებს ფასი აკლდებოდა, ამიტომ რომ ამ ნაწარმოებს ღირებულზე ნაკლებ ფასად ასაღებდენ, როცა იმერეთიდან მოტანილ პურში სცვლიდენ. ეს კიდევ არაფერი, მზრუნველი არამც თუ უკანასკნელის წლის ფასებსა გვთხოვდა, არამედ უკანასკნელ ათის წლის საშუალო ფასებსაც; ამას, რა თქმა უნდა დანამდვილებით სულ ვერ შეატყობინებდა რუსის ადმინისტრაცია. მაგრამ მაინც უნდა დაგვეკმაყოფილებინა როგორმე დ. ყიფიანი და ეს საქმე მივანდე სენაკის საპოლიციო ბოქაულს და ნამდვანბეგარს, ხანში შესულს და მეტად მიხვედრილს კაცს, თავადს მაქსიმე ბოროს ძე ქოჩაქიძეს *). რაც ციფრები მ. ქოჩაქიძემ შეჰკრიბა, მაშინათვე დ. ყიფიანს გავუგზავნე. თან, ძალიან გულით მინდოდა შემეტყო, თუ რისთვისა სჭირდებოდა ყიფიანს ეს ცნობები და, ორის კვირის უკან, რომ შევხვდი, ვკითხე. მითხრა, ამ ციფრებით უნდა ვიხელმძღვანელო და ისე უნდა გავაწერო გადასახადი ფულად სადადიანო გლეხებსაო. მერე სულადისა და საძსახურის მაგიერ ფულად უნდა გამოვართვაო. მე სახტად დავრჩი. ამ გამოანგარიშების წყალობით მთავრის ყოველწლიურ შემოსავლის ჯამი 120,000 მანეთამდე ავიდა. მაგრამ ოსმალეთის ომმა და შინაურმა ამბოხებამ ხალხი ძალიან დასცა ქონებრივად და მესამედს ვაპატივებო, — მითხრა დ. ყიფიანმა — დარჩება 80,000 მანეთი და ეს კი უჭეველად უნდა გადავახდევინოვო.

დ. ყიფიანს, როგორც კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრს, მაშასადამე, როგორც დიდის ხარისხის კაცს, აგრეთვე, კაცს, რომელსაც, როგორც ლაპარაკში შევატყე, არ უყვარდა პატარა მოხელისაგან რაიმე ჭკუის სწავლება, ვერაფერი ვუთხარი მისის მოქმედების შესახებ და ისევ სიჩუმე ვარჩიე: მაგრამ ნ. კოლუბიაკინი შემხვდა თუ არა, მაშინათვე მოვახსენე. რაც დ. ყიფიანისაგან გავიგონე. სამი ათას კომლ გლეხებისაგან 80,000 მანეთის მოგროვება არამც თუ უსამართლობად, არამედ ფიზიკურად შეუძლებლად მიმაჩნდა. აქაური გლეხები ვალდებულნი იყვნენ მთავრისათვის ჭირნახულის ერთი ნაწილი მიეცათ, როგორც ამას სხვა ყველა მება-

*) პოეტის გიორგი ქოჩაქიძის (ჭალადიდელის) მამა.

ტონეთა გლეხები შვრებოდენ; **რასაც მიწა მისცემდა, იმასვე აძლევ-დენ მებატონეს,**—აი მათი მოვალეობა, დებულების ქვაკუთხედი. ბატონს არ შეეძლო ეთქვა გლეხებისათვის: „ქათმის მაგივრად ორი შაური მომიტანე და ბათმან*) სიმინდის წილ—ორი აბაზიო“, ბუნებრივის გადასახადის მაგიერ ფულის მოთხოვნა—ძალმომრეობად ითვლებოდა. ამის შემდეგ რა თქმა უნდა, ზედმეტი უნდა ყოფილიყო ლაპარაკი ფულით გადასახადის აღების შესახებ. თუმცა ასეთი აზრი,—ვუთხარი კოლუბიაკინს,—ყოველ საბუთს მოკლებულია, მაგრამ მაინცა, ვთქვათ, რომ გლეხები ყაზახ-რუსების მათრახებით შევაშინეთ და ფულით გადასახადი დავადეთ,—საიდან უნდა იშოვოს სამმა ათასმა კომლმა გლეხმა 80,000 მანეთი, როცა ამდენი ფული მთელს სამეგრელოს, ესე იგი, 28,000 კომლს არა აქვს-მეთქი! აშკარა იყო, რომ ყიფიანი სცდებოდა, ნ. კოლუბიაკინიც მაშინათვე მიხვდა ყველაფერს და მითხრა, როგორც-კი ვნახავ ყიფიანს, ამის შესახებ მოველაპარაკებიო. რამდენისამე დღის უკან საიდუმლოდ შემდეგის შინაარსის წერილი მომწერა კოლუბიაკინმა: ყიფიანმა თვითონაც კარგად იცის, რომ 80,000 მანეთის აკრეფა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ამდენად იმიტომ დააფასა სადადიანო გლეხების გადასახადი, რომ, თუ ვინიციობაა, სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა, რუსის მთავრობამ იცოდეს, რამდენით უნდა დააჯილდოვოს მთავარი და ამით საქმე გაუადვილდესო. ამდენი შემოსავალი მხოლოდ სიტყვითაა, თუმცა, მართალია, დაახლოვებით მაინც აღნიშნავს ფასს იმ ჭირნახულისას, რომელიც გლეხმა მთავარს უნდა აძლიონ. მთავრისათვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იქნება სამთავროზედ ხელის აღებისათვის ამდენის ყოველწლიურის სასყიდლის მიღებაო. კოლუბიაკინის ამნაირი აზრი იმდენად არ მომწონებია, მაგრამ ბოლოს დასძენდა: ყიფიანს დიდი ხანია ვიცნობ და ვფიქრობ, რომ, მართალია, მთავრის ერთგულობასა ცდილობს, მაგრამ კეთილგონიერებასა და სამართლიანობის გრძნობას მაინც არ უღალატებსო. „ყოველსავე შემთხვევაში,—მწერდა ბოლოს გენერალი,—ჩვენ ყველაფერს გავიგებთ და, რა თქმა უნდა, ვეცდებით, მთავრის მზრუნველის ზომას გადასულს ერთგულობას ფრთა შევაკვეცოთო“.

მარტში სამეგრელოში სამი საინტერესო სტუმარი გვეწვია,—სამი აგენტი ფრანგების რკინის გზის კომპანიისა (რომლის მეთაურად ითვლებოდა სახელგანთქმული კოლინიანი)—კაპიტანი დავიდი, ბატონი შარპანტიე და სამსახურიდან გამოსული რუსის გუსარი

*) ბათმანი—18 გირვანქა.

ბარონი კნორინგი. ესენი იყვნენ პირველნი მოამბენი სარკინისგზო მოძრაობის ახლად დამდგარ ხანისა. მაშინ განზრახული იყო რკინის გზა გაეყვანათ მოსკოვიდან ფედოსიამდე და ძუშაობა ორისავ მხრით ერთად უნდა დაეწყოთ. ფედოსიაში ლიანდაგისათვის საჭირო ხეტყის შოვნა იკისრა ტრონისა და გოტრონის კომპანიამ, და კომპანიის მმართველობამ ხსენებული სამი აგენტი გამოგზავნა სამეგრელო სამურზაყანოს მემამულეებთან მოსალაპარაკებლად ხე-ტყის სყიდვის შესახებ. ფრანგმა გრაფ როზმურდიუკმა, რომელიც ამ მხარეში აგერ თხუთმეტი წელიწადი სცხოვრობდა, ამ საქმეში შუამავლობა იკისრა და აგენტებს სამეგრელოს აზნაურები ჩხოლარიები გააცნო, რომელთაც ანაკლიის ახლო მშვენიერი ტყე ჰქონდათ. საქმე კარგად მიდიოდა და გენერალი, რა თქმა უნდა, რაც შეეძლო, ხელს უმართავდა ფრანგებს.

მათი აქ მოსვლა მეტად გვახარებდა. გვპირდებოდენ, რომ ორის წლის შემდეგ ფედოსიიდან გზას გავიყვანთო. იმედი მოგვეცა, მალე საქართველოც შეუერთდება პეტერბურგსა და მოსკოვსაო. მაშინ აქედან პეტერბურგში ჩასვლა დიდ გმირობად და ვაჟკაცობად ითვლებოდა. სამეგრელო ძალიან მოეწონათ ფრანგებს. ვინ იცის, რეებს არ დაგვპირდნენ—უცხოეთის ფულიან კაცებს მოვიყვანთ და კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს ბაზარს გავუხსნითო, და ჩვენც, ბავშვებივით, ყველაფერს ვუჯერებდით. ფულები აუარებელი ჰქონდათ და მათი ჯამაგირები ყველას გვაკვირვებდა: დავიდს, მაგალითად, 12,000 მანეთი ეძლეოდა წლიურად, შარპანტიეს—6 ათასი, კნორინგს 4,500 მ. სამეგრელოს მმართველის ჯამაგირი 7 ათასს მანეთს უდრიდა, ასე რომ რომელიღაც ფრანგის კომპანიის უფროსს აგენტს თითქმის ორი იმდენი ჯამაგირი ჰქონდა. რაღაც ახალმა სიომ დაგვბერა; მანამდე, სამსახურის გარეშე თუ შეიძლებოდა ფულის შოვნა, არ გვეგონა, მაშინ კი აშკარად დავინახეთ, რომ კერძო საქმესაც დიდი მოედანი ეშლებოდა წინ, პატივი ედებოდა. ფრანგების კომპანიის გარდა სხვებმაც გვიჩვენეს ამის მაგალითი; წინა წელს კავკასიაში მოვიდა ერთი შეძლებული რუსი მწარმოებელი ბატონი ნოვოსელსკი თავისის აგენტებითურთ. ფულით კოჭაობდენ ყველანი, ჯამაგირები იმათაც დიდები ჰქონდათ. ამათ რომ ეუყურებდით, ჩვენ, საწყალ მოხელეებს, მეტად მცირედის ჯამაგირების პატრონებს, თავბრუ გვესხმოდა. მაგალითად, ოლქის უფროსს რა ტანჯვა-წვალება ჰქონდა და ჯამაგირი 1.500 მანეთი ეძლეოდა, ესე იგი ვიღაც სამსახურიდან გამოსულის გუსარის, რომელიღაც ფრანგის კომპანიის უმცროს აგენტის ჯამაგირის მესამედი! ჯამაგირების ამნაირმა უს-

წორ-მასწორობამ ბევრ სახელმწიფო სამსახურში მყოფებზე, რომელთაც დაწინაურების იმედი არა ჰქონდათ, მეტად ცუდად იმოქმედა.

მაგრამ დიდს ხანს არ გაგრძელებულან ეს დღენი სიხარულისანი. გენერალ კოლუბიაკინის ბარიატინსკისაგან მოწერილობა მოუვიდა, ერევნის სამხედრო გუბერნატორობა იკისრეო. ისიც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა, ამიტომ რომ ამით საშუალება ეძლეოდა უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონოდა მთავარმართებელთან. კოლუბიაკინს, რა თქმა უნდა, უხაროდა გადაყვანა, ამიტომ რომ ტანსიმრთელე მოაკლდა და სამეგრელოს მართვა უჭირდებოდა, მაგრამ მისი მოშორება ყველასა სწყინდა და განსაკუთრებით მე მწყინდა, როგორც იმის წინადადებით მისულს სამეგრელოში. დიაღ, მეძნელებოდა მისი მოშორება, მაგრამ არც ამასთან ერევანში წასვლა შემეძლო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ უკვე დავინიშნე, ჩემი დანიშნული ქუთაისში სცხოვრობდა და ჯვარი აპრილში უნდა დაგვეწერნა.

ამ მიზეზებისა გამო ვიფიქრე ქუთაისში გადავსულიყავ სამსახურში და მინდოდა თავად რ. ერისთავისათვის მეთხოვნა დახმარება. მაგრამ ამ დროს ტფილისიდან ამბავი მოვიდა, ნ. კოლიუბიაკინის მაგიერ მის ძმას მიხეილ კოლუბიაკინსა ნიშნავენო. მიხეილ კოლიუბიაკინს კერძოდ ვიცნობდი, ვიცნობდი როგორც გულკეთილ კაცს; მისი ძმა დამპირდა, თქვენი შუაკაცი ვიქნები და ერთმანეთს დაგაახლოვებთო.

აპრილის დასაწყისში თეკლათიდან კოტიანეთში გადავედი კაცია ბატონიშვილის სასახლეში. სამი კვირის შემდეგ აქ უკვე დაცოლიანებული ვცხოვრობდი.

4

ჩემს ქუთაისში ყოფნაში ნ. კოლუბიაკინი ერევანში გადაიყვანეს და იმის მაგივრად ქუთაისში მისი ძმა მიხეილი*) დანიშნეს. მეც, როგორც უფროსს, გამოვეცხადე.

კავკასიაში მიხეილ კოლუბიაკინი ოცი წელიწადი მსახურობდა. სამსახური იქიდან დაიწყო, რომ ჯერ პირველი ადიუტანტი იყო შტაბის უფროსის გენერალ კოცებუსი, მერე ყარაბაღის მაზრის უფროსად დანიშნეს, შემდეგ ქუთაისის ვიცეგუბერნატორად იყო; ქუთაისიდან ტფილისში გადაიყვანეს იმავე თანამდებობაზე და იქ დარჩა ასე რვა წელიწადი; მოიცვალა სამი გუბერნატორი: თავადი

*) მიხეილ კოლუბიაკინის სურათი იხილე ამ წიგნის მე 85 გვერდზე. სურათს შეცდომით ქვეშ აწერია „ნიკოლოზი“ „მიხეილის“ მაგიერ.

ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (გმირი ახალციხისა, აწყურისა და ჩოლოქისა), ლუკაში და კაპგერი.

როგორც დიდის ხნის ნამსახური, მ. კოლუბიაკინი დიდი გამოცდილი კაცი იყო. კავკასიის მხარეს ძალიან დაახლოვებით იცნობდა; არც სამეგრელო იყო იმისთვის სულ უცნობი; საზოგადო წარმოდგენა ამ კუთხის შესახებაცა ჰქონდა და აქ ხამსავით არ ეჭირა თავი. იქ რომ მოვიდა, ყველამ მალე გაიცნო მისი ხასიათი. კარგის ქცევისა იყო, ძმას სულ არა ჰგავდა: ძმასავით არა ფიცხობდა, ნაკლებ ყვიროდა და თავისის ალერსიანის სიტყვა-პასუხით ყველას გული მოიგო და მოიყვავილა.

ჩემს სიცოცხლეში ბევრნაირი ადმინისტრატორი მინახავს და ვიტყვი მხოლოდ, რომ იმდენი სხვა-და-სხვა ჯურის ტიპები არსად შეხვდება კაცსა, რამდენიც იმ სფეროში, სადაც პირადს შეხედულებასა და აზრს თითქმის პირველი ადგილი უჭირავს. კავკასიაში ბევრი რამ არის განსხვავებული, თავისებური. ადმინისტრატორს აქ ძალიან უჭირს მოღვაწეობა: უნდა პასუხი გასცეს აქაურების სრულებით თავისებურს ზნეს, ჩვეულებას, ხასიათს. აქაურ ხალხს, მიუხედავად მისის მრავალსაუკუნოვანის ისტორიისა, ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია მტკიცე პრინციპები მოქალაქეობისა; ამათი ადათების კრებული, რომელიც სოფლის ცხოვრების იქით არ გასცდება, და მუსლემანთა რჯულის კანონი, შარიათი, მეტად ყუსტია, კაცი ვერ დაემყარება, და როცა რუსეთმა კავკასია შემოიერთა, იძულებული იყო აქ მთლად და ზოგიერთის ცვლილებით შემოეღო რუსეთის კანონები. აქ ადმინისტრატორს მოეთხოვება ეს კანონები შემოიღოს მკვიდრთა სასარგებლოდ და არა საზიანოდ, ყველას ჩააგონოს მისი მოუსყიდველობა, მისი საჭიროება და ყველას შეაგნებინოს ის აზრი, რომ ამ კანონს ძალად არავინ ახვევს კისერზე, არამედ საჭიროა მისი შემოღება მშვიდობიანის ცხოვრებისათვის; აქაურის ადმინისტრატორისათვის საჭიროა იცნობდეს იმ მხარეს, რომელიც მას მიანდვეს საპატრონელად, უნდა იცოდეს, როგორ მოიხმაროს ხალხის საკეთილდღოდ ის საშუალებანი, რომელნიც ამ მხარეს ხელიდან გამოუვა.

ეს პროგრამა, ჩემის აზრით, რთული არ არის, მაგრამ მისი აღმასრულებელ მოხელეების მოძებნა არც ისე ადვილი გახლავთ.

ყველა მაზრის ხალხი თავის გაჭირვებასა სჩივის, ხოლო სამხრეთ კავკასიის მცხოვრებნი სლავიანებს არა ჰგვანან. საზოგადო საქმისათვის თავგამოდებულნი არიან, ჩაცივებით და ცხარედ იციან თხოვნა და ამ შემთხვევაში ადმინისტრატორს დიდი სიფრთხილე მართებს. ვაი იმის ბრალი, თუ ბევრს რასმე დაჰპირდა ხალხს და

ცოტაც არ აუსრულა; ვაი იმის ბრალი, თუ გულდასმით მოისმინა თხოვნა და ის მაინც არ აუსრულა, რის გაკეთებაც შეეძლო; ორსავე შემთხვევაში ხალხის ნდობა ეკარგება და რაკი ხალხი ენდო თვალით დაუწყებს ყურებას, მაშინ დომხალივით აირევა ყველაფერი, გაფუჭებულის საქმის გამოკეთება ძნელია. რაც უნდა ბევრი რამ სთხოვონ ადმინისტრატორს, ის მაინც იმას უნდა ეცადოს, გაიგოს, რა უფრო ეჭირვება სათხოვნელად მოსულ ხალხს და სწორედ ის უნდა აუსრულოს, მაგრამ სიტყვით კი არა, საქმით. აი, ბრძენი ადმინისტრატორიაო, ასეთს კაცზე ითქმის. მაგრამ, სავალალოდ, ასეთი სიბრძნე კავკასიაში იშვიათად თუ რომელსამე ადმინისტრატორს გამოეჩინოს; უმეტესობა ადმინისტრატორებისა ფანტაზიორებისაგან შესდგებოდა, ან და ისეთებისაგან, რომელთათვის გარეშე პირადის ინტერესებისა არა არსებობდა რა. ზოგს, მაგალითად, ლუკაშსა, ეგონა კანცელიარიზმით ავაშენებ სოფელსაო, ჰქადაგებდა, მიწერ-მოწერა უნდა შევამციროთო და შემცირების მაგიერ, წინანდელზე ათჯერ უფრო უმატებდა; ზოგი დიდის ხარისხისა და სიმდიდრის კაცი გამოერეოდა, მოინდომებდა უეჭველად გაებედნიერებინა მხარე, შეუდგებოდა წინანდელების ნაკეთების დაქცევას და ახალის აშენებას, მაგრამ ამ დროს ენერგია უღალატებდა და მშრალზე დარჩებოდა პირჩალა-გამოვლებული. ერთ ქალაქში მშვენიერი ბაღი იყო, ქალაქის მკვიდრნი ზაფხულის სიცხის დროს აქ მოდიოდენ გასაგრილებლად; ადმინისტრაციამ აიხირა: აქ შადრევანები უნდა გაიმართოსო, გამოაყვანინა წყალი, და ამაზე ოცი ათასი მანეთი დახარჯა, ბულვარი მთლად თხრილებით დასერა და, ბოლოს, ის გამოვიდა, რომ ბულვარი ჭაობად იქცა, შადრევანები ვერ გააკეთეს და გამოყვანილი წყალიც არაფერში გამოადგათ. მეორე ქალაქში იმავე ადმინისტრატორმა რკინის გზისათვის თუჯის ხიდი გააკეთა, და ამაშიაც 80,000 მანეთი ჩაყარა. ეს ფული ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა კისრიდან ამოიღო. ამდენი ხარჯი მხოლოდ იმიტომ გასწია, რომ იმედი ჰქონდა, აქ რკინის გზას გაიყვანენ და ეს ხიდი იმისთვის გამოდგებაო; მაგრამ რკინის გზა სულ სხვაგნით გაიყვანეს და ასეთი ძვირი ხიდი ქალაქს შერჩა. ამ ხიდზე, მართალია, ურმით გავლა შეიძლება, მაგრამ ორი ურემი ერთი მეორეს გზას ვერ უქცევს. მერე ჯარისათვის ერთი კაზარმა გააშენა, 30,000 მანეთიც ამაში ჩაყარა. მაგრამ ადგილი ისეთი ციებიანი აირჩია, რომ მთავრობა იძულებული გახდა, იქიდან სხვაგან გადაეყვანა ჯარი და სხვ. და სხვ. ამ ადმინისტრატორის ცოლს ჩინეთია დედოფლის მსგავსად ეჭირა თავი, ქედმაღლობით, ტახტზე წამოწოლილი იღებდა ადგილობრივს

ქალებსა და ვაჟებს და სალამს ძლივს აღირსებდა. ხუთს წელიწადზე მეტს მეფობდა ეს ცოლ-ქმარი აქ, მთელს თვისს ქონებას აქა ხარჯავდენ, ყველას ჰპატიჟობდენ, ყველას მამიდობას ესენი ჩემობდენ და მიუხედავად ყოველისავე ამისა, თავიანთის უჭკუო ქცევისა და უტაქტობის წყალობით მარტოოდენ სიძულვილი გაჰყვათ აქაურებისა. მესამე იყო კიდევ ადმინისტრატორი უცხოელთაგანი, იმისი ზრუნვის საგანი — თავისის მამულის გაუმჯობესობა იყო და ეს მამული 10—15 ათასი თუ ღირდა. გამოიწერა თავისი თანამემამულე მებაღე და ხეხილის ბაღის გაშენებას შეუდგა. რამდენსამე წელს უკან მშვენივრად იხეირა დარგულმა ხეებმა. ან რატომ არ იხეირებდა, როცა მისმა პატრონმა მეზობელ გლეხებს წყლები სულ ერთიანად წაართვა თავის ბაღის მოსარწყავად; მე თქვენ მოგახსენებთ და ღონე არ შესწევდა! მართლაც, მშვენიერი ხილი მოსდიოდა ბაღში, ყველა მის ფერმას აქებდა, საიდან არ მოდიოდენ მის სანახავად, სულ იმას გაიძახოდენ, ეს ბაღი იმით არის სასარგებლო, რომ ადგილობრივნი მკვიდრნი გადახედავენ და ისწავლიან მებაღეობასაო. მაგრამ ერთბაშად ხმა დავარდა, ხაზინა და ერთი მილიონერი სომეხი ამ ადმინისტრატორისაგან მის ფერმას, — ხუმრობა საქმე კი არ არის, — 400,000 მანეთად ყიდულობენო. განვლო რამდენმამე წელიწადმა, ადმინისტრატორი კავკასიიდან წავიდა, ხაზინამ ნაყიდ მამულის თავის ნაწილს თავი დაანება, სომეხმაც თავისას დაანება თავი, ყველაფერი გავერანდა და გააბეჩხარდა. ყველამ გაიგო, რომ მამული არც ხაზინასა სჭირდებოდა და არც სომეხსა, მაგრამ იმიტომ იყიდეს და ადმინისტრატორს იმდენი ფული იმიტომ ჩაუყარეს ხელში, რომ მისთვის ეამებინათო. მაშინლა მიხვდენ, ვინცა ბრძანდებოდა ეს ვაჟბატონი! რაც თავის თავს არ არგო, იმ ბხარისათვის, რომელიც მას ებარა, ერთი ბეწო სარგებლობა არ მოუტანია. ყველას ახსოვს მისი უკადრისი და ქედმაღლური ხასიათი. ყველაფერში, რაც კი მას პირად ჩვეულებას შეეხებოდა, მეტის-მეტი აკურატი კაცი იყო. ყველამ იცოდა, რომელ საათზე დგებოდა, რომელ საათზე სასეირნოდ გამოდიოდა, საუზმეს მიირთმევდა, როდის შეეძლოთ მთხოვნელებს მისი ნახვა, როდისა ჯდებოდა სადილად და სხ. და სხ. აბა მეოთხე იყო უცნაური! მისთვის შეუძლებელი არა იყო-რა, რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ იმას არ ეთქვა, გავაკეთებო, რა გზით, რა საშუალებით, — ამას არ დაგიდევდათ; რაც უნდა გეთხოვნათ, უარს არაფერში გეტყოდათ, მიმდევარი იყო შემდეგის სპარსულის ანდაზისა: „ან ფაშა მოკვდება და ან მისი ვირიო“. დარდიანდი იყო, მარჯვე, სულ იცინოდა; თავისის მხიარულობით ყველას თვალს უბამდა, მლიქვნე-

ლი იყო საშინელი, თქვენთან თქვენი იყო, სხვასთან — სხვისი, ასე რომ ყველა ნაცნობი ამ კაცს თავის ერთგულ და გულწრფელ მეგობრად სთვლიდა. სულ იმის ცდაში იყო, უფროსებისათვის ყველაფერში ეამებინა. უმტკიცებდა, თქვენი ერთგული ვარო, ხელქვეითებთან ძმურს განწყობილებაში იყო, დიდ და გავლენიან პირთა ფარეშებს ხელს ართმევდა, იცოდა, სად რასა შვრებოდენ და ლაპარაკობდენ, ყველგან ასწრებდა, ცდილობდა, ყველასთვის საჭირო ყოფილიყო... დიდხანს იყო სამსახურში, ბევრი ფულებიც ჩაიჯიბა და ბოლოს... თქვენი ჭირი წაიღო. მეხუთე ალაგობრივი მკვიდრი იყო. სამაზრო სასწავლებელიც არა ჰქონდა დამთავრებული. რუსულად რის ვაი-ვაგლახითა სწერდა; ყველას უძვრებოდა, გადაბერებულ ქალებს თავი შეაყვარა და ამის წყალობით უფროსობა იშოვნა. ასეთი ტიპი კავკასიაში ხშირად შეხვდება კაცს. ერთი მათგანი დაურიდებლად სულ აღმოსავლეთურს წესზე სცხოვრობდა თავის ნუკერთან, რომლის საშაულებით ქრთამებს იღებდა. ხელ-ქვეითები ნახევარზე მეტი თავისიანები ჰყვანდა. თათრებში ქრთამებს თითქმის აშკარად იღებდენ. ამ უფროსის ერთმა ნათესავმა მოხეელემ, ვორონცოვი რომ მოკვდა, ფულის გროვება დაიწყო: სარდარს ქვრივი დარჩა და იმას უნდა შეეწიოთო. მცხოვრებთ საშინლად უყვარდათ ვორონცოვი და ყველას დიდის სიამოვნებით მიჰქონდათ შესაწევარი.

მაგრამ, მგონია, საკმაოა, რაცა ვთქვით. ჩვენ მიერ აღნიშნული ტიპები ჩვენი გამოგონილნი არ არიან, ამათ მთელი კავკასია იცნობდა. ამიტომ როცა ასეთ ჯურა ადმინისტრატორებში მართლა შეგნებული, უანგარო, თავის საქმის მოყვარული და ხალხის სასარგებლოდ მოღვაწენი გამოერეოდენ, მათს სახელს დიდხანს იგონებდა ლოცვა-კურთხევით ხალხი. ამ იშვიათ კეთილმოღვაწეთა გუნდს ეკუთვნოდენ ძმანი კოლიუბიაკინნი; მე მაინც, მათთან ერთად სამეგრელოში რომ ვმსახურებდი, ორსავე ასეთ კაცებად ვიცნობდი.

ნიკოლოზ კოლუბიაკინი დაუცხრომელისა და ფიცხის ხასიათისა იყო, ყოველ საქმეში თვითონ უნდა ჩარეულიყო. თვითონ უნდა გაეგო ყველაფერი, გაუსინჯავდა კბილს და თითონვე აკეთებდა სხვის დაუხმარებლად. ძმა კი, მიხეილ კოლიუბიაკინი, უფრო წყნარი და თავშეკავებული იყო. თავი და თავი ის იყო, რომ ამას უფრო ჰქონდა ორგანიზატორული ნიჭი, რაც უნდა საქმე ყოფილიყო, ისეთ ხერხს იხმარდა, რომ საქმეს იქავე სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს.

მართალია, როგორც ადმინისტრატორები, ძმანი კოლიუბიაკინნი პირადად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდენ, მაგრამ საზოგადოდ მოქმედების პროგრამმა ორსავე ერთნაირადა ჰქონდათ შემუშავებუ-

ლი და ამ პროგრამის შესრულება წმიდა მოვალეობად მიაჩნდათ. მაგალითად, ნიკ. კოლუბიაკინი მხოლოდ ერთ წელიწადს დარჩა სამეგრელოში, მაგრამ ამ მოკლე ხნის განჰავლობაში ერთი ისეთი საქმე გააკეთა, რომ სამეგრელო მის სახელს თავის დღეში ვერ დაივიწყებს. იმან დაამშვიდა ბატონების წინააღმდეგ აჯანყებული ხალხი, მთავრობასაც აჯანყების მიზები, როგორც იყო, ისე მოახსენა და მისის წყალობით გამორკვეულ იქმნა გეგმა, რომლითაც მთავრობას უნდა ეხელმძღვანელნა ამ დავიწყებულ კუთხეში, რათა შეწუხებულ ხალხს, სამართლიანის მოქცევით, შვება მისცემოდა. კოლუბიაკინი დედოფლის მეგობარი იყო ძველად, მაგრამ როცა დედოფალმა ხალხს დაჩაგვრა და შეწუხება მოუნდომა, კოლუბიაკინმა ძველს მეგობრობას ყურადღება არ მიაქცია და დაჩაგრულთა მხარე დაიჭირა. მიხეილმა დამშვიდებული და დამორჩილებული მხარე ჩაიბარა ძმისაგან და მისგან იმავ თავითვე უანგაროდ და წესიერად დაყენებულს საქმეს იმავე წესით სამის წლის განმავლობაში უვლიდა და ჰპატრონობდა.

მკითხველს არ შევაწუხებთ მიხეილ კოლუბიაკინის ყველა ნამოქმედართა ჩამონუსხვით, მხოლოდ აღვნიშნავთ ზოგიერთ, უფრო თვალსაჩინო ფაქტებს იმ დროიდან, როცა ის სამეგრელოს მმართველად იყო.

5

მაისის ოციან რიცხვებში სამსახურის გამო ისევ მომიხდა ორპირში წასვლა. ვეწვიე სტუმრად ისევ პატივცემულ მოხუცს იაგორა დავითის ძე გეგიძეს, რომელსაც არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვუძღვნა.

გეგიძე გურული იყო, თავად მაჭუტაძის აზნაური. სამის წლის ბავშვი, დედ-მამით ობოლი, ბატონის სასახლეში აუყვანიათ და იქ იზრდებოდა, როცა იმერეთის მეფე სოლომონი გურიის მოსაზღვრე სოფელ საჯავახოში მოსულა. თავადი მაჭუტაძე გაქანებულა მეფესთან თაყვანის საცემად. მეფე მეტის-მეტად მოფერებია და საჩუქრად რიონში დაჭერილი უშველებელი ცოცხალი ზუთხი უბოძებია. ასეთი წყალობა მეფისა მაჭუტაძესათვის ფასდაუდებელი იყო. იმან კარგად იცოდა, რომ მეფე სულმუდამ თავისს უშვილობას უჩივოდა, ასწია და მოიყვანა თავისი აზნაური პატარა გეგიძე და მეფეს მიართვა. მეფეს ძალიან გაეხარდა ბავშვის ჩუქება, დედოფალი, ხომ ცასა სწია. ობოლი მათთან დაბინავდა, როგორც საკუთარი ღვიძლი შვილი მათი და იზრდებოდა თავის დედობილისა და მამობილის გულის გასა-

ხარელად. 1820 წელს როცა სოლომონ მეფე ოსმალეთში გაიქცა და იმერეთში რუსის მმართველობა იქმნა შემოღებული, გეგიძე, უკვე 18 წლის ყმაწვილი, სამსახურში შევიდა იუნკრად მეგრელთა ლეგიონში და მალე, ყველა თავის თანამემამულეთა მსგავსად, მშვენიერი რუსის ოფიცერი გამოვიდა.

გეგიძე უკვე კაპიტანი იყო, როცა, ორმოციან წლებში, კავკასიაში რუსეთიდან გამოგზავნეს საჭურისები, მათგან შეადგინეს ინვალიდების მე-96 როტა, დააბანაკეს რიონისა და ცხენის წყალის შესართავთან და გეგიძეს ამ როტის კომანდირობა ჩააბარეს. ეს თანამდებობა მისთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო, რათგან მაინც და მაინც კარგი ტანთსიმრთელე და ჯან-ღონე არა ჰქონდა; სამწყობრო და საომარი სამსახური მისთვის მეტის-მეტად ძნელი იყო, აქ კი გასაკეთებელი და სადავიდარაბო თითქმის არა ჰქონდა რა და თავიდათავი ის იყო, რომ სამშობლოში უხდებოდა ყოფნა. საჭურისები პირველში 380 კაცი იყო, აქ მშვენივრად მოეწყვნენ, ხელი მიჰყვეს ნავების კეთებას, იცოდენ სხვადასხვა გვარი ხელობა და იქაურობისათვის, როგორც ეს მეხუთე თავში ვსთქვით, დიდი სარგებლობა მოჰქონდათ. გეგიძე კიდენ მათ ხელს არ უშლიდა და მათს შორის ნამდვილი მამამთავარივით ცხოვრობდა. ეზოში რამდენიმე პატარა სახლი ჰქონდა გაშენებული, და ვინც კი გამოივლიდა ტფილისიდან ყულევში ან ყულევიდან ტფილისში, უეჭველათ აქ უნდა მოჰყოლოდენ სტუმრებად და ყველას გულუხვად უმასპინძლდებოდა ჯერ კაპიტანი, მერე მაიორი და, ბოლოს ლეგიონის უფროსის მოადგილე გეგიძე. ტალახისა და ცუდის გზების გამო მგზავრები ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ აქ მთელის კვირაობით დარჩენილიყვნენ ხოლმე და მერე თავის დღეში არ ავიწყდებოდათ პატარა ტანის, დაჩიავებული მოხუცი, რომელიც სულ თავს ევლებოდათ, ცდილობდა გაერთო, საჭმელ-სასმელი არ მოეკლო და მგზავრობისათვის რაცა სჭიროდათ, ყველაფერი ეშოვნა. ერთხელ მასთან როგორღაც მოჰყვა ერთი ინგლისელების ოჯახობა ბავშვებიანათ, თეირანიდან ტფილისზე გამოევლოთ და ყულევში უნდა ჩასულიყვნენ, და სწორეთ ორპირში ბავშვებს წითელა გამოაჩნდათ; გზის გაგრძელება შეუძლებელი შეიქმნა. გეგიძეს-კი მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ინგლისური ორპირში ყველასათვის გაუგებარი შეიქმნა და ამ გზადგამვლელ სტუმრებთან მხოლოდ ხელების საშუალებით უნდა გაეგებინებინა თავისი აზრი. ბოლოს გეგიძემ გადასწყვიტა თურმე, ქუთაისში ეტლი გაეგზავნა და ჩამოეყვანა გერმანულის ენის მასწავლებელი ბორნი ინგლისელებთან სათარჯიმანოდ,

მაგრამ ბორნი რომ ჩამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ სტუმარ-ინგლისელთათვის გერმანული ენაც ისევე უცხო იყო, როგორც რუსული. აქ რამდენსამე კვირას დარჩენილან და როცა ბავშვები სულ მოკეთებულან, წავიდენ და თავისი მადლიერება სახის ალერსიან გამომეტყველებით და ხელებით გადასცეს. გეგიძე სულ იმასა ნაღვლობდა, რომ მაოთან გამოლაპარაკება ვერ შეეძლო. „კაი ხალხი-კი უნდა ყოფილიყვნენ“,—იტყოდა ხოლმე, როცა მათი სტუმრობა მოაგონდებოდა,—მათთან ოთახში რომ შევიდოდი, ერთმანერთს ხელს ჩამოვართმევდით, მერე ხელებს გავშლიდიო, თავებს გავაქნევდით, გავიცინებდით... და ერთმანერთს გავშორდებოდით“...

სტუმართმოყვარე სახლი გეგიძისა ამიტომაც ცნობილი იყო როგორც ლონდონში, ისე პარიზში, და ვინც იქიდან კავკასიაში ან სპარსეთში წამოვიდოდენ, ჩვეულებრივ ასეთს მისამართს აძლევდენ ხოლმე: Mingrélie, Maranne, Gueguidzé. და ღმერთმა დაიფაროს, რომ ვისმე პოლკოვნიკისათვის ფულის მიცემა განეზრახნა ღამის გათევის ან გამასპინძლებისათვის, ეს მისთვის უუდიდესი შეურაცყოფა იქნებოდა; გამვლელებს კი არ უშლიდა, რაცა სჭიროდათ, ორპირის ბაზარზე ეყიდნათ, ხოლო როცა თვითონ უმასპინძლდებოდა, იმ შემთხვევაში თავს მოიკლავდა, ვისმე რამე სასყიდელი შეეძლია.

და განა ვინმე იფიქრებდა-კი, რომ ამ საუცხოვო და უწყინარ მოხუცის ცხოვრებაში კინალამ მეტად საშინელი ხასიათის დრამა არ დატრიალებულა...

ორმოციან წლების დასაწყისში გურიაში ხალხის აჯანყება მოხდა. მის დასამშვიდებლად ჯარები გაგზავნეს. ამ ჯარების უფროსად იყო ცნობილი კავკასიელი გმირი თავადი მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი. აჯანყება ჩაცხრობილ იქმნა და მთავარ დამნაშავეთაგანი, თავადი შალიკაშვილი, საველე სასამართლოს დადგენილებით, კატორღაში გაგზავნეს. სანამ ეს უბედურება დაემართებოდა, შალიკაშვილმა ცოტა ხნის წინად ცოლად შეირთო ერთი მშვენიერი ქალი, თავად ტიმოთე მიქელაძის ასული ანა. ცოლი, რა თქმა უნდა, ქმარს არ გაჰყვა კატორღაში და ცოლქმარი განაქორწილეს. ამის შემდეგ ორიოდ წელმა განვლო, ისე გეგიძეს შეუყვარდა ეს ქალი, ცოლობა სთხოვა და ჯვარი დაიწერა.

უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, რაც შალიკაიშვილი სასჯელს იხდიდა კატორღაში, აღმოსავლეთ ციმბირში, სადაც მაშინ გენერალ გუბერნატორად მისულა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი. ერთხელ როგორღაც კატორღელთა სიებს ათვალიერებდა თურმე,

ისე თვალი მოუკრავს შალიკაიშვილის გვარისათვის და შეჩერებულა. ამ გვარის კაცს სიკვდილს გადაურჩენია ამ ათიოდ წლის წინად მურავიოვი, როცა ის შავი ზღვის სანაპირო ხაზის მესამე განყოფილების უფროსად ყოფილა; ეს მომხდარა ერთ-ერთ მის გალაშქრების დროს მთიულების წინააღმდეგ. მურავიოვს უბრძანებია დაწვრილებით გამოეკითხნათ ამ კატორღელის ამბავი, და გამომდგარა, რომ სწორედ ეს კაცი ყოფილა მისი მაშინდელი მსხნელი. რა თქმა უნდა მურავიოვისათვის, როგორც გენერალ-გუბერნატორისათვის, დიდი არაფერი ბედენა იყო შალიკაშვილის გამოხსნა უბედურებისაგან, შესდგომია გულმოდგინეთ შუამდგომლობას. შალიკაშვილი, როგორც კატოღელი, დანაშაულის ერთი ხარისხიდან მეორე ხარისხში გადაჰყავდა, ბოლოს სრული პატივება გამოუთხოვა ხელმწიფის წინაშე და ამავე დროს სამშობლოში დაბრუნების ნებართვაც.

და ერთბაშად მშვიდობიანს, თავის ქორწინებით გაბედნიერებულს და უკვე რამდენისამე შვილის პატრონს გეგიძეს წინ გამოეჭიმა კაცი, რომელმაც ცოლის დაბრუნება მოსთხოვა. და მერე ვინ კაცი?—ერთი თოკიდან აწყვეტილი ვინმე. თანაც იძახდა—ჩემთვის არ არსებობს რაღაც კაცობრიული კანონი, რომელსაც შეეძლოს დარღვევა ქორწინებისა, რომელიც ნაკურთხია ღვთიური კანონის მიერო. ბიქელაძეთა გვარი ძლიერი გვარია იმერეთში, საბედნიეროთ გამოესარჩლა საწყალს გეგიძეს და მხოლოდ მათს ჩარევას და სერიოზულ დამუქრებას შეეძლო ანას პირველ ქმრისათვის ხელი აეღებინებინა თავის მოთხოვნაზე. საქმე მაინც იმით გათავდა, რომ გეგიძე შალიკაშვილის მოხარკედ გახდა და მთელის წლების განმავლობაში თავის ჯამაგირის ერთს ნაწილს აძლევდა, მაგრამ გეგიძის ოჯახის საბედნიეროდ, შალიკაშვილი ავად გახდა და გადაიცვალა. და აი, რა მწარე დღენი გამოუვლია გეგიძეს, და ერიდებოდა კიდეც ამ ამბის მოგონებასა.

მე რომ გეგიძე გავიცანი, იმ დროს საჭურისების რიცხვის მხოლოდ ნახევარი იყო დარჩენილი, დანარჩენები დახოცილან და გულკეთილი პოდპოლკოვნიკი ნაღვლიანად მიამბობდა, რომ რამდენჯერმე მივიწერე და მოვითხოვე შემცირებული როტა შემივსეთ-მეთქი, მაგრამ დღემდე შეუვსებლადაო. საკვირველის შორსგამჭვრეტლობით ხედავდა, რომ სულ მოკლე ხანში საჭურისები სულ ამოსწყდებოდენ.

ამგვარად, მაისის 23, როცა მე სტუმრად ვიყავი გეგიძესთან, მის სახლის აივანზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, ფოთში მიმავალი. ლაპარაკობდენ მეორე დღისათვის ნავის დაქირავების შესახებ. ამ

დროს შორი-ახლოდან ზარბაზნის დაცლის ხმა მოისმა. ნეტავ, რა ამბავი უნდა იყოს? აქ ზარბაზანს რა უნდოდა?

ცოტახანს სიჩუმეს შემდეგ, ვიღამაცა სთქვა: „ალბათ, თოფი დასცალეს, დიდი ხმა იმიტომა ჰქონდა, რომ წყლის ზედაპირს გაჰყვა ხმაო“. მაგრამ ზარბაზანის ხმა განმეორდა და ეზოში ჩოჩქოლი ასტყდა და იძახდენ: „ორთქლმავალი! ორთქლმავალიო!“

თვალის დახამხამებაში გამოვცვივდით ნაპირზე და დავინახეთ პირველი და სრულიად მოულოდნელი ორთქლმავალი გემი, ოომელიც დიდის ხმაურობით მოაპობდა რიონის ტალღებს.

ყველას სიხარული აუწერელი იყო. გემმა კიდევ მოგვცა სალამი ზარბაზნის საშუალებით, ხოლო ნაპირიდან ყველამ „ურა“! შეგლავლა ხმამაღლა. და როცა გემი ნავთსადგურს მიადგა, ერთ წამის განმავლობაში მოცვივდა აუარებელი ხალხი, კიბე ჩამოუშვეს და გემის კაპიტანი ნაპირად გამოვიდა. ყველამ გულში ჩაიხუტა, როგორც სასიხარულო სტუმარი, და მალე გადმოგვცა შემდეგი დაბეჭდილი განცხადება:

„შავისა და აზოვის ზღვების სხვადასხვა ადგილებს და კავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად მენავეობისა და ვაჭრობის რუსის საზოგადოებამ განიზრახა გახსნას გემების მიმოსვლა რიონზე, პირველად ფოთიდან სამტრედიამდე, და ამ მიზნით ინგლისში შეუკვეთა ორთქლმავალ გემის აშენება, რომელიც მზად უნდა იყვეს ახალის სტილით ივლისის პირველისათვის. ახლა-კი, იმისთვის რომ უფრო დავაჩქაროთ მენავეობის დაწყება რიონზე, რუსის საზოგადოების მენავეობა-ვაჭრობის მთავარ კონტორის განკარგულებით. რიონზე მოვიდა გემი „აკკერმანი“, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგება ძიმოსვლას და მანამდე დარჩება ამ მდინარეზე, სანამ ამ მიზნისათვის შეკვეთილი გემი არ მოვა ინგლისიდან. ამიტომ იმათ, ვისაც უნდათ სამგზავრო ბილეთები ან თავის საქონლის გაგზავნა სჭირიათ, შეუძლიათ ამის შესახებ განუცხადონ ფოთში, ხოლო სხვა ადგილებში—თვით გემის კაპიტანს“.

ამ გვარად გემი „აკკერმანი“ მხოლოდ მახარობელი იყო ნამდვილ რიონის გემის მოსვლისა. საზოგადოებას პირველი მგზავრობა საშიშოდ მიაჩნდა, გემის მართვა მიანდო გამოცდილ კაპიტანს, ბ. ზაბოლოტნის, რომელიც ფოთიდან გამოვიდა დილის 9 საათზე, დიდის სიფრთხილით უვლიდა იმ ადგილებს, რომლებიც ძირიანად ამოვარდნილ ხეებით იყო გაჩხერილი, და ოდნავად არ დაბრკოლებულა და არსად გაჩერებულა ისე, საღამოს 7 საათზე ორპირში იყო. გემი აქ სამი დღე-ღამე დარჩა და მაისის 27-ს ისევ უკან დაბრუნდა

ფოთში; ზედ ისხდენ: ნ. ა. მილუტინი, მ. პ. კოლუბიაკინი, ქუთაისის გუბერნატორი ნ. ა. ივანოვი და კარგი მოზრდილი საზოგადოება, ქუთაისიდან ჩამოსული. რეისმა მშვენივრად ჩაიარა და 7 საათი მგზავრობის შემდეგ ჩვენ უკვე ფოთში ვიყავით, სადაც ჩვენ მოგვეგება პორტის უფროსი კიტაევი, ათასეულის კომანდირი კორზიგნი და ინჟენერი ლიალინი, ქ. ფოთის მშენებელი.

ჩვენი მხარის ცხოვრებაში დიდი ამბავი იყო „აკკერმანის“ გამოჩენა. და ცნობისმოყვარენი გროვა-გროვად მოესწრაფოდენ ყველა მხრიდან ორპირში. რომ ენახნათ გემი, მისის ცქერით დამტკბარიყვნენ. ამ მხარეს რაღაც ცხოველმა სიომ დაჰბერა და გამოაცოცხლა, შემოგვანათა, ნიშანმა განათლებულ ქვეყნებისამ, რომელთანაც პირველი გემის მიმოსვლა ჩასახულ სავაჭრო მოძრაობით გვიპირებდა დაკავშირებას.

ყოვლადის ქების ღირსია ბ. ზაბოლოტნი: ყველას მეტად თავაზიანად და ალერსიანად ეპყრობოდა, და ცნობისმოყვარენი, რომელთაც გემის დათვალიერება უნდოდათ,—ასეთები კი აუარებელნი იყვნენ აქაურ მცხოვრებთა შორის,—თავისუფლად მოდიოდენ, და უკან კმაყოფილებს ისტუმრებდა.

მათს შორის ერთხელ ვიღაც დიდის გვარის მანდილოსანი მოვიდა, აუარებელი ამალა ახლდა და კაპიტანს თარჯიმანის პირით შემოუთვალა—თუ შეიძლება, გემი დაგვათვალიერებინეთო. კაპიტანმა სთხოვა—მობრძანდითო და დასახვედრად ფრაკი ჩაეცვა და თეთრი გალსტუკი გაეკეთებინა. ეს გახლდათ ჩვენის მკითხველების ნაცნობი კნეინა მენიკი, რომელსაც თავისი განუშორებელი ალისფერი საწვიმარი ეჭირა, სირმით ამოკერილი. ჩვენს მხარეში პირველად მოსული ბ. ზაბოლოტნი ძალიან გააკვირვა თავის დიდებულობით მენიკიმ და ამანაც დიდის მოწიწებით სულ დაწვრილებით დაათვალიერებინა გემი. კნეინა ორთქლის მანქანას პირველად ხედავდა და მისი ნახვა ძალიან გაუკვირდა. როცა დათვალიერებას მორჩენ, მისმა ბრწყინვალებამ თარჯიმანს უბრძანა შემდეგი კითხვა გადაეთარგმნა კაპიტანისათვის.

— ერთი ჰკითხე, ვინ უფრო მეტი ოსტატია: ეს, ვინც ამ მანქანას აკეთებს, თუ ის, ვინც საათებს აკეთებს-თქო?

კაპიტანი ჯერ ისევ ფიქრობდა, თუ რა ეპასუხნა, ისე კნეინამ უფრო დააფიქრა იმით, რომ სურვილი გამოსთქვა—ეს მანქანა მომყიდეთ, ქვაშიხორში უნდა გადავიტანოვო.

კაპიტანი ძალიან შესწუხდა, რომ იძულებული იყო უარი ეთქვა. თან დასძინა—თუ გნებავსთ, ამნაირსავე მანქანას სხვას გამოგიწერავთო.

— განა შეიძლება ასეთივე იშოვნოს კაცმა?

— შეიძლება, თქვენო ბრწყინვალებავ?

— მაშ უეჭველათ დაიბარეთ და ქვაშიხორში გადმოაგზავნეთ ჩემთან.

— ბატონი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ.

მერე კნეინამ დიდკაცურათ თავი დაუკრა და ამალიანათ შინისაკენ გაემართა.

ორმა დღემ გაიარა ამის შემდეგ, ისე ბ. ზაბოლოტნი შემხვდა და მიამბო ამ ვიზიტის ამბავი და მკითხა, მართლა უნდა ავასრულო კნეინას შემონაკვეთი საქმე, თუ არაო. მე, რა თქმა უნდა, არ გავაკეთებინე, და ავუხსენი, რომ კნეინა ასეთ სხვილ-სხვილს იმიტომ ლაპარაკობდა, რომ უნდოდა გაეკვირებინეთ თავის დიდკაცობითა-მეთქი...

6

პირველი საქმე, მ. პ. კოლუბიაკინის მიერ გაკეთებული, იყო სამეგრელოს კამერალიურ აღწერილობის შედგენა. შედგენილ იქმნა პროგრამები და განმარტებანი, რამდენსამე მოხელეს დაურიგეს ესენი და დაავალეს ემუშავნათ; თან მისცეს დღიური და სამგზავრო ფული. რამდენადაც მახსოვს, ამ საქმეს ნახევარ წელიწადზე მეტი მოუნდა, ყველა შემოწმებებითურთ დასრულებულ იქმნა შემდეგს 1859 წელს.

ჩამოსვლისთანავე გენერალმა იზრუნა ზუგდიდში მთავრისეულ სასახლის შეკეთების შესახებ; შემოდგომისთვის სასახლე სულ მთლად მზად იყო, ასე რომ მასში დაბინავება შეიძლებოდა. ამავე დროს ზუგდიდში აშენებდენ სახლს სამმართველოს საბჭოს მოსათავსებლად.

მე კოტიანეთიდან, თავად კაცია დადიანის სახლიდან, სენაკში გადმოვედი კეთილმოწესე დეკანოზის, დავით ქავთარაძის, ჩემის თარჯიმანის მამის სახლში. ჩემი გადმოსვლა კოტიანეთიდან სრულებით მოულოდნელად მოხდა. ჩემი სახლის პატრონი, უნდა მოგახსენოთ, მეტად საზიზღარი მოხუცი გახლდათ. ერთხელ სტუმრად ჩამოვიდა ჩემთან და თავისი სახლი სრულებით გადასხვაფერებულად რომ დაინახა, მოეწონა და მოუნდა მისი ხელში ჩაგდება, ამიტომ, რამდენსამე ხანს შემდეგ, წერილი მომწერა და მატყობინებდა—ჩემი საქმეები ისე მოეწყო, რომ იძულებული ვარ კოტიანეთში დავბრუნდე ოჯახობით და ამიტომ ამ ორ კვირაში სახლი დამიცალეთო. მეტი გზა არ იყო, ახალგაზრდა ცოლითურთ გადავედი სენაკში და

ამ ხელად მეტად კეთილ და კარგ ოჯახში მოვხვდი. ისე გვივლიდენ, როგორც თავისიანსა და ღვიძლს. ბედმა კი საშინლად დასაჯა კაცია ამ სიბოროტისათვის, ჯერ ისევ ჯვარიდან არ გამოსულიყო, ისე მისი სახლი მთლად გადიბუგა და მოხუცს არც-კი შერცხვა— ჩემთვის დაეწამებინა ცეცხლის მოკიდება. როცა მისმა ნათქვამმა ჩემს ყურებამდე მოაღწია, მე მ. პ. კოლუბიაკინს ვუთხარი, და იმან კიდევ კაცია მოიხმო და გაუპტვახტაში ჩაასმევინა.

რომ ცეცხლი განგებ იყო წაკიდებული სახლისათვის, ეს ჭკუას ახლო იყო, და მერე ამბობდენ, კაციას ძმისწულების საქმეაო. რათგან ესენი მტრებად ჰყავდა გადაკიდებულნიო.

სენაკის ციხებ-ცხელებიანმა ჰავამ ზაფხულის თვეებში ძალზე დაგგრია ხელი მე და ჩემს ცოლს: რამდენსამე კვირას ლოგინი ვლესეთ და დიდძალი ქინაქინაც ჩავყლაპევით. პაროქსიზმები განსაკუთრებით მე მქონდა ძლიერად, პირველი პაროქსიზმი 36 საათს გაგრძელდა. ოთხის დღის განმავლობაში 120 გრანი ქინა-ქინა დავლიე. მოხელეებიც დახდენ ავად, და ყველაზე მეტად ავად იყო სეკრეტრის თანაშემწე, პ. პ. პოლონსკი (ჩვენის პოეტის ძმა). ასეთი ციებ-ცხელება ძნელი გასაძლებია და ყველას სულითა და ხორცით მოადუნებს ხოლმე.

ზაფხულის გასულს ყირიმიდან ჩამოვიდა მარიამ ვასილის ასული კოლუბიაკინისა, მას ჩამოჰყვა დაჲ და ქალი პირველი ქმრისაგან, გენერალ ესპეხოსაგან. ჩვენი წრე ძალიან გამოაცოცხლა თავის ალერსიანობით და სტუმართმოყვარეობით. ზუგდიდში მის გარშემო თავს იყრიდა ახალგაზრდობა, რომელიც, შესდგებოდა პორუჩიკ პრინცისა, ნაკაშიძისა და ექიმების გარნოვსკისა და კებერისაგან.

შემოდგომაზე ჩვენს მხარეს ეწვივნენ მათი უდიდებულესობა დიდი მთავრები ნიკოლოზ და მიხეილ ნიკოლოზის ძენი. მათს მიმისაგებებლად წავიდა ბარიატინსკი, და ორპირზე გავლის დროს ღამე გაათია გეგიძის სახლში. აქ თავი მოეყარნა მთელ სამეგრელოს თავად-აზნაურობას. თავადი მეტად ალერსიანად გამოელაპარაკა თავ-თავ კაცებს, მერე მოგვიხმო რაფიელ ერისთავი და მე, ძალიან გვაქო და დიდი მადლობა გვითხრა ჩვენის სამსახურისათვის. მთელის შეკრებულების წინაშე მადლობის გამოცხადებამ მეტისმეტად გვაამა ჩვენ და თავადაზნაურობის თვალში დიდად აგვწია და ფასი დაგვდო. ბარიატინსკიმ ოლონდაც რომ იცოდა, ვისთან, როდის და როგორ უნდა მოქცეულიყო.

რაგორც ადგილობრივს ოლქის უფროსს, მე უნდა მომეხსენებინა მისთვის საქმეები მთხოვნელთა, ახლა მასთან რომ მოვი-

დენ. ისეთი სერიოზი საქმე არა ყოფილა, მხოლოდ მახსოვს, რომ ბარიატინსკის თხოვნით მიჰმართა ერთმა ომში მოკლულ ოფიცრის ქვრივმა, ადგილობრივმა მკვიდრმა: ეს მესამე წელიწადია, პენსია არ გამომიდისო. ბარიატინსკიმ თავის სამგზავრო კანცელარიის უფროსს, ლიმანოვსკის, უბრძანა—ყოველი ღონე იღონეთ დააჩქარებინონ ეს საქმეო. და მერე მე მომიბრუნდა და დამეკითხა:

— როგორ გგონიათ, კარგი არ იქნება, მანამდის ერთდროული დახმარება რომ აღმოვუჩინოთ?—მაგალითად, რას იტყვიო, ორმოცდაათი ჩერვონეცი ცოტა ხომ არ იქნება?

თავადს მოვახსენე, რომ ეს დიდი მოწყალება იქნება საცოდავ ქალისათვის-მეთქი. როცა მისი სიტყვები იქვე მდგომ ქვრივს გადავუთარგმნეთ, იქვე დაიჩოქა... ჩერვონცები მაშინათვე დაუთვალა იმავე ლიმანოვსკიმ.

ამნაირი საქციელი მეფის წარმომადგენელისა დიდს შთაბეჭდილებას სტოვებდა და დიდს ხანს იგონებდა მერე ხალხი, რომლის შორისაც მეფისნაცვალს გავლა მოუხდებოდა ხოლმე.

კაპიტან ზაბოლოტნის ბარიატინსკიმ ალმასის ბეჭედი უბოძა და ბრძანა მისი შვილები სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზე მიეღოთ.

— აბა საყურადღებოს რას მაჩვენებთ თქვენს ორპირში?—მითხრა ბარიატინსკიმ.

აქ ერთს იტალიელს, გვარად დეზიდორს, ძაფის სართავი ქარხანა ჰქონდა, კარგათ მოწყობილი, ორმოცდაათ დაზგისათვის და ორთქლით სამოძრავებელი. ამ ფილატურის ამბავი მოვახსენე და იმანაც მოისურვა მისი ნახვა.

დეზიდორს ცათაფრენა შეუდგა, ასეთი საპატიო სტუმარი რომ ეწვია. ბარიატინსკი დიდის დაკვირვებით ათვალიერებდა ყველაფერს, გამოჰკითხა ყველაფერი დაწვრილებით და წასაქეზებლად იტალიელსაც უბოძა ერთი ბეჭედი. დეზიდორმა სულ ფრთები შეისხა სიხარულისაგან.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ მოახსენეს, გემი მზად გახლავსთო და ისიც ჩაჯდა და ფოთისაკენ გასწია.

დიდი მთავრები პირველად მოდიოდენ კავკასიაში; შემოდგომა აქ ყველაზე უკეთესი დროა წელიწადში, და ეს მხარეც აქაურ შემოდგომის წყალობით სამოთხედ ეჩვენებოდათ, ბუნება, მცენარეულობა, მცხოვრებთა ნაირ-ნაირობა—ყოველივე ეს მეტისმეტად მოსწონდათ, ხოლო თავადმა ბარიატინსკიმ იცოდა, როგორ ეჩვენებინა

მათთვის კავკასია და ან რა შნო და ლაზათი მიეცა მათის მოგზაურობისათვის.

ფოთში დიდებულ სტუმრების დასახვედრად გურიის თავადაზნაურობა შეიკრიბა, მასთან იყო მისი სამაზრო წინამძღოლი, გვარდიის პოლკოვნიკი, თავადი ლევან გურიელი. ქართველი ერის ყველა შტოებს შორის ყველაზე ლამაზი მამაკაცები—გურულებისაა, მეგრელი ქალები გურულ ქალებზე უფრო ლამაზები არიან, მაგრამ გურული მამაკაცები ქართველ მამაკაცებში ყველაზე ლამაზებად ითვლებიან. კლასიკური სწორე ნაქვთები სახისა, შავგვრემა ცეცხლის მფრქვევი თვალები, ხუჭუჭი, სქელი თმა, მოყვანილი ტანი, არაჩვეულებრივი სიმსუბუქე და სინარნარე მიხვრა-მოხვრისა, მეტად ლამაზი და მდიდრული სამოსი, ყოველგვარ იარაღით დამშვენებული—ყოველივე ამის წყალობით გურული ვაჟკაცი მეტად საუცხოვო, ორგინალური საყურებელია. შეკრებილ თავად-აზნაურობაში ასეთი ტიპები, ყოველი ასაკისა და სახისა, ბევრნი ერივნენ. წინ იდგნენ მოხუცი თავადები, ლამაზად დაბერებულები, გული ყველას დამშვენებული ჰქონდათ ჯვარ-მენდლებით, რაიცა მათს დამსახურებას ჰმოწმობდა. მისი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, როგორც უფროსი ორ იქ დამსწრე უავგუსტოეს ძმათაგანი, ყველა პატივისცემასა და მისალმებას ღებულობდა და დალაპარაკების ღირს ქმნიდა ყველას, ვისაც წარუდგენდენ. თავადაზნაურის წინამძღოლმა წარუდგინა ყველა თავადი/და აზნაურები რიგ-რიგად და ვინც რუსული იცოდა, დიდ მთავარს უთარჯიმანოდ ელაპარაკებოდენ.

თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი გურიელი მშვენიერის სიტყვით მიესალმა დიდ მთავრებს და იმის შემდეგ, როგორც უკვე ვსთქვით, მისმა უმაღლესობამ ინება გამოლაპარაკებოდა თავად-აზნაურთ. მაგრამ გურულის კაცის ბუნება განსაკუთრებულის თვისებისაა, ეს ბუნება გულწრფელი, უზადო იუმორით არის დაჯილდოვებული, ოფიციალური, თუნდაც მეტად მოწყალე და ალერსიანი ტონი არ აკმაყოფილებს, იმას უეჭველად სჭირია მეტად მხიარული, გულიანი სიცილი; უამისოდ სრული ბედნიერი არ არის. იბა როდის უნდა იყოს უფრო საჭირო ეს სიცილი, თუ არ ამ წუთას და იმაზე მეტი ბედნიერება რაღა უნდა იყოს, თუ კაცმა მოახერხა და დიდი მთავრები ამ მხიარულ სიცილით გააცინა!.. ახლა საქმე ის გახლდათ, როგორ მოეხერხებინათ ესა? მაგრამ სამხრეთში, სადაც ხალხი მკვირცხლია, ნიჭიერია, აზროვნება მეტად მოძრავი აქვს, ყოველივე ეს თავისთავად ხდება, წინასწარ მოუმზადებლად, ურეპეტიციოდ, ზეშთაგონებით.

აი, ასეთ გუნებაზე დამდგარი ერთ-ერთი გურული მდაბალის თავის დაკვრით წინ წადგება.

ასე სამოცდაათს წელს იქნება მიტანებული, მაგრამ თავი ძალზე მხნედ უჭირავს, მელოტ თავს გარშემო ვერცხლისფერი ხუჭუჭი კულულები აქვს შემორიგებული, უშველებელი ულვაშები შავ-წითლად შეუღებნია, მაგრამ ჭაღარაშერთულ ბალნებთან ამლაკი ფერი დასცემს, ესენი ვაჟკაცურად გადაუგრეხია იქით-აქეთ. გულზე მოხუცს ორი ჯარისკაცის წმიდა გიორგის ჯვარი ჰკიდია.

წინამძღოლმა დიდ მთავარს მოახსენა—აზნაური ბოლქვაძე გახლავსთ და სიტყვიერათ უნდა მოგახსენოსთ თავისი სათხოვარიო.

დიდმა მთავარმა უბრძანა—შეგიძლია სთქვა, რაც გინდაო. წინამძღოლი უთარგმნის, რადგან ბოლქვაძემ რუსული არ იცის.

— ჩემო ხელმწიფევ,—იწყებს მოხუცი და სახეზე გულ-წრფელი ნაღველი ეტყობა, — საშინელი უსამართლობა მჭირს და ჩემი ერთადერთი იმედი თქვენა ბრძანდებით. რაც თავი მახსოვს,— იმპერატორს, მისი ჭირი შემეყაროს, ერთგულათ და თავდაუზოგველათ ვემსახურები; სულ ბავშვი ვიყავი, მილიციაში რომ ჩავეწერე და ჩხუბში დავდიოდი; ორმოც წელს წინად იუნკრობა მომცეს, მასთან ტემლაკიც, მერე, როგორც შენის ბედნიერის თვალითა ხედავ, შემდეგს ლაშქრობებში ეს ორი ჯვარიც მომცეს, მერე კი... გაიყინა...—ამის თქმაზე ბოლქვაძემ როგორლაც მეტად სასაცილოდ დაატკაცუნა თითები.

— ვინ იცის, რამდენჯერ წარმადგინეს მილიციის პრაპორშჩიკობაზე... მაგრამ...—აქ ცალი ხელის გული მეორეს გადაუსვა,—ჩემი საშველი არ იქნა!..

ეს სიტყვები ისე გულისწმინდით სასაცილოდ იყო ნათქვამი, სახეზე და მიხვრა-მოხვრაზე იმდენი სასოწარკვეთილება ეხატებოდა, რომ მართლაც რომ გულწრფელათ გადიხარხარეს დიდმა მთავრებმა, ბარიატინსკიმ და ყველა დამსწრეთა.

— კარგი და რატომ არ გაძლევენ?—ჰკითხა მოცინარე დიდმა მთავარმა.

ბოლქვაძეს თავი სერიოზად ეჭირა და უმეტესის კომიზმით და ნაღვლით ამოიხვნეშა და დაუმატა:

— ბედი უნდა, ჩემო ხელმწიფევ, ბედი!.. რამდენჯერმე წარმადგინეს... იქ, სულ ზევით, ალბათ ვინმე საიდუმლო მტერი მყავს, ჩემის ცოდვით სავსე...

— კარგი, თქვენთვის ვიშუამდგომლებ,—უთხრა დიდმა მთავარმა, ამოიღო უბის წიგნი და უნდოდა მთხოვნელის გვარი ჩაეწერნა.

მაგრამ ეს რომ ბოლქვაძემ დაინახა, მიუბრუნდა წინამძღოლს თავად გურიელს და ჰკითხა:

— თუ ღმერთი გწამსთ, მითხარით, რა უნდა ჩასწეროს?

დიდმა მთავარმა, მეტად სწრაფი ლაპარაკი რომ გაიგონა, წინამძღოლსა ჰკითხა, რა უნდა მოხუცსაო.

— გთხოვსთ, თქვენ უმაღლესობავ, მისი გვარი არ ჩაიწეროთ წიგნში.

— რატომაო?—ჰკითხა დიდა მთავარმა.

ბოლქვაძემ, მთლად იმედდაკარგულმა, ხელები ჩამოუშავა და როგორღაც ჩურჩულით უპასუხა:

— სამჯერ ჩამწერეს სწორეთ ასეთ წიგნებში და არაფერი.. სრულებით არაფერი გამოვიდა!..

ახლა კი ისევ გადიხარხარა ყველამ. დიდი მთავარი ისე იცინოდა, რომ თვალებზე ცრემლებიც კი წამოასხდა, მერე მიუბრუნდა ბარიატინსკის და ჰკითხა—ხომ არ შეიძლება მოხუცის თხოვნა დაუყონებლივ დავაკმაყოფილოთო.

— თუ თქვენის უმაღლესობის ნებაც იქნება, ხელმწიფე იმპერატორის მიერ მონიჭებულ უფლების ძალით, შემიძლია ახლავე მივსცე პრაპორშჩიკობა.

— თავადო, ძალიანა გთხოვთ.

ბოლქვაძეს იქავე მისცეს პრაპორშჩიკობა და მის უმაღლესობის ტანისამოსის კალთას საკოცნელად მიჰვარდა. იგი ამ წუთას ჭეშმარიტად ბედნიერი იყო და განსაკუთრებით-კი იმით, რომ უმაღლესი სტუმრები ასე გულწრფელათ გაამხიარულა. მისნი თანამემამულენი ამისათვის მეტად მადლიერნი დაურჩნენ და პრაპორშჩიკობას ულოცავდენ.

დიდმა მთავრებმა ღამე ფოთში გაათიეს და მეორე დღეს დილაადრიანა გავიდენ აქედან გემი „აკკერმანი"-თ. როცა გემში სხდებოდენ, ნავთსადგურზე გურულები იდგნენ და მათს შორის ახალი გამოჩეკილი პრაპორშჩიკიც, სრულებით ახალ ეპოლეტებიანი.

— აბა, რას იტყვით, ხომ კმაყოფილი ხართ ახლა?—ჰკითხა დიდმა მთავარმა.

— ოცის წლით გავახალგაზდავდი, თქვენო უმაღლესობავ, და მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რა სასიამოვნოა პირველ საოფიცრო ხარისხის მიღება. მხოლოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად ძნელი მისაღები ყოფილა ის დალოცვილი...

კოდორში დიდი მთავრები ეტლებში ჩასხდენ, სადილი მარანში გაუმართეს, სადაც დახვდა და გაუმასპინძლდა სამეგრელოს თავად-

აზნაურობა. აქედან ქუთაისზე გაიარეს, ტფილისში ჩავიდენ და იქიდან ყარაიაში, სადაც მოწყობილი იყო საუცხოვო ნადირობა ჯეირნებზე. აქ თავი მოიყარა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ, მუსულმანთა ბეგებმა, მრავალმა მანდილოსნებმა ტფილისიდან. მხატვარი ბ. მიკეშინი დიდ მთავრების ამალაში იყო და საგზაო ესკიზებისათვის აბა იმასა ჰქონდა აუარებელი მასალა!..

როცა კოლუბიაკინი ზუგდიდში გადავიდა, ჩვენის სამყოფელ ადგილებს შორის კარგა მანძილი გაჩნდა, არა ნაკლებ 45 ვერსისა, ამიტომ ერთმანერთის ნახვა ის ხშირათ არ შეგვეძლო, როგორც წინათ. მთლად მიმდინარე საქმეებს და მთხოვნელების საჩივრების სამოსამართლო-საპოლიციო გარჩევას ვუნდებოდი და ვერც-კი ვამჩნევდი, რა სწრაფათ მიდიოდა დრო.

სხვათა შორის, უფრო და უფრო ხშირათ შემოდიოდა საქმეები მთავრის მამულების შესახებ; დ. ყიფიანმა ამ მამულების მოურავად დანიშნა დედოფლის ყოფილი მდივანი, თავადი ერეკლე ლორთქიფანიძე, და იმანაც, როგორც ნამდვილმა კანცელიარიის მწერალმა, ჩვენთან გამართა სრულებით უსაფუძვლო მიწერ-მოწერა და გვთხოვდა დახმარებას. ჩვენის აზრით, მთავარი თავის მამულებში იმნაირივე მემამულე იყო, როგორც ყველა სხვა მემამულენი, და როგორც ამ მემამულეთ, ამასაც იმდენათვე ჰქონდა უფლება ჩვენის დახმარებისა; მაგრამ ჩვენ მაშინ-ღა უნდა დავმხმარებოდით, თუ გლეხი თავისს მოვალეობას არ ასრულებდა მემამულეთა მიმართ და ან და როცა მემამულე გლეხს იმაზე მეტს მოსთხოვდა, რაც გლეხს ემართა; ყოველსავე შემთხვევაში დახმარების აღმოჩენამდე უნდა საქმე გამოგვეძიებინა და გაგვერჩია. ლორთქიფანიძე რაღაც მოთხოვნილებებს გვიგზავნიდა, რომელთაც, მისის აზრით, შემოწმება არა სჭიროდა და, რა თქმა უნდა, რაკი ჩვენგან პასუხი არ მისდიოდა, ძალიან გული მოსდიოდა. არ უნდოდა თავი გაეყადრებინა უბრალო მთხოვნელისათვის და ისე ეთხოვნა ჩვენთვის რამე. სახლთუხუცესი და მისი თანაშემწეებიც არა გვთვლიდენ ღირსად ჩვენთან მოსულიყვნენ, ტფილისში მზრუნველთან გვიჩივოდენ და მზრუნველს კიდევ გენერალ კოლუბიაკინთან გაამართვინეს მიწერ-მოწერა. კოლუბიაკინმა გამოიძია ჩვენი მოქმედება და რაკი დაინახა, სამართლიანად ვიქცეოდით, ამნაირადვე უპასუხა ყიფიანს. მერე სახლთუხუცესის მნახველნი ამბობდენ—ტფილისიდან თვით მამულების მზრუნველს, ყიფიანს, ჩამოელის ზუგდიდში სახლთუხუცესიო.

საშობაოთ მე და ჩემი მეუღლე ზუგდიდში წავედით და ცოლქმარი კოლუბიაკინები ისე დაგვიხვდენ, როგორც თავიანთ მკვიდრთ

და ნათესავებს; მათს სახლში ჩვენთვის ორი თავისუფალი ოთახიც აღმოჩნდა; ახალი წელიწადი ერთად, ერთ ოჯახად, გავითენეთ და მეტად მხიარულადაც გავატარეთ. აქვე სტუმრად ჩამოვიდა გურული თავადი, დათა ერისთავი, ცოლიანად, თან ჩამოიყვანა თავისი მემუსიკეები, ასე რომ საკრავები საცეკვაოდ არ გვაკლდა; კავალრები და ქალები, ბატალიონში მოსამსახურეთა ცოლები ბარემ ოცამდე მოგროვდა; გაჩაღდა ნამდვილი ბალები. ვისაც უმსახურნია ისეთს მივარდნილს კუთხეებში, როგორიც ჩვენი სამეგრელო იყო, მიხვდება, თუ რამდენად სასიამოვნოა ხოლმე ასეთი სახელდახელო გართობა, რომლისათვისაც საჭირო არ არის ხოლმე ძვირფასი ტუალეტები და სადაც სტუმარი შევიწროებული არ არის დიასახლისის მეტიჩრული და უაზრო ეტიკეტით. კოლუბიაკინის მეუღლემ მარიამ ვასილისასულმა აქ გამოიჩინა მთელი თავისი მოხერხება და ცოდნა—გაემხიარულებინა თავმდაბალ მუშაკთა წრე. აბა მას როგორ შეედრებოდა ამ მხრივ ისეთი ქალბატონი, რომელიც კუშეტზე წამოწოლილია ბხართეძოზე და თავის სახლში თუთუნის მოწევის ნებასაც-კი არ აძლევს ხოლმე სტუმრებს!.. და ეს სწორეთ კავკასიაში გახლდათ, დიახ!..

თებერვალსა თუ მარტში დ. ყიფიანი სამეგრელოში მოვიდა. რამდენჯერმე იყო გენარალ მ. კოლუბიაკინთან, ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ერთი პროგრამა შეედგინათ მოქმედებისა და ისე ეწარმოებინათ სამთავრო მამულების საქმენი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მორიგდენ. გენერალი იმას ამბობდა, რომ კანონის წინაშე მთავრის მამულები კერძო მესაკუთრის მამულებად უნდა ჩაითვალოს და, მაშასადამე, ეს მამულებიც იმავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, რა კანონსაც კერძო მესაკუთრეთა მამულები ექვემდებარებაო. დ. ყიფიანი კი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მთავრობამ ისე უნდა მოუაროს მთავრის მამულს, როგორც სახაზინო მამულსაო. ამ შინაურულ მოლაპარაკების დროს გენერალი ხშირად ცხარობდა და არჩია დ. ყიფიანთან ამ საქმის შესახებ მხოლოდ მიწერ-მოწერა ჰქონოდა და ისიც ოფიციალურის ხასიათისა.

მაისში ფოთი ქალაქად იყო გამოცხადებული და უნდა ეკურთხებინათ. ამ შემთხვევისა გამო ორპირში მოიყარა თავი მთელმა უფროსობამ. აქ იყვნენ: გენერალ-გუბერნატორი, ქუთაისის გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, რამდენიმე მაზრისა და ოლქის უფროსები, სამი ეპისკოპოსი — ქუთათელი, ჭყონიდელი და ჯუმათელი (გურიისა). ამ კომპანიაში რამდენიმე ქალიც ერია. ყველანი ჩასხდენ ფოთში წასასვლელად ორთქლმავალ გემზე „აკკერმანზე“, რო-

მელმაც იმ ცოტა ხნის წინ ორპირსა და ფოთს შუა დაიწყო სიარული მდ. რიონზე.

ორპირიდან ფოთამდე ექვს საათს მივდიოდით. ფოთში, ნავთსადგურის უფროსი, 1-ის რანგის კაპიტანი, კიტაევი, ინჟენერი ლიალინი და სხვ. ფოთის უფროსობა გენერალ-გუბერნატორს ნაპირას დახვდენ და რაპორტები მიართვეს; გენერალ-გუბერნატორი მისთვის მომზადებულს სახლში წაიყვანეს, ხოლო სხვებმა ცალკე კომპანია შევადგინეთ. ჩვენ გვერია თავადი ივანე დავითის-ძე ორბელიანი, მთავარმართებლის ადიუტანტი, ქეიფის მოყვარე კაცი; ამას თან მოჰყავდა ზურნა, და ამ ზურნით წავედით ქალაქ ფოთის დასათვალიერებლად. ზურნის ხმა პირველად მოეფინა ფოთს და ჩვენც, საკმაოდ შეღვინიანების შემდეგ, საამოდ გვეწვეთებოდა ყურში ეს ხმა.

მეორე დღეს სამმავე ეპისკოპოსმა კრებულებითურთ პარაკლისი გადაიხადეს ნავთსადგურზე და ახლანდელი ქალაქი აკურთხეს; მერე წაკითხულ იქმნა უმაღლესი ბრძანება. გენერალ-გუბერნატორმა სიტყვა უთხრა ადგილობრივს უფროსობას, ქალაქის მშენებლებსა და მცხოვრებთა; გენერალ-გუბერნატორის შემდეგ ნავთსადგურის უფროსმა ეგორ კიტაევმა წარმოსთქვა სიტყვა. ცოტა კარგად ვერა სთქვა და კინალამ ყველას სიცილი წასქდა. ამას მოჰყვა ზარბაზნების დაცლა. ბოლოს, იქვე ნავთსადგურზე გამართულ იქმნა სადილი. ერთი ნახევარი საზოგადოებისა ნაპირას იჯდა, დიდ ფარდულს ქვეშ. ამათში ერივნენ უფროსი მოხელენი და ქალები, ხოლო უმცროსი მოხელენი გემის ერდოზე ისხდენ. მათში ერია ინგლისის ელჩი კაძერინი და ივ. ორბელიანი ზურნით. მეორე დღეს დილაზე უკანვე დავბრუნდით და ორპირში ადრე მივედით.

დადგა ზაფხული, მოახლოვდა ივლისი. ამ თვეში საშინელი ცივება იცოდა სენაკში. წინა წლებსავით ავად არ გავხდე-მეთქი, და გადავწყვიტე ენკენისთვემდე მთელის ჩემის სამმართველოთი სადმე მთებში გადავბარგებულვიყავი. მთავრის საზაფხულო საცხოვრებელ ადგილს გორდს ამ მხარეში არცერთი ადგილი სჯობდა; თან ვიცოდი, რომ იქ დარჩენილი ცარიელი სახლები მოუვლელობით ლპებოდა. ამიტომ დ. ყიფიანს მივწერე, ნება მოგვეცით ამ სახლებში დავდგეთ და რაც ეღირება, მოგართმევთ-მეთქი. ამის პასუხად აი რა მომწერა ყიფიანმა:

„მოწყალეო ხელმწიფევ,

„კორნილი ალექსანდრეს ძევ,

„ისე არ უნდა გიცნობდეთ, როგორც მე თქვენ გიცნობთ და ისე არ უნდა გცემდეთ პატივსა, როგორც მე თქვენ პატივსა გცემთ,

რომ, გარდა სამსახურისა გამო მოუცლელობისა, სხვას რასმე მივაწეროთ ისა, რომ ჩვენ ჯერ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, და ან არ აგისრულოთ ის მცირე თხოვნა, რომლითაც თქვენ მომმართეთ. მართლა, ერთი ბეწოც არ უნდა მქონდეს სხვისის პატივისცემის გრძნობა, რომ ამ შემთხვევაში გაგაცუდოთ. მაგრამ რადგან ცოტა რამე გამეგება და მგონია, რომ სხვისი პატივიცემა ვიცი, დიდის სიამოვნებით დაგითმობდით გორდში სასახლეს, მაგრამ მე თვითონა ვდგევარ შიგა და, რომ შეგაძლიოთ, თქვენ თვითონ არ იზამთ და არ დადგებით; იმას გარდა ხუთი თუ ექვსი სახლია, რომელიც გნებავთ, აირჩიეთ, თუ გნებავთ, ყველაში დადექით, მხოლოდ შემდეგის პირობით: 1) რაც ძველი უსიამოვნება გქონდათ ჩემთან, როგორც მთავრის ქონების მმართველთან, დაივიწყოთ და თანხმობით იცხოვროთ ჩემთან; 2) ჩემთან თანხმობით იცხოვროთ და ძველი უსიამოვნება დაივიწყოთ; 3) პირველი მუხლი პირობისა აასრულოთ; 4) მეორე მუხლი არ დაარღვიოთ და, ბოლოს, 5) შეაკეთებინეთ სახლი, რომელსაც დასადგომად ამოირჩევთ. ამ მეხუთე მუხლის ასრულება, ჩემის აზრით, მხოლოდ ახლა მოგინდებათ, ამიტომ, რომ სამზრუნველოს არავითარი საშუალება აქვს ის შეაკეთოს: თქვენ, ბატონო ადგილობრივო პოლიცია, საკმაოდ გააოხრეთ იგი. მაგრამ მოგახსენეთ, რაც იყო, დავივიწყოთ-მეთქი.

„ასე, ჩემო ბატონო, კორნილი ალექსანდრეს-ძე, მოუთმენლად გელით ამ პირობით.

„ჩემს თავს ნებას ვაძლევ თქვენს მეუღლეს, რომელსაც სულ დიდი ხანია, 1855 წელს, ბედნიერება მქონდა გავცნობოდი, თქვენის თანადასწრებით ხელზე ვეამბორო.

„თქვენი ერთგული და უმორჩილესი
მოსამსახურე

26 ივნისს 1859 წ.
გორდი.

„დ. ყიფიანი“

ამ ტკბილის კილოთი დაწერილმა წერილმა სრულებით დამამშვიდა, ეტყობა, ისევ ძველებურად კარგს განწყობილებაშია ჩემთან დ. ყიფიანი-მეთქი; არც მე მინდოდა მისთვის მეწყენინებინა რამე. მართალია, საყვედურის კილოთი მეუბნებოდა: თქვენ, ბატონო ადგილობრივო პოლიცია, საკმაოდ გააოხრეთ მთავრის სასახლე“-ო, მაგრამ ეს კილორთქიფანიძისა და სახლთუხუცესის ამბავია და როცა პირადადა ვნახავ ყიფიანსა, ავუხსნი— ვინ მტყუანია და ვინ მართალი-მეთქი. მთავრის ქონების მზრუნველთა მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჩვენთვის საჭირო არ იყო, მაგრამ არც ის შეგვეძლო, მზრუნველთა მოთხოვ-

ნილებანი ყველაფერი შეუმოწმებლად შეგვესრულებინა; ჩვენ ამ მოურავებს ისე ვუყურებდით, როგორც სხვა მებატონეთა მოურავებს, ხოლო ამბოხებისა და უწესოების ასაცილებლად ჩვენ წესადა გვქონდა დადებული — ცაწვრილებით გამოგვეძია ხოლმე მებატონეთა და გლეხებს შორის ატეხილნი უთანხმოებანი და გაგვეგო, ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი; ამნარადვე ვიქცეოდით მთავრის მამულების შესახებაც. მაგრამ ამ მამულების მზრუნველთ ეს არა ჰნებავდათ და თხოულობდნენ მათი ნება და სურვილი უეჭველად ასრულებულიყო. აზრადა მქონდა, ყოველივე ეს ამეხსნა დ. ყიფიანისათვის, ჩემი ნათქვამი და აზრი ყოველივე დამესაბუთებინა და იმედიცა მქონდა, ყიფიანს დავაჯერებ-მეთქი. გორდში ჩემის სამმართველოფი და ოჯახობითა მკათათვის დამდეგს გადავედი.

ყიფიანი ჩემთან ერთად ერთს ეზოში სცხოვრობდა და მეტად ალერსიანად მეპყრობოდა; როცა საქმეებისაგან მოვიცლიდი, ხშირად ვნახაულობდით ხოლმე ერთმანერთსა; ამ ხანებში ჩემი სიდედრი მეწვია და თან ჩემი ცოლის დაი მოიყვანა; ჩემი სიდედრი იმერლის ქალი იყო და დიმ. ყიფიანს ნათესავადა ხვდებოდა; დიდის ხნიდანვე იცნობდა ყიფიანს და დიდი მეგობრებიც იყვნენ ერთმანეთისა. მოვიდა ჩემთან აგრეთვე კამერონი, მას თან მოჰყვა ოსტენ-საკენი, რომელმაც კერძო კომპანიასთან სამსახურს თავი დაანება და ჩემს თან ნაშემწედ დადგა. საინტერესო საზოგადოებამ მოიყარა თავი და იმედი მქონდა, არამც თუ უცივებოდ გადავრჩები ამ ზაფხულს, დროსაც მხიარულად გავატარებ-მეთქი. მოავრის მამულების მოვლის შესახებ მზრუნველთან რამდენჯერმე მქონდა ლაპარაკი და იმან მითხრა, ამ მამულის მართვა-გამგეობისათვის ცალკე წესდება უნდა შევიმუშავო და როცა გავათავებ, თქვენც მოგიწვევთ და ერთად წავიკითხოთო.

ასე გავიდა თითქმის ერთი თვე. ყიფიანი მუშაობდა, მასთან მოდიოდენ მთავრის მოურავები სხვა-და-სხვა საქმეებისათვის. საღამოობით კი ერთად ვიკრიბებოდით და მხიარულად ვმუსაიფობდით. ერთ საღამოს დიმიტრი ყიფიანმა მითხრა, წესდების წერას მოვრჩი და ხვალ დილას 9 საათზე გთხოვთ მოხვიდეთო. მე, რა თქმა უნდა, დანიშნულ დროისთვის ერთი წუთიც არ გადამიცილებია და კითხვა დავიწყეთ.

მზრუნველმა წაიკითხა მის მიერ შემუშავებული დებულება სასოფლო-სამეურნეო მართვა-გამგეობისა. შინაარსი ამ დებულებისა ის იყო, რომ მთავრის მამულში არსდებოდა ცალკე ადმინისტრაცია, და ეს ადმინისტრაცია განაგებდა თავის საქმეებსა. არსდებოდა აგ-

რეთვე მთელი რიგი თანამდებობისა. მამასახლისი რომ რასმე დაშავებდა, გლეხს მოურავთან უნდა ეჩივლნა, მოურავზე — სახლთუხუცესთან უნდა ეჩივლნა, სახლთუხუცესზე — მთავარ მოურავთან, ხოლო ამ უკანასკნელზე — მზრუნველთან. ამ დებულების თანახმად არსდებოდა მთელი ხროვა სოფლის მოხელეთა და მათ უნდა მიჰნიჭებოდა აღმასრულებული უფლება. მოვისმინე ყოველივე. ვხედავდი, რომ დ. ყიფიანის შემუშავებული დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ჩვენ მიერ შემოღებულ წესს სამეგრელოს გლეხების საქმეების მართვის შესახებ. ყიფიანს ვუთხარი, ამ ახალი წესების შემოღება, ჩემის აზრით, იმას ემგვანება, რომ ახალი მმართველობა დავაარსოთ სამეგრელოში-მეთქი. ვუთხარი, რომ მთავრის მამულების საქმე ისევ ძველებურად დარჩება, ჩიქოვანები ძველებურად ისევ თარეშობას დაიწყებენ და ეს სრულიად საკმაო იქნება, რომ ამ ორი წლის წინად მომხდარი უწესოება გლეხებისა ისევ განმეორდეს-მეთქი. ყიფიანმა ბოლომდე მოისმინა ჩემი ნათქვამი. ლაპარაკი რომ გავათავე, წამოდგა, ერთბაშად ლაპარაკის კილო გამოიცვალა, ხელში მომცა წაკითხული ხელთნაწერი და მითხრა:

„გმადლობთ თქვენის შენიშვნებისათვის, რომლებიც გამოსთქვით ჩემ მიერ შედგენილ დებულების შესახებ, მაგრამ ამ თქვენ შენიშვნას ახლა არავითარი მნიშვნელობა აქვს. მე გადაწყვეტილი მაქვს ამ დებულების თანახმად იქმნას საქმე წარმოებული მთავრის მამულში და თქვენ გავალებთ მის ასრულებას. აქ ხვალვე მოვლენ სოფლელთა დეპუტატები, აარჩევენ სოფლის მამასახლისებს, მათი და მოურავების სია თქვენ ჩაგბარდებათ, ხოლო თქვენ სოფლელთ გამოუცხადებთ, ვინ და ვინ იქმნა არჩეული და რა უფლება აქვთ ამ არჩეულ პირთა.

„თქვენს წინაშე ახლა სდგას არა მარტო მზრუნველი მთავრის მამულებისა, არამედ კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრიცა და ეს წევრია, თქვენ რომ გიბრძანებთ“.

ყიფიანის ნათქვამი და მისის ლაპარაკის კილო ძალიან მეწყინა. ბატონს საბჭოს წევრს, ისიც გულ-მოსულს, რომ სიტყვა შევუბრუნო, მეტი იქნება-მეთქი, ვიფიქრე, გამოვართვი ხელთნაწერი და მოვახსენე:

„მე ჩემი პირდაპირი უფროსიცა მყავს, უიმისდასტუროდ ნება არა მაქვს რამე გავაკეთო, ამიტომ დაუყონებლივ ყველაფერს მოვახსენებ ბ-ნს სამეგრელოს მმართველს და რასაც ის მიბრძანებს, ისე მოვიქცევი-“მეთქი“.

ეს რომ ვუთხარი, თავი დავუკარი და გამოვედი.

ერთს საათს უკან კაცი ვაფრინე ზუგდიდში და თან ჩემი წერილი გავატანე.

მეორე დღეს ყიფიანის სადგომის პირდაპირ დიდს მინდორზე შეიყარა ხალხი და მამასახლისების არჩევა დაიწყეს; ეს ისტორია მთელი დღე გრძელდებოდა და საღამოზე ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ ჩვენი მზარეული, სადადიანო გლეხი, მამასახლისად აირჩიეს და სახლთუხუცესმა უბრძანა, შენს საქმეს თავი დაანებე და ახლავე ჩემთან გამოცხადდიო. მზარეული თვითონვე სტიროდა და არ უნდოდა ეს არასასურველი და მოულოდნელი ხარისხი, ამიტომ რომ კარგი ჯამაგირი ეკარგებოდა. აშკარად ვხედავდი, ეს ყველაფერი თავად ჩიქოვანის საქმე იყო, რომელიც გულით მონდობილი იყო რამე ევნო ჩემთვის და რომელიც, საბჭოს წევრისაგან ზურგ-მომაგრებული, ძველებურად ფრთის გაშლას აპირობს-მეთქი. მაგრამ მაინც რა უნდა მექნა. ცოლსა ვთხოვე, ახლავე გაუსწორე ანგარიში მზარეულს და გაუშვი-მეთქი.

მეორე დილას, საათის ათზე, საბჭოს წევრისა და მზრუნველისაგან მოწერილობა მივიღე. მოწერილობასთან ერთად გამოეგზავნა სია არჩეულ პირთა, რომელთაც უნდა ემსახურნათ მთავრის მამულში. ეს სია მე სოფლებში უნდა გამომეცხადებინა და ამ სახით ყველა ახალს თანამდებობაზე დამემტკიცებინა. მაგრამ 11 საათზე გენერლის გამოგზავნილი კაცი მოვიდა ჩემთან და გაჭირვებულ მდგომარეობისაგან მიხსნა.

გენერალი ნათლად და მკაფიოდ მწერდა: „მზრუნველის ბრძანებით მოხდენილი არჩევნები გაუქმე, ხოლო არჩეულებს ხელწერილი ჩამოართვი და ისე გამოუცხადე, რომ თუ გაბედეს იმ თანამდებობის ასრულება, რომელიც მათ მზრუნველმა მიაკუთვნა, კანონის (ამა და ამ მუხლის ძალით დასჯილ იქმნებიან, იმ წოდების დაჩემებისათვის, რომელიც მათთვის მთავრობას არ მიუკუთვნებია“.

კანონის მუხლი სწორედ არ მახსოვს, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო.

იმავე დროს გენერალმა მიბრძანა, მეორე პაკეტი, ლეჩხუმის ოლქის უფროსის, თავად მიქელაძის, სახელობაზე გამოგზავნილი, დანიშნულებისამებრ გამეგზავნა დაუყონებლივ; იმ პაკეტებშიაც ის ეწერა, რასაც მე მწერდა გენერალი. მისი ბრძანება მაშინათვე ავასრულე.

არჩეული მამასახლისები ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ და მინდორზე ყაყანებდენ. მოვიხმე, ხელწერილის ჩამორთმევით გამოვუცხადე გენერლის ბრძანება და თავიანთს სახლებში გავუშვი, ხოლო

ყოველივე ეს ყიფიანს ვაცნობე ოფიციალურად, თან გენერლის მოწერილობის კოპიოც გავუგზავნე.

ადვილი წარმოსადგენია, რარიგ ეწყინებოდა ასეთი პასუხი იმ მისს ბრძანებითს თხოვნაზე, სამის დღის წინად, როგორც საბჭოს წევრმა, მე რომ გამომიცხადა. ცოტა ხანს შემდეგ დავინახე. რომ მის სახლის აივანთან ერთი ფაცა-ფუცი შეუდგათ, მოიყვანეს შეკაზმული და საბარგო ცხენები და ერთს საათს უკან დიმიტრი ყიფიანიც გამოვიდა გარედ. წამოსხმული ჰქონდა წითელ სარჩულიანი პალტო (ეს შემოიღო ინსარსკიმ სამოქალაქო ღენერლებისათვის), ახლნენ სახლთუხუცესები და ლეჩხუმში წავიდა. აბა რას მოიფიქრებდა, რომ მიქელაძეც გაფრთხილებული დაუხვდებოდა!..

დ. ყიფიანი მივიდა მუხურში, ლეჩხუმის ოლქის უფროსის საცხოვრებელი ადგილში. გაიგო, რომ არც აქ ამისრულდება ჩემი ბრძანებაო და გულმოსული მეორე დღესვე რაჭის გზით ქუთაისში წავიდა, რომ კოლუბიაკინისათვის ეჩივლნა ერისთავთან.

რაკი ასეთი განხეთქილება ჩამოვარდა ჩემს და მზრუნველ შორის, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გორდში არ მეცხოვრებოდა და ვადაზე ადრე დავბრუნდი სენაკში, მაგრამ ეს ერთი თვეც საკმაო იყო, რომ ციებისაგან თავი დამეფარნა. იმ წელიწადს ციება არა მქონია. მხოლოდ ოსტენ-საკენი გაგვიხდა ავად. ამას ციება განარჯიას-მუხურში შეჰყროდა, სადაც ტყის მწარმოებელ ფრანგებთან მსახურობდა ადრე. ეს წყეული ავადმყოფობა ისე ჩააცივდა, რომ მთელი ორი წელიწადი თავი არ გაანება.

8

1859 წლის მარიამობისთვეში დიდი ისტორიული ამბავი მოხდა კავკასიაში: ამ თვის 25-ში თავადმა ა. ი. ბარიატინსკიმ დაღესტანში ატეხილ ომს ბოლო მოუღო და გუნიბთან შამილი შეიპყრო. მის შეპყრობასთან ერთად აღმოსავლეთი კავკასია საბოლოოდ იქმნა დამორჩილებული. ამ წამის დამსწრე კავკასიელთ, სანამ ცოცხალნი არიან, არ დაავიწყდებათ ის აღტაცება და სიხარული, რა აღტაცებითი და სიხარულით ყველა მშვიდობისმოყვარე მცხოვრებნი ამ განაპირა ადგილისა ამ ამბავს მიეგებნენ. ყველას ცათაფრენა ჰქონდა შემდგარი, საცაა, მხარე დამშვიდდება და ხალხის წინსვლასა და წარმატებას არაფერი გადაეღობება წინაო. ტფილისში განუწყვეტელი ლხინი იყო, მხოლოდ ერთი რამ აწუხებდათ—ავადმყოფობა თვით კავკასიის დამპყრობელისა, თავადის ბარიატინსკისა. ოთხის თვის განმავლობაში თავადი სულ ომობდა და უნაგირის

უზანგოდან ფეხი არ გამოუღია. ნეკრესის ქარები გააჩნდა და ავადმყოფობა ისე საშინლად აღონებდა, რომ მთელის კვირეების განმავლობაში ლოგინიდან ვეღარა დგებოდა. ტფილისში დაბრუნებული სულ ავადმყოფობდა და მხოლოდ ორითვის შემდეგ შეიძლო საქმეებისათვის ხელი მიეყო.

ნოემბერში გავიგეთ, ყიფიანი ბარიატინსკისთან იყო და ვრცელის მოხსენების ქაღალდი მიართვა სამეგრელოს მთავრის მამულის მოვლის შესახებაო. ამ ქაღალდში ყიფიანი საშინლად თურმე უჩიოდა როგორც მთელს ადმინისტრაციას სამეგრელოსას, ისე განსაკუთრებით მ. პ. კოლუბიაკინს. ბარიატინსკიმ ყიფიანის ქაღალდი მასთან მყოფ სენატორს მუხრან-ბატონს გადასცა და მიანდო, მ. პ. კოლიუბიაკინს დაჰკითხებოდა. კოლიუბიაკინმა წერილით პასუხის გაცემას არჩია თვითონ წასულიყო და პირადად აეხსნა ყველაფერი. კოლიუბიაკინმა მოახსენა, ყიფიანი უსაფუძვლო რასმე გვთხოვს, მისი თხოვნა რომ ავასრულოთ, მთავრის მამულში ძველი წეს-წყობილება წამოჰყოფს თავსაო, გარდა ამისა, იმან ისეთი ხერხი მოიგონა, რომ გლეხ-კაცობა წინანდელზე უარეს სატანჯველში ჩავარდებაო; კოლიუბიაკინმა ისიც მოახსენა, რომ თავი-და-თავი უსაფუძვლობა დ. ყიფიანის თხოვნისა — თვითნებითი გაწერა იყო ხარკისა და გადასახადისა გლეხთა შორის; მერე ყიფიანმა ეს გადასახადი ფულად მოითხოვა; რაკი რუსის ადმინისტრაციამ მხარი არ დაუჭირა და აზრი არ განახორციელებინა, მზრუნველმა განიზრახა ახალი, თავისებური სასოფლო მმართველობა შემოეღო მთავრის მამულში, — ხოლო ეს მმართველობა იგივე იყო, რაც სახლთუხუცესის დროს არსებული წესები, რომლებმაც, როგორც ვუწყით, ხალხი ააჯანყა კიდეცა; ყოველსავე ამას დ. ყიფიანი იმასაც დასძენდა, რომ ექვსმა ათასმა სააზნაურო გლეხებმაც გადასახადი უნდა იხადონ, ამიტომ რომ ამათ მთავარი ახდევინებდა, როგორც საჭირო ხარჯს სამეგრელოს მართვა-გამგეობისათვისო. ეს სარჩელიც უსაფუძვლო იყო ყიფიანის მხრივ, ამიტომ რომ სამეგრელოს მართვა-გამგეობა რუსის მთავრობასა ჰქონდა ჩაბარებული, მაშასადმე, ხალხისაგან აკრებილი გადასახადიც რუსის მთავრობას უნდა ჩაჰბარებოდა და არა მთავრის მამულების სამზრუნველოს; ხოლო რუსის ადმინისტრაცია არამცთუ არა სთხოვდა ხალხს ამ გადასახადს, არამედ საჭიროდ სთვლიდა რამდენისამე წლით ყოველგვარ გადასახადისაგან განეთავისუფლებინა სამეგრელოს მკვიდრნი, როგორც გაჭირვებულს მდგომარეობაში მყოფნი. აქაური რუსის ადმინისტრაცია თავისს ჯამაგირს მთავარმართებლის განკარგულებით იმ თანხიდან იღებდა,

რომელიც იკრიბებოდა ფოთისა და ყულევის საბაჟოებიდან, ხოლო რაც რუსის ადმინისტრაცია შემოვიდა, სამეგრელოში დაუბაჟავ საქონლის შემოტანა ისე შემცირდა რომ ყოველწლიურმა შემოსავალმა ამ საბაჟოებისამ სამოც ათას მანეთით იმატა.

კოლიუბიაკინმა პირდაპირ განუცხადა ბარიატინსკის, თუ ყიფიანის მოთხოვნილებანი შეწყნარებულ იქმნენ და ჩემდამი რწმუნებულ მხარეში მშვიდობიანობა დაირღვა, ჩემი ბრალი არ იყოსო.

რა თქმა უნდა, ბარიატინსკიმ როცა ასეთი საბუთიანი აზრი მოისმინა, კოლუბიაკინის მხარე დაიჭირა; მაშინ ყიფიანმა სთხოვა, ნება გვიბოძეთ პეტერბურგს წავიდე და ყოველივე ეკატერინე დედოფალს მოვახსენოვო. ბარიატინსკიმაც ნება დართო და ყიფიანი პეტერბურგს წავიდა. ამ სახით მთავრის მამულების საქმე კავკასიიდან უმაღლეს მთავრობას ჩაუვარდა განსახილველად და, როგორც დავინახავთ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ქრისტეშობისთვის გასულს მ. პ. კოლუბიაკინი ტფილისიდან დაბრუნდა და ძალიან გახარებული იყო,—საქმე, როგორც მე მინდოდა, ისე გავათავეო.

1860 წლის დამდეგს, სამეგრელოს მართვა-გამგეობას სვანეთიც შემოუერთდა და სვანეთის ბოქაული, თავადი ილიკო ამირაჯიბი, მიხ. კოლუბაკინთან მოვიდა. ამირეჯიბი ქართლელი იყო, ძველად სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა და კაპიტნობა მიეღო. მაღალის ტანისა იყო, ჭაღარა შერეული, ხმელ-ხმელი, ჯერ ისევ მხნედ გამოიყურებოდა. სვანეთში სულ ერთი წელიწადი ცხოვრობდა, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც ისე დააყენა საქმე, რომ უსაზღვრო ნდობა დაიმსახურა იქაურ მკვიდრთა. მარდოდ-მარტო ცხოვრობდა აქ, უკანცელიაროდ და მხოლოდ ერთი თუ ორი ყაზახრუსი ახლდა თან და მაინც ახერხებდა ყველაფერი გაეკეთებინა აქ და ამ მთის ხალხისათვის მამასავით შეეყვარებინა თავი. როცა გენერალს დავთარი წარუდგინა თავის სამოსამართლო განჩინებათა და გადაწყვეტილებათა, კოლუბიაკინმა სასაცილოდ ერთი მათგანი მაჩვენა. სამოქალაქო საქმეები სასისხლისსამართლო საქმეებთან იყო ერთმანეთში არეული, რაც საქმე ატყდებოდა, ყველაფერს თვითონა სწყვეტდა საბოლოოდ. სხვათა შორის, ასეთი საქმეებიც ერია: „ერთმა სვანმა ესა და ეს სვანი მოჰკლა. დავადგინე: მკვლელს გადახდეს სამი თუმანი და მიეცეს მოკლულის ოჯახობას“. განაჩენი აესრულებინათ და მოკლულის ოჯახობას ჯვარის სახედ ხელი მოუწერნია ნიშნად კმაყოფილებისა. ამირეჯიბსა სწამდა, კანონიერად ვიქცევიო.

ამიტომ რომ საბუთად აქაური ადათი და ჩვეულება მაქვსო, ხოლო სვანებს ჩემი მოქმედება სრულიად სამართლიანად მიაჩნიათო. სხვანაირად, ესე იგი, რუსის კანონმდებლობის თანახმად რომ მოქცეულიყო, ვერაფერს გახდებოდა; მკვლელი დაიმალებოდა, ბოქაულს მისი დაჭერა ველარ შეეძლო, რადგან საშუალება არ ჰქონდა და, ბოლოს, საქმე იმით გათავდებოდა, რომ მოკლულის ნათესავებს სისხლი უნდა ეძიათ: უნდა მოეკლათ მკვლელი. რა თქმა უნდა, ასეთ გარემოებაში ჩავარდნილი, რვა თთვის განმავლობაში თოვლისაგან ხელ-ფეხ შეკრული და მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ამირაჯიბი მართალი იყო, კაცი ვერ უკიჟინებდა, რატომ სხვანაირად არ იქცევიო; მის მსგავს ბოქაულის ნახვა ადვილიც არ იყო. აქ საჭირო იყო განსაკუთრებული ნიჭი, უნარი, თავის განწირვა და ერთგულება თავის საქმისა; მოხუცი ამირაჯიბი თითონაც გასვანდა მთლად, მათი ზნე-ჩვეულება შეითვისა და ამნაირადვე ცხოვრობდა, როგორც ეს მთიულები ცხოვრობდენ. როცა სვანეთიდან ზუგდიდში წამოვიდოდა, თითქმის ნახევარი გზა ფეხით უნდა ეარნა მთის ბილიკზე. და ასეთს კაცს სულ მცირე ჯამაგირს აძლევდნენ, წლიურად რაღაც ასოც თუმანს!...

ამაისში გარდაიცვალა თეოფანე ჭყონდიდელი, განსვენებული სიკვდილამდე დიდხანს ავადმყოფობდა, ასე რომ მის სიცოცხლეშივე ამორჩეული იყო მის მოადგილედ არქიმანდრიტი მარტვილის ტაძრისა ტარასი. ნეტარხსენებული დიდის ამბით გაასვენეს. მარტვილში თავი მოიყარეს დიდძალმა თავადებმა და მათ შორის აზნაურებმა გაბუნიებმა, რომლებიც თეოფანე ეპისკოპოსს, როგორც გაბუნიას გვარისას, თავისიანად სთვლიდენ.

მარიამობისთვეში გენერალ-გუბერნატორი მ. კოლუბიაკინთან ერთად სვანეთში გაემგზავრა სამხედრო ეკზეკუციისათვის. ეკზეკუცია იმიტომ იყო საჭირო, რომ დავა ასტყდა სათავადო, სადადიანო, თავისუფალ სვანებსა და ყარაჩელებს შორის. ამ დროს გენერალთან მივიდენ სამნი ძმანი დასჯილ მურზაყან დადიშქელიანისა—ისლამ, თენგიზი და ციოხი და თავის ნებით მორჩილება გამოუცხადეს; გენერალმა პორუჩიკი პრინცი გააყოლა და სამივე ტფილისში გაგზავნა, ხოლო შემდეგი თავ-გადასავალი მათი ჩვენ უკვე გაგებული გვაქვს.

1861 წლის აპრილის თვეში მე გადაყვანილ ვიქმენ თელავის მაზრის უფროსად. ამავე დროს დიდი ცვლილება მოხდა მთელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში: თავადმა გ. ერისთავმა ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება, მის ადგილზე ერევნიდან გადმოიყვანეს ნიკ. პეტრესძე კოლუბიაკინი, და რადგან მისთვის

უხერხული იყო თავის ძმის, სამეგრელოს მმართველის, უფროსად ყოფილიყო, ამიტომ მიხეილ კოლუბიაკინი ტფილისში გადაიყვანეს სასოფლო სამმართველოს უფროსად, ხოლო მის ალაგზე დანიშნეს ჭილაშვილი. ყოველივე ეს მოახერხა თავად ა. ივ. ბარიატინსკიმ რამდენისამე დღით ადრე, სანამ საზღვარ-გარედ წავიდოდა, სადაც ექიმები გზავნიდენ მოსარჩენად.

სწორედ ამ დროს, როცა თავადი ბარიატინსკი ფოთში გემში უნდა ჩაესვათ, მისი მომავალი ცოლი, ხოლო მაშინ მეუღლე ვ. პ. დავიდოვისა, ელისაბედ დიმიტრი ორბელიანის ქალი, ფოსტის ცხენებს ოდესიდან, სადაც ქმარს თავი დაანება, ხარკოვში მიაქროლებდა. თან მიჰყვებოდა ბარიატინსკის მახლობელი კაცი შტაბს-კაპიტანი გიორგი კონსტანტინეს ძე გვათუა. ხარკოვში ბარიატინსკის საცოლეს შეხვდა ინგლისის პასტორი პალმერი და ინგლისში წაიყვანა. აქ იმან იცხოვრა ორი წელიწადი, მანამ ქმართან განქორწინების საქმეც გათავდა, და ელისაბედი თავადს ალ. ბარიატინსკის მისთხოვდა.

9

სამეგრელოს თავი დავანებე, მაგრამ შორიდანაც თვალყურს ვადევნებდი ამ მხარის ამბებს. პეტერბურგში ყიფიანი და სამეგრელოს დედოფალი ცდილობდენ მთავრის სამზრუნველოს საქმე, როგორც თვითონ სწადდათ, ისე დაებრუნებინათ და იქიდან ხმა მოგვდიოდა—ორსავე იმედი აქვთ გამარჯვებისაო. ამ დროს ერთ-ერთ რუსულ გაზეთში, რომელიც საზღვარგარედ იბეჭდებოდა და რომელსაც კავკასიაში ხშირად შეხვდებოდა კაცი, 1861 წ. 1 ოქტომბრის ნომერში შემდეგი წერილი დაიბეჭდა:

„კავკასიაში რუსების შემოსვლამდე ბატონყმობა არ არსებობდა. გლეხები ღალას აძლევდენ მემამულეთ, მაგრამ უფლება ჰქონდათ ერთ მემამულესათვის თავი დაენებებინათ და მეორესთან გადასულიყვნენ. სამართალს მათ მიერ არჩეულნი პირნი სწყვეტდენ და მ. სხვ.; საკუთარი მიწა არა ჰქონდათ; ყველა მამულები, რაც საეკლესიო და სათავად-აზნაურო არ იყო, მთავრის კუთვნილებად ითვლებოდა—ასეთ მდგომარეობაში იყო სამეგრელოცა, როცა ეს სამთავრო რუსეთს შეუერთდა 1801 წელს, გრ. დადიანის დროს. ალექსანდრე 1-მა დადიანს შეარჩინა უფლება თავის ქვეყნისათვის ძველებურ ჩვეულებათა თანახმად მოევლო, მხოლოდ წაართვა უფლება კაცი ჩამოეხრჩო, დამნაშავესათვის ხელები დაეჭრა, ცხვირი მოეჭრა, თვალები დაეთხარნა და სხვ. სამეგრელოს გლეხებმა დადიანების ხელში 1853 წლამდე, ესე იგი, დავით დადიანის სიკვდილამდე, არ იცოდენ, რა იყო რუსეთის ბატონ-ყმობა. დავითის შვილი ნიკოლოზი მანამ სრუ-

ლიწლოვანი გახდებოდა, მანამდე რუსის მთავრობამ სამეგრელოს მართვა დედოფალს, კნეინა ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს დადიანისას, ჩააბარა. კნეინა აღმოსავლეთ საქართველოში იყო აღზრდილი, შეეჩვია რუსების მიერ შემოღებულ ბატონ-ყმურ წეს-წყობილებას და თავის თავს ისე უყურებდა, როგორც სამეგრელოს ბატონს. როგორც ხარბმა და ფულის ფლანგვის მოყვარე ქალმა, დედოფალმა რამდენსამე წელიწადში მთელი მხარე ისე გააღატაკა და ცხოვრება გაუმწარა, რომ გლეხებმა, მიუხედავად მათის მორჩილურის ხასიათისა, ველარ მოითმინეს და ისე აჯანყდენ, როგორც ერთი კაცი. ბარიატინსკიმ ჯარი გაგზავნა, ამ ჯარის უფროსობა მიანდო საქმის ვითარების გამომძიებლად დანიშნულს დუკრუასის, კაცს განათლებულს და პატიოსანს. დუკრუასიმ მინდობილობა კარგად შეასრულა, —სამეგრელო ერთს თვეში ისე დამშვიდდა, რომ ერთის თოფის დაცლაც არ დასჭირებია ვისმე. დუკრუასი თუმცა კანონის მომხრე იყო და უნდოდა დედოფლის უფლება არ დაემცირებინა, მაგრამ ისეთი უწესობა შეამჩნია მართვა-გამგეობის საქმეში და ხალხი იმდენად შევიწროებულად და დაჩაგრულად დაინახა, რომ გადასწყვიტა დედოფლისათვის მართვა-გამგეობის უფლება ჩამოერთმია, და ბარიატინსკის მოახსენა: სამეგრელო მანამ არ დამშვიდდება, სანამ დედოფალი აქაურობას არ გაეცლებაო. ბარიატინსკიმ კიდენ ამის შესახებ ხელმწიფეს მოახსენა, და გადაწყვეტილ იქმნა, დედოფალი სამეგრელოდან პეტერბურგში გაეხმოთ და სანამ ნიკოლოზი სრულიწლოვანი გახდებოდა, სამეგრელოს მართვა რუსის ადმინისტრაციისათვის მიენდოთ. ეკატერინეს შეარჩინეს მხოლოდ სახელი სანეგრელოს მმართველისა და მიანდვეს მცირეწლოვან შვილების კერძო საკუთრების მზრუნველობა; ხოლო ეკატერინემ, თავის მხრივ, მზრუნველობა მიანდო იქაურს აზნაურს, ყიფიანს. სამეგრელოს მმართველად დანიშნეს გენერალმაიორი მიხეილ პეტრეს ძე კოლუბიაკინი, კაცი ფიცხი და მოუთმენელი, მაგრამ სინიდისიერი და პატიოსანი. კოლუბიაკინმა ბარიატინსკის მოახსენა, რომ სამეგრელოს მემამულეთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულებათ რუსეთის მემამულეთა და გლეხთა დამოკიდებულებებთან არავითარი მსგავსება აქვთო. მაგრამ დედოფალი ცდილობს ეს რუსული წესები შემოიღოს აქაო, დედოფლის ასეთი ცდა და მისი პირადი თვისება ერთად-ერთი მიზეზია ხალხის აჯანყებისა და, ესეც რომ არ იყოს, რა აზრი აქვს სამეგრელოში ბატონ-ყმობა შემოვიღოთ, როცა ეს ბატონ-ყმობა რუსეთში, საცაა, უნდა გადავარდესო!.. შემდეგ, კოლუბიაკინმა, თავის ხელქვეით მოხელეების, ბოროზდინისა და ოსტენ-საკენის, დახმარე-

ბით გლეხებისა და მემამულეების საქმე ისე დააყენა, რომ პირველნი ძეორეთ მხოლოდ ღალას აძლევდენ მიწის სარგებლობისათვის. ეს იყო და ეს. გლეხებს ნება მიეცათ შეედგინათ სასოფლო საზოგადოებანი, თავიანთ შორის ამოერჩიათ მამასახლისები, სოფლის მოსამართლენი და ხარჯის ამკრეფნი. სინიდის ქვეშ უნდა სთქვას კაცმა, სამეგრელოს მკვიდრნი თავის დღეში არა ყოფილან ისე ბედნიერნი, როგორც რუსების ხელში იყვნენ ამ ორის წლის განმავლობაში; თვით მეზობელ გურიის მცხოვრებლებმა დეპუტაცია გაუგზავნეს ქუთაისის გუბერნატორს ივანოვს, მოხელეებად ჩვენც რუსები დაგვინიშნეთ და არა ადგილობრივი თავად-აზნაურებიო.

„დედოფალი და ყიფიანი ვალდებულნი იყვნენ სამეგრელოს მარვა-გამგეობის საქმეში არ გარეულიყვნენ, მაგრამ მაინც ხელს უშლიდენ კოლუბიაკინის განკარგულებებს და მათს წინააღმდეგ მიდიოდნენ; ყიფიანი, როგორც მზრუნველი მთავრის მამულებისა და კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი, როცა სოფლებს ივლიდა, სცვლიდა და სჯიდა სოფლის მამასახლისებს, მოსამართლეებს და ხარჯთამკრებებს და თავისით სხვას ნიშნავდა ამ თანამდებობებზე. იმ გლეხებს, ვისაც წინედ ხარკის ერთბაშად შეტანით ან რამე სამსახურით მემამულეთაგან თავი ჰქონდათ დახსნილი ყოველწლიურ გადასახადისაგან და საკუთრებად მამული შეეძინათ, დ. ყიფიანი იძულებულს ჰყოფდა სადადიანო გლეხებად ჩაწერილიყვნენ თავის ნაყიდ მამულითურთ, იმიტომ რომ, ვახტანგის კანონის ძალით, რაც ეკკლესიასა და თავად-აზნაურობას არ ეკუთვნოდა, მთავრის საკუთრებად ითვლებოდა. დედოფალი თხოულობდა აგრეთვე, რომ გლეხებს სხვა-და-სხვა სამსახურის მაგიერ თითო კომლს ერთ თუმნიდან სამ თუმნამდე ეხადნა მთავრის ოჯახისათვის. რათა სავსებით გაითვალისწინოს ადამიანმა მთელი უსაფუძვლობა ასეთის ბრძანებისა, საკმაოა იცოდეს: 1) რომ ბუნებრივი ხარკი—ხარკი კი არ იყო, არამედ აღმნიშვნელი იყო გლეხის მორჩილებისა თავისი ბატონის მიმართ და ეს სამსახური გლეხს მაშინ ემართა, როცა მის სოფელში მთავარი მობრძანდებოდა; მაგალითად, ერთი კომლი ვალდებული იყო მთავრის ცხენის კისერის მარჯვენა მხარე გაეწმინდა, მარცხენა მხარის გაწმენდა მეორე კომლს ემართა, მესამეს — ცხენის კუდი უნდა გაეშალა, მეოთხეს — უზანგო ჩამოეწია და სხვ.; 2) რომ გლეხების უმრავლესობას ამ მხარეში, სადაც არც გზა, არც რაიმე მრეწველობაა, თვალითაც არ უნახავს ამდენი ფული და რომ ნახოს კიდეცა, შეიძლება, ვერც კი მოახერხოს მისი დათვლა; 3) კანონმა რომ შეიწყნაროს ეს მოთხოვნილება სამზრუნველოსი, რუსის ჯარი იძუ-

ლებული გახდება ძალით აასრულებინოს ხალხს და მაშინ ამ ხალხს ჭირივით უნდა შესძულდეს რუსის მთავრობა.

„კოლუბიაკინისა და დედოფლის ბრძოლის ბედი სანამ ტფილისში სწყდებოდა, საქმე კარგად მიდიოდა, მიუხედავად ბარიატინსკის არისტოკრატიზმისა და დიუკრუასის ლეგიტიმიზმისა. ამათ ესმოდათ, რომ თუ დდოფალი არ ავლაგმეთ, სამეგრელოს მკვიდრნი ურჩ ერთა მხარისკენ გადავლენ და ეს საშიში იქნება, რადგან მეზობლებად სამურზაყანოელნი და სვანები ჰყავთო. ამიტომ რაკი ყველა მოთხოვნილებანი დედოფლისა უსაფუძვლოდ იცნეს, ხოლო კოლუბიაკინის მოქმედებანი — კანონიერად, მთავარმართებლის საბჭომ ეს საქმე კავკასიის კომიტეტს გადასცა, რომ აქ ბუტკოვს განეხილა. ვლადიმირ პეტრეს ძე ბუტკოვი ყველა ლამაზ ქალების მფარველად ითვლებოდა და დედოფალსაც არ დააკლო თავისი მფარველური ყურადღება. სანამ არავინ იცოდა, ბარიატინსკი მორჩებოდა, თუ არა, ბუტკოვს ეშინოდა მის წინააღმდეგ წასვლისა, პირდაპირ არაფერსა სწყვეტდა და საქმე მთელი ორი წელიწადი აჭიანურა; მაგრამ როცა ექიმებმა გადასწყვიტეს, ბარიატინსკი მძიმე ავადმყოფიაო, ეს უკანასკნელი საზღვარგარეთ წაიყვანეს. ამასობაში ბუტკოვმა გაიგო, დედოფალი სასახლეში და გავლენიან პირებთან დაახლოვებული შეიქნაო, — მაშინათვე მის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე. ყველა მოთხოვნილებანი დედოფლისა საფუძვლიანად იქმნენ ცნობილნი. საკენი და ბოროზდინი სამეგრელოდან სხვაგან გადაიყვანეს, ხოლო კოლუბიაკინის ალაგზე დანიშნეს კავკასიაში თავისის უპატიოსნობით ცნობილი ჭილაშვილი, რომელიც ყიფიანს ნათესავადაცა ხვდება.

„ძნელი წარმოსადგენია, — ათავებს წერილის ავტორი, — რა რიგ აღაშფოთა ბუტკოვის საქციელმა კავკასიაში მოსამსახურე რიგიანი პირები. არავისა სჯეროდა, თუ დედოფლის უსაფუძლო მოთხოვნილებანი კავკასიის კომიტეტის მიერ საფუძვლიანად და კანონიერად იქმნებოდენ ცნობილნი და თუ სამეგრელო ისევ დედოფლისა და მისის მზრუნველის ყიფიანის მსხვერპლი გახდებოდა, და თუ რუსის სახელის შესარცხვენად ამ მხარეში უფროსობას ჭილაშვილს მიანდობდენ. ახლა ბევრნი ჰნანობენ თავად ბარიატინსკის წასვლას. მართალია, ნაკლულევანება ჰქონდა, სწავლა-განათლება აკლდა, არისტოკრატულის ჩამომავლობით თავი მოჰქონდა, მაგრამ ბუტკოვს მაინც ასეთის სამარცხვინო საქმის ჩადენის ნებას არ მისცემდა და შეიძლებდა უბედურ სამეგრელოს ხალხისათვის ტანჯვა აეცდინა, ხოლო რუსის სახელი სირცხვილისაგან დაეფარნა".

მე და კოლუბიაკინმა ამ წერილის ავტორის ვინაობა ვერ გავიგეთ, ეტყობოდა კი, რომ, თუმცა ზოგიერთ წვრილმანების აღწერაში სცდებოდა ავტორი, მაგრამ საზოგადო ვითარება ამ საქმისა კარგადა ჰქონდა გაცნობილი, ისიცა სცოდნია, უმაღლეს დაწესებულებში რა აზრისანი იყვნენ ამ საქმის შესახებ. აგრეთვე ისიც ეტყობოდა, რომ დამწერი პეტერბურგის მცხოვრები უნდა ყოფილიყო. ჩვენ კავკასიაში ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ საქმე ასე უკუღმა იყო დატრალებული; ეს ამბავი მხოლოდ კარგა ხანს შემდეგ გავიგეთ, როცა ტფილისში გახარებული ყიფიანი დაბრუნდა და მასთან ერთად მოვიდა სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული მოწერილობა მთავრის მამულის სამზრუნველო საქმის შესახებ, რომლითაც ყიფიანის მოთხოვნილება საფუძვლიანად იქმნა ცნობილი.

ამ დროს მთავარ-მართებლის თანამდებობას ასრულებდა გენერალ-ადიუტანტი თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, ხოლო სამოქალაქო სამმართველოს უფროსად იყო სტატს-სეკრეტარი ალექსი თეოდორეს ძე კრუზენშტერნი; უმაღლესად დამტკიცებული ქაღალდი რომ წაიკითხეს, ამათ უხერხულად სცნეს მისი ასრულება, სანამ თავადს ბარიატინსკის არ აჩვენებდენ, ამიტომ ეს ქაღალდი საგანგებო იფრინდას ხელით დრეზდენში გაგზავნეს ფელდმარშალთან. სანამ იფრინდა წავიდოდა, კრუზენშტერნმა მ. პ. კოლუბიაკინს შემოუთვალა: ამ დოკუმენტთან ერთად თქვენი მოსაზრებაც გაუგზავნეთ ბარიატინისკისაო. მე სწორედ ამ დროს ტფილისში ვიყავი, კოლუბიაკინთან ვცხოვრობდი და იმან მომიწვია ამ ქაღალდის შედგენაში დავხმარებოდი, ასე რომ ამ საქმეში მის გათავების დროსაც მივიღე მონაწილელობა. როცა ყველაფერი გამოვაწყეთ, იფრინდამ ბარიატისკისაკენ გასწია. ტფილისში ეს ამბავი არავინ იცოდა, ამიტომ ყიფიანი გამარჯვებულის კაცის სახით დადიოდა და თან მოუთმენლობასაც იჩენდა, --სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ასრულებას ასე რატომ აგვიანებენო?

ბარიატინსკიმ ეს ქაღალდი რომ მიიღო, ცეცხლი მოიკიდა. დარწმუნებული იყო, ხელმწიფე შეუცდენიათ და ისე დაუმტკიცებინებიათ ეს ქაღალდიო, და მისს უდიდებულესობას წერილი მისწერა. შემდეგში ეს წერილი საქმეებში იყო ჩაკერებული და მეც მქონდა შემთხვევა წამეკითხნა. ძალიან ვწუხვარ, რომ მისი პირი არ გადმოვიღე; მშვენიერის რედაქციითა და ლოგიკით იყო დაწერილი, მთლად ფელდმარშალის კალამს ეკუთვნოდა. ეს ამბავი იმათ მითხრეს, ვინც მაშინ მასთან დრეზდენში დაახლოებულნი იყვნენ. მისი შინაარსი, რამდენადაც მახსოვს, შემდეგი იყო.

„სახელმწიფო საბჭოს, როცა სამეგრელოს მთავრის სამზრუნველოს საქმეს სწყვეტავდა, ხელმწიფეო, სახეში არა ჰქონდა ის მოსაზრებანი, რომელნიცა გვქონდა მე და თქვენ, — ასე სწერდა ფელდმარშალი ხელმწიფე იმპერატორს. — სახელმწიფო საბჭომ არ იცოდა, რომ სამთა, შავისზღვის ნაპირას მდებარე, დამოუკიდებელ სამთავროთა გაუქმება თქვენმა უდიდებულესობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა კიდეც, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათმა შინაურულმა წესწყობილებამ თავისი კალო გალეწა, თავისი დრო მოსჭამა, მეორეც იმიტომ რომ ამ უკანასკნელის ომის დროს ზოგი მათგანი მეტად ორპირულად იქცეოდა. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭომ არ იცოდა. ამის შემდეგ მცხოვრებთა ინტერესები არ უნდა შევწიროთ მთავრის ქონებრივს ინტერესებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრის ინტერესების ერთგულად დაცვამ ამ ორის წლის წინად სამეგრელოში ხალხი ააჯანყა. ძზრუნველის ყიფიანის მოთხოვნილებანი ყველანი განვიხილე და მათი შესრულება შესაძლებლად ველარა ვცანი, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ მაინც ყველანი შეიწყნარა. ჩემს მოვალეობადა ვთვლი, თქვენო უდიდებულესობავ, გაგაფრთხილოთ, რომ თუ საქმე ამით გათავდა, ხალხი აყაყანდება და ადმინისტრაციაც მეტად უხერხულ და სასირცხვილო მდგომარეობაში ჩავარდება“.

ხელმწიფემ ეს ქაღალდი რომ შიიღო, მაშინათვე მოიხმო ბუტკოვი და დიდი საყვედური უთხრა მთავრმართებლის აზრის წინააღმდეგ საქმის გადაწყვეტისათვის. ბუტკოვმა თითზე იკბინა, რადა-რა არ მოახსენა ხელმწიფეს თავის მოქმედების გასამართლებლად. მაგრამ ხელმწიფემ მაინც ის უთხრა: თუ გინდათ გაფუჭებული საქმე გამოაკეთოთ, წადით ახლავე დრეზდენში, პირადად მოელაპარაკეთ ბარიატინსკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილების გამოცვლის შესახებო.

ბუტკოვმა დრეზდენში გასწია საჩქაროდ და ბარიატინსკიმ სამი დღე აცდევინა: ავად ვარ და არ შემიძლიან მიგიღოვო. ის კი არა, ფელდმარშალს უნდოდა კარგად ეგრძნობინებინა ბუტკოვისათვის თავისი შეცთომა და უტაქტობა. ბუტკოვი ბარიატინსკის „შენობით“ ელაპარაკებოდა. ბოლოს, როგორც იყო, შეუშვეს მის ოთახში. თავადი ლოგინში მწოლარე დაუხვდა და ამბობენ, ამ სიტყვებით დაუწყო ლაპარაკი:

„ნუ თუ ჰფიქრობთ, თავადო, რომ მე თქვენის სურვილისა და განზრახულების წინააღმდეგ შემიძლიან წავიდე! ამ შემთხვევაში მხოლოდა თქვენისავე საბჭოს წევრი ყიფიანია დამნაშავე. აბა რას

მოვიფიქრებდი, თუ ის საქმეს თქვენის შეხედულების წინააღმდეგ წაიყვანდაო?..“

ლაპარაკი ამ კილოზე გააბეს და კაცად განტევებისად ყიფიანი შეიქმნა, მთელი საქმე ბარიატინსკის სურვილისამებრ იქმნა გადაკეთებული, აგრეთვე იმ გეგმით, რა გეგმაც პირველში მ. პ. კოლუბიაკინმა წარმოადგინა. როცა ხელმწიფემ ბუტკოვისგან შეიტყო, თუ ვინ იყო დამნაშავე, ბრძანა — სამსახურიდან დათხოვნილ იქმნასო.

ორმა თუ სამმა კვირამ რომ განვლო გახარებულის ყიფიანის ჩამოსვლის შემდეგ, ტფილისში მეორე დებულება მიიღეს სახელმწიფო საბჭოსი, უმაღლესად დამტკიცებული, და გრიგოლ ორბელიანს მოწერილობა მოუვიდა: დიმ. ყიფიანი მოიხმე და გამოუცხადე: ან თხოვნა შემოიტანოს სამსახურიდან გასვლის შესახებ, ან, თუ ეს არ აღასრულოს, სამსახურიდან დაითხოვეო. ყიფიანს ეს რომ გამოუცხადეს, თავის ნებით სამსახურიდან გასვლა არ ინდომა და დათხოვნილ იქმნა.

და ამით, როგორც იქმნა, საბოლოოდ გადასწყდა სამეგრელოს მთავრის მამულების საქმე. ეს მამულები იმნაირადვე კერძო საკუთრებად იქმნა აღიარებული, როგორც სხვა მემამულეთა მამულები და, გარდა ამისა, 6,000 აზნაურების გლეხები განთავისუფლებულ იქმნენ მთავრის ბეგარისაგან. რათა დედოფალს ძალიან არა სწყენოდა საქმის ასე გადაწყვეტა, გულკეთილმა ხელმწიფემ სააზნაურო გლეხების ჩამორთმევის ბადლად წლიურად 10,000 მანეთი იჯარა დაუნიშნა.

თავადი ბარიატინსკი მერე იტყოდა ხოლმე: ხელმწიფესთან რომ მივედი და, სხვათა შორის, სამეგრელოს საქმეც გავიხსენეთ, ხელმწიფემ ღიმილით მითხრა:

„იცი, დედოფალი ჩვენ ორსავეზედვე ჭკუიანი გამოდგა, იმდენი რამე მიჭიბ-მოჭიბა, რომ, ბოლოს, იძულებულ შევიქმენ, ტყუილაუბრალოდ ათასი თუმანი იჯარა მიმეცა. წაგებულ არ არის.“

აი, ამით გათავდა თითქმის ოთხის წლის მოღვაწეობა ძმათა კოლუბიაკინებისა სამეგრელოში. პირველადვე იმათ მოჭიდეს საქმეს ხელი და ეს საქმე წესიერად, პატიოსნად და მხნედ მიჰყავდათ; მე წილად მხვდა მათი მახლობელი თანამშრომელი ყოფილიყავ, ამიტომ ჩემს თავს ბედნიერადა ვთვლი, რომ მოხუცებულობის ჟამს შევიძელი დაწვრილებით sine ira et studio აღმეწერნა ყველა გარემოებანი ამ საინტერესო დროისა.

ყველა საქმეში, სადაც გარეულია დიდი ინტერესები, თავიდათავი როლი ადამიანის გრძნობასა და ვნებათა-ღელვას უპყრია; აქაც ასე იყო. ქმრის სიკვდილის დღიდანვე დედოფლის საქმე მეტად დაიხლართა. ხოლო მისმა წრეს-გადასულმა თავმოყვარეობამ და სანგვინურმა ხასიათმა უარესად აწეწა ყველაფერი. ამ შემთხვევაში, მიუხედავად მისის უეჭველის ჭკუიანობისა, დედოფლის გონება უფრო გრძნობას და ვნებათა-ღელვას ემორჩილებოდა, ეს იწვევდა თვითნებობას, და დედოფალი თვითონაც ვერ ამჩნევდა, ისე საქმეს იფუჭებდა.

პეტერბურგიდან, ტახტზე ხელმწიფის ასვლის შემდეგ, სამეგრელოში რომ დაბრუნდა, დედოფალს ადვილად შეეძლო აჯანყებული ხალხი მკაცრის ღონისძიებით ან და უფრო გულკეთილის მოქმედებით დაემშვიდებინა, გონებაც ამას ურჩევდა, მაგრამ, ეშმაკად, თვალწინ აეხირა გრიგოლი, რომელიც საშინლად ეჯავრებოდა და მისმა სიძულვილმა ყველაფერი დაავიწყა, ისე დაბრმავდა, რომ მარტო იმასა ცდილობდა ამ კაცის ჯავრი ეყარნა. ხალხი და მისი გაჭირვება სულ გადაავიწყდა. ბოლოს, დედოფალმა კოლუბიაკინი მოიხმო, მაგრამ მაშინათვე წაეჩხუბა და მას შემდეგ თავის ჯიუტობის წყალობით უარესად იფუჭებდა საქმეს. დედოფალი იძულებული შეიქნა სამეგრელოს მოშორებოდა. ამ დროს თავის შვილების ქონების დამცველად მოიწვია მასავით ცხარი და თვითნება კაცი. მურავიოვის დროს მომხდარი მისი თავგადასავალი რომ მოისმინა, ეს კაცი გაბრაზდა და განსაკუთრებული თავგამოდებით იკისრა როლი ქალის რაინდისა, ამიტომ რომ ამ ქალს ის დაჩაგრულად და შეურაცყოფილადა რაცხდა. მისმა მზრუნველმა პირველ წლებში რაც გააკეთა, უკვე გიამბეთ, ხოლო შემდეგს წლებში სამაგისო ხეირი არა დაუყრია-რა მცირეწლოვან მემკვიდრის ინტერესებისათვის. როცა ნიკოლოზი სამეგრელოში დაბრუნდა, თავისი მამულის საქმეები ისე ალუფხულ-დალუფხული დახვდა, რომ მერე ოცი წელიწადი ეცადა და მაინც ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო. ეს რაინდ-მზრუნველის მაგიერ უბრალო სიკვდილის შვილი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ადგილობრივს ადმინისტრაციასთან თანხმობით საქმის გაკეთება შესძლებოდა; ეს მზრუნველი უნდა ცდილიყო მთავრის მამულები გაეშიჯნათ, მაშინ, სანამ მემკვიდრე სრულიწლოვანი გახდებოდა, ეს უსაჭიროესი საქმე გათავდებოდა კიდეცა, და ნიკოლოზი ას ორმოცდ ათზე მეტს საქმეს არც კი წააგებდა თავის დროზე მამულების გაუმიჯნელობის მეოხებით.

ცამეტმა წელიწადმა განვლო, რაც სამეგრელოს თავი დავანებე, და 1874 წელს მომიხდა ამ მხარეში გავლა, როგორც კერძო კაცს. ახალ-სენაკში რკინის გზის ბაქანზე გამოვედი, მატარებელი აქ მთელი ნახევარი საათი გაჩერდა და პირველი კაცი, როიელიც აქ შემხვდა, ბესარიონ ქავთარაძე იყო, ჩემი წინანდელი თარჯიმანი და აწ პოლიციის ბოქაული დ. ახალ-სენაკისა. გულწრფელად გაეხარდა ჩემი ნახვა და მხურვალედ გადავკოცნეთ ერთმანეთი. ერთ წუთსაც არ გაჭვლია, რამდენიმე სხვაც მოვიდა ჩემთან, ყველანი ჩემი ძველი ნაცნობები გამოდგნენ, მათ შორის ერივნენ თავადები და აზნაურებიცა. ყველას გაეხარდა ჩემი ნახვა და მომესალმნენ.

სანამ მატარებელი დაიძროდა, ყველანი სადგურის ბუფეტში შევიწვიე, მოვატანინე თერმონია და დასანაყრებელი და გავაბით ლაპარაკი. პირველად ნ. კოლუბიაკინის ამბავი მკითხეს. რომ ვუთხარი, გადაიცვალა-მეთქი, ყველამ სასოებით პირჯვარი გადაიწერეს და ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროსო. ნ. კოლუბიაკინი 1869 წელს გარდაიცვალა მოსკოვში, როცა სენატორად დანიშნეს. მისი ძმა მიხ. კოლუბიაკინი ბაქოში იყო გუბერნატორად.

ყველანი ჩამაცივდენ და მეპატიჟებოდენ, ერთის კვირით მაინც დარჩით ჩვენთან და ყველანი გვინახულეო; განსაკუთრებით ბესარიონი მთხოვდა, მაინც და მაინც დარჩიო, და მეც დავრჩებოდი, საჩქარო საქმე რომ არა მქონებოდა.

— როგორა სცხოვრობთ?—ვკითხე ჩემს თანამოსაუბრეებს,—ახლა ხომ უკეთესადა ხართ?

— კარგად კი ვცხოვრობთ, მაგრამ რა გამოვიდა, ამ სასამართლოებმა საშინლად გაამრავლა ადვოკატები... ყოველ სოფელში არის თითო ადვოკატი. ისევ ჩვენი გლეხთაგანი... კანონის ყველა მუხლები სუყველამ ზეპირად იციან და სეტყვასავით აყრიან ხოლმე სასამართლოში...

— ქურდობა?

— წინანდელზე უარესადაა. გაგვიჭირეს სიცოცხლე! ან რა გასაკვირველია, ითარეშონ,—შიში და რიდი არავის აქვთ!

— გლეხებთან როგორ განწყობილებაში ხართ?

— არა უშავს-რა. საშინლად გამდიდრდენ, ბატონებისაგან მიწები შეისყიდეს, ხაზინა არც კი დახმარებია, ყველაფერი თავის ფულით მოიქმედეს.

— მერე და საიდან შეიძინეს ქონება?

— ძალიან ბევრნი მიდიან შავის ზღვის ნაპირების ნავთსადგურებზე სამუშაოდ, ამ ადგილებში სამუშაო სულ მუდამ არის ხოლმე, მთელი არტელები შეადგინეს მეგრელებისა... ბევრსა სთესენ აგრეთვე სიმინდს...

— თქვენ, მებატონენი, როგორ-ღა ბრძანდებით?

— ცუდად.

მერე მოჰყვნენ წუწუნს: შვილებს სწავლება უნდა, შეძლება არა გვაქვს, სკოლები არა გვყოფნის და, გარდა ამისა, ვინც სკოლებს ათავებენ, რაღაც უცნაურები გამოდიან... თავისი ავიწყდებათ და არც ახალს რასმე იძენენო...

ამ დროს დარეკეს და იძულებულ შევიქმენ ჩემს ძველს ნაცნობებსა და მეგობრებს გამოვთხოვებოდი. მხურვალედ მეთხოვებოდენ და მთხოვდენ, უეჭველად გვეწვიეო...

მატარებელმა საჩქაროდ გამაქროლა. ახალ-სენაკის სადგურზე გამართული ბაასი ისევ ყურში მედგა და განაგონი სანუგეშოდა მრჩებოდა... მეგრელ-მუშების არტელები შავის ზღვის სანაპირო ნავთსადგურებში, ბევრ სიმინდის მოწევა, გლეხებისაგან გამოსული ადვოკატები... ყოველივე ეს იმის საბუთი იყო, რომ რაკი გლეხის შრომამა და ოფლმა გზა ფართო იშოვნა, ნაყოფიც შესაფერი გამოიღო. მებატონეები წუწუნებდენ, ცხოვრება გვიჭირსო, მაგრამ ცოტა გადაჭარბებებულად მეჩვენა მათი წუწუნი და ჩივილი... მითხრეს, შვილებს სკოლებში ვასწავლით, მაგრამ სკოლები არა გვყოფნისო, — ესეც თავმდებია იმისი, რომ მათი ცხოვრება გაუმჯობესდება. მათმა შვილებმა თუ, სულ მცირედიც არის, სწავლა მიიღეს, რა თქმა უნდა, **მახინჯობას** არ დაიწყებენ.

აბა სამეგრელო ამ ოცის წლის წინად უნდა გენახნათ, როცა პირველად მოვედი აქ პირდაპირ ჩრდილოეთიდან! დღეს კი ყველაფერი საშინლად გამოცვლილა აქ, დიდი წინსვლა და წარმატება დასტყობია. იმის ფიქრით, რომ ამ მხარის წარმატებას მეც, ოდნავაც არის, ხელი შევუწყე, ჩემთვის ყველაზე მეტი ჯილდო იყო იმ შრომისათვის, რომელიც აქ ახალგაზრდობაში, ესე იგი, ჩემის სიცოცხლის საუკეთესო ხანაში, გავსწიე. მეგრელების შეხვედრა ახალსენაკის სადგურზე, მათი ალერსი და დაპატიჟება ჩემთვის უკანასკნელი, სანუგეშო და მრავალმნიშვნელოვანი ხანაა, როცა კი მოვიგონებ მათს მშვენიერს სამშობლოს.

სამეგრელოს წარსულიდან

1

ღვინობისთვე საქართველოს შავიზღვის ნაპირის ნაწილში საუკეთესო დროა წლისა. ფოთოლი ხეებიდან ცვენას მაშინ იწყებს: მწვანე სამოსლით დაფარული მხარე შიშვლდება; მკვიდრთა ყველა მხარეს გაფანტული სახლები, რომელიც ზაფხულობით არც კი სჩანს, თავისებურის სიმშვენიერით თავს გამოჰყოფს და ხილული ხდება ხოლმე. ბათს მახლობლად ადამიანს თვალწინ გადაეშლება გაჭრილი ყანები, საიდანაც მშრომელმა გლეხმა უხვად მოიწია სიმინდი, ღომი, პური. ცა მოწმენდილია, ჰაერი კიდევ იმ ზომამდე გამჭვირვალე, რომ ადამიანის თვალს შორის მანძილიდან შეუძლია დაინახოს დაფარული მწვერვალები მთათა და მათზე გაარჩიოს სინათლე და ჩრდილი. ჰაერში მაცოცხლებელს, სულისჩამდგმელს რასმე ჰგრძნობს ადამიანი, სითბო ზომიერია და მზე მხოლოდ შუადღისას გამოსტყორცნის ოდნავ, მსუბუქად მკბენარე სხივს და ამით-ღა მოგაგონებსთ წარსულ ზაფხულის მწვავე სიცხეებს.

მას აქეთ ბევრმა წელიწადმა განვლო, სახელდობრ 1882 წელს, სწორედ შემოდგომას, სამეგრელოს ფართე ვაკეზე, რომელსაც ოდიშს ეძახიან, მდინარე ტეხურისა და აბაშას შუა, ორი ცხენოსანი ერთიმეორეს პირდაპირ დადგა და ხმამაღლა ერთმანეთს მეგრულად გამოელაპარაკა!

— სწორე გითხრა, ჩემო კოსტა, მუსტაშა უკეთესი იყო, მეგონა. დახე, როგორ მოვუტყუებივართ იმ ფრანგს!.. ცოტა ხეირიანი რომ ყოფილიყო, ის ყურდღელი როგორ უნდა გაეშვა? ძაღლი კი არა, კაცი ხელით დაიჭერდა, ისე ნელა მირბოდა.

— რასა ბრძანებთ, ბატონო! ფრანგულ მწევარს სად შეუძლია ჩვებური ყურდღელი დაიჭიროს! აკი მაშინათვე მოგახსენეთ— ასე იქნება-მეთქი.

— ღმერთი და რაც წმიდანებია, სულ ციდან ჩამოიყვანა, მეფიცებოდა—ასეთს მწევარს მთელს დუნიაზე ვერ იპოვითო!

— ესე იგი, ასეთს გლახას! ხა, ხა, ხა!.. აბა ჩვენს მერცხალას უყურეთ, ბატონო, რა ჰქნას, როცა ყურდღელს გამოეკიდება; ფრანგის მწევარს ზედაც არ შეხედავთ, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემს თავს!

ერთი მოლაპარაკე ცხენოსანთაგანი ასე ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, ჩასუქებული, საკმაოდ მაღალის ტანისა, სახის მსხვილ ნაკვთებიანი. დიდი, შავი თვალები, კეხიანი ცხვირი, გრძელი ჭაღარაშერთული ულვაშები, ნაოჭებშეპარული შუბლი მის სახეს სიმშვიდის, დიდებულობის და გულკეთილობის გამომეტყველებას აძლევდა. თავთ ეხურა განიერ-კალთებიანი ნაბდის ქუდი. როცა მოიხადა, გამოუჩნდა მელოტი თავი, რომელსაც ჭაღარაშერთული თმა რგოლივით უვლიდა გარშემო. ტანთ ეცვა იისფერი ხავერდის კაბა, კვერნის ტყავ-ამოკრული, კაბაზე ქამარი ერტყა და ქამარზე კიდევ ვერცხლით მოჭედილი სატევარი ეკიდა. კაბას ზემოდან შავი ჩოხა ეცვა. ჩოხის გულზე თეთრის ძვლის მასრები ჰქონდა გაკეთებული: თითბრის ღილებით შესაკვრელი პაჭიჭები ფეხთ ეცვა. ხოლო პაჭიჭებზე ამოკრული ჰქონდა მოხამუზი.

ეს მხედარი იყო ბეკო საბახთარი პირდაპირი შთამომავალი იმ საბახთარის, რომლის სტუმართმოყვარეობა ორასის წლის წინად აღმოსავლეთის განთქმულმა მოგზაურმა ფრანგმა შარდენმა აღწერა. წმინდა სისხლის ყარაბაღულ ოქროსფერ ულაყზე იჯდა. მარცხენა ხელში თავადს ორი წკეპლა ეჭირა, თასმით ერთმანეთზე გადაბმული. ეს წკეპლა თოფის ზუმბა იყო. პატრონი ამ ზუმბას ხელიდან არ იშორებდა, რადგან ზუმბაც იყო და, როცა უნდოდა, წკეპლაცა.

მეორე მხედარს, ასე ოცდაათის წლის თეთრგვრემანს ყმაწვილს კაცს, მეტად ცოცხალის სახის პატრონს, ჟღალი სქელი ღართი ეცვა. გრუზა, გრძელი, ხუჭუჭა, ქვევიდან რგვლად შეკრეჭილი თმა დაფარული ჰქონდა ფაფანიკით. ამ ნაირ სუბუქ თავსახურავის ხმარება შეუძლია მხოლოდ ხშირ თმის პატრონს, რომელსაც კაცი სამხრეთის ძეთა შორის ხშირად შეხვდება.

ქერა მხედარი თოფ-იარაღში იყო ჩამჯდარი. სატევრისა და ხმლის გარდა ზურგზე გადადებული ჰქონდა ორი თოფი, ტყავის ბუდეებიანი, მარჯვენა მხარეს ქამარზე დამბაჩა ეკიდა, მარცხენა მხარეს—გრძელი ქისა, რომლიდანაც თავი ამოეყო ჩიბუხს. აშკარად ეტყობოდა, რომ ყმაწვილ კაცს წამოღებული ჰქონდა როგორც თავისი, ისე ბატონის იარაღი. მხედარი თავად ბეკოს ყმა იყო სახელად კოსტა ერქვა. პატარა ზერდაგ ცხენზე იჯდა, მარჯვენა ხელით ორი მწევარი ეჭირა— ფრანგული მუსტაშა და შინგაზრდილი —მერცხალა.

მხედრებს მალე სხვებიც მოემატნენ: იქით-აქეთ ჯაგებიდან თავი გამოჰყო მონადირეთა გროვამ. სხვადასხვა ფერის ტანისამოსი ეცვათ: ყვითელი, ნაცრისფერი, თეთრი; ყველა კოსტას ტანისამოსის მზგავსად იყო შეკერილი. ზოგს ძაღლები ეჭირა, ზოგს დახოცილი ყურდღელი. ცხენოსანი და ქვეითი, მოხუცი და ახალგაზრდა ერთი მეორეში ირეოდა.

ერთმა ბიჭმა, სახეგაბრწყინვებულმა, მწევრის დაჭერილი და გაგუდული კურდღელი თავად ბეკოს ცხენის ფეხებთან დასდო.

— ყოჩაღ, ჩემო პეხუ!—უთხრა თავადმა.—შენმა ფრიალამ დაიჭირა?.

— დიაღ, ბატონო, აი ამათა ჰკითხეთ, როგორ უყელა ყურდღელს; ყურდღელმა მარჯვნივ გადაუხვია, მაგრამ გვიანღა იყო, რამდენიმე ნაბიჯი გადახტა და ყურდღელი გადააკოტრიალა კიდეცა...

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ეტყობა, ჩვენი მწევრები მართლა კარგები...

მაგრამ ბეკომ ვერ მოასწრო სიტყვა გაეთავებინა, ისე რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გაისმა წკრიალა ხმა მეორე ბიჭისა. მონადირენი მიხვდნენ, რასაც იძახდა ბიჭი...

ახალი ყურდღელი გამოაგდეს. საინტერესო იყო ამ დროს ეს თავმოყრილი ხალხი. ყველა რაღაც გამოურკვეველმა გრძნობამ აიტანა. მონადირეთ და მათთან ერთად თავად ბეკოს თვალები აენთოთ, დაავიწყდათ ყველაფერი და შურდულივით წინ გაქანდენ; მწევრები და მონადირენი—ყველანი ერთად საცოდავ ყურდღელს გამოუდგნენ, მიდამო საშინელმა, ყურთა-სმენის წამღებმა ყვირილმა მოიცვა. ეს-ღა ისმოდა: „არიქა! არიქა! არიქა!“...

მინდორს იქით სოფელი იწყებოდა და ყურდღელიც სწორედ სოფელში შევარდა. მთელი სოფელი, დიდი და პატარა ფეხზე დადგა, ყველა ყვირილით გამოუდგა ცხოველს. ყურდღელმა ბუჩქებში შეჰყო თავი, და ორომტრიალი კარგა ხანს გაგრძელდა, რადგან დამალულ ყურდღლის დაჭერა არც მაგრე ადვილი იყო. ბოლოს მაინც გამარჯვება კოსტას დარჩა—მისმა მერცხალამ ამხელად თავი ისახელა.

ხალხი და ძაღლები დაიღალნენ და დასვენება ეჭირებოდათ. თავადი ქვაზე ჩამოჯდა, დიდ კაკლის ძირას; სხვები ზმორებით შემოეხვივნენ და დაჭერილ ყურდღლის შესახებ გააბეს ლაპარაკი. ამ დროს რამდენიმე ცხენოსანიც მოვიდა, რომელთაც ნადირობაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

ახალქოსულთა წინ მწკანე ანაფორიანი მღვდელი იდგა. გრძელი ჭაღარა წვერი გულზე ეყარა, ჭროღა, ჭკვიანი თვალები ჯერ

ისევ შავ წარბებს ქვემოდან სახეს უმშვენებდა. მღვდელს უკან მისდევდა პატარა კაცუნია, ასე ოცდახუთი წლისა. ტანთ ეცვა ნახევრად რუს მოხელის ტანისამოსი: ხავერდის არშიანი და კოკარდიანი ქუდი, გალსტუხი და სირმა-გადაკერებული ღართი. ახლადმისულთაგანი ერთი თავადის მოძღვარი იყო, ხოლო მეორე—მდივანი. მათ მისდევდენ დანარჩენნი კარის-კაცნი და მსახურნი. მათს შორის ერთს ხელზე ქორი ეჯდა, ხოხობის საჭერად გაწვრთნილი.

ახლადმოსულნი კაკლის ხეზე ცოტა მოშორებით გაჩერდენ, ჩამოხტნენ ცხენებიდან, მიუახლოვდენ თავადს და მოწიწებით სალამი მისცეს. იმანაც ტკბილად თავი დაუკრა.

— გეტყობათ, კარგათ გინადირნიათ, ბატონო, — მოახსენა მღვდელმა.

— არა უშავს-რა. თქვენც კარგ დროზე მოხვედით. აბა, გზას უნდა გავუდგეთ, ბინამდე კიდევ კარგა მანძილია. ნეტა, რომელი საათი იქნება?—ჰკითხა თავადმა თავისს მდივანს.

მდივანმა ოსმალური საათი ამოიღო უბიდან და მოახსენა,—დაღამებამდე ორი საათი კიდევ არისო.

— პა, პა, პა!.. როგორ დაგვგვიანებია! შეიძლება, ღამემაც გვისწროს გზაში. აბა, ჩქარა გავუდგეთ გზას!

მწევრები და მონადირეები ამ სიტყვების გაგონებაზე ყველანი ზეზე წამოიჭრნენ და რამდენსამე წუთს შემდეგ ერთს სასოფლო გზას, ანუ, უკეთ, ბილიკს, სულ უკანასკნელი, ოცდა ათის კაცისაგან შემდგარი ქარავანი დაადგა.

2

თავად ბეკო საბახთარს აუარებელი კომლი ყმა ჰყავდა აზნაურებისა და გლეხებისა. თავის მხარეში განთქმულ და გავლენიან კაცად ითვლებოდა. მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებისათვის სიბერემდე იოტის ოდენადაც არ უღალატნია. დაიბადა თუ არა, ძიძას მისცეს, აფხაზეთში. ძიძა სამს წელიწადს აწოვებდა ძუძუს, ამის შემდეგ ორს წელიწადს კიდევ ისე ჰყვანდა სახლში. მერე საბავშო უნაგირით შეკაზმულ ცხენზე შესვეს. თან გამოჰყვა ძიძა და მისი ნათესავები და მამის სახლში მოიყვანეს. მამამ შვილის გასაზრდელი ძიძას თხუთმეტი ცხენი, ოცდაათი ძროხა და ორი კომლი მოჯალაბე აჩუქა; მთელი ეს ჯოგი მოჯალაბიანად აფხაზეთის გზას გაუდგა. ხოლო თავადის ყრმას ახალი ხანა დაუდგა აღზრდისა.

მშობელთა სახლში მთელი ნახევარის წლის განმავლობაში ბეკო მგელივით სულ ტყისკენ იყურებოდა, არავის ეკარებოდა. უნდა გადასჩვეოდა ძიძას, ძიძიშვილებთან თამაშობას და შესჩვეოდა დედ-

მ:მას; აფხაზურ ენის მაგიერ მეგრული უნდა ესწავლნა. საბედნიეროდ, საქმე კარგად წავიდა და შვიდის წლის ბეკო მამამ თავის შინაურ მდივანს, ბერუკა ჯიქიას, მიაბარა წერა-კითხვის სასწავლებლად.

მდივანი ბეკოს მამის ყმა-აზნაურთაგანი იყო, ჭკვიანი, მიხვედრილი სახის გამომეტყველება ჰქონდა. თმა ნახევრად დაჭაღარებოდა: მეცნიერებამ უდროოდ დააბერა. ზეპირად იცოდა მთელი საღმრთო წერილი, საეკლესიო წესები; სახორციელო შინაარსის მწერლობიდან იცოდა „ვეფხის-ტყაოსანი"; წაკითხულ ჰქონდა ჩახრუხაძის, ბრძნული ნაწერი, გეოგრაფია და ისტორია ვახუშტისა, ხელნაწერი ნაწყვეტები ჰეროდოტეს, არისტოტელის და პლატონის თხზულებათა. მისი მიდრეკილება საფილოსოფიო წიგნებისა და საზოგადოდ სწავლა-მეცნიერებისადმი აიხსნებოდა, როგორც ეს ხშირად ხდება, მის მახინჯ გარეგნობით. ცნობილია, რომ ბრძენნი იშვიათად არიან ამავე დროს ხორციელადაც ლამაზნი. ამიტომ ბერუკა ჯიქიას სიმახინჯე მის ცოდნასთან ერთად არავის უკვირდა. პატარაობითვე საცოდავს სიარულის მაგიერ ფოფხვა-ღა შეეძლო უთოების მსგავს ჯოხების საშუალებით. ამ ხორციელმა სიმახინჯემ ბერუკა ჩამოაშორა სხვებს, რომელნიც მარტოოდენ მოძრავს და მაწანწალა ცხოვრებას ეწეოდენ, და ძალაუნებურად მიაჩვია წიგნის კითხვას. ბატონის სახლში ბერუკა მდივნად იყო; იმას უნდა ეთქვა ყველაფერი, როდის რა მარხვა იყო, უქმე-დღესასწაული რა დღეს მოდიოდა, აეხსნა სიზმრები, რა დღეს რის გაკეთება შეიძლებოდა და რისა არა, და სხვა.

ბეკო მოუსვეს ანბანს და ისიც ხმა-ბაღლა გასძახოდა: ან, ბან, გან... ასე იძახოდა, სანამ მთელი ანბანი ზეპირად არ ისწავლა. ზეფხულობით ბეკო კაკლის ხის ძირას იჯდა და იქა სწავლობდა, ზამთრობით—გახურებულ ბუხრის წინ. ანბანის გათავებას შემდეგ ხელში დავითნი მისცეს და დავითნის სწავლა მაშინ გაათავა, როცა წიგნი სადმე მონასტრის სარდაფში მთელის საუკუნის განმავლობაში ნაგდებს და თაგვებისაგან დახრულ ხელნაწერს არ დაეძსგავსა.

გადიოდა წელიწადები. სწავლების საქმე თანდათან წინ იწევდა. თოთხმეტის წლის ბეკოს მასწავლებელმა, რაც თვითონ იცოდა, იმის ნახევარი ასწავლა, და, ამის გარდა, ბეკომ ისწავლა, რომ მზე-მიწის გარეშემო ჰბრუნავს და არა მიწა—მზის გარშემო. მამამ მასწავლებელს გამოუცხადა, — შვილს ახლა კი ეყოფა სწავლაო. მასწავლებელს ძალიან ეწყინა, მაგრამ არც ის შეეძლო, წინააღმდეგი ეთქვა რამე.

ბეკო უკვე ლამაზი, მოწიფული ყმაწვილი კაცი დადგა; უნაგირზე მშვენივრათ იჯდა, აჭენებდა უბელო გადარეულ ცხენებსაც; თხუთმეტ ნაბიჯის მანძილზე დანას თოფიდან ტყვიას ახვედრებდა, ოცდაათზე—კვერცხებს ამტვრევდა, ჰაერში ძერასა ჰკლავდა; მიმინოთი მწყრებზე ნადირობდა; ძაღლებით ირმებს, შვლებს, მელიას იჭერდა; შინა-ყმებთან ყოველგვარ მეგრულ სიმღერებსა მღეროდა; თამაშობდა აფხაზურად და ლეკურად და ამასთან მეტად მოხდენილად და სირცხვილეურად დახრიდა თვალებს და წითლებოდა ლამაზ ქალის შეხვედრაზე თამაშობის დროს.

მამამ ბეკოს ერთბაშათ შეაწყვეტინა სწავლა; ქრთბაშადვე, მისთვის არც კი უკითხავს, ისე აიღო და ცოლი შერთო. ცოლად შერთო ერთის ცნობილ თავადიშვილის ერთად-ერთი ქალი და მემკვიდრე მთელის ქონებისა. პატარძალი 25 წლისა იყო. ამდენს ხანს ქალი გაუთხოვრად იმიტომ კი არა მჯდარა, რომ უშნო იყო, არამედ იმიტომ, რომ დედმამა შესაფერ საქმროს ველარ ჰპოულობდა თავადიშვილებში; რაც ახალგაზრდა თავადიშვილები იყვნენ, ინგურიდან მოკიდებული სურამამდე, უეჭველად ენათესავებოდენ ქალს; ძარღვებში ბებიის მხრიდან ბეფის სისხლი ედგა, ბებიის დედის მხრიდან—მთავრისა; საბახთარები კი, როგორც ვიცით, სამასის წლის წინად გათავადიშვილდენ, ლიპარიტ დადიანის დროს; ამიტომ ქალის მშობლებს ბეკო თავიანთ შესაფერ სიძედ არ მიაჩნდათ და თუ მაინც ქალი მიათხოვეს, მიათხოვეს იმიტომ, რომ ეშინოდათ, ქალი გაუთხოვრად ხელში არ შემოგვაბერდესო.

ჯვარისწერის შემდეგ ბეკოს ცოლი მართა თავის მშობლების სახლში ხუთს წელიწადს ცხოვრობდა და თავის ქმარს მხოლოდ ხანდახან ხედავდა. ბეკო ერთი-ორის დღით თუ მოვიდოდა ცოლეურის სახლში სტუმრად. ამასობაში აწყობდენ მზითევს, რომელიც სწორედ იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენიც აღნიშნული იყო მზითვის სიაში. ბეკოს სიმამრს თუ ვინმე კითხავდა, რატომ არ აძლევ სიძეს ქალსაო, თავს იმით იმართლებდა, რომ ერთად-ერთი ქალი მყავს და ასე მალე როგორ მოვიშოროვო. მეექვსე წელიწადს ბეკომ ცოლი თავისს სახლში წაიყვანა და დიდის ამბით გადაიხადა ქორწილი.

ამის შემდეგ ბეკოს ცხოვრებაში ორი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: ოცდაათიანს წლებში ბეკომ მონაწილეობა მიიღო ჯიქების წინააღმდეგ გალაშქრებაში, სადაც თავისი, ასის კაცისაგან შემდგარი, რაზმი ჰყავდა მეგრელებისა, ხოლო ორმოციან წლებში მიწას მიაბარა ჯერ დედა და მერე მამა.

ამის შემდეგ ბეკომ დამოუკიდებლათ იწყო ცხოვრება.

მისმა ყმებმა ყველამ იცოდა თავისი მოვალეობა, ჩვეულებით დაკანონებული, და ყველაფერს უკლებლივ ასრულებდენ. აზნაურები საპატიო მხლებლებადა ჰყავდა, აზნაურებივე ჰყავდა მოურავებად, მოლარეთ-ხუცესებად, მეჯინიბეებად. მათ ებარათ მარანი და სხ. გლეხებს მოჰქონდათ სხვადასხვა სურსათი: ღვინო, პური, ცხვარი, ძროხა და სხ. ყველამ იცოდა, რა ემართა და თავისს ვალს უკლებლივ იხდიდა; მაგრამ რაც ემართათ, იმაზე ზედმეტს ვერავის გამოართმევდით. მაგალითად, ერთს ოჯახს ემართა ბატონის სასახლეში ზურგით შეშის ზიდვა. ბეკომ განიზრახა გადასახადი შეემსუბუქებინა და ურემი მისცა, მაგრამ გლეხმა გადაჭრილი უარი უთხრა ასეთ შემსუბუქებაზე,—ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგიაო. „ბატონი ჯერ თავისს ურემს მომცემს, — ამბობდა თავისთვის გლეხი,—შეშის საზიდავად. მერე მეტყვის—შენის ურმით მომიტანეო, შემდეგ კი ამავე ურმით სიმინდის მოტანას მიბრძანებს; ეს-კი ჩვეულებად გადამექცევა და მეც ახალი გადასახადი დამედება—ურმით შეშის ზიდვა. მერე შეშა ისევ მოაგონდებათ და ძველებურათ ზურგით მაზიდვინებენ“...

ასე ეჭვის თვალით შეხედა გლეხმა ბეკოს წინადადებას გადასახადის შემსუბუქების შესახებ და, სანამ ბატონყმობა არ გადავარდნილა, ზურგით უზიდავდა ბატონს ხვედრ შეშას.

თავადიც ძალას არ ატანდა, ამიტომ რომ შედეგი ცუდი მოჰყვებოდა: „კომლი“ აფხაზეთში გაექცეოდა.

გლეხების უმეტესი წილი ვალდებული იყო წელიწადში რამდენიმე დღე ერჩინა თავისი ბატონი, და რათგან საბახტარის მამული დიდს მანძილზე იყო გაფანტული, იმასაც ერთთავად გადასვლა-გადმოსვლა უხდებოდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. ჩვენის ამბის დასაწყისში თავადს ჩვენ სწორედ ასეთის მოგზაურობის დროს მოვუსწარით: თავის სამშობლოს ზეგან ადგილიდან, ლეჩხუმიდან, დაეშვა ოდიშში და გაემართა ერთ ვაკეზე მდებარე სოფლისაკენ, სადაც უნდა გამასპინძლებოდენ მასა და მთელს ჯალაბს. გზა-გზა ბეკო ნადირობით ერთობოდა. ჯალაბი უკან მისდევდა და ასე—ორის კვირის უკან უნდა შეერთებოდა. მის ჯალაბს შეადგენდა: კნეინა მართა, თხუთმეტი წლის მშვენიერი ქალი საბედა და ვაჟები არჩილი—ათის წლის, და ბატა—რვა წლისა.

3

უკვე ბნელოდა, როცა თავადი ბეკო თავის მრავალრიცხოვან ამალით სოფელში შევიდა. გზა ბილიკით მიდიოდა, ტყე-ტყე, ვაზე-

ბით შემოხვეულ ხეებს შორის. ზოგან ვაზი ერთი ხიდან მეორეზე გადადიოდა ორი-სამის მხარის მანძილზე და მოგზაურნი იძულებულნი იყვნენ ან ზევით აეწიათ ვაზი და ისე გაევლოთ, ან თავი დაეხარნათ. საბრალოა შეუჩვევარი მხედარი ამ ვაზების ქსელში, რადგან ღამის სიბნელეში მათი გარჩევა თვალებს უჭირდება: ან კისერი უნდა დაუშავდეს ან სახე და ან ქუდი უნდა გადაუვარდეს.

ბევრი ხრამი და ღელე გაიარეს; ერთხელ დიდ მდინარეზეც გავიდნენ მოგზაურნი. ამათს შორის უცხო კაცი რომ ყოფილიყო, ამ მხარეში პირველად ნამყოფი, ამ გზაზე ხეებისა და ჯაგების მეტს ვერაფერს შეამჩნევდა და მცენარეთა ამ ერთფეროვან და ხშირ სამეფოში თავის დღეში ვერ დაბრუნდებოდა იმავე გზით მანდ, საითგანაც წამოვიდა, და მარტოდ-მარტო დარჩენილი უეჭველად დაიბნეოდა. მაგრამ ჩვენი მგზავრები სულ გაუჭირებლად და დაუბრკოლებლივ მიდიოდენ, ყოველმა მათგანმა იცოდა, რამდენი დარჩენოდა სოფლამდე.

სოფელში შევიდენ. მაგრამ აქ უფრო ადვილი იყო გზის დაკარგვა; ერთი სახლი მეორეზე კარგა მანძილზე იყო დაშორებული, ყოველს სახლს ეზო ჰქონდა, ეზოს კიდევ ღობე ევლო; ეზოებს შორის მიიკლაკნებოდა ბრუნდე, ვიწრო და ზოგან ძალზე ალაფებული ბილიკები. მაგრამ აქაც მგზავრები ბაწარაღებით ისე მიდიოდენ, თითქო დღე ყოფილიყოს და სისწორით უხვევდენ ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ. ხანდისხან ცხენები იძულებულნი იყვნენ თხრილებზედაც გადამხტარიყვნენ, მაგრამ თითქო არაფერიო. სოფელში სიჩუმეს გლეხების გაბმული ყვირილი არღვევდა. ერთი მეორეს გასძახებდა.

— ივანია... უ-უ-უ!—რამდენჯერმე ასე დაძახებას შემდეგ პასუხად გაისმოდა:

— პერტეია... უ-უ-უ!..

და გააბამდენ ხმამაღლა ყვირილით ლაპარაკს.

ხანდისხან სოფელში ძაღლების ყეფა ასტყდებოდა: დაიწყებდა ჯერ სადმე ქოფაკი, ბანს მისცემდა მეორე, მეორეს—მესამე და მათი კონცერტი მთელს სოფელს მოეფინებოდა. ჯერ გაშმაგებით ჰყეფდენ, მერე უკლებდენ, ბოლოს ხმა სადმე შორს მისწყდებოდა და ძაღლები მიყუჩდებოდენ. ნახევრად გაღებულ სახლებიდან მოსჩანდა კერაზე დანთებული ცეცხლი, რომელსაც გარშემო უსხდენ ოჯახის წევრნი.

ნახევარი საათი მეტი ხან მარჯვნივ უხვევდენ, ხან მარცხნივ, ბოლოს, როგორც იქნა, მიადგენ ერთ ღობეს. მოწინავე ცხენოსანი

ცხენიდან ჩამოხტა და ლაბახას*) შლა დაუწყო. ეზოდან ხმაურობა მოისმა, წკავწკავით წამოიშალნენ ძაღლები. განათებულ სახლის კარები გაიღო და გამოვიდა რამდენიმე კაცი. ერთი წინ მირბოდა ანთებულ მუგუზლის ქნევით გზის გასანათლებლად.

— აქეთ მობრძანდიო, ბატონო, აქეთ!—იძახდა გლეხი.—მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბატონო! აი აქეთკენ, აქ ცხენიდან კარგი ჩამოსახტომია... აქამდე გელოდით... გელოდით... მერე ვიფიქრეთ, დღეს ვერ მობრძანდებით-მეთქი...

თავადი ცხენიდან ჩამოხტა სახლის მახლობლად, ცხენი კოსტამ ჩამოართვა. მუგუზლიანმა გლეხმა მუგუზალი ხელიდან გააგდო და ბატონს მუხლებზე კოცნა დაუწყო. აგრეთვე მოიქცნენ სხვებიცა, ვინც სახლის წინ იდგნენ.

— გამარჯვება შენი, ბახვა! გამარჯვება! პერტეია! გამარჯვებათ, გამარჯვებათ!—ეუბნებოდა საბახტარი მის მუხლებისა და ხელების საკოცნელად მისულებს და მეგობრულად ყველას თავებზე ხელს ადებდა.

მისალმებას შემდეგ თავადი სახლში შევიდა. სახლი მოზრდილი იყო, კერაზე გაჩაღებული ცეცხლი გუგუნებდა. ორსავ მხარეზე ტახტები იყო შეკრული, ერთზე ძველი ნოხი ეფინა და ორი მუთაქა თავით და ფეხთით იდო. თავადი ამ ტახტზე ჩამოჯდა და მეავეანდემ მოხამუზისა და პაჭიჭების ხდა დაუწყო. ხოლო სახლის პატრონმა იარაღი ჩამოართვა; ეს მისი განსაკუთრებული უფლება იყო.

მღვდელი, მდივანი და დანარჩენი ამალაც შემოვიდა სახლში და მოწიწებით კარებთან გაჩერდენ, სანამ თავადმა არ უთხრა, დასხედითო.

მგზავრობის დროს დაწყებული და დროებით შეწყვეტილი ამბავი ჯიხვებზე ნადირობისა ხელ ახლა განაგრძეს. ჯიხვებზე ნადირობასებრ თავადს არაფერი უყვარდა და ყოველთვის სიამოვნებით უსმენდა ყველას ამ ნადირობის ამბავს. გზაში ორმა მონადირემ თავისი მოგონებანი გაუზიარა, და ახლა კოსტას მიერ მოკიდებული ჩიბუხი ხელში დაიჭირა, მოსწია და თვითონ დაუბრუნდა ნადირობის ამბავს.

---

*) ლ ა ბ ა ხ ა—სამაგრელოში ძველებურ ჭიშკარსა ჰქვიან. იქით-აქეთ და სობილ სარებს გაყრილი აქვს გორიზონტალურად ხუთი-ექვსი გათლილი ან გაუთლელი ლარტყა კაცის სიმაღლეზე. როცა ცხენით ან ურმით შესვლა უნდათ ეზოში, ყველა ლარტყა სათითაოდ უნდა გამოაცალონ.

— არა, ახლა სადღაა წინანდებურათ ნადირობა!—დაიწყო ბეკომ,—ლევან დადიანის დროს უნდა გენახნათ, რა ამბავი ყოფილა.

— ნადირიც გაწყდა, როგორც ამბობენ,—სიტყვა ჩაურთო მღვდელმა.

— გაწყდა და მერე როგორ! ახლა, მაგალითად, საქორიას მთაზე კაცი თითქმის ვერ შეხვდება ჯიხვს. თხუთმეტის წლის წინად კი, ჯიხვების ბუდეს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო ეს მთა.

თავადის ამ უკანასკნელ სიტყვებზე სახლში შემოვიდა ასე სამოცდაათის წლის მოხუცი, მთლად გაჭაღარავებული, წელში მოხრილი, მაგრამ მაინც ძალზე მაღალი; მისს შავს თვალებს, სქელ, გათეთრებულ წარბებით დაფარულს, წყალი ჯერ კიდევ არ გამოჭლეოდა. შემოსულს ყველაზე განსხვავებული ჰქონდა გრძელი, გულზე ჩამოყრილი ულვაშები, ნარინჯის ფრად შეღებილი და ბოლოში თეთრები. როცა ბეკომ შემოსული დაინახა, სახე გაუბრწყინდა, ტახტზე წამოჯდა და ღიმილით მიუბრუნდა:

— ააა, ჩემო გიგო! შენა ხარ? დიდწხანს მიცოცხლოს ღმერთმა შენი თავი! როგორა ხარ, მოხუცო, როგორ კარგად გიკითხო?

გოგია მივიდა საბახთართან, დაუჭირა ხელი და ეამბორა. ბეკომ კი თავზე აკოცა.

— გუვიგე, რომ დღეს მობრძანდებოდი და მეც წამოვჩანჩალდი შენს სანახავად.

— მადლობელი ვარ, ჩემო გოგია, მადლობელი. მოდი, ჩამოჯექი, ჩემო კეთილო... ისევ ახალგაზდა ყოფილხარ, ძველებურად ფოჩალი... ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა... დაჯექ... დაჯექ...

გოგია ჩამოჯდა და განიერი ფაფანაკი თავზე ჩამოიფხატა.

— ჰა, მიხხარ, როგორა ცხოვრობ, ბუბუა?

— ეჰ, ჩემი ცხოვრება რა სახსენებელია, ბატონო! დავეხეტები ქალლუმადურად, მოხუცის კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ. მთავრისა და თქვენის წყალობით მიდგას სული... ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს...

— შარშან რომ მიწას დაგპირდენ, ხომ მოგცეს?

— მოცემბთ კი მომცეს, მაგრამ ის კი არ მოუციათ, რასაც დამპირდენ. სახლთუხუცესმა,—ღმერთმა კი მისი კუბო მაჩვენოს,—არ მიხედა ჩემ მოხუცებულობას და მიწის მაგიერ კლდე მომიზომა. მთავართან შინდა ვიჩივლო. გოგიას ახლა ყველა იჯაბნებს, კაცად აღარავინ აგდებს...—მოხუცმა თავი ჩაჰკიდა და ერთ წამს შემდეგ დასძინა:—ცხონებულ ლევან დადიანის დროს ამას ვინ გამიბედავდა!.

— სწორედ შენის შემოსვლის წინად მოვიგონეთ განსვენებული... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მოვიგონეთ საქერიას მთაზე ნადირობაც,..

თავადი და გოგია გაჩუმდენ და ფიქრებს მისცეს თავი. ეტყობოდა, ორსავე მოაგონდა ტკბილი წარსული დრო. გოგიას სახე დაუღონდა, მწარედ ამოიოხრა, ქისიდან პატარა ჩიბუხი ამოიღო, ნელნელა გასტენა თუთუნით, ცეცხლი მოუკიდა, დაეგზინა თავის ჯოხს და ხელახლა დაფიქრდა.

— მითხარ, ჩემო გოგია,—დაიწყო ისევ თავადმა ბეკომ, რომელიც თითქო გამოერკვა წარსულის მოგონებიდანო.—შენ ახლდი ლევანს საქერიას მთაზე, როცა ერთს მის მონადირეს გზა დაჰკარგვოდა?

— როგორ არ ვიყავი! განა არ მოგეხსენებათ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ლევანის გვერდით გავატარე!..

მოხუცმა პირიდან კვამლი ბოლქვა-ბოლქვად გამოუშვა, ჩიბუხი გამობერტყა, ხელახლა გასტენა თუთუნითა, მოუკიდა, ცოტახანს ჩუმად იყო, თითქო აზრს იკრებსო, და დაიწყო:

IV

— ეს ამბავი, ბატონო, სწორედ იმ წელიწადს მოხდა, როდესაც დედოფალი მართა ახალ სასახლეში დაბინავდა, სოფ. მურში. ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია: ქმარს, ლევან დადიანს, მართასთან უკმაყოფილება ჰქონდა, ერთი კვირა იყო თუ ცოტა მეტი, იცხოვრა მართასთან მურში. მერე ქულბაქში გადასახლდა, რომ საქერიასთან ახლო ყოფილიყო.

„ნადირობა სამარიამობოთ დავიწყეთ და კვირა იშვიათად გამოერეოდა, რომ საქერიაზე ორჯერ-სამჯერ არ ავსულვიყავით. ქულბაქიდან გათენებისას გავიდოდით, და შუადღისას კი მთას მოვექცეოდით, ღამეს სანადირო ქოხში გავათევდით, ხოლო საღამოს ისევ ქულბაქში დავბრუნდებოდით.

„ასე ვინადირეთ სექტემბრის თვემდე. მთა უკვე ერთხელ ჩამოთოვლა, მაგრამ რამდენსამე საათში ისევ აიღო. დრო იყო, ნადირობა გაგვეთავებინა, რადგან ჯიხვი სულ მაღლა იწევდა მიუვალ, ციცაბო კლდეებისაკენ. მაგრამ ლევანი მეტად გაიტაცა კარგმა ნადირობამ და არ უნდოდა საქერიასათვის თავი დაენებებინა. თუ ყოფილხარ ამ მთაზე, უეჭველად გენახვება ის მხარე მთისა, რომელსაც გულის-თავს ეძახიან... სანადირო ქოხის მარცხნივ ადგილი

სრულებით მიუვალია, ნადირნა კი ამ ადგილს მიაშურა. ლევანმა კი გადასწყვიტა, მოდი, ბედსა ვცდი ამ მთაზედაო.

„თან ორმოც კაცზე მეტი ვახლდით. მთის ყოველს ასავალ-დასავალს ვიცნობდით, მაგრამ გულისთავზე ჩვენგანი ბევრი არა ყოფილა. აქ ასულან: სიკო ელამი, ინგურში რომ დაიხრჩო, მერე ბატაია ორბელია, ახლა მარტვილის მონასტერში მნათედ რომ არის, და ოქროპირი, ჩემი ცოლის ძმა; ამათს გარდა აქ არავინ ყოფილა. მაგრამ ლევანმა გვიბრძანა ასულვიყავით. სიკო გავიძღოლიეთ და ყველანი უკან გავყევით. ავედით პირველ ზურგზე, ლევანიც ჩვენთან მოდიოდა. ღრუბლები ჩვენს ქვემოდ იყო დაკიდებული; ხრამში გადავიხედეთ, იქნება, სადმე მიმალულია ჯიხვიო, ვსთქვით. ამ დროს დავინახეთ, რომ მთელი ხრამი ნისლში გაეხვია. უნდა გაჩერებულვიყავით, აქ დაგვეცადნა, სანამ ნისლს გადიყრიდა. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირებია: დაუბერა ნიავმა, მიჰფანტ-მოჰფანტა ნისლი და ხევი ნათლად გამოჩნდა ჩვენს წინაშე. მის ძირის, ერთ გორაკის ბუსნოზე, დავინახეთ მთელი ჯოგი ჯიხვებისა.

„ტანში ახლაც მაჟრჟოლებს იქ ნახულის მოგონებაზე... სიხარულის კანკალმა აგვიტანა ყველანი.

„მაგრამ უცბად წამოუქროლა ქარმა, ხევში ისევ მოჰრეკა საიდანლაც ახალი ნისლი და შიგ გახვია ჯოგი!

„მაშინ ლევანმა წამოგვჩურჩულა: „აბა, ძმებო, ზურგზე გადავიდეთ და გავსწიოთ წინ“. მყისვე ავასრულეთ მისი ბრძანება და თავქვე დავეშვით ხევში. კატებივით მივცოცავდით ფრთხილად; უნდა მოგვესწრო და სანამ ნისლს გადაიყრიდა, მანამ მივპაროდით ჯიხვების ჯოგს ახლო. ნისლს კარგა ხანს არ გადაუყრია, ასე რომ ჩვენ ძალიან ძირს დავეშვით. მაგრამ როცა ხელახლა შემოუბერა ქარმა, ჩვენს წინ ბუსნო გამოჩნდა, მხოლოდ ჯიხვები კი ყველანი გაპარულიყვნენ. ძალიან ფრთხილად მივიპარებოდით, მაგრამ მათ მაინც გაეგოთ და გაქცეულიყვნენ. მხოლოდ ორს მათგანს მოვკარით თვალი: შორს, ფრიალო კლდეზე ადიოდენ. დავინახეთ თუ არა, ჩვენც უკან გავყევით. სიკო ისევ წინ წაგვიძღვა, იმას კიდევ უკან მიჰყვა ჯერ ისევ ახალგაზრდა ბიჭი კირვალია. ღვთის წინაშე, ყველას კი გაგვიკვირდა მისი გამბედაობა. რომელლამაც გამოცდილმა მონადირემ მიაძახა კიდეც: „ბალლო, სად მიდიხარ, ღმერთი არ გაგიწყრეს და სადმე ხრამში არ გადაიჩეხო“. მაგრამ კირვალიამ ყური არ ათხოვა, აფოფხდა და ელვის სიმაღლეზე სიკოსთან ერთად თვალთაგან მოგვეფარა.

„ლონე გამოგველია მთელი დღე ბობღვით. ნადირი სულ გაგვირბოდა, სათოფეზე არ გვიდგებოდა. მთავარმა მხოლოდ ერთხელ დასცალა თოფი და შველი დასჭრა, ისიც ძლივს ჩამოვათრიეთ კლდიდან, სადაც ტყვიის მოხვედრის შემდეგ აფოფხდა. იმასაც ვერ მივაგნებდით, რომ ორი არწივი არა, რომელთაც სწორედ ამ ადგილას ზემოდან, სადაც დაჭრილი შველი იწვა, ჰაერში კამარა შეჰკრეს. ლევანიც დაიღალა, ღოროტოტო დააკვრევინა და ყველანი სადილად გვიხმო. დავეშვით მთიდან, მის კალთებზე ერთი ვაკე ავირჩიეთ და დავბინავდით. სანამ სადილს აკეთებდენ, მონადირეებმა დენა იწყეს. როცა ყველამ თავი მოიყარა, თვლას შევუდექით: ერთი დაგვაკლდა. ვიღამაც წამოიძახა—კირვალია გვაკლიაო. ჰკითხეს სიკოს. იმან-კი ისა სთქვა, რომ გულისთავზე ერთმანეთს დავშორდით, მე მარჯვნივ გავყევი კლდეს, ის კი ზევით წავიდაო... მერე არაფერი მინახავსო...

„ვიღაცამ წამოიძახა: „ნუ გეშინიათ, დაბრუნდება, სად უნდა დაიკარგოსო“.

„მაგრამ მთავარმა, როცა გაიგო ამბავი, ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც ნაბადზე წამოჯდა და შეშინებულისა და დაღონებულის სახით გამოაცხადა: ახლავე შეუდექით კირვალიას ძებნას; სანამ არ მომიძებნით, პირში ლუკმას არ ჩავიდებო.

„ყველანი დაღლილ-დახოცილნი იყვნენ, მაგრამ მაინც მეტი გზა არ დარჩენოდათ, მთავრის სურვილი უნდა აესრულებინათ, მისი ურჩობა აზრად არავის მოსვლია. ოციოდე კაცი ისევ გულისთავას ალმართს შეუდგა. სხვები კი, და მათს შორის მეც, ლევანმა თავისთან დაგვტოვა.

„უნდა მოგახსენოთ, რომ კარგი მსროლელი ვიყავ, მაგრამ საცა სიკო და ოქროპირი მიდიოდენ, იქ ასვლას მაინც ვერ მოვახერხებდი.

მოხუცმა პატარა შეისვენა და მერე განაგრძო:

„ცოტა ხანს უკან მონადირეთა ძახილი მოგვესმა. ამით ამხანაგებს ატყობინებდენ—ვინ სად იყო. მათი ძახილი თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს თითქმის მისწყდა. მთავარი ყველას ყურს უგდებდა და გვეკითხებოდა,—რამე ხომ არ შეგატყობინესო?.. ხმები ხელახლა მოგვესმა, ახლა კი უფრო მკაფიოდ იძახდენ. მოგვეჩვენა, თითქო რამდენიმე მონადირე ერთმანეთს შეხვდა და სხვებს საშველად ეძახდენ. მთავარი ერთ ალაგას ვერ გაჩერდა, ხელით გვანიშნა—უკან გამომყევითო და მიაშურა იმ ადგილას, საიდანაც ძახილი მოისმოდა როცა ქაქანით ავბობღდით და მივუახლოვდით მონადირეებს, ერთი კლდე გვიჩვენეს. თმა ყალხზე შეგვიდგა, როცა კლდის ნაპი-

რას, საცა ერთი კაცი ძლივას დაეტეოდა, დავინახეთ კირვალია.

„კლდე საშინელი მაღალი იყო, იქიდან ხმის მიწვდენა გაჭირვებით-ღა შეიძლებოდა. ეტყობოდა, ყმაწვილს სიფიცხე მოჰრევია. ასვლით კი ასულა, მაგრამ რადგან უკან დაბრუნება ველარ მოუხერხებია, იქავე მიწოლილა. როგორ უნდა ჩამოგვეყვანა? ახლა ახალი დარდი გაგვიჩნდა. გაჭირებულის საშველად მონადირენი გამოჩნდებოდენ, მაგრამ სწორედ ამ დროს საღამომაც მოატანა: ამ ადგილას ასვლისას სულ ჩამობნელდებოდა და მაშინ კირვალიასაც ვერას უშველიდენ და თითონაც დაიღუპებოდენ ტყუილა-უბრალოდ. რა უნდა გვექნა! დავფიქრდით ყველანი. ლევანი საშინლად იყო დაღონებული, თვალებზე ცრემლები მოადგა; საშინლად ებრალებოდა საცოდავი ბიჭი და უნდოდა უეჭველად ეხსნა გაჭირვებული ყმაწვილი.

„—ჩემო შვილო!—დაუყვირა, რაც ხმა ერჩოდა, კირვალიას,—თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ლევანი გიყვარს, იწექ და არ გაინძრე. ჩემს თავს გეფიცები, შვილები არ დამეხოცება, ხვალ დილას უვნებელს ჩამოგიყვან. მხოლოდ იწექი და აღარ გაინძრე. ნუ შეგეშინდება და ჩვენს ძახილზე როგორც შეგეძლოს, ისე გვიპასუხე.

„დიდხანს ვიდექით დაფიქრებულნი; არ ვიცოდით, რა გვექნა. ვცდილობდით, ხმა მიგვეწვდინა, იქნება შენძრეულიყო და სიცოცხლის ნიშან-წყალი რამე დაენახვებინა ჩვენთვის. მაგრამ მხოლოდ თავს ვიტყუილებდით, მეტი არაფერი. ვილამაც ჩაილაპარაკა: ყველაფერი მორჩომილია, ვერაფერს ვუშველით; ისევ ისა სჯობია—მღვდელი ვიხმოთ, პანაშვიდი გადავახდევინოთ და თითონ კირვალია სვავ-ყორნების საწიწკნად დავაგდოთო. ფიქრებისაგან ყველანი მთავრის ლაპარაკზე გამოვერკვიენით. —ჩემო შვილებო,—გვითხრა მთავარმა,—გუშინ ამ ბიჭს შევფიცე გასაჭირისაგან გიხსნი-მეთქი; უნდა როგორმე ჩამოვიყვანოთ, და თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ ჩემის ფეხით და მე ჩამოვიყვან, თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც.

„ამ სიტყვებს შემდეგ ურჩობა არ შეიძლებოდა. ყველამ კარგათ ვიცოდით, რომ მთავარს ფუჭად ლაპარაკი არ უყვარდა, თავის ნათქვამი კაცი იყო.

„წინ წამოდგა ოქროპირი. კლდე სალი იყო და წინწაშვერილ ქიმების შემწეობითღა შეიძლებოდა ბობღვა. ოქროპირმა თოკები მოითხოვა. მაშინათვე მივაწოდეთ, რამდენიც საჭირო იყო: ზოგს ქამარში გვქონდა, დანარჩენი უნაგირებს მოვხსენით ყველა და ისე მივეცით. თოკებიანად გასწია ოქროპირმა. როცა კი შეიძლებოდა,

ქვებს მოაბამდა ხოლმე თოკს და მარყუჟებს აკეთებდა კიბესებ, ისე რომ კაცს ადვილათ შეეძლო იმით ასვლა. ოქროპირი დიდხანს მუშაობდა და წინ უეჭველის ნაბიჯით იწევდა და სულ მაღლა-მაღლა ადიოდა. კლდის ნახევრამდე უკვე ავიდა, ისე უცბად გაჩერდა. ყველანი იმას შევსცქეროდით, სულ-განაბულნი. მოგვიბრუნდა და ძლივს გასაგონის ხმით გვითხრა: მეტი ასვლა ვეღარ შემიძლიანო. მთავარმა შეჰყვირა, ძირს დაეშვიო. ოქროპირი ნელ-ნელა დაეშვა. წამდა-უწუმ ჩერდებოდა და თავის მიერ გაკეთებულ კვანძებს ეძებდა ფეხის გასაყრელად. ძირს ჩამოვიდა თუ არა, მკვდარივით გაიშხლართა.

„მაშინ სიკომ წვერი გამოართვა, პირჯვარი გადაისახა და ოქროპირის გაკეთებულის კიბით ასვლა იწყო. ჯიხვივით აიჭრა იმ ადგილამდე, სადაც ოქროპირი შედგა და მისი დაწყებული მუშაობა განაგრძო. ბოლოს მიაღწია იმ ადგილს, სადაც კირვალია იწვა.

„საცოდავს გადაუბერტყა ზევიდან წაყრილი თოვლი, დიდხანსა შინჯავდა და ბოლოს, რაც ხმა ერჩოდა, დაგვიყვირა: ცოცხალიაო. ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაგვიყვირა—ვინმე მომაშველეთო. კიბით ბატაია ორბელია ავიდა, იმისათვის ადვილი იყო მზამზარეული კიბით ასვლა. ხელად აცოცდა და სიკოსთან ერთად უხიფათოდ ჩამოიტანეს ქვევით სიცივისაგან გაშეშებული კირვალია.

— მერე მოსულიერდა?—სიტყვა გააწყვეტინა გოგიას საბახთარმა.

— სწორედ სასწაული მოხდა: მოსულიერდა. დაუზილეს კარგად ტანი და ღვინომაც უშველა.

— რა თქმა უნდა, ვისაც სიკვდილი არ უწერია, რაც უნდა დაემართოს, ცოცხალი დარჩება, — შენიშნა ერთმა მსმენელთაგანმა.

— აბა ლევანს გაეხარდებოდა, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად გათავდა!—სიტყვა ჩაურთო თავადმა.

— გაეხარდა და იგრე!.. კირვალიას იმიტომ, რომ გაუგონა და უნძრევლად იწვა კლდის წვერზე, უღელი ხარი აჩუქა; სიკო, ბატაია და მათი შთამომავლობა გააზატა და თითო თოფი აჩუქა; ოქროპირს კი ისეთი სახნავი მიწა უბოძა, რომ მის შემდეგ გლეხმა სამუდამოთ სული მოითქვა. ლევანი კაცი კი არა, ანგელოზი იყო, ანგელოზი, მისის საარაკო გულკეთილობის ამბავი მთელ დუნიაზე ყველამ იცოდა!

— მართალი ხარ, გოგია,—დასძინა თავადმა,—სხვისათვის სულიც არ ეშურებოდა; რასაც იშოვიდა, მაშინვე სხვებს ურიგებდა.

მასპინძელმა როცა დაინახა, რომ გოგიამ თავისი ამბავი გაათავაო, მოწიწებით მიუახლოვდა ბატონსა და ჰკითხა, დრო თუ იყო ვახშმის მიტანისა. და როცა თავადმა უთხრა, მოიტანეო, ისიც სწრაფად გავიდა სახლიდან.

5

არ გაუვლია ერთს წუთს, მასპინძელი ისევ შემოვიდა: ხელში დოქი ეჭირა, უკან მეორე მისდევდა, იმას კი ტასტი მოჰქონდა, მესამეს პირსახოცი ჰქონდა მხარზე გადაგდებული. ფაცხაში რომ შემოვიდენ, მწკრივად დადგნენ და ბრძანებას დაუწყეს ლოდინი. ბეკომ თავი დაუქნია და ტასტიანმა მის წინ დაიჩოქა. ბახვამ დოქით წყალი დაუსხა ხელზე, ხოლო მესამემ პირსახოცი მიართვა. დამსწრეთაგანმა ყველამ დაიბანა ხელი. შემოიტანეს ტაბაკები და წინ დაუდგეს ტახტზე მჯდომარეთ. თავადს გვერდით მოუჯდა მღვდელი, იმას იქით მდივანი, შემდეგ კოსტა და სხვები. ფაცხის მეორე მხარეს სუფრას გოგია და ამალის სხვა წევრები მოუსხდენ. ზეზე იდგნენ მასპინძელი და მისი ცოლშვილი.

ტაბაკები რო დადგეს, მსახურნი ისევ გავიდნენ ცოტახნით და შემოიტანეს დიდი კარდალით ღომი და ყოველ სტუმარს ტაბაკზე წინ დაუდვეს ჩოგნით ორ-ორი დაგება ცხელი ღომი. ამავე დროს სტუმრებს წინ ჭიქები დაუდგეს, ხოლო ბეკოს მისი სამგზავრო ვერცხლის ჭიქა. მსახურნი ისევ გავიდენ და შემოიტანეს ხონჩა, რომელზედაც დაჭრილი შემწვარ ქათმის ხორცი ელაგა. თავადთან ყველაფერი ჰატარა თეფშებით მოჰქონდათ, ხოლო სხვებს პირდაპირ ტაბაკზე უწყობდენ.

როდესაც ყველას ჩამოურიგეს საჭმელი, მღვდელი წამოდგა, „მამაო ჩვენო“ სთქვა, სუფრა აკურთხა და ყველანი ჭამას შეუდგნენ.

მსახურნი საოცარის სიმარჯვით დადიოდენ. შემოიტანეს რამდენიმე კოკა ღვინო, ვაზის ფოთლებით თავებდაცმულები. სტუმრებს დაუსხეს ღვინო, მაგრამ ჭიქას არავინ ჰკიდებს ხელსა, სანამ თვით თავადმა არ აიღო პირველად ჭიქა ხელში, მოიხადა ქუდი, როგორც მღვდლის მიერ ლოცვის თქმის დროს, და წარმოსთქვა: „დიდება ღმერთსა, ღმერთო, შენ გაგვიმარჯვე!“ მერე დამსწრეთ თავი დაუქნია, ქუდი დაიხურა და ჭიქა გამოსცალა. ამავე დროს

დამსწრეთ უპასუხეს: „ღმერთმა გაგიმარჯოს!“ და ყველამ თავ-თავის ჭიქას მოჰკიდა ხელი.

პირველ თავ საჭმელს სხვა მოჰყვა: შემოიტანეს ქათამი მეჯვე საწებლიანი, ინდოურის საცივი, მოხარშული კრავი, მერე ბეჭი.

ყველანი ხელითა სჭამდენ, თითოეული მათგანი მეგრულის დანით ითლიდა ხორცს. ყოველ თავს საჭმელიდან თავადი კარგ ნაჭერს აიღებდა და უძღვნიდა თავისს იმ თანამოსუფრალთაგანს, რომლისათვისაც თავის კეთილგანწყობილების გამოცხადება სურდა. ძღვნის მიმღები ადგებოდა, ფაფანაკს მოიხდიდა და მადლობას მოახსენებდა.

როცა ღვინო კაი ძალი დაილია, წამოდგა კოსტა, ფაფანაკი მოიხადა და თავადს სიმღერის ნება სთხოვა. თავადმაც მხიარულათ გადიქნია თავი, და ერთს წუთს შემდეგ გაისმა მშვენიერი სიმღერა. თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა.

სიმღერას ბოლო არც-კი მოელებოდა, რომ ძალზე დაღლილს ბეკოს არ ეთქვა მომღერლებისათვის—გაჩუმებულიყვნენ.

თავადის ამალა თანდათან შეთხელდა. ნელ-ნელა გამოდიოდენ ფაცხიდან. შიგ დარჩენ მხოლოდ: მღვდელი, მდივანი და გოგია. ბოლოს იმათაც მდაბლად თავი დაუკრეს თავადს და სხვა, იმავე ეზოში მდგარ, ფაცხებისაკენ გაემართნენ დასაძინებლად. კოსტამა და სახლისპატრონმა თავადს ქვეშსაგები შემოუტანეს და ტახტზე გაუშალეს. თავადი საღამოს ლოცვად დადგა. მთელ ნახევარ საათს ლოცულობდა ბეკო და რამდენიმე მეტანიაცა ჰქნა. ბერუკა ჯიქიასაგანა ჰქონდა ჩანერგილი ღვთის-მოკრძალება და ლოცვის-სიყვარული. ფაცხაში ბახვა და კოსტა სულგანაბულნი იდგნენ, რომ ბატონისათვის ხელი არ შეეშალნათ. მერე თავადმა მათის შემწეობით ტანთ გაიხადა და დაწვა. კოსტამ თავი დაუკრა და გავიდა. ბატონთან მხოლოდ ბახვა დარჩა.

ფრთხილათ მიუახლოვდა ბახვა კერას, ახალი ფიჩხი დაუყარა და ცეცხლს ბერვა დაუწყო. სიცხისა და კვამლისაგან დანაოჭებულ სახეზე რაღაც სურვილი ეხატებოდა: ხან ცეცხლს დააცქერდებოდა და ხანაც თავადს გადახედავდა; ეტყობოდა, რომ რიღაცის თქმა უნდოდა. ბოლოს, ველარ მოითმინა და ჩაახველა. თავადი მისკენ მოტრიალდა და თვალები გაახილა. ბახვას სახეზე მაცთურობა და ლაქუცი დაეტყო.

— შენა ხარ?— ჰკითხა თავადმა.— ხომ მშვიდობაა შენს სახლში?

— მადლობა ღმერთს, შენის წყალობით სული გვიდგას, ბატონო,—უპასუხა ბახვამ სვენებით,—უკეთესად ვიქნებოდი, მაგრამ...

ბახვას ენა დაება.

— რა იყო?

— არაფერი, ბატონო, ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს, და ჩვენ...

— როგორ არაფერი? თქვი, რა გაქვს სათქმელი?

— რა უნდა მქონდეს სათქმელი, შენი ჭირიმე! ღმერთს იმას ვეხვეწები, თქვენი თავი გვიცოცხლოს, ჩვენ კი, ვინც რა უნდა გვიყოს, ამისათვის თქვენ აბა როგორ უნდა შეგაწუხოთ!

— ვინ რა დაგიშავა, რატომ არ მეტყვი?

— აბა ვინ იქნება, ბატონო! მდივანბეგი... სულს გვართმევს, ბატონო. ხანჯალურით*) დაგაბამო, მემუქრება, ქურდობაზე ხელი უნდა აიღოვო.

— შენ რაღას ეუბნები?

— რაღა უნდა ვუთხრა! თავი რიღათი ვირჩინო? ჩემი მამაპაპა ქურდობით ცხოვრობდენ და მეც ეს ხელობა მასწავლეს. მეუბნება: მე იმას არ დაგიდევ, თუ ვისი ყმა ხარო; ქვესკნელში რომ ჩახვიდე, იქაც კი მოგძებნიო, ვერსად დამემალებიო. თვით შენის ბატონის სახლიდან გამოგათრევ და შეგკრავო.

— აი, უწინამც დღე დაქცევია, სანამ ამას გაჰბედავდეს, ის მუდრეგი, ისა! — წამოიძახა თავადმა ბეკომ და ერთბაშად გადმოტრიალდა ლეიბზე.

— „მე იმის არ მეშინიან, რომ შენი ბატონი თავადია, პირდაპირ სახლში მივუხტები და შენ იქიდან წამოგათრევო“, მემუქრება.

— კაი ბიჭია და მობრძანდეს, ერთი ჩემი მათრახების სუსხიცა ნახოს!

— დამიფარე, შენის მუხლის ჭირიმე, ბატონო, — დაიკვნესა ბახვამ და თავადის ფეხებს კოცნა დაუწყო.—ისეთი ძღვენი მოგართვა, რომ უკეთესი კაცის თვალს არ ენახოს.

— კარგი, კარგი, წადი, ხვალ კიდევ მოვილაპარაკებთ. ახლა მეძინება. არა ვერ უყურებ იმ ოხერს, რეებს მიჰქარავს!.. მე, საბახთარს, სახლიდან ყმები უნდა მომტაცოს!..—ბუტბუტებდა ბრაზმორეული თავადი და მეორე გვერდზე გადატრიალდა.

მალე ყოველივე მიჩუმდა. არ ეძინათ მხოლოდ ტურებს. მაგრამ მათს შკვეთრს, გულის გამაწვრილებელ ჩხავილს ისე იყვნენ აქაურნი მცხოვრებნი მიჩვეულნი, რომ ამის მიზეზით ძილი არავის გაუკრთებოდა.

---

*) ხანჯალური—რკინის ჯაჭვია, რომლითაც ბატონყმობის დროს სამეგრელოში ყმებს აბამდენ ხოლმე დასასჯელად.

ეს აღწერა მეგრელთა ცხოვრების მახლობელ წარსულისა მკითხველს დაუჯერებლად ეჩვენება, თუ ამ მხარეს ახლა ნახავს. დიდი ცვლილება მოხდა სამეგრელოში, მაგრამ ამასთან ამავე ხნის განმავლობაში რამდენი რამ გამოიარა ამ მხარემ!..

ყირიმის ომის დროს მთელის ექვსის თვის განმავლობაში ომერფაშა ბატონობდა ამ მხარეში. 1857 წ. გადავარდა მთავრის გამგეობა და ამის მაგიერ რუსის მმართველობა იქმნა შემოღებული; 1866 წ. როცა თავადი ნიკოლოზ დადიანი სრულიწლოვანი გახდა, თავის ნებით ხელი აიღო მთავრის უფლებებზე და სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთა საბოლოოდ. 1869 წ. ბატონყმობა გადავარდა. ამას მოჰყვა მომრიგებელი სასამართლოების შემოღება.

ყოველსავე ამასთან ამ მხარეში გაჰყავდათ შოსეს გზები, გაიყვანეს რკინის გზა, რომელმაც შავი ზღვა კასპის ზღვას შეუერთა, ხალხის ნივთიერი მდგომარეობა თან-და-თან იზრდებოდა; ფაცხების ადგილას ოდები წამოჭიმეს; ვაჭრობა განვითარდა იმ ზომამდე, რომ აქაური საქონელი მილიონობით გააქვსთ რუსეთისა და საზღვარგარეთის ნავთსადგურებში.

განქრნენ, რა თქმა უნდა, სამუდამოდ ისეთი ტიპებიც, როგორიც იყო საბახთარი და მისი ამალა.

ს ა ძ ი ებ ე ლ ი

მ თ ა ვ ა რ მ ო მ ძ მ ე დ პ ი რ თ ა:

ბარიატინსკი ა. ი. 87. 95. 124. 128—130. 132. 159. 190—191. 197. 206. 207. 209. 211. 212. 216. 217. 221. 238. 239. 278. 278. 282. 294. 306—310. 318. 322—328.

ბარტოლომეი ი. ა. 174. 176. 209—214. 216. 219. 220. 225.

ბასაია 285—287. 289.

გაგარინი ალ. ივ. 61. 120—125. 132. 151. 152. 161. 165. 167. 192—197. 200—209. 214—225. 278.

დადიანი დავითი (მთავარი) 4—7. 60—65. 71—81. 105. 177—185. 238—239. 241. 244. 251. 256. 267—322.

ეკატერინე დედოფალი 5—39. 47. 49. 50. 59. 62—68. 70—74. 82. 108—132. 147—164. 183—186. 205. 217. 226. 245. 282. 294. 322—325. 328. 329.

დუკრუასი 125—132. 146—149. 151. 323. 325.

დადეშქელიანი კ. (მურზაყანი) 161. 168. 170. 171. 178. 184. 186. 188. 190. 204. 206—221.

ერისთავი რაფაელ 52. 53. 61. 95. 113. 122. 132. 149. 229. 294. 306.

ვორონცოვი მიხ. 7. 56. 90. 91. 105. 113. 122. 132. 149. 173. 183. 230. 231. 239. 266. 278. 280. 298.

თოდუა კოჩა 135. 279. 290.

თოდუა მართალი 135. 136. 271. 290.

კოლუბიაკინი ნ. პ. 21. 28. 39. 52. 53. 58. 60. 61. 73. 83—89. 90—95. 106. 110—133. 142. 159. 163. 164. 177. 181. 182. 214. 224—230. 232. 236. 240. 241. 245—247. 254. 279. 284. 289. 291—299. 321. 328. 330.

კოლუბიაკინი მ. პ. 83. 123. 124. 294. 295. 298. 299. 302. 305. 306. 311. 312. 317. 318. 321—330.

მიქავა (მეჭედელი) 112.—119. 133. 136. 137. 150. 151. 279.

მურავიოვი ნ. ნ. 15—17. 37. 39. 47. 50. 119. 190 206. 239. 280. 281. 301. 302. 329.

ომერ-ფაშა 17—39. 46—51. 66—67. 92. 109. 189. 190. 202. 205. 232.

უსლარი პ. კ. 197—203. 206—209. 214—219. 224. 225.

ყიფიანი დიმიტრი 159. 160. 280—282. 290. 291. 311—318. 322—324. 326. 327. 329.

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
თავი I.	— სამეგრელო ყირიმის დროისა	1
„ II.	— შემოსევა ომერ-ფაშის ჯარისა და დაპყრობა სამეგრელოსი	19
„ III.	— ომერ-ფაშის დაბრუნება ყულევში	42
„ IV.	— აჯანყება სამეგრელოში.	52
„ V.	— ნ. პ. კოლუბიაკინის ჩამოსვლა სამეგრელოში . .	96
„ VI.	— რუსის მართვა-გამგეობის შემოღება სამეგრელოში.	134
„ VII.	— სვანეთის სამთავროს გაუქმება.	167
„ VIII.	— სენაკის ოლქის მცხოვრებთა შედგენილობა და დახასიათება	226
„ IX.	— პირველი წლები რუსის მართვა-გამგეობისა . . .	277
სამეგრელოს წარსულიდან.	. . . . .	332

947.922
ż 87